Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

**5 Classics of Marxism**

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

**http://ciml.250x.com**

Georgian Section

**www.joseph-stalin.net**

**SHMG Press**

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

# ლენინი

# ლენინი

## თხზულებანი

## 12

# ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
# რკპ(ბ) IX ყრილობისა
# და სსრკ საბჭოების
# II ყრილობის
# დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП (б)

# В. И. ЛЕНИН

## СОЧИНЕНИЯ

*Издание четвертое*

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1947

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

# ვ. ი. ლენინი

## თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1950

# ვ. ი. ლენინი

## ტომი

## 12

იანვარი — ივნისი *1907*

## წინასიტყვაობა

მეთორმეტე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთ, რომლებიც დაწერილია 1907 წლის იანვარ-ივნისში.

ტომში დაბეჭდილ ნაწარმოებთა ნაწილის საგანია რსდმპ რევოლუციური ტაქტიკა II სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის პერიოდში — მემარცხენე ბლოკის დაცვა და კადეტებთან შეთანხმების მენშევიკური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ნაწარმოებთ მიეკუთვნება: «სოციალ-დემოკრატიის საარჩევნო კამპანია პეტერბურგში», «როგორ მივცეთ ხმა პეტერბურგის არჩევნებში? (ვისთვის არის ხელსაყრელი ზღაპრები შავრაზმული საფრთხის შესახებ?)», «მეორე სათათბირო და რევოლუციის მეორე ტალღა», «ოპორტუნიზმის ტაქტიკის შესახებ», «ბოლშევიკები და წვრილი ბურჟუაზია», «სათათბიროს არჩევნები და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა», «სათათბიროს მოახლოებული გარეკვა და ტაქტიკის საკითხები» და სხვა.

ტომში შედის ლენინის დოკუმენტები და სტატიები რსდმპ V ყრილობის მზადების შესახებ, აგრეთვე მისი მოხსენებები და გამოსვლები ყრილობაზე: «რეზოლუციების პროექტები რსდმპ მეხუთე ყრილობისათვის», სტატია «რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პლატფორმა», «მოხსენება რსდმპ მეხუთე ყრილობას პეტერბურგის გათიშვისა და მასთან დაკავშირებით პარტიული სასამართლოს შექმნის გამო», «მოხსენება ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ» და სხვა გამოსვლები.

ნაწარმოებნი: «მოხსენება პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციაზე სათათბიროს კამპანიისა და სათათბიროს ტაქტიკის საკითხის შესახებ», «გათიშვის მომწყობნი მომავალი გათიშვის შესახებ», «რეორგანიზაცია და პეტერბურგის გათიშვის ლიკვიდაცია» აშუქებენ ლენინის ბრძოლას რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის იდეური დარაზმულობისათვის ბოლშევიზმის პრინციპების საფუძველზე.

ლენინის ნაშრომები: «წინასიტყვაობა ლ. კუგელმანთან მიწერილი კ. მარქსის წერილების რუსული თარგმანისა» და «წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი წიგნისა: «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსისა და სხვათა წერილები ფ. ა. ზორგესა და სხვებისადმი»» ახასიათებენ, თუ რა თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიწერ-მოწერას, რომელიც პირველად ნაწილობრივ გამოქვეყნდა რუსულ ენაზე 1907 წელს.

ამ ტომში მოთავსებულია აგრეთვე ლენინის სტატიები აგრარულ საკითხზე: «მეორე სახელმწიფო სათათბიროში აგრარულ საკითხზე წარმოსათქმელი სიტყვის პროექტი» და «აგრარული საკითხი და რევოლუციის ძალები».

ტომში იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად შეტანილი ნაწარმოებნი: «II სათათბიროს არჩევნების შესახებ ქ. პეტერბურგის მოსკოვის რაიონის ანგარიშის გამო», «შენიშვნა ესტონელ სოციალ-დემოკრატთა რეზოლუციის გამო» და «პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი», რომელშიც ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს II სათათბიროს მენშევიკ-დეპუტატთა ოპორტუნისტულ მოქმედებას.

# სოციალ-დემოკრატიის საარჩევნო კამპანია პეტერბურგში [1]

პეტერბურგი, 1907 წ. 18 იანვარი.

პეტერბურგში გაჩაღებულია საარჩევნო კამპანია. ახლოვდება გადამწყვეტი მომენტი: ჯერ ერთი, ამ დღეებში უნდა გამოირკვეს, როგორია პარტიების საბოლოო დაჯგუფება არჩევნებში, ვინ ვისთან არის, ვინ ვისი წინააღმდეგია. მეორე, სულ ახლოსაა თვით არჩევნებიც.

დედაქალაქის არჩევნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მთელი რუსეთი ახლა პეტერბურგს შეჰყურებს. აქ არის ყველაზე გაცხოველებული პოლიტიკური ცხოვრება, მთავრობა ყველაზე უფრო ძლიერი აქ არის. აქ არის ყველა პარტიის ცენტრები, ყველა მიმართულებისა და ელფერის საუკეთესო ორგანოები, საუკეთესო ორატორები წინასაარჩევნო კრებებზე.

და ახლა უკვე შეიძლება სრული გარკვეულობით და გადაჭრით ითქვას: პეტერბურგმა თავისი თავი გაამართლა. პეტერბურგის საარჩევნო კამპანიამ უკვე მოგვცა და დ ღ ი თ ი დ ღ ე კვლავაც გვაძლევს მეტისმეტად უხვ პოლიტიკურ-განმანათლებელი ხასიათის მასალას. ამ მასალას უნდა ვსწავლობდეთ და ვსწავლობდეთ. მას სისტემატურად უნდა ვაგროვებდეთ, მისი საშუალებით რაც შეიძლება მკაფიოდ ვარკვევდეთ სულ სხვადასხვაგვარი პარტიების კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ საფუძვლებს და ეს ცოცხალი, უშუალო, ყველასთვის საინტერესო და ყველას ამაღელვებელი ცოდნა შეგვქონდეს უაღრესად ფართო მუშათა მასებში, სოფლის ყველაზე ყრუ და მივარდნილ ადგილებში.

ვცადოთ და დავიწყოთ მასალის ეს შეგროვება, — რა თქმა უნდა, კონსპექტურად. დაე, მკითხველმა უკან თვალი გადაავლოს, მთლიანად გაითვალისწინოს მთელი საარჩევნო კამპანიის მსვლელობა სანკტ-პეტერბურგში იმისათვის, რომ მტკიცე და იდეური წარმოდგენა შეიმუშაოს სოციალ-დემოკრატიის როლზე, რომ ყოველდღიურ წვრილმანებსა და პოლიტიკანური ხმაურის კალეიდოსკოპს თავი არ გაატაცებინოს.

პირველი ეტაპი. სოციალ-დემოკრატები თეორიულად ემზადებიან არჩევნებისათვის. თავის აზრს გამოთქვამენ მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები. მენშევიკებში თავდაპირველად დიდი რყევაა: 1) ჩერევანინი კადეტებთან შეთანხმების მომხრეა. 2) კადეტური პრესა აღტაცებულია და ამ ამბავს ჰფენს რუსეთის ყველა კუთხეს. 3) მარტოვი «ტოვარიშჩში» [2] პროტესტს აცხადებს და იცავს წ მ ი ნ დ ა სოციალ-დემოკრატიულ სიებს, იგი ბოლშევიკებს იმასაც კი უსაყვედურებს («პროლეტარი» [3] № 1), რომ ისინი ზ ო გ ა დ ა დ აღიარებენ ტრუდოვიკებთან [4] შეთანხმების შესაძლებლობას კადეტების წინააღმდეგ. 4) ბოლშევიკები იცავენ წ მ ი ნ დ ა სოციალ-დემოკრატიულ სიებს, მაგრამ არ უარყოფენ შეთანხმებას რევოლუციურ დემოკრატიასთან. 5) პლეხანოვი ბურჟუაზიულ პრესაში გამოდის და იცავს ბლოკს კადეტებთან. 6) მენშევიკთა შორის დიდი მერყეობაა: ლარინი მრისხანედ გმობს კადეტებთან ბლოკს, როგორც სოციალ-დემოკრატიისათვის სამარცხვინო ნაბიჯს. ნიკ. ი. — სკის [5] დასაშვებად მიაჩნია კადეტებთან ბლოკი, მაგრამ უპირატესობას აძლევს ტრუდოვიკებთან ბლოკს კადეტების წინააღმდეგ. 7) მარტოვი და ყველა მენშევიკი 180 გრადუსით იცვლიან თავიანთ პოზიციას და ყველანი გადადიან პლეხანოვის მხარეზე.

რსდმპ სრულიად რუსეთის კონფერენციამ [6] განამტკიცა ორი მიმდინარეობა: მენშევიკები და ბუნდელები ემხრობიან კადეტებთან ბლოკს, ბოლშევიკები, პოლონელები და ლატვიელები გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ამ ბლოკს და დასაშვებად მიაჩნიათ რევოლუციურ დემოკრატიასთან შეთანხმება.

მეორე ეტაპი. კადეტებთან ბლოკის იდეის განვითარება პრესაში. პლეხანოვი იქამდე მივიდა, რომ გამოაცხადა «სრულ-ძალაუფლებიანი სათათბირო». ამით მას შეეძლო აბსურდამ-დე მიეყვანა მენშევიზმი. მას უნდოდა მენშევიკები და კადეტე-ბი ერთმანეთისათვის დაუახლოებინა, მაგრამ ნამდვილად ის (პოლიტიკური მდგომარეობის სრული გაუგებლობის გამო) საწინააღმდეგო შედეგს აღწევს: მენშევიკებს აშორებს კადე-ტებისაგან. ერთი მხრით, კადეტების პარტია ოფიციალურად და საჯაროდ უარყოფს «სრულძალაუფლებიან სათათბიროს», როგორც რევოლუციურ ილუზიას, და დასცინის პლეხანოვს. აშკარა ხდება, რომ კადეტებს უნდათ და მოითხოვენ ი დ ე უ რ ბლოკს, მათ უნდათ მემარცხენენი დაუმორჩილონ კადეტურ ხელმძღვანელობას, კადეტურ შემთანხმებელ, ანტირევოლუ-ციურ ტაქტიკას. მეორე მხრით, პლეხანოვის წრეგადასულ გულმოდგინებას არევდარევა შეაქვს მენშევიკთა რიგებში: ბუნდელებიც და კავკასიელი მენშევიკებიც პრესაში საჯაროდ ჰგმობენ პლეხანოვის გამოსვლას. ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში მენშევიკები სჭარბობენ, სდუმს, იგი დარცხვენილი და თავგზააბნეულია. პლეხანოვი განმარ-ტოებულია და ისიც ჩუმდება.

მესამე ეტაპი. მასობრივი გამოსვლის დასაწყისი. წინასაარ-ჩევნო კრებები მოსკოვსა და პეტერბურგში. ინტელიგენტური პოლიტიკანობის დამყაყებულ ატმოსფეროში ქუჩიდან იჭრება სუფთა ჰაერის ნაკადი. ერთბაშად აშკარავდება შავრაზმული საფრთხის ზღაპარი: ქუჩა ადასტურებს ბოლშევიკურ დებულე-ბას, რომ კადეტები ასულელებენ ოპორტუნისტებს, როცა შავ-რაზმულ საფრთხეზე გაჰყვირიან და ამით მემარცხენე საფრთ-ხეს თავიდან იცილებენ. ორივე დედაქალაქში წინასაარჩევნო კრებებზე ბრძოლა ჩაღდება, ა რ ს ე ბ ი თ ა დ, კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს, უმთავრესად სოციალ-დემოკრატ ბოლ-შევიკებს შორის. კადეტები მ ა რ ჯ ვ ნ ი თ ეზიდებიან ყ ვ ე-ლ ა ს, — ქუჩას, ბრბოს, მასებს, ებრძვიან რევოლუციურ მოთხოვნებს, «მშვიდობიანი პარლამენტური გზის» სახით ქება-

დიდებას ასხამენ რეაქციასთან გარიგებას. სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკები მასებს მარცხნით მოუწოდებენ, ააშკარავებენ მშვიდობიანი გზის ზღაპრების მთელ სიყალბეს, მთელ მის ანგარებიან-კლასობრივ ხასიათს. მენშევიკები მიყუჩდნენ (როგორც ეს აღიარა თვით კადეტურმა პრესამ, რომელსაც გულში ჩავარდნილი აქვს მენშევიკების სიყვარული); გაუბედავად აკრიტიკებენ კადეტებს, — აკრიტიკებენ არა როგორც სოციალისტები, არამედ როგორც მემარცხენე კადეტები, და ასევე გაუბედავად ლაპარაკობენ კადეტებთან შეთანხმების აუცილებლობაზე.

მეოთხე ეტაპი. იკრიბება პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენცია [7]. ეს კონფერენცია, არჩეული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა წევრის მიერ დისკუსიათა საფუძველზე, ე. ი. კადეტებთან შეთანხმების შესახებ ყველა წევრის აზრის გაგების საფუძველზე, აშკარა უპირატესობას ანიჭებს ბოლშევიკებს, — სულერთია, ჩაითვლება ამა თუ იმ მხარის მიერ სადავოდ მიჩნეული ხმები, სულ არ ჩაითვლება თუ ჩაითვლება განსაკუთრებული ნორმის მიხედვით. მენშევიკები კონფერენციიდან მიდიან და გათიშვას იწყებენ. ფორმალურად ისინი იყენებენ სასაცილო და უბადრუკ, წვრილმან ორგანიზაციულ საშარო მიზეზებს (ბოლშევიკების მიერ მანდატების ვითომდა უმართებულოდ დამტკიცება, — ნამდვილად კი ბოლშევიკებს უმრავლესობა ჰყავდათ მანდატების ყ ო ვ ე ლ ნ ა ი რ ი ანგარიშით; — კონფერენციის უარი საქალაქო და საგუბერნიო კონფერენციებად გაყოფაზე — ნამდვილად კი ცენტრალურ კომიტეტს წესდების ძალით არ შეეძლო ეს მოეთხოვა და არც მოუთხოვია არც ვილნოსაგან, არც ოდესისაგან და არც სხვა რომელიმე ქალაქისაგან).

ნამდვილად, მენშევიკების მიერ მოწყობილი გათიშვის მიზეზი ყველასთვის ნათელია: სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტები პროლეტარიატის ბანაკიდან გადადიან ლიბერალური ბურჟუაზიის მხარეზე, მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორ-

განიზაციებიდან — გაუფორმებელი უპარტიო საარჩევნო კოლექტივების მხარეზე.

კონფერენცია მენშევიკების წასვლას აბსოლუტურად არაეითარ ყურადღებას არ აქცევს და თ ა ვ ი ს საქმეს განაგრძობს. პეტერბურგში დავა იყო ბოლშევიკებს შორისაც: ეგრეთწოდებული წმინდა ბოლშევიკები უარყოფენ ყოველგვარ შეთანხმებას რომელიმე სხვა პარტიასთან. ეგრეთწოდებული დისიდენტები იცავენ შეთანხმებას რევოლუციურ დემოკრატიასთან, ტრუდოვიკებთან, რათა რუსეთის დედაქალაქში ბოლო მოეღოს კადეტების ჰეგემონიას განუვითარებელ მშრომელ მასაზე. ეს დავა «წმინდა» და «დისიდენტ» ბოლშევიკებს შორის ცალკე შემთხვევებში მწვავე ხასიათს იღებდა, მაგრამ არსებითად ყველა ბოლშევიკმა მშვენივრად იცოდა, რომ აზრთა ეს სხვადასხვაობა მათ ერთმანეთისაგან პრინციპულად კი არ ჰყოფს, არამედ მხოლოდ ხელს უწყობს მათ ყოველმხრივ და საქმიანად აწონ-დაწონონ ყველა შანსი და ყველა შესაძლებლობა არჩევნებში.

სოციალისტურ პროლეტარიატს არ შეუძლია უარი უთხრას არასოციალისტურ წვრილბურჟუაზიულ მასას, არ შეუძლია ნება არ მისცეს მას გ ა ჰ ყ ვ ე ს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ს, რათა გაათავისუფლოს ეს მასა კადეტების გავლენისაგან. კონფერენციას ვრცელი და საფუძვლიანი კამათის შემდეგ გამოაქვს გადაწყვეტილება — შეთანხმების წინადადება მისცეს ესერებსა და შრომის ჯგუფის კომიტეტს ასეთ საფუძველზე: ორი ადგილი მუშათა კურიას, ორი — სოციალ-დემოკრატიას, ორი — ტრუდოვიკებს.

პეტერბურგში ეს ერთადერთი სწორი და ერთადერთი შესაძლებელი გადაწყვეტილება იყო: კადეტების დამარცხების ამოცანის უგულებელყოფა შეუძლებელია; ორი მემარცხენე სიის დროს შავრაზმული საფრთხე არ არსებობს; მაგრამ შემდეგში მემარცხენეთა დანაწილების დროს ეს საფრთხე შეიძლებოდა წამოჭრილიყო და ამომრჩეველთა მასების ხელახლა შემოკრება შეუძლებელი იქნებოდა. კონფერენციის წინადა-

დება კი უპირატესობას უსათუოდ სოციალ-დემოკრატიას უტოვებდა; სოციალ-დემოკრატიის იდეური და პოლიტიკური ჰეგემონია, მისი პრინციპების სრული სიწმინდის დაცვით, მტკიცე ხდებოდა.

სახალხო სოციალისტების პარტიის შესახებ კონფერენციამ დაადგინა გამოერიცხა ის, როგორც ნახევრადკადეტური პარტია, რომელიც ორჭოფად ეკიდება სათათბიროს გარეთ ბრძოლის ძირითად საკითხებს. ცნობილია, რომ ეს პარტია, სათათბიროს გარეკვის შემდეგ, ჩამოშორდა რევოლუციურ წვრილ ბურჟუაზიას და ხელი მიჰყო ლეგალურ პრესაში სიფრთხილისა და ზომიერების ქადაგებას.

ცხადია, რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ვ ა ლ დ ებ უ ლ ი იყო სოციალისტ-რევოლუციონერთაგან მ ო ე თ ხ ო ვ ა გ ა რ კ ვ ე უ ლ ი დამოკიდებულება ამგვარ პარტიასთან: — ან გამოერიცხვინებინა იგი (ეს, ალბათ, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა, მენშევიკები რომ გადამწყვეტ მომენტში სოციალისტებისაგან კადეტებთან არ გადაბარგებულიყვნენ), — ანდა სავსებით მოეხსნა მაინც ყოველგვარი პასუხისმგებლობა ა მ გ ვ ა რ ი «ტრუდოვიკების» გამო.

მეხუთე ეტაპი. მენშევიკების მიერ მოხდენილი გათიშვა აიმედებს და ფრთებს ასხამს მ თ ე ლ ლიბერალურ ბურჟუაზიას. ზეიმობს მთელი კადეტური პრესა, ზეიმობს საძულველი ბოლშევიკების «განმარტოების» გამო, რევოლუციის ბანაკიდან «ოპოზიციურ ბლოკში» მენშევიკების «მამაცური» გადასვლის გამო. «რეჩი»[8], რომელსაც ეს უკანასკნელი გამოთქმა ეკუთვნის, უკვე პირდაპირ უწოდებს მენშევიკებსა და სახალხო სოციალისტებს «ზ ო მ ი ე რ-ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ პ ა რ ტ ი ე ბ ს». მართლაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კადეტები გაიყოლიებენ მთელ წვრილ ბურჟუაზიას (ე. ი. ყველა ტრუდოვიკს ესერებიანად) და მუშათა პარტიის მთელ წვრილ-ბურჟუაზიულ ნაწილს, ე. ი. მენშევიკებს.

ბოლშევიკები მშვიდად განაგრძობენ თავის დამოუკიდებელ მუშაობას. ჩვენ მოხარული ვართ, ამბობენ ისინი, შორს ვიდ-

გეთ წვრილი ბურჟუაზიის ბინძური საქმისაგან, ღალატისა და მერყეობისაგან. ჩვენს ტაქტიკას არ ვუმორჩილებთ ადგილების გამოდევნებას. ჩვენ ვაცხადებთ: პეტერბურგში ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი სამი სია იქნება: შავრაზმული, კადეტური და სოციალ-დემოკრატიული.

მეექვსე ეტაპი. არჩევნები მუშათა კურიაში და ტრუდოვიკთა მთელი ორპირობის გამოაშკარავება.

მუშათა კურიაში სოციალ-დემოკრატები იმარჯვებენ, მაგრამ ესერები ღებულობენ გაცილებით მეტ ხმას, ვიდრე ჩვენ მოველოდით. ირკვევა, რომ ე ს ე რ ე ბ ი მ უ შ ა თ ა კ უ რ ი ა შ ი უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ მ ე ნ შ ე ვ ი კ ებ ს ა მ ა რ ც ხ ე ბ დ ნ ე ნ. ვიბორგის რაიონში, მენშევიზმის ამ ციტადელში, როგორც იუწყებიან, მ ე ტ ი ესერი გადის, ვიდრე სოციალ-დემოკრატი!

ამრიგად, ჩვენში დასტურდება ის მოვლენა, რომელიც დიდი ხანია აღნიშნულია სხვა ქვეყნებში. სოციალ-დემოკრატიაში ოპორტუნიზმს იმდენად გაურბის მუშათა მასა, რომ ეს უკანასკნელი იძულებულია რევოლუციურ ბურჟუაზიას მიაშუროს. მენშევიკების სრულიად მერყევი, ყოვლად ორჭოფი პოლიტიკა უზომოდ ასუსტებს სოციალ-დემოკრატიას და ხელს უწყობს კადეტებს ქალაქის კურიაში, ესერებს — მუშათა კურიაში.

მხოლოდ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ სოციალ-დემოკრატიას შეუძლია დააკმაყოფილოს პროლეტარული მასის საჭიროებანი და მ ტ კ ი ც ე დ მოაცილოს ეს მასა ყ ვ ე ლ ა წვრილბურჟუაზიულ პარტიას.

მაგრამ, მეორე მხრით, მომხდარი ამბები ააშკარავებენ ტრუდოვიკთა მთელ ორპირობასაც. მუშათა კურიაში ისინი (ესერები) ჩვენ გვცხებენ იმით, რომ ანადგურებენ მენშევიკებს, რომლებიც კადეტებთან ბლოკს ჰკრავენ. და ამავე დროს ყოვლად უპრინციპო თამაშს ეწევიან საარჩევნო კამპანიაში. ისინი არავითარი პარტიული განცხადებით არ გამოდიან, დამოუკიდებლად არავითარ ორგანიზაციულ დადგენილებას არ აქვეყნებენ, აშკარად არ არჩევენ კადეტებთან ბლოკის საკითხს.

ისინი ყველა სანთელს თითქოს განგებ აქრობენ, — იმ ადამიანთა მსგავსად, რომელთაც სიბნელეში უნდათ მოაჭახრაკონ თავიანთი ბნელი საქმეები.

ამ ბ ო ბ ე ნ, ესერებს სახალხო სოციალისტებთან ბლოკი აქვთო. არავინ იცის ამ ბლოკის პირობები და ხასიათი. ბნელი თამაშია. ამ ბ ო ბ ე ნ (შეად. 15 იანვრის «როდნაია ზემლია», ამ გაზეთში კი ბ-ნი ტანი* თანამშრომლობს), ესერები კადეტებთან ბლოკს ემხრობიანო. არავინ იცის სიმართლე. ბნელი თამაშია. წინასაარჩევნო კრებებზედაც იგივე აზრთა სხვაობაა: ერთი ესერი სახალხო სოციალისტებთან ერთად მოუწოდებს კადეტებთან ბლოკის შესაკრავად, მეორეს რეზოლუცია გაჰყავს კადეტებთან ბლოკის წინააღმდეგ, კადეტების საწინააღმდეგოდ ყველა მემარცხენის ბლოკის დასაცავად.

მასების წინაშე თ ვ ა ლ ნ ა თ ლ ი ვ აშკარავდება მ თ ე ლ ი წვრილი ბურჟუაზიის, თვით ყველაზე რევოლუციური წვრილი ბურჟუაზიის სრული მერყეობა და ორპირობა. ჩვენ რომ არ გვყავდეს სოციალ-დემოკრატიის წვრილბურჟუაზიული, ოპორტუნისტული ნაწილი, ჩინებული შემთხვევა გვექნებოდა აგვეხსნა მ თ ე ლ ი მუშათა მასისათვის, თუ რატომ შეუძლია მ ხ ო ლ ო დ სოციალ-დემოკრატიას დაიცვას მისი ინტერესები პატიოსნად და თანამიმდევრად.

და ბოლშევიკები აგიტაციას ეწევიან ამ ნიადაგზე. ბოლშევიკები განუხრელად ატარებენ თავის ხაზს: პეტერბურგში ი ქ ნ ე ბ ა კადეტური და სოციალ-დემოკრატიული სიები. ჩვენი გადაწყვეტილება წვრილი ბურჟუაზიის მერყეობაზე ა რ ა რ ი ს დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი: თუ წვრილი ბურჟუაზია მოისურვებს და ჩვენი მოწოდებით გაჰყვება პროლეტარიატს ლიბერალთა წინააღმდეგ, — მით უკეთესი მისთვის; თუ არ მოისურვებს — მით უარესი მისთვის, ჩვენ კი ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი სოციალ-დემოკრატიული გზით მივდივართ.

მეშვიდე ეტაპი. დ ა შ ლ ა. კადეტები გაიხლართნენ შავრაზმელებთან მოლაპარაკებაში. წვრილი ბურჟუაზიის ოპორ-

ტუნისტები გაიხლართნენ კადეტებთან მოლაპარაკებაში. ბოლშევიკები განუხრელად ატარებენ თავის ხაზს.

გაზეთები იუწყებიან: 1) რომ ბ-ნი მილიუკოვი აუდიენციას ღებულობს ბ-ნ სტოლიპინთან; 2) რომ საზღვარგარეთული გაზეთების ცნობებით მთავრობა მზადაა კადეტების პარტიის ლეგალიზაცია მოახდინოს იმ პირობით, თუ იგი მარცხნივ ბლოკს არ შეჰკრავს.

ლიბერალურ გამცემთა პარტიის ფარულ მაქინაციებს სინათლის შუქი ეფინება. კადეტებს ე შ ი ნ ი ა თ შავრაზმელთა წინადადების უარყოფა, ვინაიდან შავრაზმელები სათათბიროს გარეკვით იმუქრებიან.

ა ი სად არის ნ ა მ დ ვ ი ლ ი მ ი ზ ე ზ ი იმისა, რომ კადეტები შეთანხმების საკითხში ერთბაშად «მტკიცენი» ხდებიან, წვრილი ბურჟუაზიის ოპორტუნისტთა სავალალოდ.

კადეტები ჯიუტობენ. არასგზით არ შეიძლება მიეცეთ ორ ადგილზე მეტი ყველა მემარცხენეებს! კადეტური «რეჩი» ყოველ ნომერში სრული სიცხადითა და ჭკუის დარიგების კილოთი განმარტავს, რომ ის თანახმაა თ ა ნ გ ა ი ყ ო ლ ი ო ს ზომიერი სოციალისტები (ორი ადგილი ექვსიდან), «რევოლუციური ილუზიების» წინააღმდეგ ს ა ბ რ ძ ო ლ ვ ე ლ ა დ, რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ს ა ბ რ ძ ო ლ ვ ე ლ ა დ. მაგრამ რევოლუციასთან ერთად არასოდეს არ ივლის!

ოპორტუნისტები სასოწარკვეთილებას შეუპყრია. «ტოვარიშჩის» სტატიების ტონი «რეჩის» წინააღმდეგ პირდაპირ ისტერიკული ხდება. სოციალ-დემოკრატიის რენეგატი ბ-ნი ბოგუჩარსკი იმანჭება და ლაქუცობს, «რეჩს» ურჩევს და მოუხმობს — «ტოვარიშჩის» სხვა მწერლებთან ერთად — გონს მოვიდეს, გადაიფიქროს და სხვა. «რეჩისა» და «ტოვარიშჩის» ამასწინანდელი საერთო ზეიმი და სიხარული ბოლშევიკების იზოლაციისა და ლიბერალებისადმი ზომიერ სოციალისტთა დამორჩილების გამო, — ჩხუბითა და ლანძღვა-გინებით შეიცვალა. 7 იანვარს პეტერბურგმა შეიტყო პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული კონფერენციის გადაწყვეტილება. დღეს 18

იანვარია. და კადეტებსა და ოპორტუნისტებს აქამდე ვ ე რ ა-ვ ი თ ა რ ი გადაწყვეტილება ვერ მიუღიათ! «რეჩის» დღევანდელი ტონი განსაკუთრებით შეურიგებელია «ტოვარიშჩის» წინააღმდეგ, «ტოვარიშჩის» დღევანდელი ტონი განსაკუთრებით მკაცრი და თავგზააბნეულია «რეჩის» საწინააღმდეგო შენიშვნებში.

ბოლშევიკები განუხრელად ატარებენ თავის ხაზს. პეტერბურგში სამი სია იქნება. სად ამოჰყოფენ თავს წვრილი ბურჟუები, — მათი საქმეა, რევოლუციური პროლეტარიატი კი ყოველ შემთხვევაში თავის მოვალეობას შეასრულებს.

როგორი იქნება მერვე ეტაპი, ჩვენ არ ვიცით. ბოლოს და ბოლოს, ეს დამოკიდებული იქნება კადეტებისა და შავრაზმული მთავრობის მოლაპარაკებაზე, მათს ურთიერთდამოკიდებულებაზე. თუ ისინი «მორიგდებიან» კადეტების დაუყოვნებლივ ლეგალიზაციაზე ან სხვა რამეზე, — განმარტოებული დარჩებიან წვრილი ბურჟუები. თუ კადეტები და შავრაზმელები ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ გაიყრებიან, — შესაძლებელია კადეტებმა სამი ადგილიც კი მისცენ წვრილ ბურჟუებს. სოციალ-დემოკრატია ამის მიხედვით არ განსაზღვრავს თავის პოლიტიკას.

პეტერბურგის საარჩევნო კამპანიის მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს შავრაზმელების, კადეტებისა და რევოლუციური პროლეტარიატის ურთიერთდამოკიდებულების პატარა, მაგრამ ჩინებულ სურათს. და მოვლენათა ეს განვითარება შესანიშნავად ადასტურებს რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა ნაცად, ძველ, შეურიგებელ ტაქტიკას.

პირდაპირი პოლიტიკა საუკეთესო პოლიტიკაა. პრინციპული პოლიტიკა ყველაზე პრაქტიკული პოლიტიკაა. მ ხ ო-ლ ო დ ასეთ პოლიტიკას შეუძლია ნამდვილად და მტკიცედ მოუპოვოს სოციალ-დემოკრატიას მასის სიმპათია და ნდობა. მხოლოდ მას შეუძლია იხსნას მუშათა პარტია პასუხისმგებლობისაგან იმ მოლაპარაკებისათვის, რასაც აწარმოებს სტოლიპინი მილიუკოვთან, მილიუკოვი — ანენსკისთან, დანთან თუ ჩერნოვთან.

სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტებსა და «შრომის პარტიებს» კი ეს პასუხისმგებლობა ამიერიდან ს ა მ უ დ ა მ ო დ დაეკისრათ.

ტყუილად როდი ცდილობენ მერყევი მენშევიკები თავს უშველონ ფარისევლური გამოსვლებით. ან შავრაზმული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა, ან წ მ ი ნ დ ა სოციალ-დემოკრატიული სიები, — აცხადებენ კონფერენციიდან წასული სოციალ-დემოკრატები (თუ დღევანდელ გაზეთებს დავუჯერებთ). სასაცილო თავდასაძვრენი ფანდია, რომელსაც მხოლოდ ყოვლად გულუბრყვილო ადამიანები თუ დაუჯერებენ! დამტკიცებულია, რომ სანკტ-პეტერბურგში არ არსებობს შავრაზმული საფრთხე, თუ მემარცხენეთა ო რ ი სია იქნება, მაგრამ თუ სამი იქნება? ხომ არ უნდათ მენშევიკებს სცადონ ე ს?! არა, ისინი მხოლოდ ხავსს ეჭიდებიან, ვინაიდან მოვლენათა განვითარებამ ისინი ჩიხში მოაქცია: ან კადეტების მხარეზე გადავიდნენ კადეტების სრული იდეურ-პოლიტიკური ჰეგემონიის პირობით, — ან ბოლშევიკებს გაჰყვნენ, სოციალ-დემოკრატიული სიები მიიღონ ტრუდოვიკების დაშვებით.

ასეთი სიები პეტერბურგში უეჭველად დაამარცხებდა შავრაზმელებსაც და კადეტებსაც. და რევოლუციური სოციალ-დემოკრატია, რომელმაც ერთბაშად აიღო სწორი ხაზი, შეურყევლად ივლის ამ გზით, — იგი არ შეუშინდება დროებითს დამარცხებას, თუ წვრილი ბურჟუები ლიბერალების მხარეზე გადავლენ, — და ახალ ძალღონესა და სიმტკიცეს შეიძენს ოპორტუნიზმის ქანაობითა და მერყეობით.

სანკტ-პეტერბურგში სამი სია იქნება: შავრაზმული, კადეტური, სოციალ-დემოკრატიული.

მოქალაქენო არჩევანი მოახდინეთ!

«პროსტიე რეჩი» № 2,
1907 წ. 21 იანვარი

იბეჭდება
გაზეთ «პროსტიე რეჩის»
ტექსტის მიხედვით

# საფეხურიდან საფეხურზე

პეტერბურგის არჩევნები მეტად საგულისხმო მასალას იძლევა სხვადასხვა პარტიების ხასიათისა და კლასობრივი ტენდენციების ან მათი პოლიტიკის კლასობრივი მნიშვნელობის საქმით შესასწავლად.

ამ მხრით ყველაზე საინტერესოა ორი ფაქტი: კადეტების მოლაპარაკება შავრაზმული მთავრობის ბელადთან, სტოლიპინთან და წვრილბურჟუაზიული პარტიების მოლაპარაკება ლიბერალურ მემამულეებთან, კადეტებთან.

შავრაზმელებთან კადეტების მოლაპარაკებაზე ჩვენ ჯერჯერობით ცოტა რამ ვიცით: მილიუკოვის აუდიენცია სტოლიპინთან, — ცდა კადეტების პარტიის ლეგალიზაციისა მემარცხენეებთან ბლოკის უარყოფის საფასურით. ეს მოლაპარაკება სრულიად საიდუმლოდ წარმოებს, და მისი გამოაშკარავება მომავლის საქმეა.

სხვა მოლაპარაკება ასე თუ ისე ყველას თვალწინ მიმდინარეობს. სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტთა როლი აქ განსაკუთრებით მკაფიოდ ისახება.

რატომ გამოეთიშნენ ისინი პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიას?

კადეტებთან გარიგების დასადებად.

მაგრამ კადეტებს არა სურთ გარიგება დასდონ მარტოოდენ მენშევიკებთან.

და აი, მენშევიკები ბლოკს ჰკრავენ ყველა წვრილბურჟუაზიულ პარტიასთან,

ე. ი. ესერებთან, ტრუდოვიკებთან და სახალხო სოციალისტებთან.

სოციალ-დემოკრატიას ჩამოშორებული ოპორტუნისტები წვრილ ბურჟუაზიასთან მიდიან!

რაში მდგომარეობს ამ ბლოკის პირობები?

იმაში, რომ ერთად შეუთანხმდნენ კადეტებს სათათბიროს ექვსი ადგილიდან მემარცხენე ბლოკისათვის სამი ადგილის მიცემის შესახებ.

ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკების ხელშეკრულება წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებთან დადებული იყო წერილობით, — ყოველ შემთხვევაში იყო საერთო რეზოლუცია. ახალი მოკავშირენი, ეტყობა, საზოგადოებისათვის მის შეტყობინებას არ ფიქრობენ ან არ ჩქარობენ.

ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ მოლაპარაკებაში ამ ბლოკის შეკვრის შესახებ მონაწილეობას იღებდა ამხ. დანი, რომელსაც ესარ ჰქონდა დავალებული არც ჩამოცილებულ პეტერბურგელ სოციალ-დემოკრატთა ჯგუფისაგან (31 კაცი) და არც სხვა რომელიმე პარტიული ორგანიზაციისაგან.

ჩვენ ოცნებაც კი არ შეგვეძლო იმაზე, რომ პოლიტიკურ მოვლენათა განვითარება უკეთესად დაადასტურებდა ჩვენს მუდმივ მტკიცებას იმის შესახებ, რომ მენშევიკები წარმოადგენენ მუშათა პარტიის ოპორტუნისტულ, წვრილ-ბურჟუაზიულ ნაწილს, რომელიც ისეთივე უპრინციპობითა და მერყეობით ხასიათდება, როგორც საერთოდ მთელი წვრილი ბურჟუაზია.

მართლაცდა, წარმოიდგინეთ, თუ რას სჩადიან მენშევიკები! განა ისინი არ გაჰყვიროდნენ საქვეყნოდ, რომ სოციალ-დემოკრატიის კლასობრივ სიწმინდეს იცავენ ბოლშევიკებისაგან, რომლებიც თითქოს წვრილბურჟუაზიული ესერებისაკენ იხრებიან?

და აი, მოვლენები ამხელენ მენშევიკებს. ბოლშევიკები აშკარად მოუწოდებენ წვრილ ბურჟუაზიას გაჰყვეს პროლეტარიატს ლიბერალური ბურჟუების წინააღმდეგ.

მენშევიკები უარს ამბობენ და ფარულად (ვინაიდან მათი ბლოკის პირობები არავინ იცის, ამხ. დანისათვის კი არავის არ დაუვალებია) ბლოკს ჰკრავენ ყველასთან, ყველაზე მემარჯვენე (სახალხო სოციალისტები) წვრილ ბურჟუებთანაც კი, რათა ერთად დაუმორჩილონ ლიბერალური ბურჟუაზიის ხელმძღვანელობას მათი გავლენის ქვეშ მყოფი მუშები!

ყველა წვრილბურჟუაზიული პარტია და მათ რიცხვში მენშევიკებიც («რეჩმა» ტყუილად კი არ ჩარიცხა ისინი რევოლუციისაგან ჩამოშორებულ «ოპოზიციურ ბლოკში» და სახალხო სოციალისტებსა და მენშევიკებს «ზომიერ-სოციალისტური პარტიები» უწოდა) ამჯობინებენ ლიბერალებთან ივაჭრონ, ვიდრე პროლეტარიატთან ერთად იბრძოლონ.

დაე, პეტერბურგის ყველა შეგნებული მუშა კარგად ჩაუფიქრდეს, თუ საით მიჰყავთ მენშევიკებს მუშათა პარტია!

ახლა ვიკითხოთ, როგორია შედეგი წვრილი ბურჟუას ამ მოლაპარაკებისა ლიბერალებთან?

ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ის ვიცით დღევანდელი (19 იანვრის) გაზეთებიდან, რომ გუშინ პეტერბურგში შემდგარა ესერების, შრომის ჯგუფის, სახალხო სოციალისტებისა და მენშევიკების (ე. ი. მთელი ახალი წვრილბურჟუაზიული ბლოკის) წარმომადგენელთა კრება კადეტებთან ერთად. ამ ცნობის თანახმად, კადეტებს გადაჭრით უთქვამთ უარი «მემარცხენე ბლოკისათვის» 3 ადგილის მიცემაზე. «მემარცხენე» ბლოკს კი უარი განუცხადებია ორი ადგილის მიღებაზე.

ამის გამო «რეჩი» შენიშნავს: «სოციალ-დემოკრატ ბოლშევიკთა წარმომადგენლები კონფერენციაზე არ გამოცხადდნენო». დიახ, ჩვენ არ დავდივართ წვრილ ბურჟუებ-

თან ერთად იმისათვის, რომ მუშათა პარტია გავცეთ და ლიბერალებს მივყიდოთ!

შემდეგ რა მოხდება? არ ვიცით. წვრილბურჟუაზიული ბლოკის ვაჭრობა კადეტებთან, ალბათ, კიდევ გაგრძელდება.

მაგრამ ესერების პარტიაში, როგორც გადმოგვცემენ, ყოფილა მუშათა კომიტეტი, რომელიც გადაჭრით გმობს კადეტებთან ბლოკს. რამდენი სიმართლეა ამ ცნობაში, ჩვენ არ ვიცით, რადგან ესერები განზრახ უმალავენ საზოგადოებას როგორც სახალხო სოციალისტებთან თავიანთი ბლოკის პირობებს (ისიც კი არავინ იცის, სახელდობრ როდის და სახელდობრ ვინ შეჰკრა ეს ბლოკი!), ისე კადეტებთან ბლოკის საკითხზე მათი საკუთარი პარტიის შიგნით არსებულ მიმდინარეობებსაც.

დღეს (19 იანვარს) «რეჩი» გვატყობინებს ს.-რ. პეტერბურგის კომიტეტის დადგენილებას, რომელიც ადასტურებს იმ ხმებს, რომ ს.-რ. პარტიის მუშათა ნაწილი არ ემხრობა კადეტებთან ბლოკს. აი «რეჩის» ცნობა:

«ს.-რ. პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა, რომელმაც დასდო შეთანხმება (რა შეთანხმება? როდის? რა პირობებით?) შრომისა და სახალხო სოციალისტების ჯგუფებთან, დაადგინა წინადადებით მიმართოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციებს — ბოლშევიკებსა და მენშევიკებს — მოხდეს სოციალისტური (?) ჯგუფების შეთანხმება წინა (?) საარჩევნო კამპანიის ყველაზე უფრო მიზანშეწონილად ჩატარებისათვის, — ხოლო უკეთუ არ მოხდება შეთანხმება ორივე ფრაქციასთან, მაშინ მოხდეს შეთანხმება ბოლშევიკების ფრაქციასთან. თუ საერთო სოციალისტური შეთანხმება მოხდება, ესერების წარმომადგენლებმა უნდა დაიცვან (?!?) ის აზრი, რომ დაუშვებელია კადეტებთან შეთანხმება და საჭიროა სოციალისტური შეთანხმების დამოუკიდებლად გამოსვლა.

მაგრამ თუ ჯგუფების (?) უმრავლესობა უფრო მიზანშეწონილად დაინახავს არა დამოუკიდებლად გამოსვლას, არამედ ტექნიკურ (!?) შეთანხმებას კადეტებთან, — მაშინ ს.-რ. პარ-

ტიის პეტერბურგის კომიტეტი დაემორჩილება (!) უმრავლესობის (ს ხ ვ ა პარტიების უმრავლესობის!) გადაწყვეტილებას, ოღონდ ასეთი შეთანხმების აუცილებელი პირობა უნდა იყოს ამ შემთხვევაში სოციალისტური ჯგუფების კუთვნილი ყველა ადგილის გადაცემა მხოლოდ მუშათა კურიისათვის».

შეიძლება მილიონი მანეთის პრემია აღუთქვათ იმას, ვინც ამ აბდაუბდაში რასმე გაიგებს! დაიცვა ის აზრი, რომ დ ა უ შ ვ ე ბ ე ლ ი ა კადეტებთან შეთანხმება, — და წინასწარ ბლოკი შეჰკრა სახალხო სოციალისტებთან, რომლებიც მთლიანად კადეტებს ემხრობიან! მოსთხოვო კადეტებს სამი ადგილი მ ხ ო ლ ო დ მუშათა კურიისათვის, — და ამავე დროს წახვიდე კადეტებთან «კონფერენციაზე» სახალხო სოციალისტებთან და ტრუდოვიკებთან ერთად, რომლებიც ასეთ პირობებს ა რ ა ყ ე ნ ე ბ ე ნ! იტრაბახო შენი დამოუკიდებლობით, როგორც პარტიისა, «ჯგუფებისაგან» განსხვავებით, — და ამავე დროს დ ა ე მ ო რ ჩ ი ლ ო «უმრავლესობას», ე. ი. სამ ჯგუფს (ტრუდოვიკები, სახალხო სოციალისტები, მენშევიკები)! ბრძენო ოიდიპოს, ახსენი!

და ესერების მუშა რწმუნებულნიც (მოსკოვის რაიონისა) ი წ ო ნ ე ბ ე ნ ამგვარ წვრილბურჟუაზიულ დომხალს, რითაც შენიღბულია მათი ინტერესების გამცემლობა ლიბერალთა სასარგებლოდ! მაგრამ ეს მუშები დასძენენ: «გამოეცხადოს ჩვენი ღრმა გულისწყრომა სოციალ-დემოკრატიის მენშევიკურ ფრაქციას მისი ობსტრუქციული მოქმედების გამო დანარჩენი სოციალისტური ჯგუფებისა და პარტიების მიმართ».

ო, გულუბრყვილო ესერულო პროლეტარებო!

რატომ არის, რომ თქვენ გულისწყრომას უცხადებთ მენშევიკებს, მაგრამ ამავე დროს ა რ გამოთქვამთ გულისწყრომას ესერების პარტიის პეტერბურგის კომიტეტის მიმართ? ისინი, — ერთნიც და მეორენიც, — ერთნაირად მიგათრევენ თქვენ ლიბერალთა ფრთებქვეშ.

წვრილბურჟუაზიული ბლოკის ამ შინაური დავის სარჩული აშკარაა. არსებობს კადეტებთან განხეთქილების მუქარა. ს ა-

ხალხო სოციალისტებსა და მენშევიკებს, ეტყობათ, განზრახვა აქვთ მიიღონ კადეტებისაგან ორი ადგილი და უღალატონ დანარჩენ წვრილ ბურჟუაზიას, ისე როგორც მენშევიკებმა უღალატეს პროლეტარიატს.

აი, სად მარხია ძაღლის თავი!

საფეხურიდან საფეხურზე. მუშათა პარტიის გაცემა და წვრილბურჟუაზიულ ბლოკში გადასვლა. წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული ბლოკის გაცემა და კადეტებთან გადასვლა! გზა მშვიდობისა!

მილიუკოვი კი საუბრობს სტოლიპინთან აუდიენციაზე: «როგორც ხედავთ, თქვენო აღმატებულებავ, მე გავთიშე რევოლუცია და ჩამოვაშორე მას ზომიერნი! მოიღეთ მცირე რამ მოწყალება»... სტოლიპინი: «კარგი! მე ვიშუამდგომლებ თქვენი ლეგალიზაციის შესახებ. იცით რა, პავლე ნიკოლოზის-ძევ, თქვენ მოფერებით დააქუცმაცეთ მუშათა არამზადები, მე კი კეტით დავერევი. აი, ჩვენ მაშინ ორივე მხრიდან... მოიტათ ხელი, პავლე ნიკოლოზის-ძევ!»

დაწერილია 1907 წ.
19 იანვარს (1 თებერვალს)

დაიბეჭდა 1907 წ. 25 იანვარს
გაზეთ «პროლეტარში» № 12

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

# 31 მენშევიკის პროტესტი

ეს-ეს არის მივიღეთ ნაბეჭდი ფურცელი: «რამ გვაიძულა დაგვეტოვებინა კონფერენცია? (კონფერენციის 31 წევრის განცხადება, შეტანილი ცენტრალურ კომიტეტში)».

საქმის პრინციპულ მხარეზე მენშევიკები აქ კ რ ი ნ ტ ს ა ც ა რ ს ძ რ ა ვ ე ნ! გადასვლა მუშათა პარტიიდან წვრილბურჟუაზიულ ბლოკში (მენშევიკები, ესერები, ტრუდოვიკები და სახალხო სოციალისტები), ამ უკანასკნელიდან კი კადეტებთან, — ყოველივე ეს, თითქოს, საინტერესო არ არის პროლეტარიატისათვის. არსებითად საქმის ახსნა პროტესტანტებს არა სურთ, ისინი მ ხ ო ლ ო დ ფორმალურ ნიადაგზე დგანან.

მაშ გავსინჯოთ მათი ფორმალური საბუთები. ეს საბუთები სამნაირია: 1) პეტერბურგის კომიტეტის ისტორია და მისი არადემოკრატიული ორგანიზაცია. 2) კონფერენციის მიერ მანდატების უმართებულოდ დამტკიცება. 3) კონფერენციის უარი საქალაქო და საგუბერნიო კონფერენციებად დაყოფაზე.

პირველი საბუთის გამო ჩვენ კითხვას ვაყენებთ: რა შუაშია აქ პეტერბურგის კომიტეტი? კონფერენციისათვის ხომ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი არჩევნები ჩატარდა?

არსებითად მენშევიკები ა შ კ ა რ ა ს ი ც რ უ ე ს ამბობენ პეტერბურგის კომიტეტის ისტორიისა და მისი ვითომდა არადემოკრატიული ორგანიზაციის შესახებ. საკმარისია აღინიშნოს როგორც ნამდვილი კურიოზი, რომ, მაგალითად, ლატვიელთა რაიონი (რომლის შეტანაზე მენშევიკები სჩივიან) შეტანილი იყო ჯ ე რ კ ი დ ე ვ გამავრთიანებელ ყ რ ი ლ ო-

ბ ა მ დ ე, ე. ი. მაშინ, როდესაც პეტერბურგის კომიტეტში თ ა ნ ა ბ რ ა დ იყვნენ ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც. მაშასადამე, ნახევარ წელზე მეტია მენშევიკებმა თვითონ ნ ე ბ ა-ყ ო ფ ლ ო ბ ი თ აღიარეს ლატვიელთა შეტანის სისწორე! ან კიდევ: მენშევიკები სჩივიან, რომ პეტერბურგის კომიტეტმა დაუშვა წევრთა განსაზღვრული რაოდენობის კოოპტაცია. მათ ავიწყდებათ დასძინონ, რომ კოოპტაციის ეს დაშვება მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ მ ა თ ვ ი თ ო ნ ვ ე გაატარეს! ამ მაგალითებით შეგიძლიათ განსაჯოთ, რამდენად მართალია ეს დაგვიანებული კრიტიკა იმ საკითხში, თუ როგორ ყალიბდებოდა პეტერბურგის კომიტეტი.

მეორე საბუთი. კონფერენციამ, თურმე ნუ იტყვით, უმართებულოდ დაამტკიცა მანდატები. მენშევიკებს არ უნდათ იცნონ ნოქრების ხმები და იძლევიან ხმების შემდეგნაირ განაწილებას, რომელიც მ ა თ ერთადერთ სწორ განაწილებად მიაჩნიათ: ბოლშევიკები — 1 560 პლუს რევოლუციური ბლოკის პლატფორმის მომხრენი — 180, სულ — 1 740; მენშევიკები — 1 589. ან მანდატები ნაშთების ჩათვლით: ბოლშევიკები — 35, მენშევიკები — 32 (იხ. მენშევიკური ფურცლის მე-8 გვერდი).

დაგვრჩენია მხოლოდ ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ, ჩ ვ ე ნ ი ს ა ს ტ ი კ ი კ რ ი ტ ი კ ო ს ე ბ ი ს ა ზ რ ი თ ა ც კ ი, ბოლშევიკებს ჰყავდათ და უ ნ დ ა ჰ ყ ო ლ ო დ ა თ უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა კონფერენციაზე!

ხომ ყველამ ვიცით, ამხანაგებო, რომ «დისიდენტები» (რევოლუციური ბლოკის პლატფორმა) იგივე ბოლშევიკები არიან. და რაკი თქვენ თვითონვე აღიარებთ, რომ ბოლშევიკებს 35 მანდატი ექნებოდათ წინააღმდეგ 32-ისა ი მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა-შ ი ც კ ი, თუ მანდატებს მენშევიკები დაამტკიცებდნენო, მაშინ რაღას ნიშნავს მთელი ეს აურზაური?

თქვენ თვითონვე იძულებული ხართ აღიაროთ, რომ პეტერბურგის სოციალ-დემოკრატია ბოლშევიკური სოციალ-დემოკრატიაა.

მაგრამ ისიც გავსინჯოთ, თუ როგორ აკრიტიკებენ მენშევიკები კონფერენციის მიერ მანდატების შემოწმებას.

ნოქართა ხმები მათ სულაც არ უნდათ იცნონ. რატომ? «კრებების შეუძლებლობის საბაბით, — ვკითხულობთ ფურცელში, — ნოქართა ხელმძღვანელმა კოლექტივმა, თავის წევრთა შეკითხვის ცდის შემდეგ, რომლის დროსაც მარტო 100 ხმამდე შეგროვდა, პეტერბურგის კომიტეტისაგან მიიღო 5 წარმომადგენლის არჩევის უფლება და იანგარიშა, არ ვიცით რატომ, 60 წევრზე 1 წარმომადგენელი სულ 313 ორგანიზებული ნოქრის კვალობაზე»... (გვ. 4).

ნოქართა კრების მოწვევის სიძნელე ყველას მოეხსენება. სადაა საფუძველი, რომ ამას «საბაბი» ვუწოდოთ? სად არის იმის საფუძველი, რომ სათვალავში არ ჩავაგდოთ 313 ორგანიზებული (ე. ი. პარტიის წევრი) ნოქარი? თქვენ ხომ თვითონვე აღიარებთ, რომ იყო შეკითხვის ცდა, ე. ი. რომ კოლექტივმა მიიღო ზომები, რათა პარტიის ყველა წევრს გამოეთქვა თავისი აზრი?

ხოლო ნორმის 50-დან 60-მდე გადიდებით პეტერბურგის კომიტეტმა თვითონვე აღიარა, რომ წარმომადგენლობის ხასიათი სავსებით დემოკრატიული არ იყო.

მოსკოვის რაიონი. გაპროტესტებულ ხმებში მენშევიკები თვლიან 185 ბოლშევიკურ ხმას. ამასთანავე გრაფაში «არჩევნების გაპროტესტების მოტივები» თვით ფურცლის ავტორები სიტყვასიტყვით შემდეგს წერენ: «გაპროტესტებულია არიან პირობით, თუ ვინიცობაა ბოლშევიკებმა არ დაამტკიცეს ანალოგიური არჩევნები სხვა რაიონში».

როგორ მოგწონთ? მენშევიკებმა გააპროტესტეს ბოლშევიკური მანდატები პირობით, თუ ვინიცობაა!! შეჯამებისას ისინი თვითონვე ამბობენ, რომ ბოლშევიკების «იმ ხმების რიცხვი, რომლებიც მართლაც არ უნდა დამტკიცებულიყო», იყო არა 300, არამედ — 115, ესე იგი თვითონ

ა ღ ი ა რ ე ბ ე ნ, რომ 185 ხმა უ ნ დ ა დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ-
ლ ი ყ ო!

ამრიგად, იმ ხმების «პირობითი» გაპროტესტება, რომლებიც ნამდვილად უნდა დამტკიცებულიყო, — აი მენშევიკების ხერხები!

და ეს ადამიანები თავს ნებას აძლევენ ილაპარაკონ უმართებულო წარმომადგენლობის შესახებ კონფერენციაზე...

მენშევიკები თვითონ თვლიან, რომ ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს უ დ ა ვ ო ხმების რიცხვია 1 376, ხოლო მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი-
ს ა — 795. მაშასადამე, საყვარელო ამხანაგებო, თქვენ, — კიდეც რომ დაუშვათ «პირობითი გაპროტესტების» გაუგონარი ორიგინალური ხერხი, — მაინც ა რ შ ე გ ე ძ ლ ო თ ბოლშევიკური ხმების უდიდესი ნაწილის გაპროტესტება!

ბოლშევიკების მიერ გაპროტესტებული (ფურცლის ცნობით) 789 მენშევიკური ხმიდან გამოირჩევა ვიბორგის რაიონის 234 ხმა. «გაპროტესტების მოტივების» გრაფაში ვკითხულობთ: «არჩევნები არა პლატფორმების მიხედვით, თუმცა კამათი იყოო». კამათი სულაც არ ამტკიცებს, რომ თ ვ ი თ ხ მ ი ს მ ი მ ც ე მ ნ ი კადეტებთან ბლოკს ემხრობოდნენ, — და, მაშასადამე, კონფერენცია მართებულად მოიქცა, როცა კადეტებთან ბლოკის მომხრეებს არ მისცა ი ს ე თ ი ხ მ ე ბ ი, რომლებიც ამას პირდაპირ და აშკარად არ მიმხრობიან. კონფერენციამ გაადიდა ამ 234 ხმის წარმომადგენლობის ნორმა.

შემდეგ, ბოლშევიკებმა გააპროტესტეს ფრანგულ-რუსული ქვერაიონის (ქალაქის რაიონი) 370 ხმა. «გაპროტესტების მოტივების» გრაფაში ვკითხულობთ: «უპლატფორმოდ — 100, ხოლო მათი ნაწილი (270) — ორსაფეხურიანი არჩევნებით და კამათით».

ხომ ხედავთ: ძირს ნოქრების ხმები, მიუხედავად «შეკითხვის ცდისა». მენშევიკების ხმები ყველა უნდა მივიღოთ, მიუხედავად ო რ ს ა ფ ე ხ უ რ ი ა ნ ი ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს ა, რაც ნამდვილად არაფრით არ განსხვავდება იმ წესისაგან, რომლი-

თაც ნოქრებმა გაგზავნეს წარმომადგენლები! არა, ამხანაგო მენშევიკებო, ცუდად იცავთ მენშევიკურ მანდატებს!

კონფერენციის გაყოფის შესახებ მენშევიკები სულ მოკლედ ამბობენ: «მიუხედავად ამ წინადადების მთელი რ ა ც ი ო ნ ა ლ ო ბ ი ს ა...», კონფერენციამ იგი უარყო (გვ. 5). შემდეგ გვერდზე კი ამ «რაციონალობის» საიდუმლოება დაუფარავადაა გამოაშკარავებული: «თვით ქალაქის ფარგლებში დიდი უმრავლესობა (?!) მენშევიკებს ეკუთვნოდაო» (თუ ხმებს მენშევიკურად დავითვლით, ე. ი. თუ ყველა ნოქარს ამოვაგდებთ, ხოლო ფრანგულ-რუსული და ვიბორგის რაიონების ყველა წარმომადგენელს შევიტანთ!).

აი რაშია საქმე! რაციონალური იქნებოდა გაყოფა, რათა მენშევიკური ყალბი უმრავლესობა შექმნილიყო! ადვილი მისახვედრი ოინია. მაგრამ რატომ დაგავიწყდათ, ამხანაგებო, გეთქვათ, თუ როგორ უნდა გაიყოს «რაციონალურად», მაგალითად, რ კ ი ნ ი გ ზ ი ს რაიონი? ანდა რატომ ცენტრალურმა კომიტეტმა არ მისცა რ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი წინადადება ვ ი ლ ნ ო ს, ოდესისა და სხვა კონფერენციებს გაყოფის შესახებ??

მენშევიკების ფორმალური პროტესტები უშინაარსო, არასერიოზული მომიზეზებაა. სერიოზულია მხოლოდ მათი გადაწყვეტილება კადეტებთან გადაბარგების შესახებ. ამაზე კი 31 პროტესტანტი კრინტს არა სძრავს.

«პროლეტარი» № 12,
1907 წ. 25 იანვარი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

# პეტერბურგის არჩევნები და 31 მენშევიკის თვალთმაქცობა[10]

გაზეთ «ტოვარიშჩში» დღეს (20 იანვარს) დაბეჭდილია ვრცელი ამონაწერები იმ 31 მენშევიკის მოწოდებიდან, რომელნიც სოციალისტურ ორგანიზაციას გაეთიშნენ სანკტ-პეტერბურგის არჩევნების წინ.

ჯერ ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ ფ ა ქ ტ ი უ რ ი ისტორია იმისა, თუ რა მოიმოქმედეს სოციალ-დემოკრატიისაგან გამოთიშულმა მენშევიკებმა კონფერენციიდან წასვლის შემდეგ.

1) სოციალ-დემოკრატ მუშებს რომ გაეთიშნენ, მათ ბ ლ ო კ ი შ ე ჰ კ რ ე ს წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ს თ ა ნ (ესერები, ტრუდოვიკები დ ა ს ა ხ ა ლ ხ ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი), რათა შეთანხმებულად ევაჭრათ კადეტებთან ადგილების მისაღებად. წერილობითი ხელშეკრულება გათიშული სოციალ-დემოკრატების წვრილბურჟუაზიულ ბლოკში შესვლის შესახებ მ ა თ დ ა უ მ ა ლ ე ს მ უ შ ე ბ ს ა და საზოგადოებას.

მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ ეს ხელშეკრულება მაინც გამოქვეყნდება, — და ყოველივე დაფარული გამოაშკარავდება.

2) როგორც წვრილბურჟუაზიული ბლოკის (რასაც გაზეთებში უმართებულოდ უწოდებენ «მემარცხენე ბლოკს») შემადგენელი ნაწილი, გათიშული მენშევიკები კადეტებს ევაჭრებოდნენ ამ ბლოკისათვის ექვსიდან სამი ადგილის დათმო-

ბის შესახებ. კადეტები აძლევდნენ ორ ადგილს. ვერ მორიგდნენ. კადეტებთან ერთად წვრილბურჟუაზიული «კონფერენციის» (ეს გამოთქმა ჩვენ კი არ გვეკუთვნის, არამედ ამოღებულია გაზეთებიდან) სხდომა შესდგა 18 იანვარს. ამას იუწყებოდნენ «რეჩი» და «ტოვარიშჩი». დღეს «რეჩი» აცხადებს, შეთანხმება არ მოხდაო (თუმცა ჩვენ, ცხადია, უნდა მოველოდეთ, რომ ფარული მოლაპარაკება ისევ წარმოებს).

მენშევიკები პრესაში ჯერჯერობით არაფერს იუწყებიან ამ თავისი «გამოსვლის» შესახებ კადეტებისათვის მუშათა ხმების მისაყიდად.

ისინი, ალბათ, ანგარიშს ჩააბარებენ წვრილბურჟუაზიულ ბლოკს, — რომლის ნაწილსაც ისინი შეადგენდნენ მოლაპარაკების დროს, — და არა მუშათა პარტიას!

მათ, ალბათ, არ უნდათ გვითხრან, თუ რატომ ღებულობდა მოლაპარაკებაში მონაწილეობას ამ ხ. დანი, რომლისთვისაც ეს არ დაუვალებია არც 31-ის ჯგუფს და არც სხვა რომელიმე პარტიულ ორგანიზაციას.

ასეთია 31 მენშევიკის საქმე.

როგორია მათი სიტყვები?

მათი პირველი მსჯელობა ისაა, რომ რაკი ბოლშევიკებმა უარყვეს სანკტ-პეტერბურგში შავრაზმული საფრთხის არსებობა, ბოლშევიკებს უფლება აღარ ჰქონდათ მიმხრობოდნენ ესერებსა და ტრუდოვიკებთან შეთანხმებას ისე, თუ თითქოს არ დაარღვევდნენ სრულიად რუსეთის კონფერენციის დადგენილებებს, რომლებიც მოითხოვენ სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებელ გამოსვლას იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს შავრაზმული საფრთხე.

მთელი ეს მსჯელობა თავიდან ბოლომდე სიყალბეა.

31 გათიშული მენშევიკი ატყუებს მკითხველ საზოგადოებას. არასოდეს არც ერთ პარტიულ დაწესებულებას ფორმალურად არ აუკრძალავს ესერებსა და ტრუდოვიკებთან შეთანხმება იმ შემთხვევისათვის, თუ შავრაზმული საფრთხე

არ იარსებებდა. ასეთ შეთანხმებას ადგილი აქვს, მაგალითად, მოსკოვში, და ცენტრალურ კომიტეტს ეს არ გაუპროტესტებია.

მეტიც. თუ რამდენად ამახინჯებს ჭეშმარიტებას 31 მენშევიკი, როცა ისინი სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული კონფერენციის დადგენილებაზე მიუთითებენ, ეს შემდეგიდან ჩანს. ყველამ იცის, რომ ამ (სათათბირო) კონფერენციის დადგენილებანი მიიღეს მენშევიკებმა და ბ უ ნ დ ე ლ ე ბ მ ა ბოლშევიკების, პოლონელების, ლატვიელების წინააღმდეგ. და ა ი თ ვ ი თ ა მ ბ უ ნ დ ე ლ ე ბ მ ა, რომლებმაც გაატარეს სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული კონფერენციის გადაწყვეტილება, ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ა დ აღიარეს, რომ ესერებთან და საზოგადოდ რევოლუციურ დემოკრატიასთან ბლოკი დასაშვებია, კიდეც რომ არ იყოს შავრაზმული საფრთხე, თუ კ ი კ ა დ ე ტ უ რ ი ს ა ფ რ თ ხ ე არსებობსო. ამის შესახებ იყო ბუნდის ცენტრალური კომიტეტის დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა, რომელიც არავის არ გაუპროტესტებია. ამის შესახებ წერდნენ აგრეთვე ბუნდის რუსულ ორგანოში — «ნაშა ტრიბუნაში», და წერა-კითხვის მცოდნე ყველა რუსმა სოციალ-დემოკრატმა იცის ეს.

31 მენშევიკი ატყუებს მუშებს და მთელ მკითხველ საზოგადოებას.

ჩვენ ისიც განვმარტეთ, რომ სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა კონფერენციამ ცენტრალურ კომიტეტს უფლება მისცა ყველგან გ ა მ ო ე რ ი ც ხ ა არასოციალ-დემოკრატები სოციალ-დემოკრატიული სიებიდან, ე. ი. აუცილებლად მოეთხოვა სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებელი გამოსვლა. ეს უფლება ცენტრალურ კომიტეტს ჯერ ა რ ს ა დ არ გამოუყენებია, — იგი ფაქტიურად აღიარებდა ბუნდისა და რსდმპ ყველა დანარჩენი ორგანიზაციის ავტონომიას.

შემდეგ. 31 მენშევიკი უკმაყოფილოა, რომ კონფერენციამ ტრუდოვიკების ბლოკიდან გარიცხა სახალხო სოციალისტები (ნ. ს. ანუ სოციალ-ნაროდნიკები). 31 მენშევიკი წერს: «ყველამ იცის, რომ ამ სამმა პარტიამ» (ესერები, სახალხო სოციალის-

ტები და ტრუდოვიკები, უკანასკნელნი არავითარ პარტიას არ შეადგენენ) «უკვე დიდი ხანია სანკტ-პეტერბურგში ერთმანეთთან მჭიდრო ბლოკი შეკრა და შეერთებულად მოქმედებსო».

კიდევ ტყუილი. ჯერ ერთი, არსად და არასოდეს ოფიციალურად არ განუცხადებიათ, რომ ეს ბლოკი შეიკრა და მისი პირობები მართლაც «მჭიდრო ბლოკად» ხდიან მას. იყო მხოლოდ სრულიად გაურკვეველი საგაზეთო შენიშვნები, რომლებზედაც დამყარება პარტიათა ოფიციალური ურთიერთობის დროს სერიოზულ საქმეებში შეუძლებელია. მეორე, სამი შრომის პარტიისა და ჯგუფის ბლოკი რომ მაინც და მაინც «მჭიდრო» არ იყო, ამას ამტკიცებს ის, რომ ესერებმა და შრომის ჯგუფის კომიტეტმა, რომელთაც სოციალ-დემოკრატიულმა კონფერენციამ მიმართა, კონფერენციასთან მოლაპარაკება დაიწყეს უენესებოდ. არ შეიძლება მჭიდრო ვუწოდოთ იმ ბლოკს, რომელიც ბლოკის მონაწილეთა ერთ ნაწილს არ უშლის მოლაპარაკება აწარმოოს მეორე ნაწილის დამოუკიდებლად. სოციალისტ-რევოლუციონერთაგან ჯერ კიდევ დღემდე არ მიგვიღია არავითარი ისეთი ოფიციალური პასუხი, რომელშიც ისინი მოითხოვდნენ ჩვენგან შეთანხმების დაშვებას სახალხო სოციალისტებთანაც. მესამე, «ტოვარიშჩის» იმავე გვერდზე, სადაც გადაბეჭდილია 31 მენშევიკის განცხადება, დაბეჭდილია «ესერების პარტიის პეტერბურგის კომიტეტის 16 იანვრის რეზოლუცია». ამ რეზოლუციის შენიშვნა ამბობს: «შეთანხმებიდან (სახელდობრ ესერების, ტრუდოვიკებისა და სახალხო სოციალისტების შეთანხმებიდან) სახალხო სოციალისტების ჯგუფის გამოსვლით შეთანხმება არ ირღვევა. სხვა სოციალისტური ჯგუფის ან პარტიის გამოსვლით კი შეთანხმება ირღვევა».

ამრიგად, ფაქტებით დამტკიცებულია, რომ 31 მენშევიკი სტყუის, როცა ტრუდოვიკულ ბლოკს მჭიდროს ეძახის.

პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიის კონფერენცია მართალი იყო, როცა სახალხო სოციალისტები გამოჰყო. ის

მართალი იყო, ჯერ ერთი, პრინციპულად, რადგან, უეჭველია, სახალხო სოციალისტები ყველაზე მემარჯვენე, ყველაზე არასაიმედო, კადეტებთან ყველაზე ახლომდგომი შრომის პარტიაა. და, მეორე, ის მართალი იყო პრაქტიკულ-პოლიტიკურადაც, რადგან სწორად გ ა ა ვ ლ ო ის გამყოფი ხაზი შრომის პარტიებს შორის, რომელიც გარდუვალად გამოაშკარავდა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი კ ა მ პ ა ნ ი ი ს მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა შ ი. ახლა უკვე ყველასთვის ცხადია, ტრუდოვიკებს რომ კ ი დ ე ვ ა ც თავს მოეხვიათ ჩვენთვის სახალხო სოციალისტები (პეტერბურგში კადეტებზე გამარჯვების გულისათვის შრომის ბლოკში სახალხო სოციალისტების შეყვანის შიში, რა თქმა უნდა, სასაცილოა), არასაიმედო ტრუდოვიკებისათვის პ ა ს უ ხ ი ს მ გ ებ ლ ო ბ ა მაინც ს ა ვ ს ე ბ ი თ დაეკისრებოდათ ესერებს და არა სოციალ-დემოკრატებს. მუშათა პარტიამ მიიღო ზომები იმისათვის, რომ ყველა მუშამ და ყველა მოქალაქემ ი ც ო დ ე ს ნამდვილი განსხვავება უფრო საიმედო და ნაკლებ საიმედო ტრუდოვიკებს შორის, მიიღო ზომები, რათა ცუდი ტრუდოვიკებისათვის პასუხისმგებლობა დაჰკისრებოდათ ესერებს და არა პროლეტარიატის პარტიას.

რა დასკვნა გამოდის სახალხო სოციალისტებთან შექმნილ პერიპეტიებიდან?

ის დასკვნა, რომ მენშევიკები უ პ რ ი ნ ც ი პ ო დ მოიქცნენ, როცა წვრილბურჟუაზიულ ბლოკში შევიდნენ ს რ უ ლ ი ა დ გ ა ნ უ რ ჩ ე ვ ლ ა დ, და არ შესწევთ უნარი გააკეთონ ის, რაც ვალდებული არიან გააკეთონ სოციალ-დემოკრატებმა საარჩევნო კამპანიაში, სახელდობრ: ასწავლონ მასებს პარტიების მკაცრი და სწორი გარჩევა. მენშევიკებმა დაჩქარეს შესვლა ე რ თ წვრილბურჟუაზიულ ბლოკში სახალხო სოციალისტებთან, ე. ი. ნახევრადკადეტურ ჯგუფთან ერთად!

ბოლშევიკები პრინციპულად მტკიცედ მოიქცნენ. მათ იმით დაიწყეს, რომ აშკარა რეზოლუციით, რომელიც ყველგან დაიბეჭდა ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული დაწესებულების სახელით, ყველას და თვითეულს შ ე ა ტ ყ ო ბ ი ნ ე ს

სახალხო სოციალისტთა პარტიის არასაიმედობა. და ბოლშევიკებმა ახლა მიაღწიეს იმას, რომ ყველაზე უფრო რევოლუციურმა ტრუდოვიკებმა (სახელდობრ ესერებმა) თ ვ ი თ ო ნ გამოაცხადეს, სახალხო სოციალისტებს შეუძლიათ შრომის ბლოკიდან გავიდნენ ამ უკანასკნელის დაურღვევლადაო!

ბოლშევიკებმა მიაღწიეს იმას, რომ რევოლუციური ტრუდოვიკები გამოეყვნენ ოპორტუნისტ ტრუდოვიკებს. მენშევიკები თვითონ ყელამდე ჩაეფლნენ ოპორტუნისტულ წვრილბურჟუაზიულ ბლოკში.

ბოლშევიკებმა აშკარად და ყველას გასაგონად მოუწოდეს ტრუდოვიკებს, რათა უკანასკნელნი გაჰყოლოდნენ მათ კადეტების წინააღმდეგ საბრძოლველად, და უკვე ახლა მიაღწიეს უდავო პოლიტიკურ შედეგებს, თუმცა ჯერ კიდევ არავისთან არავითარ ბლოკში არ შესულან. მენშევიკები მუშების ფარულად და უპრინციპოდ გაძვრნენ წვრილბურჟუაზიულ ბლოკში კადეტებთან ვაჭრობის გასამართავად.

მუშებს შეუძლიათ აქედან წარმოიდგინონ, თუ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ს ა ი თ მიჰყავთ ისინი მენშევიკებს.

31 მენშევიკის მესამე და უკანასკნელი მსჯელობა იმაში მდგომარეობს, რომ პეტერბურგში სოციალ-დემოკრატების შეთანხმება ტრუდოვიკებთან კი არ ამცირებს, არამედ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ს შავრაზმულ საფრთხესაო. ეს მტკიცება იმდენად უაზრო ან ისეთი თვალთმაქცობაა, რომ ჩვენ მენშევიკების საბუთებს მთლიანად მოვიყვანთ.

«სოციალ-დემოკრატებისა და ნაროდნიკების საერთო სია საკმაოდ პოპულარული იქნება იმისათვის, რომ კადეტებს ბევრი ხმა ჩამოაშორონს, მაგრამ ის საკმარისი არ იქნება მთელ პეტერბურგში გასამარჯვებლად, — განსაკუთრებით საკმარისი არ იქნება, თუ ყველა რევოლუციური და ოპოზიციური პარტიის შეუთანხმებლობის ბრალი მასობრივი ამომრჩეველის თვალში სოციალ-დემოკრატებსა და მათს მოკავშირეებს დაედებათ. ასეთ შემთხვევაში კი კადეტებისაგან ხმების გაძლიერებული ჩამოშორებით მთლიანად ისარგებლებენ გაერთიანებული შავრაზმელები, რომლებიც დაამარცხებენ როგორც კადეტურ, ისე მემარცხენე სიას».

მთელი ეს მსჯელობა სრული თვალთმაქცობაა, რამაც უნდა მიჩქმალოს მენშევიკების ვაჭრობა კადეტებთან ადგილების გამო.

მართლაც, წარმოიდგინეთ მხოლოდ, თუ რას ამბობენ მენშევიკები: ტრუდოვიკებთან სოციალ-დემოკრატების შეთანხმება აძლიერებს შავრაზმულ საფრთხეს, რადგან ბ ე ვ რ ხმას ართმევს კადეტებსაო! ძალიან კარგი, ძვირფასო ამხანაგებო! მაგრამ გვითხარით, როდის უფრო საშიშია, თქვენი აზრით, შავრაზმელთა გამარჯვება — მაშინ, როცა ყველა არაშავრაზმული ხმა ო რ სიად გაიყოფა, თუ მაშინ, როცა ისინი ს ა მ სიად გაიყოფიან? ვთქვათ, შავებს 1 000 ხმა აქვთ, ყველა დანარჩენთ კი — 2 100. როდის უფრო საშიშია შავების გამარჯვება: მაშინ, როცა 2 100 გაიყოფა ო რ სიას შორის, თუ მაშინ, როცა ის გაიყოფა ს ა მ სიას შორის?

ამ თავსატეხი ამოცანის გადასაწყვეტად 31 მენშევიკს შეუძლია დახმარებისათვის მიმართოს პირველი კლასის გიმნაზიელს.

ჩვენ კი განვაგრძოთ. ის არაფერია, რომ 31 მენშევიკი აშკარა უაზრობას ლაპარაკობენ, ვითომც არ ესმოდეთ ის, რომ ტრუდოვიკებთან სოციალ-დემოკრატების შეთანხმების დროს პეტერბურგში სულ ორი ანტიშავრაზმული სია იქნება, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი შეიძლება სამი სია იყოს. ეს არაფერი.

31 მენშევიკი, გარდა ამისა, ისეთ უვიცობას იჩენენ პირველი არჩევნების ისტორიაში, რომ მათ არ იციან პეტერბურგში შავებისა და კადეტების ხმების თანაფარდობა პირველი სათათბიროს არჩევნების დროს. ჩვენ განგებ ავიღეთ ასეთი მაგალითი: 1 000 ხმა შავებს, 2 100 — ყველა დანარჩენთ. ე ს მ ა გ ა ლ ი თ ი ტ ი პ ი უ რ ი ა პირველი სათათბიროს არჩევნებში პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს 1 2 უ ბ ნ ი დ ა ნ 9 უ ბ ნ ი ს ა თ ვ ი ს!

9 უბანში, რომლებიც ერთად 160-იდან 114 ამრჩეველს იძლევიან, კადეტებისათვის მიცემული ხმების უ მ ც ი რ ე ს ი რიცხვი **ორჯერ და მეტად** აღემატება შავებისათვის ანუ ეგ-

რეთწოდებული მემარჯვენეთა ბლოკისათვის მიცემული ხმების უდიდეს რიცხვს.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ პეტერბურგში ორი «მემარცხენე» (ე. ი. არაშავრაზმული) სია იქნება, მემარცხენეთა შორის ხმების ვერავითარი წარმოსადგენი გაყოფა ვერ მიანიჭებს გამარჯვებას შავებს.

რადგანაც 31 მენშევიკმა, ეტყობა, კარგად არ იცის არითმეტიკის დასაწყისი, ჩვენ მათ ავუხსნით ამას: გაჰყონ 2 100 ისეთ ორ ნაწილად, რომ 1 000 შავ ხმას შეეძლოს ორივე ამ ნაწილის დამარცხება.

დაე, მენშევიკებმა თავი იტეხონ ამ ამოცანის გადაწყვეტაზე, ისე როგორც იმაზე, აძლიერებს თუ ამცირებს შავრაზმულ საფრთხეს ორის ნაცვლად სამი სიის წამოყენება.

---

არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ შავები პეტერბურგის არჩევნებში წელს შარშანდელზე უფრო ძლიერნი იქნებიან. ვერც ერთი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი ვერ გაბედავს ამის მტკიცებას. ყველა ხედავს, რომ შავებმა საბოლოოდ შეირცხვინეს თავი ლიდვალიადის გამოაშკარავების, გერცენშტეინის მკვლელობისა[11] და სხვათა შემდეგ. ყველამ იცის, რომ არჩევნებში მემარცხენეთა გამარჯვების ამბავი ახლა რუსეთის ყოველი კუთხიდან მოდის.

ასეთ პირობებში შავრაზმულ საფრთხეზე ყვირილი ან სრული უმეცრებაა, ან თვალთმაქცობაა. თვალთმაქცობა კი სჭირდება იმათ, ვინც თავის ნამდვილ მიზნებს მალავს და ფარულად მოქმედებს. მენშევიკები შავრაზმულ საფრთხეზე გაჰყვირიან იმისათვის, რომ მუშათა ყურადღება ჩამოაშორონ იმ ოინებს, რასაც ისინი სჩადიან ან სჩადიოდნენ გუშინ, როცა წვრილბურჟუაზიულ ბლოკში შედიოდნენ და კადეტებთან ვაჭრობდნენ.

ორი მემარცხენე სიის დროს ხმების ვერავითარი გაყოფა ვერ მისცემს გამარჯვებას შავებს პეტერბურგ-

ში, თუ არ გადიდდება შავების ხმების რიცხვი წინანდელ არჩევნებთან შედარებით, — ხოლო ყველა ნიშანი ლაპარაკობს ხმების ამ რიცხვის შემცირებაზე და არა მის გადიდებაზე.

მაშასადამე, მენშევიკები წვრილბურჟუაზიულ ბლოკში შედიოდნენ და კადეტებს ევაჭრებოდნენ სრულიადაც არა შავრაზმული საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად, — ეს ბავშვური ჩმახვაა, რომლითაც შეიძლება მოატყუოთ მხოლოდ მთლად უმეცარი ან მთლად სულელი ადამიანი.

მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი კ ა დ ე ტ ე ბ ს ე ვ ა ჭ რ ე ბ ო დ ნ ე ნ ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რ ო მ ს ა თ ა თ ბ ი რ ო შ ი, მ უ შ ა თ ა ნ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, კ ა დ ე ტ ე ბ ი ს დ ა ხ მ ა რ ე ბ ი თ გ ა ე ჩ ა ნ ჩ ა ლ ე ბ ი ნ ა თ თ ა ვ ი ს ი კ ა ც ი, — აი უბრალო ახსნა მთელი ამ ხეტიალისა სოციალ-დემოკრატიიდან წვრილბურჟუაზიული ბლოკისაკენ, წვრილბურჟუაზიული ბლოკიდან — კადეტებისაკენ.

მხოლოდ სრულიად გულუბრყვილო ადამიანებს შეუძლიათ ვერ დაინახონ მენშევიკური მოქმედების ეს სარჩული, რომელსაც შავრაზმულ საფრთხეზე ყვირილით ჰფარავენ.

ამიტომაც მოითხოვდნენ მენშევიკები, წვრილბურჟუაზიულ ბლოკში ყოფნის დროს, ს ა მ ადგილს სათათბიროში, რათა თ ა ვ ი ს თ ვ ი ს უეჭველად უზრუნველეყოთ ერთი ადგილი. კადეტებს რომ მხოლოდ ორი ადგილი მიეცათ, მენშევიკებს შეიძლება ვერც ერთი ვერ მიეღოთ. ამ ადგილებიდან ერთ ადგილს კადეტები პირდაპირ ნაროდნიკებს (სახალხო სოციალისტებს) აძლევდნენ, ხოლო მეორე ადგილის წართმევას მუშათა კურიისათვის კადეტები ვერ ბედავდნენ. მუშათა კურიაში კი ჯერჯერობით არავინ იცის, ვინ გაიმარჯვებს.

აი რატომ დ ა უ მ ა ლ ე ს მენშევიკებმა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს ის, თუ ვისი რწმუნებით მოქმედებდა ამხ. დანი, ან რაში მდგომარეობდა წვრილბურჟუაზიულ ბლოკში მათი შესვლის პირობები, ან ნამდვილად როგორი კამათი წარმოებდა წვრილბურჟუაზიული ბლოკისა და კადეტების «კონფერენციაზე» დ ა ს ხ ვ ა, დ ა ს ხ ვ ა. ჩვენ დღემდე, მენშევიკების ასეთი

მოქმედების შემდეგაც, არ ვიცოდით და არც შეგვიძლია ვიცოდეთ, თუ საით წავლენ ისინი კადეტების უარის შემდეგ. შეუერთდებიან თუ არა სახალხო სოციალისტები მენშევიკებს, რათა გამოსცინცლონ კადეტებს ორი ადგილი მუშათა კურიის ს ა ზ ა რ ა ლ ო დ (საკითხის ასეთი გადაჭრის შესაძლებლობაზე ლაპარაკი იყო «რეჩის» ერთერთ მ ო წ ი ნ ა ვ ე წერილში)? თუ ისინი წამოაყენებენ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ სიას, ე. ი. შეურიგდებიან ორის ნაცვლად ს ა მ ი მემარცხენე სიის წამოყენებას პეტერბურგში? თუ ისინი დაუბრუნდებიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და მის გადაწყვეტილებას მას შემდეგ, რაც უნაყოფოდ ისეირნეს წვრილი ბურჟუების სასტუმრო დარბაზებში და კადეტების მისაღებ ოთახებში?

მენშევიკებს რომ მართლაც შავრაზმული საფრთხის შიში ამოქმედებდეთ და არა კადეტებისაგან ადგილის მიღების ეინი, გ ა ნ ა ი ს ი ნ ი გ ა შ ო რ დ ე ბ ო დ ნ ე ნ კ ა დ ე ტ ე ბ ს ადგილების რიცხვის საკითხის გამო?

როცა სოციალისტს მართლაც სწამს შავრაზმული საფრთხე და გულწრფელად ებრძვის მას, — იგი თავის ხმას შეუვაჭრებლად აძლევს ლიბერალს და მოლაპარაკებას არა სწყვეტს იმის გამო, რომ სამის ნაცვლად მას ორ ადგილს უთმობენ. მაგალითად, ევროპაში ხელახალი არჩევნების დროს შავრაზმულ საფრთხეს ადგილი აქვს მაშინ, როცა ლიბერალმა მიიღო, ვთქვათ, 8 000 ხმა, შავრაზმელმა ან რეაქციონერმა — 10 000, ხოლო სოციალისტმა — 3 000. თუ სოციალისტს სწამს, რომ შავრაზმული საფრთხე მართლაც ნამდვილი საფრთხეა მუშათა კლასისათვის, იგი ხმას აძლევს ლიბერალს. ჩვენთან, რუსეთში, ხელახალი არჩევნები არ ხდება, მაგრამ მისი შესატყვისი შემთხვევა შეიძლება მოხდეს არჩევნების მეორე საფეხურზე. თუ 174 ამრჩევლიდან, დავუშვათ, 86 შავია, 84 კადეტი და 4 სოციალისტი, მაშინ სოციალისტებმა თავისი ხმები კადეტთა კანდიდატს უ ნ დ ა მისცენ, — მთელ რუსეთის სოციალ-დე-

მოკრატიულ მუშათა პარტიაში ჯერ ეს არავის სადავოდ არ გაუხდია.

მენშევიკები კი გვარწმუნებენ, რომ სანკტ-პეტერბურგში შავრაზმული საფრთხისა ეშინიათ, — და ამავე დროს კავშირს სწყვეტენ კადეტებთან ორი თუ სამი ადგილის საკითხის გულისათვის!

ეს აშკარა თვალთმაქცობაა, რომელმაც უნდა დაფაროს მუშათა პარტიის წვრილბურჟუაზიული ნაწილის ვაჭრობა კადეტებისაგან გამოთხოვილი სათათბიროს ადგილის გამო.

და სავსებით ასეთივე თვალთმაქცობაა დ ღ ე ს მენშევიკების ხმაურობა სოციალ-დემოკრატიის დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი კამპანიის შესახებ პეტერბურგში, უტრუდოვიკებოდ. მაგალითად, ბ-ნ ლევიცკის — მენშევიკს 19 იანვარს ნემეტტის თეატრში, როგორც «ტოვარიშჩის» ანგარიში იუწყება, შემდეგი უთქვამს: «სოციალ-დემოკრატებმა საარჩევნო კამპანიის დამოუკიდებლობაზე ხელი აიღეს მხოლოდ იმისათვის, რომ შავრაზმული საფრთხე თავიდან აეცილებინათ. რაკი ეს არ მოხერხდა, სოციალ-დემოკრატები იმას მაინც უნდა ცდილობდნენ, რომ განავითარონ ფართო აგიტაცია, — ამიტომ ორატორი მიემხრო სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებელ გამოსვლას».

ახლა ვიკითხოთ: ნუთუ ეს ლევიცკი, თუ იგი სრულ ჭკუაზეა, არ თვალთმაქცობს? რ ა კ ი ა რ მ ო ხ ე რ ხ დ ა «შავრაზმული საფრთხის თავიდან აცილება» იმით, რომ შექმნილიყო ე რ თ ი საერთო სია ყველა მემარცხენისა კადეტების ჩათვლით, — ამიტომ ლევიცკის უნდა **ს ა მ ი მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე ს ია:** კადეტური, სოციალ-დემოკრატიული და ტრუდოვიკული!

რა არის ეს, თუ არა მიეთმოეთობა ყოველგვარ ნიადაგს მოკლებული ოპორტუნისტისა, რომელიც ფიქრობს დაგვავიწყებინოს ის, რომ მენშევიკები გუშინწინ წვრილბურჟუაზიულ ბლოკში ისხდნენ, გუშინ კი კადეტებს ევაჭრებოდნენ!

მენშევიკებმა უღალატეს მუშებს, კადეტებთან გადაბარგდნენ. და ახლა, როცა ეს ბინძური ოინბაზობა არ გადის, მათ

უნდათ განიწმინდნონ ფ რ ა ზ ი თ სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებელი გამოსვლის შესახებ! ეს სწორედ ცარიელი, თვალის ასახვევად გამოგონილი ფრაზაა, ვინაიდან სამი მემარცხენე სია თუ იქნება, შავები მართლაც შეიძლება გავიდნენ სანკტ-პეტერბურგში მხოლოდ მემარცხენეთა დაქუცმაცების გამო, — ხოლო მენშევიკებმა თვითონ გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ე ს წვრილბურჟუაზიული ბლოკის პოზიცია, როცა პროლეტარულ პარტიას ჩამოშორდნენ და ამ ბლოკში შ ე ვ ი დ ნ ე ნ კადეტებთან ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი ვაჭრობის გასამართავად.

მენშევიკები დღეს მართლაც ბევრი რამისაგან არიან «განსაწმენდი», იმდენად შეირცხვინეს თავი მთელი თავისი მოქმედებით სანკტ-პეტერბურგის საარჩევნო კამპანიაში. მენშევიკებს დღეს მართლაც აღარაფერი დარჩენიათ, გარდა ცარიელი და მყვირალა ფრაზისა, რადგან მათ თვითონ სერიოზულად აღარ სჯერათ წმინდა სოციალ-დემოკრატიული სიის შესაძლებლობა ახლა, პეტერბურგში.

ბოლშევიკებს კი ჩვენ მეტად ენერგიულად ვაფრთხილებთ — არავითარი ნდობა არ გამოუცხადონ ამ მყვირალა და თვალთმაქც ფრაზებს.

ბოლშევიკები არ საჭიროებენ რისგანმე «განწმენდას», მათ მოსანანიებელი არაფერი აქვთ. ჩვენი პოლიტიკური ხაზი, რომელსაც თავდაპირველად დედაქალაქის მთელი ბურჟუაზიული პრესა დასცინოდა, ახლა საუცხოოდ და თვალნათლივ მართლდება მოვლენათა მთელი მსვლელობით. აშკარა ხდება შავრაზმული საფრთხის ზღაპრის სიცრუე. ნათელი ხდება კადეტური საფრთხე. ფარდა ეხდება კადეტების პოლიტიკას, — მათი ბელადი ახლა ღებულობს (თუ მიიღო?) აუდიენციას სტოლიპინთან.

ბოლშევიკები მუშათა პარტიის ფარულად არ შესულან წვრილბურჟუაზიულ ბლოკში. მათ არ განუმტკიცებიათ ეს ბლოკი იმით, რომ დაედასტურებინათ სახალხო სოციალისტების ნახევრადკადეტური პარტიის მონაწილეობა ტრუდოვიკთა შორის. მათ არ გადაუდგამთ არც ერთი ისეთი ნაბიჯი, არ უთქ-

ვამთ არც ერთი ისეთი სიტყვა, რომელიც წვრილბურჟუაზიულ პარტიებს შეიძლებოდა განემარტათ როგორც სოციალ-დემოკრატიის უარი დამოუკიდებლად გამოსვლაზე.

მაშინ როდესაც მილიუკოვი ფეხებში ედებოდა სტოლიპინს, მაშინ როდესაც მენშევიკები და ყ ვ ე ლ ა ჯ ურის ტრუდოვიკები ფეხებში ედებოდნენ მილიუკოვს, — მხოლოდ და მარტო ბოლშევიკები იდგნენ სავსებით მტკიცედ, მათ ე რ თ ი წ უ თ ი თ ა ც არ შეუწყვეტიათ ის, რაც ახლა, კადეტებზე გაგულისების შემდეგ, გახსენებიათ ამხ. ლევიცკის და მის მსგავსთ.

ამიტომ ჩვენ ახლა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავიდინოთ ის სისულელე, რომელზედაც ლაყბობენ გზადაბნეული და თვალთმაქცი მენშევიკები, უარი არ უნდა ვთქვათ რევოლუციურ ბლოკზე, იმაზე, რომ წვრილმა ბურჟუაზიამ მხარი დაუჭიროს სოციალისტებს კადეტების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

სწორედ იმიტომ, რომ ბოლშევიკებმა უყოყმანოდ და ერთბაშად აიღეს სწორი ხაზი, მათ მიაღწიეს იმას, რომ ახლა ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ა ლ წ ი ნ და საქმით გამოაშკარავდა ტრუდოვიკების მერყეობა და მუშათა პარტიის სიმტკიცე (რასაკვირველია, გარდა მისი ოპორტუნისტული დანამატისა). საქმით გამოირკვა, რომ სწორედ სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატი მიდის დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ, თავისი გზით, მხოლოდ ის წ ა რ მ ა რ თ ა ვ ს ყველა დანარჩენ ელემენტს შავებისა და ლიბერალების წინააღმდეგ, მხოლოდ ის ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ს ყველა წვრილბურჟუაზიულ პარტიასა და მიმდინარეობას კადეტური იდეოლოგიისა და კადეტური პოლიტიკის გავლენისაგან, მხოლოდ ის გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ს საჯაროდ და ყველას გასაგონად, თუ რამდენად საიმედონი და გამოსადეგი არიან ტრუდოვიკთა რევოლუციური და ოპორტუნისტული ჯგუფები.

და ახლა მიუტევებელი ბავშვობა და პოლიტიკაში მერყეობის გამოჩენა იქნებოდა იმის შიში, რომ თან გავიყოლიოთ ყველა ტრუდოვიკი, რომელთაც კადეტური კეთილმოსურნეობის

ხიმწარე იგემეს და რომელნიც მზად არიან კადეტების წინააღმდეგ იბრძოლონ.

31 მენშევიკი, რომლებიც კადეტებთან ვაჭრობაში გაიხლართნენ, თვითონ იძულებული არიან თავისი სურვილის წინააღმდეგ აღიარონ: «სოციალ-დემოკრატებისა და ტრუდოვიკების საერთო სია საკმაოდ პოპულარული იქნება იმისათვის, რომ კადეტებს ბევრი ხმა ჩამოაშოროს»!.. დიახ, სწორედ ასე! და სწორედ ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია უგულებელვყოთ კადეტების ჰეგემონიის გაქარწყლების ამოცანა დედაქალაქში, რომელსაც დღეს მთელი რუსეთი შეჰყურებს.

ჩვენთვის საკმარისია რამდენიმე უბანში წავართვათ კადეტებს მათი ხმების ნახევარი პლუს ერთი ზედმეტი ხმა, და ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან სავსებით ვისარგებლებთ შავრაზმული ბურჟუაზიისა და ლიბერალურ-შემთანხმებელი ბურჟუაზიის ხმების გაყოფით (აქ კი არავითარი საფრთხე არაა, რადგან კადეტებს 9 უბანში ორჯერ და უფრო მეტი ხმა აქვთ, ვიდრე შავებს).

დღითიდღე უფრო და უფრო ირკვევა, რომ მენშევიკებმა არასწორი პოლიტიკური კურსი აიღეს, როცა შავრაზმულ საფრთხეზე ყვირილი ასტეხეს. ირკვევა, რომ ახლა რწმუნებულთა და ამრჩეველთა შემადგენლობა უფრო მემარცხენეა, ვიდრე შარშან იყო. ნაცვლად ლიბერალურ მემამულეთათვის უაზრო და სამარცხვინო ხელშეწყობისა (რასაც არ ამართლებს შავრაზმული საფრთხე, რადგან იგი არ არსებობს), ჩვენს წინაშე ისახება სასარგებლო და პასუხსაგები როლი: დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის ჰეგემონია იმ ბრძოლაში, რომელიც მიმართული იქნება იმის წინააღმდეგ, რომ ლიბერალების ხელმძღვანელობას ემორჩილებოდნენ განუვითარებელი მასები.

სათათბიროს პირველმა არჩევნებმა გამარჯვება კადეტებს არგუნა, და ეს ლიბერალური ბურჟუები მთელი ძალღონით ცდილობენ განამტკიცონ და გაამარადისონ თავისი ჰეგემონია,

რომელიც ემყარება მასების დაჩლუნგებას, მათში დამოუკიდებელი აზრის, დამოუკიდებელი პოლიტიკის უქონლობას.

ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ სწორედ პეტერბურგში გარს შემოვიკრიბოთ ყ ვ ე ლ ა ნ ი, ვისაც კი შავებისა და კადეტების წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლია, შემოვიკრიბოთ სახალხო რევოლუციის ამოცანების გულისათვის, ხალხის მრავალმილიონიანი მასების თვითმოქმედების გულისათვის.

და ჩვენ ამას გავაკეთებთ ისე, რომ ოდნავადაც არ გავწირავთ ჩ ვ ე ნ ი ს ა კ უ თ ა რ ი სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის სრულ იდეურ დამოუკიდებლობას, ოდნავადაც არ გადავუხვევთ ჩვენს სოციალისტურ მიზნებს დ ა მათს ს რ უ ლ ახსნა-განმარტებას, ერთი წუთითაც არ ავიღებთ ხელს წვრილი ბურჟუაზიის ყოველგვარი მერყეობისა და გამცემლობის გამოაშკარავებაზე.

თავისუფლებისათვის ბრძოლისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის შეურყეველ მტკიცე პოზიციაზე მაგრადა დგას მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია.

დაწერილია 1907 წ.
20 იანვარს (2 თებერვალს)

დაიბეჭდა ცალკე ბროშურად
1907 წ.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ბროშურის ტექსტის
მიხედვით

# როგორ მივცეთ ხმა პეტერბურგის არჩევნებში?

## (არსებობს თუ არა პეტერბურგის არჩევნებში შავრაზმელთა გამარჯვების საფრთხე?)

მალე მოხდება სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები ქალაქ პეტერბურგში. ქალაქის ამომრჩევლებმა, რომელთა რიცხვი დაახლოებით 130 ათასს უდრის, მთელ ქალაქში უნდა აირჩიონ 160 ამრჩეველი. ეს 160 ამრჩეველი, მუშათა 14 ამრჩეველთან ერთად, თავის მხრივ აირჩევენ სათათბიროს 6 დეპუტატს.

ვინ უნდა ავირჩიოთ სათათბიროში?

პეტერბურგის არჩევნებში იბრძვის ს ა მ ი მთავარი პარტია: შავრაზმელები (მემარჯვენე პარტიები), კადეტები (ეგრეთწოდებული სახალხო თავისუფლების პარტია) და სოციალ-დემოკრატები.

შესაძლებელია, წვრილი პარტიები და მიმართულებანი (ტრუდოვიკები, უპარტიონი, სახალხო სოციალისტები, რადიკალები და სხვ.) ნაწილობრივ კადეტთა სიას შეუერთდნენ, ნაწილობრივ კი — სოციალ-დემოკრატიულ სიას. საბოლოოდ ეს ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ პეტერბურგში კანდიდატთა ს ა მ ი სია იქნება: შავრაზმული, კადეტური, სოციალ-დემოკრატიული.

ამიტომ ყველა ამომრჩეველს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, თუ ვინ გაჰყავს სათათბიროში:

ЕЖЕНЕДѢЛЬНИКЪ

# ЗРѢНІЕ

Цѣна 5 коп.

Какъ голосовать на выборахъ въ Петербургѣ.—Рабочій съѣздъ и буржуазная демократія. — Вопросы дня. — Въ рабочей куріи.—Предвыборныя совранія.

№ 1. С.-Петербургъ. Четвергъ, 25 Января. № 1.

## Какъ голосовать на выборахъ въ Петербургѣ

[illegible]

[illegible]

[illegible]

— შავრაზმელები? ე. ი. მემარჯვენე პარტიები, რომლებიც მხარს უჭერენ სამხედრო-საველე სასამართლოების მთავრობას, რბევასა და ძალმომრეობას?

— კადეტები? ე. ი. ლიბერალური ბურჟუები, სათათბიროში რომ მიდიან საკანონმდებლოდ, ე. ი. ბატონ გურკოებთან შესათანხმებლად, რომელთაც აქვთ საკანონმდებლო უფლებებიც და არასასიამოვნო სათათბიროს გარეკვის უფლებაც?

— თუ სოციალ-დემოკრატები, ე. ი. მუშათა კლასის პარტია, რომელიც მთელი ხალხის სათავეში დგას და სრული თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის, ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან ყველა მშრომელის განთავისუფლებისათვის იბრძვის?

დაე, ყოველმა ამომრჩეველმა იცოდეს: არჩევანი უნდა მოხდეს სამ პარტიას შორის. მან უნდა გადაწყვიტოს, ვის მისცეს ხმა: პოლიციური თვითნებობისა და ძალმომრეობის დამცველს ან ლიბერალურ კაპიტალისტს, რომელიც ბატონ კუტლერების საშუალებით ევაჭრება ბატონ გურკოებს, თუ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ინტერესთა დამცველს?

მოქალაქენო — ამომრჩეველნო! თქვენ გეუბნებიან, შესაძლებელია კადეტებისა და სოციალ-დემოკრატების შეთანხმება, მათ მიერ საერთო სიის შედგენაო.

ეს მართალი არ არის. ყველამ იცოდეთ, რომ პეტერბურგში იქნება ყოველ შემთხვევაში სამი სია: შავრაზმული, კადეტური და სოციალ-დემოკრატიული.

თქვენ გეუბნებიან, თუ კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს ორი სხვადასხვა სია ექნებათ, შეიძლება მათ ხმები დაანაწილონ და ამრიგად თვითონ შეუწყონ ხელი შავრაზმელთა გამარჯვებასაო.

ეს მართალი არ არის. ჩვენ ახლავე დაგიმტკიცებთ, რომ ხმების დაყოფის ყველაზე უარეს შემთხვევაშიც კი, ე. ი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პეტერბურგის ყველა უბანში ხმები თანასწორად გაიყოფა კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის, — ამ შემთხვევაშიც

კი პეტერბურგის არჩევნებში შავრაზმელთა გამარჯვება შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა.

ყველამ იცის, რომ პეტერბურგში პირველი სათათბიროს არჩევნების დროს კანდიდატთა ო რ ი მთავარი სია იყო: კადეტური და შავრაზმული (ანუ მემარჯვენე პარტიათა ეგრეთწოდებული ბლოკი, კავშირი). კადეტებმა გაიმარჯვეს პეტერბურგის ყ ვ ე ლ ა უბანში.

ახლა ს ა მ ი სია იქნება: შავრაზმული, კადეტური და სოციალ-დემოკრატიული. მაშასადამე, სოციალ-დემოკრატები ფიქრობენ, ჩამოაშორონ თავისთვის ხმების ნაწილი კადეტებს და მიიმხრონ ისინი, ვისაც პირველი სათათბიროს არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

თქვენ გეუბნებიან, კადეტური და სოციალ-დემოკრატიული ხმების ამ დაყოფამ შეიძლება გამარჯვება არგუნოს შავრაზმელებს, რადგან კადეტები და სოციალ-დემოკრატები ერთად შავრაზმელებზე ძლიერნი იქნებიან, ცალკ-ცალკე კი შეიძლება უფრო სუსტნი აღმოჩნდნენ, ე. ი. დამარცხდნენო.

იმის შესამოწმებლად, შესაძლებელია თუ არა ეს, ავიღოთ პეტერბურგის ყ ვ ე ლ ა უბანში კენჭისყრის ციფრები პირველი სათათბიროს არჩევნების დროს. ვნახოთ, როგორ იყოფოდა ხმები კადეტებსა და შავრაზმელებს შორის სხვადასხვა უბანში. ამასთან ჩვენ ყველგან ავიღებთ ყველაზე ცუდ შემთხვევებს, ე. ი. კადეტისათვის მიცემული ხმების უ მ ც ი რ ე ს რიცხვს (ვინაიდან სხვადასხვა კანდიდატი ხმების სხვადასხვა რიცხვს ღებულობდა) და შავრაზმელისათვის მიცემული ხმების უ დ ი დ ე ს რიცხვს.

შემდეგ, კადეტისათვის მიცემული ხმების უ მ ც ი რ ე ს რიცხვს შ უ ა ზ ე ვყოფთ, რადგან ვფიქრობთ, რომ სოციალ-დემოკრატი კადეტს ჩამოაშორებს სწორედ ხმების ნახევარს (ეს ჩვენთვის ყველაზე უარესი, შავრაზმელთათვის კი ყველაზე უკეთესი შემთხვევაა).

ახლა უბნების მიხედვით შევადაროთ კადეტისათვის მიცემული ხმების უ მ ც ი რ ე ს ი რიცხვის ეს ნ ა ხ ე ვ ა რ ი

შავრაზმელისათვის მიცემული ხმების უდიდეს რიცხვს. მივიღებთ ასეთ ციფრებს:

კენჭისყრა პეტერბურგში პირველი სათათბიროს არჩევნების დროს

| უბნები | კადეტური სიის მიერ მიღებული ხმების ჯამური რიცხვი | ამრიცხვის ნახევარი | მემარჯვენე პარტიათა სიის მიერ მიღებული ხმების უდიდესი რიცხვი | ამარჩეველი |
|---|---|---|---|---|
| საადმირალო | 1 395 | 697 | 668 | 5 |
| ალექსანდრე ნეველისა | 2 929 | 1 464 | 1 214 | 16 |
| ყაზანისა | 2 135 | 1 067 | 985 | 9 |
| ნარკისა | 3 486 | 1 743 | 1 486 | 18 |
| ვიბორგისა | 1 853 | 926 | 652 | 6 |
| პეტერბურგისა | 4 788 | 2 394 | 1 729 | 16 |
| კოლომნისა | 2 141 | 1 070 | 969 | 9 |
| მოსკოვისა | 4 937 | 2 460 | 2 174 | 20 |
| სპასკისა | 4 873 | 2 436 | 2 320 | 15 |
| ლიტეინი | 3 414 | 1 707 | 2 097 | 15 |
| როჟდესტვენსკი | 3 241 | 1 620 | 2 066 | 14 |
| ვასილის კუნძულისა | 3 540 | 1 770 | 2 250 | 17 |

ამ ციფრებიდან ნათლად ჩანს, კადეტური ხმები რომ ყველაზე ცუდადაც გაყოფილიყო ორ ნაწილად, შავრაზმელები 1906 წლის არჩევნებში **12** უბნიდან მხოლოდ სამ უბანში გაიმარჯვებდნენ. მათ ეყოლებოდათ მხოლოდ **46** ამრჩეველი 174-იდან (ქალაქიდან 160 და მუშებისაგან 14). ეს იმას ნიშნავს, რომ შავრაზმელები პირველი არჩევნების დროს იმ შემთხვევაშიც კი ვერ გავიდოდნენ სათათბიროში, კადეტური ხმები რომ ყველა უბანში ორ თანასწორ ნაწილად გაყოფილიყო კადეტურ და სოციალ-დემოკრატიულ სიებს შორის.

მაშასადამე, **ხალხს ატყუებენ** ისინი, ვინც ამომრჩეველს აშინებს კადეტებსა და სო-

ციალ-დემოკრატებს შორის ხმების გაყოფის შემთხვევაში შავრაზმელთა გამარჯვება შესაძლებელიაო.

კადეტური და სოციალ-დემოკრატიული ხმების გაყოფით შავრაზმელები ვერ გაიმარჯვებენ.

კადეტები განზრახ ავრცელებენ ყალბ ხმებს «შავრაზმულ საფრთხეზე» იმისათვის, რომ ამომრჩეველი სოციალისტებს ჩამოშორდეს და მათ ხმა არ მისცეს.

მოქალაქენო — ამომრჩეველნო! არ დაიჯეროთ ზღაპრები, თითქოს კადეტური და სოციალ-დემოკრატიული ხმების გაყოფით შეიძლება შავრაზმელებმა გაიმარჯვონ. ხმა მიეცით თავისუფლად და გაბედულად, თქვენი რწმენის მიხედვით: შავრაზმელებს, ლიბერალურ ბურჟუებს ან სოციალისტებს.

* * *

მაგრამ, იქნებ, კადეტებმა, — რომლებიც გაზეთების «რეჩის», «ტოვარიშჩის», «სეგოდნიას», «როდნაია ზემლიას», «რუსის», «სტრანას» [12] და სხვათა და სხვათა საშუალებით ავრცელებენ ჭორებს «შავრაზმული საფრთხის» შესახებ, — იქნებ, მათ კიდევ სხვა საბუთების წამოყენება სინჯონ, სხვა ფანდებს მიმართონ?

განვიხილოთ ყველა შესაძლებელი საბუთი.

იქნებ, კადეტური ხმები გაიყოს არა ორ, არამედ სამ სიად? მაშინ ხომ შავრაზმელები ყველა უბანში გაიმარჯვებენ და საათაბიროში გავლენ?

არა. კადეტური ხმები არ შეიძლება სამ სიად გაიყოს, იმიტომ რომ პეტერბურგში სულ სამი სია იქნება. შავრაზმელთა, კადეტთა და სოციალ-დემოკრატთა გარდა არცერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი პარტია არ აყენებს თავის დამოუკიდებელ სიას.

რუსეთში არსებულ ყველა პარტიას თავისი წარმომადგენლები ჰყავს პეტერბურგში. ყველა პარტიამ და ყველა მიმართულებამ უკვე გამოთქვა თავისი შეხედულება არ-

ჩევნების შესახებ. გარდა ჩვენ მიერ დასახელებული სამი მთავარი პარტიისა, არც ერთი პარტია, არც ერთი პატარა ჯგუფი არც კი ფიქრობს არჩევნებში დამოუკიდებლად გამოსვლას. ყველა წვრილი პარტია, ყველა მიმართულება, გარდა სამი მთავარი პარტიისა, მხოლოდ ამ სამ სიას შორის მერყეობს. ყველა პროგრესული, თავისუფლების თანამგრძნობი პარტია და პატარა ჯგუფი მხოლოდ კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის მერყეობს.

არც ერთ «შრომის» პარტიას — არც სოციალისტ-რევოლუციონერებს, არც შრომის ჯგუფის კომიტეტს, არც სახალხო სოციალისტებს არ გამოუთქვამთ დამოუკიდებელი სიების წამოყენების სურვილი. პირიქით, ყველა ეს შრომის პარტია მოლაპარაკებას აწარმოებს იმისათვის, რომ შეუერთდნენ ან კადეტურ, ანდა სოციალ-დემოკრატიულ სიას.

ამრიგად, ისინი, ვინც ილაპარაკებენ კადეტური ხმები შეიძლება სამ სიად გაიყოსო, **ხალხს ატყუებენ**. პეტერბურგში სულ სამი მთავარი სია იქნება: შავრაზმული, კადეტური და სოციალ-დემოკრატიული.

* * *

მეორე შესაძლებელი საბუთი. ამბობენ, სენატის განმარტებებმა[13] შეამცირა ამომრჩეველთა რიცხვი, განსაკუთრებით ღარიბთაგან, ამიტომ შეიძლება კადეტებმა იმდენი ხმა ვერ შეაგროვონ, რამდენიც მათ პირველი სათათბიროს არჩევნების დროს ჰქონდათო.

ეს მართალი არ არის. პირველი სათათბიროს არჩევნების დროს პეტერბურგში სულ დაახლოებით 150 000 ამომრჩეველი იყო, ახლა კი 130 000-მდე ამომრჩეველია. კენჭისყრაში კი შარშან მონაწილეობა მიიღო სულ დაახლოებით 60—70 ათასმა. მაშასადამე, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამომრჩეველთა მასის სულისკვეთებასა და შეხედულებებში რაიმე ცვლილება მოხდება. სრულიად უეჭველია, რომ

პეტერბურგის 130 000 ამომრჩევლიდან უმრავლესობა მოსახლეობის მცირე შეძლების ფენებს ეკუთვნის, რომელთაც მხოლოდ გაუგებრობის, მცირე ცოდნის, მხოლოდ ცრურწმენის გამო შეუძლიათ მუშას კაპიტალისტი ამჯობინონ. თუ ყველა სოციალისტი შეასრულებს თავის მოვალეობას ქალაქის მასის აგიტაციისა და გათვითცნობიერების მხრივ, მაშინ მათ უსათუოდ იმედი უნდა იქონიონ, რომ 130 000 ამომრჩევლიდან მიიმხრობენ არა ერთ ათეულ, არამედ რამდენიმე ათეულ ათასს.

* * *

მესამე შესაძლებელი საბუთი. ამბობენ, შავრაზმელები წლევანდელ არჩევნებში შესაძლოა გაძლიერდნენ და შარშანდელი ციფრების მიხედვით მსჯელობა არ შეიძლებაო.

ეს მართალი არ არის. ყველა გაზეთის ცნობებიდან, კრებების მთელი მსვლელობიდან, სხვადასხვა პარტიის მდგომარეობის ამსახველი ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ პეტერბურგში შავრაზმელები შარშანდელზე არათუ უფრო ძლიერნი, არამედ, ალბათ, გაცილებით უფრო სუსტნი არიან. ხალხი უფრო შეგნებული გახდა, ოქტიაბრისტები[14] ყოველ კრებაზე მარცხდებიან, ხოლო სათათბიროს გარეკვა და მთავრობის ძალმომრეობის პოლიტიკა, გურკო-ლიდვალის პოლიტიკა საბოლოოდ აშორებს მთავრობას ამომრჩევლებს. პირველ არჩევნებში შავრაზმელები ჯერ კიდევ გულმაგრად იყვნენ, ახლა კი, კენჭისყრა მოახლოვდა თუ არა, ისინი სავსებით მიყუჩდნენ.

* * *

მეოთხე შესაძლებელი საბუთი. ამბობენ, მთავრობა მემარცხენე პარტიებს არ აძლევს ბიულეტენებს, არ აძლევს მათ არც კრებების, არც გაზეთებისა და სხვათა ნებას, ამიტომ ყველა მემარცხენეთა გაერთიანება ერთ სიაში კადეტებთან ერთად უფრო საიმედოა და საშიში არ არისო.

ეს მართალი არ არის. თუ მთავრობა ძალმომრეობს, კანონს არღვევს, არჩევნების თავისუფლებას არღვევს, ამით ამომრჩეველთა მასის სულისკვეთება უფრო მტკიცე ხდება. ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, კრებებზე ამომრჩეველთა თვალში კი არ ვაგებთ, არამედ ვიგებთ იმით, რომ პოლიცია ყველაზე ხშირად ჩვენი სიტყვებისათვის ხურავს კრებებს. ხოლო რაც შეეხება ბრძოლას მთავრობის მიერ კანონის დარღვევის წინააღმდეგ, რას შველის აქ კადეტებთან შეთანხმება? ეს კი არ უშველის, არამედ ავნებს, რადგან კადეტები ყველაზე მხდალი ოპოზიციური პარტიაა, რომელსაც ყველაზე მეტი მიდრეკილება აქვს გამცემლობისა. ნუთუ იმ პარტიასთან ერთად, რომელშიც ზის ვიტეს და დურნოვოს გუშინდელი ამხანაგი, ყოფილი მინისტრი კუტლერი, ნუთუ ამ პარტიასთან ერთად შეიძლება ნამდვილი ბრძოლა მინისტრთა მიერ კანონების დარღვევის წინააღმდეგ?? პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ბატონი კუტლერები გაცილებით უფრო ახლო დგანან ბატონ დურნოვოებსა და სტოლიპინებთან, ვიდრე მუშათა და ნოქართა მასასთან, სწორედ ამიტომ ჩვენ თავისუფლების მოსაპოვებელი ბრძოლის ინტერესებისათვის ცალკე, დამოუკიდებლად უნდა ვიდგეთ ბატონ კუტლერების პარტიისაგან, კადეტების პარტიისაგან.

დავუშვათ, მთავრობამ გადაწყვიტა დაიჭიროს, დაატუსაღოს მემარცხენე ამრჩეველნი. განა ამას კადეტებთან შეთანხმება უშველის რასმე? ანდა ეგებ სოციალისტებმა მართლაც იმედი უნდა იქონიონ, რომ კადეტი კუტლერი რევოლუციონერებისათვის იზრუნავს და იშუამდგომლებს თავისი გუშინდელი ამხანაგების, მინისტრების სტოლიპინისა და გურკოს წინაშე?

ამას წინათ გაზეთები იუწყებოდნენ, ბ-ნი მილიუკოვი, კადეტთა ბელადი, სტოლიპინთან აუდიენციას ღებულობს კადეტური პარტიის ლეგალიზაციის შესახებ მოსალაპარაკებ-

ლადაო *. ეგებ სოციალისტებმა იმის იმედი უნდა იქონიონ, რომ ბატონი კადეტები «იზრუნავენ და მოაგვარებენ» ტრუდოვიკების, სოციალისტ-რევოლუციონერების და სოციალ-დემოკრატების პარტიათა ლეგალიზაციის საქმეს?

სოციალისტი, რომელსაც სირცხვილი და სინდისი აქვს, არასოდეს არ წავა საერთო სიით კუტლერებსა და მილიუკოვებთან ერთად.

* * *

შეუძლიათ თუ არა სოციალ-დემოკრატებს გაიმარჯვონ პეტერბურგის არჩევნებში?

კადეტური გაზეთები სარგებლობენ იმით, რომ მთავრობა სოციალ-დემოკრატიული გაზეთების ნებართვას არ იძლევა, და მკითხველებს ყურებს უჭედენ, არჩევნებში უკადეტებოდ სოციალ-დემოკრატების გამარჯვებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებაო.

ეს მართალი არ არის. პეტერბურგში სოციალ-დემოკრატების გამარჯვება შავრაზმელთა წინააღმდეგ და კადეტთა წინააღმდეგ **სავსებით შესაძლებელია.**

კადეტები ვითომ ვერ ხედავენ ამას, და განზრახ ივიწყებენ, რომ ხმების გაყოფით შეიძლება მოიგოს **ყოველმა** პარტიამ და არა მარტო შავრაზმელებმა. შავრაზმელებს შეუძლიათ მოიგონ თორმეტიდან სამი უბანი, თუ ხმები კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის თანასწორად გაიყოფა.

**სოციალ-დემოკრატებს შეუძლიათ მოიგონ 12 უბნიდან ყველა 12 უბანი, თუ ხმები კადეტებსა და შავრაზმელებს შორის გაიყოფა.**

---

* წინასაარჩევნო კრებაზე ტენიშევის სასწავლებელში 22 იანვარს ბ-ნმა ვოდოვოზოვმა განაცხადა, რომ ბ-ნმა მილიუკოვმა ინახულა სტოლიპინი და მოურიგდა მას, და რომ სახალხო თავისუფლების პარტია პასუხისმგებელია თავისი ლიდერებისთვისაო. ბ-ნმა გრედესკულმა არ უარყო ეს ფაქტი და განაცხადა, თუ ბ-ნი მილიუკოვი სტოლიპინთან იყო, ეს მოხდა ქვეყნისა და პარტიის ინტერესთა გულისთვისაო.

ამაში დასარწმუნებლად საკმარისია გადავხედოთ ზემოთ მოყვანილ ციფრებს. ისინი გვიჩვენებენ, რომ თ უ თ ვ ი თ ე-ულ უ ბ ა ნ ში კ ა დ ე ტ თ ა ხ მ ე ბ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ზ ე (წარსულ არჩევნებში) ე რ თ ი ხ მ ი თ მ ე ტ ი გ ვ ე ქ ნ ე ბ ა, შეგვიძლია გ ა ვ ი მ ა რ ჯ ვ ო თ მ თ ე ლ პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ში.

ამისათვის საჭიროა პეტერბურგის 9 «უზრუნველყოფილ» უბანში (არ ვთვლით სამ უბანს, სადაც შეიძლება შავებმა გაიმარჯვონ) გვქონდეს ა რ ა ნ ა კ ლ ებ 14 274 ხ მ ი ს ა.

განა არ შეიძლება, რომ სოციალ-დემოკრატებმა პეტერ-ბურგში 15—20 ა თ ა ს ი ხმა შეაგროვონ?

მარტო ნოქარი და კანტორის მუშაკი, რომელთაც საარჩევ-ნო უფლება აქვთ, პეტერბურგში 30-იდან 50 ათასამდე ითვლე-ბა. ნოქრების პროფესიული გაზეთი «გოლოს პრიკაზჩიკა»[15] სოციალ-დემოკრატიული სულისკვეთების მატარებელი იყო. ყველა სოციალისტი რომ შეთანხმებით ეწეოდეს ნოქრებში აგიტაციას, ამასთან უარს არ იტყოდეს თავის სიებში აგრეთვე ტრუდოვიკთა შეტანაზე, — მაშინ მარტო ამ სავაჭრო-სამრეწ-ველო მოსამსახურეებს შეუძლიათ გამარჯვება არგუნონ საერ-თო სოციალ-დემოკრატიულ და ტრუდოვიკულ სიას.

მაგრამ, გარდა ამისა, ხომ კიდევ არის ბინის ბევრი, ძა-ლიან ბევრი ღარიბი დამქირავებელი, რომელთაც შეუძლიათ ძალიან კარგად მიხვდნენ, რომ სოციალისტები უკეთ იცავენ მათ ინტერესებს, ვიდრე სახლების ლიბერალური მეპატრო-ნე-მემამულენი, მდიდარი ვექილები და მოხელენი, პეტრუნკე-ვიჩები, როდიჩევები, ვინავერები, კუტლერები.

შეხედეთ წინასაარჩევნო კრებებს პეტერბურგში. კადეტუ-რი გაზეთებიც კი, რომლებიც საშინლად ამახინჯებენ ამ კრე-ბების ანგარიშებს კადეტთა სასარგებლოდ, იძულებული არი-ან აღიარონ, რომ სერიოზული ბრძოლა წარმოებს კადეტებსა და სოციალისტებს შორის და სრულიადაც არა მემარჯვენეთა და მემარცხენეთა შორის. წინასაარჩევნო კრებები პეტერ-ბურგში უდავოდ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ნ, რომ სოციალ-დე-

მოკრატები, მეტადრე ტრუდოვიკებთან ერთად, პეტერბურგში კადეტებზე ძლიერნი არიან.

რამდენი ამომრჩეველი გაივლის წინასაარჩევნო კრებებს? ფრთხილი ადამიანების ანგარიშით, ამომრჩეველთა მთელი რიცხვის არა უმეტეს მეათედი ნაწილი. ავიღოთ თუნდაც ეს უმცირესი ციფრი. მივიღებთ 13 000 ამომრჩეველს. შემდეგ, შეიძლება ნამდვილად ვიგულისხმოთ, რომ მიტინგზე დამსწრე თვითეული ამომრჩეველი არჩევნებზე თან მოიყვანს ორ ამომრჩეველს მაინც, რომლებიც მიტინგებს არ დასწრებიან. ამ 39 000 ამომრჩეველიდან, ყველა ცნობისა და დაკვირვების მიხედვით, 20 000 მიემხრობა სოციალ-დემოკრატებს, რომელნიც შემოიერთებენ ტრუდოვიკებს.

ამრიგად, ამ მონაცემების მიხედვითაც გამოდის, რომ სოციალ-დემოკრატთა გამარჯვება პეტერბურგში კადეტთა წინააღმდეგ და შავრაზმელთა წინააღმდეგ სავსებით შესაძლებელია.

დაე, პეტერბურგის ყველა ამომრჩეველმა იცოდეს, რომ სავსებით მათზეა დამოკიდებული, თუ ვინ გაიმარჯვებს: კადეტები თუ სოციალ-დემოკრატები.

* * *

პეტერბურგში სოციალისტები წინასაარჩევნო კამპანიას ეწევიან უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად მასების გასათვითცნობიერებლად და შესამჭიდროებლად. სოციალისტები ცდილობენ, რომ თვით მასამ სავსებით შეიგნოს ის ამოცანები, რომლებიც ახლა ხალხის წინაშე დგას თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ლიბერალები კი ზრუნავენ მხოლოდ სათათბიროში ადგილების მისაღებად და სრულიად არ ზრუნავენ თვით ამომრჩეველთა ნათელი და მკაფიო აზრის გამომუშავებისათვის.

ლიბერალები, ე. ი. კადეტები, და მათი ამყოლი ორჭოფი, მერყევი ადამიანები ხანდახან წინასაარჩევნო კრებებზე ახდენენ კენჭისყრას და ზოგან დიდი უმრავლესობით გამოაქვთ

გადაწყვეტილება ყველა მემარცხენის შეთანხმების აუცილებლობის შესახებ იმ პირობით, რომ ექვსიდან ორი ადგილი კადეტებმა მიიღონ.

ისინიც, ვინც ასეთი გადაწყვეტილების მიღების წინადადებას იძლევა, და ისინიც, ვინც მას ხმას აძლევს, შეუგნებლად ეკიდებიან პეტერბურგის არჩევნებს. «ყველა მემარცხენის» შეთანხმება პეტერბურგში არ იქნება და არც შეიძლება მოხდეს. პეტერბურგში იქნება სამი სია: შავრაზმული, კადეტური და სოციალ-დემოკრატიული.

და მერე, სასაცილოც არის ხმა მივცეთ იმას, რომ კადეტებმა ექვსიდან ორი ადგილი მიიღონ. ვისაც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ სურს ასეთი შედეგი, ის უნდა მიხვდეს, რომ მისი მიღწევა კადეტებთან გარიგებით შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა. ამის მიღწევა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი-ს ა თ ვ ი ს ხმის მიცემით.

მართლაც, თუ პეტერბურგში სოციალ-დემოკრატების გამარჯვება ნაწილობრივი იქნება, მაშინ, — და მხოლოდ მაშინ, — შეიძლებოდა მიგვეღო ზოგიერთისათვის სასურველი შედეგი (ექვსი ადგილი მემარცხენეებს, აქედან ორი — კადეტებს). ვთქვათ, მაგალითად, რომ სოციალ-დემოკრატები იმარჯვებენ მხოლოდ ოთხ უბანში, თუნდაც სპასკის, მოსკოვის, პეტერბურგისა და ვიბორგის უბნებში. მაშინ მათ ეყოლებათ 60 ამრჩეველი, მუშათა კურიასთან ერთად კი — 74 ამრჩეველი. შავებს (დავუშვათ უარესი შემთხვევა, რომელიც ძალიან, ძალიან ნაკლებადაა მოსალოდნელი) — 46 ამრჩეველი (ლიტეინის, როჟდესტვენსკისა და ვასილის კუნძულის უბნები). კადეტებს — დანარჩენი 54 ამრჩეველი. ა ი რ ა გ ზ ი თ შეიძლებოდა მართლაც გაგვეყვანა პეტერბურგიდან სათათბიროში მემარცხენე დეპუტატები და უზრუნველგვეყო კადეტებზე უფრო მემარცხენეთა უპირატესობა. კადეტებთან მეწვრილმანური ვაჭრობით, რასაც უჭკუო და მერყევი ადამიანები ეწევიან, ამის მიღწევა ა რ შ ე ი ძ ლ ებ ა.

* * *

მოკლედ გავიმეოროთ ჩვენი დასკვნები.

პეტერბურგის არჩევნებში მხოლოდ სამი მთავარი პარტია იბრძვის, და ამომრჩეველთა წინაშე კანდიდატთა სამი სია იქნება: შავრაზმული, კადეტური და სოციალ-დემოკრატიული.

პეტერბურგში შავრაზმელთა გამარჯვების საფრთხე სულელური და ტყუილი ჩმახვაა.

ძალიან ცუდადაც რომ გაიყოს კადეტების ხმები კადეტთა და სოციალ-დემოკრატთა შორის, შავრაზმელთა გამარჯვება მაინც შეუძლებელია.

პეტერბურგში «შავრაზმული საფრთხის» ზღაპარს განზრახ აზვიადებენ კადეტები, რათა ამით თვითონ თავიდან აიცილონ სოციალისტთა გამარჯვების საფრთხე, რაც მათ მართლაც ემუქრება.

ტრუდოვიკებს, სოციალისტ-რევოლუციონერებსა და ზოგიერთ წვრილ ჯგუფს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ, კადეტებს გაჰყვნენ თუ სოციალ-დემოკრატებს.

პეტერბურგში სავსებით შესაძლებელია სოციალ-დემოკრატთა სრული გამარჯვება შავრაზმელთა წინააღმდეგაც და კადეტთა წინააღმდეგაც.

ამომრჩევლებმა თავისი ხმა უნდა მისცენ რწმენითა და თანაგრძნობით და არა რაღაც გამოგონილი შავრაზმული საფრთხის შიშით.

ვის უჭერთ მხარს: — მთავრობას, — ლიბერალურ ბურჟუებს, — თუ სოციალ-დემოკრატებს?

მოქალაქენო, არჩევანი მოახდინეთ!

«ზრენიე» № 1,
1907 წ. 25 იანვარი

იბეჭდება
გაზეთ «ზრენიეს» ტექსტის
მიხედვით

# პეტერბურგის არჩევნები და ოპორტუნიზმის კრიზისი

6 იანვარს შეიკრიბა პეტერბურგის საერთო-საქალაქო კონფერენცია. კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა საკითხი — მოხდეს თუ არა დედაქალაქში კადეტებთან შეთანხმება.

მიუხედავად პლეხანოვის მოწოდებათა «ამხანაგ მუშებისადმი», მოწოდებათა, რომლებიც «ტოვარიშჩში» იბეჭდებოდა, მიუხედავად ქ-ნ ე. კუსკოვას ისტერიკული სტატიებისა, მიუხედავად პლეხანოვის მუქარისა «თავისუფლების მტრების» სიაში მუშების შეტანის შესახებ, თუ კი ისინი მოისურვებენ დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პოზიციის დაცვას, მიუხედავად კადეტების მეტ-ნაკლებად მაცდური დაპირებებისა, — პეტერბურგის ორგანიზებული და შეგნებული პროლეტარიატი იმდენად მომწიფებული აღმოჩნდა პოლიტიკურად, რომ დისკუსიებისა და კენჭისყრის შემდეგ მისმა უმრავლესობამ უარყო ყოველგვარი შეთანხმება კადეტებთან. აშკარა იყო, რომ ორგანიზებული მუშების არჩეული კონფერენციაც, — დისკუსიისა და პლატფორმის მიხედვით კენჭისყრის შემდეგ * — იმავე აზრს დაადგებოდა.

ჩვენ «პროლეტარში» ადგილი არა გვაქვს, რომ დაწვრილებით გავაშუქოთ კონფერენციის მუშაობის მიმდინარეობა, — ამასთან ამ კონფერენციის შესახებ უკვე ბევრი დაიწერა. მაგრამ აქ მაინც საჭიროა აღინიშნოს, ჩვენი ოპორტუ-

* გამონაკლისს შეადგენენ მენშევიკური ვიბორგის რაიონი და ფრანგულ-რუსული ქვერაიონი, სადაც კენჭისყრა პლატფორმების მიხედვით არ ხდებოდა.

ნისტები ისე შორს წავიდნენ თავიანთ ბურჟუაზიულ-შემთანხმებელ პოლიტიკაში, რომ კონფერენციის გადაწყვეტილება მათთვის მიუღებელი შეიქნა. კონფერენციის გახსნისთანავე აშკარა გახდა, რომ ცენტრალური კომიტეტის მიერ ზურგგამაგრებული პეტერბურგელი მენშევიკები კონფერენციის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებოდნენ. კადეტების მეგობრები მხოლოდ საბაბს ეძებდნენ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან კავშირის გასაწყვეტად. საბაბი, როგორიც არ უნდა ყოფილიყო, უნდა გამონახულიყო. მენშევიკებმა ვერ მოახერხეს კონფერენციიდან წასვლა მანდატების საკითხის გამო, — მაშინ მათ ისარგებლეს ცენტრალური კომიტეტის რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ი თ, რომ საარჩევნო ტაქტიკის საკითხები უშუალოდ გადაეწყვიტათ ამ საკითხებით დაინტერესებულ საარჩევნო ერთეულებს, რათა კონფერენციიდან წასულიყვნენ კონფერენციის ორ ნაწილად გაყოფის — სპეციალურად საქალაქო და საოლქო ნაწილებად გაყოფის საკითხის გამო. პარტიული დაყოფის ნაცვლად ხელში გვაჩეჩებდნენ ადმინისტრაციულ-პოლიციურ ერთეულებს. მენშევიკების გზას რომ გავყოლოდით, კონფერენციისათვის არა მარტო საოლქო რაიონი უნდა ჩამოგვეშორებინა, არამედ აგრეთვე უნდა დაგვენაწილებინა დღემდე ე რ თ ი ა ნ ი რაიონები, როგორიცაა ნევისა, მოსკოვისა, ნარვისა, მოგვეხდინა პარტიის ხელახალი ორგანიზაცია არა ისე, როგორც ეს პარტიას გამოადგება, არამედ ისე, როგორც ეს სასარგებლო იქნება ადმინისტრაციისათვის.

ისიც ცხადი იყო, რომ, როგორც უნდა გადაწყვეტილიყო კონფერენციის გაყოფის საკითხი, უმრავლესობა მაინც კადეტებთან შეთანხმების წინააღმდეგი იქნებოდა. მენშევიკები წავიდნენ, და მთელი ბურჟუაზიული პრესის სასიხარულოდ გადაწყვიტეს პეტერბურგში დამოუკიდებელი კამპანიის წარმოება, თავისივე პარტიული ამხანაგების წინააღმდეგ ბრძოლა, პეტერბურგის პროლეტარიატის გათიშვის გამოწვევა ბურჟუაზიულ და მონარქისტულ პარტიასთან — «სახალხო თავისუფლების» პარტიასთან შეთანხმების გულისათვის.

როგორ არ უნდა ეზეიმნა ბურჟუაზიულ პრესას! ბულვარულმა გაზეთმა «სეგოდნიამ» განსაკუთრებულ მოწინავე წერილში დიდი ამბით განაცხადა, მენშევიკებმა თავისი გადაწყვეტილებით იხსნეს რუსეთი, კადეტების ოფიციალური ორგანო «რეჩი» კი მენშევიკების ჯილდოდ მუშათა კურიაში ერთ ადგილს დაჰპირდა «მენშევიკს», ხოლო «ბოლშევიკს» — არავითარ შემთხვევაში.

მენშევიკების დამოუკიდებელი გამოსვლის პირველი შედეგი: ბურჟუაზია უკვე უკარნახებს მუშათა კურიას თავის ნებას.

მაგრამ კონფერენციამ, რომელმაც განაგრძო მუშაობა მენშევიკების წასვლის შემდეგ, იმის გამო, რომ პეტერბურგში არ არსებობს შავრაზმული საფრთხე, აგრეთვე კადეტების ჰეგემონიის ძირის გამოთხრისა და მათი გავლენისაგან წვრილი დემოკრატიული ბურჟუაზიის განთავისუფლების მიზნით, — გადაწყვიტა შეუთანხმდეს ესერებსა და ტრუდოვიკებს იმის შესახებ, რომ ადგილების განაწილება მოხდეს გარკვეულ პირობებში (2 — მუშათა კურიას, 2 — სოციალ-დემოკრატებს, 1 — ესერებს, 1 — ტრუდოვიკებს).

ბურჟუაზიული პრესა ზეიმობდა: ტრუდოვიკებმა და ესერებმა ბლოკი შეჰკრეს სახალხო სოციალისტებთან, ეს ბლოკი კი კადეტებს ეტმასნება, მენშევიკები გამოეყვნენ — ბოლშევიკები განმარტოებული არიან! რევოლუციური ტაქტიკა დაგმობილია, «მშვიდობიანი საშუალებანი» იმარჯვებენ, გაუმარჯოს მონარქიასთან შეთანხმებას, ძირს მასობრივი სახალხო ბრძოლის გზა.

კადეტები, რაკი მათ სოციალ-დემოკრატები გათიშეს და პროლეტარიატის რევოლუციური ჰიდრა დააუძლურეს, ურცხვად გაურიგდნენ... ბ-ნ სტოლიპინს. გაზეთების ცნობით, ამ დღეებში მილიუკოვს დანიშნული აქვს აუდიენცია პრემიერ-მინისტრთან; პრემიერ-მინისტრი კადეტური პარტიის ლეგალიზაციის პირობად აყენებს მოთხოვნას — არავითარი ბლოკი მემარცხენეებთან. კადეტები მთელ «მემარცხენე» — ნამდვილად კი წვრილბურჟუაზიულ — ბლოკს (სა-

ხალხო სოციალისტები, ესერები, ტრუდოვიკები და მენშევიკები) აძლევენ მხოლოდ 2 ადგილს პეტერბურგის 6 სადეპუტატო ადგილიდან. «ქანდარას» რომ დაუთმონ, კადეტები მზად არიან 2 ადგილი უწყალობონ აბეზარ წვრილბურჟუაზიულ ბლოკს. კადეტები დარწმუნებული არიან, რომ მემარცხენე ბლოკი ამაზე არ დათანხმდება, — ამიტომ მათ მოლაპარაკება აქვთ შავრაზმელთა მეთაურთან — სტოლიპინთან.

სურათი იცვლება. იწყება საარჩევნო კამპანია. იმართება წინასაარჩევნო კრებები. მენშევიკები, რომელნიც ძალიან, ძალიან ნაკლებად გამოდიან ამ კრებებზე, გაუბედავად ტიტინებენ: შეთანხმება კადეტებთანაო. ბოლშევიკები, რომელნიც ყველა კრებაზე გამოდიან, პროლეტარებსა და ნახევრადპროლეტარებს იწვევენ ერთიან მუშათა პარტიაში — სოციალდემოკრატიულ პარტიაში, ყველა ამომრჩეველ რევოლუციონერსა და დემოკრატს იწვევენ ერთიან რევოლუციურ ბლოკში შავრაზმელებისა და კადეტების წინააღმდეგ. კადეტებს ლაპარაკის ნებას არ აძლევენ; ბოლშევიკებს ტაშით ხვდებიან. ქალაქის დემოკრატია — მუშური და წვრილბურჟუაზიული — მარცხნივ მიდის და თავიდან იშორებს კადეტების უღელს.

სურათი იცვლება: «შემთანხმებლები» ცოფსა ჰყრიან. ისინი დორბლმორეულნი ლაპარაკობენ ბოლშევიკებზე. ძირს ბოლშევიკები! «ნოვოე ვრემია»[16] და «ტოვარიშჩი», ოქტიაბრისტები და კადეტები, ვოდოვოზოვები და გრომანები გულისამაჩუყებელი ერთსულოვნებით აცხადებენ საღვთო ომს ბოლშევიზმის წითელი აჩრდილის წინააღმდეგ. თუ ოდესმე ბოლშევიზმი საჭიროებდა თავისი რევოლუციური და კლასობრივი ტაქტიკის გამართლებას, მას ეს გამართლება მოუპოვა იმ გაცოფებამ, რითაც მას თავს ესხმის მთელი ბურჟუაზიული პრესა. თუ წვრილბურჟუაზიულ რევოლუციურ დემოკრატიას, რომელიც გულწრფელად ესწრაფვის თავისი ლოზუნგების განხორციელებას, ესაჭიროებოდა თვალსაჩინო გაკვეთილი, — მან ეს გაკვეთილი მიიღო იმ ზიზღით, რითაც მას

მოეპყრო მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია, იმ შემთანხმებელი (მთავრობასთან) პოლიტიკით, რომელსაც კადეტები ხალხის ზურგს უკან აწარმოებენ.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ქალაქისა და სოფლის მთელ დემოკრატიულ ღარიბობას ეუბნება: მხოლოდ პროლეტარიატთან კავშირით, მხოლოდ კადეტური მეურვეობისაგან განთავისუფლებით, მხოლოდ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი და თანამიმდევარი ბრძოლით შეგიძლია იხსნა შენი თავი. თუ შენ საკმაოდ მომწიფებული ხარ ამისთვის, — პროლეტარიატს გაჰყვები. თუ არ მომწიფებულხარ ამისათვის, — კადეტების მეურვეობაში დარჩები, პროლეტარიატი კი, როგორც უნდა დამთავრდეს საარჩევნო კამპანია, როგორც უნდა გათავდეს ადგილებისათვის ვაჭრობა თქვენს შორის, — მიდის და მომავალშიც ივლის თავისი განსაკუთრებული, კლასობრივი, რევოლუციური გზით.

მენშევიზმი მძიმე განსაცდელშია. საარჩევნო კამპანია მისი ოპორტუნისტული ტაქტიკის ქვაკუთხედად იქცა. სოციალ-დემოკრატიის ნაწილი ბურჟუაზიულ იდეოლოგთა ჰეგემონიის ქვეშ მოექცა. ბურჟუაზიული იდეოლოგები შეუბრალებლად აბიაბრუებენ მენშევიკებს, როგორც «ზომიერ სოციალისტებს» («რეჩის» გამოთქმაა), რომელთა იმედი შეიძლება ყოველთვის იქონიოს კაცმა. მათი მემარჯვენე მეგობრები ანგარიშს არ უწევენ მათ და მხოლოდ... იმედი აქვთ, რომ მენშევიკები ერთგულ სამსახურს გაუწევენ კადეტებს. სოციალ-დემოკრატიის ნაწილი ისეთ სამარცხვინო მდგომარეობამდე მივიდა, რომ ლიბერალური ბურჟუაზია მას ისე ექცევა, როგორც თავის მორჩილ იარაღს, და რევოლუციურად განწყობილი პროლეტარიატი ამჯობინებს უმალ ხმა მისცეს ესერებს (როგორც ეს მოხდა რწმუნებულთა არჩევის დროს მენშევიზმის ციტადელში — ვიბორგის რაიონში), ვიდრე ა მ ნ ა ი რ სოციალ-დემოკრატებს.

ოპორტუნიზმის კრიზისი ახლოვდება. «შემთანხმებლებთან» შეთანხმება საბოლოო ლახვარს სცემს მენშევიზმს. ვასილიევებმა, მალიშევსკებმა და ლარინებმა გზა გაიკვლიეს... სასაფლაოსაკენ. მენშევიკების რიგებში დიდი შეშფოთება და თვითგამორიცხვაა. მარტოვი პარტიიდან აძევებს ვასილიევებს და მალიშევსკებს. დაე, მუშებმა მენშევიზმის სული განდევნონ პარტიიდან!

«პროლეტარი» № 12,
1907 წ. 25 იანვარი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

# არჩევნები პეტერბურგის მუშათა კურიაში

მუშათა რწმუნებულების არჩევნები რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებასა და ჩვენი მუშათა მოძრაობის ისტორიაში მეტად დიდი მოვლენაა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ღირსეულად შეფასებული.

ყველა პარტია, რომელთაც თუნდაც რაიმე დასაყრდენი აქვთ პროლეტარიატში, პირველად გამოვიდა მუშათა მასის წინაშე არა ზოგადი პროგრამებითა თუ ლოზუნგებით, არამედ გარკვეული პრაქტიკული კითხვით: რომელი პარტიის კანდიდატებს ანდობს მუშათა მასა თავისი ინტერესების დაცვას? რასაკვირველია, სისტემა არჩევნებისა მუშათა კურიაში, როგორც ყველასთვის ცნობილია, ძალიან შორს არის ნამდვილი დემოკრატიული წარმომადგენლობისაგან. მაგრამ მუშათა მასა მაინც გამოდის არჩევნებში. და პარტიების ბრძოლა, სახელდობრ როგორც გარკვეული პოლიტიკური პარტიების ბრძოლა, რუსეთში პირველად მიმდინარეობს მუშათა ფართო მასის წინაშე.

მუშათა რწმუნებულების არჩევნები რუსეთის მრავალ ადგილას უკვე მოხდა. მაგრამ ცოტად თუ ბევრად სრული და ზუსტი მონაცემები ამ არჩევნების მონაწილე პარტიათა ბრძოლის შესახებ ჩვენ არა გვაქვს. გაზეთები მხოლოდ მე-

ტად ზოგად და თანაც დაახლოებითს, «ერთი თვალის გადავლებით» მიღებულ დასკვნებს იძლევიან. თუ პარტიული მუშაკები და განსაკუთრებით თვითონ მოწინავე მუშები ხელს არ მოჰკიდებენ მუშათა კურიის არჩევნების მსვლელობისა და შედეგების შესწავლის აუცილებელ და მეტად საჭირო საქმეს, ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ პარტიული მუშაობისა და პარტიული აგიტაციის შემდგომი განვითარებისათვის უაღრესად ძვირფას და საჭირო მასალას დავკარგავთ.

რუსეთში მუშათა კურიის არჩევნების საერთო შთაბეჭდილება ყველა გაზეთის ერთსულოვანი აღიარებით ასეთია: სრული გამარჯვება უკიდურეს მემარცხენეთა, უწინარეს ყოვლისა სოციალ-დემოკრატიის, შემდეგ — სოციალისტ-რევოლუციონერებისა.

არჩევნებმა ბრწყინვალედ დაადასტურა სოციალ-დემოკრატიის ძირითადი დებულება: პროლეტარიატი რევოლუციურია, როგორც კლასი. პროლეტარული მასა თავისი მისწრაფებითა და სიმპათიით სოციალ-დემოკრატიულია. პროლეტარიატი რუსეთის ყველა კლასზე უფრო რევოლუციურია.

არჩევნებმა ფაქტიურად გაბათილა ის აზრი, თითქოს რუსეთში სოციალ-დემოკრატიული პარტია არ არის მუშათა პარტია. მხოლოდ განზრახ ტყუილის მოლაპარაკე ლიბერალებს ან წინდაუხედავად მოლაყბე ოპორტუნისტებს შეუძლიათ ახლა დაეჭვდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მასობრივ პროლეტარულ ხასიათში.

თუ ამ ზოგადი დასკვნიდან უფრო კერძო დასკვნებზე გადავალთ, საჭიროა ჯერ შევნიშნოთ, რომ ცოტად თუ ბევრად სრული მასალა ჯერ კიდევ არა გვაქვს. მაგრამ ჩვენ მაინც არათუ დასაშვებად, არამედ უსათუოდ აუცილებლად მიგვაჩნია გავითვალისწინოთ მთელი რიგი შემდგომი დასკვნები, — სრულიადაც არა საკითხის გადაჭრის პრეტენზიით, არამედ იმისათვის, რომ ყველა ამხანაგის განსახილველად წამოვაყენოთ უდიდესი მნიშ-

ვ ნ ე ლ ო ბ ი ს  ს ა კ ი თ ხ ი, გამოვიწვიოთ აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მასალის შეკრება და სხვ.

გაზეთების პირველი ცნობების მიხედვით, თვალში გეცემათ განსხვავება საკუთრივ რუსეთსა და მრეწველობის მხრივ, კულტურის მხრივ და პოლიტიკურად გაცილებით უფრო განვითარებულ პოლონეთს შორის. რუსეთში, ყოველ შემთხვევაში სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში, ა რ ა რ ი ა ნ აშკარად ბურჟუაზიული პარტიები, რომელნიც თუნდაც ნაწილობრივ მაინც ეყრდნობოდნენ პროლეტარიატს. სრული უპირატესობა აქვთ მოპოვებული სოციალ-დემოკრატებს, გაცილებით ნაკლები გავლენით სარგებლობს ბურჟუაზიული დემოკრატიის უკიდურესი მემარცხენე ფრთა, რომელიც თავის თავს სოციალისტურს უწოდებს, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია. კადეტები მუშათა შორის არ არიან ან ყოვლად უმნიშვნელო რიცხვს შეადგენენ.

პოლონეთში არის და საგრძნობლადაც გამოჩნდა არჩევნებში აშკარად ბურჟუაზიული, კადეტებზე უფრო მემარჯვენე პარტია ნ ა რ ო დ ო ვ ც ე ბ ი ს ა (ნაროდოვი-დემოკრატები, ნ.-დ., ენ-დე-კები) [17]. პოლიციური და სამხედრო დევნით ამის ახსნა შეუძლებელია. ბურჟუაზია პოლონეთში მოხერხებულად იყენებს ყველა პოლონელის ნაციონალურ ჩაგვრას, ყველა კათოლიკეს სარწმუნოებრივ შევიწროებას, — ამიტომაც ის ეძებს და კიდევაც ნახულობს ერთგვარ დასაყრდენს მასაში. პოლონელ გლეხობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ უაზრობა იქნებოდა ამ განსხვავებიდან გამოგვეყვანა დასკვნა რუსეთის ჩამორჩენილობის თავისებურ უპირატესობათა შესახებ. არა, საქმე აიხსნება უფრო უბრალოდ, აიხსნება არა ნაციონალური, არამედ ისტორიულ-ეკონომიური განსხვავებით. რუსეთში გაცილებით მეტი ბატონყმური ნაშთია დარჩენილი დაბალ ფენებში, სოფლად, აგრარულ წყობაში; ამით აიხსნება მეტი პრიმიტიული და უშუალო რევოლუციურობა გლეხობაში და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ მუშათა კლასში. უეჭველია, ამ

რევოლუციურობაში უფრო ნაკლებია პროლეტარულ-კლასობრივი შეგნებულობა და მეტია ზოგად-დემოკრატიული (ეს კი ნიშნავს: შინაარსით — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული) პროტესტი. გარდა ამისა, ჩვენში ბურჟუაზია ნაკლებ განვითარებული, ნაკლებ შეგნებული, ნაკლებ გამოწრთობილია პოლიტიკურ ბრძოლაში. იგი უფრო იმიტომ კი არ გაურბის პროლეტარიატში მუშაობას, რომ არ შეუძლია მისი ესა თუ ის ნაწილი ჩამოგვაშოროს და გადაიბიროს, არამედ უფრო იმიტომ, რომ საზოგადოდ მას ძალიან არ ესაჭიროება ხალხზე დაყრდნობა (როგორც ევროპასა და პოლონეთში); მისთვის ჯერ საკმარისია პრივილეგიებზე, მოსყიდვაზე, უხეშ ძალაზე დაყრდნობა. ჩვენშიც დადგება დრო, როცა ბურჟუაზიის წრიდან გამოსული სხვადასხვა ყაიდის პირები მუშათა მასაში გაიტანენ როგორც ნაციონალიზმს, ისე რაიმე ჯურის ქრისტიანულ დემოკრატიზმს, ანტისემიტიზმს და ყოველგვარ ასეთ სისაძაგლეს!

გადავდივართ საკუთრივ რუსეთზე. უწინარეს ყოვლისა შესანიშნავია განსხვავება პეტერბურგსა და მოსკოვს შორის. მოსკოვში სოციალ-დემოკრატებმა სავსებით გაიმარჯვეს ესერებზე. ზოგიერთი, თუმცა ჯერ კიდევ არც თუ სავსებით შემოწმებული, ცნობით, იქ დაახლოებით 200 სოციალ-დემოკრატ რწმუნებულზე რაღაც 20 ესერი მოდის!

პეტერბურგში პირიქით: ყველა გაოცებულია ესერ რწმუნებულთა მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ი მაღალი პროცენტით. რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატები უმრავლესობას შეადგენენ, მაგრამ სავსებით როდი ჩრდილავენ ესერებს. ესერებს ითვლიან დაახლოებით 33% და 40%-საც კი (თუმცა, საეჭვოა ეს სწორი იყოს). რომელი ციფრიც უნდა ავიღოთ ჯერჯერობით, დაწვრილებითი მონაცემების შეკრებამდე, ყოველ შემთხვევაში მაინც გასაგებია, თუ რატომ გრძნობენ რიგითი სოციალ-დემოკრატები თავს პეტერბურგში ისე, თითქოს მუშათა კურიაში «ჩ ვ ე ნ დ ა გ ვ ა მ ა რ ც ხ ე ს». მესამედიც რომ იყვნენ ესერი რწმუნებულები, ეს უკვე სოციალ-დემოკრატიის ნ ა მ დ ვ ი-

ლ ი დამარცხებაა დედაქალაქში, — დამარცხება იმასთან შედარებით, რაც დანარჩენ რუსეთში ვნახეთ, და იმასთან შედარებით, რასაც ჩვენ ყველანი, როგორც სოციალ-დემოკრატები, ნორმალურად და აუცილებლად ვთვლით.

ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. პეტერბურგში, მუშათა კურიაში სოციალისტებმა უ დ ი დ ე ს ი უმრავლესობა ვერ მიიღეს, რადგან იქ ისინი უკან დასწია ბურჟუაზიული დემოკრატიის უკიდურესმა მემარცხენე ფრთამ! ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა უდიდესი ყურადღებით მოვეპყრათ ამ მოვლენას. ყველა სოციალ-დემოკრატმა უნდა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ ზუსტად შეისწავლოს და სწორად ახსნას ეს მოვლენა.

7 და 14 იანვრის არჩევნებით გაოცებული პეტერბურგელი სოციალ-დემოკრატების საერთო შთაბეჭდილება ასეთია: 1) ის დამარცხება, რაც სოციალ-დემოკრატებმა «სოციალისტ-რევოლუციონერთაგან» განიცადეს, ყველაზე საგრძნობია სწორედ უ დ ი დ ე ს ქარხნებში, ყველაზე შეგნებული და ყველაზე რევოლუციური პროლეტარიატის ამ მოწინავე ცენტრებში; 2) «სოციალისტ-რევოლუციონერები» იმარჯვებდნენ უ პ ი რ ა ტ ე ს ა დ და უმთავრესად მ ე ნ შ ე ვ ი კ სოციალ-დემოკრატებზე. იმ შემთხვევებში, როცა ესერების კანდიდატი და ბოლშევიკ სოციალ-დემოკრატების კანდიდატი იბრძოდნენ, გაცილებით უფრო ხშირად და უ მ ე ტ ე ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ც კ ი გამარჯვება სოციალ-დემოკრატიას ხვდებოდა.

აშკარაა, ორივე ამ დასკვნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც ჩვენ აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ეს იყოს მართლაც დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი ზუსტი, შემოწმებული მასალიდან, რომელიც არავითარ გაუგებრობას არ იწვევს, და არა მხოლოდ უბრალო შთაბეჭდილებანი. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი დასაჯერებელია, თითქმის შეუძლებელიცაა, რომ სანკტ-პეტერბურგის სულ სხვადასხვა რაიონის სოციალ-დემოკრატ მუშაკთა საერთო ხმა შემცდარი იყოს. რა თქმა უნდა, სასაცილო პედანტობა იქნებოდა სწორი

და ზუსტი სტატისტიკა მოგვეთხოვა დღეს რევოლუციონერებისაგან, რომელნიც სწორედ ამჟამად ყელამდე ჩაფლული არიან საარჩევნო მუშაობაში; მაგრამ ყოველ შემთხვევაში ძირითადი მასალის, მთავარი ციფრებისა და მონაცემების შეკრება შ ე ი ძ ლ ე ბ ა და კიდეც უ ნ დ ა მოხდეს, რადგან ეს აუცილებელია მ თ ე ლ ი ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მუშაობისათვის სანკტ-პეტერბურგში დიდი ხნის მანძილზე.

ქვემოთ ჩვენ უფრო დაწვრილებით ვეხებით ამ საკითხს (იხ. სტატია «სოციალ-დემოკრატებისა და ესერების ბრძოლა სანკტ-პეტერბურგის მუშათა კურიის არჩევნებში»). აქ კი დავჯერდებით სანკტ-პეტერბურგის მუშათა კურიის არჩევნებში სოციალ-დემოკრატიის ამ შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი დამარცხების პოლიტიკური მნიშვნელობის მარტოოდენ შეფასებას.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ რწმუნებულთა რიცხვის მიხედვით სოციალ-დემოკრატთა ჭარბობა აშკარა მაჩვენებელია იმ ს ა წ ა რ მ ო თ ა რ ი ც ხ ვ ი ს ჭარბობისა, სადაც სოციალ-დემოკრატებს ორგანიზაციული უჯრედები აქვთ მოწყობილი. უფრო დაწვრილებითი მონაცემები ალბათ დაადასტურებენ იმ დაკვირვებას, რაც უკვე მოახდინეს სოციალ-დემოკრატებმა ოქტომბრის თავისუფლებათა დღეებში, სახელდობრ იმას, რომ ესერები პროლეტარიატში არ აწარმოებენ არავითარ მტკიცე და ხანგრძლივ, სერიოზულ, ორგანიზაციულ მუშაობას, არამედ მოქმედებენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უეცარი თავდასხმით, ცდილობენ «გამოგლიჯონ» რეზოლუციები მიტინგებს სულიერი განწყობილების აღმავლობის დროს, სარგებლობენ ყოველი გამოცოცხლებით, რათა მანდატებიც «გამოგლიჯონ» მყვირალა და ეფექტიანი «რევოლუციური» ფრაზებისა და სიტყვების საშუალებით.

ესერული გამარჯვების ა მ ელემენტს ალბათ ყოველი კეთილსინდისიერი მკვლევარი აღნიშნავს სანკტ-პეტერბურგის მუშათა კურიის ახლახან დასრულებულ არჩევნებშიც. საბოლოო ანგარიშით, აქ საქმე ის არის, რომ «რევოლუციურ» წვრილბურჟუაზიულ პარტიას საფუძვლიანი და მტკიცე პრო-

ლეტარული მუშაობა არ შეუძლია, — როგორც კი ოდნავ იცვლება სულისკვეთება, ის სრულიად ქრება მუშათა გარეუბნების ჰორიზონტიდან. იგი მხოლოდ ცალკეულ მომენტებში ახერხებს მასების ჯერ კიდევ მცირე პოლიტიკური მომზადების გამოყენებას, ის «ხიბლავს» მათ საკითხის ვითომდა ფართო (ნამდვილად კი ბუნდოვანი და ინტელიგენტურ-მოჩვენებითი) დაყენებით, სარგებლობს მათი კლასობრივი შეგნების განუვითარებლობით, დემაგოგიურად იყენებს ტრადიციულ «ლტოლვას მიწისადმი» იმ შემთხვევებში, როცა კიდევ ჯრსებობს სოფელთან კავშირი და სხვა და სხვა.

რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათი, რასაკვირველია, იწვევს იმას, რომ მუშათა უბნებს დროგამოშვებით «თავს ესხმის» დიდძალი რადიკალური და ჭეშმარიტად რევოლუციური ბურჟუაზიული ახალგაზრდობა, რომელიც ფეხქვეშ ვერავითარ კლასობრივ დასაყრდენს ვერა გრძნობს და ინსტინქტურად მიდის პროლეტარიატთან, როგორც თავისუფლებისათვის მ ე ბ რ ძ ო ლ ერთადერთ სერიოზულ მასასთან მაშინ, როცა ჰაერში რევოლუციის ახალი აღმავლობა, ახალი შეტევითი განწყობილება იგრძნობა. მუშათა მიტინგებზე ესერი ორატორები — ეს თავისებური გრიგალა-ფრინველები არიან, რომელნიც გვიჩვენებენ, რომ პროლეტარიატის სულისკვეთება მაღლა იწევს, რომ მან რაოდენადმე უკვე დაისვენა და განცდილ დამარცხებათა შემდეგ ძალღონე მოიკრიბა, რომ მასში ისევ იწყებს ფართოდ და ღრმად დუღილს რაღაც, რასაც მივყავართ ახალი ბრძოლისაკენ ძველი წყობილების წინააღმდეგ.

ამ ახსნას, უეჭველად, დაადასტურებს ოქტომბრისა და «სათათბიროს» პერიოდების შედარება თანამედროვე არჩევნებთან და უბრალო შეჯამება მონაცემებისა ესერთა მტკიცე ორგანიზებული უჯრედების შესახებ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, უდიდესი უგუნურება იქნებოდა მარტო ამ ახსნით დ ა ვ ჯ ე რ ე ბ ო დ ი თ და არ დაგვენახა ის, რომ ესერებმა სოციალ-დემოკრატებზე გ ა ი მ ა რ ჯ ვ ე ს სწორედ უდიდეს, ყველაზე შეგნებულ და ბრძოლაში გამობრძმედილ

ქარხნებში. მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენ ახლა უკვე ვიცით, რომ სინამდვილეში ბურჟუაზიული დემოკრატიის უკიდურესი მარცხენა ფრთა ამარცხებდა სრულებითაც არა სოციალ-დემოკრატიას, არამედ სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტულ გაუხამსებას.

რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატია უკან იხევდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წინაშე; სინამდვილეში ის ამარცხებდა მხოლოდ იმათ, ვინც კუდში მისჩანჩალებს არარევოლუციურ ბურჟუებს, ვინც ემხრობა კადეტებთან ბლოკს. ამას სავსებით აშკარად მოწმობს როგორც სოციალ-დემოკრატ მუშაკთა ჩვენება ესერული გამოსვლების ხასიათზე, ისე მონაცემები მენშევიკებზე ესერული «გამარჯვების» მომენტის შესახებ.

პეტერბურგში არჩევნები მოხდა 7 და 14 იანვარს. მუშურმა პეტერბურგმა სწორედ 7 იანვარს გაიგო, რომ 31 მენშევიკი გამოეთიშა სოციალ-დემოკრატიულ კონფერენციას სათათბიროს ადგილების საკითხზე კადეტებთან ვაჭრობის გასამართავად. შემდეგ მთელი კვირა ზეიმობდა და ხმაურობდა სანკტ-პეტერბურგის მთელი ბურჟუაზიული პრესა, რომელიც აქებდა მენშევიკებს, აყენებდა მათ კადეტების გვერდით, აქებდა მათს განდგომას რევოლუციისაგან და გადასვლას «პოზიციურ ბლოკში», «ზომიერ-სოციალისტურ პარტიებში» და სხვა და სხვა.

დიდ ქარხნებში მენშევიკების განადგურება პირველი გაფრთხილებაა, რომელიც პროლეტარულმა მასებმა მისცეს მერყევ ინტელიგენტურ ოპორტუნისტებს!

მენშევიკებმა პირი იბრუნეს კადეტებისაკენ, — პეტერბურგის პროლეტარიატმა ზურგი შეაქცია მენშევიკებს.

ესერებმა ისარგებლეს სოციალ-დემოკრატიის განხეთქილების მომენტით, გამოიყენეს მუშათა აღშფოთება კადეტისმაგვარი მენშევიკების წინააღმდეგ, გამოიყენეს მარჯვედ და

მოურიდებლად. გარეუბნებში ისინი თავს ესხმოდნენ სოციალ-დემოკრატებს კადეტებთან ბლოკის გამო (ბოლშევიკებსა და რსდმპ პეტერბურგის კომიტეტზე კი ხმას არ იღებდნენ), ხოლო ქალაქში ისინი თვითონ ევაჭრებოდნენ კადეტებს! ახლა გასაგებია, თუ რატომ უმალავდნენ და უმალავენ ასე გულმოდგინედ საზოგადოებას თავის შეხედულებებსაც, თავის დადგენილებებსაც კადეტებთან ბლოკის შესახებ, თავის ბლოკსაც სახალხო სოციალისტებთან, და სხვა, და სხვა, და სხვა*. მენშევიზმის ყველა ცოდვას ისინი ფარულად სჩადიან, მუშების წინაშე კი ტაშს იმსახურებენ და მენშევიზმის განიავებით მანდატებს იხვეჭენ!

რსდმპ სემიანიკოვის ქვერაიონული კავშირის ორგანიზატორი, რომლის ანგარიშითაც ჩვენ ქვემოთ ვსარგებლობთ, თავის ანგარიშში სემიანიკოვის უდიდეს ქარხანაში მომხდარი არჩევნების შესახებ წერს: მიუხედავად ბოლშევიკების პროტესტისა, მენშევიკებმა წამოაყენეს ამხანაგ X-ის[18] კანდიდატურა. «წინასაარჩევნო კრებაზე ქარხანაში გამოვიდა ინტელიგენტი ესერი; მან სასტიკად გააკრიტიკა კადეტებთან შეთანხმების სასარგებლოდ წამოყენებული მენშევიკური საბუთები ამხანაგ X-ისა და ამხ. X-ი, როგორც მუშები ამბობდნენ, ჩაფლავდა». მენშევიკებმა სრული დამარცხება განიცადეს მასის წინაშე. «როცა მასამ გაიგო, — ვკითხულობთ იმავე ანგარიშში, — რომ სოციალ-დემოკრატი კანდიდატები კადეტებთან შეთანხმებას ემხრობიან და რომ ეს კანდიდატები მენშევიკები არიან, მაშინ აქვე (ქარხანაში) პირდაპირ დაიწყეს ლაპარაკი, მენშევიკებს ხმას არ მივცემთო».

აქედან სავსებით გასაგები ხდება, თუ რატომ იყვნენ მენშევიკები სოციალ-დემოკრატიული კონფერენციის არჩევნების დროს იმის წინააღმდეგი, რომ კენჭისყრა პლატფორმების მიხედვით მომხდარიყო, ე. ი. რატომ იყვნენ წინააღმდეგი, რომ

* მათ თავიანთი პეტერბურგის კომიტეტის რეზოლუცია გამოაქვეყნეს უკვე მუშათა კურიის არჩევნების შემდეგ.

თვით მასას უშუალოდ მიეცა ხმა კადეტებთან ბლოკის საკითხზე!

...«მენშევიკების საფაბრიკო ქვერაიონში, ნევის სტეარინის ქარხანაში მუშა ნ. მ. — მ, რომელიც რწმუნებულად დაასახელეს, პირდაპირ განაცხადა: «მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ კადეტებთან შეთანხმებას, მე ესერებთან გადავდივარო». და გადავიდა და კიდევაც აირჩიეს რწმუნებულად!!».

აი რა სამარცხვინო მდგომარეობამდე მიიყვანეს სოციალ-დემოკრატია ამ უბადრუკმა ოპორტუნისტებმა, რომლებიც არ მოერიდნენ იმას, რომ არჩევნების წინ გამოსთიშოდნენ მუშათა პარტიას კადეტებთან ადგილების შესახებ ვაჭრობის გასამართავად!

ყოველმა სოციალ-დემოკრატმა, რომელიც პროლეტარული პარტიის ღირსებასა და უმწიკვლო სახელს იცავს, აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა უნდა გამოიტანოს: ულმობელი ომი მენშევიზმის წინააღმდეგ პეტერბურგში. ჩვენ უნდა დავანახოთ მუშებს ის ადამიანები, რომელნიც თავისი კადეტური პოლიტიკით მუშებს სოციალიზმიდან რევოლუციური ბურჟუაზიისაკენ ეზიდებიან.

ესერებმა უდიდესი ქარხნები წაართვეს მენშევიკებს. ჩვენ ხელახლა უნდა წავართვათ ისინი ესერებს. ჩვენ უნდა გავგზავნოთ აგიტატორთა ახალი ძალები, ახალი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა სწორედ დიდ ქარხნებში, რათა ავუხსნათ და განვუმარტოთ მუშებს, თუ როგორ ჩავარდნენ ისინი კადეტთა მოყვარული მენშევიკების ხელიდან კადეტთა მოყვარული ესერების ხელში!

საარჩევნო კამპანიის მთელი მსვლელობა პეტერბურგში, ყველა მონაცემი მენშევიკთა დაუსრულებელ ქანაობაზე, მათ ჭაპანწყვეტაზე, რომ შესულიყვნენ (მუშათა პარტიისაგან გათიშვის შემდეგ) კონტრრევოლუციურ კადეტურ ბლოკში, ყველა მონაცემი იმაზე, თუ როგორ ევაჭრებოდნენ ისინი ესერებთან ერთად კადეტებს ადგილებისათვის, — ყოველივე ეს უმდიდრეს მასალას გვაძლევს პეტერბურგის

დიდ ქარხნებში მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ საბრძოლველად.

დიდი ქარხნები უნდა გახდნენ და კიდევაც გახდებიან რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მტკიცე დასაყრდენი, რომელიც მიუწდომელი იქნება ოპორტუნისტებისთვისაც და რევოლუციური წვრილი ბურჟუებისთვისაც.

«პროსტიე რეჩი» № 3,
1907 წ. 30 იანვარი.

ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება
გაზეთ «პროსტიე რეჩის» ტექსტის
მიხედვით

# ს.-დ.-ებისა და ს.-რ.-ების ბრძოლა სანკტ-პეტერბურგის მუშათა კურიის არჩევნებში

იმ დიდმა წარმატებამ, რომელიც ესერებს ხვდათ მუშათა კურიის არჩევნებში, მრავალი სოციალ-დემოკრატი დააღონა. ამავე დროს ეს ფაქტი ფრიად აღსანიშნავია, იგი გვიჩვენებს სოციალ-დემოკრატების მიერ ჩადენილ სერიოზულ შეცდომას და ამიტომაც სერიოზულ გამორკვევას მოითხოვს. კი არ უნდა დავღონდეთ, კი არ უნდა ვიწუხოთ, არამედ უნდა შევისწავლოთ ახლახან დასრულებული არჩევნები, რათა გამოვარკვიოთ მათი შედარებითი წარუმატებლობის მიზეზები და უზრუნველვყოთ სოციალ-დემოკრატიის შემდგომი მუშაობის სწორი დაყენება მუშათა შორის.

მუშების რწმუნებულთა არჩევნების ამგვარი შესწავლისათვის მშვენიერ მასალას იძლევა რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის «ნევის რაიონის სემიანიკოვის ქვერაიონული კავშირის ანგარიში» 1906 წ. 15 ნოემბრიდან 1907 წ. 15 იანვრამდე.

ეს «ანგარიში» მთლიანად არ მოგვყავს, ვიღებთ მხოლოდ ზუსტ ციფრებს, რომლებიც ეხება სოციალ-დემოკრატ მენშევიკთა და ბოლშევიკთა ბრძოლას სოციალისტ-რევოლუციონერთა წინააღმდეგ რწმუნებულთა არჩევნების დროს პეტერბურგის მუშათა ერთერთი ყველაზე დიდი (და ისტორიულად ყველაზე თვალსაჩინო) გარეუბნის 23 ქარხანასა და ფაბრიკაში.

ეს ციფრები ცალკ-ცალკე მოგვყავს თვითეული ქარხნისა თუ ფაბრიკის მიხედვით, რათა ყოველ მცოდნე მუშაკს შეეძ-

ლოს ჩვენი მონაცემების შემოწმება და შესწორება; ამასთან ქარხნებს ვყოფთ იმისდაკვალად, თუ სად იყვნენ ბოლშევიკი კანდიდატები და სად — მენშევიკი კანდიდატები. უდავოდ დიდი ქარხნების, ე. ი. ისეთი ქარხნების სახელწოდებანი, რომლებმაც ერთ რწმუნებულზე მეტი მოგვცეს, აწყობილია კურსივით:

| ქარხნები, სადაც წამოყენებული იყვნენ ბოლშევიკი კანდიდატები: | არჩეულ რწმუნებულთა რიცხვი ს.-დ. | ს.-დ. თანამგრძნობი | ს.-რ. |
|---|---|---|---|
| რუსულ-ამერიკული მექანიკური | 1 | — | — |
| საარმატურო | 1 | — | — |
| ოფენბახერი | 1 | — | — |
| უპენეკი | 1 | — | — |
| შპალსაფლენთი | 1 | — | — |
| ყოფ. ონუფრიევისა | 1 | — | — |
| სანიენივო | — | 1 | — |
| პალი | 2 | — | 1 |
| ვენა | 1 | — | — |
| ატლასი | 1 | — | — |
| ალექსანდრეს ვაგონმშენებელი | 1 | — | — |
| თუჯისა | — | — | 1 |
| სულ 12 ქარხანაში | 11 | 1 | 2 |

| ქარხნები, სადაც წამოყენებული იყვნენ მენშევიკი კანდიდატები: | | | |
|---|---|---|---|
| სემიანიკოვის ქარხანა | — | — | 5 |
| მაქსველი | 1 | — | 1 |
| ტორნტონი | 1 | — | — |
| გრომოვი | 1 | — | — |
| ნაუმანი | 1 | — | — |
| გრაპი | 1 | — | — |
| ალექსეევი | 1 | — | — |
| ნევის სტეარინისა | — | — | 1 |
| ვარგუნინი | — | — | 1 |
| ობუხოვისა | — | — | 4 |
| სათამაშო ქაღალდისა | | გამოურკვეველი | ერთი |
| სულ 11 ქარხანაში | 6 | — | 12 |
| | | და ერთი | გამოურკვეველი |
| სულ 23 ქარხანა-ფაბრიკაში | 17 | 1 | 14 |
| | | და ერთი | გამოურკვეველი |

ამ ციფრებიდან, უწინარეს ყოვლისა, ჩანს, რომ საერთოდ სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს ესერებზე. სოციალ-დემოკრატებმა გაიყვანეს 18 რწმუნებული (სოციალ-დემოკრატებს ვუერთებთ სოციალ-დემოკრატიის ერთ თანამგრძნობს), მაშინ როდესაც ესერებმა მხოლოდ 14 გაიყვანეს.

შემდეგ, ამ ციფრებიდან ნათლად ჩანს, რომ 1) უდიდეს ქარხნებში მთლიანად და საერთოდ ესერებმა გაიმარჯვეს; 2) ესერები საერთოდ ამარცხებდნენ მენშევიკ სოციალ-დემოკრატებს; 3) ბოლშევიკი სოციალ-დემოკრატები საზოგადოდ ამარცხებდნენ ესერებს.

მართლაც, თუ წინ დავაყენებთ ოთხ უდიდეს ქარხანას, ე. ი. იმათ, რომლებმაც თითო რწმუნებულზე მეტი მოგვცეს, მივიღებთ ჯამს: იქ სულ არჩეულია 14 რწმუნებული (მაშასადამე, 14 000 მუშისაგან), რომელთაგან 11 ესერია და 3 — სოციალ-დემოკრატი. დანარჩენ 18 უფრო პატარა ქარხანაში არჩეულია 15 სოციალ-დემოკრატი და 3 ესერი. ამ ქარხნების მუშათა საერთო რიცხვი ჩვენ არ ვიცით, — იგი შეიძლება 18 000-ზე მეტი იყოს, ვინაიდან 2 000 მუშაზე ნაკლები ერთ რწმუნებულს გზავნის, მაგრამ შეიძლება 18 000-ზე ნაკლებიც იყოს, ვინაიდან ყველა საწარმო, სადაც 50 და მეტი მუშაა, თითო რწმუნებულს გზავნის.

მაშასადამე, უნდა შეიცვალოს საერთო დასკვნა ნევის რაიონში ესერებზე სოციალ-დემოკრატების გამარჯვების შესახებ: უდიდეს ქარხნებში ესერებმა გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებზე! რწმუნებულთა რიცხვის მაჩვენებელი ციფრები ჯერ კიდევ საკმარისი არ არის ზედმიწევნით სწორი დასკვნისათვის: საჭიროა ციფრები ქარხნების მიხედვით, და, გარდა ამისა, საჭიროა მონაცემები მუშათა რიცხვზე თვითეულ ქარხანაში, აგრეთვე — ხმის მიმცემთა რიცხვზე თვითეულ ქარხანაში.

გარდა ამისა, მოყვანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ ესერების გამარჯვებაში საკუთრივ დამ-

ნაშავენი არიან მენშევიკები. მენშევიკებმა მისცეს ესერებს 12 ადგილი, 18-იდან 12, — ბოლშევიკებმა კი მისცეს სულ 2 ადგილი (14-იდან).

ბოლშევიკურ ქარხნებში (ბოლშევიკურად ვთვლით არა იმ ქარხნებს, სადაც ბოლშევიკები საზოგადოდ მუშაობენ, არამედ იმათ, სადაც ესერების წინააღმდეგ წამოყენებული იყვნენ ბოლშევიკური კანდიდატები) ესერები აშკარად დამარცხებული არიან, კერძოდ დამარცხებული არიან ყველაზე დიდ ფაბრიკაში — პალის ფაბრიკაში, სადაც სამი რწმუნებულიდან ბოლშევიკებმა ორი გაიყვანეს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენ ხელთ არა გვაქვს ცნობები იმ შემთხვევათა შესახებ, როცა ესერები საზოგადოდ აყენებდნენ თავის კანდიდატებს, რომ, მაშასადამე, სავსებით სავარაუდოა ესერების დამარცხება როგორც რუსულ-ამერიკულ მექანიკურ, ისე ალექსანდრეს ვაგონმშენებელ ქარხნებში, «ატლასში» და სხვა, — მაშინ შეიძლება დავასკვნათ: საერთოდ, ბოლშევიკებმა დაამარცხეს ესერები.

პირიქით, მენშევიკურ ქარხნებში სოციალ-დემოკრატია დამარცხდა: ესერებმა მოიპოვეს 12 ადგილი, სოციალ-დემოკრატებმა — მხოლოდ 6. აშკარაა, საერთოდ ესერები ამარცხებენ მენშევიკებს პროლეტარიატის მასის წინაშე.

ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, რამდენად შეგვიძლია მთელ პეტერბურგზე გავავრცელოთ ის დასკვნები, რაც ნევის რაიონის ცნობებიდან მივიღეთ. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ «მთელი სოციალ-დემოკრატიული პეტერბურგი» ლაპარაკობს ესერების მოულოდნელ გამარჯვებაზე დიდ ქარხნებში, ხოლო სოციალ-დემოკრატიულ რწმუნებულთა საერთო რიცხვი, ეტყობა, ესერულ რწმუნებულთა რიცხვზე გაცილებით მეტია, — თუ ამას მხედველობაში მივიღებთ, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ნევის რაიონის მონაცემები ცოტად თუ ბევრად ტიპიური უნდა იყოს. იუწყებიან, რომ ვასილის კუნძულზე, მენშევიზმის ცენტრში, ბალტიის ქარხანაში

ესერებმა დაამარცხეს მენშევიკები ხმების უდიდესი უმრავლესობით: მათ მიიღეს 1 600-მდე ხმა, მენშევიკებმა კი — 100-ზე ნაკლები. პირიქით, იქვე, დიდ სამილე ქარხანაში, ესერებმა შეაგროვეს აგრეთვე 1 600-მდე ხმა, ბოლშევიკებმა კი — დაახლოებით 1 500, ამასთან ბოლშევიკებმა არჩევნები გააპროტესტეს, ერთი ყუთის გატეხის გამო არჩევნები უსწოროდ გამოაცხადეს და არჩევნების კასაცია მოითხოვეს. ან მეორე ცნობა: ფრანგულ-რუსულ ქარხანაში, საიდანაც მეტისმეტად თავაშვებულმა მენშევიკმა ინტელიგენტებმა პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულ კონფერენციაზე 370 მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკური ხმა «მოიტანეს», რწმუნებულებად გავიდნენ ბოლშევიკი და ესერი. ვიბორგის რაიონში, მენშევიზმის ამ ციტადელში, ესერებმა დაამარცხეს მენშევიკი სოციალ-დემოკრატები, და სხვა და სხვა.

ყველა ამ ცნობის შესამოწმებლად და ზუსტი მონაცემების მისაღებად, აუცილებლად საჭიროა დაუყოვნებლივ, სანამ არჩევნების შთაბეჭდილება არ გამქრალა, შეიკრიბოს მასალა ყველა იმ ფაბრიკა-ქარხნის შესახებ, რომლებმაც რწმუნებულნი აირჩიეს. ადგილობრივ სოციალ-დემოკრატ მუშაკებს არ გაუჭირდებათ შეაგროვონ და ჩაიწერონ ციფრები თვითეული ქარხნის შესახებ ცალკ-ცალკე. ხოლო ყველა ამ ციფრის ჯამი აუცილებელია სოციალ-დემოკრატიისათვის, რათა იგი სავსებით შეგნებულად შეხვდეს არჩევნებს, — სულმოკლედ არ მიაფუჩეჩოს თავისი შეცდომები და ნაკლოვანებანი, არამედ პარტიული კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს ისინი და ყველა ღონისძიება მიიღოს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შეუძლებელია მტკიცედ გამართული სოციალ-დემოკრატიული მუშაობა ვაწარმოოთ სანკტ-პეტერბურგში, თუ ძალიან გულდასმით არ ვადევნებთ თვალყურს მუშათა მასის ხმის მიცემას ამა თუ იმ პარტიის კანდიდატებისათვის. ბურჟუაზიული პარტიებისათვის მნიშვნელობა აქვს მხო-

ლოდ მანდატების განსაზღვრული რაოდენობის მიღებას. ჩვენთვის კი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თვით მასამ გ ა ა რ-კ ვ ი ო ს და შეიგნოს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს მოძღვრება და ტაქტიკა, წინააღმდეგ ყველა წვრილბურჟუაზიული პარტიისა, რომლებიც თავის თავს თუნდაც რევოლუციურ, სოციალისტურ პარტიებს უწოდებენ. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ ზუსტი და სრული მონაცემები მივიღოთ სანკტ-პეტერბურგის მუშათა კურიის კენჭისყრისა და არჩევნების შესახებ.

ამიტომ ჩვენ მტკიცე თხოვნით მივმართავთ სანკტ-პეტერბურგის ყველა ადგილობრივ, რაიონულ და ქვერაიონულ სოციალ-დემოკრატ მუშაკს — მოგვაწოდონ ზუსტი მონაცემები დაახლოებით შემდეგი პროგრამის მიხედვით: 1) რაიონი; 2) ქარხნის სახელწოდება; 3) მუშათა რიცხვი; 4) ხმის მიმცემთა რიცხვი; 5) მებრძოლ კანდიდატთა მიმართულება: ესერები, ბოლშევიკი, მენშევიკი, სხვა პარტიები; 6) თ ვ ი თ ე უ ლ ი კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რიცხვი. ამგვარი მონაცემების ჯამი მტკიცე დასაყრდენს მოგვცემს სოციალ-დემოკრატიული მუშაობის სხვადასხვა მხარის შესაფასებლად და შემდგომ არჩევნებში ჩვენი წარმატებისა თუ წარუმატებლობის გასათვალისწინებლად.

«პროსტიე რეჩი» № 3,
1907 წ. 30 იანვარი

იბეჭდება
გაზეთ «პროსტიე რეჩის».
ტექსტის მიხედვით

# როგორ მივცეთ ხმა პეტერბურგის არჩევნებში?

## (ვისთვის არის ხელსაყრელი შავრაზმული საფრთხის ზღაპრები?)

რევოლუციური მიმართულების სოციალ-დემოკრატები უკვე დიდი ხანია აღნიშნავდნენ, რომ შავრაზმული საფრთხის ზღაპრებს განზრახ თხზავენ და ავრცელებენ კადეტები, რომლებიც ამით ცდილობენ დაიშორონ მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ს ა ფ რ თ ხ ე.

სოციალ-დემოკრატებს არ უსმენდნენ. ლიბერალური პრესა ერთხმად გაჰყვიროდა და გაჰყვირის შავრაზმულ საფრთხეზე. წვრილბურჟუაზიული რადიკალები, ნაროდნიკები, გულუბრყვილოდ უკრავდნენ კვერს ლიბერალებს. სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტებიც ლიბერალებს მისჩანჩალებდნენ კუდში და ხანდახან (როგორც, მაგალითად, პეტერბურგში) იქამდე მიდიოდნენ, რომ პირდაპირ შტრეიკბრეხერობას ეწეოდნენ პროლეტარიატის მიმართ.

აბა დახედეთ, რას გვიჩვენებს არჩევნები?

ახლა ყველა ხედავს, რომ ამომრჩეველთა სულისკვეთება მ ა რ ც ხ ნ ი ვ გადაიხარა. შავრაზმელები არჩევნებში შეუდარებლად უფრო ძლიერ დამარცხდნენ, ვიდრე შარშან. რევოლუციური სოციალ-დემოკრატები მ ა რ თ ა ლ ი ა ღ მ ო ჩ ნ დ ნ ე ნ. კენჭისყრის შავრაზმული საფრთხე — ზ ღ ა პ ა რ ი ა, შეთხზული კადეტების მიერ, რომელნიც ხალხის ზურგს უკან ევაჭრებიან სტოლიპინს. ჩვენ ვიცით, რომ პეტერბურგ-

ში ბ-ნმა ვოდოვოზოვმა, რომელიც შარშან კადეტებს აძლევდა ხმას, ახლა ზურგი შეაქცია მათ და საჯაროდ გამოააშკარავა მილიუკოვის ვიზიტი სტოლიპინთან! და მილიუკოვიც იძულებული იყო ეს ფაქტი ელიარებინა. იმას კი უ მ ა ლ ა ვ ს მილიუკოვი ხალხს, თუ კადეტების ლეგალიზაციის რა პირობებს უყენებდა მას სტოლიპინი!

თავიანთ გაზეთებში კადეტები ახლა წელებზე ფეხს იდგამენ, რომ სტოლიპინს დაუმტკიცონ თავისი ზომიერება, თავმდაბლობა, ლოიალობა, თავისი დამოუკიდებლობა «მემარცხენეებისაგან», მათ წინააღმდეგ საბრძოლველად მზადყოფნა.

მართლაცდა, ხომ ძალიან ხელსაყრელი და მოხერხებული პოლიტიკაა? სტოლიპინისა და მისი მეგობრების, ე. ი. შავრაზმელების გულს იგებენ «მემარცხენეთა» უარყოფის საშუალებით, პრესაში, კრებებზე, არჩევნებში მემარცხენეთა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებით. ხოლო მემარცხენეების, — უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მემარცხენეთა შორის გულუბრყვილოებისა და შტრეიკბრეხერების გულს იგებენ ყვირილით შავრაზმული საფრთხის შესახებ: ხმები რომ არ გაიყოს, ხმა მიეცით კადეტებსაო!

სწორედ ასეთი იყო კადეტების პოლიტიკა მოსკოვშიც. სათათბიროს ყოფილი წევრი და ერთერთი უთვალსაჩინოესი კადეტი, ბ-ნი კოკოშკინი, არჩევნების დღეს «რუსსკიე ვედომოსტში» [10] წერდა:

«ყველასთვის აშკარაა, რომ მემარცხენე ბლოკს არ შეუძლია მიიზიდოს იმ უპარტიოთა ხმები, რომლებიც «ოქტიაბრისტებსა» და «კადეტებს» შორის მერყეობენ; ის ერთ ხმასაც ვერ წაართმევს «17 ოქტომბრის კავშირს». მაგრამ მას შეუძლია სახალხო თავისუფლების პარტიას ხმები წაართვას და მ ი თ რ ე ა ქ ც ი ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ს ხ ე ლ ი შ ე უ წ ყ ო ს, — მის მოღვაწეობას, წარმატების შემთხვევაში, მ ხ ო ლ ო დ ა ს ე თ ი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი შ ე დ ე გ ი შ ე ი ძ ლ ებ ა მ ო ჰ ყ ვ ე ს».

ასე წერდა ბ-ნი კოკოშკინი დილით არჩევნების დღეს. და არჩევნებმა გვიჩვენეს, რომ ბ-ნი კოკოშკინი ა შ კ ა რ ა ტ ყ უ ი ლ ს ამბობდა. მემარცხენე ბლოკის მოქმედების შედეგმა გვიჩვენა, რომ მემარჯვენეთა გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა მოსკოვში

**შეუძლებელი** იყო, რამდენი ხმაც არ უნდა წაგვერთმია ჩვენ კადეტებისთვის!

მოსკოვის არჩევნებმა დაამტკიცეს, რომ შავრაზმული საფრთხის ზღაპარი კადეტური სიცრუეა, რომლის განმეორება ამიერიდან შეუძლიათ მხოლოდ შეგნებულ შტრეიკბრეხერებს მემარცხენეთაგან.

აიღეთ ხმების ციფრები უბნების მიხედვით. ეს ციფრები ჩვენ მთლიანად მოგვყავს ქვემოთ მოთავსებულ შენიშვნაში: «წინასწარი მონაცემები მოსკოვის არჩევნების შესახებ». ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ 16-იდან* 14 უბანში ოქტიაბრისტთა მიერ მიღებული ხმების რიცხვი კადეტთა და მემარცხენეთა საერთო ხმების ნახევარზე ნაკლები იყო. მაშასადამე, 14 უბანში მემარცხენეებს თავისი დამოუკიდებელი გამოსვლით არავითარ შემთხვევაში **არ შეეძლოთ** «რეაქციის გამარჯვებისათვის ხელის შეწყობა».

ბ-ნი კოკოშკინი სტყუოდა, ის ცილს სწამებდა მემარცხენე ბლოკს, ვითომ როგორც რეაქციის ხელშემწყობს!

ბ-ნი კოკოშკინი აშინებდა ამომრჩევლებს ტყუილი ჭორით შავრაზმული საფრთხის შესახებ, რათა ამომრჩეველს ხმა არ მიეცა მემარცხენე ბლოკისათვის.

ბ-ნ კოკოშკინს, ისე როგორც პეტერბურგელ კადეტებს, ეშინია ცენზიანი ამომრჩევლის წინაშეც კი დასვას საკითხი არსებითად, საკითხი იმის შესახებ, თუ ვის მხარეზეა ამომრჩევლის პრინციპული თანაგრძნობა — სტოლიპინის თანამოსაუბრეთა პარტიისა თუ სოციალ-დემოკრატიისა და ტრუდოვიკების მხარეზე. ბბ. კოკოშკინები, ისე როგორც პეტერბურგელი კადეტები, სპეკულაციას ეწევიან, სარგებლობენ არა ამომრჩევლის შეგნებულობით, არამედ ფილის-

* სულ მოსკოვში 17 საარჩევნო უბანია. მაგრამ მე-17, პიატნიცკის, უბნის შესახებ სრული მონაცემები არა გვაქვს. კადეტებმა აქ მიიღეს არანაკლებ 1 488 ხმისა, ოქტიაბრისტებმა, მგონი, დაახლოებით 600; მემარცხენე ბლოკმა, მგონი, დაახლოებით 250.

ტ ე რ ი ს შ ი შ ი თ, ფილისტერისა, რომელიც გარეტიანებულია ლიბერალური მონური პრესის ღმუილით შავრაზმული საფრთხის შესახებ.

და მოსკოვის არჩევნები მართლაც დ ა მ ფ რ თ ხ ა ლ ი ფ ი ლ ი ს ტ ე რ ე ბ ი ს არჩევნები იყო. აი ამის დამამტკიცებელი საბუთი იმ წყაროს მიხედვით, რომელსაც ალბათ არავინ არ დასწამებს «ბოლშევიკების» თანაგრძნობას.

«ბირჟევიე ვედომოსტიმ» [20] 29 იანვარს მოათავსა მის მიერ სპეციალურად მივლინებული კორესპონდენტის წერილი იმის შესახებ, თუ «როგორ ირჩევს მოსკოვი ამრჩევლებს». აი რას წერს ეს კორესპონდენტი:

«როცა რიგს სტოვებენ, ამომრჩევლები განზე გადიან მოშორებით და შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს.

— რაო, რა ჰქენი, ალბათ, გრინგმუტს მიეცი ხმა არა? — ეკითხება მოიჯარადრე თავის ოსტატს.

— რას ამბობთ, სერგეი პეტრეს-ძევ, ჩვენ კადეტებს ვემხრობით, — უპასუხა დაბალმა და კასრივით ჩამრგვალებულმა ოსტატმა.

— რატომ მემარცხენე ბლოკს არა? — კვლავ ეკითხება მოიჯარადრე.

— საშიშია, ხმები გაიყოფა, — უპასუხებს ოსტატი».

აი რატომ აძლევდა მასობრივად ხმას ქალაქის ობივატელი კადეტებს მოსკოვში! ობივატელმა ხმა მისცა მემარცხენეთა წინააღმდეგ ა რ ა მ ა თ დ ა მ ი ა ნ ტ ი პ ა თ ი ი ს გ ა მ ო, არამედ იმიტომ, რომ «საშიშია, ხ მ ე ბ ი გ ა ი ყ ო ფ ა ო», ე. ი. იმიტომ, რომ მან დ ა უ ჭ ე რ ა კ ა დ ე ტ უ რ მ ა ტ ყ უ ა რ ე ბ ს, რომელთაც ისარგებლეს ყოველდღიური ლიბერალური გაზეთების მონოპოლიით ობივატელის გასაბრიყვებლად.

28 იანვრის არჩევნებმა მოსკოვში გვიჩვენეს, რომ ოთხი სიის დროს ხმები **ვერ გაიყოფოდა** ი ს ე, რ ო მ მ ო ს ა ლ ო დ ნ ე ლ ი ყ ო ფ ი ლ ი ყ ო შ ა ვ ე ბ ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ს ა ფ რ თ ხ ე.

კადეტებმა მოატყუეს მოსკოვის შეშინებული ობივატელი. დაე, იცოდნენ ეს პეტერბურგელმა ამომრჩევლებმა, დაე, მეორედ მაინც ნუღარ წამოეგებიან სტოლიპინთან მოვაჭრე კადეტების ანკესზე!

მკითხველთა ყურადღებას კვლავ მივაქცევთ 1906 და 1907 წლების მონაცემების შედარებას (მოსკოვის 9 უბნის მონაცემები; — სამწუხაროდ, უფრო სრული მონაცემები ხელთ არა გვაქვს). ცნობილია, რომ ყველა კადეტური ამყოლდამყოლი და შტრეიკბრეხერი მემარცხენეთაგან ჰგოდებს სენატის განმარტებებზე, რომელნიც ვითომ ამტკიცებენ, რომ 1906 წლის მონაცემებზე დაყრდნობა შეუძლებელია, რომ 1907 წლის არჩევნებში უარესს უნდა მოველოდეთ, რომ ახლა შავრაზმული საფრთხე არსებობსო.

მერედა, რა გვიჩვენა მოსკოვმა? 1906 წელს 9 უბანში კადეტებმა მიიღეს 13 220 ხმა, მემარჯვენეებმა — 5 669 (ოქტიაბრისტები) პლუს 690 (მონარქისტები), სულ 6 359 ხმა (შესაძლოა, ცოტა მეტიც, რადგან ჩვენ მიერ მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, რომ ამ ცხრა უბნიდან სრულებით არ არის რამდენიმე უბნის ცნობები მონარქისტთა ხმების რიცხვის შესახებ).

1907 წელს იმავე უბნებში შავების წინააღმდეგ მიცემული იყო 14 133 ხმა (მათ შორის 11 451 კადეტებისა და 2 682 მემარცხენეთა სასარგებლოდ), ხოლო შავებმა მიიღეს 5 902 ხმა (მათ შორის 4 412 — ოქტიაბრისტებმა და 1 490 — მონარქისტებმა).

ამრიგად, მიუხედავად სენატის განმარტებებისა, ხმის მიმცემთა რიცხვი 1907 წელს ცოტა მეტიც არის, ვიდრე 1906 წელს (20 025 წინააღმდეგ 19 579-ისა). შავების წინააღმდეგ მიცემული ხმების რიცხვი მეტია, ვიდრე 1906 წ. (14 133 ნაცვლად 13 220-ისა); შავების სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი ნაკლებია, ვიდრე 1906 წ. (5 902 ნაცვლად 6 359-ისა).

მოსკოვის გამოცდილება ფაქტიურად ამტკიცებს, რომ 1906 წლის მონაცემებს შეიძლება სავსებით დავეყრდნოთ, რადგან 1907 წლის მონაცემები გვიჩვენებენ უკეთესობისაკენ გადადგმულ ნაბიჯს.

ხოლო რას გვეუბნებიან 1906 წ. ციფრები პეტერბურგის შესახებ? ეს ციფრები გვეუბნებიან, რომ 9 უბანში, რომელნიც 114 ამრჩეველს იძლევიან, შავების მიერ მიღებული ხმების მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ი რიცხვი 1906 წ. ო რ ჯ ე რ დ ა უ ფ რ ო მ ე ტ ა დ ნ ა კ ლ ე ბ ი ი ყ ო, ვიდრე კადეტების მიერ მიღებული ხმების მ ი ნ ი მ ა ლ უ რ ი რიცხვი *.

მაშასადამე, შავების საწინააღმდეგო ხმები კიდევაც რომ გაიყოს კადეტებსა და მემარცხენეებს შორის, პ ე ტ ე რ ბ უ რ გ შ ი მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე თ ა **გამარჯვება** მ ა ი ნ ც შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა.

პეტერბურგის მ ა ზ რ ა შ ი 29 იანვარს მომხდარი ქალაქის ამომრჩეველთა მიერ ამრჩევლების არჩევნებიც კი ამტკიცებენ, რომ შავრაზმული საფრთხე ცრუ კადეტური ზღაპარია. იმ ამომრჩეველთა შორისაც კი, რომელთაც ყველაზე მეტად უძნელდებოდათ სიების შოვნა და არჩევნებზე გამოცხადება, შავებმა ი ს ე ც ო ტ ა ხმა მიიღეს, რომ ვერაფრით ვერ გაიმარჯვებდნენ, რ ო გ ო რ ც ა რ უ ნ დ ა გ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო ხ მ ე ბ ი. კადეტებმა მიიღეს **minimum** ** 1 099 ხმა, ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ მ ა — 603, ოქტიაბრისტებმა — 652, რუსი ხალხის კავშირმა — 2 0. რამდენი ხმაც უნდა წაგვერთმია ჩვენ აქ კადეტებისთვის, მემარჯვენეები მაინც ვ ე რ გ ა ვ ი დ ო დ ნ ე ნ!

და ამიტომ ჩვენ ახლა სრულიად გადაჭრით ვაცხადებთ: ისინი, ვინც პეტერბურგში კადეტების სასარგებლოდ ხმის მიცემისაკენ მოუწოდებენ შავრაზმული საფრთხის გამო, რათა ხმების გაყოფა არ მოხდეს, შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ ს ტ ყ უ ი ა ნ დ ა ა ტ ყ უ ე ბ ე ნ ა მ ო მ რ ჩ ე ვ ე ლ ს. ისინი, ვინც პეტერბურგის არჩევნებისაგან განზე დგებიან, თუნდაც ერთ

* ეს ციფრები ს რ უ ლ ა დ არის მოყვანილი «ზრენიეს» პირველ ნომერში (იხ. ეს ტომი, გვ. 43. რ ე დ.). ქვემოთ მათ ე რ თ ხ ე ლ კიდევ ვაქვეყნებთ, რათა გაეცნოს ყ ვ ე ლ ა პეტერბურგელი ამომრჩეველი.

** — სულ ცოტა. რ ე დ.

უბანში შავრაზმული საფრთხის გამო, ისინი შეგნებულად სტყუიან და ატყუებენ ამომრჩეველს, ისინი მალავენ თავიანთ შტრეიკბრეხერობას მემარცხენე ბლოკის მიმართ.

პეტერბურგში, ისე როგორც მოსკოვში, შავრაზმული საფრთხე არ არის, არამედ არის კადეტური საფრთხე, არის იმის საფრთხე, რომ ბნელი და დამფრთხალი ობივატელი კადეტს მისცემს ხმას არა მემარცხენე ბლოკისადმი, სოციალ-დემოკრატებისა და ტრუდოვიკებისადმი ანტიპათიის გამო, არამედ მატყუარა კადეტური პრესის მიერ შთაგონებული შიშის გამო ხმების გაყოფის წინაშე.

ამ საფრთხეს უნდა ებრძოლოს ყველა, ვისაც სურს, რომ ამომრჩევლებმა შეგნებულად მისცენ ხმა პეტერბურგში.

პეტერბურგში შავრაზმული საფრთხე არ არის, იქ არის კადეტური საფრთხე. ამიტომ მემარცხენეთა მიმართ შეუწყნარებელი შტრეიკბრეხერობა იქნება თავის შეკავება იმ სამ უბანში (ვასილის კუნძული, როჟდესტვენსკის და ლიტეინისა), სადაც ხმების გაყოფის შემთხვევაში (1906 წ. მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) შესაძლებელია შავების გამარჯვება. ეს სამი უბანი იძლევა მთელი რიცხვიდან, ე. ი. 174-იდან 46 ამრჩეველს (160 — ქალაქისა და 14 — მუშათა კურიისა). მაშასადამე, ამ უბნებს არჩევნების შედეგზე გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ. მაგრამ მემარცხენეთა ან კადეტთა გამარჯვებაზე კი მათ შეუძლიათ დიდი გავლენა მოახდინონ. ვთქვათ, სოციალ-დემოკრატები და ტრუდოვიკები იმარჯვებენ ოთხ უბანში — სპასკის, მოსკოვის, პეტერბურგისა და ვიბორგის უბნებში (ვიღებთ ალალბედზე). მაშინ მემარცხენეებს 74 ამრჩეველი ეყოლებათ (60—ქალაქისა და 14—მუშებისა). თუ კადეტები ყველა დანარჩენ უბანში გაიმარჯვებენ, მაშინ მათ 100 ამრჩეველი ეყოლებათ და სათათბიროში გაიყვანენ ყველა თავის დეპუტატს! ხოლო თუ სამ ზემოთ დასახელებულ უბანში შავები გავლენ (რიცხვით 46), მაშინ

კადეტებს მხოლოდ 54 ამრჩეველი ეყოლებათ და ისინი იძულებული იქნებიან მემარცხენეებს შეუერთდნენ და სათათბიროში ექვსიდან ორი ადგილი მიიღონ.

მაშასადამე, ის, ვინც პეტერბურგის სამ «შავ» უბანში თავს იკავებს, ის ფარულად კადეტებს ემსახურება, ის შტრეიკბრეხერია მემარცხენე ბლოკის მიმართ!

მოქალაქე ამომრჩევლებო! არ დაუჯეროთ იმ მატყუარებს, რომელნიც ჩაგჩიჩინებენ პეტერბურგში ხმების გაყოფის საფრთხეზე. არ დაუჯეროთ მოჭორილ ამბებს პეტერბურგში შავრაზმული საფრთხის შესახებ.

პეტერბურგში შავრაზმული საფრთხე არ არსებობს. პეტერბურგში მემარჯვენენი ვერ გაიმარჯვებენ კადეტებსა და მემარცხენეთა შორის ხმების გაყოფის გამო.

ხმა მიეცით არა იმ «საფრთხის» შიშის გამო, რაც მატყუარა კადეტებმა გამოიგონეს (რომლებიც უკანა აივნიდან შედიან ხოლმე სტოლიპინთან), — ხმა მიეცით სინდისისა და რწმენის მიხედვით.

ვის უჭერთ მხარს? ლიბერალურ ბურჟუებს, რომელთაც უნდათ გლეხებს თავს მოახვიონ გამაჩანაგებელი გამოყიდვა, — რომელნიც გლეხთა საქმეს ხელთ უგდებენ ლიბერალურ მემამულეებს, — რომელნიც ფარულად ევაჭრებიან სტოლიპინს, მოლაპარაკებას აწარმოებენ შავრაზმელებთან?

თუ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, პროლეტარიატის პარტიას, პროლეტარიატისა, რომელსაც მხარს უჭერს ტრუდოვიკთა ყველა პარტია?

მოქალაქენო, ხმა მიეცით მემარცხენე ბლოკს!

«ზრენიე» № 2,
1907 წ. 4 თებერვალი.
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება
გაზეთ «ზრენიეს» ტექსტის
მიხედვით

# წინასწარი მონაცემები მოსკოვის არჩევნების შესახებ

ლიბერალური და ლიბერალთა მსახური გაზეთები კვლავ გაჰყვირიან შავრაზმულ საფრთხეზე მოსკოვსა და პეტერბურგში.

იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად ყ ა ლ ბ ი ა ეს ყვირილი და ფრაზები, სისტემატური ფორმით მოგვყავს პეტერბურგის გაზეთებში დღემდე გამოქვეყნებული ყველა მონაცემი მოსკოვის არჩევნების შესახებ.

შესადარებლად მოგვყავს აგრეთვე მონაცემები 1906 წლის არჩევნებზე ქალაქ მოსკოვში გაზ. «ნაშა ჟიზნის»[21] 1906 წლის 28 მარტის ნომრიდან.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ან პირველ ან მეორე მონაცემებს, რომლებიც კიდევ და კიდევ ამტკიცებენ «შავრაზმული საფრთხის» ზღაპრის ს რ უ ლ ს ი ყ ა ლ ბ ე ს, ჩვენ სხვა ადგილას ვლაპარაკობთ.

ქალაქ მოსკოვში 1907 წლის არჩევნებზე მიცემული ხმების რიცხვი:

| ქ. მ ო ს კ ო ვ ი ს უ ბ ნ ე ბ ი | კონსტ.-დემოკრ. | ოქტიაბ-რისტები | მონარქის-ტები | მემარცხენე ბლოკი |
|---|---|---|---|---|
| არბატის | 1 348 | 514 | 154 | 214 |
| ბასმანის | 934 | 462 | 118 | 155 |
| ქალაქის | 643 | 266 | 107 | 61 |
| ლეფორტის | 948 | 631 | 244 | 190 |
| მიასნიცკის | 1 331 | 551 | 191 | 191 |
| პრეჩისტენკის | 1 183 | 538 | 161 | 175 |
| პრესნის | 1 198 | 550 | 187 | 458 |
| როგოჟის | 1 565 | 963 | 287 | 286 |
| სერპუხოვის | 489 | 189 | 69 | 101 |
| სრეტენკის | 1 239 | 408 | 106 | 308 |
| სუშჩევის | 2 061 | 700 | 398 | 841 |
| ხამოვნიკის | 1 011 | 647 | 197 | 297 |
| იაკიმანის | 1 153 | 552 | 171 | 241 |
| ტვერის | 1 730 | 680 | 189 | 318 |
| იაუზის | 1 117 | 299 | 75 | 162 |
| მეშჩანის | 1 889 | 838 | 262 | 689 |
| 16 უ ბ ა ნ შ ი | 19 757 | 8 783 | 2 891 | 4 677 |

| ქ. მოსკოვის უბნები | კონსტ.-დემოკრ. | ოქტიაბ-რისტები | მონარქის-ტები | მემარცხენე ბლოკი |
|---|---|---|---|---|
| 1906 წელს | | | | |
| არბატის | 1 269 | 700 | ? | — |
| სუშჩევის | 2 867 | 930 | 193 | — |
| პრესნის | 1 662 | 646 | 150 | — |
| პრეჩისტენკის | 1 810 | 734 | ? | — |
| ტვერის | 1 810 | 850 | 174 | — |
| ქალაქის | 571 | 362 | 50 | — |
| სრეტენკის | 1 368 | 640 | 40 | — |
| იაუზის | 600 | 300 | ? | — |
| ბასმანის | 1 263 | 507 | 83 | — |
| 9 უბანში | 13 220 | 5 669 | 690 | — |
| იმავე 9 უბანში 1907 წ. | 11 451 | 4 412 | 1 490 | 2 682 |

ამრიგად, მოსკოვის არჩევნებმა დაამტკიცეს შავრაზმული საფრთხის ზღაპართა სიყალბე. კიდევ მოგაგონებთ, რომ პეტერბურგის 1906 წლის არჩევნების მონაცემებმა იგივე დაამტკიცეს:

ხმის მიცემა პეტერბურგში პირველი სათათბიროს არჩევნების დროს

| უბნები | კადეტური სიის ბიერ მიღებული ხმების ფარდობითი რიცხვი | ამ რიცხვის ნახევარი | ოქტომბრისტული სიის ბიერ მიღებული ხმების ფარდობითი რიცხვი | ამრჩევლთა რიცხვი |
|---|---|---|---|---|
| საადმირალოს | 1 395 | 697 | 668 | — 5 |
| ალექსანდრე ნეველის | 2 929 | 1 464 | 1 214 | 16 |
| ყაზანის | 2 135 | 1 067 | 985 | — 9 |
| ნარვის | 3 486 | 1 743 | 1 486 | —18 |
| ვიბორგის | 1 853 | 926 | 652 | — 6 |
| პეტერბურგის | 4 788 | 2 394 | 1 729 | —16 |
| კოლომნის | 2 141 | 1 070 | 969 | — 9 |
| მოსკოვის | 4 937 | 2 468 | 2 174 | —20 |
| სპასკის | 4 873 | 2 436 | 2 320 | —15 |
| ლიტეინის | 3 414 | 1 707 | 2 097 | +15[22] |
| როჟდესტვენსკის | 3 241 | 1 620 | 2 066 | +14 |
| ვას. კუნძულის | 3 540 | 1 770 | 2 250 | +17 |

«ზრენიე» № 2,
1907 წ. 4 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «ზრენიეს» ტექსტის მიხედვით

# პოლიტიკური ლიდვალიადა

როგორც «ტელეგრაფი»[23] იუწყება (29 იანვრის ნომერში), სამოქალაქო ინჟინერთა დარბაზში 24 იანვარს კრებაზე შემდეგი ამბავი მომხდარა.

«ესტრადაზე გამოდის ვ. ვ. ვოდოვოზოვი და კრებას მოაგონებს ნემეტის თეატრში მომხდარ ინციდენტს. «მე იქ ვიკითხე, მართალია თუ არა, რომ მილიუკოვი ამომრჩევლის ზურგს უკან აწარმოებს მოლაპარაკებას სტოლიპინთან-მეთქი. პასუხად გაისმა ყვირილი: «სიცრუეა! ცილისწამებაა!», პროფ. გრედესკულმა კი მიპასუხა, მილიუკოვი პატიოსანი კაცია, რომელსაც პარტია სავსებით ენდობაო. მე სრულიადაც არ შემდის ეჭვი მილიუკოვის პირად პატიოსნებაში, მაგრამ ამ მოლაპარაკებას ადგილი ჰქონდა. მას არც მილიუკოვი უარყოფს. დღეს გაზეთ «რეჩში» იგი წერს, რომ მას ულაპარაკნია სტოლიპინთან სახალხო თავისუფლების პარტიის ლეგალიზაციის შესახებ და მისთვის წამოუყენებიათ მიუღებელი წინადადებანი. მაგრამ მილიუკოვი გვიმალავს, თუ რა წინადადებანი იყო ეს. თუ ეს წინადადებანი ზიზღის მომგვრელი იყო, ისინი უნდა გამოვაქვეყნოთ, საჯაროდ უნდა გავაკრათ... სამარცხვინო ბოძზე!»

— კრებას ვხურავ! — აცხადებს ბოქაული.

ხალხი ხმაურითა და სტვენით მიემართება გასასვლელისაკენ. კრების მომწყობნი ვოდოვოზოვს სასტიკი საყვედურით მიმართავენ, ხოლო ბოქაული, — ყოველი შემთხვევისათვის, — ესტრადისაკენ ორ პოლიციელს გზავნის».

ბ-ნმა ვოდოვოზოვმა სასტიკი საყვედური კი არა, მადლობა დაიმსახურა იმისათვის, რომ იგი შეეცადა გამოეაშკარავებინა სტოლიპინთან მილიუკოვის მოლაპარაკება. ამის გამო პოლიტიკური მოღვაწისათვის საყვედურის გამოცხადება შეუძლიათ ან ობივატელებს, რომელთაც არ ესმით

მ ო ქ ა ლ ა ქ ი ს მოვალეობანი, ან ისეთ ადამიანებს, რომელთაც სურთ ხალხს დ ა უ მ ა ლ ო ნ კადეტების გაიძვერობა. არ ვიცით მხოლოდ, რომელ ამ კატეგორიათაგანს ეკუთვნოდნენ იმ კრების მომწყობნი, სადაც მომხსენებლად კადეტი ნაბოკოვი იყო.

სტოლიპინთან მილიუკოვის მოლაპარაკების საკითხს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ათასჯერ მტყუანი არიან ისინი, ვინც ფიქრობენ უყურადღებოდ მოეპყრან ამ საკითხს, თავიდან მოიშორონ იგი და უმნიშვნელო პატარა სკანდალად ჩასთვალონ. ვისაც სკანდალისა ე შ ი ნ ი ა, მას ვერ შეუგნია თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა — ამხილოს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ლ ი დ ვ ა ლ ი ა დ ა.

მილიუკოვის მოლაპარაკება სტოლიპინთან კი სწორედ ერთი პატარა ნაწილია პოლიტიკური ლიდვალიადისა. აქ სისხლის სამართლით დასასჯელი ფულადი ანგარებისა და თაღლითობის ნაცვლად, ჩვენს წინაშეა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ ა რ ა კ ე თ ი ლ ს ი ნ დ ი ს ი ე რ ი და დ ა ნ ა შ ა უ ლ ე ბ რ ი ვ ი ვაჭრობა იმ პარტიისა, რომელიც ბოროტად იყენებს დიად სიტყვებს — «სახალხო თავისუფლება».

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ გაზეთ «ტრუდში»[24], რომ მილიუკოვი ხ ა ლ ხ ს უ მ ა ლ ა ვ ს, თუ რაში მდგომარეობს სტოლიპინის «პირობები». იგი იმასაც მალავს, ერთი აუდიენცია ჰქონდა თუ რამდენიმე, და როდის. იგი მალავს იმასაც, სტოლიპინმა მიიხმო მილიუკოვი თუ ამ უკანასკნელმა თვითონ ითხოვა აუდიენცია. დასასრულ, იგი მალავს იმასაც, გამოიტანეს თუ არა ამის შესახებ გადაწყვეტილება კადეტების პეტერბურგის კომიტეტსა და ცენტრალურ კომიტეტში, შეატყობინეს თუ არა ეს ცენტრიდან პროვინციაში.

ადვილი მისახვედრია, რომ ამ ცნობებზეა დამოკიდებული კადეტური ზუბატოველობის სრული შეფასება. ხალხს მხოლოდ ც უ დ საქმეებს უ მ ა ლ ა ვ ე ნ. ბ-ნი ვოდოვოზოვი მართალია, რომ ასეთი საქმეები უ ნ დ ა გ ა მ ო ქ ვ ე ყ ნ დ ე ს. და ბ-ნი ვოდოვოზოვი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა განაგრძოს თავისი

მხილებანი, თუ სურს, რომ თავისი პოლიტიკური მოვალეობის შემგნები მოქალაქენი უყურებდნენ მას, როგორც პატიოსან და მტკიცე, შეუდრეკელ პოლიტიკოსს და არა როგორც სენსაციის მოყვარულ ჟურნალისტს. როდესაც საკითხი ეხება საზიზღრობას საერთო-სახალხო საქმეებში, მოქალაქის მოვალეობაა აიძულოს დამფარველნი, რომ ალაპარაკდნენ ამაზე.

ვინც ამ საზიზღრობაზე რამე იცის და სურს მოქალაქის ვალი მოიხადოს, ვალდებულია მილიუკოვები აიძულოს სასამართლოში წავიდნენ ცილისწამებისათვის, და სასამართლოში ამხილოს კადეტების ბელადი, რომელიც ხალხის ზურგს უკან, ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ხალხის გაჩაღებული საარჩევნო ბრძოლის დროს უკანა კარებიდან დაძვრება ძველი რეჟიმის ბელადთან!

ჩვენ ბ-ნ მილიუკოვს და კადეტების პარტიას შემდეგს აშკარა კითხვებს ვუყენებთ:

1. როდის იყო აუდიენცია ან სახელდობრ როდის იყო მილიუკოვის (და მისი მეგობრების?) აუდიენციები ბ-ნ სტოლიპინთან?

2. სტოლიპინმა მიიწვია მილიუკოვი თუ არა? ამასთან იცოდა თუ არა მილიუკოვმა რამე იმ «ზიზღის მომგვრელ» (ბ-ნ ვოდოვოზოვის სიტყვით რომ ვთქვათ) პირობებზე, რომლებზედაც სტოლიპინს უნდოდა ლაპარაკი მილიუკოვთან?

3. სახელდობრ როდის იყო კადეტების პეტერბურგის კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის (ან ერთად ორივე კომიტეტის) სხდომა სტოლიპინის წინადადებათა შესახებ? ხომ არ გადაუწყვეტიათ იქ ზოგიერთი ნაბიჯის გადადგმა ამ წინადადებებზე გამოსახმაურებლად? მისწერეს რამე თუ არა ამის შესახებ პროვინციას?

4. რა კავშირი აქვს მილიუკოვის სტოლიპინთან აუდიენციას და საზოგადოდ ამ ორი გვამის ერთმანეთისაკენ გადადგმულ ზოგიერთ ნაბიჯს 18 იანვრის «კონფერენციაზე»

წვრილბურჟუაზიული ბლოკის მიმართ კადეტური მოქმედების ხ ა ს ი ა თ თ ა ნ?

ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, — და, ალბათ, არაერთ-ხელ, — შავრაზმელთან კადეტის «აუდიენციის» გამომჟღავნე-ბის საკითხს. ჩვენ კიდევ დავამტკიცებთ, ამ საქმისაგან შორს მდგომი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი ყველა საბუთით, რომ შავრაზმელებთან კადეტების სწორედ ამ მოლაპარაკე-ბაში იმალება კადეტებისა და «მემარცხენეების» იმ საერთო ბლოკის წ ა რ უ მ ა ტ ე ბ ლ ო ბ ი ს მ ი ზ ე ზ ი, რომელიც ბევრს სურდა და რომელსაც ჩვენ ყოველთვის ვებრძოდით.

ჯერჯერობით კი ვიტყვით:

დაე, იცოდნენ ბ-ნმა მილიუკოვმა და კადეტების პარტიამ, რომ ა რ ა მ ა რ ტ ო ვოდოვოზოვი, არამედ კიდევ ბევრი და ბევრი სხვაც იხმარს ყოველ ღონეს ა მ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ლ ი დ ვ ა ლ ი ა დ ი ს გ ა მ ო ს ა მ ჟ ღ ა ვ ნ ე ბ ლ ა დ!

«ზრენიე» № 2,
1907 წ. 4 თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «ზრენიეს» ტექსტის
მიხედვით

# არჩევნების შედეგები პეტერბურგის მუშათა კურიაში

მიუხედავად იმისა, რომ მუშათა კურიაში არჩევნების მსვლელობაზე ზუსტი მასალის შეკრება ნელა მიმდინარეობს (ბოლშევიკებმა გამოსცეს და გაავრცელეს დაბეჭდილი შეკითხვითი ფურცელი), არჩევნების ზოგადი ხასიათი მაინც გამოირკვა.

უეჭველია, ესერები უფრო გაძლიერდნენ, ვიდრე ჩვენ მოველოდით. ამას მენშევიკებიც კი აღიარებენ («ნაშ მირ» [25] №1). საგუბერნიო მუშათა კურიაში მათ გაიყვანეს 4 ამრჩეველი 10-იდან; საქალაქოში ისინი დაამარცხეს სოციალ-დემოკრატებმა, რომლებმაც ყველა 14 ამრჩეველი გაიყვანეს, მაგრამ ესერების კანდიდატთა მიერ მიღებული ხმების რიცხვი მაინც საგრძნობი აღმოჩნდა (269 ხმის მიმცემიდან ესერებმა მიიღეს 110 — 135 ხმა, სოციალ-დემოკრატებმა — 145 — 159 ხმა).

შემდეგ. არავინ არ უარყოფს აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ესერებმა დაგვამარცხეს განსაკუთრებით უდიდეს ქარხნებში.

მენშევიკები უარყოფენ ჩვენი წარუმატებლობის მიზეზთა გამოსარკვევად ყველაზე მნიშვნელოვან შემდეგ ფაქტს, სახელდობრ იმას, რომ ესერები უმთავრესად მენშევიკებს ამარცხებდნენ.

«ნაშ მირის» 1-ლ ნომერში, სპეციალურ სტატიაში მუშათა კურიის არჩევნების შესახებ, ისინი ჩქმალავენ ამ საკითხს, ფარისევლურად მიუთითებენ სოციალ-დემოკრატიის დასუსტებაზე ფრაქციული ბრძოლით და აფუჩეჩებენ იმას,

რომ სწორედ მენშევიკებმა მიიყვანეს ეს ფრაქციული ბრძოლა გ ა თ ი შ ვ ა მ დ ე და თავისი ტაქტიკის ისეთ «კადეტიზმამდე», რომელმაც მოწინავე მუშები ჩ ა მ ო ა შ ო რ ა მათ.

მაგრამ ის მონაცემებიც კი, რაც შეკრებილია ამჟამად, უფრო და უფრო მეტად ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ნ ჩვენი პირვანდელი დასკვნის («პროლეტარი» № 12) სისწორეს, — სახელდობრ იმას, რომ ესერები ამარცხებდნენ მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ს *.

ნევის რაიონის მიმართ ეს დამტკიცებულია «პროლეტარის» მე-12 ნომერში მოყვანილი მონაცემებით ცალკე ქარხნების შესახებ. ამის საწინააღმდეგო, დაუსაბუთებელი განცხადება «ნაშ მირის» 1-ლ ნომერში, უბრალო კურიოზია და მეტი არაფერი.

მოსკოვის რაიონის მიმართ ამას ამტკიცებს ამ ნომერში მოთავსებული კორესპონდენცია [26].

ვიბორგის რაიონის მიმართ თვითონ მენშევიკები («ნაშ მირ» № 1) ასეთ ციფრებს იძლევიან: ქ ა ლ ა ქ შ ი (მენშევიკები) 17 სოციალ-დემოკრატი, 12 ესერი და 2 გამოურკვეველი. რაიონის ს ა გ უ ბ ე რ ნ ი ო ნაწილში, სადაც მხოლოდ ბოლშევიკები მუშაობდნენ, — 7 სოციალ-დემოკრატი და არც ერთი ესერი.

ამ ციფრებს ჯერ კიდევ არა აქვთ საბოლოოდ დამამტკიცებელი ძალა. მაგრამ საზოგადოდ ისინი მაინც ს ა ვ ს ე ბ ი თ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ე ნ ჩვენს დასკვნას, რომ ესერებმა სწორედ მენშევიკები დაამარცხეს. «ნაშ მირის» მტკიცების ცდა, ვითომ ვიბორგის რაიონის საგუბერნიო ნაწილში ესერები სრულებით არ გამოდიოდნენ და, «მაშასადამე, არავითარი კონკურენცია არ იყოო», — აშკარად უსაფუძვლოა. ჯერ ერთი, იბადება კითხვა: რატომ არ გამოდიოდნენ ესერები სანქტ-პეტერბურგის მაინცადამაინც ამ გარეუბანში, სხვა გარეუბნებში კი გამოდიოდნენ? იქნებ აქ როლს ის გარემოება ასრულებდა, რომ ესერების «კონკურენცია» აქედან ადრევე გამორიცხული იყო

* იხ. ეს ტომი, გვ. 63. რ ე დ.

მთელი წინასწარი მუშაობით? მეორე, ზუსტ მონაცემებს იმაზე, თუ ვინ იყო კანდიდატი, მენშევიკები არ იძლევიან. ისინი არ იძლევიან აგრეთვე მონაცემებს ქარხნების მიხედვით. მესამე, გაზეთებიდან ვიცით, რომ სწორედ ვიბორგის რაიონში ესერები მენშევიკებს კრებებზე ამარცხებდნენ მათი «კადეტიზმისათვის».

მაგალითად, 24 იანვრის «რეჩი» გვატყობინებს 21 იანვარს ნობელის სახლში (ნიუსტადის ქ., № 11) შემდგარი კრების ამბავს. «რეჩში» მოყვანილი ანგარიშის მიხედვით, ამ კრებაზე ლაპარაკობდა სოციალ-დემოკრატი გურვიჩი, რომელიც უკიდურეს მემარცხენე პარტიებს ბრალად სდებდა სათათბიროს ბოიკოტს («რეჩი» კურსივით აღნიშნავს ამ დახმარებას, რასაც კადეტებს უწევენ მემარცხენეთა კრებებზე!). გურვიჩი ნაროდნიკებს ბრალად სდებდა «წვრილმან ვაჭრობას», რამაც ჩაფუშა კადეტებთან ბლოკიო. ნაროდნიკმა ბიკერმანმა გურვიჩის საპასუხოდ «წინააღრეტორის განცხადებას წვრილმანი ვაჭრობის შესახებ ცილისწამება» უწოდა. ნაროდნიკი სმირნოვი ამტკიცებდა, მენშევიკი გურვიჩი «არაფრით არ განსხვავდება კადეტისაგანაო». სმირნოვი აღნიშნავდა, კადეტი გრედესკული საჯაროდ «აქებდა» გურვიჩსაო.

ასეთია «რეჩის» ანგარიში. ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ ესერები მენშევიკებს მუშების წინაშე ამარცხებდნენ სწორედ კადეტებისადმი მენშევიკების დამოკიდებულების გამო.

ესერების წარმატება განსაკუთრებით თვალში ხვდებოდა ყველას ნევის, მოსკოვისა და ვიბორგის რაიონებში. და სწორედ ამ რაიონებში ახლა ირკვევა მათი წარმატების მიზეზი: სოციალ-დემოკრატი ოპორტუნისტები სოციალ-დემოკრატიის პრესტიჟს სცემენ მოწინავე პროლეტარიატის წინაშე.

მაგრამ თუ ჩვენ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის გულისათვის 10-იდან 4 ადგილი დავკარგეთ საგუბერნიო მუშათა

კურიაში, სამაგიეროდ საქმე გამოვასწორეთ საქალაქო მუშათა კურიაში.

და საქმე გამოვასწორეთ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორედ იმით, რომ ყველა რწმუნებულს გადავუშალეთ ტაქტიკა რევოლუციური და არა ოპორტუნისტული სოციალ-დემოკრატიისა.

სულ ქალაქში მუშათა 272 რწმუნებული იყო. მათგან სოციალ-დემოკრატი და სოციალ-დემოკრატთა თანამგრძნობი — 147, ე. ი. ნახევარზე მეტი. დანარჩენები იყვნენ ზოგი მხოლოდ ნაწილობრივ გამორკვეული ესერები (54), ზოგი გამოურკვეველი (55), უპარტიონი (6), 1 მემარჯვენე და 9 ტრუდოვიკი, «მემარცხენენი» (ორი მათგანი კადეტი) და სხვ.

პეტერბურგის კომიტეტმა მეტად ენერგიული მუშაობა გააჩაღა რწმუნებულთა შორის. განსახილველად დაისვა ყველასთვის საინტერესო საკითხი სანკტ-პეტერბურგის არჩევნების შესახებ, ტაქტიკის შესახებ: კადეტებთან ერთად თუ კადეტების წინააღმდეგ. რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის წარმომადგენელნი რწმუნებულებს განუმარტავდნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პოზიციებს, მენშევიკები გამოდიოდნენ თავისი ტაქტიკის დასაცავად.

28 იანვარს შესდგა ყველა პარტიის რწმუნებულთა გადამწყვეტი კრება. დაესწრო 200—250 კაცი. უდიდესი უმრავლესობით 10—12-ის წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც სავსებით იწონებს ბოლშევიკურ ტაქტიკას, მოითხოვს მემარცხენე ბლოკისათვის მხარის დაჭერას და პირდაპირ მიმართულია მენშევიკების წინააღმდეგ, კადეტებისათვის «ფარული» მხარის დაჭერის წინააღმდეგ.

აი ამ რეზოლუციის ტექსტი:

«იღებს რა მხედველობაში:

1) რომ ქალაქის კურიაში შავრაზმული და კადეტური სიების წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების, ესერების, ტრუდოვიკებისა და სახალხო

სოციალისტების მიერ უკვე წამოყენებული მემარცხენე სიების წარმატებას უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს;

2) რომ ასეთი წარმატება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მემარცხენე სიებს ერთსულოვნად დაუჭერს მხარს ყველა მემარცხენე პარტია, — სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნის მუშების რწმუნებულთა კრება წინადადებას აძლევს ყველა მემარცხენე პარტიას მხარი დაუჭირონ საერთო მემარცხენე სიებს და არავითარ შემთხვევაში, ქ. პეტერბურგის არც ერთ რაიონში არ წამოაყენონ რაიმე ცალკე სიები და არ აღმოუჩინონ დახმარება კადეტებს თუნდაც ფარული სახით.

რწმუნებულთა კრება, ემყარება რა მასების აზრს, სურვილს გამოთქვამს, რომ ამხანაგი სოციალ-დემოკრატი მენშევიკები შემოვიდნენ მემარცხენეთა შეთანხმებაში და ხელი შეუწყონ მემარცხენე სიის წარმატებას პეტერბურგის არჩევნებში».

ამრიგად, ქალაქ პეტერბურგში, რომლის ჩამოშორებაც გუბერნიისაგან მენშევიკებს უნდოდათ, მთელი პროლეტარიატის წარმომადგენლებმა დაგმეს მენშევიკების ტაქტიკა!

რწმუნებულთა ამ გადაწყვეტილებამ საბოლოოდ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ბოლშევიკური ტაქტიკის თანამგრძნობი შეგნებული მუშები პეტერბურგში უმრავლესობას შეადგენენ, რაც უკვე ჩანდა სოციალ-დემოკრატიულ კონფერენციაზე.

28 იანვარს მუშათა მასის წარმომადგენლებმა უკანასკნელად მოუწოდეს მენშევიკებს — ხელი აიღონ კადეტებისათვის «ფარული» მხარის დაჭერის ტაქტიკაზე, მემარცხენე ბლოკის მიმართ შტრეიკბრეხერობის ტაქტიკაზე.

მაგრამ მენშევიკები ახლაც არ დაემორჩილნენ პროლეტარიატის ნებას. 1-ლ თებერვალს «რეჩში» გამოქვეყნდა ამონაწერები მათი მოწოდებიდან, სადაც ისინი მრავალგვარ დაბრკოლებებს უქმნიან მემარცხენე ბლოკს. 29 იანვარს გვიან ღამით კოლომნის რაიონის უპარტიო პროგრესისტებმა თავისი წერილობითი შეთანხმება მენშევიკებთან მას შემდეგ დაარღვიეს, რაც მემარცხენე ბლოკის ყველა წარმომადგენელმა განუმარტა პროგრესისტებს მენშევიკური პი-

რობის მიუღებლობა («მოქმედების თავისუფლება» ამრჩევლებისთვის, ე. ი. კადეტებთან გადაბარგების თავისუფლება!).

30 იანვარს შესდგა მუშების იმ რწმუნებულთა კრება, რომლებიც რსდმ პარტიას ეკუთვნიან და მას თანაუგრძნობენ. ასეთ რწმუნებულთაგან კრებას დაესწრო უმრავლესობა — 98 კაცი. რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ვ.—მ. წინადადება შეიტანა, რათა განეხილათ საკითხი მომავალ სოციალ-დემოკრატ ამრჩეველთა დამორჩილებისა პეტერბურგის კომიტეტის დირექტივებისადმი სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნების დროს. მან აღნიშნა, რომ ეს საკითხი ნორმალურ პირობებში არავითარ ეჭვს ან უთანხმოებას არ გამოიწვევდა, რადგან პეტერბურგის კომიტეტის დირექტივები, რასაკვირველია, სავალდებულოა პეტერბურგის ორგანიზაციის ყველა წევრისათვის. მაგრამ ამჟამად ორგანიზაციის საგრძნობი ნაწილი, მენშევიკების უმრავლესობა, გამოეყო მას და განაცხადა, ამრჩეველი-მენშევიკები მოქმედების თავისუფლებას იტოვებენო. პეტერბურგის კომიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციის იურიდიულად გაუფორმებელი, გამოყოფილი ნაწილის ამ დირექტივისადმი მუშების წარმომადგენელ ამრჩეველთა დამორჩილება იქნებოდა მენშევიკების მიერ დაწყებული გათიშვის დამთავრება და საწინააღმდეგო იქნებოდა იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც რწმუნებულთა საერთო კრების უდიდესმა უმრავლესობამ მიიღო, სახელდობრ: საარჩევნო კამპანიაში ხელი შეუწყონ მემარცხენე ბლოკს. ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ მენშევიკები — პეტერბურგის კომიტეტის წევრები, ამხანაგები მ. და ა., რომელნიც მოითხოვდნენ, რომ მუშათა წარმომადგენელ ამრჩევლებს ანგარიში გაეწიათ მხოლოდ რწმუნებულთა აზრისათვის. უდიდესი უმრავლესობით მიღებულ იქნა პეტერბურგის კომიტეტის სახელით წარმოდგენილი შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: «კრება ამრჩეველთათვის სავალდებულოდ თვლის არჩევნების დროს პეტერბურგის კომიტეტის დირექტივებისადმი დამორჩილებას».

მენშევიკები მთელი თავისი ძალღონით ებრძოდნენ ამ რეზოლუციას. ყველაზე ცნობილი და პასუხისმგებელი მენშევიკები არ მოერიდნენ იმას, რომ ასეთ წუთშიც კი, არჩევნების წინ, გაელაშქრნათ პეტერბურგის კომიტეტის წინააღმდეგ. მათ «შესწორება» შეიტანეს: პეტერბურგის კომიტეტის ნაცვლად ეთქვათ «პეტერბურგის ორგანიზაცია».

მაგრამ მუშებმა უკვე გაიგეს მენშევიკური ტაქტიკა გათიშვისა კადეტების გულისათვის. მენშევიკ ორატორებს უყვიროდნენ — «კმარაო!». შესწორება, რომელიც ფარულად აპარებდა გათიშვის გამართლებას, უარყოფილ იქნა უდიდესი უმრავლესობით.

ამის შემდეგ გადავიდნენ რსდმ პარტიის წარმომადგენელ ამრჩეველთა კანდიდატების დასახელების საკითხზე. პეტერბურგის კომიტეტმა კრების განსახილველად წარადგინა სია კომიტეტისგან რეკომენდებული 14 კანდიდატისა, რომლებიც შერჩეულ იქნენ რწმუნებულთა რაიონული კრებების მიერ დასახელებული 21 კაციდან. წინადადება შემოვიდა — ეს სია საფუძვლად ყოფილიყო დადებული, რაც მიღებულ იქნა უდიდესი უმრავლესობით, მიუხედავად იმისა, რომ ამის წინააღმდეგი იყვნენ მენშევიკები, რომელნიც ამაში «მთავრობის გავლენას» ხედავდნენ; ამასთან პეტერბურგის კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ვ. — მ. განმარტა, რომ აქ არავითარ მთავრობის გავლენას ადგილი არა აქვს, რომ პეტერბურგის კომიტეტი ავტორიტეტით სარგებლობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას იგი მოპოვებული აქვს პეტერბურგის ორგანიზებული სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის ნდობით და რომ რეკომენდებული სიის წარმოდგენით იგი მხოლოდ თავის მოვალეობას ასრულებს, რაც მას ეკისრება როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელ ცენტრს. ყველა კანდიდატურა განიხილეს; ამასთან, პეტერბურგის კომიტეტის წარმომადგენლის წინადადებით, ერთერთი კანდიდატი მეორით შეცვალეს; შემდეგ მოხდა კენჭისყრა, რის შედეგად გამოირკ-

ვა, რომ პეტერბურგის კომიტეტის მთელი სია დიდმა უმრავლესობამ მიიღო.

პეტერბურგის კომიტეტის სია არჩევნების წინახანს ყველა გაზეთში გამოქვეყნდა.

არჩევნებში (1-ლ თებერვალს) გაიმარჯვეს შემჭიდროებულმა სოციალ-დემოკრატებმა. პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი ს მ თ ე ლ ი ს ი ა მ თ ლ ი ა ნ ა დ გ ა ვ ი დ ა. ყველა 14 ამრჩეველი — სოციალ-დემოკრატია!

ამ თოთხმეტიდან რ ვ ა არის ბოლშევიკი, ოთხი — მენშევიკი (ერთი არსებითად სინდიკალისტია და არა მენშევიკი) და ორი — უფრაქციო სოციალ-დემოკრატი, რ ო მ ლ ე ბ ი ც მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე ბ ლ ო კ ს ე მ ხ რ ო ბ ი ა ნ.

ქალაქის მუშათა კურიაში ბოლშევიკებმა აინაზღაურეს ის ზიანი, რაც სოციალ-დემოკრატიამ საგუბერნიო მუშათა კურიაში განიცადა.

დაე, რამდენიც უნდოდეს ცოფი ჰყაროს ახლა «რეჩმა» (იხ. 3 თებერვლის ნომერი), რომელიც ლაპარაკობს, ბოლშევიკებმა ესერებს პროპორციული უმცირესობაც კი არ მისცესო.

ჩვენ არასოდეს არ შევპირებივართ ესერებს პროპორციულობას, — და ის ჯერჯერობით არც არავის დაუმტკიცებია, რადგან არ არის მონაცემები ხმების რაოდენობის შესახებ. ამ მონაცემების შეკრება კი პირველად ჩვენ დ ა ვ ი წ ყ ე თ.

ჩვენ დავიტოვეთ მუშათა კურიაში ბრძოლის ს რ უ ლ ი თავისუფლება ყველა პარტიის წინააღმდეგ.

და, რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი სოციალ-დემოკრატიის გამოსვლის მეოხებით, ქ. პეტერბურგისა და პეტერბურგის გუბერნიის მუშათა წარმომადგენელ ყველა ამრჩევლიდან მხოლოდ 4 აღმოჩნდა ესერი, 20 კი — სოციალ-დემოკრატი.

შემდგომ არჩევნებში ჩვენ ყ ვ ე ლ ა ადგილს მოვუპოვებთ სოციალ-დემოკრატიას.

«პროლეტარი» № 13,
1907 წ. 11 თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

## II სათათბიროს არჩევნების შესახებ ქ. პეტერბურგის მოსკოვის რაიონის ანგარიშის გამო [27]

მკითხველთა ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ სანკტ-პეტერბურგის მუშების რწმუნებულთა არჩევნების მონაცემები სულ უფრო და უფრო მეტად ამჟღავნებენ, თუ როგორ იკრებდნენ ხმებს მენშევიკები სოციალ-დემოკრატიულ კონფერენციაზე. მაგალითად, ფრანგულ-რუსული ქვერაიონიდან მათ კონფერენციაზე 370 მენშევიკური ხმა «მოიტანეს». ბოლშევიკები იქ არც ერთ ნამდვილად პარტიულ ხმას არ სთვლიდნენ. და რა გამოირკვა? ფრანგულ-რუსული ქარხნის რწმუნებულად გავიდა ბოლშევიკი, რომელიც ახლა ამრჩევლადაც არის არჩეული!

აი რა მხრივ აღმოჩნდნენ მენშევიკები მოულოდნელად მხილებულნი.

შემდეგ. მენშევიკურ ყოველკვირეულ ორგანოს «ნაშ მირს» (№ 1, 28 იანვარი) ეყო... გამბედაობა მოსკოვის რაიონის შესახებ დაეწერა: «ნევისა და მოსკოვის ბოლშევიკურ რაიონებში რწმუნებულებად მთლიანად ესერები გავიდნენო» (გვ. 14). ეს რომ ცხადზე-უცხადესი ტყუილია ნევის რაიონის მიმართ, სადაც ესერებმა სწორედ მენშევიკები დაამარცხეს, უკვე დამტკიცებულია «პროლეტარის» მე-12 ნომერში.

ავიღოთ მოსკოვის რაიონი. მენშევიკები მას ბოლშევიკურ რაიონად თვლიან ახლა, როდესაც სჭირდებათ მოიხსნან პასუ-

ხისმგებლობა დამარცხებისათვის! მაგრამ მენშევიკებს ტყუილად ავიწყდებათ, რომ ამ ჯერზე შეიძლება მათი შ ე მ ო წ მ ე ბ ა. ავიღოთ ცენტრალური კომიტეტისათვის წარდგენილი 31 მენშევიკის ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი განცხადება კონფერენციიდან წასვლის მიზეზთა შესახებ (ნაბეჭდი ფურცელი, რომელიც ჩვენ «პროლეტარის» მე-12 ნომერში განვიხილეთ *). 31-ს შორის ვკითხულობთ ხელმოწერას: «ხ უ თ ი მ ო ს კ ო ვ ი ს რ ა ი ო ნ ი დ ა ნ».

კონფერენციამ კი მოსკოვის რაიონიდან დაამტკიცა 4 ბოლშევიკისა და 4 მენშევიკის მანდატები.

საგულისხმოა, ხომ?

როცა საჭიროა კონფერენციაზე მენშევიკური ხმების მოკრება, მაშინ მენშევიკები ანგარიშობენ ხ უ თ მენშევიკს 3 თუ 4 ბოლშევიკის წინააღმდეგ. მ ა შ ი ნ მენშევიკებს სურთ მეტნი იყვნენ!

ხოლო როცა საჭიროა პოლიტიკური პასუხისმგებლობა მოიხსნან, მაშინ მოსკოვის რაიონს «ბოლშევიკურ» რაიონად აცხადებენ...

ბოლშევიკები მოსკოვის რაიონში 158 ხმას ითვლიდნენ, თვითონ მენშევიკებიც იმავე ფურცელში აღიარებენ, რომ ხმების ამ რაოდენობის წინააღმდეგ ისინი მხოლოდ «პირობით» აცხადებდნენ პროტესტს, რომ ნამდვილად ეს ხმები უ ნ დ ა დ ა მ ტ კ ი ც დ ე ს (იმავე ფურცლის მე-7 გვ.).

მენშევიკები მოსკოვის რაიონში ითვლიდნენ 48 ხმას პლუს 98 პლუს 97 ხმა, სულ 243 ხმა. მათგან 195 ხმა სადავო გახდა, მაგრამ თვით მენშევიკები მაშინ დაჟინებით აცხადებდნენ (მათი ფურცლის მე-7 გვ.), **ყველა 243** ხმა უნდა დამტკიცდესო!

მაშასადამე, მენშევიკები ფიქრობდნენ, რომ მოსკოვის რაიონში მათ დიდი უმრავლესობა აქვთ: 243 ხმა 185 ხმის წინააღმდეგ... დიახ, «ნაშ მირ» ძ ა ლ ი ა ნ დაუკვირვებლად მო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 18 — 22. რ ე დ.

იქცა: მისი სიტყვებით გამოდის, რომ მენშევიკები კონფერენციაზე არაკეთილსინდისიერად იქცეოდნენ.

დასასრულ, ამხანაგს, რომელმაც მოსკოვის რაიონის ანგარიში გამოგვიგზავნა, მოვაგონებთ, რომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სრულ მონაცემებს თვითეული ქარხნის მიხედვით ცალკე, მონაცემებს რწმუნებულთა არჩევნების შესახებ და სხვადასხვა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობის შესახებ.

«პროლეტარი» № 13,
1907 წ. 11 თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

# ზოგიერთი მონაცემი მუშათა კურიის არჩევნების შესახებ სამხრეთ რუსეთში

ჩვენი მოწოდება რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატიულ-სადმი — მოეწყოთ მუშათა კურიის არჩევნების შესახებ ზუსტი მონაცემების შეკრება — უშედეგოდ არ დარჩა. ჩვენ უკვე მივიღეთ 93 შევსებული დაბეჭდილი ბლანკი, რომლებიც დარიგებული ჰქონდათ პეტერბურგელ ამხანაგებს. რაიონების მიხედვით ეს 93 ფურცელი ასე ნაწილდება: პეტერბურგის მხარე — 7, ვასილის კუნძული — 22, ვიბორგის რაიონი — 18, მოსკოვისა — 18, ქალაქისა — 28. ამხანაგებს ვთხოვთ დააჩქარონ დანარჩენი ფურცლების მოწოდება, რათა სრული ცნობები გვქონდეს განსაკუთრებით დიდი ქარხნების შესახებ. მაშინ ჩვენ დავბეჭდავთ მონაცემთა საერთო ჯამს.

პროვინციიდან ცნობები მოგვივიდა ეკატერინოსლავის გუბერნიის ექვსი ქარხნის შესახებ. მოგვყავს ეს ცნობები ცხრილის სახით, რათა ამხანაგებმა ნახონ, თუ რა მონაცემები აინტერესებს პარტიას და რა დასკვნები უნდა გამოვიყვანოთ მუშათა კურიის პირველი პარტიული არჩევნების გამოცდილებიდან.

თავისთავად ცხადია, ჩვენ არ ვიცით, რამდენად ტიპიურია ეს მონაცემები და რამდენად შეიძლება მათგან გამოყვანილი დასკვნები გავავრცელოთ მთელ ეკატერინოსლავის გუბერნიაზე. საბოლოო დასკვნებისათვის საჭიროა სრული მონაცემების შეკრება.

| ქარხნის სახელწოდება | მუშათა რიცხვი | რწმენებულთა რიცხვი | ვინ არის პარლამენტარული რწმენებული | ხმის მიცემელ მუშათა რიცხვი | ხმების რიცხვი, რაც მიიღეს | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ს.-დ. | ს.-დ. | ს.-ტ. | ეპარტ. | მეპარტ. |
| ეზაუს ქარხანა..... | 850 | 1 | ს.-დ. მენშ. | 180 | — | 112 | 15 | — | 3 |
| საორთქლმავლო სახელოსნო ..... | 2 700 | 2 | ს.-დ. მენშ. | 800 | — | 650 | — | — | — |
| საორთქლმავლო დეპო..... | 700 | 1 | ს.-დ. | 280 | 280 | | — | — | — |
| ლურსმნის ქარხანა.. | 700 | 1 | ს-დ. ბოლშ. | 250 | 250 | — | — | — | — |
| მილსაგლინავი ქარხანა..... | 850 | 1 | ს.-დ. მენშ. | 200 | — | 195 | — | — | 5 |
| ბრიანსკის რელსსაგლინავი ქარხანა | 4 850 | 4 | ს.-რ. | 1 100 | — | 900 | 800 | — | — |
| სულ 6 ქარხანაში ..... | 9 650 | 10 | 6 ს.-დ. 4 ს.-რ. | 2 710 | 250 | 1 257 (250 1797) | 815 | — | 8 |

ჯერჯერობით შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ ორი გარემოება. კენჭისყრის მონაწილე მუშათა პროცენტი დიდი არ არის. ეტყობა, სოციალ-დემოკრატიული მუშაობა საკმაოდ ღრმა არაა, საკმაოდ არ მოიცავს მასას. საზოგადოდ, არჩევნებში მონაწილეობს მუშათა საერთო რიცხვის მესამედზე ნაკლები. პროცენტულად მონაწილეთა ყველაზე ნაკლები რიცხვია მილსაგლინავ ქარხანაში: ორასი 850-იდან, ე. ი. მეოთხედზე ნაკლები. ყველაზე მეტია ეზაუს ქარხანაში: ასოცდაათი 350-იდან, ე. ი. მესამედზე მეტი.

ესერების კონკურენცია ჩანს ორ ქარხანაში: ეზაუს და ბრიანსკის ქარხნებში. უკანასკნელ ქარხანაში ესერებმა დაამარცხეს მენშევიკები! უდიდესი ქარხანა ოთხ ესერს იძლევა რწმუნებულებად.

ამრიგად, თავდაპირველი (მართალია, მეტად ნაწილობრივი) მონაცემები სამხრეთის შესახებ ადასტურებენ ჩრდილოეთში მიღებულ დასკვნას: ესერები ამარცხებენ მენშევიკებს — თითქოს ოპორტუნისტთა ჭკუის სასწავლებლად! თითქოს იმ ადამიანთა საყურადღებოდ, რომელ-

ნიც მიუტევებელი უჭკუობით გაურბიან რევოლუციურ ბურჟუაზიულ დემოკრატიას და კუდში მისჩანჩალებენ ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიულ დემოკრატიას!

რწმუნებულთა საერთო რიცხვში (10) ესერები შეადგენენ 40 პროცენტს, ე. ი. ორ მეხუთედს. მაგრამ ესერების მიერ მიღებული ხმების საერთო რიცხვი შეადგენს მ ე ს ა მ ე დ ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ს, რვაას თხუთმეტს 2 710-იდან. უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად უდიდეს ქარხანაში გამარჯვებისა, ესერებს, როგორც ჩანს, ნაკლები ხმა მიუღიათ, მათი რწმუნებულების რიცხვთან შედარებით. ეს გვიჩვენებს, თუ რამდენად უსაფუძვლო და უსაბუთო იყო პრეტენზიები პეტერბურგელი ესერებისა, რომელნიც ირწმუნებოდნენ, ჩვენ მეტი ხმა უნდა გვქონდეს მიღებული, ვიდრე ჩვენ მიერ გაყვანილ რწმუნებულთა რიცხვიაო. ასეთი მტკიცება შეუძლებელია, თუ არ არის ქარხნების მიხედვით შედგენილი დოკუმენტური სტატისტიკა სათანადო ცნობებით მიცემული ხმების რიცხვის შესახებ.

იმედი ვიქონიოთ, რომ ამხანაგები მთელ რუსეთში განაგრძობენ ცნობების შეკრებას ნაჩვენები ნიმუშების მიხედვით, რათა მთელმა პარტიამ ნათლად და ზუსტად წარმოიდგინოს თავისი კამპანიის შედეგები და შეიგნოს თავისი შედარებითი წარუმატებლობის მიზეზები.

«პროლეტარი» № 13,
1907 წ. 11 თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

## პეტერბურგის არჩევნების მნიშვნელობა

პეტერბურგში წინასაარჩევნო კამპანია მთავრდება. არჩევნებამდე სამი დღე დარჩა, — და როდესაც მკითხველს ეს სტრიქონები თვალწინ ექნება, პეტერბურგის კენჭისყრის შედეგები უკვე ყველას ეცოდინება.

პირველი შეხედვით თითქოს შეუძლებელია პეტერბურგის არჩევნების მნიშვნელობაზე ლაპარაკი, ვიდრე მათი შედეგი არ გამორკვეულა. მაგრამ ეს ასე არ არის. წინასაარჩევნო კამპანიას პეტერბურგში ისეთი გრძელი ისტორია აქვს, ამ კამპანიამ იმდენი არაჩვეულებრივ საგულისხმო პოლიტიკური მასალა მოგვცა, რომ მისი მნიშვნელობა უკვე სავსებით გამორკვეულია. როგორიც უნდა იყოს არჩევნების შედეგები, — 1906—1907 წლების პეტერბურგის კამპანიამ, უეჭველია, უკვე დიდი და დამოუკიდებელი ეტაპი შექმნა რუსეთის რევოლუციის ისტორიაში.

უწინარეს ყოვლისა, პეტერბურგის საარჩევნო კამპანიაში რევოლუციის უდავო მონაპოვარია ის, რომ აქ გამოირკვა პოლიტიკური პარტიების ურთიერთდამოკიდებულება, სხვადასხვა კლასის სულისკვეთება (მაშასადამე, აგრეთვე მათი ინტერესებიც და მთელი პოლიტიკური მდგომარეობაც); შემდეგ, აქ ს ა ქ მ ი თ, დიდი, აშკარა, მასობრივი საქმით შემოწმდა ესა თუ ის პასუხი რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის ძ ი რ ი თ ა დ კითხვებზე.

წინასაარჩევნო კამპანიის მთავარმა მოვლენებმა პეტერბურგში გრიგალისებური სისწრაფით გადაიარეს. და ამ გრი-

გალში, როდესაც საჭირო იყო აუცილებელი და დაუყოვნებლივი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, გამოისახა, როგორც არასოდეს, სხვადასხვა პარტიისა და მიმდინარეობის ნამდვილი ბუნება და რაობა. ამ გრიგალს ვერ გაუძლო ვერავითარმა ფორმალურმა კავშირმა, ვერავითარმა პარტიულმა ტრადიციებმა, — ითიშებოდნენ ორგანიზაციები, ირღვეოდა დაპირებანი, იცვლებოდა გადაწყვეტილებანი და პოზიციები, ყოველ დღეს უდიდესი ახალი ამბები მოჰქონდა. სხვადასხვა პარტიისა და სხვადასხვა მიმდინარეობის შეტაკებანი უჩვეულოდ გამწვავდა, პოლემიკა, რომელიც მკაცრი იყო ჩვეულებრივ დროსაც, შეხლა-შემოხლაში გადავიდა. და ეს არა იმიტომ, რომ რუსი ადამიანი თითქოს თავშეუკავებელი იყოს, არა იმიტომ, რომ იგი ფარული იატაკქვეშა ცხოვრებით გაფუჭებული იყოს, არა იმიტომ, რომ ჩვენ თითქოს უზრდელები ვიყოთ, — ასე საქმის ახსნა მხოლოდ ფილისტერებს შეუძლიათ.

არა, მწვავე შეხლა-შემოხლისა და გააფთრებული ბრძოლის მიზეზი იყო კლასობრივ სხვადასხვაობათა ს ი ღ რ მ ე, იმ სოციალურ და პოლიტიკურ ტენდენციათა ა ნ ტ ა გ ო ნ ი ზ მ ი, რომლებმაც მოვლენათა გავლენის ძალით მოულოდნელი სისწრაფით იჩინეს თავი, ყველას მოსთხოვეს დაუყოვნებლივი «ნაბიჯის» გადადგმა, ყველანი დააჯახეს ერთიმეორეს, ყველანი აიძულეს ბრძოლით დაეცვათ, **auskämpfen**, თავიანთი ნამდვილი ადგილი, თავიანთი ჭეშმარიტი ხაზი.

პეტერბურგში არის ყველა პარტიის ცენტრები. ეს — რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ფოკუსია. პრესას აქვს არა ადგილობრივი, არამედ საერთო-ნაციონალური მნიშვნელობა. და ამიტომ აუცილებლად ისე გამოვიდა, რომ პარტიათა წინასაარჩევნო ბრძოლა პეტერბურგში მოგვეევლინა რუსეთის რევოლუციის მრავალი მერმინდელი, როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო, ბრძოლისა და მოვლენის უდიდესი მნიშვნელობის სიმპტომად, ნიშნად და პირველსახედ.

თავდაპირველად რიგში იდგა თითქოს პატარა, მეორეხარისხოვანი, «ტექნიკური» საკითხი ყველა ოპოზიციური და რევოლუციური პარტიის შეთანხმებისა შავრაზმული საფრთხის წინააღმდეგ. ნამდვილად კი ამ «უბრალო» საკითხის საფარველ ქვეშ იმალებოდა ძირითადი პოლიტიკური საკითხები: 1) მთავრობის დამოკიდებულება ლიბერალებისადმი, კადეტებისადმი; 2) კადეტების ნამდვილი ტენდენციები; 3) კადეტების ჰეგემონია რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში; 4) შრომის, წვრილბურჟუაზიული პარტიების ტენდენციები; 5) ზომიერ სახალხო სოციალისტთა და რევოლუციურ ესერთა კლასობრივი ერთობა და პოლიტიკური სიახლოვე; 6) სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წვრილბურჟუაზიული ანუ ოპორტუნისტული ნაწილი; 7) პროლეტარიატის ჰეგემონია განმათავისუფლებელ მოძრაობაში; 8) რუსეთის რევოლუციური წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ხილული, აშკარა და უხილავი, მისი ფარული ელემენტებისა და «პოტენციების» მნიშვნელობა.

და მთელ ამ შესანიშნავ მდიდარ პოლიტიკურ საკითხებს აყენებდა და წყვეტდა თვითონ ცხოვრება, თვითონ მსვლელობა საარჩევნო კამპანიისა. ეს საკითხები ისმებოდა ბევრი პარტიის ნების წინააღმდეგ და მათი შეგნების დამოუკიდებლად, — ისინი წყდებოდნენ «ძალდატანებით», რასაც ყოველგვარი ტრადიციების დარღვევა-დაშლაც კი თან სდევდა, — და საბოლოო შედეგი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა კამპანიის მონაწილე პოლიტიკოსთა დიდი უმრავლესობისათვის.

ბოლშევიკებს შემთხვევამ უშველა, — თავის ქნევით ამბობს ობივატელი ყველა ამ მოულოდნელი ამბის გამო, — მათ ბედი სწყალობსო!

ამგვარმა სიტყვებმა გამახსენა ერთი ადგილი ენგელსის ამას წინათ გამოსული წერილებიდან ზორგესადმი. 1884 წლის 7 მარტს ენგელსი სწერდა ზორგეს:

«ორი კვირის წინათ ჩემთან იყო ძმისწული ბარმენიდან, დამოუკიდებელი კონსერვატორი; მე მას ვუთხარი: «ჩვენ დღეს გერმანიაში ისეთ მდგომარეობას მოვესწარით, როცა შეგვიძლია ხელები დავიკრიბოთ და ჩვენი მტრები ჩვენთვის ვამუშაოთ. გააუქმებთ სოციალისტთა საწინააღმდეგო განსაკუთრებულ კანონს, ან თუ კიდევ უფრო გაამკაცრებთ ან ოდნავ შეარბილებთ მას, — ეს სულერთია. რაც უნდა გააკეთოთ, თქვენ მაინც ჩვენს სასარგებლოდ მუშაობთ». — მართალია, — მიპასუხა მან, — ყველა პირობა შესანიშნავად ეწყობა თქვენს სასარგებლოდ. — «რა თქმა უნდა, — მივუგე მე. — პირობები ჩვენს სასარგებლოდ თავისთავად არ მოეწყობოდა, ჩვენ რომ უკვე 40 წლის წინათ სწორად არ გაგვესაზღვრა ეს პირობები და ამ სწორი განსაზღვრის საფუძველზე თვითონ არ გვემოქმედნა». ძმისწულმა არაფერი არ მიპასუხა» [28].

რა თქმა უნდა, ბოლშევიკებს შეუძლიათ აღნიშნონ არა 40 წელი, — ჩვენ აქ ძალიან დიდთან ვადარებთ პატარას, — არამედ თვეები და წლები მათ მიერ წინდაწინვე განსაზღვრული სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკისა ბურჟუაზიულ რევოლუციაში. ბოლშევიკებმა მართლაც დ ა ი კ რ ი ბ ე ს ხ ე ლ ე ბ ი პეტერბურგის წინასაარჩევნო კამპანიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი მომენტების განმავლობაში, — და პ ი რ ო ბ ე ბ ი ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს მ უ შ ა ო ბ დ ა. ყველა ჩვენი მტერი, დაწყებული სერიოზული და შეუბრალებელი მტრით, სტოლიპინით, და გათავებული ქაღალდისხმლიანი «მტრებით», რევიზიონისტებით, ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს მ უ შ ა ო ბ დ ნ ე ნ.

საარჩევნო კამპანიის დასაწყისს პეტერბურგში მთელი ოპოზიცია, ყველა მემარცხენენი ბოლშევიკების წინააღმდეგი იყვნენ. ჩვენს წინააღმდეგ ჩაიდინეს ყოველივე შესაძლებელი, ყოველივე წარმოსადგენი. ბ ო ლ ო ს კ ი მ ა ი ნ ც ი ს ე მ ო ხ დ ა, რ ო გ ო რ ც ჩ ვ ე ნ ვ ა მ ბ ო ბ დ ი თ.

რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან ადრე (ჯერ კიდევ ჟენევის 1905 წლის «ორი ტაქტიკიდან» *) გაცილებით უფრო სწორად შევაფასეთ მთავრობის დამოკიდებულება ლიბერალებისადმი და წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის დამოკიდებულება პროლეტარიატისადმი.

რა მიზეზმა ჩაშალა თითქმის მოგვარებული ბლოკი კადეტებისა ყველა «მემარცხენესთან», ბოლშევიკებს გარდა? მილიუკოვის მოლაპარაკებამ სტოლიპინთან. სტოლიპინმა ხელი დაუქნია კადეტს, — კადეტმა ზურგი შეაქცია ხალხს და ლეკვივით მიუჩოჩდა შავრაზმელ პატრონს.

შემთხვევითია ეს? არა, ეს — აუცილებლობაა, ვინაიდან ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის ძირითადი ინტერესები ყოველ გადამწყვეტ მომენტში აშორებენ მას რევოლუციურ ბრძოლას ხალხთან ერთად და უკარნახებენ რეაქციასთან შეთანხმებას.

რა მიზეზმა გამოიწვია ყველა წვრილბურჟუაზიული (ნაროდნიკული და შრომის) პარტიისა და მუშათა პარტიის წვრილბურჟუაზიული ნაწილის — მენშევიკების სრული მერყეობა და უხასიათობა? რატომ ქანაობდნენ და მერყეობდნენ ისინი, რად აწყდებოდნენ ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, რად მისდევდნენ კადეტებს და ლოცულობდნენ კადეტებზე?

სიდორისა ან კარპის პირადი თვისებების გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ წვრილი ბურჟუა აუცილებლად იხრება ლიბერალისაკენ, ცდილობს მისი გზით იაროს, მას კუდში მისდიოს, — რადგან წვრილ ბურჟუას თავისი თავის რწმენა არა აქვს, დროებით «განმარტოებას» ვერ იტანს, მშვიდად და მტკიცედ ვერ ხვდება ბურჟუაზიული ძაღლების ღმუილს, არა სწამს მასების, პროლეტარიატისა და გლეხობის დამოუკიდებელი რევოლუციური ბრძოლა, ხელს იღებს ხელმძღვანელის როლზე ბურჟუაზიულ რევოლუციაში, ხელს იღებს თავის ლოზუნგებზე, ეგუება და ელაქუცება მილიუკოვებს...

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტ. 9, გვ. 1 — 162. რედ.

მილიუკოვები კი ელაქუცებიან სტოლიპინს!

ბოლშევიკებმა თავისი ხაზი დამოუკიდებლად განსაზღვრეს და ხალხის წინაშე ადრევე ააფრიალეს თ ა ვ ი ს ი დროშა, რევოლუციური პროლეტარიატის დროშა.

ძირს ფარისევლური ჩმახვა შავრაზმულ საფრთხეზე, სტოლიპინთან ვიზიტების საშუალებით «ბრძოლაზე»! ვისაც ნამდვილად უნდა ხალხის თავისუფლება, ვისაც ნამდვილად სწყურია რევოლუციის გამარჯვება, — დაე, ის ჩვენ გამოგვყვეს შავრაზმული ბრბოს წინააღმდეგაც და მოვაჭრე კადეტების წინააღმდეგაც.

ჩვენ თ ვ ი თ ო ნ საბრძოლველად მივდივართ ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი. ჩვენ არ გვეშინია «განმარტოებისა» თქვენი ნამცეცა და საძაგელი, წვრილმანი და უბადრუკი ოინებისაგან და გარიგების მოჭახრაკებისაგან.

პროლეტარიატთან ერთად რევოლუციის მხარეზე — თუ ლიბერალებთან ერთად სტოლიპინთან მოლაპარაკების გასაჩარხავად, არჩევანი მოახდინეთ, ამომრჩეველნო! არჩევანი მოახდინეთ, ბატონო ნაროდნიკებო! არჩევანი მოახდინეთ, ამხანაგო მენშევიკებო!

და, როცა ჩ ვ ე ნ ი ს ა კ უ თ ა რ ი ხაზი განვსაზღვრეთ, ხ ე ლ ე ბ ი დ ა ვ ი კ რ ი ბ ე თ. ჩვენ ველოდით დაწყებული შეხლა-შემოხლის შედეგს, 6 იანვარს ჩვენმა კონფერენციამ ააფრიალა ჩ ვ ე ნ ი დროშა. 18 იანვრამდე მილიუკოვი ფეხებში ედებოდა სტოლიპინს, მენშევიკები, ნაროდნიკები და უპარტიონი ფეხებში ედებოდნენ მილიუკოვს.

ყველანი დაიბნენ და აირდაირივნენ. ყველანი დიპლომატობდნენ და ისე აგინეს და დაჭამეს ერთმანეთი, რომ ერთად სიარული ა ღ ა რ შ ე ე ძ ლ ო თ.

ჩვენ არ ვდიპლომატობდით, არამედ ყ ვ ე ლ ა ს ვ ლ ა ნ ძ ღ ა ვ დ ი თ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ნათლად და აშკარად წამოყენებული პრინციპების გულისათვის.

და ყველა, ვ ი ს ა ც კ ი ბ რ ძ ო ლ ი ს უ ნ ა რ ი შ ე ს წ ე ვ დ ა, ჩვენ გამოგვყვა. მემარცხენე ბლოკი ფაქტი გახდა. რე-

ვოლუციური პროლეტარიატის ჰეგემონია ფაქტი გახდა. რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ მ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ მ ა გაიყოლია ყ ვ ე ლ ა ტრუდოვიკი და მეტი ნაწილი მენშევიკებისა, ინტელიგენტებიც კი.

რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დროშა აღიმართა პეტერბურგის არჩევნების დროს. და როგორიც უნდა იყოს შედეგები ამ არჩევნებისა, რუსეთში პირველი სერიოზული არჩევნებისა, რომელშიც ყველა პარტია მონაწილეობს, — დამოუკიდებელი, თავისი საკუთარი ხაზის გამტარებელი პროლეტარიატის დროშა უკვე აღმართულია. იგი იფრიალებს როგორც სათათბიროს ბრძოლის დროს, ისე ყ ვ ე ლ ა ს ხ ვ ა სახის ბრძოლის დროსაც, რომელნიც რევოლუციას გამარჯვებისაკენ წაიყვანენ.

თავისი დამოუკიდებლობის, თავისი გამძლეობის, თავისი სიმტკიცის ძალით მიიმხროს ჩაგრული, დაბეჩავებული გლეხობის მასა, მერყევი, მოქანავე, ორჭოფი წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მასა, ჩამოაშოროს იგი მოღალატე ლიბერალურ ბურჟუაზიას, გაუწიოს ამგვარად კონტროლი ამ ბურჟუაზიას და მასობრივი სახალხო მოძრაობის სათავეში მდგომმა გასრისოს წყეული თვითმპყრობელობა, — ასეთია სოციალისტური პროლეტარიატის ამოცანა ბურჟუაზიულ რევოლუციაში.

დაწერილია 1907 წ. 4 (17) თებერვალს.

დაიბეჭდა 1907 წ. 11 თებერვალს
გაზეთ «პროლეტარში», № 13

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

# წინასიტყვაობა ლ. კუგელმანთან მიწერილი კ. მარქსის წერილების რუსული თარგმანისა

ვბეჭდავთ ცალკე ბროშურად კუგელმანთან მიწერილი მარქსის წერილების სრულ კრებულს. წერილები გამოქვეყნებული იყო გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ ყოველკვირეულ «Neue Zeit»-ში *. ბროშურის გამოცემით ჩვენ ამოცანად ვისახავდით, რომ რუსეთის საზოგადოებას უფრო ახლოს გაეცნო მარქსი და მარქსიზმი. მარქსის მიწერ-მოწერაში მის პირად საქმეებს, როგორც მოსალოდნელიც იყო, ძალიან დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ბიოგრაფისათვის ყოველივე ეს მეტად ძვირფასი მასალაა. მაგრამ საერთოდ ფართო საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით რუსეთის მუშათა კლასისათვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია წერილების ის ადგილები, რომლებიც თეორიულ და პოლიტიკურ მასალას შეიცავენ. სწორედ ჩვენში, დღევანდელ რევოლუციურ ეპოქაში, განსაკუთრებით საგულისხმოა იმ მასალაში ღრმად ჩაწვდომა, სადაც მარქსი დახასიათებულია ისეთ ადამიანად, რომელიც უშუალოდ ეხმაურება მუშათა მოძრაობისა და მსოფლიო პოლიტიკის ყველა საკითხს. «Neue Zeit»-ის რედაქცია სავსებით მართალია, როცა ამბობს, რომ «ჩვენ გვამაღლებს იმ ადამიანთა სახის გაცნობა, რომელთა აზროვნება და ნებისყოფა დიდ გადატრიალებათა პირობებში ჩამოყალიბდა». 1907 წლის რუსი სოციალისტისათვის ეს გაცნობა ერთიორად საჭიროა, რადგან იგი იძლევა მრავალ მეტისმეტად ძვირფას მითითებას სოციალისტების უშუალო ამოცანებზე

* «ახალი დროება». რ ე დ.

ყველა და ყოველგვარ რევოლუციაში, რომელსაც მათი ქვეყანა განიცდის. რუსეთი სწორედ ახლა განიცდის «დიდ გადატრიალებას». მარქსის პოლიტიკა შედარებით მღელვარე 1860-იან წლებში — ძალიან და ძალიან ხშირად პირდაპირ სანიმუშო უნდა გახდეს სოციალ-დემოკრატის პოლიტიკისათვის რუსეთის თანამედროვე რევოლუციაში.

ამიტომ ჩვენ ნებას მივცემთ თავს მხოლოდ მოკლედ აღვნიშნოთ თეორიულად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილები მარქსის მიწერ-მოწერიდან, — და უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ მის, როგორც პროლეტარიატის წარმომადგენლის, რევოლუციურ პოლიტიკაზე.

მარქსიზმის უფრო სრული და ღრმა გარკვევის თვალსაზრისით უდიდეს ინტერესს წარმოადგენს 1868 წლის 11 ივლისის წერილი (გვ. 42 და შემდ.)[29]. მარქსი ვულგარული ეკონომისტების საწინააღმდეგო პოლემიკური შენიშვნების სახით აქ მეტისმეტად მკაფიოდ გადმოგვცემს ღირებულების ეგრეთწოდებული «შრომითი» თეორიის თ ა ვ ი ს გაგებას. სწორედ ის მოსაზრებანი მარქსის ღირებულების თეორიის წინააღმდეგ, რომლებიც ყველაზე ბუნებრივად ებადებათ «კაპიტალის» ყველაზე ნაკლებ მომზადებულ მკითხველებს და რომლებსაც ამიტომ ყველაზე გულმოდგინედ ეტანებიან «პროფესორული», ბურჟუაზიული «მეცნიერების» ჩვეულებრივი წარმომადგენლები, — აქ მარქსს მოკლედ, უბრალოდ და შესანიშნავი სიცხადით აქვს გარჩეული. მარქსი აქ გვიჩვენებს, თუ რა გზით მიდიოდა ის და რა გზით არის საჭირო სიარული ღირებულების კანონის ასახსნელად. იგი სრულიად ჩვეულებრივი შეკამათების მაგალითით გვასწავლის თავის მ ე თ ო დ ს. ის არკვევს ისეთი წმინდა (ვითომდა) თეორიული და განყენებული საკითხის კავშირს, როგორიცაა ღირებულების თეორია, «გაბატონებული კლასების ინტერესებთან», რომელნიც «დ ა ბ ნ ე უ ლ ო ბ ი ს გ ა მ ა რ ა დ ი ს ე ბ ა ს» მოითხოვენ. უნდა ვისურვოთ, რომ ყველამ, ვინც მარქსის შესწავლას და «კაპიტალის» კითხვას იწყებს, წაიკითხოს და

გადაიკითხოს ხოლმე ჩვენ მიერ მოხსენებული წერილი «კაპიტალის» პირველი და ყველაზე ძნელი თავების შესწავლასთან ერთად.

წერილების სხვა, თეორიულად განსაკუთრებით საინტერესო, ადგილები ეხება მარქსის მიერ სხვადასხვა მწერლის შეფასებას. როდესაც კითხულობ მარქსის ამ ცოცხლად დაწერილ, გზნებით სავსე შენიშვნებს, რომელნიც ამჟღავნებენ წარმტაც ინტერესს ყველა დიდი იდეური მიმდინარეობისა და მათი ანალიზისადმი, — თავს ისე გრძნობ, თითქოს უშუალოდ ისმენდე გენიალური მოაზროვნის სიტყვას. გარდა დიცგენის შესახებ გაკვრით გამოთქმული აზრებისა, მკითხველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აზრები პრუდონისტების შესახებ (გვ. 17) [30]. აქ კალმის რამდენიმე მოსმით გასაოცარი სიცხადით არის დასურათებული ბურჟუაზიის წრიდან გამოსული «ბრწყინვალე» ინტელიგენტური ახალგაზრდობა, რომელიც საზოგადოებრივი აღმავლობის პერიოდებში «პროლეტარიატს» მიაშურებს, მაგრამ უნარი არ შესწევს მუშათა კლასის თვალსაზრისით განიმსჭვალოს და შეუპოვრად, სერიოზულად იმუშაოს პროლეტარული ორგანიზაციების «რიგსა და მწკრივში».

აი, მარქსის მიერ დიურინგის შესახებ გამოთქმული აზრი (გვ. 35) [31], რომელშიც თითქოს წინდაწინ არის გათვალისწინებული ენგელსის მიერ (მარქსთან ერთად) ცხრა წლის შემდეგ დაწერილი განთქმული წიგნის «**Anti-Dühring**»-ის * შინაარსი. არის ცედერბაუმის რუსული თარგმანი; სამწუხაროდ, მასში არათუ ბევრი ადგილია გამოტოვებული, არამედ იგი პირდაპირ ცუდი თარგმანია, დაშვებულია შეცდომები. იქვეა ტიუნენის შესახებ გამოთქმული აზრი, რომელიც ეხება აგრეთვე რიკარდოს რენტის თეორიას. მარქსი უკვე მაშინ, 1868 წელს, გადაჭრით უარყოფდა «რიკარდოს შეცდომებს», რომელნიც მან საბოლოოდ დაარღვია «კაპიტალის» მესამე ტომში, რომელიც 1894 წელს გამოვიდა, შეცდომებს, რომელთაც

* — «ანტი-დიურინგი». რ ე დ.

დღემდე იმეორებენ რევიზიონისტები — დაწყებული ჩვენი ულტრა-ბურჟუაზიული და თვით «შავრაზმელი» ბ-ნი ბულგაკოვით და გათავებული «თითქმის ორთოდოქსი» მასლოვით.

საინტერესოა აგრეთვე მარქსის აზრი ბიუხნერზე და ამასთანავე ვულგარული მატერიალიზმისა და ლანგესაგან («პროფესორული» ბურჟუაზიული ფილოსოფიის ჩვეულებრივი წყარო!) გადმოწერილი «ზერელე ლაყბობის» შეფასება (გვ. 48) [32].

გადავიდეთ მარქსის რევოლუციურ პოლიტიკაზე. ჩვენში, რუსეთში, სოციალ-დემოკრატებს შორის საოცრად გავრცელებულია ერთგვარი ფილისტერული წარმოდგენა მარქსიზმზე, — თითქოს რევოლუციური პერიოდი ბრძოლის განსაკუთრებული ფორმებით და პროლეტარიატის სპეციალური ამოცანებით ანომალია იყოს, ხოლო «კონსტიტუცია» და «უკიდურესი ოპოზიცია» — წესი. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ამჟამად არ არის ისეთი ღრმა რევოლუციური კრიზისი, როგორც რუსეთში, — და არც ერთ ქვეყანაში არ არიან (მარქსიზმის დამაქვეითებელი და გამავულგარებელი) «მარქსისტები», რომელნიც ასე სკეპტიკურად, ფილისტერულად უყურებდნენ რევოლუციას. იმ შეხედულებიდან, რომ რევოლუციის შინაარსი ბურჟუაზიულია, ჩვენში გამოჰყავთ უგვანო დასკვნა ბურჟუაზიაზე, როგორც რევოლუციის მ ა მ ო ძ რ ა ვ ე ბ ე ლ ზ ე, პროლეტარიატის დამხმარე, არადამოუკიდებელ ამოცანებზე ამ რევოლუციაში, უკანასკნელის მიმართ პროლეტარული ხელმძღვანელობის შეუძლებლობაზე!

როგორ ააშკარავებს მარქსი მარქსიზმის ამ უგვანო გაგებას თავის წერილებში კუგელმანისადმი! აი 1866 წლის 6 აპრილის წერილი. ამ დროს მარქსმა დაამთავრა თავისი მთავარი შრომა. გერმანიის 1848 წლის რევოლუციის შეფასება მან უკვე საბოლოოდ მოგვცა 14 წლით ადრე ამ წერილის დაწერამდე. თავისი სოციალისტური ილუზიები მოახლოებული სოციალისტური რევოლუციის შესახებ 1848 წელს მან თვი-

თონვე უარჰყო 1850 წელს. და 1866 წელს იგი, იწყებს რა ახალი პოლიტიკური კრიზისების ზრდის დაკვირვებას, წერს:

«გაიგებენ კი, ბოლოს, ჩვენი ფილისტერები (ლაპარაკია გერმანელ ლიბერალურ ბურჟუებზე), რომ ურევოლუციოდ, რომელიც მოგვაშორებს ჰაბსბურგებსა და ჰოჰენცოლერნებს, საქმის ვითარებამ ბოლოს და ბოლოს ისევ ოცდაათწლიან ომამდე უნდა მიგვიყვანოს»... (გვ. 13 — 14) [33].

არავითარი ილუზია იმის შესახებ, რომ უახლოესი რევოლუცია (იგი მოხდა ზევიდან და არა ქვევიდან, როგორც მარქსი ელოდა) მოსპობს ბურჟუაზიასა და კაპიტალიზმს. უაღრესად სათელი და მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ იგი მოსპობს მხოლოდ პრუსიისა და ავსტრიის მონარქიას. და მერე როგორი რწმენაა ამ ბურჟუაზიული რევოლუციისა! როგორი რევოლუციური გზნებაა პროლეტარული მებრძოლისა, რომელსაც ესმის ბურჟუაზიული რევოლუციის უდიდესი როლი სოციალისტური მოძრაობის წინმსვლელობისათვის!

სამი წლის შემდეგ, ნაპოლეონის იმპერიის კრახის წინ საფრანგეთში, მარქსი აღნიშნავს «მეტად საინტერესო» საზოგადოებრივ მოძრაობას და პირდაპირ აღტაცებით ლაპარაკობს იმაზე, რომ «პარიზელები იწყებენ თავიანთი მახლობელი რევოლუციური წარსულის ღრმად შესწავლას, რათა მომავალი ახალი რევოლუციური ბრძოლისათვის მოემზადონ». მარქსი ასწერს წარსულის ამ შეფასების დროს გამოაშკარავებულ კლასთა ბრძოლას და დაასკვნის (გვ. 56): «და აი, სდუღს და გადმოდის ჯადოქარ-ისტორიის მთელი ქვაბი! როდისმე ჩვენშიც (გერმანიაში) დადგება ეს დრო!» [34].

აი რა უნდა ისწავლონ მარქსისაგან რუსეთის ინტელიგენტურმა, სკეპტიციზმით დაუძლურებულმა, პედანტობით დაჩლუნგებულმა, მონანიების სიტყვების მოტრფიალე მარქსისტებმა, რომელნიც ჩქარა იღლებიან რევოლუციით და რევოლუციის დასაფლავებასა და კონსტიტუციური პროზით მის შეცვლაზე ისე ოცნებობენ, როგორც დღესასწაულზე. მათ უნდა ისწავლონ პროლეტართა თეორეტიკოს — ბელადისაგან

რევოლუციის რწმენა, უნარი მუშათა კლასისადმი მოწოდებისა — ბოლომდე დაიცვას თავისი უშუალო-რევოლუციური ამოცანები, ისწავლონ სულის სიმტკიცე, რომელიც არ იწყნარებს სულმოკლე წუწუნს რევოლუციის დროებითს წარუმატებლობათა შემდეგ.

მარქსიზმის პედანტები ფიქრობენ: ყოველივე ეს ეთიკური ლაყბობაა, რომანტიკაა, რეალიზმის უქონლობა არისო! არა, ბატონებო, ეს არის რევოლუციური თეორიის შეერთება რევოლუციურ პოლიტიკასთან, ის შეერთება, ურომლისოდაც მარქსიზმი იქცევა ბრენტანიზმად, სტრუვიზმად, ზომბარტიზმად. მარქსის დოქტრინამ ერთ განუყოფელ მთლიანობად შეაკავშირა კლასობრივი ბრძოლის თეორია და პრაქტიკა. და მარქსისტი არ არის ის, ვინც ობიექტური მდგომარეობის ფხიზლად აღმნიშვნელ თეორიას ამახინჯებს არსებულის გასამართლებლად, ვინც იქამდე მიდის, რომ ცდილობს სასწრაფოდ შეეგუოს რევოლუციის ყოველ დროებითს დაქვეითებას, საჩქაროდ განთავისუფლდეს «რევოლუციური ილუზიებისაგან» და ხელი მოჰკიდოს «რეალურ» წვრილმანობას.

მარქსმა უაღრესად მშვიდობიან, მისი თქმით, თითქოს «იდილიურ», «უსიხარულო-დამყაყებულ» («Neue Zeit»-ის რედაქციის სიტყვებით) ხანაშიც იცოდა რევოლუციის სიახლოვის შეტყობა და ა მ ა ღ ლ ე ბ ა პროლეტარიატისა თავისი მოწინავე, რევოლუციური ამოცანების შეგნებამდე. ჩვენი რუსი ინტელიგენტები, რომლებიც მარქსს ფილისტერულად ამარტივებენ, უაღრესად რევოლუციურ ხანაში ასწავლიან პროლეტარიატს პასიურობის პოლიტიკას, «დინების» მორჩილებით გაყოლას, ახალმოდის ლიბერალური პარტიის ყველაზე მერყევი ელემენტებისათვის გაუბედავად მხარის დაჭერას!

მარქსის მიერ კომუნის შეფასება — კუგელმანთან მიწერილი წერილების გვირგვინია. და ეს შეფასება განსაკუთრებით ბევრს იძლევა, თუ მას დავუპირისპირებთ რუსეთის სოციალ-დემოკრატთა მემარჯვენე ფრთის ხერხებს. პლეხანოვმა, რომელმაც 1905 წლის დეკემბრის შემდეგ სულმოკლედ წამოი-

ძახა: «ხელი არ უნდა მოგეკიდათ იარაღისთვისაო», თავმდაბლობა გამოიჩინა, როცა თავისი თავი მარქსს შეადარა. მარქსიც ხომ აფერხებდა რევოლუციას 1870 წელსაო.

დიახ, მ ა რ ქ ს ი ც აფერხებდა მას. მაგრამ შეხედეთ, რა უფსკრული ჩანს ამ, თვით პლეხანოვის მიერ აღებულ, შედარებაში პლეხანოვსა და მარქსს შორის.

პლეხანოვი 1905 წლის ნოემბერში, რუსეთის პირველი რევოლუციური ტალღის აპოგეამდე ერთი თვით ადრე, არათუ გადაჭრით არ აფრთხილებდა პროლეტარიატს, არამედ, პირიქით, პირდაპირ ლაპარაკობდა ი ა რ ა ღ ი ს ხ მ ა რ ე ბ ი ს ს წ ა ვ ლ ი ს ა დ ა შ ე ი ა რ ა ღ ე ბ ი ს აუცილებლობაზე. ხოლო როცა ერთი თვის შემდეგ ბრძოლამ იფეთქა, პლეხანოვმა არავითარი ანალიზი არ გაუკეთა მის მნიშვნელობას, მის როლს მოვლენათა საერთო მსვლელობაში, მის კავშირს ბრძოლის წინანდელ ფორმებთან და არ დააყოვნა გამოსულიყო მომნანიებელი ინტელიგენტის როლში: «ხელი არ უნდა მოგეკიდათ იარაღისთვისაო».

მარქსმა 1 8 7 0 წლის ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ შ ი, კომუნამდე ნ ა ხ ე ვ ა რ ი წ ლ ი თ ა დ რ ე, პირდაპირ გააფრთხილა საფრანგეთის მუშები: აჯანყება ს ი გ ი ჟ ე იქნებაო, თქვა მან ინტერნაციონალის ცნობილ ადრესში[35]. მან წ ი ნ დ ა წ ი ნ ვ ე გამოააშკარავა ნაციონალისტური ილუზიები 1792 წლის მსგავსი მოძრაობის შესაძლებლობის შესახებ. მას შეეძლო თქმა ა რ ა უ კ ა ნ ა რ ი ც ხ ვ ი თ, არამედ მრავალი თვით ადრე: «ხელი არ უნდა მოჰკიდოთ იარაღსაო».

და მერე როგორ მოიქცა ის, როცა დაიწყო ამ უ ი მ ე დ ო, — მისი საკუთარი, სექტემბერში გაკეთებული განცხადებით — საქმის განხორციელება 1871 წლის მარტში? იქნებ, მარქსმა ეს გამოიყენა (როგორც პლეხანოვმა დეკემბრის ამბები) მხოლოდ თავისი მტრების, კომუნის ხელმძღვანელი პრუდონისტებისა და ბლანკისტების «საზიანებლად»? იქნებ, მან დაიწყო ბუზღუნი, როგორც კლასის დამრიგებელმა ქალმა: მე ხომ გეუბნებოდით, გაფრთხილებდით, აი თქვენი რო-

მანტიკა, თქვენი რევოლუციური ბოდვაო? იქნებ, ის კომუნარებს აცილებდა, როგორც პლეხანოვი დეკემბრის მებრძოლთ, თვითკმაყოფილი ფილისტერის დარიგებით: «ხელი არ უნდა მოგეკიდათ იარაღისთვისაო»?

არა. 1871 წლის 12 აპრილს მარქსი სწერს აღტაცებულ წერილს კუგელმანს, — წერილს, რომელსაც ჩვენ სიამოვნებით ჩამოვუკიდებდით კედელზე ყოველ რუს სოციალ-დემოკრატს, ყოველ რუს წერა-კითხვის მცოდნე მუშას.

მარქსი, რომელმაც 1870 წლის სექტემბერში აჯანყებას სიგიჟე უწოდა, 1871 წლის აპრილში, როცა დაინახა სახალხო, მასობრივი მოძრაობა, უდიდესი ყურადღებით ეპყრობა მას როგორც იმ დიდი მოვლენების მონაწილე, რომელნიც მოასწავებდნენ წინგადადგმულ ნაბიჯს მსოფლიო-ისტორიულ რევოლუციურ მოძრაობაში.

ეს არის ცდა, — ამბობს ის, — ბიუროკრატიულ-სამხედრო მანქანის დასამსხვრევად და არა მის მხოლოდ სხვის ხელში გადასაცემადაო. და ის ნამდვილ ოსანას უგალობს პარიზის «გმირ» მუშებს, რომელთაც პრუდონისტები და ბლანკისტები ხელმძღვანელობდნენ. «რა მოქნილობა, — წერს ის, — რა ისტორიული ინიციატივა, რა თავგანწირვის უნარი აქვთ ამ პარიზელებს!» (გვ. 88)... «ისტორიამ ჯერ არ იცის ამგვარი გმირობის მაგალითი».

მასების ისტორიულ ინიციატივას მარქსი ყველაზე მეტად აფასებს. ოჰ, მარქსისაგან რომ ესწავლათ ჩვენს რუს სოციალ-დემოკრატებს რუსი მუშებისა და გლეხების 1905 წლის ოქტომბრისა და დეკემბრის ისტორიული ინიციატივის შეფასება!

მასების ისტორიული ინიციატივის წინაშე მუხლის მოდრეკა უღრმესი მოაზროვნისა, რომელიც ნახევარი წლით ადრე სჯვრეტდა წარუმატებლობას, — და უსიცოცხლო, უსულგულო, პედანტური სიტყვები: «ხელი არ უნდა მოგეკიდათ იარაღისთვისაო»! განა ეს ცა და დედამიწა არ არის?

და, როგორც მონაწილე მასობრივი ბრძოლისა, რომელსაც იგი, ლონდონში განდევნილი, თავისი დამახასიათებელი გატაცებითა და გზნებით განიცდიდა, მარქსი აკრიტიკებს უშუალო ნაბიჯებს «თავზე ხელაღებული მამაცი» პარიზელებისას, რომელნიც «მზადარიანიერიშიმიიტანონზეცაზე».

ოჰ, როგორ დასცინებდნენ მაშინ მარქსს ჩვენი ახლანდელი «რეალური» მარქსისტი ბრძენნი, რომლებიც რუსეთში 1906—1907 წლებში რევოლუციურ რომანტიკას აცამტვერებდნენ! როგორ აბუჩად აიგდებდნენ მატერიალისტს, ეკონომისტს, უტოპიის მტერს, რომელიც მუხლს იდრეკს ზეცაზე იერიშის მიტანის «ცდის» წინაშე! რამდენ ცრემლს დაღვრიდნენ, შეწყალების სიცილის ან შებრალების ცრემლს დაღვრიდნენ ფუტლარის ყოველგვარი კაცუნები ბუნტარული ტენდენციების, უტოპიზმისა და სხვათა და სხვათა გამო, ზეცისაკენ მსრბოლი მოძრაობის ამ შეფასების გამო!

მარქსი კი არ გაიმსჭვალა იმ ჭიჭყინა თევზის სიბრძნით, რომელსაც ეშინია განიხილოს რევოლუციური ბრძოლის უმაღლესი ფორმების ტექნიკა. ის სწორედ აჯანყების ტექნიკურ საკითხებს იხილავს. თავდაცვა თუ შეტევა? — ამბობს ის, თითქოს სამხედრო მოქმედება ლონდონის ზღუდეებთან წარმოებდეს. და მარქსი სწყვეტს: უეჭველად შეტევა, «მაშინვე ვერსალის წინააღმდეგ უნდა გაელაშქრათო...»

ეს დაწერილია 1871 წლის აპრილში, დიად სისხლისმღვრელ მაისამდე რამდენიმე კვირით ადრე...

«მაშინვე ვერსალის წინააღმდეგ უნდა გაელაშქრათ» — აჯანყებულებს, რომლებმაც ზეცაზე იერიშის მიტანის «გიჟური» საქმე დაიწყეს (1870 წ. სექტემბერი).

«იარაღისათვის ხელი არ უნდა მოგვეკიდა» 1905 წლის დეკემბერში, რათა ძალით დაგვეცვა მოპოვებული თავისუფლებანი მათი წართმევის პირველი ცდებისაგან...

დიახ, პლეხანოვმა ტყუილად როდი შეადარა თავისი თავი მარქსს!

«მეორე შეცდომა», — განაგრძობს თავის ტექნიკურ კრიტიკას მარქსი, — «ცენტრალურმა კომიტეტმა» (სამხედრო მეთაურობამ — დაიხსომეთ ეს — ლაპარაკია ნაციონალური გვარდიის ცენტრალურ კომიტეტზე) «ცენტრალურმა კომიტეტმა ძალიან ადრე მოიხსნა თავისი უფლებამოსილებანი...»

მარქსმა იცოდა წინამძღოლთა გაფრთხილება ნაადრევი აჯანყებისაგან. მაგრამ ზეცაზე იერიშის მიმტან პროლეტარიატს ის ეჭცეოდა როგორც პრაქტიკული მრჩეველი, როგორც იმ მასების ბრძოლის მონაწილე, რომელთაც, მიუხედავად ბლანკისა და პრუდონის ყალბი თეორიებისა და შეცდომებისა, მთელი მოძრაობა უმაღლეს საფეხურზე აჰყავთ.

«ასეა თუ ისე, — წერს ის, — პარიზის აჯანყება, კიდეც რომ ჩაახშონ იგი ძველი საზოგადოების მგლებმა, ღორებმა და საზიზღარმა ქოფაკებმა, ჩვენი პარტიის უაღრესად სახელოვანი გმირობაა ივნისის აჯანყების შემდეგ» [36].

და მარქსმა არ დაუმალა პროლეტარიატს კომუნის არცერთი შეცდომა და ამ გმირობას უძღვნა ნაწარმოები, რომელიც დღემდე საუკეთესო სახელმძღვანელოა «ზეციასათვის» ბრძოლაში, — და ამავე დროს უსაშინელესი საფრთხობელაა ლიბერალური და რადიკალური «ღორებისათვის».

პლეხანოვმა დეკემბერს უძღვნა «ნაწარმოები», რომელიც თითქმის სახარებად იქცა კადეტებისათვის.

დიახ, პლეხანოვი ტყუილად როდი ადარებდა თავის თავს მარქსს.

კუგელმანმა, ჩანს, მარქსს უპასუხა რაღაც ეჭვის გამოთქმით, მითითებით საქმის უიმედობაზე, რომანტიკის საწინააღმდეგო რეალიზმზე, — ყოველ შემთხვევაში, მან შეადარა

კომუნა — აჯანყება პარიზის 1849 წლის 13 ივნისის მშვიდობიან დემონსტრაციას.

მარქსმა დაუყოვნებლივ (1871 წლის 17 აპრილს) მკაცრი პასუხი გასცა კუგელმანს.

«მსოფლიო ისტორიის შექმნა, — წერს ის, — რა თქმა უნდა, ძალიან მოსახერხებელი იქნებოდა, ბრძოლა რომ მხოლოდ შეუცდომელი და ხელშემწყობი შანსების პირობით წარმოებდეს».

მარქსი 1870 წლის სექტემბერში აჯანყებას სიგიჟედ თვლიდა. მაგრამ როცა მასები აჯანყდნენ, მარქსს სურს მათთან იაროს, მათთან ერთად ისწავლოს ბრძოლის მსვლელობაში და არა კანცელარიული დარიგება უკითხოს მათ. მას ესმის, რომ სრული სიზუსტით შანსების წინდაწინ გათვალისწინების ცდა შარლატნობა ან გაუსწორებელი პედანტობა იქნებოდა. ის ყველაზე მაღლა აყენებს იმას, რომ მუშათა კლასი გმირულად, თავდადებულად, ინიციატიურად ჰქმნის მსოფლიო ისტორიას. მარქსი ამ ისტორიას უყურებდა იმათი თვალსაზრისით, ვინც მას ჰქმნის და ვისაც ამავე დროს შესაძლებლობა არა აქვს წინდაწინვე შეუმცდარად გაითვალისწინოს შანსები, — და არა იმ ინტელიგენტ-ფილისტერის თვალსაზრისით, რომელიც ჰკუას ასწავლის: «ადვილი იყო გათვალისწინება... ხელი არ უნდა მოგეკიდათო...»

მარქსმა იმის შეფასებაც იცოდა, რომ ისტორიაში არის ხოლმე ისეთი მომენტები, როცა მასების თავგანწირული ბრძოლა უიმედო საქმისთვისაც კი აუცილებელია ამ მასების შემდგომი აღზრდისა და მათი შემდგომი ბრძოლისათვის მომზადების მიზნით.

ჩვენს ახლანდელ კვაზი-მარქსისტებს, რომელთაც უყვართ მარქსის წარამარა ციტირება, რათა მისგან აიღონ მხოლოდ წარსულის შეფასება და არა მომავლის შექმნის უნარი, — სულაც არ ესმით და პრინციპულად კიდევაც ეუცხოებათ საკით-

ხის ამგვარი დასმა. პლეხანოვს არც კი უფიქრია მასზე, როცა 1905 წლის დეკემბრის შემდეგ შეუდგა «შეფერხების» ამოცანის შესრულებას...

მაგრამ მარქსი სწორედ ამ საკითხს აყენებს და სრულებით არ ივიწყებს იმას, რომ 1870 წლის სექტემბერში მან თვითონვე აღიარა აჯანყების სიგიჟე.

«ვერსალის ბურჟუაზიულმა არამზადებმა, — წერს ის, — პარიზელებს ალტერნატივა დაუყენეს: ან მიიღონ ბრძოლაში გამოწვევა, ან უბრძოლველად დანებდნენ. უკანასკნელ შემთხვევაში მუშათა კლასის დემორალიზაცია გაცილებით უფრო დიდი უბედურება იქნებოდა, ვიდრე მრავალი წინამძღოლის დაღუპვა» [37].

ამით დავამთავრებთ პროლეტარიატის ღირსი პოლიტიკის იმ გაკვეთილების მოკლე მიმოხილვას, რომლებსაც მარქსი გადმოგვცემს თავის წერილებში კუგელმანისადმი.

რუსეთის მუშათა კლასმა ერთხელ უკვე დაამტკიცა და კიდევ არაერთხელ დაამტკიცებს, რომ მას უნარი შესწევს «იერიში მიიტანოს ზეცაზე».

1907 წ. 5 თებერვალი.

დაიბეჭდა 1907 წ. ბროშურაში:
კ. მარქსი. «წერილები
ლ. კუგელმანისადმი».
ნ. ლენინის რედაქციითა და
წინასიტყვაობით, გამომც.
«ნოვაია დუმა», ს.-პეტერბურგში

იბეჭდება
ბროშურის ტექსტის
მიხედვით

# მეოთხე სათათბიროს და რევოლუციის მეოთხე ტალღა

პეტერბურგი, 1907 წ. 7 თებერვალი.

მოვლენები ვითარდება იმ სისწრაფით, რომელსაც არ შეიძლება პირდაპირ რევოლუციური არ ვუწოდოთ. ოთხი დღის წინათ პეტერბურგის საარჩევნო კამპანიის გამო ვწერდით, რომ პოლიტიკური დაჯგუფება უკვე გამოისახა: მხოლოდ ერთადერთმა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ აღმართა დამოუკიდებლად, მედგრად და ამაყად დაუნდობელი ბრძოლის დროშა რეაქციის ძალმომრეობისა და ლიბერალების თვალთმაქცობის წინააღმდეგ. წვრილბურჟუაზიული დემოკრატია (აგრეთვე მუშათა პარტიის წვრილბურჟუაზიული ნაწილის ჩათვლით) მერყეობს, ხან ლიბერალებისაკენ იბრუნებს პირს და ხან რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისაკენ.

დღეს პეტერბურგში არჩევნებია. მათი შედეგები ვერ შეცვლის საზოგადოებრივ ძალთა აღნიშნულ თანაფარდობას. ხოლო სათათბიროს გუშინდელი არჩევნები, რომელმაც 524 წევრიდან უკვე მოგვცა 217 წევრი, ე. ი. ორ მეხუთედზე მეტი, ნათლად გვისურათებს მეორე სათათბიროს შემადგენლობას, ნათლად გვისურათებს იმ პოლიტიკურ სიტუაციას, რაც ჩვენს თვალწინ ყალიბდება.

«რეჩის» მონაცემებით, რომელიც, რა თქმა უნდა, საქმეს კადეტების სასარგებლოდ ალამაზებს, სათათბიროს არჩეული 205 წევრი ამნაირად ნაწილდება: მემარჯვენე — 37, ნაციონალისტ-ავტონომისტი[38] — 24, კადეტი — 48, პროგრესისტი და უპარტიო — 16, უპარტიო მემარცხენე — 40, ნაროდნიკი —

20 (13 ტრუდოვიკი, 6 ესერი და 1 სახალხო სოციალისტი) და სოციალ-დემოკრატი — 20.

უეჭველია, ჩვენს წინაშეა წინანდელზე უფრო მემარცხენე სათათბირო. შემდგომმა არჩევნებმაც თუ ასეთივე შედეგები მოგვცა, მაშინ ჩვენ სათათბიროს 500 წევრზე მივიღებთ ამგვარ დიდ ციფრებს: მემარჯვენე — 90, ნაციონალისტი — 50, კადეტი — 125, პროგრესისტი — 35, უპარტიო მემარცხენე — 100, ნაროდნიკი — 50 და სოციალ-დემოკრატი — 50. ცხადია, ეს სავარაუდო გამოანგარიშებაა, რომელსაც მხოლოდ თვალსაჩინოებისათვის ვახდენთ, მაგრამ დიდი საერთო ციფრების სისწორეში არა გვგონია დღეს ეჭვის შეტანა შეიძლებოდეს.

მეხუთედი ნაწილია — მემარჯვენენი; ორი მეხუთედი — ზომიერი ლიბერალები (ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუები; აქ შედიან ნაციონალისტები, კადეტები და პროგრესისტების ნაწილი, თუ ყველა არა); ორი მეხუთედი — მემარცხენენი (მათ შორის ერთი მეხუთედი — უპარტიონი, ერთი მეხუთედი — პარტიულები, ნაროდნიკები და სოციალ-დემოკრატები თანაბრად), — აი მეორე სათათბიროს როგორი შემადგენლობა გვეხატება თვალწინ წინასწარი მონაცემების მიხედვით.

რას ნიშნავს ეს?

შავრაზმული, მთელ ევროპაში ყველაზე რეაქციული მთავრობის ყველაზე მხეცური, ყველაზე უსირცხვილო თვითნებობა. მთელ ევროპაში ყველაზე რეაქციული საარჩევნო კანონი. ევროპაში სახალხო წარმომადგენლობის ყველაზე რევოლუციური შემადგენლობა ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში!

ეს აშკარა წინააღმდეგობა სრული სიცხადით გამოხატავს მთელი თანამედროვე რუსეთის ცხოვრების ძირითად წინააღმდეგობას, გამოხატავს ახლანდელი მომენტის მთელ რევოლუციურობას.

1905 წ. 9 იანვრის დიადი დღიდან რევოლუციის ორი წელი გავიდა. ჩვენ განვიცადეთ გაცოფებული რეაქციის ხანგრძლივი და მძიმე პერიოდები. ჩვენ განვიცადეთ თავისუფლებათა

ხანმოკლე «ნათელი შუალედები». ჩვენ განვიცადეთ ორი დიდი სახალხო აფეთქება საგაფიცვო და შეიარაღებული ბრძოლისა. ჩვენ ვნახეთ ერთი სათათბირო და ორჯერ განმეორებული არჩევნები, — ამ არჩევნებმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა პარტიული დაჯგუფება, მოგვცა მეტისმეტად მკვეთრი დაჯგუფება მოსახლეობისა, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა არავითარ პოლიტიკურ პარტიებზე.

ორი წლის განმავლობაში ჩვენ დავმარხეთ ზოგისა გულუბრყვილო და ზოგისა უხეში ანგარებიანი რწმენა განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანობისა, გამოვეთხოვეთ მრავალ ილუზიას მშვიდობიანი, კონსტიტუციური გზის შესახებ, შევიძინეთ ბრძოლის მასობრივი ფორმების გამოცდილება, მივედით ბრძოლის უსასტიკეს და უკიდურეს ხერხებამდე, როგორიც კი შეიძლებოდა წარმოგვედგინა, მოსახლეობის ერთი ნაწილის შეიარაღებულ ბრძოლამდე მეორე ნაწილის წინააღმდეგ. გაბოროტდნენ და გააფთრდნენ ბურჟუაზია და მემამულენი. ობივატელი დაიღალა. მოეშვა და ცუდ გუნებაზე დადგა რუსეთის ინტელიგენტი. თავი წამოყო ლიბერალურ მოლაყბეთა და ლიბერალურ მოღალატეთა პარტიამ, კადეტების პარტიამ, რომელიც რევოლუციით გამოწვეული დაღლილობით სპეკულაციას ეწეოდა და თავის ჰეგემონიად ასაღებდა ფამუსოვისებურ მზადყოფნას წარმოუდგენელი არამზადობის ჩასადენად.

ძირს კი, პროლეტარული მასისა და გაღატაკებული, დამშეული გლეხობის მასის სიღრმეში რევოლუცია წინ მიდიოდა, იგი უხმაუროდ და შეუმჩნევლად უთხრიდა ძირს ძველი წყობილების ბურჯს, სამოქალაქო ომის ჰექა-ქუხილით აღვიძებდა ყველაზე მძინარეებს, არყევდა ყველაზე უმოძრაო ელემენტებს იმით, რომ სასწრაფოდ ცვლიდნენ ერთმანეთს «თავისუფლებანი» და მხეცური ძალმომრეობა, მიწუნარება და საპარლამენტო გამოცოცხლება, არჩევნები, მიტინგები, «კავშირული» მუშაობიხ ციებცხელება.

შედეგი — ახალი, კიდევ უფრო მემარცხენე სათათბირო, წინ კი ახალი, კიდევ უფრო მრისხანე და უფრო უეჭველი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი კრიზისი.

დღეს ბრმებმაც კი უნდა დაინახონ, რომ ჩვენს წინაშე სწორედ რევოლუციური კრიზისია და არა კონსტიტუციური კრიზისი. აქ ეჭვი შეუძლებელია. რუსეთის კონსტიტუციის დღენი დათვლილია. ახალი შეტაკება გარდუვალად ახლოვდება: ან რევოლუციური ხალხის გამარჯვება, ან მეორე სათათბიროს ისეთივე სამარცხვინო გაქრობა, როგორც პირველისა, შემდეგ კი საარჩევნო კანონის გაუქმება და დაბრუნება შავრაზმული თვითმპყრობელობისადმი sans phrases *.

რა პატარა გახდა უცბად ყველა ჩვენი გუშინდელი «თეორიული» დავა, რომელიც დღეს გაშუქდა ამომავალი რევოლუციური მზის ბრწყინვალე სხივით! განა სასაცილო არ არის საბრალო, დამფრთხალი, სულმოკლე ინტელიგენტის გოდება არჩევნების შავრაზმული საფრთხის შესახებ? განა ბრწყინვალედ არ გამართლდა ის, რაც ნ ო ე მ ბ ე რ შ ი («პროლეტარის» მე-8 ნომერში) ვთქვით: «შავრაზმულ საფრთხეზე ყვირილით კადეტები თვალს უხვევენ მენშევიკებს, რომ თავიდან აიცილონ საფრთხე მარცხნიდან» **?

რევოლუცია გვასწავლის. რევოლუცია ძალით აყენებს რევოლუციურ ლიანდაგზე იმათ, ვინც უხასიათობით თუ უჭკუობით მუდამ გზას სცდება და იბნევა. მენშევიკებს უნდოდათ ბლოკი კადეტებთან, მათ უნდოდათ «ოპოზიციის» ერთიანობა, «სათათბიროს როგორც ერთი მთელის გამოყენების» შესაძლებლობა. ისინი აკეთებდნენ ყოველივე შესაძლებელს (და ყოველივე შეუძლებელს, არ მოერიდნენ პარტიის გათიშვასაც კი, როგორც ეს მოხდა პეტერბურგში), რათა მთლიანი ლიბერალური სათათბირო შეექმნათ.

არაფერი არ გამოვიდა. რევოლუცია უფრო ძლიერია, ვიდრე ჰგონიათ ოპორტუნისტ სუსტ მორწმუნეთ. რევოლუცია კა-

* — უფრაზოდ. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 11, გვ. 370. რ ე დ.

დეტების ჰეგემონიის დროს მხოლოდ მტვრად იქცევა. ის გაიმარჯვებს მხოლოდ ბოლშევიკური სოციალ-დემოკრატიის ჰეგემონიის დროს.

სათათბირო სწორედ ისეთი გამოდის, როგორც ჩვენ ვასურათებდით მენშევიკებთან პოლემიკის დროს «პროლეტარის» მე-8 ნომერში (1906 წ. ნოემბერი). ეს არის მკვეთრ უკიდურესობათა სათათბირო, რევოლუციური ნიაღვრის მიერ ნიადაგგამოფიტული ზომიერი და გულმოდგინე შუათანა ადგილის სათათბირო, კრუშევანებისა [37] და რევოლუციური ხალხის სათათბირო. ამ სათათბიროში ბოლშევიკური სოციალ-დემოკრატია მაღლა ასწევს თავის დროშას და წვრილბურჟუაზიულ დემოკრატთა მასას ეტყვის, როგორც უთხრა მას პეტერბურგის არჩევნებში: აირჩიეთ ან სტოლიპინებთან კადეტური ვაჭრობა, ან ხალხის მასების რიგებში შეერთებული ბრძოლა! ჩვენ, მთელი რუსეთის პროლეტარიატი, ამ ბრძოლაში ვებმით. ჩვენთან არის ყველა, ვისაც უნდა თავისუფლება ხალხისათვის და მიწა — გლეხობისათვის!

კადეტი უკვე გრძნობს, რომ ქარი სხვა მხრიდან ქრის, რომ პოლიტიკური ბარომეტრი სწრაფად ეცემა. ტყუილად როდი განერვიულდნენ ყოველგვარი მილიუკოვები იმდენად, რომ სულ მთლად გაშიშვლდნენ და ქუჩის «წითელი ჩვრების» შესახებ აყვირდნენ (სტოლიპინების კაბინეტებში ეს ვაჟბატონები ყოველთვის ფარულად აგინებდნენ «წითელ ჩვარს»!). ტყუილად როდი ლაპარაკობს დღევანდელი (7 თებერვლის) «რეჩი» პოლიტიკური ბარომეტრის «ნახტომებზე», მთავრობის მერყეობაზე — არ ვიცით, «სამინისტროს გადადგომასა თუ რაღაც პრონუნციამენტოს, შავრაზმულ-სამხედრო დარბევას შორის, რომლის ვადაც კი ინიშნება 14-ისათვის». და ტირის, სწუხს რუსეთის ლიბერალის გამოფიტული სული: ნუთუ კვლავ «სტიქიური რეფლექსების პოლიტიკა» იწყებაო...

დიახ, საბრალო უდროობის საბრალო გმირებო! კ ვ ლ ა ვ რევოლუცია. ჩვენ აღტაცებით მივესალმებით ხალხის სტიქიური მრისხანების მოახლოებულ ტალღას. მაგრამ ჩვენ ყველა-

ფერს გავაკეთებთ, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული, რომ ახალი ბრძოლა რაც შეიძლება ნაკლებ სტიქიური, რაც შეიძლება უფრო შეგნებული, მტკიცე და მედგარი იყოს.

მთავრობამ უკვე დიდი ხანია აამუშავა ძალმომრეობის, დარბევის, ველური სიმხეცის, მოტყუებისა და გამოყეყეჩების საკუთარი მანქანის ყველა ბორბალი. და ახლა უკვე ყველა ბორბალი მოშლილია, ყველაფერი ნაცადია, არტილერიაც კი სოფლებსა და ქალაქებში. ხალხის ძალები კი არათუ არ დალეულან, არამედ სწორედ ახლა ირაზმებიან უფრო და უფრო ფართოდ, ძლიერად, აშკარად და მედგრად. შავრაზმული თვითმპყრობელობა და — მემარცხენე სათათბირო. მდგომარეობა უეჭველად რევოლუციურია. უაღრესად მწვავე ფორმის ბრძოლა უეჭველად გარდუვალია.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ იგი გარდუვალია, ჩვენ არ გვესაჭიროება მისი დაჩქარება, ძალით გამოწვევა. ამაზე დაე კრუშევანებმა და სტოლიპინებმა იზრუნონ. ჩვენი დანიშნულებაა მთელი სიცხადით, პირდაპირ, ულმობლად და დაუფარავად **გამოვამჟღავნოთ** სიმართლე პროლეტარიატისა და გლეხობის წინაშე, ავუხილოთ მათ თვალი და დავანახოთ მომავალი გრიგალის მნიშვნელობა, დავეხმაროთ მათ — დარაზმულად, სასიკვდილოდ თავგადადებულ ადამიანთა გულგრილობით შეხვდნენ მტერს, როგორც ხვდება მოწინააღმდეგეს ჯარისკაცი, რომელიც სანგარში წევს და მზად არის პირველი გასროლისთანავე გააფთრებულ შეტევაზე გადავიდეს.

«პირველად თქვენ ისროლეთ, ბატონო ბურჟუებო!» — ამბობდა ენგელსი 1894 წელს გერმანიის კაპიტალის მისამართით [10]. «პირველად თქვენ ისროლეთ, ბატონო კრუშევანებო და სტოლიპინებო, ორლოვებო და რომანოვებო!» — ვიტყვით ჩვენ. ჩვენი საქმეა დავეხმაროთ მუშათა კლასს და გლეხობას, რათა **გავსრისოთ** შავრაზმული თვითმპყრობელობა, როდესაც ის თვითონ გვეძგერება.

ამიტომ — არავითარი ნაადრევი **მოწოდება** აჯანყებისაკენ! არავითარი საზეიმო მანიფესტები ხალხისადმი-

არავითარი პრონუნციამენტო, არავითარი «საჯარო განცხადებანი». ქარიშხალი თვითონ მოდის ჩვენსკენ. იარაღი არ უნდა ვაჩხარუნოთ.

უ ნ დ ა ვ ა მ ზ ა დ ო თ ი ა რ ა ღ ი, — ამ სიტყვების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი აზრით. უნდა ვამზადოთ უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად პროლეტარიატის შეკავშირებული და თავისი შეგნებით, თავისი გამბედაობით მტკიცე არმია. უნდა გავაათკეცოთ ჩვენი-სააგიტაციო და საორგანიზაციო მუშაობა გლეხობაში, როგორც იმ გლეხობაში, რომელიც შიმშილობს სოფლად, ისე იმ გლეხობაშიც, რომელმაც წარსულ შემოდგომაზე სამხედრო სამსახურში გაგზავნა თავისი შვილები, რევოლუციის დიადი წელიწადი რომ განიცადეს. უნდა ავხადოთ რევოლუციას ყველა და ყოველგვარი იდეოლოგიური ფარდა და საფარი, უნდა მოვსპოთ ყოველგვარი ეპვი და რყევა. სულ უბრალოდ, მშვიდად, ხალხის გასაგებად, მარტივად უნდა ვთქვათ რაც შეიძლება ხმამაღლა და ნათლად: ბრძოლა აუცილებელია! პროლეტარიატი ბრძოლას მიიღებს. პროლეტარიატი ყველაფერს გაიღებს, მთელ თავის ძალებს გამოიყენებს ამ ბრძოლაში თავისუფლებისათვის. დაე, იცოდეს გაპარტახებულმა გლეხობამ, იცოდნენ ჯარისკაცებმა და მატროსებმა, რომ სწყდება რუსეთის თავისუფლების ბედი.

«პროლეტარი» № 13,
1907 წ. 11 თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

# პეტერბურგის არჩევნების შედეგები

პეტერბურგი, 1907 წ. 9 თებერვალი.

პეტერბურგის არჩევნებში კადეტებმა გაიმარჯვეს. მათ 11 უბანში 151 ამრჩეველი გაიყვანეს. მემარცხენე ბლოკმა მხოლოდ ერთ უბანში, ვიბორგის უბანში გაიმარჯვა, 160-იდან 9 ამრჩეველი გაიყვანა.

პეტერბურგის არჩევნების ძირითადი თავისებურებანი: ხმის მიმცემთა პროტესტის გადიდება თითქმის ყველა უბანში, შემდეგ — მემარჯვენეთა დასუსტება. კადეტები პირველ ადგილზე მიდიან, მათ მიიღეს 28 798 ხმა (ვანგარიშობთ მათი კანდიდატების მიერ მიღებულ ხმათა მაქსიმალური რიცხვის მიხედვით). მეორე ადგილზეა მემარცხენე ბლოკი, რომელმაც 16 703 ხმა შეკრიბა. მესამე ადგილზე — ოქტიაბრისტები, 16 613 ხმა. მეოთხეზე — მონარქისტები, 5 270 ხმა.

ამრიგად, მოსკოვთან შედარებით, გადადგმულია დიდი ნაბიჯი. მოპოვებულია ბრძოლით ერთი უბანი. სიების წყებაში მემარცხენეები მესამე ადგილიდან მეორე ადგილზე გადმოვიდნენ. მემარცხენე ბლოკის მიერ მიღებული ხმების პროცენტი მოსკოვში 13 პროცენტს შეადგენდა; პეტერბურგში კი თითქმის ორჯერ მეტია — 25 პროცენტი.

ცხადია, აქ როლი ითამაშა როგორც რაოდენადმე უფრო ფართო აგიტაციამ, ისე სათათბიროს საერთო არჩევნების პოლიტიკურმა გავლენამაც, არჩევნებისა, რამაც გაცილებით უფრო მეტი მემარცხენენი მოგვცა, ვიდრე ამას მოელოდნენ. მოსკოვში არც ერთი ყოველდღიური გაზეთი არ ბეჭდავდა მემარცხენე ბლოკის ამრჩეველთა სიებს, პეტერბურგში კი რამდენიმე გაზეთი: «ტოვარიშჩს», ამბობენ, თავისი ტირაჟი ძალიან საგრძნობლად გაუდიდებია კიდეც სწორედ თავისი «გამემარც-

ხენების» შემდეგ. მოსკოვში არ იყო ბიურო ცნობების მისაღებად და მემარცხენე სიების შესავსებად. პეტერბურგში იყო, მოსკოვში წვრილბურჟუაზიულ ფილისტერთა უმრავლესობამ დაუჯერა კადეტურ ზღაპარს შავრაზმული საფრთხის შესახებ. პეტერბურგში უკვე აშკარად გამოირკვა, რომ წვრილი ბურჟუებისა და ოპორტუნისტების ეს რწმენა შერყეულია.

მოგვყავს მონაცემები უბნების მიხედვით, ვიღებთ სხვადასხვა სიის კანდიდატთა მიერ მიღებული ხმების მაქსიმალურ რიცხვს («რეჩის» ციფრებია):

| ქ. პეტერბურგის უბნებში | მიღებული ხმების უდიდესი რიცხვი | | | | კადეტთა და შავრაზმულ ეს[illegible] | რამდენი ხმა [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კადეტები | ბალარეხენე ბლო�sა | ოქტობრისტები | მონარქისტები | | |
| სპასკისა | 8 897 | 1 644 | 1 514 | 624 | —1 758 | 877 |
| ნარვგისა | 4 877 | 1 648 | 1 896 | 907 | — 794 | 868 |
| ლიტეინისა | 2 776 | 919 | 2 158 | 667 | —1 857 | 999 |
| კოლომნისა | 1 818 | 1 122 | 1 068 | 206 | — 196 | 99 |
| ვას. კუნძულისა | 4 318 | 1 949 | 2 102 | 418 | — 804 | 188 |
| როჟდესტვენსკისა | 2 784 | 1 825 | 1 195 | 587 | —1 459 | 780 |
| ყაზანისა | 1 749 | 589 | 608 | 201 | —1 160 | 581 |
| საადმირალოსი | 955 | 246 | 725 | 198 | — 709 | 955 |
| მოსკოვისა | 4 100 | 1 709 | 2 288 | 708 | —2 598 | 1 200 |
| ალ. ნევსკისა | 2 785 | 1 421 | 749 | 588 | —1 814 | 658 |
| პეტერბურგისა | 8 282 | 2 754 | 1 861 | 541 | — 528 | 265 |
| ვიბორგისა | 1 012 | 1 880 | 649 | 249 | + 877 | — |
| ს უ ლ | 28 708 | 16 709 | 16 618 | 5 270 | | ხუთს არა უიმედო უბანში 1 578 ხმა |

ეს მონაცემები ნებას გვაძლევენ გამოვიყვანოთ მთელი რიგი საინტერესო დასკვნები.

უწინარეს ყოვლისა, — «შავრაზმული საფრთხის» შესახებ. არჩევნებმა დაამტკიცეს, რომ ასეთი საფრთხე არ არსებობს. ჩვენი მრავალი განცხადება და გაფრთხილება, რაც გაიმეორა ყველა ბოლშევიკმა, მათ შორის «ტერნიი ტრუდამ» [41] და «ზრენიემ» [42] ს ა ვ ს ე ბ ი თ გ ა მ ა რ თ ლ დ ა.

შავები პეტერბურგში ვერ გ ა ვ ი დ ო ნ ე ნ ხმების ვერაეითარი გაყოფის დროს კადეტებსა და მემარცხენეებს შორისl

ეს ცოტაა. ოქტიაბრისტები და მონარქისტები ერთადაც რომ ყოფილიყვნენ (ეს შეუძლებელი ამბავია განსაკუთრებით პეტერბურგში, სადაც გერმანელი ოქტიაბრისტები ვასილის კუნძულზე კინაღამ წაეჩხუბნენ 17 ოქტომბრის კავშირსაც კი), — შავები მაშინაც ვერ გაიმარჯვებდნენ პეტერბურგში! ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც გაირჯება და ზემოთ მოყვანილი ციფრების უბრალო გამოანგარიშებას მოახდენს, კადეტებისა და მემარცხენეთა ხმების ჯამი (45 ათასნახევარი) ორჯერ და მეტად აღემატება ოქტიაბრისტული და მონარქისტული ხმების (22 ათასი) ჯამს. როგორც უნდა გაყოფილიყო ხმები ოთხ მოცემულ სიას შორის და რა «ნაბიჯებიც» უნდა გადაედგათ მემარჯვენეებს, შავრაზმული საფრთხე მაინც არ იყო.

წვრილმა ბურჟუებმა — ნაროდნიკებმა და სოციალ-დემოკრატმა ოპორტუნისტებმა, რომელნიც კადეტებთან ერთად გაჰყვიროდნენ შავრაზმული საფრთხის შესახებ, — მოატყუეს ხალხი. ჩვენ ეს არჩევნებამდე ვთქვით. არჩევნებმა დაამტკიცეს ჩვენი სიმართლე.

პეტერბურგში საქმით გამოაშკარავდა უხასიათობა და პოლიტიკური სიბეცე, წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენტსა და ობივატელს რომ მოსდგამს. თუმცა არა იმდენად, როგორც მოსკოვში, მაგრამ პეტერბურგის არჩევნები მაინც კადეტების მიერ შეშინებული და გასულელებული მეშჩანების არჩევნები იყო. არჩევნების წინ პეტერბურგში მთელი ლიტერატურა, — დაწყებული «რეჩით» და გათავებული «ტოვარიშჩით», რომელიც მემარცხენე ბლოკს გულის გამაწვრილებლად იცავდა (და რომელიც თავს იმართლებდა მემარცხენეებისადმი თანაგრძნობის გამო?), — სავსე იყო უამრავი მონაცემებით, რომელნიც მოწმობდნენ თუ როგორ აშინებდნენ ობივატელს კადეტები და კადეტთა ამყოლ-დამყოლნი მოგონილი შავრაზმული კენჭისყრის საფრთხის აჩრდილით.

შავრაზმული კენჭისყრის საფრთხეზე ყვირილით კადეტები თავიდან იშორებდნენ მემარცხენე საფრთხეს, თვითონ კი ამ დროს სტოლიპინთან დაიარებოდნენ და დაჭკვიანებას, კიდევ უფრო გალოიალებას, მემარცხენეთაგან გამოცალკევებას ჰპირდებოდნენ. დღევანდელი (9 თებერვლის) «ტოვარიშჩის» სიტყვით, თვითონ სტოლიპინმა აღიარა, რომ მან თითოოროლა რამ ი ც ი ს კადეტების ამ მარჯვნივ შეტრიალების შესახებ!

შემდეგ, პეტერბურგის არჩევნების შედეგები საძუალებას გვაძლევენ ვუპასუხოთ კითხვაზე: რა მოგვცა ჩვენ ამ არჩევნებმა? შევძელით თუ არა ჩვენი პირდაპირი, ანტიკადეტური ქადაგებით აქამდე გულგრილ ამომრჩეველთა ა ხ ა ლ ი ფენების გამოღვიძება და პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში ჩაბმა? რამდენად ჩ ა მ ო ვ ა შ ო რ ე თ ლიბერალების მაჩანჩალა წვრილი ბურჟუები ლიბერალებს და გადმოვიყვანეთ ისინი პროლეტარიატის მხარეზე?

ამაზე რომ ვიმსჯელოთ, უწინარეს ყოვლისა შევადაროთ მონაცემები კადეტთა და მემარცხენეთა ხმების შესახებ (წინანდებურად, **maxima** *) 1906 და 1907 წლებში.

მ ი ღ ებ უ ლ ი ხ მ ე ბ ი ს რ ი ც ხ ვ ი (უ დ ი დ ე ს ი)

| ქ. პეტერბურგის უბნები | 1906 წ. | 1907 წელი | | | ბოლო და პირველი სვეტის სხვაობა |
|---|---|---|---|---|---|
| | კ.-დ. | კ.-დ. | მემარ-ცხენე | ერთად | |
| სპასკისა | 5 009 | 3 397 | 1 644 | 5 041 | + 32 |
| ნარვისა | 3 578 | 2 377 | 1 643 | 4 020 | + 442 |
| ლიტეინ'ს | 3 767 | 2 776 | 919 | 3 695 | — 72 |
| კოლომნისა | 2 243 | 1 318 | 1 122 | 2 440 | + 197 |
| ვას. კუნძულისა | 3 777 | 2 313 | 1 949 | 4 262 | + 485 |
| როჟდესტვენსკისა | 3 393 | 2 784 | 1 325 | 4 109 | + 716 |
| ყაზანისა | 2 242 | 1 749 | 589 | 2 338 | + 96 |
| საადმირალოსი | 1 553 | 955 | 246 | 1 201 | - 352 |
| მოსკოვისა | 5 124 | 4 100 | 1 702 | 5 802 | + 672 |
| ალექ. ნევსკისა | 2 991 | 2 735 | 1 421 | 4 156 | + 1 165 |
| პეტერბურგისა | 4 946 | 3 282 | 2 754 | 6 036 | + 1 090 |
| ვიბორგისა | 1 988 | 1 012 | 1 389 | 2 401 | + 413 |
| ს უ ლ | 40 611 | 28 798 | 16 703 | 45 501 | + 4 890 |

* — უდიდესი. რ ე დ.

ამ მონაცემებიდან სრულიად აშკარად გამომდინარეობს ოპოზიციისა და რევოლუციის სასარგებლოდ მიცემული ხმების თანაფარდობა 1906 წელს და 1907 წელს. ჩვენ მიერ მოპოვებული 17 ათასი ხმიდან (მიახლოებით) ჩვენ 12 ათასი წავართვით კადეტებს, 5 ათასი მივიღეთ აქამდე გულგრილი (რაოდენადმე ბოიკოტისტური) მასისაგან.

ამასთან ერთბაშად აშკარავდება განსხვავება «უიმედო» უბნებსა, ე. ი. ისეთ უბნებსა, რომლებშიც ჩვენ, ეტყობა, რაც უნდა დაგვეძაბა ძალღონე, არ შეგვეძლო გაგვემარჯვა 1907 წელს, და არაუიმედო უბნებს შორის. მაგალითად, «უიმედო» უბნებია უწინარეს ყოვლისა საადმირალოს და ლიტეინის უბნები. კადეტთა ხმები დიდად სჭარბობს ჩვენს ხმებს. რით აიხსნება ეს?

მიზეზი აშკარაა. მოსახლეობას შეადგენენ — პირველში მოხელეები, მეორეში მსხვილი ბურჟუაზია (ამას აღნიშნავდა არჩევნებამდე «ტერნიი ტრუდა»). სადაც სავაჭრო-სამრეწველო პროლეტარიატი არ არის, სადაც მოხელეები სჭარბობენ, იქ ვერ გაიმარჯვებდა სოციალ-დემოკრატია, რომელსაც მხარს დაუჭერდნენ ტრუდოვიკები. აქ ხმის მიმცემთა რიცხვიც კი შემცირდა: ინტერესი არ არის! აქ ჩვენ მხოლოდ მოვგლიჯეთ კადეტების ხმებს დაახლოებით მეოთხედი ნაწილი მემარცხენე ბლოკის სასარგებლოდ.

მეორე პოლუსზე არიან არაუიმედო უბნები, სადაც სოციალ-დემოკრატიამ, — რომელსაც მხარს უჭერდნენ ტრუდოვიკები, — გამოაღვიძა ახალი ელემენტების მასა, ჭაობიდან და საღათას ძილიდან გამოიყვანა და პოლიტიკაში ჩააბა ქალაქის ღარიბობა. ეს არის ალექსანდრე ნევსკისა და პეტერბურგის უბნები. აქ შავების საწინააღმდეგო ხმების, ე. ი. როგორც კადეტების, ისე მემარცხენეების ხმების საერთო რიცხვის ზრდა ათასზე მეტს შეადგენს თვითეულ უბანში. აქ მემარცხენე ხმების დიდი ნაწილი ახალი ხმებია და არა კადეტებისთვის წართმეული. ბრძოლის ხმამ, სოციალ-დემოკრატიისა და ტრუდოვიკების ხმამ გა-

მოაღვიძა ის, ვინც კადეტის ტკბილად მომღერალმა ხმამ ვერ წამოაყენა.

პეტერბურგის უბანში ჩვენ კადეტებისთვის უნდა წაგვერთმია სულ 265 ხმა, — და ჩვენ გავიმარჯვებდით. 265 ხმა, 2 754 ხმას რომ მიჰმატებოდა, — ცხადია, გამარჯვება სავსებით შესაძლებელი იქნებოდა. ცხადია აგრეთვე, რომ არც თუ სავსებით პროლეტარული ტიპის ქალაქელმა ღარიბობამ, ნოქრებმა, მეეტლეებმა, წვრილმა ბინისდამქირავებლებმა აქ მემარცხენეებს დ ა უ ჭ ი რ ე ს მ ხ ა რ ი. ცხადია, რომ ტრუდოვიკების მიერ მხარდაჭერილი სოციალ-დემოკრატიის მოწოდებამ ამაოდ არ ჩაიარა, რომ აქ მეტად საგრძნობი რაოდენობით არის მოსახლეობის ის ელემენტები, რომელთაც შეუძლიათ კადეტებზე შორს, კადეტებზე უფრო მარცხნივ წავიდნენ.

ალ. ნევსკის უბანში ბრძოლა გაცილებით უფრო ძნელი იყო. გასამარჯვებლად კადეტებისთვის უნდა წაგვერთმია 658 ხმა. 658 ხმა 1 421 ხმის დამატებით, — საკმაოდ დიდი რიცხვია, მაგრამ მაინც ნ ა ხ ე ვ ა რ ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ი ა. ჩვენ უფლება არა გვაქვს უიმედოდ ჩავთვალოთ ისეთი უბნები, სადაც ჩვენი ხმების რიცხვის ერთნახევარჯერ გადიდება გამარჯვებას გვარგუნებდა.

კოლომნის უბანში ადვილად შეგვეძლო გაგვემარჯვნა: ამისათვის საჭირო იყო 99 ხმა წაგვერთმია კადეტებისთვის. ვასილის კუნძულის უბანში, სადაც სამი მთავარი სია — კადეტური, ოქტიაბრისტული და მემარცხენეთა — თითქმის თანასწორად მიდიოდა, ჩვენ გავიმარჯვებდით, კადეტებისთვის რომ 183 ხმა წაგვერთმია. ნარვის უბანში გასამარჯვებლად საჭირო იყო კადეტებისთვის წაგვერთმია 368 ხმა.

დასკვნა. მემარცხენე ბლოკმა პეტერბურგში, უ ე ჭ ვ ე ლ ი ა, მიიმხრო ნოქარი და ქალაქის წვრილი ბურჟუა, პირველად ჩ ა ა ბ ა მათი ნაწილი პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჩ ა მ ო ა შ ო რ ა მათი ფრიად საგრძნობი ნაწილი კადეტებს.

პეტერბურგის არჩევნებმა სამუდამოდ გაგაბათილეს ის უიმედო, უსასოო თვალსაზრისი, თითქოს, ტრუდოვიკების მიერ სოციალისტებისათვის მხარის დაჭერის შუალედ სტადიაზე სოციალ-დემოკრატიული იდეები სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურისათვის ძიუწვდომელი იყოს. ჩვენ შეგვიძლია, თუ მოვინდომებთ და მოვახერხებთ, დედაქალაქის ყოველ უბანში ქალაქის ღარიბობა ასობით და ათასობით გამოვაღვიძოთ პოლიტიკური ბრძოლისათვის. ჩვენ შეგვიძლია ყოველ უბანში ასობით ნოქარი, კანტორის მოხელე და სხვა ჩამოვაცილოთ სტოლიპინთან მოვაჭრე ლიბერალური ბურჟუების პარტიას. დაუღალავად ვიმუშაოთ ამ მიმართულებით, — და მოღალატე კადეტის ჰეგემონია ქალაქის ღარიბობის მიმართ დაძლეული იქნება. კიდევ ერთ საარჩევნო ბრძოლას მემარცხენე ბლოკის წინაალმდეგ პეტერბურგში კადეტები ველარ გაუძლებენ! ისინი სასტიკად დამარცხდებიან ახლანდელი საარჩევნო კანონის პირობებში, თუ კიდევ გამოვლენ საბრძოლველად «სტოლიპინური» აგიტაციისა და მილიუკოვისებური ვაჭრობის ახალი თვეების შემდეგ!

მართლაც, აშკარაა, რომ ამ არჩევნებშიც მემარცხენე ბლოკს ძალიან ცოტა რამ აკლდა გამარჯვებისათვის. უიმედო იყო მხოლოდ საადმირალოს, ლიტეინის, სპასკის, როჟდესტვენსკის, ყაზანისა და მოსკოვის უბნები. ყველა ამ ექვს უბანში ჩვენი ხმების რიცხვი ერთნახევარჯერ მეტად უნდა გაგვედიდებინა, — ეს კი თითქმის შეუძლებელი ამბავი იქნებოდა, რაც უნდა გაგვეძლიერებინა საარჩევნო აგიტაცია, გაგვევრცელებინა ლიტერატურა და სხვა (ე. ი. უფრო სწორად რომ ვთქვათ, შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ არა არჩევნების სტოლიპინური სამხედრო-საველე თავისუფლების დროს!). ამ უბნებიდან ორი პირველი სოციალურად მიუწვდომელია სოციალ-დემოკრატიისა და ტრუდოვიკებისათვის. უკანასკნელი ოთხი მისაწვდომია, მაგრამ ჩვენი მუშაობა სავაჭრო-

სამრეწველო მოსამსახურეთა შორის აქ ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან სუსტი იყო.

დანარჩენი ექვსი უბნიდან ერთში გავიმარჯვეთ მემარცხენე ბლოკის პირველი გამოსვლისთანავე. ოთხ უბანში გასამარჯვებლად ჩვენ კადეტებისთვის უნდა წაგვერთმია კიდევ სულ 99 — 368 ხმა. ერთ უბანში უნდა წაგვერთმია 658 ხმა. სულ ამ ხუთ უბანში საკმარისი იყო კადეტებისთვის წაგვერთმია **1 573** ხ მ ა, — და მემარცხენე ბლოკი გაიმარჯვებდა, მ თ ე ლ პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ს დ ა ი პ ყ რ ო ბ დ ა!

არა მგონია ვინმემ გაბედოს იმის თქმა, რომ ხუთ უბანში 1 573 ხმის წართმევას სოციალ-დემოკრატები ვერ შესძლებდნენ, მათ რომ თანხმობით ემუშავნათ, — კადეტებთან მოვაჭრე ოპორტუნისტებს მემარცხენე ბლოკის შეკვრა ძალიან დიდი ხნით რომ არ გადაედოთ, — მ ე ნ შ ე ვ ი კ თ ა გ ა თ ი შ უ ლ ნ ა წ ი ლ ს მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ბ ლ ო კ ი ს მ ი მ ა რ თ შ ტ რ ე ი კ ბ რ ე ხ ე რ ე ბ ი ს რ ო ლ ი რ ო მ ა რ შ ე ე ს რ უ ლ ე ბ ი ნ ა.

ვინ არის შტრეიკბრეხერი? ადამიანი, რომელიც დაკავშირებულია მებრძოლ პროლეტარიატთან და რომელიც კოლექტიური ბრძოლის მომენტში ღალატობს მას.

შეეფარდება თუ არა ეს ნიშანი გამოთიშულ მენშევიკს? რა თქმა უნდა, შეეფარდება, ვინაიდან მან დაარღვია სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთიანობა პეტერბურგში, განხეთქილება შეიტანა მებრძოლთა რიგებში, კადეტების მხარეზე გადადიოდა გახურებული ბრძოლის დროს, ბოლოს, პ ი რ დ ა პ ი რ ხ ე ლ ს გ ვ ი შ ლ ი დ ა მემარცხენე ბლოკის შეკვრის შემდეგაც კი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მემარცხენე ბლოკი 25 იანვარს შეიკრა, ხოლო გამოთიშული მენშევიკები 28 იანვარს «ტოვარიშჩში» ამომრჩევლებს მოუწოდებდნენ თავი შეეკავებინათ ხუთ უბანში! 1 თებერვალს იგივე მენშევიკები («რეჩი») ბეჭდავდნენ მოწოდებას, რომელიც მეშჩანს შავი საფრთხით აშინებდა!

ეს კიდევ არაფერია. დღევანდელ «რეჩში» მესამე გვერდზე პეტერბურგის ნაწილის არჩევნების აღწერის დროს ვკითხულობთ: ერთ ბიულეტენზე ეწერა: «ხმის მიცემისაგან თავს ვიკავებ. მენშევიკი».

დაე, მკითხველები კარგად ჩაუკვირდნენ ამ მაგალითის მნიშვნელობას!

28 იანვარს მენშევიკებმა «ტოვარიშჩში» დაბეჭდეს გათიშული ნაწილის აღმასრულებელი ორგანოს დადგენილებანი. ამ დადგენილებათა VI მუხლში პეტერბურგის უბანი პირდაპირ გამორიცხული იყო იმ უბნების რიცხვიდან, სადაც შავრაზმული საფრთხე არსებობს.

VI მუხლში პირდაპირ განცხადებული იყო, პეტერბურგის უბანში მიზანშეწონილია მემარცხენეებთან შეთანხმებაო. III მუხლში პირდაპირ ნათქვამი იყო, მემარცხენეებთან შეთანხმება კიდევაც რომ არ მოხდეს, მენშევიკები ამომრჩევლებს მოუწოდებენ ხმა მისცენ მემარცხენეებს იქ, სადაც «აშკარა» შავრაზმული საფრთხე არ არსებობსო. და მიუხედავად ამისა «მენშევიკი» მაინც თავს იკავებს პეტერბურგის უბანში!! როგორღა იქცეოდნენ გამოთიშული მენშევიკები სხვა უბნებში?

როგორღა შეიძლება ამის შემდეგ არ აღიარო ის ფაქტი, რომ სწორედ მენშევიკთა ნაწილის შტრეიკბრეხერობამ ჩაშალა მემარცხენე ბლოკის საარჩევნო გამარჯვება პეტერბურგში, სადაც არავითარი შავრაზმული საფრთხე არ არსებობდა?

დაე, პროლეტარიატმა ისწავლოს წვრილი ბურჟუაზიის მერყეობისა და ღალატის მაგალითებით. ჩვენ ყოველთვის მტკიცედ და მედგრად ავაფრიალებთ ჩვენს დროშას სხვებზე ადრე. ჩვენ ყოველთვის მოვუხმობთ წვრილ ბურჟუებს თავი დააღწიონ ლიბერალების ფრთას და პროლეტარიატის მხარეზე გადმოვიდნენ. და ეს ტაქტიკა — ერთადერთი რევოლუციური პროლეტარული ტაქტიკა ბურჟუაზიულ რევოლუ-

ციაში — მოგვანიჭებს გამარჯვებას მასობრივი პოლიტიკური ბრძოლის ყოველი გამოცოცხლების დროს.

სარატოვი, ნიჟნი-ნოვგოროდი — პირველი გამარჯვებაა [48]; მოსკოვი, პეტერბურგი — პირველი შეტევაა. კმარა, ბატონო კადეტებო! ბოლო ეღება ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიული ვექილების მიერ ქალაქის ღარიბობის მოტყუებას. დაე, სტოლიპინებმა, მილიუკოვებთან ერთად, ლანძღონ «წითელი ჩვარი». სოციალ-დემოკრატია წითელი დროშით დგას თავის პოსტზე ყველა მშრომელისა და ექსპლოატირებულის წინაშე.

«პროლეტარი» № 13,
1907 წ. 11 თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

# მოხსენება პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციაზე სათათბიროს კამპანიისა და სათათბიროს ტაქტიკის საკითხის შესახებ [44]

## გაზეთის მოკლე ანგარიში

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სათათბიროს ტაქტიკის საკითხი ამჟამად პოლიტიკის უსათუოდ ცენტრალური საკითხია და, მაშასადამე, მთავარი პუნქტია, რომლის გარშემო იტრიალებს ყრილობის კამპანია. ამასთან წინა რიგში დგება ორი საკითხი, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ყრილობის დღის წესრიგის პროექტში, რაც გაზეთებში იყო გამოქვეყნებული, სახელდობრ: საკითხი უახლოესი პოლიტიკური ამოცანებისა და სახელმწიფო სათათბიროს შესახებ.

რაც შეეხება პირველ საკითხს, ის მეტად გაურკვევლად არის ფორმულირებული. შესაძლებელია, მენშევიკებს ეს ესმით როგორც კადეტური სამინისტროსათვის მხარის დაჭერა და ამის პირდაპირ თქმა კი არა სურთ. ყოველ შემთხვევაში, ეტყობა, მათ სურთ კვლავ მოხსნან, როგორც IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე, რუსეთის რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის ძირითადი პ რ ი ნ ც ი პ ულ ი საკითხები. მაგრამ ამ საკითხების მოხსნა, როგორც უკვე დღეს გამოცდილებამაც გვიჩვენა, იწვევს მხოლოდ იმას, რომ სოციალ-დემოკრატიას არავითარი მტკიცე პარტიული ტაქტიკა არა აქვს. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ც. კ.-ის ტაქტიკა სათათბიროს, ე. ი. კადეტური სამინისტროს მხარის დაჭერის საკითხში

(1906 წ. ივნისი) არ გაიზიარა არათუ პარტიამ საზოგადოდ, არამედ არც სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ კერძოდ. სათათბიროს გარეკვის შემდეგ იგივე ბედი ეწია ცნობილ «პროტესტის მასობრივ ნაწილობრივ გამოვლინებებს», რაც ცენტრალურმა კომიტეტმა წამოაყენა. ახლა, არჩევნების დროს კადეტებთან დამოკიდებულება პარტიაში იმდენად გამოურკვეველი აღმოჩნდა, რომ ყველაზე უფრო გავლენიან და პასუხისმგებელ მენშევიკებს გამოეყვნენ ჩერევანინი რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის ნოემბრის (1906 წ.) კონფერენციამდე და პლეხანოვი (ვასილიევზე აღარ ვლაპარაკობთ) — ამ კონფერენციის შემდეგ.

საქმის ასეთ ვითარებაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატები აუცილებლად ვალდებული არიან ისარგებლონ წარმომადგენლობის სისრულით V პარტიულ ყრილობაზე, სადაც პირველად მიიღებენ მონაწილეობას პოლონელები, ლატვიელები და ბუნდელები, რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის ძირითადი პრინციპული საკითხების აღსაძვრელად. საქმის სარგებლობის თვალსაზრისით შეუძლებელია «უახლოეს პოლიტიკურ ამოცანებზე» ლაპარაკი, თუ გამორკვეული არ არის ძირითადი საკითხები პროლეტარიატის ამოცანების შესახებ ჩვენს რევოლუციაში საერთოდ, იმის შესახებ, არსებობს თუ არა ობიექტური პირობები რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის, კლასებისა და პარტიების თანამედროვე დაჯგუფებისა და განსაკუთრებით კადეტების პარტიის კლასობრივი ხასიათის შესახებ. ეს საკითხები უსათუოდ უნდა გაირკვეს, რაც გაადვილებულია პირველი სათათბიროს მდიდარი გამოცდილებით და მეორე სათათბიროს არჩევნების მდიდარი გამოცდილებით; მათ გამოურკვევლად წარმოუდგენელია პრინციპულად და გონივრულად გადაწყდეს კადეტური სამინისტროს საკითხი, მეორე სათათბიროს გარეკვის შემთხვევაში ჩვენი ტაქტიკისა და სხვა და სხვა საკითხები.

ამიტომ მომხსენებელი მოკლედ შეეხო მის მიერ დასახულ საკითხებს. მოსახლეობის ფართო მასების ეკონომიური მდგომარეობა, უეჭველია, იმას მოწმობს, რომ რევოლუციის ძირითადი ამოცანები გადაუწყვეტელია; უშუალო მასობრივი მოძრაობისათვის ობიექტური ნიადაგი არსებობს. პოლიტიკაში ეს იმით იხატება, რომ მწვავდება წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, თვითმპყრობელობას შორის, რომელიც თანდათან უახლოვდება შავრაზმელ მემამულეთა ორგანიზაციას, მეორე მხრივ, მასას შორის, რომელსაც შეადგენენ არა მარტო პროლეტარიატი, არამედ აგრეთვე სოფლის ღარიბნი (გლეხთა კურიამ, რასაკვირველია, მუშათა კურიის შემდეგ, მემარცხენე ამრჩევლების უ მ ა ღ ლ ე ს ი პროცენტი მოგვცა!) და ქალაქის ღარიბნი (კადეტების ჰეგემონია ქალაქის წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიაზე, უეჭველია, სერიოზულად შეირყა მეორე სათათბიროს არჩევნების დროს). აქედან გამომდინარეობს ის, რომ იზრდება და ახლოვდება არა კონსტიტუციური, არამედ რევოლუციური კრიზისი, რომ სათათბიროს ბრძოლა ისევ იწვევს — ობიექტური პირობების გამო — მით უფრო ჩქარ გადასვლას სათათბიროს გარეთ ბრძოლაზე, რაც უფრო წარმატებით გაჩაღდება სოციალ-დემოკრატიისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის მოღვაწეობა სათათბიროში. პროლეტარიატის, როგორც დემოკრატიული რევოლუციის ბელადის, ამოცანებია მასების რევოლუციური შეგნების, გამბედაობისა და შეკავშირების განვითარება, ლიბერალების ხელმძღვანელობისაგან წვრილი ბურჟუაზიის განთავისუფლება. სათათბიროს წინაშე თითქოს პასუხისმგებელი ლიბერალური, ნამდვილად კი მეფის შავრაზმული ბრბოსაგან დამოკიდებული, სამინისტროსათვის მხარის დაჭერაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთი სამინისტროს გამოყენების შესაძლებლობა (იგი რომ რეალობა გამოდგეს და არა კადეტების მოსატყუებლად გამოგონილი ისეთივე გაბერილი დაპირება, როგორიცაა სტოლიპინის პირობა კადეტების ლეგალიზაციის შესახებ 1907 წ. იანვარში, გაცემული მემარცხენეებთან ბლოკისაგან კადეტების ჩამოშორე-

ბის მიზნით) — ეს შესაძლებლობა მთლიანად დამოკიდებულია *რევოლუციური* კლასების ძალაზე, მათ შეგნებასა და შეკავშირებაზე.

რაც შეეხება სხვადასხვა პარტიის კლასობრივ შინაარსს, უკანასკნელი წლის განმავლობაში საერთო მოვლენად უნდა იქნას აღიარებული მაღალი კლასების გამემარჯვენება და დაბალი კლასების გამემარცხენება. შუაგული — ცენტრი — სუსტდება, მას ნიადაგს აცლის წინ მიმავალი რევოლუციური განვითარების ნიაღვარი. შავრაზმელები გაძლიერდნენ და შეკავშირდნენ, დაუახლოვდნენ ძველი რუსეთის უდიდეს ეკონომიურ-კლასობრივ ძალას, სახელდობრ, მებატონე მემამულეებს. ოქტიაბრისტები კონტრრევოლუციური მსხვილი ბურჟუაზიის პარტიად რჩებიან. კადეტები დიდად გადაიხარნენ მარჯვნივ. სულ უფრო და უფრო ირკვევა, რომ მათი სოციალური დასაყრდენია ლიბერალური (საშუალო) მემამულე, საშუალო ბურჟუაზია და მსხვილი ბურჟუაზიული ინტელიგენცია. ქალაქის ღარიბობა მათ მისდევს ტრადიციის ძალით, ისინი ატყუებენ მას სიტყვების რახარუხით «სახალხო თავისუფლებაზე». მეორე სათათბიროს არჩევნებმა ერთბაშად დაგვანახა, რომ მემარცხენეთა პირველივე შეტევა, მეტად არახელსაყრელ პირობებშიც კი, იწვევს ქალაქის დემოკრატიის «ქვედა ფენების» ძალიან საგრძნობლად ჩამოშორებას კადეტებისაგან.

კადეტები მარჯვნივ, ოქტიაბრისტებისაკენ წავიდნენ. დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზია, ქალაქის და განსაკუთრებით სოფლისა, ყველაზე უფრო გამაგრდა და გამემარცხენდა. მომხსენებელმა გაიხსენა, რომ 1906 წ. გაზაფხულზე არ ყოფილა არავითარი მასობრივი პოლიტიკური გამოცდილება ამ წვრილი ბურჟუაზიის აშკარა პარტიული ორგანიზაციის დარგში. დღეს უკვე არსებობს დიდად მნიშვნელოვანი გამოცდილება, დაწყებული პირველი სათათბიროს ტრუდოვიკებით და გათავებული მეორე სათათბიროში მოულოდნელად ბლომად გასული «მემარცხენეებით» და «ტრუდოვიკებით».

1906 — 1907 წლების გამოცდილებამ ჩინებულად დაადასტურა ბოლშევიკური შეხედულებანი რუსეთის რევოლუციაზე, რომლის მოხდენა შეუძლია არა ლიბერალიზმს, არამედ მხოლოდ პროლეტარიატს, თუ ის შესძლებს გლეხობის მასის თავის მხარეზე გადაყვანას.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა სათათბიროში სავსებით წინა დებულებებიდან გამომდინარეობს. სოციალ-დემოკრატებმა სათათბირო უნდა მიიჩნიონ, როგორც რევოლუციის ერთ-ერთი იარაღი, მათ გაბედულად, აშკარად და მკაფიოდ უნდა გაშალონ მასების წინაშე თავიანთი თანამიმდევარი პროლეტარულ-რევოლუციური დროშა, რევოლუციის განვითარების მიზნით აწარმოონ სააგიტაციო, საპროპაგანდო და საორგანიზაციო მუშაობა, განუმარტონ მასებს გარდუვალობა ახალი დიადი ბრძოლისა სათათბიროს გარეთ. კადეტების ფრაზები «სათათბიროს აფეთქების» შესახებ საზიზღარი პროვოკაციაა ლიბერალისა, რომელიც ფარულად ესაუბრება სტოლიპინს. სათათბიროს არ «აფეთქება» — სათათბიროს გარეკვის არდანებება — ნიშნავს: არაფერი გააკეთოთ ისეთი, რაც სტოლიპინსა და კამპანიას მეტად არასასიამოვნოდ დარჩებათ. სოციალ-დემოკრატებმა უნდა განმარტონ ამ პოლიციურ-კადეტური ლოზუნგის პროვოკატორული ხასიათი და გამოააშკარაონ, რომ ჯერ კიდევ პირველ სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული პარტიის (როგორც მენშევიკების, ისე აგრეთვე ბოლშევიკების) მოქმედება გამორიცხავდა ყოველგვარ ხელოვნურ რევოლუციურ «გზებს», საჯაროდ «გამოცხადებას» და სხვ. კადეტებმა ეს იციან და მასობრივი, სახალხო რევოლუციის განვითარების ტაქტიკას პირდაპირ «ნოვოე ვრემიას» მსგავსად სცვლიან «აფეთქებათა» ტაქტიკით.

სოციალ-დემოკრატები სათათბიროში ისე უნდა მოიქცნენ, როგორც ჩვენ ვიქცეოდით პეტერბურგის არჩევნებში: ააფრიალონ თავისი რევოლუციური დროშა; აიძულონ მერყევი წვრილი ბურჟუაზია არჩევანი მოახდინოს ჩვენსა და კადეტებს შო-

რის; გადამწყვეტი გამოსვლების მომენტებში არ უარყონ ნაწილობრივი შეთანხმებანი, შეთანხმებანი შემთხვევიდან შემთხვევამდე იმ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებთან, რომლებიც ჩვენ გამოგვყვებიან შავების წინააღმდეგაც და კადეტების წინააღმდეგაც. ამრიგად, გაარკვია რა სათათბიროში «მემარცხენე ბლოკის» გამოყენების მნიშვნელობა და პირობები, მომხსენებელმა განსაკუთრებული გაფრთხილებით აღნიშნა, რათა ეს ბლოკი არ იქნას შეფასებული როგორც მუდმივი შეთანხმება, რომელიც რითიმე შეზღუდავს სოციალ-დემოკრატიას, როგორც მეტნაკლებად ხანგრძლივი, წინასწარ დადებული ხელშეკრულება. პეტერბურგში რომ სოციალ-დემოკრატებს თავი შეებოჭათ მუდმივი შეთანხმებით ან თუნდაც წინასწარი ხელშეკრულების დადებით ნაროდნიკებთან, რომელთა შორის თვით «რევოლუციონერი» ესერები მენშევიკებთან ერთად დაიარებოდნენ, რათა კადეტებისათვის დემოკრატია მიეყიდნათ, მაშინ პეტერბურგის არჩევნებში მემარცხენე ბლოკი ვერ გვექნებოდა! სოციალ-დემოკრატიას შეუძლია მხოლოდ დამოუკიდებელი და მტკიცე პოლიტიკით, — და არა დიპლომატობით და წვრილმანი გარიგებებით, — უზრუნველყოს საჭირო მომენტებში ბურჟუაზიული დემოკრატიის იმ ელემენტებისაგან დახმარება, რომელთაც მართლა შესწევთ ბრძოლის უნარი.

## საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა გაილაშქრა ამის წინააღმდეგ [45]. ერთი მხრივ, უაღრესად საბრძოლო მომენტებშიც კი სოციალ-დემოკრატები უეჭველად უნდა დარჩნენ თვითმყოფ და დამოუკიდებელ პარტიად, რომელსაც მუშათა, გლეხთა და სხვა დეპუტატთა «საერთო» საბჭოებშიც კი საკუთარი ორგანიზაცია უნდა ჰქონდეს. მეორე მხრივ, სოციალ-დემოკრატებმა არ უნდა ჩაიდინონ მენშევიკების შეცდომა, რომლებიც «პოლიტიკურ ბლოკს» და «საბრძოლო შეთანხმებას» ერთმანეთს უპირისპირებენ, რადგან ყველა და ყოველგვარი შე-

თანხმება დასაშვებია მხოლოდ განსაზღვრული პ ო ლ ი ტ ი-კ უ რ ი ხაზის ფარგლებში. ცხადია, როცა სოციალ-დემოკრატები სათათბიროში განსაზღვრული საკითხის გამო კადეტების წინააღმდეგ გამოვლენ, მათ ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ უარი თქვან მემარცხენეებთან შეთანხმებაზე, თუ მემარცხენენი ამ საკითხში სოციალ-დემოკრატებს გაჰყვებიან და თუ კადეტებზე საპარლამენტო გამარჯვებისათვის ასეთი შეთანხმება საჭირო იქნება (მაგალითად, კანონის შესწორება; რომელიმე უმსგავსი მუხლის ამოშლა მიმართვიდან, განცხადებიდან, გადაწყვეტილებიდან და სხვა). მაგრამ უგუნურება და დანაშაული იქნებოდა თავისი თავის შებოჭვა ცოტად თუ ბევრად მუდმივი, სოციალ-დემოკრატიის ცოტად თუ ბევრად შემზღუდავი შეთანხმებით, ვისთანაც უნდა იყოს ეს.

«პროლეტარი» № 14,
1907 წ. 4 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის
მიხედვით

# რეზოლუციების პროექტები რსდმპ მეხუთე ყრილობისათვის [46]

დაწერილია 1907 წ. 15 — 18 თებერვალს
(28 თებერვალს — 3 მარტს)

დაიბეჭდა 1907 წ. 4 მარტს
გაზეთ «პროლეტარში», № 14

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

## 1. დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტის შესახებ

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ რუსეთის დღევანდელი ეკონომიური კრიზისი არ ამქღავნებს მოახლოებული ლიკვიდაციის ნიშნებს და თავისი გაჭიანურებული მიმდინარეობის პროცესში კვლავინდებურად წარმოშობს უდიდეს უმუშევრობას ქალაქად და შიმშილს სოფლად;

2) რომ ამასთან დაკავშირებით მწვავდება კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ბრძოლა მემამულეებსა და გლეხობას შორის, აგრეთვე მთავრობის მიერ მოსყიდულ გლეხურ ბურჟუაზიასა და სოფლის ღარიბებს შორის;

3) რომ განვლილი ერთი წლის განმავლობაში რუსეთის პოლიტიკური ისტორია, დაწყებული პირველი სათათბიროთი და გათავებული ახალი არჩევნებით, ცხადყოფს ყველა კლასის შეგნებულობის ჩქარ ზრდას, რაც იმით გამოიხატა, რომ დიდად გაძლიერდნენ უკიდურესი პარტიები, გაქარწყლდა კონსტიტუციური ილუზიები, დასუსტდა «ცენტრი», ე. ი. კადეტების ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტია, რომელიც ცდილობს რევოლუციის შეწყვეტას შავრაზმელი მემამულეებისა და თვითმპყრობელობისათვის მისაღებ დათმობათა საშუალებით;

4) რომ ამ მიზნისაკენ მიმართული კადეტთა პარტიის პოლიტიკა იწვევს ბურჟუაზიული საზოგადოების საწარმოო ძალთა უმცირეს განთავისუფლებას, პროლეტარიატისა და გლეხო-

ბის მასის ძირითად საჭიროებათა სრულ დაუკმაყოფილებლობას და ამ მასების მუდმივი ძალდატანებითი დამორჩილების აუცილებლობას; —

იღებს რა ამას მხედველობაში, თათბირი აღიარებს:

1) რომ პოლიტიკური კრიზისი, რაც ჩვენს თვალწინ ვითარდება, წარმოადგენს არა კონსტიტუციურ, არამედ რევოლუციურ კრიზისს, რომელიც იწვევს პროლეტარიატისა და გლეხობის მასების უშუალო ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ;

2) რომ ამიტომ მომავალი სათათბიროს კამპანია განხილულ და გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ როგორც ერთერთი ეპიზოდი ძალაუფლებისათვის ხალხის რევოლუციური ბრძოლისა;

3) რომ სოციალ-დემოკრატიას, როგორც მოწინავე კლასის პარტიას, არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ამჟამად მხარი დაუჭიროს კადეტურ პოლიტიკას საზოგადოდ და კადეტურ სამინისტროს კერძოდ. სოციალ-დემოკრატიამ ყოველი ძალღონე უნდა იხმაროს, რათა მასების წინაშე გამოააშკარაოს ამ პოლიტიკის გამცემლური ხასიათი; განუმარტოს მასებს მათ წინაშე დასახული რევოლუციური ამოცანები; დაუმტკიცოს მათ, რომ მხოლოდ მასების მაღალი შეგნებულობისა და მტკიცე შეკავშირების პირობებში შეიძლება თვითმპყრობელობის შესაძლო დათმობანი მოტყუებისა და გარყვნის იარაღიდან რევოლუციის შემდგომი განვითარების იარაღად იქცეს.

## 2. ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ სოციალ-დემოკრატიის წინაშე ამჟამად განსაკუთრებული აუცილებლობით დგება ამოცანა — განსაზღვროს სხვადასხვა არაპროლეტარული პარტიების კლასობრივი შინაარსი, გაითვალისწინოს ახლანდელ მომენტში კლასთა ურთი-

ერთდამოკიდებულება და ამის მიხედვით განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება სხვა პარტიებისადმი;

2) რომ სოციალ-დემოკრატია ყოველთვის აუცილებლად თვლიდა მხარის დაჭერას ყოველგვარი ოპოზიციური და რევოლუციური მოძრაობისათვის, რომელიც მიმართულია რუსეთში არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წესწყობილების წინააღმდეგ;

3) რომ სოციალ-დემოკრატია ვალდებულია გააკეთოს ყველაფერი, რათა პროლეტარიატმა შეასრულოს ბელადის როლი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, —

იღებს რა ამას მხედველობაში, თათბირი აღიარებს:

1) რომ შავრაზმული პარტიები (რუსი ხალხის კავშირი, მონარქისტები, გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო და სხვ.) სულ უფრო და უფრო გადაჭრით და გარკვეულად გამოდიან, როგორც მებატონე-მემამულეთა კლასობრივი ორგანიზაცია, სულ უფრო და უფრო უტიფრად გლეჯენ ხალხს ხელიდან რევოლუციის მონაპოვართ და მით იწვევენ რევოლუციური ბრძოლის აუცილებელ გამწვავებას; სოციალ-დემოკრატია უნდა ამჟღავნებდეს ამ პარტიების უმჭიდროეს კავშირს ცარიზმთან და მსხვილი ბატონყმური მიწათმფლობელობის ინტერესებთან, უნდა განუმარტავდეს ხალხს ბარბაროსობის ამ ნაშთების სრული მოსპობისათვის შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობას;

2) რომ ისეთი პარტიები, როგორიცაა 17 ოქტომბრის კავშირი, სავაჭრო-სამრეწველო პარტია, ნაწილობრივ მშვიდობიანი განახლების პარტია და სხვა, წარმოადგენენ მემამულეთა ნაწილისა და განსაკუთრებით მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის კლასობრივ ორგანიზაციებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ საბოლოო გარიგება ძალაუფლების გასაყოფად თვითმპყრობელურ ბიუროკრატიასთან რაიმე ცენზიანი და უაღრესად ანტიდემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე, მაგრამ რომელნიც უკვე სავსებით დადგნენ კონტრრევოლუციის მხარეზე და აშკარად უჭერენ მხარს მთავრო-

ბას *; სოციალ-დემოკრატია [გამოიყენებს რა რევოლუციის განვითარების მიზნით ამ პარტიათა შეტაკებებს შავრაზმულ თვითმპყრობელობასთან] მოვალეა [ამასთან ერთად] უაღრესად ულმობელი ბრძოლა აწარმოოს ამგვარი პარტიების წინააღმდეგ;

3) რომ ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის პარტიებმა და ამ პარტიებს შორის უმთავრესმა — კადეტებმა ახლა უკვე აშკარად შეაქციეს ზურგი რევოლუციას და ამოცანად ისახავენ შესწყვიტონ იგი კონტრრევოლუციასთან გარიგების გზით; რომ ასეთი პარტიების ეკონომიური საფუძველია საშუალო მემამულეთა და საშუალო ბურჟუაზიის ნაწილი, განსაკუთრებით კი ბურჟუაზიული ინტელიგენცია, მაშინ როდესაც ქალაქისა და სოფლის დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი ჯერ კიდევ მიჰყვება ამ პარტიებს მხოლოდ ტრადიციის ძალით და იმიტომ, რომ ლიბერალების მიერ პირდაპირ მოტყუებულია; რომ ამ პარტიების იდეალი არ სცილდება ისეთი მოწესრიგებული ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებს, რომელიც პროლეტარიატის თავდასხმებისაგან დაცულია მონარქიით, პოლიციით, ორპალატიანი სისტემით, მუდმივი ჯარით და სხვა; სოციალ-დემოკრატიამ ხალხის პოლიტიკური აღზრდის მიზნით უნდა გამოიყენოს ამ პარტიების მოქმედება, უნდა დაუპირისპიროს მათს თვალთმაქცურ-დემოკრატიულ ფრაზეოლოგიას პროლეტარიატის თანამიმდევარი დემოკრატიზმი, გამოამჟღავნოს კონსტიტუციური ილუზიები, რომელთაც ისინი ავრცელებენ და დაუნდობლად ებრძოლოს მათს ჰეგემონიას დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიაზე;

4) რომ ნაროდნიკული ანუ შრომის პარტიები (სახალხო სოციალისტები, შრომის ჯგუფი, ესერები) მეტნაკლები სიახ-

* უმცირესობის მიერ წამოყენებული ვარიანტი: «...ბურჟუაზიის კლასობრივ ორგანიზაციებს, რომელნიც უკვე სავსებით დადგნენ კონტრრევოლუციის მხარეზე, აშკარად უჭერენ მხარს მთავრობას და ამოცანად ისახავენ ცენზიანი და უაღრესად ანტიდემოკრატიული კონსტიტუციის განხორციელებას».

ლოვით გამოხატავენ გლეხობისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასების ინტერესებსა და თვალსაზრისს და მერყეობენ, ერთი მხრივ, ლიბერალების ჰეგემონიისადმი მორჩილებასა, მეორე მხრივ, მემამულური მიწათმფლობელობისა და ბატონყმური სახელმწიფოს წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას შორის; ეს პარტიები თავიანთ, არსებითად ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ, ამოცანებს მოსავენ ცოტად თუ ბევრად ბუნდოვანი სოციალისტური იდეოლოგიით; სოციალ-დემოკრატია მოვალეა მტკიცედ ამჟღავნოს მათი ფსევდოსოციალისტური ხასიათი და ებრძოლოს მათს მისწრაფებას — მიჩქმალონ პროლეტარსა და წვრილ მეპატრონეს შორის არსებული კლასობრივი წინააღმდეგობა, — ხოლო, მეორე მხრივ, მთელი ძალღონით ეცადოს გაათავისუფლოს ისინი ლიბერალების გავლენისა და ხელმძღვანელობისაგან, აიძულოს ეს პარტიები არჩევანი მოახდინონ კადეტების პოლიტიკასა და რევოლუციური პროლეტარიატის პოლიტიკას შორის და, ამნაირად, დააყენოს ისინი სოციალ-დემოკრატიის მხარეზე შავრაზმელებისა და კადეტების წინააღმდეგ;

5) აქედან გამომდინარე ერთობლივი მოქმედება უნდა გამორიცხავდეს სოციალ-დემოკრატიული პროგრამიდან და ტაქტიკიდან რაიმე გადახვევის ყოველგვარ შესაძლებლობას და მხოლოდ უნდა ემსახურებოდეს ერთსა და იმავე დროს როგორც რეაქციის, ისე გამცემლური ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ საერთო შეტევის მიზნებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. კუთხოვან ფრჩხილებში აღნიშნულია ის, რაც ამოშალა ზემოაღნიშნული ვარიანტის წარმომდგენმა უმცირესობამ.

## 3. პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შესახებ დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტში

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ რუსეთის დემოკრატიული რევოლუცია ახალი აღმავლობისაკენ მიდის, ამასთან კონტრრევოლუციის მხარეზე

დგება მსხვილი კაპიტალისტური და მემამულური კლასი, ხოლო რევოლუციის მხარეზე პროლეტარიატთან ერთად დგებიან წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობის ახალი ფენები;

2) რომ ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები მოითხოვენ შეძლებული კლასების წინააღმდეგ და სოციალიზმისათვის რაც შეიძლება წარმატებითი ბრძოლის პირობების შექმნას;

3) რომ ამ პირობების შექმნისა და უზრუნველყოფის ერთადერთი შესაძლებელი საშუალებაა დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, ე. ი. დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვება, ხალხის სრული თვითმპყრობელობის დამყარება და პროლეტარიატისათვის საჭირო სოციალურ-ეკონომ ურ მონაპოვართა აუცილებელი მინიმუმი (8 საათის სამუშაო დღე და სოციალ-დემოკრატიული პროგრამა-მინიმუმის სხვა მოთხოვნები);

4) რომ დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს იმ პირობით, თუ იგი, როგორც თანამედროვე საზოგადოების ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, თან გაიყოლიებს გლეხობის მასას, პოლიტიკურ შეგნებულობას მისცემს მის ბრძოლას მემამულური მიწათმფლობელობისა და ბატონყმური სახელმწიფოს წინააღმდეგ;

5) რომ დემოკრატიული რევოლუციის ხელმძღვანელის როლი უზრუნველჰყოფს პროლეტარიატის შესაძლებლობას აამაღლოს თავისი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, ყოველმხრივ განავითაროს თავისი კლასობრივი თვითშეგნება და გაშალოს თავისი კლასობრივი მოქმედება არა მარტო ეკონომიურ, არამედ ფართო-პოლიტიკურ სფეროშიც, —

თათბირი აღიარებს,

1) რომ ახლანდელ ისტორიულ მომენტში პროლეტარიატის უმთავრესი ამოცანაა რუსეთში დემოკრატიული გადატრიალების ბოლომდე მიყვანა;

2) რომ ამ ამოცანის ყოველგვარი დამცირება გარდუვალად გამოიწვევს იმას, რომ მუშათა კლასი სახალხო რევოლუციის ბელადიდან, რომელიც წინ მიუძღვის დემოკრატიული გლეხობის მასას, გადაიქცეს რევოლუციის პასიურ მონაწილედ, რომელიც ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის მაჩანჩალა გახდება;

3) რომ პარტიის ყველა ორგანიზაციამ უნდა უხელმძღვანელოს პროლეტარიატის მოქმედებას ამ ამოცანის განსახორციელებლად და ამავე დროს ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს პროლეტარიატის დამოუკიდებელი, სოციალისტური მიზნები.

## 4. სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის შესახებ სახელმწიფო სათათბიროში

1) სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის ტაქტიკა, რომელმაც ხელი შეუწყო ხალხის მასების მიერ ამ დაწესებულების უუფლებობისა და დამოკიდებული როლის სწორ შეფასებას, სავსებით გაამართლა პირველი სახელმწიფო სათათბიროს საკანონმდებლო საქმიანობის კომედიამ და სათათბიროს გარეკვამ;

2) მაგრამ ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურმა მოქმედებამ და რუსეთის ლიბერალიზმის შემთანხმებელმა ტაქტიკამ ხელი შეუშალა ბოიკოტის უშუალო წარმატებას და პროლეტარიატი აიძულა მემამულურ და ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციასთან ბრძოლა გაემართა აგრეთვე სათათბიროს კამპანიის ნიადაგზეც;

3) სოციალ-დემოკრატიამ ეს ბრძოლა როგორც სათათბიროს გარეთ, ისე თვით სათათბიროში უნდა აწარმოოს იმისათვის, რომ განავითაროს პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება, განამტკიცოს და გააფართოოს მისი ორგანიზაცია, განაგრძოს მთელი ხალხის წინაშე კონსტიტუციური ილუზიების გამოაშკარავება და ხელი შეუწყოს რევოლუციის განვითარებას;

4) მომავალ სათათბიროს კამპანიაში სოციალ-დემოკრატიის უშუალო-პოლიტიკური ამოცანებია, ჯერ ერთი, აუხსნას ხალხს, რომ სრულიად გამოუსადეგარია სათათბირო როგორც საშუალება პროლეტარიატისა და რევოლუციური წვრილი ბურჟუაზიის, განსაკუთრებით კი გლეხობის მოთხოვნათა განსახორციელებლად; მეორე, აუხსნას ხალხს პარლამენტური გზით პოლიტიკური თავისუფლების განხორციელების შეუძლებლობა, ვიდრე რეალური ძალაუფლება მეფის მთავრობის ხელში რჩება; აუხსნას შეიარაღებული აჯანყების, დროებითი რევოლუციური მთავრობის და საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით მოწვეული დამფუძნებელი კრების აუცილებლობა;

5) თავისი ძირითადი სოციალისტური და აგრეთვე უშუალო-პოლიტიკური ამოცანების განსახორციელებლად სოციალ-დემოკრატია, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი პარტია, აუცილებლად დამოუკიდებელი უნდა დარჩეს, მან სათათბიროში უნდა შექმნას პარტიული სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და არავითარ შემთხვევაში არც ერთ სხვა ოპოზიციურ თუ რევოლუციურ პარტიასთან არ გააერთიანოს არც თავისი ლოზუნგები და არც თავისი ტაქტიკა;

6) კერძოდ, სათათბიროში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მოქმედების შესახებ აუცილებლად უნდა გაირკვეს პოლიტიკური ცხოვრების მთელი მსვლელობით ამჟამად წამოყენებული შემდეგი საკითხები:

1) პირველ რიგში უნდა წამოვაყენოთ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის, როგორც ერთერთი ჩვენი პარტიული ორგანიზაციის კრიტიკული, პროპაგანდისტული, საგიტაციო და ორგანიზაციული როლი. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ შეტანილი კანონპროექტებიც სწორედ ამ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს და არა უშუალოდ «საკანონმდებლო» მიზნებს, განსაკუთრებით ისეთ

საკითხებში, როგორიც არის პროლეტარიატის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და კლასობრივი ბრძოლის თავისუფლების უზრუნველყოფა, ბატონყმურ-მემამულური ჩაგვრის დამხობა სოფლად, დამშეული გლეხებისათვის დახმარების აღმოჩენა, უმუშევრობასთან ბრძოლა, მატროსებისა და ჯარისკაცების ყაზარმული კატორღისაგან დახსნა და სხვა;

2) რადგან მეფის მთავრობა, ცხადია, არ დასთმობს თავის პოზიციებს რევოლუციური ხალხის გადამწყვეტ გამარჯვებამდე, ხოლო სათათბიროს და მთავრობის კონფლიქტი აუცილებელია სათათბიროს ყოველი ტაქტიკის დროს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სათათბირო შავი რაზმის სამსხვერპლოდ გაჰყიდის სახალხო ინტერესებს, — ამიტომ სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც ანგარიში უნდა გაუწიოს მხოლოდ და მხოლოდ იმ რევოლუციურ კრიზისის მსვლელობას, რაც ობიექტური პირობების გამო სათათბიროს გარეთ ვითარდება, არც ნაადრევად უნდა გამოიწვიოს კონფლიქტები და არც ხელოვნურად აიცდინოს ან გადადოს კონფლიქტი თავისი ლოზუნგების შეკვეცით, რასაც შეუძლია მხოლოდ სახელი გაუტეხოს სოციალ-დემოკრატიას მასის თვალში და ჩამოაშოროს ის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას;

3) სოციალ-დემოკრატიამ უნდა გამოააშკარაოს ყველა არაპროლეტარული პარტიის ბურჟუაზიული რაობა და ყველა მათს კანონპროექტსა და სხვას დაუპირისპიროს თავისი საკუთარი კანონპროექტები, ამასთან შეუწყვეტლივ უნდა იბრძოლოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში კადეტური ჰეგემონიის წინააღმდეგ და წვრილბურჟუაზიული დემოკრატია აიძულოს არჩევანი მოახდინოს კადეტების თვალთმაქცურ დემოკრატიზმსა და პროლეტარიატის თანამიმდევარ დემოკრატიზმს შორის.

## 5. მასობრივი ეკონომიური გაჭირვებისა და ეკონომიური ბრძოლის გამწვავების შესახებ

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ მთელი რიგი ფაქტები მოწმობენ პროლეტარიატის ეკონომიური გაჭირვებისა და მისი ეკონომიური ბრძოლის უკიდურეს გამწვავებას (ლოკაუტი პოლონეთში; მოძრაობა პეტერბურგისა და ივანოვო-ვოზნესენსკის მუშებში სანოვაგის გაძვირების წინააღმდეგ საბრძოლველად; ფართო საგაფიცვო მოძრაობა მოსკოვის სამრეწველო რაიონში; პროფესიულ კავშირთა ორგანოების საგანგებო მოწოდებანი გამწვავებული ბრძოლისათვის მოსამზადებლად და სხვა);

2) რომ ყველა ნიშნის მიხედვით ეკონომიური ბრძოლის ამ სხვადასხვა გამოხატულების კონცენტრაცია ისეთნაირად ხდება, რომ მოსალოდნელია საყოველთაო მასობრივი ეკონომიური გამოსვლა, რომელიც პროლეტარიატის გაცილებით უფრო ფართო ფენებს ჩაითრევს, ვიდრე წინათ;

3) რომ როგორც რუსეთის რევოლუციის მთელი ისტორია გვიჩვენებს, რევოლუციური მოძრაობის ყოველი მძლავრი აღმავლობა წარმოიშობოდა მხოლოდ ამგვარ მასობრივ ეკონომიურ მოძრაობათა საფუძველზე; —

იღებს რა ამას მხედველობაში, თათბირი აღიარებს, რომ:

1) აუცილებლად საჭიროა ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას; უნდა დაგროვდეს უფრო სრული მასალა და ეს საკითხი დაისვას V პარტიული ყრილობის დღის წესრიგში;

2) აუცილებლად საჭიროა პარტიულ ძალთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის თავმოყრა მასებში ეკონომიური აგიტაციის საწარმოებლად;

3) აუცილებლად საჭიროა ანგარიში გაეწიოს სწორედ ამ ეკონომიურ მოძრაობას, როგორც რუსეთის რევოლუციური კრიზისის მთელი განვითარების ძირითად წყაროს და უმნიშვნელოვანეს საფუძველს.

## 6. უპარტიო მუშათა ორგანიზაციების შესახებ პროლეტარიატში ანარქისტულ-სინდიკალისტურ მიმდინარეობასთან დაკავშირებით

იღებს რა მხედველობაში,

1) რომ უპარტიო მუშათა ყრილობის მოსაწვევად ამხ. ალექსეროდის აგიტაციასთან დაკავშირებით, რსდმ პარტიაში დაისახა მიმდინარეობა (ლარინი, შჩეგლო, ელი, ივანოვსკი, შიროვი, ოდესის გამოცემა «ოსვობოჟდენიე ტრუდა»), რომელიც მიმართულია სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოსასპობად და მის შესაცვლელად პროლეტარიატის უპარტიო პოლიტიკური ორგანიზაციით;

2) რომ ამასთან ერთად პარტიის გარეთ და პირდაპირ პარტიის წინააღმდეგ პროლეტარიატში წარმოებს ანარქისტულ-სინდიკალისტური აგიტაცია, რომელიც უპარტიო მუშათა ყრილობისა და უპარტიო ორგანიზაციების იმავე ლოზუნგს აყენებს («სოიუზნოე დელო» და მისი ჯგუფი მოსკოვში, ანარქისტული პრესა ოდესაში და სხვა);

3) რომ, მიუხედავად რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის ნოემბრის კონფერენციის რეზოლუციისა, ჩვენს პარტიაში ადგილი აქვს მთელ რიგ დეზორგანიზატორულ მოქმედებას, რომელიც მიმართულია უპარტიო ორგანიზაციების შესაქმნელად;

4) რომ, მეორე მხრივ, მეტი თუ ნაკლები რევოლუციური აღმავლობის მომენტში რსდმ პარტია არასდროს უარს არ ამბობდა მუშათა კლასში სოციალ-დემოკრატიის გავლენის გასაძლიერებლად და სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის განსამტკიცებლად ისეთი გარკვეული უპარტიო ორგანიზაციების გამოყენებაზე, როგორიცაა მუშათა დეპუტატების საბჭოები (იხ. პეტერბურგის კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის სექტემბრის რეზოლუციები მუშათა ყრილობის შესახებ «პროლეტარის» მე-3 და მე-4 ნომრებში [47]);

5) რომ დაწყებული აღმავლობის ნიადაგზე შესაძლებელი ხდება, სოციალ-დემოკრატიის განვითარების მიზნით, მოეწყოს ან გამოყენებულ იქნას მუშათა კლასის უპარტიო წარმომად-

გენლობითი დაწესებულებანი, როგორიცაა, მაგალითად, მუშათა დეპუტატების საბჭოები, მუშათა რწმუნებულების საბჭოები და სხვა, ამასთან სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ თუ პროლეტარიატის მასებში სოციალ-დემოკრატიული მუშაობა სწორად, მტკიცედ და ფართოდ მოეწყობა, ამგვარი დაწესებულებანი შეიძლება ფაქტიურად ზედმეტი აღმოჩნდნენ; —

იღებს რა ამას მხედველობაში, თათბირი აღიარებს,

1) რომ აუცილებელია უაღრესად გადამწყვეტი პრინციპული ბრძოლა გამოეცხადოს ანარქისტულ-სინდიკალისტურ მოძრაობას პროლეტარიატში და აქსელროდისა და ლარინის იდეებს სოციალ-დემოკრატიაში;

2) რომ აუცილებელია უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს რსდმ პარტიის რიგებში გამოვლინებულ ყოველგვარ დეზორგანიზატორულ და დემაგოგიურ ცდას — დაასუსტონ პარტიული ორგანიზაცია ან გამოიყენონ იგი სოციალ-დემოკრატიის შესაცვლელად პროლეტარიატის უპარტიო პოლიტიკური ორგანიზაციებით;

3) რომ, თუ საჭიროება მოითხოვს, დასაშვებია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციების მონაწილეობა მუშათა რწმუნებულების საერთო-პარტიულ საბჭოებში, მუშათა დეპუტატების საბჭოებში და მათ წარმომადგენელთა ყრილობებზე, აგრეთვე დასაშვებია ასეთ დაწესებულებათა მოწყობა იმ პირობით თუ ეს საქმე მტკიცე-პარტიულ ნიადაგზე იქნება დაყენებული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის განვითარებისა და განმტკიცების მიზნით;

4) რომ პროლეტარიატის ფართო მასებზე სოციალ-დემოკრატიის გავლენის გასაფართოებლად და განსამტკიცებლად საჭიროა, ერთი მხრივ, მუშაობის გაძლიერება პროფესიული კავშირების მოსაწყობად და მათში სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდისა და აგიტაციის გაძლიერება, ხოლო, მეორე მხრივ, მუშათა კლასის სულ უფრო და უფრო ფართო ფენების მიზიდვა ყოველგვარ პარტიულ ორგანიზაციებში მონაწილეობის მისაღებად.

---

# რსდმპ ტაქტიკა საარჩევნო კამპანიის დროს

## «L'HUMANITÉ»-ს [48] თანამშრომლისათვის 1907 წ. 17 თებერვალს (2 მარტს) მიცემული ინტერვიუ

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის უკანასკნელმა ყრილობამ, რომელიც სტოკჰოლმში მიმდინარეობდა 1906 წლის აპრილს, დაადგინა, რომ სოციალ-დემოკრატებმა არავითარი საარჩევნო შეთანხმება არ უნდა დასდონ ბურჟუაზიულ პარტიებთან. ეს პრინციპი დაუყოვნებლივ განხორციელდა ციმბირსა და კავკასიაში პირველი სათათბიროს არჩევნების დროს. გამოსადეგი იყო თუ არა ის მეორე სათათბიროსთვისაც? ბოლშევიკები ამბობდნენ, გამოსადეგიაო, მენშევიკები ამბობდნენ — არაო. ამ საკითხის გადასაწყვეტად ბოლშევიკებმა საგანგებო ყრილობის მოწვევა მოითხოვეს. ნოემბრის დამდეგს შედგა მხოლოდ კონფერენცია, სადაც წარმოდგენილი იყო პარტიის ყველა ორგანიზაცია. მენშევიკები ბუნდთან ერთად მხარს უჭერდნენ მომავალი არჩევნების დროს კადეტებთან შეთანხმების წინადადებას. ბოლშევიკები, ლატვიელებსა და პოლონელებთან ერთად, ამ წინადადებას გმობდნენ. მენშევიკების წინადადებამ 18 ხმა მიიღო, ბოლშევიკების წინადადებამ — 14. კონფერენციამ გადაწყვიტა, რომ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ამ

საკითხზე დამოუკიდებლად უნდა გამოთქვან თავისი აზრი. «დაე, პეტერბურგშიც ისე მოხდეს, როგორც სხვაგან», — განზრახ განუცხადეს ბოლშევიკებმა მენშევიკებს.

საჭიროა ვიცოდეთ ორი რამ: ერთი მხრით ის, რომ მენშევიკებს, მიუხედავად მათი ამ სახელწოდებისა, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში უმრავლესობა ჰყავთ, სხვანაირად რომ ვთქვათ: ისინი პარტიის საერთო პოლიტიკის ხელმძღვანელები არიან; მეორე მხრით ის, რომ ბოლშევიკებს უმრავლესობა ჰყავთ პეტერბურგისა და მოსკოვის საგუბერნიო კომიტეტებში. ცენტრალური კომიტეტისათვის მძიმე და დამამცირებელია ისეთი მდგომარეობა, როცა ორივე დედაქალაქი მისი წინააღმდეგია. ამით აიხსნება ცენტრალური კომიტეტის ცდა, რადაც უნდა დაუჯდეს გაატაროს მენშევიკური პოლიტიკა პეტერბურგსა და მოსკოვში. პეტერბურგის არჩევნებისთვის იგი (ცკ.) ადგილობრივი ავტონომიის დარღვევასაც არ მოერიდა და ამ მიზნით პროვოკაციულად გამოიწვია გათიშვა, როგორც კი ამის საბაბი მიეცა.

პეტერბურგის ორგანიზაციას ჯერ კიდევ არ ჩაეტარებინა საგუბერნიო კონფერენცია, რომლის მოწვევა სრულიად რუსეთის ნოემბრის კონფერენციამ გაითვალისწინა. ლიბერალური გაზეთები უკვე დიდი ხანია გაცხოველებით განიხილავდნენ საარჩევნო ტაქტიკის საკითხს. ისინი შიშობდნენ, რომ სოციალისტები მათგან დამოუკიდებლად იმოქმედებდნენ და, მათი მონაწილეობის მიუღებლად და მათ წინააღმდეგ, დარაზმავდნენ მასებს რევოლუციის დროშის გარშემო. ისინი თავს ესხმოდნენ ბოლშევიკებს, რომელთაც გამუდმებით აცხადებდნენ «სექტანტებად, დოგმატიკოსებად, ბლანკისტებად, ანარქისტებად და სხვა», მაგრამ მათ უნდოდათ კამპანიის ჩატარება სხვა რევოლუციურ პარტიებთან ერთად, უნდოდათ მათთან ერთად შეედგინათ საერთო საარჩევნო სია. მათ ხელშია პეტერბურგის ყველაზე დიდი გაზეთები; მათ ადვილად შეეძლოთ ხმის მიწვდენა მკითხველამდე. ბოლშევიკებს კი

თავის განკარგულებაში ჰქონდათ მხოლოდ არალეგალური ორგანო «პროლეტარი», რომელიც საზღვარგარეთ იბეჭდება და თვეში მხოლოდ ორჯერ გამოდის.

მენშევიკურმა ცენტრალურმა კომიტეტმა საიდუმლოდ და ი არული გზით შეატყობინა კადეტებს, სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა დამოკიდებულია თვით ცენტრალურ კომიტეტზე და არა ბოლშევიკურ საგუბერნიო კომიტეტზეო. ეს გამომჟღავნდა საინფორმაციო კონფერენციაზე, რომელზედაც იანვრის დამდეგს შეიკრიბნენ კადეტთა, სახალხო სოციალისტთა, ტრუდოვიკთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენლები. ყველანი მხარს უჭერდნენ საერთო სიას. ყველანი, — გარდა საგუბერნიო კომიტეტის დელეგატისა, რომელმაც თათბირის შემდეგ განაცხადა, კომიტეტი გადაწყვეტილებას მხოლოდ რამდენიმე დღის მერე მიიღებსო. მაშინ საქმეში ჩაერია ცენტრალური კომიტეტის დელეგატი: «ყველაზე უკეთესი იქნება, — განაცხადა მან, — თუ შეთანხმებას დასდებს არა მთელი ორგანიზაცია, არამედ თვითეული რაიონი ცალკე (პეტერბურგში 12 ასეთი რაიონია). — მაგრამ ამგვარი წინადადება მე პირველად მესმის! — უპასუხა საგუბერნიო კომიტეტის დელეგატმა. — ცენტრალური კომიტეტის გეგმაა ეს თუ არა? — არა, ეს იდეა მე მეკუთვნისო, — მიუგო ცენტრალური კომიტეტის დელეგატმა».

მოსაზრებული კაცი უმალვე ხვდება ხოლმე. კადეტები მიხვდნენ. «რეჩმა» (კადეტების პარტიის ოფიციალური ორგანო), «ტოვარიშჩმა» (სოციალისტ-მილიერანისტების მსგავს მემარცხენე კადეტთა ორგანო), «სტრანამ» (დემოკრატიული რეფორმების პარტიის ორგანო) განაცხადეს, რომ მენშევიკები სოციალ-დემოკრატიის გონიერი ნაწილი, სამაგალითო ნაწილი, წესიერი ნაწილია. ბოლშევიკები კი ბარბაროსობის წარმომადგენლები არიან. ისინი ხელს უშლიან სოციალიზმს ცივილიზებულ და პარლამენტურ სოციალიზმად იქცესო! მაგრამ კადეტთა ბელადის მილიუკოვის თანადასწრებით კადეტებს

შეატყობინეს, რომ ბოლშევიკები მათგან განცალკევებით გამოვლენ.

6 იანვარს შედგა პეტერბურგის კონფერენცია, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საარჩევნო ტაქტიკის საკითხი. კონფერენციას ესწრებოდა 39 ბოლშევიკი და 31 მენშევიკი. ეს უკანასკნელნი თავდაპირველად სადავოდ აცხადებდნენ მანდატების განაწილებას, თუმცა მაინც ვერ გაბედეს უმრავლესობის მიღების პრეტენზია წამოეყენებინათ. მაგრამ ეს გარემოება მათ საბაბად გამოიყენეს იმისათვის, რომ კონფერენცია დაეტოვებინათ. მეორე საბაბი: ცენტრალური კომიტეტის 4 იანვრის წინადადების თანახმად, ისინი მოითხოვდნენ, რომ საარჩევნო ტაქტიკის საკითხის გადასაწყვეტად ორგანიზაცია ორ ნაწილად გაყოფილიყო: ცალკე მოეწვიათ პეტერბურგის საქალაქო კონფერენცია და ცალკე — პეტერბურგის საოლქო კონფერენცია. იმათთვის, ვინც იცნობს პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, რომელიც ემყარება ნაწილობრივ ბინადრობის პრინციპს, ნაწილობრივ კი ნაციონალურ პრინციპს (ლატვიური, ესტონური სექციები), ან პროფესიულ პრინციპს (სამხედრო სექცია, რკინიგზელთა სექცია), — ეს იყო არა მარტო ორგანიზაციების ავტონომიის დარღვევა, არამედ, ერთგვარად, საერთოდ გონივრული არ იყო. ამიტომ კონფერენციამ აზრი გამოთქვა ამ წინადადების წინააღმდეგ, რომელიც, ამასთანავე, მას წაუყენეს როგორც იმპერატიული წინადადება და რომელიც სრულებით არ შეესაბამებოდა კონფერენციის პრინციპს.

ოცდათერთმეტმა დელეგატმა კრება დასტოვა, და ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაცხადა, უმცირესობა თავისუფლდება უმრავლესობის გადაწყვეტილებისადმი დამორჩილების აუცილებლობისაგანაო. ეს იყო არა მარტო გამოწვევა, არამედ სხვა არაფერი, თუ არა გათიშვის გამოცხადება ცენტრალური კომიტეტის მხრივ.

ოცდათერთმეტმა მენშევიკმა თავისი ცალკე კომიტეტი მოაწყო და მონაწილეობა მიიღო იმ მოლაპარაკებაში, რომელ-

საც კადეტები ტრუდოვიკთა, სახალხო სოციალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა მემარცხენე ბლოკთან აწარმოებდნენ, მაგრამ ეს ვაჭრობა ჩაფუშა სცენაზე ახალი მოქმედი პირის გამოსვლამ. 4 იანვარს «ნოვოე ვრემიამ» გამოაქვეყნა ოქტიაბრისტ სტოლიპინის, მინისტრის ძმის სტატია. «კადეტებს რომ გამბედაობა ჰქონდეთ საბოლოოდ გაწყვიტონ კავშირი რევოლუციურ ჯგუფებთან და სავსებით დადგნენ კონსტიტუციურ ნიადაგზე, — მათი პარტია ლეგალიზებული იქნებოდაო», — წერდა იგი. რამდენიმე დღის შემდეგ (15 იანვარს) მილიუკოვმა ინახულა მინისტრი სტოლიპინი, და მისი ვიზიტის მეორე დღეს ყველა კადეტურმა გაზეთმა ცნობა გამოაქვეყნა, კადეტებმა მემარცხენეებთან მოლაპარაკება შეწყვიტესო. მაგრამ ამ თამაშმა კადეტებს არავითარი სარგებლობა არ მოუტანა, მათ მხოლოდ სერიოზულად, მაგრამ ამაოდ გაიტეხეს სახელი. სტოლიპინის პირობების მიღება მათ არ შეეძლოთ.

რაც შეეხება მენშევიკებს, ისინიც ამავე დროს არანაკლებ სერიოზულად და ასევე ამაოდ სახელგატეხილნი აღმოჩნდნენ. თავდაპირველად, მიუხედავად მილიუკოვის ვიზიტისა სტოლიპინთან, ისინი განაგრძობდნენ თავიანთ მოლაპარაკებას კადეტებთან და მემარცხენე ჯგუფებთან. კონფერენცია, სადაც განხეთქილება მოხდა და სადაც ისინი ვერ მორიგდნენ სადეპუტატო ადგილების განაწილების თაობაზე, — მხოლოდ 18 იანვარს შედგა. შემდეგ, იმავე ხანებში, «რეჩი» წერდა, ბოლშევიკების თავიდან მოშორების მიზნით კადეტები მენშევიკებს უთმობენ იმ ადგილს, რომელიც მათ მუშათა კურიას აღუთქვესო, ამასთან მენშევიკებს სულაც არ განუცხადებიათ პროტესტი მუშათა ხმებით ვაჭრობის ამ განსაკუთრებული საშუალების წინააღმდეგ. ეს კიდევ ცოტაა: ცენტრალური კომიტეტი განაგრძობდა კადეტებთან ვაჭრობას, რაც მათს პირობებზე დათანხმებას მოასწავებდა. აი სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია მუშების აღშფოთება! ამავე ფაქტმა მაიძულა დამეწერა ჩემი ბროშურა «ო ც დ ა თ ე რ თ მ ე ტ ი მ ე ნ შ ე-

ვიკის თვალთმაქცობა»*, რომლის გამოც მათ სურთ პარტიულ სამართალში მიმცენ.

6 იანვრის კონფერენციის შემდეგ, რომელზედაც გათიშვა მოხდა, ბოლშევიკები ამბობდნენ: «თუ მემარცხენეები, მათ შორის მენშევიკებიც, კადეტებს შეუკავშირდებიან, ჩვენ მარტონი ვიბრძოლებთ. თუ მათი მოლაპარაკება მარცხით დამთავრდება, ჩვენი მხრით წავუყენებთ მათ შეთანხმების პირობებს, და ამ პირობების მიღება მათთვის პროლეტარიატის ჰეგემონიის პრინციპის მიღება იქნებაო».

მემარცხენეთა მოლაპარაკება კადეტებთან მარცხით დამთავრდა (18 იანვრის კონფერენცია); ეს ჩვენთვის პირველი გამარჯვება იყო. ჩვენ წამოვაყენეთ ისეთი მემარცხენე ბლოკის პირობები, რომელიც გარიგებას არ დასდებდა კადეტურ პარტიასთან: ეს პირობები ყველამ მიიღო, გარდა მენშევიკებისა, 25 იანვარს. ეს იყო მეორე გამარჯვება. პეტერბურგის ექვსი ადგილიდან ჩვენ შევთავაზეთ: ორი ადგილი — მუშათა კურიას, ორი — სოციალ-დემოკრატებს, ორი — დანარჩენ პარტიებს. და ცხადი იყო, რომ მუშათა კურია ორ სოციალ-დემოკრატს აირჩევდა. არჩევნებამდე თხუთმეტი დღე კიდევ რჩებოდა, მაგრამ ახლა მოხდა ის, რასაც კადეტები სრულებით არ მოელოდნენ, — შავი სიის, ოქტიაბრისტთა და კადეტთა სიის, გარდა გაჩნდა მემარცხენე ბლოკის სია უკადეტებოდ და უმენშევიკებოდ.

თავის წინანდელ კონფერენციებზე მემარცხენე პარტიებთან ერთად, კადეტები მემარცხენეებს აძლევდნენ ორ ადგილს, მაშინ როდესაც მემარცხენეები სამ ადგილს მოითხოვდნენ. როცა კადეტებმა დაინახეს, რომ მათ წინააღმდეგ ჩამოყალიბდა ჩვენი მემარცხენე ბლოკი, ისინი შეშინდნენ და თავიანთ სიაში თავისი პარტიიდან მხოლოდ სამი კანდიდატი შეიტანეს. დანარჩენი სამი ადგილი კადეტებმა შესთავაზეს: ერთი — პროფესორ კოვალევსკის (დემოკრატიული რეფორმების პარტიიდან), მეორე — მღვდელ პეტროვს (ქრისტიანი დემოკრა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 23 — 37. რედ.

ტი, მეტად პოპულარული დემაგოგი), მესამე — მუშებს. თუმცა, ამ უკანასკნელ დათმობას ისინი მხოლოდ იმისათვის დათანხმდნენ, რომ თავიდან აეცილებინათ ხალხის აღშფოთების ქარიშხალი.

არჩევნებში კადეტებს წარმატება ჰქონდათ, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მემარცხენე ბლოკმა მიიღო ყველა ხმის 25% პეტერბურგში და გამარჯვება მოიპოვა ვიბორგის რაიონში. მრავალ რაიონში კადეტებმა მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო უმრავლესობით გაიმარჯვეს. ხუთ რაიონში საკმაო იყო კიდევ 1 600 ხმის მიღება მემარცხენე ბლოკის გამარჯვების უზრუნველსაყოფად; კოლომნის რაიონში მას მხოლოდ 99 ხმა აკლდა. ამრიგად, მემარცხენე პარტიების გამარჯვებას პეტერბურგში ხელი შეუშალეს მენშევიკებმა; და მაინც, საერთოდ, რევოლუციური მემარცხენე ფრთა ახალ სათათბიროში ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე წინა სათათბიროში იყო.

ჩვენ მეტად საგულისხმო ცდა მოვახდინეთ. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ ვხედავთ, რომ პეტერბურგში მუშები მედგრად რჩებიან ბოლშევიკებად, რომელთაც მტკიცედ გადაუწყვეტიათ დაიცვან თავისი ორგანიზაციის ავტონომია ცენტრალური კომიტეტის ხელყოფისაგან. შემდეგ, ჩვენ ახლა ვიცით, რას უნდა ვფიქრობდეთ შავ საფრთხეზე — ამ არგუმენტზე, რომელიც გამოათრიეს კადეტებთან შეთანხმების გასამართლებლად არჩევნების პირველ სტადიაზე. ეს მხოლოდ ჩმახვა არის სოციალისტური პარტიების მოსატყუებლად და კადეტების დასაცავად მემარცხენე საფრთხისაგან, რადგან «რეალური საფრთხე კადეტებისათვის მარცხნით არის», როგორც «რეჩი» ერთხელ იძულებული იყო ეს ეღიარებინა. «ვინც ხმას აძლევს მემარცხენეებს, ის გამარჯვების შესაძლებლობას უქმნის მემარჯვენეებს», — ჩაგვჩიჩინებდნენ კადეტური გაზეთები მრავალი კვირის განმავლობაში. ამ ლოზუნგმა მათ საშუალება მისცა ეჭვი აღეძრათ მერყეთა შორის. თავისი გაბედული კამპანიით მათ იმას მიაღწიეს, რომ მემარცხენე ბლოკმა მოსკოვში

ნაკლები ხმა (13%) მიიღო, ვიდრე პეტერბურგში, რადგან მოსკოვში ჩვენ არავითარი გაზეთი არა გვქონდა. მაგრამ მათ ხელი ვერ შეუშალეს იმ უდავო ჭეშმარიტების გამომქღავნებას, რომ შავი საფრთხე სიცრუე და საბაბი იყო. მოსკოვშიც ოთხი სია იყო, როგორც პეტერბურგში; ვერც მოსკოვში და ვერც პეტერბურგში შავებისა და ოქტიაბრისტების კავშირმა მემარჯვენეებს გამარჯვება ვერ არგუნა. ჩვენს ხელთაა ციფრები, რომლებიც, თუ საჭირო იქნება, შეგვიძლია დავიმოწმოთ.

მაშ ასე. მენშევიკებს უფლება აქვთ კადეტებს ემხრობოდნენ და ემსახურებოდნენ. ჩვენ მათ არ გავყვებით. ხალხი მათ არ გაჰყვება. კადეტების მოქმედება ისეთია, რომ მასები სულ უფრო და უფრო მარცხნივ მიდიან. თუ მილიუკოვს ჰგონია, რომ რაკი ჩვენს პოლიტიკას «ავანტიურათა პოლიტიკას» უწოდებს, ხოლო ჩვენს დროშას «წითელ ჩვრად» აცხადებს, იგი ამით მიმდევრებს წაგვართმევს, — შეგვიძლია მხოლოდ ვთხოვოთ მას კვლავ ილაპარაკოს ამგვარი სისულელე, რომელიც ჩვენთვის ესოდენ სასარგებლოა. მოკადეტო მენშევიკები კი კარგს იზამენ, თუ ჩაუფიქრდებიან იმ ფაქტს, რომ პეტერბურგის იმ ქარხნებში, სადაც მუშები წინათ ბოლშევიკები იყვნენ, ახლაც ბოლშევიკები აირჩიეს, ხოლო იმ ქარხნებში, სადაც მუშები წინათ მენშევიკები იყვნენ და სადაც მენშევიკები ყველაზე მეტ პროპაგანდას ეწეოდნენ ...სოციალისტ-რევოლუციონერები გავიდნენ! თვით სოციალისტ-რევოლუციონერები ძალიან უნდა გაეკვირვებინა მიღებული ხმების რაოდენობას. ძალიან უნდა უმადლოდნენ ისინი მენშევიკების ოპორტუნიზმს! რაც შეგვეხება ჩვენ, ამგვარმა შედეგებმა შეიძლება ჩვენში მხოლოდ ის აზრი განამტკიცოს, რომ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ჩვენი მოვალეობა და წარმატების საწინდარია ერთობლივი მუშაობა არა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერთად, რომელსაც სურს ბოლო მოუღოს რევოლუციას, არამედ დემოკრატიულ გლეხობასთან ერთად წინააღმდეგ ბურჟუაზიის სულმდაბლობისა და გამცემლობისა, იმ ბურჟუაზიისა, რომელიც დღითიდღე

სულ უფრო და უფრო კონტრრევოლუციური ხდება. საუკეთესო პოლიტიკა — ეს არის კიდევ ერთხელ და ყოველთვის აშკარა რევოლუციური პოლიტიკა, გააფთრებული, სრულიად დამოუკიდებელი ბრძოლა პროლეტარული დროშის ქვეშ, ბრძოლა, რომელიც მუშა პროლეტარებთან ერთად თანდათანობით რაზმავს ჩვენს გარშემო დემოკრატიული გლეხობის უთვალავ მასებს.

დაიბეჭდა 1907 წ. 4 აპრილს
გაზეთ «L'Humanité»-ში, № 1082

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

# მეორე სახელმწიფო სათათბიროს გახსნა [49]

სპბ. 1907 წ. 20 თებერვალი.

დღეს იკრიბება მეორე სათათბირო. მისი მოწვევის პირობები, არჩევნების საგარეო და საშინაო პირობები, სათათბიროს მუშაობის პირობები, — ყოველივე ეს პირველ სათათბიროსთან შედარებით შეიცვალა. მოვლენათა უბრალო განმეორების მოლოდინი აშკარა შეცდომა იქნებოდა. მაგრამ, მეორე მხრით, ბედის უკუღმართობით ესოდენ მდიდარი განვლილი პოლიტიკური წლის მანძილზე მომხდარ ყველა ცვლილებაში შესამჩნევია ერთი უმთავრესი ნიშანი, რაც გვიჩვენებს, რომ მოძრაობა, რომელიც მიხვეულ-მოხვეული გზით, მაგრამ განუხრელად წინ, წინ მიდიოდა, საერთოდ უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ეს უმთავრესი ნიშანი მოკლედ შეიძლება ასე გამოიხატოს: ზედა ფენების გამემარჯვენება, ქვედა ფენების გამემარცხენება, პოლიტიკურ უკიდურესობათა გამწვავება. და არა მარტო პოლიტიკურ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სოციალურ-ეკონომიურ უკიდურესობათა გამწვავება. მეორე სათათბიროს მოწვევის წინ მომხდარი უკანასკნელი ამბები განსაკუთრებით დამახასიათებელია იმით, რომ პოლიტიკური ზედაპირის მოჩვენებითი უძრაობის პირობებში მიმდინარეობდა უჩინარი, ჩუმი, მაგრამ ღრმა მუშაობა როგორც მუშათა კლასის, ისე აგრეთვე გლეხობის უფართოესი ფენების მასობრივი შეგნების ზრდის მიმართულებით.

სამხედრო-საველე კონსტიტუცია განვლილი წლის მანძილზე ნაკლებად შეიცვალა. მაგრამ მოხდა კლასების უდიდესი პოლიტიკური გადაჯგუფება. აიღეთ შავრაზმელები. თავდაპირველად ეს იყო, უწინარეს ყოვლისა, ერთი მუჭა პოლიციელ ბანდიტთა გროვა, რომელსაც მიჰყვებოდა სავსებით უმეცარი, გაბრიყვებული, ხანდახან პირდაპირ არყით მოსყიდული მდაბიო ხალხის მცირე ნაწილი. ახლა შავ პარტიებს სათავეში უდგას გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო. მებატონე-მემამულე შემჭიდროვდა და საბოლოოდ «შეიცნო თავისი თავი» რევოლუციის დროს. შავი პარტიები ხდებიან იმ პირთა კლასობრივ ორგანიზაციებად, ვინც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში უნდა დაიცვას ის პრივილეგიები, რომელთაც თანამედროვე რევოლუცია ემუქრება: უმსხვილესი მიწათმფლობელობა — ბატონყმობის ეპოქის ეს ნაშთი, უმაღლესი წოდების პრივილეგიები, კამარილიასთან პირადი კავშირურთიერთობის გზით სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტის შესაძლებლობა და სხვ.

აიღეთ კადეტები. ნამდვილ და აშკარა ბურჟუაზიულ პარტიებიდან ეს პარტია, უეჭველია, ყველაზე «მოწინავე» პარტიად ითვლებოდა. და რა შორს წავიდა ის მარჯვნივ! უკვე გაჰქრა შარშანდელი მერყეობა რეაქციასა და სახალხო ბრძოლას შორის. დარჩა აშკარა სიძულვილი ამ სახალხო ბრძოლის მიმართ, აშკარა, ცინიკურად აღიარებული მისწრაფება შეწყვიტონ რევოლუცია, მოიკალათონ მშვიდად, მოურიგდნენ რეაქციას, დაიწყონ და აკეთონ — კაპიტალისტური ყაიდის მემამულისათვის და მეფაბრიკისათვის — მყუდრო «ბუდე» მონარქისტული კონსტიტუციისა, ვიწრო, ანგარებითი კლასობრივი კონსტიტუციისა, რომელიც ულმობლად სასტიკია ხალხის ყველა მასის მიმართ.

ახლა უკვე არ შეიძლება იმ შეცდომების განმეორება, რასაც მრავალნი სჩადიოდნენ, როცა ამბობდნენ, კადეტები ცენტრის მარცხნივ დგანანო, თავისუფლების პარტიებსა და რეაქციის პარტიებს შორის წყალგამყოფი კადეტების მარჯვნივ

გადისო. კადეტები — ცენტრია, და ეს ცენტრი სულ უფრო და უფრო აშკარად აპახრაკებს თავის გარიგებას მარჯვნივ. კლასების პოლიტიკურმა გადაჯგუფებამ თავი იჩინა იმით, რომ კადეტების დასაყრდენი გახდა კაპიტალისტური მეურნეობის გამძღოლი მემამულე და ბურჟუაზიის ფართო ფენა. ხოლო დემოკრატიული, წვრილბურჟუაზიული ფენები აშკარად შორდებიან კადეტებს, და მათ მიჰყვებიან მხოლოდ ტრადიციის, ჩვეულების ძალით, ზოგჯერ კი პირდაპირ მოტყუების გამო.

სოფლად უფრო მკვეთრად და უფრო თვალსაჩინოდ იჩენს თავს თანამედროვე რევოლუციის მთავარი ბრძოლა: ბატონყმობის წინააღმდეგ, მემამულური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ. გლეხს ქალაქელ წვრილ ბურჟუაზე უფრო აშკარად ეცემა თვალში კადეტის არადემოკრატიზმი. გლეხმა კიდევ უფრო გადაჭრით შეაქცია ზურგი კადეტს. გლეხმა ამრჩევლებმა თითქმის ყველაზე მეტად გამოდევნეს კადეტები საგუბერნიო საარჩევნო კრებებიდან.

ქალაქებში პირველ ადგილზე არა დგას გლეხისა და მემამულის ანტაგონიზმი, სახალხო თავისუფლებისა და ბატონყმობის ეს ყველაზე ღრმა და ბურჟუაზიული რევოლუციისათვის ტიპიური ანტაგონიზმი. ქალაქებში პროლეტარმა უკვე შეიგნო ინტერესთა სხვა, ბევრად უფრო ღრმა წინააღმდეგობა, რომელმაც წარმოშვა სოციალისტური მოძრაობა. მუშათა კურიამ საერთოდ მთელ რუსეთში სულერთიანად მოგვცა სოციალ-დემოკრატები, ცოტაოდენი — ესერები და სხვა პარტიების წევრთა სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა. მაგრამ ქალაქის წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიაშიც ქვედა ფენების შემობრუნება მარცხნივ, კადეტებისაგან, ეჭვს არ იწვევს. ბ-ნ სმირნოვის მიერ «რეჩში» გამოქვეყნებული კადეტური სტატისტიკის მონაცემთა მიხედვით, 22 ქალაქში 153 ათასი ამომრჩევლით, რომლებიც ოთხი სიით ირჩევდნენ, მონარქისტებმა მიიღეს 17 ათასი ხმა, ოქტიაბრისტებმა — 34, მემარცხენე ბლოკმა — 41 ათასი, კადეტებმა — 74 ათასი. პირველსავე საარჩევნო ბრძოლაში, როდესაც კადეტებს

ჰქონდათ მეტად ძლიერი ყოველდღიური პრესა, კადეტური ლეგალური ორგანიზაცია, როდესაც ისინი ავრცელებდნენ კადეტურ სიცრუეს შავრაზმელთა გამარჯვების საფრთხის შესახებ, როდესაც მემარცხენეები არალეგალურ მდგომარეობაში იყვნენ, — კადეტებს ჩამოშორდა ხმების ისეთი დიდი მასა, რომ ნოქრის, წვრილი მოსამსახურის, დაბალი მოხელის, ბინის ღარიბი დამქირავებლის შემობრუნება აშკარაა. კიდევ ერთ ასეთ ბრძოლას კადეტები ვეღარ გაუძლებენ. ქალაქის დემოკრატია კადეტებს ჩამოშორდა და ტრუდოვიკებსა და სოციალ-დემოკრატებს მიემხრო.

გაერთიანებულ თავადაზნაურთა შავრაზმული საბჭოს წინააღმდეგ, საბოლოოდ დამფრთხალი ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელმაც რევოლუციას ზურგი შეაქცია, დაირაზმა მთელი პროლეტარიატი, ირაზმება დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიის, განსაკუთრებით გლეხობის უდიდესი მასა.

კლასთა პოლიტიკური გადაჯგუფება იმდენად ღრმა, იმდენად ფართო, იმდენად ძლიერია, რომ არავითარ სამხედრო-საველე ჩაგვრას, სენატის არავითარ განმარტებებს, რეაქციის არავითარ ფანდებს, კადეტური სიცრუის არავითარ ნიაღვარს, რითაც მონოპოლურად ავსებული იყო მთელი ყოველდღიური პრესა, — არაფერს არ შეეძლო ხელი შეეშალა იმისთვის, რომ ეს გადაჯგუფება გამოხატულიყო სათათბიროში. მეორე სათათბირო გვიჩვენებს სხვადასხვა კლასის ღრმა, მასობრივი, ორგანიზაციულად განმტკიცებული, შეგნებული ბრძოლის გამწვავებას.

მომენტის ამოცანა ის არის, რომ გავიგოთ ეს ძირითადი ფაქტი, შეგვეძლოს სათათბიროს სხვადასხვა ნაწილის უფრო მჭიდროდ დაკავშირება ამ მძლავრ დასაყრდენთან ქვევიდან. ზედა ფენებს, მთავრობას კი არ უნდა ვუყურებდეთ, არამედ ქვედა ფენებს, ხალხს. სათათბიროს ტექნიკის წვრილმანებს არ უნდა ვაქცევდეთ ყურადღებას. დემოკრატის გულისყურს უნდა იზიდავდეს არა უხამსი ფიქრი იმაზე, რომ როგორმე

შიყუჩდეს, მიწყნარდეს და სათათბიროს გარეკვის საბაბი არ მისცეს, სტოლიპინი და კომპანია არ გააჯავროს, — ეს უხამსი კადეტური მოსაზრებანი კი არ უნდა აინტერესებდეს დემოკრატს. მან მთელი ყურადღება, მთელი სულიერი ძალები იქითკენ უნდა წარმართოს, რომ გაამაგროს ამამოძრავებელი ღვედი მძლავრად ამოძრავებულ დიდ ქვემო ბორბალსა და პატარა ზემო ბორბალს შორის.

სოციალ-დემოკრატიამ, როგორც მოწინავე კლასის პარტიამ, ახლა უფრო მეტად უნდა იკისროს, ვიდრე ოდესმე, იმის ინიციატივა, რომ მთელი სიმაღლით აღიმართოს, დამოუკიდებლად, მტკიცედ და გაბედულად ალაპარაკდეს. პროლეტარიატის სოციალისტური და წმინდა კლასობრივი ამოცანების გულისათვის მან თავი უნდა გამოაჩინოს როგორც მთელი დემოკრატიის ავანგარდმა. ჩვენ უნდა გამოვეყოთ ყველა წვრილბურჟუაზიულ ფენას და ქვეფენას, — მაგრამ არა იმისათვის, რომ ვითომდა ამაყი მარტოობის ნაჭუჭში ჩავიკეტოთ (ნამდვილად ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ დავხმარებოდით ლიბერალურ ბურჟუებს, კუდში გავყოლოდით მათ), არამედ იმისათვის, რომ თავი გავითავისუფლოთ ყოველგვარი მერყეობისაგან, ყოველგვარი ორჭოფობისაგან და შეგვეძლოს გ ა ვ ი ყ ო ლ ი ო თ დემოკრატიული გლეხობა.

გამოგლიჯოს ლიბერალთა ჰეგემონიას დემოკრატიის შერჩენილი ნაწილი, გაიყოლიოს დემოკრატია, ასწავლოს მას ხალხზე დაყრდნობა, მჭიდროდ დაუკავშირდეს ქვედა ფენებს, უფრო ფართოდ გაშალოს თ ა ვ ი ს ი დროშა მთელი მუშათა კლასის წინაშე, გაჩანაგებული და დამშეული გლეხობის მთელი მასის წინაშე, — აი როგორია პირველი ამოცანა, რომლითაც შედის სოციალ-დემოკრატია მეორე სათათბიროში.

«ნოვი ლუჩ» № 1,
1907 წ. 20 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «ნოვი ლუჩის» ტექსტის მიხედვით

Россійская Соціалдемократическая Рабочая Партія

Пролетаріи всѣхъ странъ, соединяйтесь!

# РАБОЧІЙ

Газета Охтенск. и Самсон. подрайоновъ Выборгскаго района.

№ 2. | пятница, 23 Февраля 1907г. | Цѣна 1 к.

## Товарищи-рабочіе!

День созыва второй Госуд. Думы настаёт. Сознательный пролетариатъ никогда не вѣрилъ въ то, чтобы можно было добиться воли народу земли крестьянству путемъ посылки ходоковъ къ царю, управляющему шайкой черносотенныхъ мошенниковъ. Сознательный пролетариатъ бойкотировалъ Думу, чтобы предупредить темныя крестьянскіе массы, которыя вѣрили въ Думу. И опытъ съ первой Думой, измѣна правительства надъ ея предложеніями, ея разгонъ показали, что сознательный пролетариатъ былъ правъ.— показали, что мирнымъ путемъ, на основѣ законовъ, царемъ изданныхъ и черносотенцами соблюдаемыхъ, нельзя добиться свободы.

Во вторую Думу соціалдемократы совѣтовали народу посылать не ходоковъ къ боярамъ. Вѣрно въ мирный путь подорвали у народа. Это видно изъ того, что партіи либераловъ проповѣдующая мирный путь, кадеты, потерпѣли крупные на выборахъ. Эта партія либеральныхъ помѣщиковъ и буржуазныхъ адвокатовъ, пытавшаяся примирить черносотенное самодержавіе съ народной свободой, входитъ во вторую Думу ослабленной. Усилились черносотенцы, которые провели нѣсколько десятковъ депутатовъ. Но еще гораздо болѣе усилились лѣвые, т. е. тѣ, кто болѣе или менѣе рѣшительно и послѣдовательно стоятъ за мирный путь, а за революціонную борьбу.

Вторая Дума—лѣвѣе первой Думы. Во второй Думѣ гораздо больше соціалдемократовъ и больше революціонныхъ демократовъ (с.-р. и часть трудовиковъ). Первая Дума была Думой надеждъ на мирный путь. Вторая Дума —Дума острой борьбы между черносотенными царскими правительствомъ и представителями части массъ пролетаріевъ, сознательно добивающихся свободы путемъ борьбы за соціализмъ, — массы крестьянства, стихійно подпирающагося противъ крѣпостниковъ помѣщиковъ.

Выборы новой Думы показали, что не смотря на всѣ преслѣдованія и запреты растетъ и крѣпнетъ революціонное сознаніе въ широкихъ народныхъ массахъ. Боится новая революціонная волна, новый революціонный бой народа за свободу.

Этотъ бой будетъ данъ не въ Думѣ. Этотъ бой рѣшитъ возстаніе пролетаріата, крестьянства и сознательной части войска. Этотъ бой надвигается на насъ всѣмъ ходомъ событій, всѣмъ ходомъ стоявшимъ лѣвой части Думы съ правительствомъ и кадетами.

Будьте же готовы, рабочіе, къ серьезнымъ событіямъ. Не тратьте своихъ силъ напрасно. Нашъ не надо ускорять развязки: пусть царь и его черносотенные слуги нападаютъ первые. Имъ приходится нападать на народъ, разгонять Думу, отмѣнить избирательный законъ, начинать рѣзню силъ, чтобы развязаться съ новою Думою.

Пусть насильники начинаютъ. Пролетаріатъ воздѣнъ стойко, твердо, выдержанно готовить болѣе и болѣе широкія массы народа къ великому, отчаянному бою за свободу. Товарищи-рабочіе! Мы помнимъ первыя великія событія революціи 9-ое января 1905г., октябрьскую стачку, декабрьское возстаніе. Мы будемъ вновь собирать новыя силы для новаго еще болѣе грознаго, рѣшительнаго выступленія могда разгорится костеръ лѣвой Думы во всероссійскій пожаръ. Нужно всѣ силы собрать и сосредоточить для грядущаго рѣшительнаго сраженія.

Помните, товарищи, что вторая Дума менѣе обѣщала вести къ борьбѣ, къ возстанію. Не растрачивайте своихъ силъ на пустяки.

Да здравствуетъ всероссійское возстаніе за свободу!

Да здравствуетъ революція!

Да здравствуетъ международная революціонная соціалдемократія!

*Н. Ленцовъ.*

---

## ПИСЬМА РАБОЧИХЪ

### Заводъ Нрейтона.

(Окончаніе.)

Къ сожалѣнію, фильтровка въ кружечной мастерской весьма грязна. Литература тутъ отворяется, особенно платчиц, в прилагаемъ объемъ кружекъ на одной сотарый крышки. Организовывать въ этой мастерской только одного человѣкъ. Мастеръ, отворачивать вмѣстаго провокатора Ушакова, вновь образовывать свои фамилію собственныхъ подвиговъ.

Прежде выборовъ на городской аврии черносотенцы и изуверы проклинали и бывстеи въ большинъ вотчиствѣ получаются вѣнторомъ конкурентовъ, которые, правда мы на замѣтъ, кладутъ подъ молотъ и затѣмъ вытѣшиваютъ на вольъ съ подписью: «Кадетская бывстеть посвѣ достойной казни».

პირველი გვერდი გაზეთ «რაბოჩისა», № 2. — 1907 წ.

დაპატარავებულია

# მეორე სათათბირო და პროლეტარიატის ამოცანები[50]

ამხანაგო მუშებო!

დადგა მეორე სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის დღე. შეგნებულ პროლეტარიატს არასოდეს არ სჯეროდა, თითქოს შეიძლებოდეს ხალხისთვის თავისუფლებისა და გლეხობისთვის მიწის მოპოვება შუაკაცთა გაგზავნის გზით მეფესთან, რომელიც შავრაზმელ მოძალადეთა ბრბოს მართავს. შეგნებულმა პროლეტარიატმა სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადა, რათა ამით გაეფრთხილებინა გლეხთა ბნელი მასები, რომელთაც სათათბირო სწამდათ. პირველი სათათბიროს გამოცდილებამ, მთავრობის მიერ მის წინადადებათა აბუჩად აგდებამ, მისმა გარეკვამ ცხადყო, რომ შეგნებული პროლეტარიატი მართალი იყო, — ცხადყო, რომ მშვიდობიანი გზით, იმ კანონების ნიადაგზე, რომლებიც მეფემ გამოსცა და რომელთაც შავრაზმელები იცავენ, შეუძლებელია თავისუფლების მოპოვება.

სოციალ-დემოკრატია ხალხს ურჩევდა მეორე სათათბიროში გაეგზავნა არა შუაკაცები, არამედ მებრძოლნი. მშვიდობიანი გზის რწმენა ხალხში შერყეულია. ეს იქიდან ჩანს, რომ ლიბერალების პარტიამ, რომელიც მშვიდობიან გზას ქადაგებს, კადეტებმა, არჩევნებში მარცხი განიცადა. ლიბერალურ მემამულეთა და ბურჟუაზიულ ადვოკატთა ეს პარტია, რომელიც ცდილობს შავრაზმული თვითმპყრობელობა შეარიგოს ხალხის თავისუფლებასთან, მეორე სათათბიროში შედის და-

სუსტებული. გაძლიერდნენ შავრაზმელები, რომლებმაც რამდენიმე ათეული დეპუტატი გაიყვანეს. მაგრამ ბევრად უფრო მეტად გაძლიერდნენ მემარცხენეები, ე. ი. ისინი, ვინც ასე თუ ისე მტკიცედ და თანამიმდევრად მხარს უჭერს არა მშვიდობიან გზას, არამედ რევოლუციურ ბრძოლას.

მეორე სათათბირო პირველ სათათბიროზე უფრო მემარცხენეა. მეორე სათათბიროში ბევრად მეტი სოციალ-დემოკრატი და მეტი რევოლუციური დემოკრატია (სოციალისტ-რევოლუციონერები და ტრუდოვიკების ნაწილი). პირველი სათათბირო მშვიდობიანი გზის იმედების სათათბირო იყო. მეორე სათათბირო მეფის შავრაზმულ მთავრობასა და მასის წარმომადგენლებს შორის მწვავე ბრძოლის სათათბიროა, — პროლეტართა მასისა, რომლებიც შეგნებულად ცდილობენ თავისუფლების მოპოვებას სოციალიზმისათვის საბრძოლველად, — გლეხობის მასისა, რომელიც სტიქიურად ირაზმება მებატონე მემამულეთა წინააღმდეგ.

ახალი სათათბიროს არჩევნებმა ცხადყო, რომ, მიუხედავად ყოველნაირი დევნა-აკრძალვისა, ხალხის ფართო მასებში იზრდება და მტკიცდება რევოლუციური შეგნება. ახლოვდება ახალი რევოლუციური ტალღა, ხალხის ახალი რევოლუციური ბრძოლა თავისუფლებისათვის.

ეს ბრძოლა სათათბიროში როდი გაიმართება. ამ ბრძოლას გადაწყვეტს პროლეტარიატის, გლეხობისა და ჯარის შეგნებული ნაწილის აჯანყება. ეს ბრძოლა გვიახლოვდება მოვლენათა მთელი განვითარებით, მთავრობასა და კადეტებთან სათათბიროს მემარცხენე ნაწილის შეტაკებათა მთელი მსვლელობით.

მაშ მზად იყავით, მუშებო, სერიოზული მოვლენებისათვის. ფუჭად ნუ დახარჯავთ თქვენს ძალებს. ჩვენთვის საჭირო არ არის დასასრულის დაჩქარება: დაე, პირველნი თავს დაგვესხან მეფე და მისი შავრაზმელი მსახურნი. მათ მოუხდებათ ხალხზე თავდასხმა, სათათბიროს გარეკვა, საარჩევნო კანონის

გაუქმება, მთელ რიგ ძალადობათა გამოყენება, რათა თავიდან მოიცილონ ახალი სათათბირო.

დაე, მოძალადეებმა დაიწყონ. პროლეტარიატმა მედგრად, მტკიცედ, ბეჯითად უნდა ამზადოს ხალხის სულ უფრო და უფრო ფართო მასები დიადი, თავგანწირული ბრძოლისათვის თავისუფლების მოსაპოვებლად. ამხანაგო მუშებო! ჩვენ განვლეთ რევოლუციის პირველი დიდი შეტაკებანი, 1905 წლის 9 იანვარი, ოქტომბრის გაფიცვა, დეკემბრის აჯანყება. ჩვენ კვლავ ახალ ძალებს მოვიკრებთ ახალი, კიდევ უფრო მრისხანე, გადამწყვეტი გამოსვლისათვის, როდესაც მემარცხენე სათათბიროს ცეცხლის ალი გაღვივდება და მთელ რუსეთს ხანძრად მოედება. საჭიროა მთელი ძალების შემოკრება და თავმოყრა მომავალი გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ მეორე სათათბიროს გარდუვალად მივყავართ ბრძოლისაკენ, აჯანყებისაკენ. ნუ შეალევთ თქვენს ძალებს ფუჭ საქმეებს.

გაუმარჯოს მთელი ხალხის აჯანყებას თავისუფლების მოსაპოვებლად!

გაუმარჯოს რევოლუციას!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას!

დაწერილია 1907 წ.
20 თებერვალს (5 მარტს)

დაიბეჭდა 1907 წ. 23 თებერვალს
გაზეთ «რაბოჩი»-ში, № 2

ბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

# პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი

სპბ. 1907 წ. 21 თებერვალი.

გუშინ ჩვენ იმედი გამოვთქვით, რომ მენშევიკები, რომლებიც «რუსსკაია ჟიზნში» [51] ლამაზ სიტყვებს ამბობენ სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებლობაზე, სწორ პოლიტიკას გაატარებდნენ.

სამი დღის წინათ, საღამოს, შედგა კადეტთა კრება, რომელმაც მთელი ეს იმედები გააქარწყლა...

აი როგორ იყო საქმე.

19 თებერვალს ნასადილევს შედგა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის კრება. წინადადება შემოვიდა წასულიყვნენ კერძო თათბირზე, რომელსაც კადეტები აწყობდნენ. დეპუტატთა ნაწილმა ამ წინადადებას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. ისინი ამბობდნენ, რომ მუშათა კლასის დეპუტატებისათვის სამარცხვინოა ლიბერალურ ბურჟუებთან წასვლა, რომლებიც სტოლიპინს ევაჭრებიან, რომ სოციალ-დემოკრატებმა უნდა გაატარონ არა კადეტური, არამედ პროლეტარული პოლიტიკა, არ უნდა მიჰგვარონ ლიბერალურ ბატონს გლეხი, კ ა დ ე ტ უ რ ი «მემარცხენე» ბლოკის შექმნას არ უნდა დაეხმარონო. მენშევიკებმა თავისი გადაწყვეტილება გაიყვანეს.

19 თებერვალს საღამოს დოლგორუკოვის ბინაზე შედგა სათათბიროს «ოპოზიციის» 300-მდე წევრის კრება: კადეტები, ნ ა რ ო დ ო ვ ც ე ბ ი (პოლონეთის შავრაზმელი ნაციონალისტ-ბურჟუები), ყველა მემარცხენე, ტრუდოვიკები, ესე-

რები და... სოციალ-დემოკრატები. სოციალ-დემოკრატ დეპუ-ტატთა ნაწილი კადეტებთან არ წავიდა.

რა მოხდა კადეტთან მოწვეულ კრებაზე?

კადეტთან მოწვეულ კრებაზე ყველა მემარცხენემ, ყველა დემოკრატმა, წვრილმა ბურჟუებმა (ნაროდნიკებმა, ტრუდ-ოვიკებმა, ესერებმა) და ყველა მოკადეტო სოციალ-დემოკრატ-მა ხელი მოაწერეს კადეტურ წინადადებებს. თუ «ტოვარიშჩს» დავუჯერებთ, მენშევიკებმა ფორმალური შენიშვნა შეიტანეს, რომ მათი გადაწყვეტილება საბოლოო არ არის — ჯერ კიდევ ფრაქციას უნდა შეეკითხოთო. «რეჩი» (კადეტების ცენტრალური ორგანო) კი იუწყება, არავის არავითარი შენიშვნა არ შეუტანიაო.

ამრიგად, სოციალ-დემოკრატებმა, როგორც ლიბერალთა ყურმოჭრილმა მონებმა, მთელი მათი გეგმა მიიღეს, პრეზ-იდიუმის უმრავლესობა (სამიდან ორი ადგილი) კადეტებს ჩა-უგდეს ხელში, დაეთანხმნენ იმას, რომ მესამე ადგილი დაიკა-ვონ ტრუდოვიკებმა, რომლებიც ამგვარად მიჯაჭ-ვულნი არიან კადეტებზე, დაეთანხმნენ არ განუ-მარტონ ხალხს, თუ რა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს პრე-ზიდიუმის არჩევას, რატომ არის საჭიროებულო ყო-ველი შეგნებული მოქალაქისათვის ამ საკითხის გადაწყვეტა პარტიათა ურთიერთობის თვალსაზრისით და არა კერძო, ფა-რულ გარიგებათა მიხედვით.

შეიძლება თუ არა ასეთი მოქმედების გამართლება იმის შიშით, ვაი თუ სათათბიროს შავრაზმული პრეზიდიუმი გავი-დესო? არა. ჩვენ უკვე გუშინ აღვნიშნეთ ამხ. პ. ორლოვსკის სტატიაში, რომ შავრაზმელნი კადეტთა და მემარცხენეთა ხმე-ბის ვერავითარი გაყოფის შემთხვევაში ვერ შესძლებდნენ გამარჯვებას.

შავრაზმელთა გამარჯვების საფრთხე კი არა, არამედ ლი-ბერალებთან ლაქუცობის სურვილი, — აი ნამდვილად რა განსაზღვრავს მენშევიკურ პოლიტიკას.

როგორი პოლიტიკის გატარება ევალებათ სოციალ-დემოკრატებს?

ან თავი შეიკავონ, როგორც სოციალისტებმა, რომლებიც შორს დგანან თავისუფლების მოღალატე და ხალხის ექსპლოატატორი ლიბერალებისაგან, ანდა გაუძღვნენ ბრძოლისუნარიან დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიას როგორც შავრაზმელთა, ისე ლიბერალთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

პირველი პოლიტიკა სოციალისტებისათვის სავალდებულოა მაშინ, როდესაც ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიულ პარტიას შორის უკვე გამქრალა არსებითი განსხვავებანი დემოკრატიისათვის ბრძოლის თვალსაზრისით. ასე ხდება ევროპაში. რევოლუცია არ არის. ყველა ბურჟუაზიულ პარტიას დაუკარგავს დემოკრატიისათვის ბრძოლის უნარი და ისინი მხოლოდ მეპატრონეთა ან წ ვ რ ი ლ მ ე პ ა ტ რ ო ნ ე თ ა წვრილმანი, ანგარებითი ინტერესებისათვის იბრძვიან. ასეთ პირობებში დემოკრატიის ინტერესებს მ ა რ ტ ო ო დ ე ნ სოციალ-დემოკრატია იცავს, რომელიც ამავე დროს განუხრელად ავითარებს მასების წინაშე თავის სოციალისტურ შეხედულებებს.

მეორე პოლიტიკა სავალდებულოა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არსებობს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირობები, როდესაც მუშათა კლასს გარდა არიან განსაზღვრული ბურჟუაზიული ან წვრილბურჟუაზიული ფენები, რომელთაც შეუძლიათ იბრძოლონ დემოკრატიისათვის, რაც აუცილებლად ესაჭიროება პროლეტარიატს.

რუსეთში ამჟამად სავალდებულოა მეორე პოლიტიკა. სოციალ-დემოკრატია, რომელმაც ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს თავისი სოციალისტური ქადაგება, აგიტაცია, პროლეტართა ორგანიზება კლასად, მოვალეა შემთხვევიდან შემთხვევამდე, დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასთან ე რ თ ა დ მ ი მ ა ვ ა ლ ი უ რ ტ ყ ა მ დ ე ს შავრაზმელებსაც და ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ს ა ც.

ეს იმიტომ, რომ ლიბერალებმა (კადეტებმა, ნაროდოვცებმა (?), დემოკრატიული რეფორმების პარტიამ და სხვ. და სხვ.)

უკვე გადაჭრით შეაქციეს ზურგი რევოლუციას და თვითმპყრობელობას უთანხმდებიან ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ, რომელზედაც ისინი ცრუდ ლაყბობენ. ახლა ისიც კი ირკვევა, რომ კადეტები დ ა ე ხ მ ა რ ნ ე ნ მ თ ა ვ რ ო ბ ა ს სამხედრო-საველე სასამართლოების შესაქმნელად და შარშან ადამიანთა დასახვრეტად საფრანგეთისგან მიეღო ო რ ი მ ი ლ ი ა რ დ ი სესხი, ვინაიდან კლემანსომ პირდაპირ განუცხადა კადეტებს: მთავრობა სესხს ვერ მიიღებს, თუ კადეტების პარტია ოფიციალურად გამოვა სესხის წინააღმდეგო. კადეტებმა უარი სთქვეს სესხის წინააღმდეგ გამოსვლაზე, რადგან შიშობდნენ, ვაი თუ დავკარგოთ ჩვენი მდგომარეობა ხვალინდელი მ მ ა რ თ ვ ე ლ ი პ ა რ ტ ი ი ს ა ო! რუსეთს ხვრეტდნენ არა მარტო ტრეპოვის ტყვიამფრქვევები, არამედ კადეტურ-ფრანგული მილიონებიც.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისათვის შეუწყნარებელია კადეტთა ჰეგემონიის მხარის დაჭერა. მაგრამ არ კმარა, რომ ისინი 19 თებერვლის კადეტურ კრებაზე წასვლის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. მათ კატეგორიულად და უსათუოდ უნდა მოითხოვონ, რომ ფრაქციამ კავშირი გაწყვიტოს კადეტისებურ პოლიტიკასთან და პირდაპირ და აშკარად გამოდიოდეს სათათბიროში პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკით.

პრეზიდიუმის საკითხზე სოციალ-დემოკრატებს უნდა ეთქვათ: ჩვენს პრეზიდიუმს არ მოვითხოვთ. ჩვენ მხარს ვუჭერთ მემარცხენეთა ან ტრუდოვიკთა მ თ ე ლ სიას კ ა დ ე ტ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ე. ი. პრეზიდიუმის წევრობის სამივე კანდიდატს კადეტთა კანდიდატების წინააღმდეგ, და თავს ვიკავებთ, თუ ტრუდოვიკები, მიუხედავად ჩვენის მხრივ გაფრთხილებისა, კუდში მისჩანჩალებენ კადეტებსაო. ყოველ შემთხვევაში მემარცხენეთა კანდიდატის წამოყენება სავალდებულო იყო, თუნდაც მისი გასვლის შანსი არ ყოფილიყო. პირველი კენჭისყრის დროს მის სასარგებლოდ მიცემული ხმების რაოდენობა დაგვანახვებდა, თუ რა ძალების იმედი უნდა იქონიონ

სოციალ-დემოკრატებმა კადეტების წინააღმდეგ ბრძოლის შემთხვევაში. ხოლო თუ ამასთანავე აღმოჩნდებოდა, რომ მას კადეტზე მეტი ხმა აქვს, თუმცა ეს ხმები ასარჩევად საჭირო აბსოლუტურ უმრავლესობაზე ნაკლებია, — მაშინ ეს კენჭისყრა ხალხს ნათლად დაანახვებდა, რომ სათათბირო კადეტური არ არის, რომ კადეტი სათათბიროში ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი რ ო დ ი ა.

პრეზიდიუმის არჩევნები წვრილმანი საქმე როდია. ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელსაც შემდგომი ნაბიჯები მოჰყვება. არჩევანი უნდა მოხდეს.

ან კადეტისებური პოლიტიკა, და მაშინ სოციალ-დემოკრატები ნამდვილად იქცევიან ლიბერალთა დანამატად.

ან რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკა, და მაშინ ჩვენ საქმეს ვიწყებთ არა კადეტებისათვის თავის დაკვრით, არამედ ჩ ვ ე ნ ი დროშის აშკარად აფრიალებით. მაშინ ჩვენ არ მივდივართ კადეტებთან. მაშინ ჩვენ წვრილბურჟუაზიულ და განსაკუთრებით გლეხურ დემოკრატიას მოვუწოდებთ როგორც შავრაზმელთა, ისე ლიბერალთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

«ნოვი ლუჩ» № 2,
1907 წ. 21 თებერვალი

იბეჭდება გაზეთ «ნოვი ლუჩის» ტექსტის მიხედვით

# წვრილბურჟუაზიული ტაქტიკა

21 თებერვალს «ტოვარიშჩმა» გამოაქვეყნა ამონაწერები ესერების პარტიის უკანასკნელი, სასწრაფო ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებებიდან. დადგენილებები შეეხება სათათბიროს ტაქტიკის საკითხს.

ამ დადგენილებათა გამო ძალიან ბევრი რამ შეიძლება ითქვას და უნდა ითქვას კიდეც. ჩვენ არ შეგვიძლია აქ შევჩერდეთ ესერების ამ, ისე როგორც საერთოდ ყველა, დადგენილების უმთავრეს ცოდვაზე: სხვადასხვა პარტიის კლასობრივი ანალიზის უქონლობაზე. ამგვარი ანალიზი თუ არ გაკეთდა, ისე შეუძლებელია შემუშავდეს ტაქტიკა, რომელიც ტაქტიკის სახელწოდების ღირსი იქნება. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პლატფორმასთან (რამდენიმე ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენელთა 15 — 18 თებერვლის თათბირის მიერ შემუშავებული რეზოლუციები *; ისინი ამ დღეებში გამოქვეყნდება) ** ესერული დადგენილებების შედარება საბაბს მოგვცემს კვლავ არაერთხელ დავუბრუნდეთ ამ აზრს.

არც იმაზე შევჩერდებით, რომ ესერები ცოტა არ იყოს მეტისმეტად ხაზს უსვამენ იმ საანბანო ჭეშმარიტებას, რომ

* დღევანდელ (22 თებერვლის) «სოვრემენნაია რეჩში» [52] მე-3 გვერდზე სწორად არის აღნიშნული ამ თათბირის შემადგენლობა და გადმობეჭდილია მიღებული ექვსი რეზოლუციიდან ერთ-ერთი რეზოლუციის მცირე ნაწილი. მკითხველებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ამ გადმობეჭდილ მცირე ნაწილშიც შეცდომებია.

** იხ. ეს ტომი, გვ. 147 — 160.

რევოლუციონერები სულაც არ ესწრაფიან «შექმნან გარეგანი (?), არაარსებითი კონფლიქტები», «დააჩქარონ სათათბიროს გარეკვა» და სხვა. ეს წვრილმანია.

ესერული ტაქტიკის დედაარსს, მომენტის საარსებო ამოცანების თვალსაზრისით, შემდეგი დადგენილება წარმოადგენს:

«4. ყრილობა თვლის, რომ სათათბიროს შიგნით მკვეთრი პარტიული დაჯგუფება, ყოველი ცალკე ჯგუფის იზოლირებული გამოსვლისა და ფრაქციათა შორის მწვავე ბრძოლის პირობებში, სავსებით გააქარწყლებდა ოპოზიციური უმრავლესობის მოქმედებას და ამით მშრომელი კლასების თვალში სახელს გაუტეხდა თვით სახალხო წარმომადგენლობის იდეას. ამიტომ ყრილობა საჭიროდ თვლის, რომ პარტიულმა დეპუტატებმა ყოველი ღონე იხმარონ ყველა სოციალისტური და უკიდურესი მემარცხენე ფრაქციის რაც შეიძლება უფრო მუდმივი და შეთანხმებული გამოსვლის მოსაწყობად; სპეციალურად კი თავისუფლებათა და ხალხის პოლიტიკურ უფლებათა მოსაპოვებლად სათათბიროს მემარჯვენე ნაწილის წინააღმდეგ და მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში უნდა ესწრაფოდნენ სათათბიროს რევოლუციურ-სოციალისტური ნაწილისა და ოპოზიციური ნაწილის ცალკეულ, რაც შეიძლება უფრო შეთანხმებულ გამოსვლებს, ამასთან ყველა ეს, როგორც ხანგრძლივი, ისე ნაწილობრივი, შეთანხმებული გამოსვლა უნდა ხდებოდეს იმ საწყისებზე, რომლებიც არაფრით არ ეწინააღმდეგებიან პარტიული პროგრამისა და ტაქტიკის ძირითად პრინციპებს».

წვრილბურჟუაზიული ტაქტიკის პრინციპული საფუძვლების ჩინებული გადმოცემაა! ამ ტაქტიკის სრული მერყეობის ჩინებული გამოაშკარავებაა!

«ხანგრძლივი (!) და ნაწილობრივი შეთანხმებული გამოსვლები», «რაც შეიძლება უფრო მუდმივი (!) და შეთანხმებული»... ეს ყოვლად უაზრო სიტყვებია, რადგან ვერ ვხედავთ იმის ცდასაც კი, რომ გაარკვიონ, თუ სახელდობრ რომელი კლასების სახელდობრ რა ინტერესთა ერთიანობა უდევს საფუძვლად მთელ ამ «შეთანხმებულობას»! ჩვენ, რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, ვცნობთ პროლეტარიატის პარტიისა და დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიის პარტიების საერთო გამოსვლებს შავრაზმელებისა და კადეტე-

ბის წინააღმდეგ, როგორც გამცემლური ლიბერალიზმის პარტიების წინააღმდეგ. ესერებს იმდენად ვერ შეუგნიათ რუსეთის რევოლუციის ეს კლასობრივი საფუძველი, რომ ლაპარაკობენ, ერთი მხრივ, სოციალისტური და უკიდურესი მემარცხენე ფრაქციების შეთანხმებაზე ს ა ზ ო გ ა დ ო დ, ე. ი. პროლეტარსა და წვრილ მწარმოებელს შორის წინააღმდეგობათა მიჩქმალვაზე; ხოლო, მეორე მხრივ, სათათბიროს რევოლუციურ-სოციალისტური და ო პ ო ზ ი ც ი უ რ ი ნაწილის შეთანხმებაზე შავრაზმელთა წინააღმდეგ.

არა, ჩვენ თქვენთან, ბატონებო, არც მუდმივ შეთანხმებებზე და არც შეთანხმებულ გამოსვლებზე საზოგადოდ არც კი ვილაპარაკებთ. ჯერ თქვენ შეგვითანხმდით ჩვენ როგორც შავრაზმელების, ისე კადეტების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკაში, შეგვითანხმდით ს ა ქ მ ი თ — ასეთია ჩვენი ულტიმატუმი. ასეთია ჩვენი პოლიტიკის ხაზი დემოკრატიულ რევოლუციაში. როგორც პეტერბურგის არჩევნების დროს, ისე თანამედროვე რევოლუციის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ს ა კ ი თ ხ ი ს გ ა მ ო ც ჩვენ განვაცხადებთ: პროლეტარიატი უყოყმანოდ მიდის როგორც შავრაზმელების, ისე კადეტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ვიდრე წვრილი ბურჟუები მერყეობენ, ვიდრე ისინი კადეტებს მიჰყვებიან, — ულმობელი ბრძოლა წვრილი ბურჟუების წინააღმდეგ. მიატოვეთ თქვენი კადეტები? თანახმა ხართ კადეტების წინააღმდეგ გაილაშქროთ? თუ ეს ასეა და თუ ეს ქაღალდზე ნათქვამი კი არ არის, არამედ საქმითაა დადასტურებული, — მაშინ და მხოლოდ მაშინ სოციალ-დემოკრატები დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი გამოსვლის დროს თქვენთან ერთად იქნებიან ბრძოლაში.

მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ყველაზე უფრო შესანიშნავია მოყვანილი რეზოლუციის პირველი ნაწილი. აბა წარმოიდგინეთ: «სათათბიროს შიგნით მკვეთრი პარტიული დაჯგუფებით», «მწვავე ფრაქციული ბრძოლით» * შეიძლება «მშრო-

* 22 თებერვალს «რეჩმა» მოწინავე წერილის შემდეგ საგანგებო სტატია უძღვნა ესერების რეზოლუციებს. ლიბერალური ბურჟუების ორ-

მელი კლასების თვალში სახელი გავუტეხოთ თვით სახალხო წარმომადგენლობის იდეასაო»! ეს უკვე ესერული «პლეხანოვები» არიან ამ სიტყვის «ვასილიევისეული» აზრით *!

არა, ბატონებო. კლასობრივი ბრძოლის პრინციპი სოციალ-დემოკრატიის ყველა მოძღვრებისა და მთელი პოლიტიკის საფუძველია. პროლეტარები, გლეხები, მდაბიო მოქალაქენი — ბალღები როდი არიან, რომ მათ თვალში წარმომადგენლობის იდეა გაცხარებულმა დავამ და კლასების მწვავე ბრძოლამ დაჩრდილოს. ჩვენ მათ კი არ უნდა ველოლიავებოდეთ, არამედ, პირიქით, სათათბიროს ტრიბუნიდან ვასწავლიდეთ ნათლად გაარჩიონ პარტიები, გაიგონ მათი კლასობრივი საფუძველი, რომელსაც ჩქმალავენ მოხერხებული ბურჟუები.

სათათბიროში მენშევიკური პოლიტიკის მთელი დანაშაულიც სწორედ ის არის, რომ არ უნდათ ან უნარი არ შესწევთ სათათბიროს ტრიბუნიდან უთხრან ხალხს მთელი სიმართლე სხვადასხვა პარტიის კლასობრივ ხასიათზე, მილიუკოვების ფარულ ვაჭრობაზე სტოლიპინებთან, დემოკრატიის მიზნებში გლეხისა და ლიბერალის, სოციალიზმის მიზნებში გლეხისა და პროლეტარის ძირფესვიან განსხვავებაზე.

მაგრამ მარტო იმ მენშევიკურ პოლიტიკაში კი არ არის საქმე, რაც კადეტის მითითებისამებრ ბურთის ჩუმი გაგორებით დაიწყო.

«ოპოზიციური» ლიბერალიზმის კლასობრივი საფუძვლის ეს სრული გაუგებლობა, ლიბერალიზმისა, რომელიც სტოლიპინებსა და კომპანიასთან ფარულ ვაჭრობაში ჰყიდის თავის-

---

განოს მოჰყავს სწორედ ეს ადგილი «მკვეთრი პარტიული დაჯგუფების» ზიანის შესახებ და წერს: «ამრიგად, ახალი ტაქტიკის გამოსავალი წერტილი სავსებით სწორადაა განსაზღვრული». დიახაც! ესერული ტაქტიკა სწორია საზოგადოდ ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესთა თვალსაზრისით და განსაკუთრებით — რეაქციასთან მისი მორიგების თვალსაზრისით!

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 11, გვ. 514. რედ.

უფლებასა და დემოკრატიას, იმ ოპორტუნისტული ტაქტიკის საფუძველია, რასაც წვრილი ბურჟუები (ტრუდოვიკები, სახალხო სოციალისტები, ესერები) და მუშათა პარტიის წვრილბურჟუაზიული ფრთა — მენშევიკები ადგანან.

შავრაზმელთა წინააღმდეგ ბრძოლა თვალის ახვევისა და მომიზეზების საშუალებაა. ნამდვილად კი ამ წვრილბურჟუაზიულ ტაქტიკას იყენებენ ისეთ პირობებში, როდესაც შავრაზმული გამარჯვება ყოვლად შეუძლებელია, როგორც ეს იყო, მაგალითად, პეტერბურგის არჩევნებისა და სათათბიროს თავმჯდომარის არჩევნების დროს. ტრუდოვიკებიც (ესერები დამოუკიდებელნი არიან ფიქციურად, ნამდვილად კი ისინი ტრუდოვიკებთან არიან დაკავშირებულნი და მხოლოდ მათს მემარცხენე ფრთას წარმოადგენენ, როგორც ეს პეტერბურგის არჩევნებმა ცხადყო და როგორც ამას მეორე სათათბიროში პარტიათა ახლანდელი დაჯგუფება ადასტურებს), — ტრუდოვიკებიც და მენშევიკებიც მხარს უჭერენ კადეტების ჰეგემონიას, — აი რაშია წვრილბურჟუაზიული ტაქტიკის დედაარსი. ლიბერალებს არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიც ყველგან ძალიან დიდხანს მისდევდა დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზია, რომელიც იმდენად დაქუცმაცებული, განუვითარებელი და გაუბედავი იყო, რომ არ შეეძლო დამოუკიდებელი გამხღარიყო, — და იმდენად შეპყრობილი იყო მეპატრონის სულისკვეთებით, რომ არ შეეძლო პროლეტარიატს გაჰყოლოდა. წვრილბურჟუაზიული პოლიტიკის აქილესის ქუსლია ლიბერალური ბურჟუების იდეური და პოლიტიკური ჰეგემონიისაგან განთავისუფლების უნარის უქონლობა. წვრილი ბურჟუები კადეტების მაჩანჩალები არიან არა შემთხვევის, არამედ ყოველგვარი კაპიტალისტური საზოგადოების ძირითად ეკონომიურ თავისებურებათა გამო. ამიტომ სოციალ-დემოკრატიის ძირითადი ამოცანა, — ამოცანა, რომელიც მენშევიკების გაგების უნარისათვის სრულიად უცხოა, — ის არის, რომ განუხრელად არღვევდეს დემოკრატის მიმართ ლიბერალის ჰეგემონიას, განუხრელად ათავისუფ-

ლებდეს წვრილბურჟუაზიულ მასას კადეტების მფარველი კალთისაგან და იგი სოციალ-დემოკრატიის ზედმოქმედებას, გავლენას დაუმორჩილოს.

«მუდმივი შეთანხმებული გამოსვლებიო» — გვთავაზობს ტრუდოვიკი. დიდ მადლობას მოგახსენებთ! იმისათვის, რომ დავუკავშირდეთ იმ ადამიანებს, რომლებიც ისე ესწრაფიან კადეტს, როგორც ლოთი ჭიქას? იმ ადამიანებს, რომლებიც თვეების განმავლობაში იხვეწებოდნენ კადეტებთან ბლოკს პეტერბურგის არჩევნების დროს, რომლებიც ცხვრებივით მიდიოდნენ კადეტების 19 თებერვლის კრებაზე და ხმა მისცეს დემოკრატიის გამყიდველ კადეტს *? დიდ მადლობას მოგახსენებთ!

დაწერილია 1907 წ.
22 თებერვალს (7 მარტს)

დაიბეჭდა 1907 წ. 23 თებერვალს
გაზეთ «ნოვი ლუჩში», № 4

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 180 — 184. რედ.

# გათიშვის მომწყობნი მომავალი გათიშვის შესახებ

«რუსსკაია ჟიზნი» სასაცილო გოდებას მოჰყვა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისადმი «ნოვი ლუჩის» დამოკიდებულების გამო (სტატია «აქაც კი!» № 45).

სასაცილოს იმიტომ, რომ «რუსსკაია ჟიზნმა» აირჩია მიკიბულ-მოკიბული გზა ნაცვლად იმისა, რომ ეცადნა ჩვენთვის რაიმე არსებითი პასუხი მაინც გაეცა ფრაქციის მოქმედების კრიტიკაზე.

ჩვენ ვამბობდით, რომ ჩვენს ფრაქციას არავითარ შემთხვევაში ხმა არ უნდა მიეცა თავმჯდომარედ წამოყენებულ კადეტი კანდიდატისათვის.

ჩვენ ვამბობდით, რომ ჩვენი ფრაქცია, როგორც ასეთი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასწრებოდა კადეტებისა და ნაროდოვცების კერძო თათბირებს.

ბოლოს, ჩვენ ვამბობდით, რომ ფრაქციის მოქმედებას შეიძლება გათიშვა მოჰყვეს, რადგან ამ მოქმედების ხაზი ეწინააღმდეგება პარტიის სტოკჰოლმის ყრილობის დადგენილებათა არსსა და აზრს.

დასასრულ, ჩვენი ფრაქციის ბოლშევიკურ ნაწილს მოვუწოდებდით უაღრესად ულმობელი ბრძოლა ეწარმოებინა ფრაქციის უმრავლესობის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ და განუხრელად დაეცვა იქ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პოზიცია.

ამის თაობაზე ჩვენ ძალიან ბევრს ვწერდით. პრეზიდიუმის საკითხში ფრაქციის მოქმედებას მთელი რიგი სტატიები დავუთმეთ, რომელნიც საქმეს ყოველმხრივ აშუქებდნენ.

«რუსსკაია ჟიზნი» კი არავითარ არსებით საპასუხო მოსაზრებას არ გამოთქვამს; არც ერთ სერიოზულ ცდას არ მიმართავს იმისათვის, რომ დაიცვას ტაქტიკური ხაზი მენშევიკებისა, რომლებიც სათათბიროს ფრაქციის ფაქტიური ხელმძღვანელები არიან.

ჩვენ უფლება გვქონდა დავლოდებოდით — და ველოდით, — რომ «რუსსკაია ჟიზნი» შეეცდებოდა დაემტკიცებინა, რომ მისი ტაქტიკური ხაზი სავსებით შეესაბამება რსდმ პარტიის სტოკჰოლმის ყრილობის დადგენილებებს, რომ სწორედ ეს ხაზი არის ის ხაზი, რომელმაც ჩვენს ფრაქციას სათათბიროში ჰეგემონია უნდა მოუპოვოს მთელ მემარცხენე ნაწილზე.

მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. ამის ნაცვლად ჩვენს წინაა უბადრუკი სიტყვების გროვა, გაუთავებელი სასაცილო გოდება იმაზე, რომ «ნოვი ლუჩი» სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ცილს წამებსო, რომ «ნოვი ლუჩი» ფრაქციის ბოლშევიკურ ნაწილს დაუყოვნებლივი გათიშვისაკენ უბიძგებსო.

არსებითი პასუხის ნაცვლად, — თვალთმაქცური გამოწვევა: «დაე, «ნოვი ლუჩმა» უფრო ნათლად გამოთქვას თავისი აზრი. დაე, მან თქვას რაც სათქმელი აქვს და ნუ დაივიწყებს სახარების რჩევას: «რომელი გეგულების საქმედ, ჰყავ ადრეო»».

ამხანაგებო! თქვენი სითამამე მართლაც რომ ჩინებულია. თქვენი გოდება ბოლშევიკებისაგან მომდინარე გათიშვაზე სიმართლისა და გულწრფელობის თვალმარგალიტია.

ერთადერთი პარტიული ორგანიზაცია, რომელშიც ამჟამად გათიშვა არსებობს — და თანაც მეტად მძიმე ფორმით, — პეტერბურგის ორგანიზაციაა. ვინ გათიშა ის? — გათიშეს მენშევიკებმა. გათიშეს შეკავშირებულ მუშათა ნების წინააღმდეგ და კადეტების საამებლად, რისთვისაც მოიმიზეზეს შავრაზმული საფრთხე, რომელიც პეტერბურგში არ აღმოჩნდა. და დღემდე, მიუხედავად ამისა, მენშევიკებს დაჟინებით არა სურთ აღადგინონ პეტერბურგის ორგანიზაციის მთლიანობა, დაჟი-

ნებით ესწრაფიან ამ გათიშვის გაფართოებასა და გაღრმავებას.

ბოლშევიკები მთელი ძალღონით იბრძოდნენ იმის წინააღმდეგ, რომ არჩევნების დროს დაშვებული ყოფილიყო კადეტებთან შეთანხმება. მაგრამ პარტიის ნოემბრის კონფერენციაზე შეთანხმება დასაშვებად აღიარეს. ბოლშევიკებმა კონფერენციაზე ვალდებულება იკისრეს დამორჩილებოდნენ ადგილობრივი ორგანიზაციების გადაწყვეტილებებს, და ყველგან, სადაც კი ადგილობრივმა ორგანიზაციებმა საჭიროდ მიიჩნიეს კადეტებთან საარჩევნო შეთანხმება დაედოთ, «წმინდად და ურყევად» შეასრულეს თავიანთი პარტიული მოვალეობა. მენშევიკებმაც ასეთივე ვალდებულება იკისრეს, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ პეტერბურგის შეკავშირებული მუშები თანახმა არ არიან მათ გაჰყვნენ და კადეტების ხელში ჩაცვივდნენ, — ორგანიზაცია გათიშეს.

ახლა კი გათიშვის გამო გოდებენ! რაც შეეხება გამოწვევას, რითაც «რუსსკაია ჟიზნი» მოგვმართავს, მასზე პასუხის გაცემა არავითარ შემთხვევაში არ გაგვიძნელდება. რაც სათქმელი გვქონდა, ყველაფერი უამისოდაც ვთქვით: ამის დანახვა ყველას შეუძლია, ვისაც თვალი აქვს.

პარტიის ერთიანობა ჩვენთვის მეტად ძვირფასია. მაგრამ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პრინციპების სიწმინდე ჩვენთვის უფრო ძვირფასია. ჩვენ პარტიის სტოკჰოლმის ყრილობის უმრავლესობის ნებას დავემორჩილეთ და ვემორჩილებით. ჩვენ აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია ყრილობის ყველა დადგენილების შესრულება. მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამ დადგენილებებს პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოებიც ასრულებდნენ. და მენშევიკების ოპორტუნისტული მერყეობა, მათი ყველა ცდა — კადეტების საამებლად გადაუხვიონ ყრილობის მიერ დასახულ ხაზს, აწყდებოდა და წააწყდება ჩვენი მხრივ ულმობელ კრიტიკას და მტკიცე წინააღმდეგობას. ეს ჩვენი უფლებაა. ეს ჩვენი მოვალეობაა. ამ უფლებაზე ჩვენ არასოდეს ხელს არ ავიღებთ, ამ მოვალეო-

ბაზე არასოდეს უარს არ ვიტყვით. და თუ გათიშვა მოხდება, ის მხოლოდ იმის დამადასტურებელი იქნება, რომ მენშევიკებმა თვითონვე გათელეს დადგენილებანი, რომელიც სტოკჰოლმის ყრილობაზე მათ გაატარეს. სხვანაირი გათიშვა არ შეიძლება მოხდეს და არც მოხდება. და ეს გათიშვა მხოლოდ ერთი რამის მომასწავებელი იქნება: მენშევიკების საბოლოო გადაქცევისა კადეტთა ვასალად.

«სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხელში პროლეტარიატის წითელი დროშა შეტორტმანდა», — ვწერდით ჩვენ სამი დღის წინათ. კადეტები მოითხოვენ, რომ ეს დროშა მათს წინაშე დაჰხარონ. იმ დღეს, რა დღესაც მენშევიკების ნებასურვილით ეს წარმოუდგენელი სამარცხვინო ამბავი მოხდება, გათიშვაც მოხდება, იმიტომ რომ ამ დღიდან მენშევიკები აღარ იქნებიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნაწილი.

დაწერილია 1907 წ.
23 თებერვალს (8 მარტს)

**დაიბეჭდა 1907 წ. 24 თებერვალს**
**გაზეთ «ნოვი ლუშჩი», № 5**

**იბეჭდება გაზეთის ტექსტის**
**მიხედვით**

## ოპორტუნიზმის ტაქტიკის შესახებ

პლეხანოვმა ხმა ამოიღო. დუმილი ერთადერთი მისი გონივრული ტაქტიკა იყო მას შემდეგ, რაც მან წამოაყენა სოციალ-დემოკრატებისა და კადეტების განთქმული საერთო ლოზუნგი — «სრულძალაუფლებიანი სათათბირო». პლეხანოვი «რუსსკაია ჟიზნში» გამოვიდა და კვლავ სცადა წაუბიძგოს ჩვენს პარტიას კადეტებისაკენ, სცადა თავს მოგვახვიოს «პასუხისმგებელი სამინისტროსათვის» მხარის დაჭერის ლოზუნგი, რომელიც პარტიამ უკვე პირველი სათათბიროს პერიოდში უარყო.

გავარჩიოთ პლეხანოვის მსჯელობა.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პლეხანოვი, რომელიც გულმოდგინეთ ებრძვის ბოლშევიკებს, ა შ კ ა რ ა ტ ყ უ ი ლ ს ამბობს მათი თვალსაზრისის შესახებ. სახელდობრ, ის სრულიად გარკვეულად მოგვაწერს «ჯიქურ მიწოლის» სურვილს, ბრძოლის «ახლავე» მიღების სურვილსა და მისწრაფებას.

მკითხველებს რომ დავანახოთ, რამდენად მტყუანია პლეხანოვი, ამოვწერთ ციტატს ოფიციალური ბოლშევიკური გამოცემიდან, რომელიც დათარიღებულია 11 თ ე ბ ე რ ვ ლ ი თ: ...«ბრძოლა... გარდუვალია. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ იგი გარდუვალია, ჩვენ არ გვესაჭიროება მისი დაჩქარება, ძალით გამოწვევა. ამაზე დაე კრუშევანებმა და სტოლიპი-

ნებმა იზრუნონ. ჩვენი დანიშნულებაა მთელი სიცხადით, პირდაპირ, ულმობლად გამოვააშკარაოთ სიმართლე პროლეტარიატისა და გლეხობის წინაშე, ავუხილოთ მათ თვალი და დავანახოთ მომავალი გრიგალის მნიშვნელობა, დავეხმაროთ მათ — დარაზმულად,... გულგრილად შეხვდნენ მტერს... «პირველად თქვენ ისროლეთ, ბატონო ბურჟუეებო!» — ამბობდა ენგელსი 1894 წელს გერმანიის კაპიტალის მისამართით. «პირველად თქვენ ისროლეთ, ბატონო კრუშევანებო!»... ვიტყვით ჩვენ... ამიტომ — არავითარი ნაადრევი მოწოდება*».

ხედავთ, რა ადვილად ასრულებს პატივცემული პლეხანოვი «კრიტიკოსის» ამოცანას? არავითარი ნაადრევი მოწოდება — სათათბირომდე კვირანახევრით ადრე აცხადებენ ბოლშევიკების ორგანიზაციები. — ბოლშევიკებს უნდათ ბრძოლა «ახლავე» მიიღონ, — გაიძახის პლეხანოვი 23 თებერვალს დაბეჭდილ სტატიაში, უნდათ «ჯიქურ მიაწვნენო».

რა თქმა უნდა, ეს ბოლშევიკების განადგურების ყველაზე მარტივი, იაფფასიანი და ადვილი ხერხია — მიაწეროთ მათ სულელური აზრი, შემდეგ კი ხმაურსა და ლანძღვა-გინებას მოჰყვე («უგუნური გულმოდგინება», «უაზროობა», «ღალატზე უარესი» და სხვა და სხვ.). მაგრამ პლეხანოვს ამაოდ ავიწყდება, რომ ბოლშევიკებს არ შეიძლება დააბრალო ყველაფერი, როგორც მკვდარს აბრალებენ ხოლმე, რომ ბოლშევიკები ოფიციალური დოკუმენტის უბრალო ცნობით ყველას და თვითეულს დაანახვებენ, რამდენად მართალი არ არის პლეხანოვი. პლეხანოვს შერცხვება. პლეხანოვი შაშინ მიხვდება, რომ იგი დაუსჯელად ვერ გაიმეორებს ბოლშევიკების მიმართ ისეთ სიტყვებს, რომლებსაც დღემდე მხოლოდ «ნოვოე ვრემია» იმეორებდა რევოლუციონერთა მიმართ.

* იხ. ეს ტომი, გვ. 128 — 129. რედ.

გადავიდეთ პლეხანოვის მიერ აღძრული საკითხის დედაარსზე. ეს არის «პასუხისმგებელი სამინისტროს» ლოზუნგისათვის მუშათა პარტიის მხარის დაჭერის საკითხი. პლეხანოვი ამ ლოზუნგს შემდეგნაირად იცავს:

«ორში ერთი. ან რევოლუციის სწრაფად მზარდმა ძალებმა უკვე ამჟამად გადააჭარბეს მთავრობის ძალებს, და ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებელი სამინისტროს მოთხოვნა შეიძლება გახდეს და უნდა გახდეს რეაქციის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის სიგნალი.

ანდა რევოლუციის ძალამ ჯერ კიდევ ვერ გადააჭარბა სახელმწიფოს წინააღმდეგობის ძალას, და მაშინ გადამწყვეტი ბრძოლა ჯერ კიდევ ნაადრევია; მაგრამ მაშინაც კი დასახელებულ მოთხოვნას მხარი უნდა დავუჭიროთ, როგორც საუცხოო საარმზრდელო საშუალებას, რომელიც ხალხის პოლიტიკურ შეგნებას ავითარებს და ამით ხალხს მომავალში ძლევამოსილი ბრძოლისათვის ამზადებს.

მაშასადამე, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს არ შეუძლიათ აღნიშნული მოთხოვნა თავის მოთხოვნად არ გაიხადონ ხალხის ინტერესებისათვის, რევოლუციის ინტერესებისათვის».

ეს მსჯელობა მეტად საგულისხმოა. ავიღოთ ჯერ მისი პირველი ნაწილი. მაშასადამე, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, პლეხანოვთან ერთად, რომ რევოლუციის ძალებმა გადააჭარბეს მთავრობის ძალებს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ პასუხისმგებელი სამინისტროს მოთხოვნა, ჯერ ერთი, საჭირო არ იქნებოდა; მეორე, იგი საზიანო იქნებოდა; მესამე, მას მხარს არ დაუჭერდნენ ლიბერალები.

(1) ეს მოთხოვნა საჭირო არ იქნებოდა, რადგან ამგვარი «გადამწყვეტი ბრძოლის სიგნალი» ყველა შემთხვევაში არაპირდაპირი სიგნალია და არა — პირდაპირი. ეს «სიგნალი» არ გამოხატავს გარკვეულ აზრს რეაქციის წინააღმდეგ ნამდვილად გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ, არამედ, პირიქით, გამოხატავს ისეთი დათმობის აზრს, რასაც თვით რეაქციაც ნებაყოფლობით დათანხმდება. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ, საზოგადოდ, განსაკუთრებულ პირობებში დასაშვებია არა გადამწყვეტი ბრძოლის, არამედ წინასწარი მცირე

შეტაკების სიგნალების მიცემა, თუნდაც ისეთი დემონსტრაციისა, რომელიც ბრძოლის სიმულირებაა. მაგრამ ეს სხვა საკითხია. იმ წანამძღვრების დროს კი, რომლებიც პლეხანოვმა გააკეთა (რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ძალებმა უკვე გადააჭარბესო და სხვ.), ცხადია, არაპირდაპირი სიგნალი საჭირო არ არის.

(2) «რევოლუციის ძალებმა უკვე გადააჭარბეს რეაქციის ძალებს»... რას ნიშნავს ეს? შეიცავს თუ არა ეს რევოლუციის ძალთა შ ე გ ნ ე ბ უ ლ ო ბ ა ს? პლეხანოვი, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ შეიცავს. ხალხი, რომელსაც რევოლუციური ამოცანები არ შეუგნია, არ შეიძლება გადამწყვეტ ბრძოლაში რეაქციაზე გამარჯვებისათვის საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდეს. განვაგრძოთ: ს წ ო რ ა დ გამოხატავს თუ არა ჩვენ მიერ გასარჩევი მოთხოვნა რევოლუციის ამოცანებს რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში? არა, არ გამოხატავს, რადგან პასუხისმგებელი სამინისტრო, ჯერ-ერთი, სულაც არ არის ძალაუფლების ხალხის ხელში გადასვლა, არ არის ძალაუფლების გადასვლა ლიბერალების ხელშიც კი, არამედ, არსებითად, ეს არის ლიბერალებთან რეაქციის მორიგება ან მორიგების ცდა; მეორე, ლიბერალების ხელში ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გადასვლასაც კი ა რ შ ე უ ძ ლ ი ა, ობიექტური პირობების გამო, განახორციელოს რევოლუციის ძირითადი მოთხოვნები. ეს აზრი პირდაპირ არის გამოხატული «პირველი კრებულის»[53] სტატიის იმ ნაწილში, საიდანაც პლეხანოვს ციტატი მოჰყავს, და პლეხანოვმა ისიც კი არ სცადა, რომ არსებითად შეხებოდა ამ აზრს.

ახლა კითხვა ისმის: მაშ რა მნიშვნელობა აქვს რეაქციის წინააღმდეგ გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი (პლეხანოვის პირობაა) ბრძოლისათვის ისეთ ლოზუნგს, რომელიც ა რ ა ს წ ო რ ა დ გამოხატავს რევოლუციის მოთხოვნებს (რევოლუციისა, რომლის ძ ა ლ ე ბ მ ა უ კ ვ ე გადააჭარბეს — პლეხანოვის პირობაა! — მთავრობის ძალებს)? ცხადია, რომ უ დ ა ვ ო დ ს ა ზ ი ა ნ ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. ეს ლოზუნგი ნიშნავს გადამწყვეტ ბრძოლაში მიმავალი მასების შეგნების დ ა ბ ნ ე-

ლ ე ბ ა ს. ამ ლოზუნგის წამოყენება იგივეა, რომ გ ა დ ა მ-
წ ყ ვ ე ტ ი ბრძოლისაკენ მოუწოდებდე და იმავე დროს ბრძო-
ლის ისეთ ო ბ ი ე ქ ტ ს მიუთითებდე, რომელიც ა რ ა-
ფ ე რ ს ა რ ა წ ყ ვ ე ტ ს, მოუწოდებდე: ძროხას ესრო-
ლე, მაგრამ ყვავს დაუმიზნეო.

ბრძოლის წ ი ნ სრული სიზუსტით ა რ ა ს ო დ ე ს არ
შეიძლება იმის განსაზღვრა, თუ ვისმა ძალებმა «გადააჭარბეს
უკვე» მტრის ძალებს. ამაზე ოცნება მხოლოდ პედანტებს
შეუძლიათ. «მტრის ძალებზე გ ა დ ა ჭ ა რ ბ ე ბ უ ლ ძალ-
თა» ცნებაში შედის მებრძოლთა მიერ თავისი ამოცანების
ნ ა თ ლ ა დ შ ე გ ნ ე ბ ა. როცა «გადამწყვეტ» ბრძოლას
გულისხმობს და იმავე დროს ამ შეგნებას ა ბ ნ ე ლ ე ბ ს,
ამით პლეხანოვი პ ი რ დ ა პ ი რ ზ ი ა ნ ს ა ყ ე ნ ე ბ ს რე-
ვოლუციას. აი ეს კი, მართლაც, «ღალატზე უარესია», პატივ-
ცემულო კრიტიკოსო! რეაქციაზე გამარჯვებისათვის «ძალები»
საკმარისია, «ბელადი» კი ჯარს რეაქციასთან მ ო რ ი გ ე ბ ი-
ს ა თ ვ ი ს საბრძოლველად მოუწოდებს... პლეხანოვმა თავი-
სი თავი ოხუნჯობით შეადარა რომაელ მხედართმთავარს, რო-
მელმაც ნაადრევი ბრძოლის გამართვისათვის თავისი ვაჟიშვილი
სიკვდილით დასაჯა. მოსწრებული ოხუნჯობაა. მაგრამ მე რომ
«ვაჟიშვილი» ვყოფილიყავი გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი ბრძოლის
მომენტში, როცა «რევოლუციის ძალებმა უ კ ვ ე გ ა დ ა ა-
ჭ ა რ ბ ე ს მთავრობის ძალებს», ერთ წამსაც არ შევყოყმან-
დებოდი და დ ა ვ ხ ვ რ ე ტ დ ი (ან, რომაული წესისა-
მებრ, ხმლით ავკუწავდი) «მ ა მ ი ლ ო ს», რომელიც რეაქ-
ციასთან გარიგების ლოზუნგს აყენებს, და დამშვიდებული მი-
ვანდობდი მომავალ მომსენებს იმის გარკვევას, იყო ჩემი
საქციელი მოღალატის მკვლელობა, მისი სიკვდილით დასჯა
თუ უფროსისადმი მორჩილების წინააღმდეგ ჩადენილი დანა-
შაული.

(3) როდესაც პირველი სათათბიროს ხანაში «პასუხისმგე-
ბელი სამინისტროს» ლოზუნგის წინააღმდეგ ვდავობდით,
ჩვენ ორ მოყვანილ საბუთს ვჯერდებოდით. ახლა უნდა დავუ-

მატოთ მესამე საბუთი: პასუხისმგებელი სამინისტროს მოთხოვნის გადაქცევა რომ შეიძლებოდეს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რეაქციის წინააღმდეგ «რევოლუციის» გადამწყვეტი ბრძოლის სიგნალად, მაშინ ლიბერალები თვითონ მოხსნიდნენ ამ მოთხოვნას.

რატომ უნდა დავუმატოთ ახლა ეს საბუთი? იმიტომ, რომ პირველი სათათბიროს შემდეგ ლიბერალები (მათ შორის კადეტებიც) ძალიან მარჯვნივ წავიდნენ და გადაჭრით გაილაშქრეს რევოლუციის წინააღმდეგ. იმიტომ, რომ გოლოვინმა, რომელსაც ცუდმა სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირეს ლიბერალიზმის გამო, პირველივე სიტყვა წარმოთქვა არა ლიბერალური, არა კადეტური, არამედ ოქტიაბრისტული.

პლეხანოვი თუ რუსეთის საქმეებს იმდენად ჩამორჩა, რომ ეს არ იცის, მაშინ მისი სტატია, რა თქმა უნდა, ლმობიერების ღირსია. მაგრამ მისი საბუთები, არსებითად, მისი ცალკეული შეცდომებისაგან დამოუკიდებლად, კვლავ ძირფესვიანად მცდარი რჩება.

გადავდივართ მეორე შემთხვევაზე. რევოლუციის ძალებმა ჯერ კიდევ ვერ გადააჭარბეს რეაქციის ძალებს, გადამწყვეტი ბრძოლა ჯერ კიდევ ნაადრევია. მაშინ ლოზუნგის მნიშვნელობა მდგომარეობს მის გავლენაში ხალხის პოლიტიკური შეგნების განვითარებაზეო, ამბობს პლეხანოვი. ეს მართალია. მაგრამ მაშინ — და აქ პლეხანოვი ათასჯერ მტყუანია — ამგვარი ლოზუნგი ხალხის შეგნებას კი არ ავითარებს, არამედ რყვნის; ხალხის გარეევოლუციურებას კი არ ახდენს, არამედ მის გონებას აბნელებს; ხალხს კი არ აღზრდის, არამედ მის დემორალიზაციას იწვევს. ეს იმდენად ნათელია, რომ შეგვიძლია ამ აზრის განვითარებაზე არ შევჩერდეთ, — ყოველ შემთხვევაში, დიდად პატივცემულ პლეხანოვთან შემდგომ საუბრამდე.

და გამოდის: საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი. საკმაოდ გაიზარდნენ თუ საკმაოდ არ გაიზარდნენ რევოლუციის ძა-

ლები, პლეხანოვის ლოზუნგი ყოველ შემთხვევაში მაინც არ შეიძლება სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის შეგნების სიმაღლემდე «გაზრდილად» ჩაითვალოს. ეს ლოზუნგი მსხვერპლად სწირავს დემოკრატიისა და მთელი ჩვენი რევოლუციის ძირითად ინტერესებს — რეალური ძალაუფლებისათვის ხალხის რეალური ბრძოლის ამოცანების შეგნებას მასების მიერ, — მსხვერპლად სწირავს დროებითი, შემთხვევითი, უმნიშვნელო, ბუნდოვანი, ლიბერალური ლოზუნგების, ამოცანებისა და ინტერესების სასარგებლოდ.

ხოლო ტაქტიკაში ოპორტუნიზმის დედაარსიც სწორედ ის არის, რომ ამნაირად ამსხვერპლოს პროლეტარიატის ძირითადი ამოცანები ლიბერალიზმის ორჭოფსა და ბუნდოვან ამოცანებს.

დასასრულ, კიდევ რამდენიმე სიტყვა. პლეხანოვი ცდილობს თავის სტატიაში გვიჩხვლიტოს ბოიკოტის გამო. ამის თაობაზე მას გულდასმით მოველაპარაკებით მაშინ, როცა იგი ჩხვლეტის ნაცვლად არსებითად ბრძოლაზე გადასვლას მოისურვებს. ჯერჯერობით კი ერთ რასმე შევნიშნავთ. რომაელი მხედართმთავრის ვაჟიშვილმა თავის ნაადრევ ბრძოლაში მაინც გაიმარჯვა, — ოხუნჯობს პლეხანოვი, — ბოლშევიკების ანგარიშზე კი ჯერჯერობით მარტოოდენ დამარცხებანი ითვლებაო.

ცუდი მეხსიერება გქონიათ, ამხ. პლეხანოვო. აბა ერთი გაიხსენეთ ბულიგინის სათათბირო. გაიხსენეთ, რომ მაშინ პარვუსი და ახალი «ისკრა», რომელსაც თქვენ მხარს უჭერდით, ბოიკოტის წინააღმდეგი იყვნენ. ბოლშევიკები კი ბოიკოტს ემხრობოდნენ.

რევოლუციის განვითარებამ სრული გამარჯვება არგუნა ბოლშევიზმს, რომლისგანაც ოქტომბერ-ნოემბრის დღეებში მენშევიკები მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ გატაცებული იყვნენ იმითვე, რითაც ტროცკი.

ასე იყო — ასე იქნება, დიდად პატივცემულო ამხ. პლეხანოვ. როცა რევოლუცია ცხრება, მაშინ ავანსცენაზე გამოდიან და წუწუნს იწყებენ პედანტები, რომლებიც უკანა რიცხვით კისრულობენ «რომაელ მხედართმთავართა» როლს. როცა რევოლუცია აღმავლობას განიცდის, — ისე გამოდის, როგორც ეს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს სურთ, სულერთია, რამდენიც უნდა ადარონ ისინი «მოუთმენელ ყმაწვილებს».

დაწერილია 1907 წ.
23 თებერვალს (8 მარტს)

დაიბეჭდა 1907 წ. 24 თებერვალს
გაზეთ «ნოვი ლუჩში», № 5
ხელმოწერა: ნ. ლენინ

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

# ბოლშევიკები და წვრილი ბურჟუაზია

ასეთი სახელწოდებით მოათავსა გაზეთმა «ნოვიე სილი» [64] სტატია, რომელიც კარგ საბაბს იძლევა ზოგიერთი განმარტებისათვის.

გაზეთი უკმაყოფილოა ჩვენს მიერ ბურჟუაზიის «გაცვეთილი» დაყოფის გამო: წვრილ, რევოლუციურ, და ლიბერალურ ბურჟუაზიად. კადეტებს, უეჭველია, ხმა მისცა ბევრმა წვრილმა ბურჟუამაო, ამბობს ტრუდოვიკების ორგანო, რომელიც ჩვეულებრივ მენშევიკურ საბუთს იმეორებს.

დიახ, კადეტებს ხმა მისცა მრავალმა წვრილმა ბურჟუამ. ეს მართალია. მაგრამ არ შეიძლება პარტიის კლასობრივ ხასიათზე ვიმსჯელოთ მხოლოდ იმის მიხედვით, რომ მას ა მ ა დ ა ა მ დ რ ო ს სხვათა შორის ხმა მისცეს ამა და ამ ელემენტებმა. უეჭველია, გერმანელ სოციალ-დემოკრატებს ხმას აძლევს მრავალი წვრილი ბურჟუა, გერმანულ «ცენტრს» კიდევ — მრავალი მუშა. მაგრამ «ნოვიე სილის», ალბათ, ესმის, რომ აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, თითქოს სწორი არ იყოს მშრომელი კლასების «გაცვეთილი» დაყოფა წვრილ ბურჟუაზიად და პროლეტარიატად.

საერთოდ კადეტური პარტიის მთელმა ისტორიამ და განსაკუთრებით უკანასკნელმა არჩევნებმა ნათლად დაგვანახვა, რომ ამ პარტიის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ საფუძველს შეადგენს მემამულე, რომელიც კაპიტალისტურ მეურნეობას ეწევა, საშუა-

ლო ბურჟუა და ბურჟუაზიული ინტელიგენტი. ხალხის მასა, ე. ი. ქალაქის მეშჩანობისა და შემდეგ გლეხობის ფართო ფენები უცხოა ამ პარტიისათვის, რომელსაც ეშინია მასების ყოველგვარი თვითმოქმედებისა, ებრძვის ამ თვითმოქმედებას, იცავს გამოყიდვას, ებრძვის ადგილობრივ აგრარულ კომიტეტებს «4-ფორმულიანი საარჩევნო უფლების» საფუძველზე და სხვა. მხოლოდ ამიტომ ჩამოშორდა კიდეც ასეთი საოცარი სისწრაფით წვრილი ბურჟუაზია კადეტებს უკანასკნელი არჩევნების დროს. გლეხობამ, როგორც ცნობილია, საკვლებით ჩააფლავა კადეტები და ყველაზე მეტად შეუწყო ხელი მათს დამარცხებას საგუბერნიო საარჩევნო კრებებზე. ქალაქის მეშჩანობამ, როგორც უკვე აღვნიშნავდით «ნოვი ლუჩის» 1-ლ ნომერში *, ქალაქებში ერთბაშად 41 ათასი ხმა მისცა მემარცხენე ბლოკს წინააღმდეგ კადეტთა 74 ათასი ხმისა, მიუხედავად იმისა, რომ მემარცხენეებს არ ჰქონდათ ყოველდღიური პრესა და სხვ.

კადეტები — ლიბერალური ბურჟუების პარტიაა. ამ კლასის ეკონომიური მდგომარეობა მას აიძულებს ეშინოდეს გლეხთა გამარჯვებისა და მუშათა დარაზმულობისა. აქედან გამომდინარეობს კადეტების გარდუვალი, და სრულიადაც არა შემთხვევითი, ტენდენცია — მით უფრო სწრაფად შეტრიალდნენ მარჯვნისაკენ, რეაქციასთან გარიგებისაკენ, რაც უფრო სწრაფად ხდება ხალხის მასების გამემარცხენება. შემთხვევობამ კი არა, ეკონომიურმა აუცილებლობამ გამოიწვია ის, რომ სათათბიროს გარეკვის შემდეგ პროლეტარიატი, გლეხობა და ქალაქის წვრილბურჟუაზიული ღარიბობა ძალიან გამემარცხენდა, რევოლუციური გახდა, კადეტები კი ძალიან გამემარჯვენდნენ. ამის გამო შეიძლება სინანული გამოთქვან, ამ პროცესის შეცვლა ან შეჩერება სცადონ მხოლოდ მეშჩანებმა და ფილისტერებმა პოლიტიკაში.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 172. რედ.

ჩვენი, სოციალ-დემოკრატიული ამოცანა სხვანაირია: ჩვენ უნდა დავაჩქაროთ კადეტების ჰეგემონიისაგან მასების განთავისუფლების პროცესი. ამ ჰეგემონიას ზურგს უმაგრებს ტრადიცია, ლიბერალთა ძველი ნაცნობობა და გავლენა, წვრილი ბურჟუების მიმართ მათი სამეურნეო ჰეგემონია, მათი როლი, რასაც ისინი ასრულებენ როგორც ბურჟუაზიული ინტელიგენცია, როგორც ლიბერალური მოხელეობა და სხვა. რაც უფრო ნათლად შეიგნებენ მასები თავიანთ ინტერესებს, მით უფრო მალე გაიგებენ ისინი, რომ ლიბერალები მასობრივი მოძრაობის მტრები არიან, პოლიტიკურად მით უფრო მალე გამოეყოფიან ლიბერალებს და მოაწყობენ თავიანთ ამა თუ იმ დემოკრატიულ, რევოლუციურ ორგანიზაციას, კავშირს, პარტიასა და სხვას. კერძოდ, გლეხობა, რომელიც რუსეთში მთელი წვრილი ბურჟუაზიის რვა თუ ცხრა მეათედს შეადგენს, უწინარეს ყოვლისა მიწისათვის იბრძვის. ლიბერალური მემამულე (ასეთი კი რუსეთში ჯერ კიდევ არის: მიწათმფლობელთა კურიამ უკანასკნელ არჩევნებში მოგვცა 24,4% კადეტები და უფრო მემარცხენე ფრთა) ამ ბრძოლაში გლეხის წინააღმდეგ გამოდის, და ლიბერალური მოხელე, ბურჟუაზიული ინტელიგენტი ძალიან ახლოს დგას ლიბერალურ მემამულესთან. აი ამიტომ გლეხობა ბევრად უფრო გაბედულად და სწრაფად აღწევს თავს კადეტების გავლენას, ვიდრე ქალაქის წვრილი ბურჟუაზია. მიწისათვის ბრძოლაში გლეხობის გამარჯვება რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების ნამდვილი ეკონომიური საფუძველია. ლიბერალები (მათ შორის კადეტებიც) გლეხობის გამარჯვების წინააღმდეგი არიან. ისინი იცავენ გამოყიდვას, ე. ი. გლეხის გადაქცევას ნაწილობრივ გროსბაუერად, ნაწილობრივ პრუსიული ტიპის მემამულის კნეხტად. აი ამიტომ არის, რომ რუსეთში შეუძლებელია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება ისე, თუ გლეხობა არ განთავისუფლდება ლიბერალების პოლიტიკური ჰეგემონიისაგან. გლეხობის გამარჯვება სპობს მემამულურ მიწათ-

მფლობელობას და სრულ ასპარეზს უქმნის საწარმოო ძალთა განვითარებას წმინდა კაპიტალისტურ საფუძველზე. ლიბერალთა გამარჯვება ინარჩუნებს მემამულურ მიწათმფლობელობას, მხოლოდ ოდნავ სწმენდს მას ბატონყმური ნიშნებისაგან და იწვევს კაპიტალიზმის ყველაზე ნაკლებად სწრაფ, ყველაზე ნაკლებად თავისუფალ განვითარებას, ასე ვთქვათ, პრუსიული და არა ამერიკული ტიპის განვითარებას.

რუსეთის რევოლუციის ეს ეკონომიური, კლასობრივი საფუძველი არ ესმის «ნოვიე სილის», რომელიც ამბობს: სოციალურ-ეკონომიური მოთხოვნებით წვრილი ბურჟუაზია უფრო ახლოს დგას ლიბერალებთან, პოლიტიკური მოთხოვნებით — პროლეტარებთან, «რევოლუციის სიმძიმის ცენტრი» კი «პოლიტიკისაკენ» გადადისო. «ნოვიე სილის» მთელი ეს მსჯელობა სრული დომხალია. წვრილი ბურჟუა, მათ შორის გლეხიც, რა თქმა უნდა, ლიბერალთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე პროლეტართან, უფრო ახლოს დგას როგორც მეპატრონე, როგორც წვრილი მწარმოებელი. ამიტომ პოლიტიკურად წარმოუდგენელი და სოციალიზმის თვალსაზრისით პირდაპირ რეაქციული იქნებოდა წვრილი ბურჟუებისა და პროლეტარების ერთ პარტიად შეერთება (რაც სურთ ესერებს). მაგრამ რუსეთის ახლანდელ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში ამჟამად ბრძოლა არის სრულიადაც არა მეპატრონეთა და მუშათა ანტაგონიზმის გამო (ასეთი ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის დროს იქნება), არამედ გლეხისა და მემამულის ანტაგონიზმის გამო: ამ, ეკონომიური და სრულიადაც არა «პოლიტიკური», ბრძოლისაკენ იხრება «რევოლუციის სიმძიმის ცენტრი».

მაგრამ თუ ჩვენი რევოლუცია თავისი ეკონომიური შინაარსით ბურჟუაზიულია (ეს უეჭველია), აქედან იმ დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება, რომ ჩვენს რევოლუციაში ხელმძღვანელი როლი თითქოს ბურჟუაზიას ეკუთვნოდეს, მისი მამოძრა-

ვებელი ძალა თითქოს ბურჟუაზია იყოს. ასეთი დასკვნა, რაც პლეხანოვისა და მენშევიკების ჩვეულებრივი დასკვნაა, მარქსიზმის გაუხამსება, მარქსიზმის კარიკატურა არის. ბურჟუაზიულ რევოლუციაში შეიძლება ხელმძღვანელი იყოს ლიბერალური მემამულეც მეფაბრიკესთან, ვაჭართან, ვექილთან და სხვებთან ერთად, — და პროლეტარიატიც გლეხთა მასასთან ერთად. გადატრიალების ბურჟუაზიული ხასიათი ორივე შემთხვევაში რჩება, მაგრამ მისი ფარგლები, პროლეტარიატისათვის მისი ხელსაყრელობის პირობები, სოციალიზმისათვის (ესეიგი უწინარეს ყოვლისა საწარმოო ძალთა განვითარების სისწრაფისათვის) მისი ხელსაყრელობის პირობები სრულიად სხვადასხვანაირია პირველ და მეორე შემთხვევაში.

აქედან ბოლშევიკებს გამოჰყავთ სოციალისტური პროლეტარიატის ძირითადი ტაქტიკა ბურჟუაზიულ რევოლუციაში: თან გაიყოლიოს დემოკრატიული, განსაკუთრებით გლეხური, წვრილი ბურჟუაზია, ჩამოაშოროს ის ლიბერალებს, გააქარწყლოს ლიბერალური ბურჟუაზიის მერყეობა, განავითაროს მასების ბრძოლა ბატონყმობის ყველა ნაშთის, მათ შორის მემამულური მიწათმფლობელობის, სავსებით მოსპობისათვის.

სათათბიროს პრეზიდიუმის საკითხი სოციალ-დემოკრატიის საერთო ტაქტიკის კერძო საკითხი იყო ბურჟუაზიულ რევოლუციაში. სოციალ-დემოკრატებს ხელიდან უნდა გამოეგლიჯათ ტრუდოვიკები კადეტებისთვის, რისთვისაც ან ტრუდოვიკის სასარგებლოდ უნდა მიეცათ ხმა, ანდა დემონსტრაციულად შეეკავებინათ თავი და აეხსნათ ამ თავშეკავების მიზეზი. «ნოვიე სილიმ» ახლა აღიარა, რომ კადეტებთან თათბირზე წასვლა მემარცხენეთა შეცდომა იყო. ეს საგულისხმო აღსარებაა. მაგრამ «ნოვიე სილი» სასტიკად სცდება, როდესაც ფიქრობს, რომ «ეს იყო პრაქტიკული ვარაუდის შეცდომა და არა პრინციპული შეცდომა». ასეთი აზრი, როგორც ჩვენ ცხადვყავით, ბურჟუაზიულ რევოლუციაში სო-

ციალისტური პროლეტარიატის ტაქტიკის საფუძვლების, პრინციპების გაუგებლობას ემყარება.

მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება სწორი პასუხის გამონახვა იმ კერძო საკითხებზე, რომლებიც «ნოვიე სილის» თავის ტკივილს იწვევენ.

როგორ «უზრუნველვყოთ ის, რომ «ნოვი ლუჩის» მიერ მოკავშირეებად აღიარებულმა წვრილმა ბურჟუებმაც მემარცხენეებს ზურგი არ შეაქციონ და კადეტურ ბანაკში არ გადაბარგდნენო»? სწორედ იმიტომ, რომ ამის უზრუნველყოფა არ შეიძლება, ჩვენ ტრუდოვიკებთან ყოველგვარი მუდმივი შეთანხმების წინააღმდეგი ვართ. ჩვენი ხაზი ასეთია: «ცალ-ცალკე ვიაროთ და ერთად ვურტყათ» შავებსაც და კადეტებსაც. სწორედ ასე მოვიქეცით ჩვენ სანკტ-პეტერბურგის არჩევნების დროს და ასე მოვიქცევით ყოველთვის.

კადეტებს შეიძლება ჩამოვაშოროთ წვრილი ბურჟუების ნაწილიო, — გვიპასუხებს «ნოვიე სილი». — შეიძლება, როგორც ჩამოვაშორეთ კიდევაც კადეტური «ტოვარიშჩის» ნაწილი სანკტ-პეტერბურგის არჩევნების დროს. ამის მისაღწევად საჭიროა მტკიცედ ვიაროთ ჩვენი, რევოლუციური გზით და ყურადღება არ მივაქციოთ იმას, თუ რას იტყვის კადეტების მარიამ ალექსის ასული.

საკანონმდებლო მუშაობა «უსათუოდ კადეტებს უნდა გადაეცესო». სრულებითაც არა. კადეტებს, როგორც სათათბიროს ლიბერალური «ცენტრის» ბელადებს, შავების მიმართ უპირატესობა აქვთ ჩვენი მხარის დაუჭერლად. ამიტომ ჩვენ უნდა წამოვაყენოთ ჩვენი, არა ლიბერალური და არა წვრილბურჟუაზიული, არამედ სოციალ-დემოკრატიული კანონპროექტები, არა კანცელარიული, არამედ რევოლუციური ენით დაწერილნი, და კენჭის საყრელად გამოვიტანოთ ისინი. დაე, ისინი ჩაფუშონ შავებმაც და კადეტებმაც. მაშინ ჩვენ გადავდივართ კადეტური პროექტის

ულმობელ კრიტიკაზე და შესწორებათა სისტემატურ შეტანაზე. შესწორებები რომ მოთავდება, — მთელი კადეტური პროექტის კენჭისყრის დროს ჩვენ თავს ვიკავებთ, კადეტებს საშუალებას ვაძლევთ ურტყან შავებს და არ ვკისრულობთ ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას კადეტური ცრუდემოკრატიზმის უბადრუკობისა და უხამსობისათვის.

«ნოვი ლუჩ» № 6,
1907 წ. 25 თებერვალი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება გაზეთ «ნოვი ლუჩის»
ტექსტის მიხედვით

# სათათბიროს მოახლოებული გარეკვა და ტაქტიკის საკითხები

პეტერბურგი, 1907 წ. 27 თებერვალი.

გაზეთები სავსეა ცნობებით, მითქმა-მოთქმით, ვარაუდებით სათათბიროს მოახლოებული გარეკვის შესახებ.

მოსალოდნელია თუ არა ეს? საქმის ობიექტურ მდგომარეობას თუ გადავხედავთ, უნდა დავასკვნათ, რომ სავსებით მოსალოდნელია. მთავრობისათვის სათათბიროს მოწვევა იძულებითი აუცილებლობა იყო. საჭირო იყო ერთხელ კიდევ ესინჯათ, უდიდესი შესაძლო რეპრესიების პირობებში, სახალხო წარმომადგენლობის მოწვევა ბურჟუაზიასთან შეთანხმების გულისათვის. ეს ცდა აშკარად ჩაიფუშა. სამხედრო-საველე სასამართლოებმა და სტოლიპინის კონსტიტუციის ყველა დანარჩენმა სამკაულმა ძალიან დიდი დახმარება გაუწია რევოლუციურ აგიტაციას დღემდე ხელუხლებელ მასებში და გლეხთა მასების სიღრმიდან წარმოშვა მემარცხენე სათათბირო. კადეტები, რუსეთის რევოლუციის ცენტრის პარტია, პირველ სათათბიროსთან შედარებით დასუსტებული არიან. კადეტები, უეჭველია, უფრო გამემარჯვენდნენ, მაგრამ ასეთი სათათბიროს ღროს ასეთ მომენტში მთავრობას სრულებით არ ძალუძს მათთან გარიგებანი დასდოს. ოქტიაბრისტებს კადეტები შეიძლებოდა შეერთებოდნენ, და ისინი განუხრელად მიდიან აქეთკენ: საკმარისია დავასახელოთ ბ-ნი სტრუვე და ბ-ნი გოლოვინი. მაგრამ ახლანდელი მდგომარეობის თავისებურებაც სწორედ ისაა, რომ სათათბიროში კადეტურ-ოქტიაბრისტული

უმრავლესობა არ არის. მთელი «ცენტრი» საბოლოოდ გატეხილია უკიდურესი ჯგუფების: მარჯვენა ფრთაზე მდგომი მონარქისტებისა და სათათბიროს მემარცხენე ნაწილის გამწვავებული ბრძოლით. მემარცხენე ნაწილი ორ მეხუთედს აღწევს. მისი როლი სათათბიროში უდიდესია. მისი გავლენა ხალხის მასებში ძალიან დიდია. ამ მასებთან მის მზარდ კავშირს ვერავითარი სანახევრო ზომები ვერ გასწყვეტს. სათათბიროს გარეკვას მთავრობას უკარნახებს აუცილებლობა: ძალადობას თუ არ მიმართავ, ისე მას არ ძალუძს შექმნილ მდგომარეობას თავი დააღწიოს. ამ შექმნილი მდგომარეობის «კანონიერება» მხოლოდ ამძიმებს კრიზისს, რადგან მისი ნამდვილი ძალა ხალხის მასებში არ შეიძლება იმაზე მეტი არ იყოს, ვიდრე მისი «კანონიერი» გამოხატულება, ე. ი. ათობით და ასობით პოლიციურ ძალთა მეშვეობით გაცხრილული გამოხატულება.

სათათბიროს გარეკვა სავსებით მოსალოდნელია: ის გარდუვალია სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ, არსებითად, განვიცდით სრულიადაც არა კონსტიტუციურ, არამედ რევოლუციურ კრიზისს. და სწორედ ამიტომ ყველაზე მავნე, სასაცილო და უბადრუკი პოლიტიკა იქნებოდა საკუთარი ფრთის ქვეშ თავის შეფარება, ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობის გარდუვალი შედეგებისათვის თავის არიდების ცდა, იმის ცდა, რომ სიტყვებით, ფრაზებით მიჩქმალო ის, რაც ნათელია, შეასუსტო ის, რაც მკვეთრია, დააბნელო ის, რაც აშკარაა.

ამგვარ პოლიტიკას ატარებენ კადეტები. დღეს ბ-ნი იზგოევი «რეჩში» წერს: «სათათბიროს შენარჩუნება ჩვენ თ ი თ ქ მ ი ს აღარ ძალგვიძსო». თითქმის მართალია. «3 — 4 თვის შემდეგ, როცა თავისი საკანონმდებლო მუშაობით სათათბირო ჩვენს ქვეყანაში ავტორიტეტს მოიპოვებდა, მდგომარეობა შეიძლებოდა სხვანაირი შექმნილიყო». ეს არათუ მართალია, არამედ აშკარაა. ხოლო იმას, რაც აშკარაა, მთავრობაც ხედავს.

მაგრამ ბ-ნ იზგოევს შეუფერადებელი სიმართლისა ეშინია და აქეთ-იქით აწყდება: «მაგრამ იქნება თუ არა მის განკარგულებაში ეს 3 — 4 თვე? მოჯადოებული წრეა, საიდანაც გამოსავალი არ არის. გამოსავალია არა «შეკავშირებული» თუ «შეუკავშირებელი» ქუჩა, გამოსავალი იქნებოდა იმ შემთხვევაში, ხელისუფლების სათავეში რომ ჭეშმარიტი პატრიოტიზმით გამსჭვალული ადამიანები მდგარიყვნენო»...

დიახ, რა თქმა უნდა! თვითონვე მოიჯადოვეს თავი ქარაფშუტული ლაყბობით, თვითონვე მოიქციეს თავი მოთაფლული ფრაზების ჩიხში და ახლა მოსთქვამენ, წუწუნებენ, დარდობენ... ჭეშმარიტად, თავგზააბნეული, მტირალა და იმპოტენტური ფილისტერის ნიმუშია!

მკითხველს არ ეგონოს, თითქოს იზგოევის ასეთი სიტყვები შემთხვევითი კადეტური მწერლის შემთხვევითი გამოსვლა იყოს. არა. ეს არის იმ პოლიტიკის რეზიუმე, რაც ოფიციალურად დ ა ს ა ხ ა კადეტების პარტიამ, მ თ ა ვ ა რ მ ა პარტიამ, რომელმაც თავმჯდომარედ თავისი კაცი გაიყვანა. იმავე «რეჩში» ვკითხულობთ: «სახალხო თავისუფლების საპარლამენტო ფრაქციის საღამოს სხდომაზე, 25 თებერვალს, ხანგრძლივი კამათის შემდეგ მთავრობის დეკლარაციისადმი დამოკიდებულების საკითხზე დაადგინეს: უხმოდ შეხვდნენ მას, არ გამოუცხადონ არც ნდობა, არც უნდობლობა და გადავიდნენ ძიმდინარე საკითხების განხილვაზე. ხოლო თუ მემარჯვენე პარტიები პროვოკაციული მიზნით შემოიტანენ სამინისტროსადმი ნდობის გამომხატველ ფორმულას, დაადგინეს ხმა მისცენ მის წინააღმდეგ. იმ შემთხვევაში კი, თუ უკიდურესი მემარცხენეები (ს.-დ.) უნდობლობის გამოხატვის წინადადებას წამოაყენებენ, სახალხო თავისუფლების პარტიამ გადაწყვიტა თავისი ფორმულა შეიტანოს მორიგ საქმეებზე გადასვლის შესახებ. თუმცაღა, იმედოვნებენ, რომ ამ საკითხში მიღწეულ იქნება მთელი ოპოზიციის წინასწარი შეთანხმება, რისკენაც უკვე იხრებიან ესერები, სახალხო სოციალისტები და ტრუდოვიკებიო». დავძენთ, რომ სათათბიროს ჩვენმა სოციალ-დემოკ-

რატიულმა ფრაქციამ, «რუსსკაია ჟიზნის» სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაწყვიტა «სრულიად დამოუკიდებლად გამოვიდეს»; — ამ გადაწყვეტილებას ჩვენ მხურვალედ მივესალმებით.

მაგრამ კადეტების პოლიტიკა მართლაც რომ რაღაც სწორუპოვარია. «უნდობლობას ვუცხადებთო» — ამის თქმა გაუფრთხილებლობაა. სათათბიროს უნდა გავუფრთხილდეთ. «ნდობას არ ვუცხადებთო» — ამის თქმა შეიძლება. — ჰოდა, განა ესენი პოლიტიკური «ფუტლარის ადამიანები» არ არიან? განა ესენი ფილისტერები არ არიან, რომლებიც გარდუვალი მოახლოებული ქარიშხლის მოლოდინში თვალზე თავიანთ საღამურ ჩაჩს იფარებენ და გაიძახიან: ჩვენ ფრთხილად ვიქცევით... ჩვენ ვუფრთხილდებითო... თქვენ უფრთხილდებით თქვენს ფილისტერულ ჩაჩს და მეტს არაფერს, «სახალხო თავისუფლების» პატივცემულო რაინდებო!

და რა შეიძლება იმაზე უფრო სასაცილო იყოს, ვიდრე სამინისტროსათვის ნდობის გამოცხადების მემარჯვენეთა ფორმულის «პროვოკაციად» გამოცხადება? სათათბიროს თვითეული წევრის სავსებით კანონიერი უფლებაა, სახალხო წარმომადგენლის სავსებით ბუნებრივი პასუხია სამინისტროს შეკითხვაზე: ჩემი პროგრამა ასეთია, სურს თუ არა სათათბიროს ამ სულისკვეთებით იმუშაოს ჩემთან ერთადაო? მხოლოდ კადეტების სრული დაბნეულობით შეიძლება აიხსნას, რომ მათ ეს უაზრობა დაწერეს. არა, ბატონებო, საღამური ჩაჩი კონტრრევოლუციისაგან დაცვა არ არის. სათათბიროს დათხოვნის უფლება არქი-«კანონიერი» უფლებაა იმ კონსტიტუციის ნიადაგზე, რომელსაც უბადრუკი ლიბერალები ასე ბრიყვულად აქებ-ადიდებდნენ და ხალხს ასე გამცემლურად აჯერებდნენ, რომ ის სერიოზულ რამედ მიეჩნია. არ შეიძლება თავის დაძვრენა იმისაგან, რომ სამინისტრო შეეკითხება სათათბიროს: სურს თუ არა მას ამა და ამ პროგრამის შესრულება. ხოლო პასუხი: «ნდობას არ ვუცხადებო», მაინც ჩინებული და სავსებით საკმაო «კონსტიტუციური» საბაბი იქნება სათათბიროს

დასათხოვად: კოვალევსკების დაუხმარებლადაც კი შეიძლება ათობით გამოინახოს «კონსტიტუციური პრეცედენტები» პარლამენტის დათხოვნისა იმ საბაბით, რომ მას უარი უთქვამს ხოლმე მთავრობისთვის გაცილებით უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან რამეზე, ვიდრე... ვიდრე... ვიდრე სამხედრო-საველე სასამართლოები და დამსჯელი ექსპედიციებია.

რა დასკვნა გამოდის აქედან? ის დასკვნა, რომ სისულელეა კონსტიტუციობანას თამაში, როდესაც კონსტიტუცია არ არის. სისულელეა თვალის დახუჭვა და იმის დაფარვა, რომ რუსეთის ახლანდელი «თითქმის კონსტიტუციის» დღეებიც კი დათვლილია, რომ საარჩევნო კანონის გაუქმება და სრული თვითმპყრობელობისაკენ დაბრუნება გ ა რ დ უ ვ ა ლ ი ა.

მაშ რა ვქნათ? **Aussprechen was ist** — ვთქვათ ის, რაც არის. მთავრობა უსათუოდ იძულებულია სათათბირო დაითხოვოს. მისთვის ხელსაყრელია, რომ სათათბირო უხმოდ დაიშალოს, მორჩილად გაითამაშოს კონსტიტუციური კომედია, ხალხს თვალი არ აუხილოს და არ დაანახოს სახელმწიფო გადატრიალების გ ა რ დ უ ვ ა ლ ო ბ ა. და მხდალი კადეტები მხოლოდ ეხმარებიან მთავრობას უ ხ მ ო სახელმწიფო გადატრიალებაში თავიანთი სწორუპოვარი, უბადლო «ისტორიული» ფორმულით: «უ ხ მ ო დ შევხვდეთო», იმით, რომ ნაცვლად სიტყვებისა: «უნდობლობას ვუცხადებთო» — თქვან: «ნდობას არ ვუცხადებთო».

თავისუფლების ნამდვილი მომხრენი, ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები სხვანაირად უნდა მოიქცნენ. მათ უნდა შეიგნონ, რომ სათათბიროს შემდგომი არსებობა სულაც არ არის დამოკიდებული თავაზიანობასა, სიფრთხილესა, დაზოგვასა, დიპლომატიურობასა, ტაქტიანობასა, სიჩუმესა და მოლჩალინის სხვა სათნოებებზე. მათ ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს ტ რ ი ბ უ ნ ი დ ა ნ, ყველას გასაგონად, პირდაპირ და აშკარად უნდა უთხრან ხალხს მ თ ე ლ ი ს ი მ ა რ თ ლ ე, უთხრან ისიც კი, თუ რატომ არის გარდუვალი სათათბიროს გარეკვა, სახელმწიფო გადატრიალება და ნამდვილი თვითმპყრობელო-

ბისაკენ დაბრუნება. მთავრობისთვის ს ა ჭ ი რ ო ა ამაზე ხმა არ ამოიღოს. ხალხისთვის ს ა ჭ ი რ ო ა ეს იცოდეს. ხალხის წარმომადგენლებმა — ვიდრე ისინი ჯერ კიდევ ხალხის წარმომადგენლები არიან! — ეს უნდა სთქვან სათათბიროს ტრიბუნიდან.

მდგომარეობა საკვებით ნათელია. სხვა არჩევანი არ არის: ან სამარცხვინო დუმილი, რაც სრულ მორჩილებას ნიშნავს, ანდა მშვიდი, მაგრამ მტკიცე განცხადება ხალხის წინაშე იმისა, რომ ხდება შავრაზმელთა სახელმწიფო გადატრიალების პირველი აქტი.

მხოლოდ ხალხის ბრძოლას შეუძლია ხელი შეუშალოს ამას. და ხალხმა მთელი სიმართლე უნდა იცოდეს.

იმედი ვიქონიოთ, რომ სოციალ-დემოკრატები სათათბიროში ეტყვიან ხალხს ამ სიმართლეს.

«პროლეტარი» № 14,
1907 წ. 4 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

# კადეტები და ტრუდოვიკები [55]

ამხ. დ. კოლცოვი «რუსსკაია ჟიზნის» 49-ე ნომერში იმეორებს ჩვეულებრივ მენშევიკურ მსჯელობას კადეტებისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკის დასაცავად. მაგრამ იგი ამას ისე პირდაპირ და გულუბრყვილოდ აკეთებს, რომ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, მადლობა მოვახსენოთ მას მცდარი თეორიის აბსურდამდე მიყვანისათვის.

«ვისთან უფრო მეტი შეხების საერთო წერტილი აქვს სოციალ-დემოკრატიას, — კითხვას სვამს ის სტატიაში «კადეტები და ბურჟუაზიული დემოკრატია», — ქალაქისა თუ სოფლის დემოკრატიასთან? ვისგან უფრო უნდა მოელოდეს სოციალ-დემოკრატია მხარის დაჭერას თავის ბრძოლაში ყველა კულტურული, რელიგიური, ნაციონალური და სხვა ცრურწმენის წინააღმდეგ? ვინ უფრო მეტად დაუჭერს მხარს საწარმოო ძალთა თავისუფალი განვითარებისაკენ მიმართულ ყველა ზომას? საკმარისია დავსვათ ეს კითხვები, რომლებიც სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკისათვის კარდინალურია, და პასუხი თავისთავად ნათელი იქნება. ყველაფერი, რაც «კომუნისტურ მანიფესტშია» ნათქვამი ბურჟუაზიის რევოლუციური როლის შესახებ, ისევე მართებული რჩება XX საუკუნეში, როგორც მართებული იყო XIX საუკუნეში, ისევე მართებული რუსეთში, როგორც მართებული იყო ინგლისში... და ასე შემდეგ. რაც შეეხება სოფლის დემოკრატიას, მიუხედავად თავისი სწრაფი რევოლუციური წინსვლისა, ის ძალიან ხშირ შემთხვევაში დაიცავს წარმოებისა და საზოგადოებრიობის

ძველ დრომოჭმულ ფორმებს... როცა ბოლშევიკები კადეტებზე ლაპარაკობენ, მათ ავიწყდებათ კადეტების უკან მდგომი ქალაქის დემოკრატია, და, პირიქით, — მთელი გლეხობა მათ წარმოუდგენიათ ესერებისა და ტრუდოვიკების საპარლამენტო ჯგუფის სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ ხეებს იქით ვერ დაინახო ტყე, საპარლამენტო წარმომადგენლობის იქით ვერ დაინახო ხალხის ფართო მასების სოციალური ინტერესები».

სულით და გულით მივესალმებით მენშევიკების ამ გადასვლას ჩვენი ტაქტიკური უთანხმოების პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი საფუძვლების გარკვევაზე. დიდი ხანია დროა.

მაშ ასე: კადეტები — ქ ა ლ ა ქ ი ს პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ა, ტრუდოვიკები — ს ო ფ ლ ი ს ჩ ა მ ო რ ჩ ე ნ ი ლ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ა. ეს არის თქვენი «მარქსიზმი».

მაგრამ თუ ასეა, რატომ აშკარად და პირდაპირ არ ამბობთ ამას მთელი პარტიის წინაშე? რატომ მთელი გარკვეულობით არ აცხადებთ პარტიული ყრილობისათვის შედგენილ რეზოლუციის პროექტში, რომ «კომუნისტური მანიფესტის» გულისათვის რსდმ პარტია ვ ა ლ დ ებ უ ლ ი ა მხარი დაუჭიროს კადეტებს ტ რ უ დ ო ვ ი კ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ?

ჩვენ დიდად მოხარული ვიქნებოდით თქვენი ასეთი განცხადებისა. ჩვენ დიდი ხანია აქეთკენ მოგიწოდებდით, ჯერ კიდევ გამაერთიანებელი ყრილობის წინ, როცა ჩვენი რეზოლუციის პროექტში ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ გ ა ნ ვ ს ა ზ ღ ვ რ ე თ როგორც კადეტების, ისე ესერების კლასობრივი შინაარსი და მოგიწოდეთ წამოგეყენებინათ თ ქ ვ ე ნ ი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა.

როგორ უპასუხეთ თქვენ ჩვენს გამოწვევას?

თ ქ ვ ე ნ მ ა ს თ ა ვ ი ა ა რ ი დ ე თ. გამაერთიანებელი ყრილობისათვის შედგენილ თქვენი რეზოლუციის პროექტში არ არის იმ აზრის გამოხატვის ცდა, რომ კადეტები ქალაქის პროგრესული დემოკრატიაა, ტრუდოვიკები კი (გლეხთა კავშირი, ესერები და სხვ.) — სოფლის ჩამორჩენილი დემოკრატიაა. გამაერთიანებელი ყრილობის თ ქ ვ ე ნ ს

რეზოლუციაში ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ არის მხოლოდ თავისი დაბნეულობით კურიოზული განმეორება ამსტერდამის რეზოლუციისა[56].

ახლა ჩვენ გავიმეორეთ გამოწვევა. ჩვენ კვლავ წამოვაყენეთ რუსეთის სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტიის კლასობრივი საფუძვლის მარქსისტული განსაზღვრის საკითხი. ჩვენ დავბეჭდეთ რეზოლუციის სათანადო პროექტი.

და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ კვლავაც არ მიიღებთ გამოწვევას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, თქვენ ვერ გაბედავთ ოფიციალური მენშევიკური რეზოლუციის პროექტში დაწეროთ, რომ კადეტები — ქალაქის პროგრესული ბურჟუაზიაა, რომ ისინი ტრუდოვიკებზე მეტად უწყობენ ხელს საწარმოო ძალთა თავისუფალი განვითარების პოლიტიკას და სხვა და სხვა.

საქმის ვითარება ასეთია.

რუსეთის თანამედროვე ბურჟუაზიულ რევოლუციაში მთავარი ეკონომიური საკითხია მიწისათვის გლეხობის ბრძოლის საკითხი. ამ ბრძოლას აუცილებლად იწვევს გლეხობის საშინელი მდგომარეობა, ბატონყმობის ნაშთების სიმრავლე რუსეთის სოფელში და სხვა. ეს ბრძოლა უბიძგებს გლეხობის მასას პოლიტიკური ურთიერთობის აშკარა დემოკრატიზაციისკენაც (რადგან თუ სახელმწიფო დემოკრატიულად არ მოეწყო, გლეხები მებატონე-მემამულეებს ვერ მოერევიან) და მემამულეთა მიწათმფლობელობის მოსპობისკენაც.

აი რატომ მოითხოვენ სოციალ-დემოკრატები თავიანთ პროგრამაში მემამულეთა მიწების კონფისკაციას. მხოლოდ სოციალ-დემოკრატთა შორის მყოფი უკიდურესი ოპორტუნისტები არ თანაუგრძნობენ ამ პროგრამას, იცავენ სიტყვის «კონფისკაციის» შეცვლას სიტყვით «განსხვისება», მაგრამ ეშინიათ აშკარად გამოვიდნენ ასეთი პროექტით.

კადეტები — ლიბერალური ბურჟუაზიის, ლიბერალური მემამულეების, ბურჟუაზიული ინტელიგენციის პარტიაა. თუ

დ. კოლცოვს კადეტების მემამულური ხასიათი საეჭვოდ მიაჩნია, ჩვენ მას ორ ფაქტს მივუთითებთ: 1) კადეტური ფრაქციის შემადგენლობა I სათათბიროში. ჩაიხედეთ ბოროდინის წიგნში[57], ამხ. კოლცოვ, და დაინახავთ, რამდენი მემამულეა ამ ფრაქციაში; 2) კადეტების აგრარული პროექტი, არსებითად, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი მ ე მ ა მ უ ლ ი ს გეგმაა. მიწის გამოყიდვაც, გლეხის კნეხტად გადაქცევაც, ადგილობრივი საადგილმამულო კომისიების შედგენაც მემამულეთა და გლეხთა თანაბარი მონაწილეობით და მთავრობის წარმომადგენელთა თავმჯდომარეობით, — ყოველივე ეს სავსებით ნათლად გვიჩვენებს, რომ კადეტების პოლიტიკა აგრარულ საკითხში არის პოლიტიკა მემამულური მიწათმფლობელობის შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ი ს ა ბატონყმობის ზოგიერთი ნიშნისაგან მიწათმფლობელობის გ ა წ მ ე ნ დ ი ს გზით, გლეხის გაჩანაგებისა გამოყიდვის საშუალებით და მოხელეების მიერ მისი დამონების გზით. ამას კი კადეტური აგრარული პოლიტიკის ეკონომიური მნიშვნელობა მიჰყავს საწარმოო ძალთა განვითარების შ ე ნ ე ლ ე ბ ა მ დ ე.

პირიქით, მემამულეთა მიწების კონფისკაცია და გლეხთა დემოკრატიის სრული გამარჯვება ნიშნავს კაპიტალიზმის დროს საწარმოო ძალთა განვითარების შესაძლებელი სისწრაფის მ ა ქ ს ი მ უ მ ს.

მე-5 ყრილობისთვის შედგენილ ჩვენი რეზოლუციების პროექტში პ ი რ დ ა პ ი რ არის გამოთქმული კადეტური პოლიტიკის ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი მნიშვნელობის ეს შეფასება. ერთხელ კიდევ: გთხოვთ, ასევე პირდაპირ გამოთქვათ თქვენი «მარქსისტული» თეორია, ამხ. დ. კოლცოვ!

კადეტებისა და ტრუდოვიკების აგრარული პროექტებისა და პოლიტიკური დემოკრატიის საკითხებისადმი მათი დამოკიდებულების შედარება (პირველ სათათბიროში შეტანილი კანონი კრებების შესახებ, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო კომიტეტების წყობის სხვადასხვა ტიპისადმი დამოკიდებულება, კადეტების პარტიისა და შრომის ჯგუფის პროგრამა

I სათათბიროში და სხვა და სხვ.), ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ კადეტები ლიბერალების პარტიაა, რომელიც ცდილობს და იძულებულია ცდილობდეს შეწყვიტოს რევოლუცია ძველი ხელისუფლებისა და თავისუფლების შერიგების გზით (თავისუფლების საზიანოდ), მემამულისა და გლეხის შერიგების გზით (გლეხის საზიანოდ). შრომის პარტიები (სახალხო სოციალისტები, ტრუდოვიკები და ესერები) კი — ეს არის ქალაქისა და განსაკუთრებით სოფლის (ე. ი. გლეხთა) წვრილბურჟუაზიული დემოკრატია, რომელიც იძულებულია რევოლუციის შემდგომ განვითარებას ცდილობდეს.

რევოლუციის გამარჯვება რუსეთში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პროლეტარიატი დემოკრატიულ გლეხობას გაიყოლიებს როგორც ძველი წესწყობილების, ისე ლიბერალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს დებულება, რომელიც მთელი ბოლშევიკური ტაქტიკის საფუძვლებს განსაზღვრავს, შესანიშნავად დაადასტურა პირველი სათათბიროს და სათათბიროს შემდგომდროინდელი პერიოდის მთელმა გამოცდილებამ. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი დავა ამ საფუძვლებზე გადმოგვაქვს, ჩვენ მას კინკლაობიდან ვაქცევთ რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ძირითადი საკითხების გადაჭრად.

ამიტომ მივესალმებით ჩვენ ამხ. კოლცოვის გულახდილობას და პირდაპირობას და ვიმეორებთ ჩვენს გამოწვევას: დაე, მენშევიკებმა სცადონ კადეტებისა და ტრუდოვიკების შესახებ ამ აზრების გაფორმება, ნათლად და აშკარად გამოთქმა.

«რაბოჩაია მოლვა» № 1,
1907 წ. 1 მარტი
ხელმოწერა: ნ. ლ — ნ

იბეჭდება გაზეთ «რაბოჩაია მოლვას»
ტექსტის მიხედვით

# სტოლიპინის დეკლარაციის გამო

## მოწოდების პროექტი[59]

სახელმწიფო სათათბიროს ის დეპუტატები, რომლებიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ეკუთვნიან, უცხადებენ ხალხს და წინადადებას აძლევენ სათათბიროს განუცხადოს ხალხს შემდეგი:

მთავრობამ თავისი პრემიერ-მინისტრის ბ-ნ სტოლიპინის მეშვეობით გამოუცხადა ხალხის წარმომადგენლებს, რომ მას განზრახული აქვს გაატაროს იგივე პოლიტიკა, როგორსაც ატარებდა I სათათბიროს გარეკვის შემდეგ. მთავრობას არა სურს ანგარიში გაუწიოს ხალხის წარმომადგენელთა ნებას. ის მოითხოვს, რომ ხალხის წარმომადგენლები შეურიგდნენ მის პოლიტიკას, ეხმარებოდნენ მას მთავრობის ამ პოლიტიკის განვითარებასა, გაუმჯობესებასა და უფრო ზუსტად და უფრო სრულად გამოყენებაში.

რას ნიშნავს მთავრობის პოლიტიკა?

ის ნიშნავს ერთი მუჭა უდიდეს მემამულეთა, კარისკაცთა და წარჩინებულთა ინტერესების დაცვას, იმ უფლების დაცვას, რომ მათ ექსპლოატაცია გაუწიონ და ჩაგრონ ხალხი. არც მიწა, არც თავისუფლება! — აი, რას უცხადებს მთავრობა ხალხს სტოლიპინის პირით.

გლეხები მთავრობისაგან არ უნდა მოელოდნენ არაფერს, გარდა მემამულეთა დაცვისა და დაუნდობელი მძვინვარე ბრძოლისა გლეხთა იმ მისწრაფების წინააღმდეგ, რომ სინათლე

და თავისუფლება მოიპოვონ, მდგომარეობა გაიუმჯობესონ, მიწები მიიღონ, განთავისუფლდნენ მძიმე კაბალისაგან, კატორღული ცხოვრებისაგან, შიმშილით გამოწვეული თანდათანობით გადაშენებისაგან. გლეხები მთავრობისაგან უნდა მოელოდნენ ისევე იმ ძალადობის განგრძობას, რამაც გლეხობას გამოსტაცა ათასობით და ათი ათასობით საუკეთესო ადამიანი, რომლებიც მოხელეთა თვითნებობისა და მემამულური ჩაგვრის წინააღმდეგ მამაცური ბრძოლისათვის საპატიმროში დაამწყვდიეს, გადასახლებაში გაგზავნეს და მოჰკლეს. სოფლის წურბელებისა და კულაკების სრულიად უმნიშვნელო უმცირესობის მოსყიდვა ცოტაოდენი ნასუფრალით, გაჩანაგებული სოფლის ბოლომდე გაძარცვაში მათთვის ხელის შეწყობა იმ დახმარების ჯილდოდ, რასაც ისინი თვითმპყრობელ მთავრობას უწევენ, — აი როგორი პოლიტიკის გატარება აქვს განზრახული სტოლიპინსა და მის სამინისტროს.

მუშები ამ მთავრობისაგან არ უნდა მოელოდნენ არაფერს, გარდა ძალადობისა და ჩაგვრისა. მუშებს კვლავინდებურად ხელ-ფეხს შეუკრავენ მათს ბრძოლაში თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მუშათა კავშირებს კვლავინდებურად დახურავენ, მუშათა გაზეთებს კვლავინდებურად დევნას არ მოუშლიან. მთავრობა კვლავ დაეხმარება და ხელს შეუწყობს მსხვილ მეფაბრიკეებს მუშათა შესავიწროებლად დასახული ყველა ღონისძიების განხორციელებაში. მუშები მთავრობისაგან უნდა მოელოდნენ არა უმუშევრობით გამოწვეულ მძიმე გაჭირვებაში დახმარებას, არამედ ამ გაჭირვების გაძლიერებასა და გამწვავებას. მუშათა კლასისადმი მთავრობის დახმარება — ეს არის ის კანონები, რომლებსაც მეფაბრიკეთა და პოლიციის მოხელეთა თათბირებზე ადგენენ. რუსეთის მუშებმა უკვე დიდი ხანია შეაფასეს მუშათა კლასისათვის მთავრობის «ზრუნვის» ეს პოლიტიკა.

ჯარისკაცები და მატროსები, რომლებიც სისხლს ღვრიდნენ ერთი მუჭა კარისკაცთა მტაცებლური ინტერესების გულისათვის მთავრობის მიერ იაპონიის წინააღმდეგ გაჩაღებულ

ომში, — სისხლს ღვრიდნენ სამშობლოში თავიანთი ცხოვრების შესამსუბუქებლად, ყაზარმული კატორღისაგან განსათავისუფლებლად ბრძოლაში, იმ მიზნისათვის ბრძოლაში, რომ ჯარისკაცსაც შესძლებოდა თავი ადამიანად ეგრძნო და არა პირუტყვად, — ჯარისკაცები და მატროსები მთავრობისაგან არაფერს არ უნდა მოელოდნენ, გარდა წინანდელი ძალადობისა და ჩაგვრისა, გარდა ისეთივე სასტიკი მოპყრობისა და გამხმარი ლუკმა პურისა, რასაც ისინი იღებენ მათი ძმების — იმ მუშებისა და გლეხების ჩახშობისა და დამორჩილების ჯილდოდ, რომლებიც ცდილობენ მოიპოვონ თავისუფლება, ცდილობენ მოიპოვონ მიწა გლეხობისათვის.

მთავრობის განცხადებამ ცხადყო, რომ მთავრობას უნდა არა მშვიდობა, არამედ ხალხთან ომი. ამ განცხადებაში ბოლომდე არ არის ნათქვამი ერთი რამ, რაც ხალხს ბოლომდე უნდა უთხრან სათათბიროში მის მიერ წარგზავნილმა და ხალხის ინტერესების ერთგულმა დეპუტატებმა: მთავრობა ბოლომდე არ ამბობს, რომ მისი განცხადება აუცილებლად და გარდუვალად ნიშნავს II სათათბიროს გარეკვის გადაწყვეტილებას, მის გარეკვას ისე, რომ სათათბიროს შესაძლებლობაც კი არ მისცენ გამოხატოს ხალხის ნება, გამოთქვას გლეხთა, მუშათა, ჯარისკაცთა საჭიროებანი, ყველა მშრომელთა საჭიროებანი, გამოთქვას ყოველივე ის, რის გამოთქმაც დაავალა თავისი განაწესებით მოსახლეობამ დეპუტატებს, როცა მათ სათათბიროში გზავნიდა.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ყოველთვის ეუბნებოდა ხალხს, რომ სათათბიროს არ ძალუძს თავისუფლება და მიწა მისცეს მას. სათათბიროს ის დეპუტატები, რომლებიც მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესებს იცავენ, მზად არიან მთელი თავიანთი ძალები ამ ინტერესების სამსახურს მოახმარონ, მზად არიან დაეხმარონ ხალხს სათათბიროში სიმართლის თქმით, რუსეთის ყოველ კუთხეში გაფანტული ხალხის ყველა მილიონებისათვის იმის განმარტებით, თუ რა მავნე ანტიხალხურ პოლიტიკას ატარებს მთავრობა, რა დაბრ-

კოლებებს ქმნის ის ხალხის წინააღმდეგ, რა კანონებსა და ღონისძიებებზე ეუბნება უარს ის ხალხს.

მაგრამ სათათბიროს დეპუტატები და მთელი სათათბირო, რომელთაც ძალუძთ დაეხმარონ ხალხს, უხალხოდ არაფერს არ წარმოადგენენ. თუ რუსეთმა მოკლე ხნით მცირეოდენი თავისუფლებანი მაინც მოიპოვა, თუ მან სახალხო წარმომადგენლობა მცირე ხნით მაინც მიიღო, ყოველივე ეს მოპოვებულია მხოლოდ ხალხის ბრძოლით, მხოლოდ მუშათა კლასის, გლეხობის, ჯარისკაცებისა და მატროსების თავგანწირული ბრძოლით თავისუფლებისათვის.

მთავრობამ კიდევ ერთხელ ომი გამოუცხადა ხალხს. ის დაადგა გზას, რომელიც მიდის II სათათბიროს გარეკვისაკენ, ახლანდელი საარჩევნო უფლების გაუქმებისაკენ, რუსეთის ძველი თვითმპყრობელობის ძველი წესების აღდგენისაკენ.

მუშათა კლასის დეპუტატები მთელ ხალხს აუწყებენ ამას.

დაწერილია 1907 წ. თებერვლის დამლევს
პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის კრებულში, XVI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# სათათბიროს არჩევნები და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა[59]

სათათბიროს არჩევნების შედეგები სხვადასხვა კლასსა და მათს ძალას ახასიათებს.

საარჩევნო უფლება რუსეთში *არაპირდაპირი* და *არათანასწორია*. გლეხები უწინარეს ყოვლისა ირჩევენ ათ კომლზე ერთ კაცს; ეს უკანასკნელნი თავიანთი წრიდან ირჩევენ გლეხთა რწმუნებულებს; რწმუნებულნი — გლეხთა ამრჩევლებს და, ბოლოს, ამრჩევლები, სხვა წოდებათა ამრჩევლებთან ერთად — სათათბიროს დეპუტატებს. არჩევნების შესაბამისი წესი არსებობს მიწათმფლობელთა, ქალაქისა და მუშათა კურიებისათვის, თანაც იმ ამრჩეველთა რიცხვი, რომლებიც მოდის ამ კურიებიდან თვითეულზე ცალცალკე, კანონით დაწესებულია უმაღლესი კლასების, მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებისათვის და მათ სასარგებლოდ. ამასთან ერთად არა მარტო რევოლუციური, არამედ ოპოზიციური პარტიებიც პოლიციის ყოვლად ბარბაროსულ, ყოვლად უკანონო რეპრესიებს განიცდიან; შემდეგ — არ არსებობს პრესისა და კრებების არავითარი თავისუფლება, ადგილი აქვს თვითნებურ დაპატიმრებასა და გადასახლებას, რუსეთის უდიდეს ნახევარ ნაწილში მოქმედებენ სამხედრო-საველე სასამართლოები და მათთან დაკავშირებით შემოღებული საგანგებო წესები.

მაგრამ როგორ გახდა შესაძლებელი ასეთ ვითარებაში, რომ ახალი სათათბირო პირველზე ბევრად უფრო ოპოზიციური და რევოლუციური გამოდგა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უწინარეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ მონაცემები ამრჩეველთა განაწილების შესახებ ცალკე პარტიებს შორის მეორე სათათბიროს პარტიულ-პოლიტიკურ შემადგენლობასთან დაკავშირებით, კადეტური ორგანოს — «რეჩის» იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მოიცავენ ევროპის რუსეთის ყველა ამრჩევლის დაახლოებით ცხრა მეათედს (პოლონეთის, კავკასიის, ციმბირის და სხვ. გამოკლებით). ჩვენ ვიღებთ ხუთ მთავარ პოლიტიკურ ჯგუფს, რადგან უფრო დაწვრილებითი ცნობები ამრჩეველთა პოლიტიკური ელფერის შესახებ არ არსებობს. პირველ ჯგუფს შეადგენენ მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ე ბ ი. ამათ მიეკუთვნებიან ეგრეთწოდებული «შავრაზმელები» (მონარქისტები, რუსი ხალხის კავშირი და სხვ.), რომლებიც ემხრობიან სრული თვითმპყრობელობის აღდგენას მისი ხელუხლებელი ფორმით, მოუწოდებენ რევოლუციონერთა წინააღმდეგ აღვირახსნილი სამხედრო ტერორისაკენ და ფარული მკვლელობისაკენ, — მსგავსად სათათბიროს წევრ გერცენშტეინის მკვლელობისა, — აწყობენ «დარბევებს» და სხვა. შემდეგ, ამათ მიეკუთვნებიან ეგრეთწოდებული «ო ქ ტ ი ა ბ რ ი ს ტ ე ბ ი» (ასე ეწოდება რუსეთში მსხვილ მრეწველთა პარტიას), რომლებიც მეფის 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ მყისვე მიემხრნენ კონტრრევოლუციას და ახლა ყოველნაირად მხარს უჭერენ მთავრობას. არჩევნების დროს ეს პარტია ხშირად ჰკრავს ბლოკს მონარქისტებთან.

მეორე ჯგუფს შეადგენენ უ პ ა რ ტ ი ო ე ბ ი. ქვემოთ დავინახავთ, რომ მრავალი ამრჩეველი და დეპუტატი, განსაკუთრებით გლეხობიდან, ამ სახელს იმიტომ ამოეფარა, რომ თავიდან აიცილოს რეპრესიები თავისი რევოლუციური რწმენისათვის.

მესამე ჯგუფს შეადგენენ ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი. ლიბერალურ პარტიებს მეთაურობს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია (ეგრეთწოდებული «კადეტური» პარტია) ანუ «სახალხო თავისუფლების» პარტია. ეს არის ცენტრის პარტია რუსეთის რევოლუციაში; იგი მემამულეებსა და გლეხებს შუა დგას. ბურჟუაზია ცდილობს ორივე კლასი შეარიგოს. ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიის — კადეტების — შეფასება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში არსებული ორი მიმართულების უთანხმოებათა უმნიშვნელოვანესი პუნქტია.

არა პოლიტიკური რწმენისა, არამედ ოპორტუნიზმის მოსაზრებათა გამო სათათბიროში რუსი ლიბერალების მხარეზე არიან აგრეთვე პოლონელი «შავრაზმელები» — პარტია «ნაროდოვი დემოკრატებისა», რომლებიც პოლონეთში ყველა საშუალებით, მათ შორის დაბეზღებითა და მკვლელობით, იბრძვიან რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ.

მეოთხე ჯგუფს შეადგენენ პ რ ო გ რ ე ს ი ს ტ ე ბ ი. ეს პარტიის სახელწოდება კი არ არის, არამედ, ისევე როგორც სიტყვა «უპარტიოები», არაფრისმთქმელი და პირობითი აღნიშვნაა, რომლის უმთავრესი მიზანია პოლიციის დევნისგან დაცვა.

ბოლოს, მეხუთე ჯგუფს შეადგენენ მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე ე ბ ი. ამათ მიეკუთვნებიან სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების, სახალხო სოციალისტების (რომლებიც უახლოვდებიან საფრანგეთის რადიკალ-სოციალისტებს) პარტიები და ეგრეთწოდებული «ტ რ უ დ ო ვ ი კ ე ბ ი» — გლეხთა დემოკრატიის ჯერ კიდევ სავსებით უფორმო ორგანიზაცია*.

---

* გერმანულ პრესაში ამ პარტიას ხშირად «მუშათა ჯგუფს» უწოდებენ, რაც, თითქოს, მუშათა კლასთან ნათესაობაზე მიუთითებს. არსებითად, რუსეთში მათ შორის ასეთი სიტყვიერი ნათესაობაც კი არ არის. ამიტომ უმჯობესია სიტყვა «ტრუდოვიკები» არ ვთარგმნოთ, ისე დავტოვოთ და მისი საშუალებით აღვნიშნოთ წვრილბურჟუაზიული, სახელდობრ გლეხური დემოკრატია.

ტრუდოვიკები, სახალხო სოციალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები თავისი კლასობრივი ხასიათით წვრილბურჟუაზიული და გლეხური დემოკრატები არიან. ცალკეული რევოლუციური ჯგუფების ამრჩევლები ზოგჯერ ცდილობდნენ საარჩევნო კამპანიის დროს «მემარცხენეთა» საერთო სახელწოდებას ამოფარებოდნენ, რათა უფრო საიმედოდ აეცილებინათ პოლიციის დევნა.

«რეჩის» ციფრები ახლა ცხადყოფენ პარტიათა სოციალური შემადგენლობის შესახებ გამოყვანილი ჩვენი დასკვნების სისწორეს.

I. ამრჩეველთა რიცხვი

| პარტიები | ევროპის რუსეთის ნაგუბერნია | | | | | | | | | | დიდი ქალაქები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მიწათმფლობ. | | ქალაქის | | გლეხთა | | მუშათა | | სულ | | | |
| | ამრჩევლი | % | ამრჩევლი | % | ამრჩევლი | % | ამრჩევლი | % | ამრჩევლი | % | ამრჩევლი | % |
| მემარჯვენეები..... | 1 224 | 70,9 | 182 | 18,9 | 764 | 33,8 | — | — | 2 170 | 40,0 | 346 | 20,7 |
| უპარტიოები..... | 81 | 4,7 | 27 | 2,1 | 248 | 11,0 | 2 | 1,4 | 358 | 6.6 | — | — |
| ლიბერალები..... | 154 | 8,9 | 504 | 38,7 | 103 | 4,6 | — | — | 761 | 14,0 | 940 | 56,4 |
| პროგრესისტები.... | 185 | 10,7 | 280 | 21,5 | 561 | 24,9 | 3 | 2,1 | 1 029 | 18,9 | 55 | 3,3 |
| მემარცხენეები..... | 82 | 4,8 | 311 | 23,8 | 582 | 25,7 | 140 | 96,5 | 1 115 | 20,5 | 327 | 19,6 |
| სულ ..... | 1 726 | 100,0 | 1 304 | 100,0 | 2 258 | 100,0 | 145 | 100,0 | 5 433 | 100,0 | 1 668 | 100,0 |

## II. სათათბიროს დეპუტატთა რიცხვი

| პარტიები | ევროპის რუსეთის 51 გუბერნია | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გუბერნიებისაგან | | გლეხთა კურიისაგან | | დიდი ქალაქებისაგან | | პოლონეთი | | კავკასია | | ცარიელი და აღმოსავლეთის გუბერნიები | | მთელ რუსეთის იმპერიაში | |
| | დეპუტ. | % | დეპუტ. | % | დეპუტ. | % | დეპუტ. | % | დეპუტ. | % | დეპუტ. | % | დეპუტ. | % |
| მემარჯვენეები..... | 85 | 25,7 | 4 | 7.5 | 5 | 18,5 | 1 | 2,7 | 2 | 7,1 | — | — | 97 | 19,8 |
| უპარტიოები..... | 18 | 5,4 | 3 | 5,7 | — | — | — | — | — | — | 1 | 7,1 | 22 | 4,5 |
| ლიბერალები ..... | 82 | 24,8 | 10 | 18,9 | 17 | 63,0 | 32 | 86,5 | 9 | 32,2 | 6 | 42,9 | 156 | 31,8 |
| პროგრესისტები.. | 20 | 6,0 | 10 | 18,9 | — | — | 3 | 8,1 | 2 | 7,1 | — | — | 35 | 7,1 |
| მემარცხენეები..... | 126 | 38,1 | 26 | 49,0 | 5 | 18,5 | 1 | 2,7 | 15 | 53,6 | 7 | 50,0 | 180 | 36,8 |
| სულ..... | 331 | 100,0 | 53 | 100,0 | 27 | 100,0 | 37 | 100,0 | 28 | 100,0 | 14 | 100,0 | 490 | 100,0 |

როგორც მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, დიდი ქალაქები შეადგენენ განსაკუთრებულ ჯგუფს, სახელდობრ: პეტერბურგი ირჩევს 6 დეპუტატს, მოსკოვი — 4, ვარშავა და ტაშკენტი — ორ-ორს, დანარჩენი ქალაქები — თითო დეპუტატს, სულ 17 ქალაქი — 27 დეპუტატს. სათათბიროს დანარჩენ წევრებს ცალკეული გუბერნიების ამრჩეველთა კრებებზე ერთად ირჩევს ყველა ოთხივე კურია; მაგრამ, გარდა ამისა, თვითეულ გუბერნიაში გლეხთა ამრჩეველები ირჩევენ 1 დეპუტატს გლეხთა კურიისაგან. ამრიგად, გამოდის დეპუტატთა სამი ჯგუფი: საგუბერნიო საარჩევნო კრებებისაგან, გლეხთა კურიისაგან და დიდი ქალაქებისაგან.

პროგრესული ან მემარცხენე ბლოკის რაღაც თორმეტიოდე ამრჩეველი შეიძლებოდა მხოლოდ გაანგარიშების დროს დაყოფილიყო ცალკეულ პარტიულ ჯგუფებს შორის; საერთოდ კი ეს ციფრები ჯერჯერობით ყველაზე სრულსა და საიმედო მასალას იძლევიან რუსეთის სხვადასხვა პარტიის კლასობრივი აგებულების გასაგებად.

მ უ შ ა თ ა კ უ რ ი ა პროვინციაშიც კი, ხოლო უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, დიდ ქალაქებში თითქმის მხოლოდ და მხოლოდ მემარცხენეებს ირჩევს, სახელდობრ — 96,5%. მუშათა კურიის 140 მემარცხენე ამრჩეველიდან 84 — სოციალ-დემოკრატია, 52 — მემარცხენეა ზუსტი სახელის აღუნიშნავად (მეტწილად აგრეთვე სოციალ-დემოკრატები არიან) და 4 — სოციალისტ-რევოლუციონერია. ამრიგად, რუსეთის სოციალ-დემოკრატია, მიუხედავად იმ ლიბერალთა ცრუ მტკიცებისა, რომელთაც სურთ იგი რევოლუციური ინტელიგენციის პარტიად დასახონ, — ნამდვილი მ უ შ ა თ ა პარტიაა. პეტერბურგში — ქალაქსა და გუბერნიაში — მუშათა კურიის 24 ამრჩეველიდან არჩეულია 20 სოციალ-დემოკრატი და 4 სოციალისტ-რევოლუციონერი; მოსკოვში — ქალაქსა და გუბერნიაში — მხოლოდ სოციალ-დემოკრატები, სახელდობრ — 35 და ა. შ.

გ ლ ე ხ თ ა კურიაში მყისვე თვალში გეცემათ საკვირველი შეუსაბამობა: გლეხ-ამრჩეველთა შორის 33,8% მემარჯვენეებს ეკუთვნის, მაშინ როდესაც ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს დ ე პ უ ტ ა ტ თ ა შორის, რომლებიც გლეხთა კურიის იმავე ამრჩევლებმა აირჩიეს, მემარჯვენეები მხოლოდ 7,5% შეადგენენ. ცხადია, გლეხთა ამრჩევლები მხოლოდ ს ი ტ ყ ვ ი ე რ ა დ უ წ ო დ ე ბ დ ნ ე ნ თავის თავს მემარჯვენეებს, რათა მთავრობის რეპრესიები აეცილებინათ. რუსეთის პრესამ ეს მოვლენა ასზე მეტ შემთხვევაში აღნიშნა, არჩევნების სტატისტიკაც ახლა ამას საბოლოოდ ადასტურებს.

გლეხთა კურიაზე მსჯელობა შეიძლება არა იმის მიხედვით, თუ რას უწოდებენ თავის თავს ამრჩევლები, არამედ მხოლოდ

და მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რომელ პარტიას მიაკუთვნებენ თავიანთ თავს მათი დეპუტატები. ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხთა კურია მუშათა კურიის შემდეგ ყველაზე მემარცხენე ჯგუფს შეადგენს. გლეხებმა მხოლოდ 7,5% მემარჯვენე და 67,95% ლიბერალებზე უფრო მემარცხენეები აირჩიეს! რუსეთში გლეხი მეტწილად რევოლუციურად არის განწყობილი, — ასეთია მეორე სათათბიროს არჩევნების გაკვეთილი. ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან ის ამტკიცებს, რომ რევოლუცია რუსეთში ჯერ კიდევ სრულიადაც არ დამთავრებულა. ვიდრე გლეხის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ არის, ვიდრე ის, ყოველ შემთხვევაში, არ დამშვიდებულა, რევოლუცია უნდა გაგრძელდეს. მაგრამ, რა თქმა უნდა, გლეხის რევოლუციურ განწყობილებას სოციალ-დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს: გლეხი არის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციონერი და სულაც არ არის სოციალისტი. იგი წარმოების ყველა საშუალების საზოგადოების ხელში გადაცემისათვის კი არ იბრძვის, არამედ გლეხობის მიერ მემამულეთა მიწების კონფისკაციისათვის.

გლეხობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციური შეგნება ტიპიურ პარტიულ-პოლიტიკურ გამოხატულებას პოულობს ტრუდოვიკების, სოციალისტ-რევოლუციონერებისა და სახალხო სოციალისტების პარტიებში. გლეხთა კურიის მიერ სათათბიროში არჩეული 53 დეპუტატიდან 24 დეპუტატი ამ გლეხ დემოკრატებს მიეკუთვნება (10 მემარცხენე, 10 ტრუდოვიკი, 4 ესერი); შემდეგ, უეჭველია, რომ 10 პროგრესისტიდან და 3 უპარტიოდან, რომლებიც გლეხებისაგან არიან არჩეულნი, უმრავლესობა ტრუდოვიკებს ეკუთვნის. ჩვენ ვამბობთ: უეჭველიაო, იმიტომ რომ პირველი სათათბიროს შემდეგ ტრუდოვიკებს ულმობლად სდევნიდნენ, და გლეხები იმდენ სიფრთხილეს იჩენენ, რომ თავის თავს ტრუდოვიკები არ უწოდონ, თუმცა სათათბიროში ისინი «ფაქტიურად ხმას აძლევენ ტრუდოვიკებთან ერთად. ასე, მა-

გალითად, I სათათბიროში ტრუდოვიკების უმნიშვნელოვანესი კანონპროექტი იყო აგრარული კანონპროექტი, რომელიც ცნობილია «104-ის პროექტის» სახელით (ამ პროექტის არსებითი შინაარსია მემამულეთა მიწის და მომავალში — გლეხთა ნადელების დაუყოვნებლივი ნაციონალიზაცია, აგრეთვე გათანაბრებული მიწათსარგებლობა). ეს პროექტი — გლეხთა მასის პოლიტიკური აზროვნების თვალსაჩინო ნაყოფია გლეხთა ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხში. ამ პროექტს ხელი მოაწერა მხოლოდ 70 «ტრუდოვიკმა» და 25 გლეხმა, რომლებიც თავის თავს უპარტიოებს უწოდებდნენ ან თავიანთი პარტიული კუთვნილების საკითხზე საერთოდ არავითარი პასუხი არ გასცეს!

ამრიგად, «შრომის» ჯგუფი რუსეთში, უეჭველად, სოფლის გლეხური დემოკრატიის პარტიაა. ესენი რევოლუციური პარტიები არიან, მაგრამ ამ სიტყვის არა სოციალისტური, არამედ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მნიშვნელობით.

ქ ა ლ ა ქ ი ს კ უ რ ი ა შ ი შეიძლება განვასხვაოთ დიდი და მცირე ქალაქები. მცირე ქალაქებში ცალკეულ კლასთა შორის პოლიტიკური წინააღმდეგობანი ისე ძლიერ არაა გამოხატული, პროლეტარიატის დიდი მასები (რომლებიც მუშათა ცალკე კურიას შეადგენენ) არ არიან, იქ მემარჯვენეები უფრო სუსტნი არიან. დიდ ქალაქებში უპარტიო ამრჩევლები სრულებით არ არიან, იქ გაურკვეველ «პროგრესისტთა» რაოდენობა სრულიად უმნიშვნელოა; სამაგიეროდ იქ მემარჯვენეები უფრო ძლიერნი, მემარცხენეები კი უფრო სუსტნი არიან. მიზეზი უბრალოა: დიდი ქალაქების პროლეტარიატი მუშათა ცალკე კურიას შეადგენს, რომელიც ამრჩეველთა ჩვენს ცხრილში შეტანილი არ არის *. წვრილი ბურჟუაზია აქ

* საამისო მონაცემები არ არსებობს. ამიტომ მუშათა კურიის ამრჩეველთა ციფრები ცხრილიდან ამოშლილია. ზუსტი ცნობები გვაქვს მხოლოდ 37 მუშა-ამრჩევლის შესახებ. ი ს ი ნ ი უ კ ლ ე ბ ლ ი ვ მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე ე ბ ს ე კ უ თ ვ ნ ი ა ნ. ყველა მუშა-ამრჩევლის საერთო რიცხვი ევროპის

ბევრად უფრო მცირერიცხოვანია, ვიდრე პატარა ქალაქებში. სჭარბობს მსხვილი მრეწველობა: ის წარმოდგენილია ნაწილობრივ მემარჯვენეებით, ნაწილობრივ კი — ლიბერალებით.

ამრჩეველთა შემადგენლობის მონაცემები ნათლად ამტკიცებს, რომ ლიბერალური პარტიების (მაშასადამე, უმთავრესად კადეტების) საფუძველს შეადგენს ქალაქის ბურჟუაზია, უწინარეს ყოვლისა, მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზია. ამ ბურჟუაზიის მარჯვნივ მობრუნება, ბურჟუაზიისა, რომელიც პროლეტარიატის დამოუკიდებლობისა და ძალის წინაშე შიშს განიცდის, განსაკუთრებით ნათელი ხდება, დიდსა და მცირე ქალაქებს ერთმანეთს თუ შევადარებთ. მცირე ქალაქებში ქალაქის (ე. ი. ბურჟუაზიული) კურია ბევრად უფრო ძლიერად არის გამსჭვალული მემარცხენე ელემენტებით.

ამ საკითხთან მჭიდროდ დაკავშირებულია რუსეთის სოციალ-დემოკრატთა ძირითადი უთანხმოებანი. ერთი ფრთა (ეგრეთწოდებული «მენშევიკები») კადეტებსა და ლიბერალებს თვლის ქალაქის პროგრესულ ბურჟუაზიად, წინააღმდეგ სოფლის ჩამორჩენილი წვრილი ბურჟუაზიისა (ტრუდოვიკებისა). აქედან გამოდის, რომ ბურჟუაზია აღიარებულია რევოლუციის მამამძრავებელ ძალად, და ცხადდება კადეტებისათვის მხარდაჭერის პოლიტიკა. მეორე ფრთა (ეგრეთწოდებული «ბოლშევიკები») ლიბერალებს თვლის მსხვილი ინდუსტრიის წარმომადგენლებად, რომლებიც პროლეტარიატის წინაშე შიშის გამო ცდილობენ რევოლუციის რაც შეიძლება ჩქარა დამთავრებას და თანხმდებიან რეაქციასთან კომპრომისებს. ეს ფრთა ტრუდოვიკებს რევოლუციურ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიად თვლის და იმ აზრს ადგია, რომ ისინი არჩევენ რადიკალური პოზიცია დაიკავონ გლეხობისთვის უმნიშვნე-

---

რუსეთში კანონის მიხედვით 208 შეადგენს. მათგან უფრო ზუსტი მონაცემები გვაქვს 145 ამრჩევლის შესახებ, რაც დიდი ქალაქების მუშათა კურიის ახლახან მოხსენიებულ 37 ამრჩეველთან ერთად შეადგენს 182-ს, ე. ი. მუშა-ამრჩეველთა საერთო რიცხვის ცხრა მეათედს.

ლოვანეს მიწის საკითხში — მსხვილი მიწათმფლობელობის კონფისკაციის საკითხში. აქედან გამომდინარეობს ბოლშევიკების ტაქტიკა. ბოლშევიკები უარყოფენ გამცემლური ლიბერალური ბურჟუაზიისათვის, ე. ი. კადეტებისათვის მხარის დაჭერას და ცდილობენ ჩამოაშორონ დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზია ლიბერალთა გავლენას; ბოლშევიკებს უნდათ ჩამოაშორონ ლიბერალებს გლეხი და ქალაქის წვრილი ბურჟუა და ისინი პროლეტარიატის, როგორც ავანგარდის, ხელმძღვანელობით ჩააბან რევოლუციურ ბრძოლაში. რუსეთის რევოლუცია თავისი სოციალურ-ეკონომიური შინაარსით ბურჟუაზიული რევოლუციაა, მაგრამ მისი მამოძრავებელი ძალაა არა ლიბერალური ბურჟუაზია, არამედ პროლეტარიატი და დემოკრატიული გლეხობა. რევოლუციის გამარჯვება მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის საშუალებით შეიძლება.

თუ გვსურს ნათლად წარმოვიდგინოთ, მტკიცეა თუ არა ლიბერალებისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის კავშირი, მაშინ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება დიდ ქალაქებში პარტიული ბლოკებისათვის მიცემული ხმების რაოდენობის სტატისტიკა. სტატისტიკოს სმირნოვის მონაცემების მიხედვით, 22 დიდ ქალაქში მონარქისტებზე მოდის 17 000 ხმა, ოქტიაბრისტებზე — 34 500, კადეტებზე — 74 000 და მემარცხენე ბლოკზე — 41 000 *.

II სათათბიროს არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთას შორის — მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის გამწვავებული ბრძოლა გაჩაღდა იმ საკითხზე, კადეტებთან შეგვეკრა ბლოკი, თუ ტრუდოვიკებთან — კადეტების წი-

* «მემარცხენე ბლოკად» იგულისხმება სოციალ-დემოკრატების საარჩევნო ბლოკი წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის პარტიებთან (პირველ რიგში «ტრუდოვიკებთან», თუ ამ სიტყვას გავიგებთ მეტად ფართო მნიშვნელობით და ამ ჯგუფის მემარცხენე ფრთად ჩავთვლით სოციალისტ-რევოლუციონერებს). ეს ბლოკი მიმართული იყო როგორც მემარჯვენეთა, ისე ლიბერალთა წინააღმდეგ.

ნააღმდეგ. მოსკოვში ბოლშევიკების მომხრენი უფრო ძლიერნი არიან. იქ შეიქმნა მემარცხენე ბლოკი, და მენშევიკები მის შემადგენლობაში შეეიდნენ. პეტერბურგშიც ბოლშევიკები უფრო ძლიერნი იყვნენ, და არჩევნების დროს მემარცხენე ბლოკი იქაც შეიქმნა, მაგრამ მენშევიკები მას არ მიემხრნენ და ორგანიზაციიდან გავიდნენ. მოხდა გათიშვა, რაც ახლაც ჯერ კიდევ გრძელდება. მენშევიკები მიუთითებდნენ იმ საშიშროებაზე, რომელიც შავრაზმელთაგან მომდინარეობს, ე. ი. მათ აშინებდათ შავების გამარჯვება არჩევნებში მემარცხენეთა და ლიბერალთა ხმების გაყოფის გამო. ბოლშევიკებმა ეს საფრთხე გამოაცხადეს მონაჭორად ლიბერალებისა, რომელთა მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული დემოკრატია ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ფრთებქვეშ მოექციათ. ციფრები ამტკიცებენ, რომ მემარცხენეთა და კადეტთა ხმების ჯამი ორჯერ და მეტად აღემატება ოქტიაბრისტთა და მონარქისტთა ხმების საერთო რაოდენობას *. მაშასადამე, ოპოზიციის ხმების გაყოფას არ შეეძლო მემარჯვენეთა გამარჯვებას დახმარებოდა.

ეს ციფრები, რომლებიც ქალაქის 200 000 ამომრჩეველზე მეტს მოიცავენ, აგრეთვე II სათათბიროს საერთო შემადგენლობის მონაცემებიც ამტკიცებენ, რომ სოციალ-დემოკრატთა და კადეტთა ბლოკის ნამდვილი პოლიტიკური აზრი მდგომარეობს სრულიადაც არა იმაში, რომ «შავი» საფრთხე გააქარწყლოს (ეს შეხედულება, იგი რომ თუნდაც სავსებით გულწრფელი იყოს, საერთოდ ყალბია), არამედ იმაში, რომ

* იმავე ბ-ნ სმირნოვის გამოანგარიშებით, 16 ქალაქში, სადაც არჩევნებზე 72 000 ამომრჩეველი გამოცხადდა და 4 სია კი არა, არამედ 2 (ან 3) სია იბრძოდა, ოპოზიციამ 58,7% მიიღო და მემარჯვენეებმა — 21%. აქაც პირველი რიცხვი ორჯერ და მეტად აღემატება მეორეს. აქაც შავრაზმელთა მხრივ საფრთხე მაცთურ საფრთხობელად გამოიგონეს ლიბერალებმა, რომლებიც ბევრს ლაპარაკობდნენ მარჯვნიდან მოსალოდნელ საფრთხეზე, ნამდვილად კი «მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ს ა ფ რ თ ხ ი ს ა» (გამოთქმა, რომელსაც კადეტური ორგანოდან «რეჩიდან» ესესხულობთ) ეშინოდათ.

მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკა მოსპოს და ეს კლასი ლიბერალთა ჰეგემონიას დაუმორჩილოს.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრთის დავის დედაარსს შეადგენს იმის გადაწყვეტა, ლიბერალების ჰეგემონია აღვიაროთ, თუ ბურჟუაზიულ რევოლუციაში მუშათა კლასის ჰეგემონიას ვესწრაფოდეთ.

ის გარემოება, რომ მემარცხენეებმა კადეტების წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატთა და ტრუდოვიკთა პირველი შეთანხმების დროს 22 ქალაქში, გაუგონარ სიძნელეთა პირობებში, რასაც აგიტაცია აწყდებოდა, 41 000 ხმა მოიპოვეს, ე. ი. ოქტიაბრისტებს გადააჭარბეს და ლიბერალთა ხმების ნახევარზე მეტი მიიღეს, ბოლშევიკებისათვის იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზია ქალაქებში კადეტებს უფრო ჩვეულების ძალით და ლიბერალთა ყალთაბანდობის მეოხებით მიჰყვება, ვიდრე რევოლუციისადმი ამ ფენების მტრობის გამო.

ახლა გადავდივართ უკანასკნელ, მიწათმფლობელთა კურიაზე. აქ ჩვენ ვხედავთ მემარჯვენეთა ნათლად გამოხატულ სიჭარბეს: ამრჩეველთა 70,9% მემარჯვენეები არიან. მსხვილი მიწათმფლობელის სიძულვილი რევოლუციისა და მიწისათვის გლეხის ბრძოლის ზეგავლენით კონტრრევოლუციის მხარეზე გადასვლა სავსებით გარდუვალია.

თუ ახლა ერთმანეთს შევადარებთ საარჩევნო ჯგუფების შემადგენლობას საგუბერნიო საარჩევნო კრებებზე და სათათბიროს შემადგენლობას იმ დეპუტატთა პოლიტიკური ელფერის მხრივ, რომლებიც ამ კრებებზე აირჩიეს, შევამჩნევთ, რომ პროგრესისტი მეტწილად მხოლოდ ის სახელია, რომელსაც მემარცხენეები ამოფარებიან. ამრჩეველთა შორის 20,5% მემარცხენეები არიან და 18,9% — პროგრესისტები. დეპუტატთა 38% მემარცხენეებს ეკუთვნის! მემარჯვენეებს დეპუტატთა მხოლოდ 25,7% ეკუთვნის, თუმცა მათ ამრჩეველთა 40% ჰყავდათ. მაგრამ თუ ამ უკანასკნელთ გამოვაკლებთ გლეხთა ამრჩევლებს (ჩვენ უკვე ცხადვყავით, რომ ისინი მემარჯვე-

ნეებად შეეძლოთ ჩაეთვალათ მხოლოდ რუსეთის მთავრობის აგენტებს, რომლებმაც არჩევნების ცნობები გააყალბეს), მივიღებთ 2 170—764=1 406 მემარჯვენეთა მომხრე ამრჩეველს, ე. ი. 25,8%. ამრიგად, ორივე შედეგი სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. ცხადია, ლიბერალური ამრჩევლები ეფარებიან ნაწილობრივ «უპარტიოთა», ნაწილობრივ — «პროგრესისტთა» სახელებს, ხოლო გლეხები — «მემარჯვენეთა» სახელებსაც კი.

რუსეთის შედარება არარუსულ ნაწილებთან, პოლონეთთან და კავკასიასთან, ახალ საბუთს იძლევა იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ნამდვილი მამოძრავებელი ძალა ბურჟუაზია არ არის. პოლონეთში სრულებით არ არის გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, არ არის ქალაქის არავითარი ბურჟუაზიული ოპოზიცია, თითქმის არ არიან ლიბერალები. რევოლუციურ პროლეტარიატს უპირისპირდება მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიის რეაქციული ბლოკი. ამიტომ გაიმარჯვეს იქ ნაროდოვი დემოკრატებმა. კავკასიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ძალიან ძლიერია, ლიბერალთა ძალა იქ თითქმის ისეთივეა, როგორც რუსეთში, მაგრამ მემარცხენეები აქ ყველაზე ძლიერი პარტიაა: მემარცხენეთა პროცენტი სათათბიროში (53,6%) დაახლოებით ეთანაბრება გლეხთა კურიიდან გამოსულ დეპუტატთა პროცენტს (49%). მხოლოდ მუშებსა და რევოლუციურ-დემოკრატიულ გლეხობას შეუძლიათ დაამთავრონ ბურჟუაზიული რევოლუცია. მოწინავე, კაპიტალისტურად დიდად განვითარებულ პოლონეთში აგრარული საკითხი იმ მნიშვნელობით, როგორც რუსეთში, არ არსებობს; სრულებით არა აქვს ადგილი გლეხობის რევოლუციურ ბრძოლას მემამულეთა მიწების კონფისკაციისათვის. ამიტომ პოლონეთში რევოლუციას პროლეტარიატს გარეთ არავითარი მტკიცე საყრდენი წერტილი არ მოეპოვება. კლასობრივი წინააღმდეგობანი იქ დასავლეთ ევროპის ტიპს უახლოვდებიან. საწინააღმდეგო მოვლენას ვხედავთ კავკასიაში.

აქ კიდევ შევნიშნავთ, რომ 180 მემარცხენე, «რეჩის» გამოანგარიშებით, ცალკეულ პარტიათა შორის შემდეგნაირად ნაწილდება: 68 — მემარცხენე, 9 — სახალხო სოციალისტი (ტრუდოვიკების მემარჯვენე ფრთა), 28 — სოციალისტ-რევოლუციონერი და 46 — სოციალ-დემოკრატი... ეს უკანასკნელნი ფაქტიურად ახლა უკვე 65-ს შეადგენენ. ლიბერალები ცდილობენ შეძლებისამებრ შეამცირონ სოციალ-დემოკრატების რიცხვი.

კლასობრივი აგებულებით ეს ჯგუფები შეიძლება ორ ფენამდე დავიყვანოთ: დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიაზე, ქალაქისა და განსაკუთრებით სოფლის წვრილ ბურჟუაზიაზე მოდის 134 დეპუტატი, პროლეტარიატზე — 46 დეპუტატი.

საერთოდ ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთში სხვადასხვა პარტიის კლასობრივ ფენებად დაყოფა უჩვეულო სიცხადით აშკარავდება. მსხვილი მიწათმფლობელები მიეკუთვნებიან შავრაზმელებს, მონარქისტებსა და ოქტიაბრისტებს. მსხვილი მრეწველობა წარმოდგენილია ოქტიაბრისტებით და ლიბერალებით. მეურნეობის გაძღოლის წესების მიხედვით რუსეთში მემამულენი იყოფიან ისეთ მემამულეებად, რომლებიც მეურნეობას ჯერ კიდევ ნახევრადფეოდალური წესებით უძღვებიან, გლეხთა პირუტყვისა და ინვენტარის საშუალებით აწარმოებენ მუშაობას (გლეხი აქ დამონებული ჰყავს მემამულეს), და ისეთ მემამულეებად, რომლებმაც უკვე მეურნეობის გაძღოლის თანამედროვე კაპიტალისტური ფორმები შემოიღეს. ამ უკანასკნელთა შორის ბლომად არიან ლიბერალები. ქალაქის წვრილი ბურჟუაზია წარმოდგენილია ლიბერალებით და ტრუდოვიკებით. გლეხური წვრილი ბურჟუაზია — ტრუდოვიკებით და განსაკუთრებით მათი მემარცხენე ფრთით — სოციალისტ-რევოლუციონერებით. პროლეტარიატს თავისი წარმომადგენლობა ჰყავს სოციალ-დემოკრატიის სახით. რუსეთის კაპიტალისტური განვითარების აშკარა ჩამორჩენილობის პირობებში, საზოგადოების კლასობრივი აგებულების შესაბა-

მისად პარტიულ დაჯგუფებათა ეს მკვეთრი გამოვლინება აიხსნება მხოლოდ ეპოქის მძაფრი რევოლუციური სულისკვეთებით, როცა პარტიები გაცილებით უფრო სწრაფად იქმნებიან და როცა კლასობრივი თვითშეგნება ბევრად უფრო სწრაფად იზრდება და გამოკვეთილი ხდება, ვიდრე უძრაობისა ანუ ეგრეთწოდებული მშვიდობიანი პროგრესის ეპოქაში.

დაიბეჭდა 1907 წ. 27 მარტს
ჟურნალში «Die Neue Zeit» № 26,
1. Band, 1906 — 07
ხელმოწერა: A. Linitsch

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

# რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პლატფორმა

## I

პარტიული ყრილობა, როგორც ცნობილია, რამდენიმე კვირის შემდეგ იქნება მოწვეული. საჭიროა მეტად ენერგიულად მოვკიდოთ ხელი ყრილობისათვის მზადებას, იმ ძირითადი ტაქტიკური საკითხების განხილვას, რომელნიც პარტიამ ამ ყრილობაზე უნდა გადაწყვიტოს.

ჩვენი პარტიის ც. კ.-მა უკვე შეიმუშავა ყრილობის დღის წესრიგი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთებში. ამ დღის წესრიგის ცენტრალური მუხლებია: 1) «უახლოესი პოლიტიკური ამოცანები» და 2) «სახელმწიფო სათათბირო». რაც შეეხება მეორე მუხლს, მისი აუცილებლობა თავისთავად ცხადია და არც გამოიწვევს არავითარ დავას. ჩვენი აზრით, პირველი მუხლიც აუცილებელია, მაგრამ ცოტა სხვა ფორმულირებით ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ოდნავ შეცვლილი შინაარსით.

ყრილობის ამოცანებისა და გადასაწყვეტი ტაქტიკური საკითხების საერთო პარტიული განხილვა რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს, ორივე დედაქალაქის ჩვენი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა და «პროლეტარის» სარედაქციო კოლეგიის თათბირმა, მეორე სათათბიროს მოწვევის წინ, შეიმუშავა ქვემოთ მოყვანილი პროექტები რეზოლუციებისა *.

* იხ. ეს ტომი, გვ. 147 — 160. რ ე დ.

ჩვენ აზრად გვაქვს წარმოვადგინოთ იმის ნარკვევი, თუ რ ო გ ო რ ესმოდა თათბირს თავისი ამოცანები, რ ა ტ ო მ წამოაყენა პირველ რიგში რეზოლუციების პროექტები სახელდობრ ამ საკითხებზე და რ ა ძ ი რ ი თ ა დ ი ა ზ რ ე ბ ი დასახა მან ამ რეზოლუციებში.

პირველი საკითხი: «უახლოესი პოლიტიკური ამოცანები».

ჩვენი აზრით, არ შეიძლება რსდმ პარტიის ყრილობის წინაშე ა მ გ ვ ა რ ა დ დაისვას საკითხი დღევანდელ ეპოქაში. ეს ეპოქა რევოლუციური ეპოქაა. ყველა სოციალ-დემოკრატი, განურჩევლად ფრაქციისა, ამის თანახმაა. საკმარისია გადახედოთ იმ რეზოლუციის პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ნაწილს, რომელიც მენშევიკებმა და ბუნდელებმა მიიღეს რსდმ პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციაზე 1906 წ. ნოემბერს, რომ დარწმუნდეთ ჩვენი დებულების სისწორეში.

ხოლო რევოლუციურ ეპოქაში ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა უ ა ხ ლ ო ე ს ი პოლიტიკური ამოცანების განსაზღვრას დავჯერდეთ, არ შეიძლება ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ასეთ ეპოქაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ძ ი რ ი თ ა დ ი ამოცანები პირველ რიგში დგებიან და, წინააღმდეგ «მშვიდობიანი» და წვრილმანი კონსტიტუციური მშენებლობის ეპოქებისა, საფუძვლიან განხილვას მოითხოვენ. მეორე, ასეთ ეპოქაში ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა განვსაზღვროთ უ ა ხ ლ ო ე ს ი პოლიტიკური ამოცანები, რადგან რევოლუცია სწორედ იმით განირჩევა, რომ შესაძლებელი და გარდუვალი ხდება მკაცრი გარდატეხა, სწრაფი შეტრიალებანი, მოულოდნელი სიტუაციები, მკვეთრი აფეთქებანი. ამის გასაგებად საკმარისია მივუთითოთ მემარცხენე სათათბიროს გარეკვისა და საარჩევნო კანონის შავრაზმულ ყაიდაზე შეცვლის შესაძლებლობასა და მოსალოდნელობაზე.

მაგალითად, ავსტრიელებს ადვილად შეეძლოთ განესაზღვრათ თავიანთი «უახლოესი» ამოცანა: ბრძოლა საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის, როცა ყველა ნიშანი იმის მაჩვენებელი იყო, რომ გრძელდება ეპოქა ცოტად თუ ბევრად

მშვიდობიანი, თანამიმდევარი და თანამომდევნო კონსტიტუციური განვითარებისა. ხოლო ჩვენში განა მენშევიკებიც კი არ ლაპარაკობენ ზემოხსენებულ რეზოლუციაში მ შ ვ ი დ ო ზ ი ა ნ ი გზის შეუძლებლობაზე, სათათბიროში მებრძოლებისა და არა შუამავლების არჩევის აუცილებლობაზე? განა ისინი არ აღიარებენ დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლას? წარმოიდგინეთ ევროპის რომელიმე ქვეყანა, სადაც ჩამოყალიბებულა და განსაზღვრული დროით განმტკიცებულა კონსტიტუციური წყობილება და სადაც შეიძლებოდეს ლაპარაკი «დამფუძნებელი კრების» ლოზუნგზე; სათათბიროში «შუამავლისა» და «მებრძოლის» დაპირისპირებაზე, — და თქვენ მიხვდებით, რომ ასეთ პირობებში «უახლოესი» ამოცანების განსაზღვრა იმგვარად, როგორც მათ ახლა დასავლეთში განსაზღვრავენ, ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა. რაც უფრო ნაყოფიერი იქნება სოციალ-დემოკრატიისა და რევოლუციური ბურჟუაზიული დემოკრატიის მუშაობა სათათბიროში, მით უფრო მოსალოდნელია სათათბიროს გარეთ ბრძოლის აფეთქება, რაც ჩვენ სრულიად განსაკუთრებული უახლოესი ამოცანების წინაშე გვაყენებს.

არა. ჩვენ პარტიულ ყრილობაზე უნდა განვიხილოთ იმდენად არა პროლეტარიატის უახლოესი, რამდენადაც მისი ძ ი რ ი თ ა დ ი ამოცანები ბურჟუაზიული რევოლუციის დღევანდელ მომენტში. წინაალმდეგ შემთხვევაში ჩვენ აღმოვჩნდებით იმ ადამიანთა მდგომარეობაში, რომელნიც მოვლენათა ყოველი შებრუნებისას იბნევიან და უმწეონი ხდებიან (როგორც ეს უკვე არაერთხელ მომხდარა 1906 წელს). «უახლოეს» ამოცანებს ჩვენ სულერთია ვერ განვსაზღვრავთ, ისე როგორც ვერავინ იწინასწარმეტყველებს — ერთი კვირა, თვე თუ ნახევარი წელიწადი იარსებებს მეორე სათათბირო და 1905 წლის 11 დეკემბრის საარჩევნო კანონი. ხოლო ჩვენს რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის ძირითადი ამოცანების გაგება საერთო პარტიული გზით ჩვენ ჯერ არ შეგვიმუშავებია. და ამის შეუმუშავებლად რაიმე მტკიცე, პრინციპული პოლიტიკა შეუძლებელია, უამისოდ

«უახლოესი» ამოცანების განსაზღვრის ვერავითარი ცდა ნაყოფს ვერ მოიტანს.

გამაერთიანებელ ყრილობას არ მიუღია რეზოლუცია მომენტის შეფასებისა და რევოლუციაში პროლეტარიატის ამოცანების შესახებ, არ მიუღია მიუხედავად იმისა, რომ სათანადო პროექტები წარდგენილი ი ყ ო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე მიმდინარეობის მიერ, — მიუხედავად იმისა, რომ მომენტის შეფასების საკითხი დღის წესრიგში დაყენებული და ყრილობაზე გ ა ნ ხ ი ლ უ ლ ი ი ყ ო. მაშასადამე, ყ ვ ე ლ ა აღიარებდა ამ საკითხებს მნიშვნელოვან საკითხებად, მაგრამ სტოკჰოლმის ყრილობის უმრავლესობამ ჩათვალა, რომ მ ა შ ი ნ ეს საკითხები საკმაოდ გამორკვეული არ იყო. საჭიროა განვაახლოთ ამ საკითხების განხილვა. ჩვენ უნდა განვიხილოთ, ჯერ ერთი, როგორია ჩვენი დღევანდელი რევოლუციური მომენტი თავისი საზოგადოებრივ-ეკონომიური და პოლიტიკური ევოლუციის ძირითადი ტენდენციების მიხედვით; მეორე, როგორია კლასთა (და პარტიათა) პოლიტიკური დაჯგუფება თანამედროვე რუსეთში; მესამე, როგორია ა ს ე თ მომენტში, საზოგადოებრივ ძალთა ა ს ე თ ი პოლიტიკური დაჯგუფების დროს, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ძირითადი ამოცანები.

რა თქმა უნდა, ჩვენ თვალს არ ვხუჭავთ იმაზე, რომ ზოგიერთ მენშევიკს (და შეიძლება ც. კ.-საც) უახლოესი პოლიტიკური ამოცანების საკითხი ესმოდა მხოლოდ როგორც სათათბიროს სამინისტროს, ე. ი. კადეტური სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერის საკითხი.

პლეხანოვი მისთვის ჩვეული, — და, რა თქმა უნდა, უაღრესად საქებური, — გაქანებით მენშევიკების მარჯვნივ გადახრის შეგულიანებაში, უკვე გამოვიდა ამ მოთხოვნის დასაცავად «რუსსკაია ჟიზნში» (23 თებერვალს).

ვფიქრობთ, რომ ეს მნიშვნელოვანი, მაგრამ დ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ უ ლ ი საკითხია, რომ მარქსისტებს არ შეუძლიათ ის დააყენონ განცალკევებულად, ჩვენი რევოლუციის დღევანდელი მომენტის შეუფასებლად, კადეტების პარტიის

კლასობრივი შინაარსისა და მთელი მისი თანამედროვე პოლიტიკური როლის შეუფასებლად. ამ საკითხის წმინდა პოლიტიციზმად მიჩნევა, საზოგადოდ კონსტიტუციურ წყობილებაში პალატის წინაშე სამინისტროს პასუხისმგებლობის «პრინციპად» აღიარება, იქნებოდა კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისის სავსებით მიტოვება და ლიბერალის თვალსაზრისზე გადასვლა.

სწორედ ამიტომ ჩვენმა თათბირმა კადეტური სამინისტროს საკითხი რევოლუციის თანამედროვე მომენტის შეფასებას დაუკავშირა.

სათანადო რეზოლუციაში ჩვენ უწინარეს ყოვლისა დასაბუთებას ვიწყებთ იმ საკითხით, რომელსაც ყველა მარქსისტი ძირითად საკითხად აღიარებს, — ეკონომიური კრიზისისა და მასების ეკონომიური მდგომარეობის საკითხით. თათბირმა მიიღო ფორმულა: კრიზისი «არ ამცირებს სწრაფი ლიკვიდაციის ნიშნებს». ეს, შეიძლება, მეტისმეტად ფრთხილი ფორმულა იყოს. მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია დაადგინოს უცილობელი ფაქტები, დასახოს ძირითადი შტრიხები, საკითხის მეცნიერული დამუშავება კი პარტიულ ლიტერატურას მიანდოს.

კრიზისის ნიადაგზე ჩვენ აღვნიშნავთ (მოტივების მეორე მუხლი) კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის (ეს — უეჭველი ფაქტია, და ამ გამწვავების გამოვლენა საყოველთაოდ ცნობილია) და შემდეგ — სოციალური ბრძოლის გამწვავებას სოფლად. სოფლად ადგილი არა აქვს მკაფიოდ გამოსახულ, ერთბაშად შესამჩნევ, ლოკაუტებისმაგვარ მოვლენებს, მაგრამ მთავრობის უკვე ისეთი ზომები, როგორიცაა ნოემბრის აგრარული კანონები [60] («გლეხური ბურჟუაზიის მოსყიდვა»), მოწმობენ, რომ ბრძოლა მწვავდება, რომ მემამულენი იძულებული არიან ყოველი ღონისძიება იხმარონ გლეხობის გასათიშავად და ამით გლეხობის საერთო შეტევის შესასუსტებლად.

სად მიგვიყვანს ბოლოს და ბოლოს ეს მათი ღონისძიებანი, ჩვენ არ ვიცით. ყველა «დაუმთავრებელი» (მარქსის გამო-

თქმაა) ბურჟუაზიული რევოლუცია «თავდებოდა» იმით, რომ შეძლებული გლეხობა გადადიოდა წესრიგის მხარეზე. ყოველ შემთხვევაში, სოციალ-დემოკრატიამ ყველაფერი უნდა გააკეთოს გლეხობის უაღრესად ფართო ფენების შეგნების განვითარებისათვის, იმისათვის, რომ მათ შეიგნონ სოფლად მიმდინარე კლასობრივი ბრძოლა.

შემდეგ, მე-3 მუხლში აღნიშნულია რუსეთის ერთი წლის პოლიტიკური ისტორიის ძირითადი ფაქტი: მაღალი კლასების «გამემარჯვენება» და დაბალი კლასების «გამემარცხენება». ჩვენ ვფიქრობდით, რომ განსაკუთრებით რევოლუციურ ეპოქებში სოციალ-დემოკრატია თავის ყრილობებზე უნდა აჯამებდეს საზოგადოებრივი განვითარების პერიოდებს, იყენებდეს მათ მიმართ კვლევის მარქსისტულ მეთოდებს, ასწავლიდეს სხვა კლასებს, რათა უკან მიიხედონ და პოლიტიკური მოვლენები განიხილონ პრინციპულად და არა წუთიერი ინტერესის ან რამდენიმე დღის წარმატების თვალსაზრისით, როგორც იქცევა ბურჟუაზია, რომელსაც, არსებითად, ყოველი თეორია სძაგს და თანამედროვე ისტორიის ყოველგვარი კლასობრივი ანალიზისა ეშინია.

უკიდურესობათა გაძლიერება ცენტრის დასუსტებაა. ცენტრი — ეს ოქტიაბრისტები კი არ არიან, როგორც შეცდომით ფიქრობდა ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი (მათ შორის მარტოვი), არამედ კადეტები. რა შეადგენს ამ პარტიის ობიექტურად-ისტორიულ ამოცანას? ამ კითხვას მარქსისტებმა უნდა უპასუხონ, თუ მათ სურთ თავისი მოძღვრების ერთგულნი დარჩნენ. რეზოლუცია უპასუხებს: «რევოლუციის შეწყვეტა შავრაზმელი მემამულეებისა და თვითმპყრობელობისათვის მისაღებ (ვინაიდან კადეტები ემხრობიან ნებაყოფლობითს შეთანხმებას) დათმობათა გზით». კ. კაუტსკის ცნობილ ნაშრომში — «სოციალური რევოლუცია», კარგად იყო განმარტებული, რომ რეფორმა რევოლუციისაგან განსხვავდება ძალაუფლების შენარჩუნებით მჩაგვრელთა კლასის ხელში, რომელნიც ჩაგრულთა აჯანყებას ახშობენ მჩაგვრელ-

თათვის მ ი ს ა ღ ე ბ დათმობათა გზით ისე, რომ მჩაგვრელთა ძალაუფლება ა რ მ ო ი ს პ ო ს.

ლიბერალური ბურჟუაზიის ობიექტური ამოცანა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში სწორედ ასეთია: «ვონივრულ» დათმობათა ფასად შეინარჩუნოს მონარქია და მემამულეთა კლასი.

შეიძლება თუ არა ამ ამოცანის განხორციელება? ეს დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე. მარქსისტი ვერ იტყვის, რომ იგი უსათუოდ განუხორციელებელია. მაგრამ ბურჟუაზიული რევოლუციის ა ს ე თ ი შედეგი მოასწავებს: 1) ბურჟუაზიული საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების უმცირეს თავისუფლებას (რუსეთის ეკონომიური პროგრესი მემამულური მიწათმფლობელობის რევოლუციურად მოსპობის პირობებში შეუდარებლად უფრო ჩქარი იქნება, ვიდრე კადეტური გეგმის მიხედვით მისი გარდაქმნის დროს); 2) ხალხის მასის ძირითად საჭიროებათა დაუკმაყოფილებლობას და 3) მათი ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ი თ ჩახშობის აუცილებლობას. მასების ძალდატანებით ჩახშობის გარეშე კადეტური «მშვიდობიანი» კონსტიტუციური განვითარება გ ა ნ უ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ე ლ ი ა. ეს კარგად უნდა დავიხსომოთ და შევაგნებინოთ მასას. კადეტური «სოციალური მშვიდობა» — ეს არის მშვიდობა მემამულისა და მეფაბრიკისათვის, «მ შ ვ ი დ ო ბ ა» გლეხთა და მუშათა ჩ ა ხ შ ო ბ ი ლ ი აჯანყებისა.

სტოლიპინის სამხედრო-საველე რეპრესია და კადეტური «რეფორმები», — ერთი მჩაგვრელის ორი ხელია.

## II [61]

რვა დღე გავიდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ჩვენი პირველი სტატია ამ თემაზე, — და პოლიტიკურმა ცხოვრებამ წარმოშვა მთელი რიგი დიდი მოვლენები, რომლებმაც დაადასტურეს მაშინდელი ჩვენი ნათქვამი და უკვე «მომხდარი (თუ ახლა რომ ხდება?) ფ ა ქ ტ ი ს» ნათელი შუქი მოჰფინეს მაშინ აღძრულ მტკივნეულ საკითხებს.

კადეტების მარჯვნივ გადახრა უკვე გამოაშკარავდა სათათბიროში. როდიჩევების მიერ ზომიერების, სიფრთხილის, ლეგალობის, ხალხის დამშვიდების, აუღელვებლობის ქადაგებით სტოლიპინისათვის მხარის დაჭერა, — და სტოლიპინის მიერ როდიჩევისათვის მხარის დაჭერა, განთქმული «ყოველმხრივი» მხარის დაჭერა — დღეს ფაქტია[62].

ამ ფაქტმა ბრწყინვალედ დაადასტურა თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის ჩვენი ანალიზის სისწორე, ანალიზისა, რომელიც მოვახდინეთ მეორე სათათბიროს გ ა ხ ს ნ ა მ დ ე, 15 — 18 თებერვალს შედგენილ რეზოლუციების პროექტებში. ჩვენ არ ავყევით ც. კ.-ის წინადადებას, არ განვიხილეთ «უახლოესი პოლიტიკური ამოცანები», ჩვენ აღვნიშნეთ ამგვარი წინადადების სრული უსაფუძვლობა რევოლუციურ ეპოქაში, ჩვენ ეს საკითხი წუთიერი პოლიტიკის შესახებ შევცვალეთ საკითხით სოციალისტური პოლიტიკის საფუძვლების შესახებ ბურჟუაზიულ რევოლუციაში.

და რევოლუციური განვითარების ერთმა კვირამ სავსებით გაამართლა ჩვენი წინასწარხედვა.

წინა წერილში ჩვენ გავარჩიეთ ჩვენი რეზოლუციის პროექტის სამოტივო ნაწილი. ამ ნაწილის ცენტრალურ პუნქტს შეადგენდა იმის აღნიშვნა, რომ «ცენტრის» შესუსტებული პარტია, ე. ი. კადეტების ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტია, ცდილობს შეწყვიტოს რევოლუცია შავრაზმელი მემამულეებისა და თვითმპყრობელობისათვის მისაღებ დათმობათა საშუალებით.

შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ გუშინ პლეხანოვი და რსდმ პარტიის მემარჯვენე ფრთის მისი თანამოაზრეები ბოლშევიზმის ამ იდეას, — რომელსაც ჩვენ დაჟინებით ვიცავდით მთელი 1906 წლის განმავლობაში (და ადრეც, 1905 წლიდან, ბროშურის — «ორი ტაქტიკის» გამოსვლის დროიდან), — აცხადებდნენ ნახევრადფანტასტიკურ ვარაუდად, რომელიც ნაკარნახევია თითქოს ბუნტარული შეხედულებით ბურჟუაზიის როლზე ან, ყოველ შემთხვევაში, ნაადრევი გაფრთხილებით და სხვ.

დღეს ყველა ხედავს, რომ ჩვენ მართალნი ვიყავით. კადეტების «მისწრაფება» განხორციელებას იწყებს, — და ისეთი გაზეთიც კი, როგორიც არის «ტოვარიშჩი», რომელსაც თითქმის ყველაზე უფრო სძულდა ბოლშევიზმი კადეტების დაუნდობელი მხილებისათვის, შავრაზმულ მთავრობასთან კადეტების მოლაპარაკების შესახებ «რეჩის» მიერ უარყოფილი ხმების * გამო ამბობს: «კვამლი უცეცხლოდ არ იქნებაო».

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ მივესალმოთ «ბოლშევიკური კვირეულის» ამ განახლებას «ტოვარიშჩში». ჩვენ ისღა დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ისტორიამ დაადასტურა ყველა ჩვენი გაფრთხილება და ლოზუნგი, ისტორიამ გამომაჟღავნა მთელი თავქარიანობა (უკეთეს შემთხვევაში — თავქარიანობა) იმ «დემოკრატებისა» და, სამწუხაროდ, ზოგიერთი სოციალ-დემოკრატისაც კი, რომელთაც არ მოსწონდათ კადეტების წინააღმდეგ მიმართული ჩვენი კრიტიკა.

ვინ ამბობდა პირველი სათათბიროს დროს, რომ კადეტები ჩუმად ევაჭრებიან მთავრობას? — ბოლშევიკები. და მერე აღმოჩნდა, რომ ისეთი პირი, როგორიც არის ტრეპოვი, თურმე კადეტური სამინისტროს მომხრე იყო.

ვინ აწარმოებდა ყველაზე ენერგიულად მამხილებელ კამპანიას სტოლიპინთან მილიუკოვის 15 იანვრის ვიზიტის გამო

---

* ეს სტრიქონები უკვე დაწერილი იყო, როცა 13 მარტის «რეჩის» მოწინავე სტატიაში წავიკითხეთ შემდეგი: «როდესაც გამოქვეყნდება ზუსტი მონაცემები გასული წლის ივნისში კადეტებისა და მთავრობის ყბადაღებული მოლაპარაკების შესახებ, ჩვენი ქვეყანა შეიტყობს, რომ თუ კი შეიძლება კადეტებს რაიმე ვუსაყვედუროთ «ხალხისგან ფარულად» გამართული მოლაპარაკების გამო, ეს — მხოლოდ ის დაუთმობლობაა, რომელზედაც «როსსია»[63] ლაპარაკობს». დიახ, სწორედ მაშინ, «როდესაც გამოქვეყნდება»! ჯერჯერობით კი კადეტები, მიუხედავად მრავალი გამოწვევისა, არ აქვეყნებენ «ზუსტ მონაცემებს» არც 1906 წლის ივნისის მოლაპარაკებაზე არც 1907 წლის იანვრის მოლაპარაკებაზე (15 იანვარი — მილიუკოვის ვიზიტი სტოლიპინთან), არც 1907 წლის მარტის მოლაპარაკებაზე. და ხალხისგან ფარულად გამართული მოლაპარაკების ფაქტი ფაქტადვე რჩება.

მთავრობისა და ვითომდა სახალხო თავისუფლების პარტიის გახურებული საარჩევნო ბრძოლის (ვითომდა ბრძოლის) დროს? — ბოლშევიკები.

ვინ მოაგონა ვისაც ჯერ არს პეტერბურგის წინასაარჩევნო კრებებზე და მეორე სათათბიროს პირველ დღეებში (იხილე გაზეთი «ნოვი ლუჩ»), რომ 1906 წელს ორი მილიარდი ფრანკის სესხი დუბასოვებსა და კომპანიას ფაქტიურად მიეცა კადეტების არაპირდაპირი დახმარებით, იმ კადეტებისა, რომლებმაც უარყვეს კლემანსოს ფორმალური წინადადება პარტიის სახელით აშკარად გაელაშქრათ ამ სესხის წინააღმდეგ? — ბოლშევიკებმა.

ვინ დააყენა მეორე სათათბიროს წ ი ნ ა ხ ა ნ ს თანამიმდევარი (ე. ი. პროლეტარული) დემოკრატიზმის პოლიტიკის ქვაკუთხედად «კადეტების პოლიტიკის მ ო ღ ა ლ ა ტ უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი ს» მხილება? — ბოლშევიკებმა.

სულ მცირედი ნელი სიო იყო საჭირო, რომ ბუმბულივით გაფანტულიყო ყოველგვარი მითქმა-მოთქმა სათათბიროს სამინისტროს ან პასუხისმგებელი სამინისტროს მოთხოვნისათვის, ანდა საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი აღმასრულებელი ხელისუფლების დამორჩილების მოთხოვნისათვის მხარის დაჭერის შესახებ და სხვა. პლეხანოვის ოცნება — ეს ლოზუნგი გადამწყვეტი ბრძოლის სიგნალად ან მასების გათვითცნობიერების საშუალებად გადაექცია, გულკეთილი ფილისტერის ოცნებად-ღა დარჩა. ალბათ, დღეს ვეღარავინ დაიცავს სერიოზულად ასეთ ლოზუნგებს. ცხოვრებამ გამოააშკარავა, — ან, უკეთ, დაიწყო გამოაშკარავება, — რომ ნამდვილად აქ საქმე ეხება სრულიადაც არა «კონსტიტუციური საწყისის» უფრო სრულად და უფრო თანამიმდევრად გატარების «პრინციპს», არამედ სწორედ კ ა დ ე ტ ე ბ ი ს გ ა რ ი გ ებ ა ს რ ე ა ქ ც ი ა ს თ ა ნ. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ მართალი იყვნენ ისინი, ვინც ვითომდა პროგრესული ზოგადი პრინციპის ლიბერალურ გარეგნობაში ხედავდა და ააშკარავებდა იმ შეშინებული ლიბერალის ვიწრო კლასობრივ ინტერესებს,

რომელიც კარგი სიტყვებით ნათლავდა საზიზღარ და ბინძურ საქმეებს.

ამრიგად, ჩვენი პირველი რეზოლუციის დასკვნების სისწორე დადასტურდა გაცილებით უფრო მალე, ვიდრე ჩვენ ველოდით, და გაცილებით უკეთ: არა ლოგიკით, არამედ ისტორიით; არა სიტყვით, არამედ საქმით; არა სოციალ-დემოკრატთა დადგენილებებით, არამედ რევოლუციის მოვლენებით.

დასკვნა პირველი: «პოლიტიკური კრიზისი, რაც ჩვენს თვალწინ ვითარდება, წარმოადგენს არა კონსტიტუციურს, არამედ რევოლუციურ კრიზისს, რომელიც იწვევს პროლეტარიატისა და გლეხობის მასების უშუალო ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ».

დასკვნა მეორე, რომელიც პირველიდან უშუალოდ გამომდინარეობს: «ამიტომ მომავალი სათათბიროს კამპანია განხილულ და გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ როგორც ძალაუფლებისათვის ხალხის რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი».

რაში მდგომარეობს კონსტიტუციური და რევოლუციური კრიზისის განსხვავების დედაარსი? იმაში, რომ პირველი შეიძლება გადაწყდეს სახელმწიფოს არსებული ძირითადი კანონებისა და წესების ნიადაგზე, მეორე კი მოითხოვს ამ კანონებისა და ბატონყმური წესების დამსხვრევას. დღემდე იმ აზრს, რომელიც გამოთქმულია ჩვენს დასკვნებში, იზიარებდა მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატია განურჩევლად ფრაქციებისა.

მხოლოდ სულ ბოლო ხანებში მენშევიკთა შორის გაძლიერდა მიმდინარეობა, რომელიც იხრება პირდაპირ საწინააღმდეგო შეხედულებისაკენ, იმისაკენ, რომ უკუვაგდოთ ყოველგვარი ფიქრი რევოლუციურ ბრძოლაზე, დავრჩეთ არსებული «კონსტიტუციის» ფარგლებში და ვიმოქმედოთ მის ნიადაგზე. აი საყურადღებო მუხლები რეზოლუციის იმ პროექტისა სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ, რომელიც შედგენილია «ამხანაგების დანის, კოლცოვის, მარტინოვის, მარტოვის, ნეგორევისა და სხვათა მიერ

პრაქტიკოსთა ჯგუფის მონაწილეობით» და რომელიც დაბეჭ-
დილია «რუსსკაია ჟიზნის» 47-ე ნომერში * (არის აგრეთვე
გამოცემა ცალკე ფურცლის სახით):

«... 2) რუსეთის რევოლუციაში ცენტრალურ ადგილას
წამოჭრილი ამოცანა, ძალაუფლებისათვის უშუალო ბრძოლის
ამოცანა საზოგადოებრივ ძალთა (?) ახლანდელი თანაფარდო-
ბის დროს, უმთავრესად, სახალხო წარმომადგენლობისა-
თვის (?) ბრძოლის საკითხით (?) ამოიწურება (?);

...3) მეორე სათათბიროს არჩევნებმა, რომლებმაც რევო-
ლუციის თანამიმდევარ (?) მომხრეთა მნიშვნელოვანი რაოდე-
ნობა მოგვცეს, დაგვანახეს, რომ ხალხის მასებში მწიფდება
ძალაუფლებისათვის ამ (?) ბრძოლის აუცილებლობის შეგ-
ნება»...

ეს მუხლები თუმცა ძალიან აბნეულად და ორაზროვნად
არის გამოთქმული, მაგრამ ტენდენცია მაინც ნათლად ჩანს:
ძალაუფლებისათვის პროლეტარიატისა და გლეხობის რევო-
ლუციური ბრძოლის ნაცვლად მუშათა პარტიის ამოცანად
დ ა ს ა ხ ო ნ მ ხ ო ლ ო დ ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ბრძოლა ა ხ-
ლ ა ნ დ ე ლ ი სახალხო წარმომადგენლობისათვის ან ამ წარ-
მომადგენლობის ნიადაგზე. დაგვრჩენია დაველოდოთ, მართ-
ლა ყველა მენშევიკი აღიარებს ამჟამად, ან პარტიის მეხუთე
ყრილობაზე, საკითხის ამგვარ დაყენებას თუ არა.

ყოველ შემთხვევაში, კადეტების მარჯვნივ გადახრა და
სტოლიპინის მიერ მათი «ყოველმხრივ» მოწონება მალე აიძუ-
ლებს ჩვენი პარტიის მემარჯვენე ფრთას პირდაპირ დასვას
საკითხი: ან განაგრძოს კადეტებისათვის მხარის დაჭერის პო-
ლიტიკა და, ამრიგად, საბოლოოდ დაადგეს ოპორტუნიზმის
გზას, ანდა სრულიად უარყოს კადეტებისათვის მხარის დაჭე-
რა და მიიღოს პროლეტარიატის სოციალისტური დამოუკი-
დებლობის პოლიტიკა და კადეტების გავლენისა და ჰეგემონ-
ნიისაგან დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიის განთავისუფ-
ლებისათვის ბრძოლის პოლიტიკა.

* 1907 წ. 24 თებერვალს.

ჩვენი რეზოლუციის მესამე დასკვნა ამბობს: «სოციალ-დემოკრატიას, როგორც მოწინავე კლასის პარტიას, არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია დღეს მხარი დაუჭიროს კადეტურ პოლიტიკას საზოგადოდ და კადეტურ სამინისტროს კერძოდ. სოციალ-დემოკრატიამ ყოველი ძალღონე უნდა იხმაროს, რომ მასების წინაშე გამოააშკარაოს ამ პოლიტიკის მოღალატური ხასიათი; განუმარტოს მასებს მათ წინაშე მდგომი რევოლუციური ამოცანები; დაუმტკიცოს მათ, რომ მხოლოდ მასების მაღალი შეგნებისა და მტკიცე შეკავშირების საშუალებით შეიძლება თვითმპყრობელობის შესაძლო დათმობები მოტყუებისა და გარყვნის იარაღის ნაცვლად რევოლუციის შემდგომი განვითარების იარაღად იქცეს».

ჩვენ საზოგადოდ არ უარვყოფთ ნაწილობრივ დათმობათა შესაძლებლობას და აღთქმას არ ვდებთ, რომ არ გამოვიყენებთ მათ. რეზოლუციის ტექსტი ამის შესახებ არავითარ ეჭვს არ სტოვებს. შესაძლებელია აგრეთვე, რომ კადეტური სამინისტროც რაიმე მხრივ მიეკუთვნოს «თვითმპყრობელობის დათმობათა» კატეგორიას. მაგრამ მუშათა კლასის პარტიამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი უარს არ ამბობს «გადასახლელის ნაწილ-ნაწილად» მიღებაზე (ენგელსის გამოთქმაა) [64], არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს საქმის მეორე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ლიბერალებისა და ოპორტუნისტების მიერ განსაკუთრებით ხშირად დავიწყებული მხარე, სახელდობრ: «დათმობათა», როგორც მ ო ტ ყ უ ე ბ ი ს ა დ ა გ ა რ ყ ვ ნ ი ს ი ა რ ა ღ ი ს, როლი.

სოციალ-დემოკრატი, თუ მას არ უნდა ბურჟუაზიულ რეფორმისტად გადაიქცეს, ამ მხარეს ვერ დაივიწყებს. მენშევიკები მიუტევებლად ივიწყებენ მას, როცა ზემოხსენებულ რეზოლუციაში ამბობენ:... «სოციალ-დემოკრატია მხარს დაუჭერს სათათბიროს ყ ვ ე ლ ა ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ს აღმასრულებელი ხელისუფლების დასამორჩილებლადო»... სახელმწიფო სათათბიროს ღონისძიება — ეს სათათბიროს უმრავლესობის ღონისძიებას ნიშნავს. სათათბიროს უმრავლესობა, როგორც უკვე გამოცდილებამ გვიჩვენა, შეიძლება შესდგეს მემარჯვე-

ნეებისა და კადეტებისაგან მემარცხენეთა წინააღმდეგ. ამგვარი უმრავლესობის «ღონისძიებას» შეუძლია დაიმორჩილოს «აღმასრულებელი ხელისუფლება» ისე, რომ გააუარესოს ხალხის მდგომარეობა ან აშკარად მოატყუოს იგი.

იმედი ვიქონიოთ, რომ მენშევიკებმა აქ მხოლოდ გადააჭარბეს: ახლანდელი სათათბიროს უმრავლესობის ყველა ღონისძიებას აღნიშნული მიმართულებით ისინი მხარს არ დაუჭერენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, მაინც დამახასიათებელია, რომ ასეთი ფორმულირების მიღება შეეძლოთ მენშევიზმის გამოჩენილ ბელადებს.

კადეტების მარჯვნივ გადახრა აიძულებს ფაქტიურად ყველა სოციალ-დემოკრატს, განურჩევლად ფრაქციისა, მიიღოს კადეტებისათვის მხარის დაჭერაზე უარისთქმის პოლიტიკა, მათი გამცემლობის მხილების პოლიტიკა, მუშათა კლასის დამოუკიდებელი და თანამიმდევარი რევოლუციური პარტიის პოლიტიკა.

«პროლეტარი» №№ 14 და 15,
1907 წ. 4 და 25 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის»
ტექსტის მიხედვით

# როგორ არ უნდა იწერებოდეს რეზოლუციები[65]

1

დაწერილია 1907 წ. 19 მარტს
(1 აპრილს)
დაიბეჭდა 1907 წ. კრებულში:
«ტაქტიკის საკითხები» II. გამომც.
«სოვაია დუმა», ს.-პეტერბურგი.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება კრებულის ტექსტის
მიხედვით

არ შეიძლება მადლობა არ გადავუხადოთ ამხ. მენშევიკებს იმის გამო, რომ «რუსსკაია ჟიზნის» 47-ე ნომერში (24 თებერვალს) გამოაქვეყნეს რეზოლუციის პირველი პროექტი (შემუშავებული ამხანაგების—დანის, კოლცოვის, მარტინოვის, მარტოვის, ნეგორევისა და სხვების მიერ პრაქტიკოსთა ჯგუფის მონაწილეობით). (არის აგრეთვე გამოცემა ცალკე ფურცლად). პარტიული ყრილობისათვის სერიოზულად მოსამზადებლად საჭიროა რეზოლუციების პროექტთა წინასწარ დაბეჭდვა და მათი საფუძვლიანად განხილვა.

რეზოლუცია შეეხება სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულებას.

მუხლი 1-ლი:

«ამჟამად, შვიდი თვის ბატონობის შემდეგ ყველაზე აღვირახსნილი დიქტატურისა, რომელიც ტერორიზებული ხალხის მასების შეკავშირებულ წინააღმდეგობას არ წაწყდომია, სახელმწიფო სათათბიროს საქმიანობამ, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისადმი ამ მასების ყურადღების გაძლიერებით, შეიძლება და კიდევაც უნდა შეუწყოს ხელი მასების მობილიზაციას და მათი პოლიტიკური აქტივობის განვითარებას».

რის თქმა უნდოდათ ამით? იმისა, რომ სჯობს სათათბირო, ვიდრე უსათათბიროდ დარჩენა? თუ ეს იმის შესავალია, რომ საჭიროა «გავუფრთხილდეთ სათათბიროს»? ეტყობა, ავტორების აზრი სწორედ ასეთია. მაგრამ ის გამოთქმული არ არის. მასზე მხოლოდ ნართაულად არის ნათქვამი. ნართაულებით რეზოლუციის წერა არ შეიძლება.

მუხლი მე-2:

«რუსეთის რევოლუციაში ცენტრალურ ადგილას აღმართული (ალბათ, ბეჭდვის შეცდომაა; უნდა იყოს: წამოჭრილი) ამოცანა ძალაუფლებისათვის

უშუალო ბრძოლისა საზოგადოებრივ ძალთა ახლანდელი თანაფარდობის დროს, უმთავრესად, სახალხო წარმომადგენლობისათვის ბრძოლის საკითხით ამოიწურება».

ამ მუხლმა ტყუილ-უბრალოდ როდი დაიმსახურა «რეჩის» ქება-დიდება (27 თებერვლის მოწინავე! «რუსეთის სოციალ-დემოკრატიისათვის ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯია»... «პოლიტიკური შეგნების წარმატებაა»). ეს, მართლაცდა, პირდაპირ უცნაური მუხლია.

როგორ შეიძლება ძალაუფლებისათვის ბრძოლის ამოცანა «წარმომადგენლობისათვის ბრძოლის» საკითხით ამოიწუროს?! რას ნიშნავს «სახალხო წარმომადგენლობისათვის ბრძოლა»?? როგორია ეს «საზოგადოებრივ ძალთა ახლანდელი თანაფარდობა»?? წინა მუხლში მხოლოდ ის იყო ნათქვამი, რომ «ყველაზე აღვირახსნილი დიქტატურის შვიდი თვის ბატონობა არ წაწყდომია ტერორიზებული ხალხის მასების შეკავშირებულ წინააღმდეგობას». ნუთუ ის გარემოება, რომ მასებს 7 თვის განმავლობაში შეკავშირებული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მაშინ როდესაც ადგილი ჰქონდა მასების აშკარა და უდიდეს გამემარცხენებას, რამაც ამ შვიდი თვის დასასრულს თავი იჩინა არჩევნების დროს, რასმე მეტყველებს «საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობაზე»??

ეს — პოლიტიკური აზრის რაღაც თითქმის წარმოუდგენელი ბუნდოვანებაა.

საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობა უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში აშკარად შეიცვალა იმ მხრივ, რომ დასუსტდა «ცენტრი», დასუსტდნენ ლიბერალები; განმტკიცდნენ და გაძლიერდნენ უკიდურესობანი: შავრაზმელები და «მემარცხენეები». მეორე სათათბიროს არჩევნებმა ეს უდავოდ დაადასტურა. მაშასადამე, საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობა პოლიტიკურ (და აგრეთვე ეკონომიურ: ლოკაუტები, შიმშილობა და სხვ.) წინააღმდეგობათა გამწვავების შედეგად უფრო რევოლუციური გახდა. რა სასწაულით უნდა მისულიყვნენ ჩვენებური

მენშევიკები საწინააღმდეგო დასკვნამდე, რომელმაც ისინი აიძულა რევოლუციური ამოცანები («ძალაუფლებისათვის ბრძოლა») შეასუსტონ და ისინი რაღაც ლიბერალური ამოცანებით («სახალხო წარმომადგენლობისათვის ბრძოლა») ამოწურონ?

«აღვირახსნილი დიქტატურა» და მემარცხენე სათათბირო, — ცხადია, რომ აქედან საწინააღმდეგო დასკვნა გამომდინარეობს: სახალხო წარმომადგენლობის ნიადაგზე ბრძოლისა ან მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლის ლიბერალური ამოცანა მეშჩანური უტოპიაა, რადგან ობიექტური პირობების გამო ასეთი ამოცანის შესრულება შეუძლებელია ისე, თუ «ძალაუფლებისათვის უშუალო ბრძოლა» არ ვაწარმოეთ.

მენშევიკური პოლიტიკური აზროვნება მოძრაობს კიბოს მსგავსად.

მეორე მუხლიდან გამომდინარე დასკვნა: მენშევიკები რევოლუციური სოციალ-დემოკრატების პოზიციას ასცდნენ და ლიბერალების პოზიციაზე დადგნენ. მეორე მუხლის დასკვნითი «ბუნდოვანობა» («სახალხო წარმომადგენლობისათვის ბრძოლა») ნამდვილად გამოხატავს ლიბერალური ბურჟუაზიის იდეას, ბურჟუაზიისა, რომელიც რევოლუციით თავის «ტერორიზებას» «ხალხის მასების ტერორიზებად» აცხადებს და ამ საბაბით ჩქარობს ხელი აიღოს რევოლუციურ ბრძოლაზე («ძალაუფლებისათვის უშუალო ბრძოლა») ვითომდა ლეგალური ბრძოლის («სახალხო წარმომადგენლობისათვის ბრძოლა») სასარგებლოდ. სტოლიპინი, ალბათ, მალე ასწავლის მენშევიკებს, თუ რას ნიშნავს «საზოგადოებრივ ძალთა ახლანდელი თანაფარდობის დროს» «სახალხო წარმომადგენლობისათვის ბრძოლა»!

მუხლი მე-3:

«მე-2 სათათბიროს არჩევნებმა, რომელმაც რევოლუციის თანამიმდევარ მომხრეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მოგვცა, დაგვანახა, რომ ხალხის მასებში მწიფდება ძალაუფლებისათვის ამ ბრძოლის აუცილებლობის შეგნება».

უშუალო ბრძოლისა საზოგადოებრივ ძალთა ახლანდელი თანაფარდობის დროს, უმთავრესად, სახალხო წარმომადგენლობისათვის ბრძოლის საკითხით ამოიწურება».

ამ მუხლმა ტყუილ-უბრალოდ როდი დაიმსახურა «რეჩის» ქება-დიდება (27 თებერვლის მოწინავე! «რუსეთის სოციალ-დემოკრატიისათვის ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯია»... «პოლიტიკური შეგნების წარმატებაა»). ეს, მართლაცდა, პირდაპირ უცნაური მუხლია.

როგორ შეიძლება ძალაუფლებისათვის ბრძოლის ამოცანა «წარმომადგენლობისათვის ბრძოლის» საკითხით ამოიწუროს?! რას ნიშნავს «სახალხო წარმომადგენლობისათვის ბრძოლა»?? როგორია ეს «საზოგადოებრივ ძალთა ახლანდელი თანაფარდობა»?? წინა მუხლში მხოლოდ ის იყო ნათქვამი, რომ «ყველაზე აღვირახსნილი დიქტატურის შვიდი თვის ბატონობა არ წაწყდომია ტერორიზებული ხალხის მასების შეკავშირებულ წინააღმდეგობას». ნუთუ ის გარემოება, რომ მასებს 7 თვის განმავლობაში შეკავშირებული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მაშინ როდესაც ადგილი ჰქონდა მასების აშკარა და უდიდეს გამემარცხენებას, რამაც ამ შვიდი თვის დასასრულს თავი იჩინა არჩევნების დროს, რასმე მეტყველებს «საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობაზე»??

ეს — პოლიტიკური აზრის რაღაც თითქმის წარმოუდგენელი ბუნდოვანებაა.

საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობა უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში აშკარად შეიცვალა იმ მხრივ, რომ დასუსტდა «ცენტრი», დასუსტდნენ ლიბერალები; განმტკიცდნენ და გაძლიერდნენ უკიდურესობანი: შავრაზმელები და «მემარცხენეები». მეორე სათათბიროს არჩევნებმა ეს უდავოდ დაადასტურა. მაშასადამე, საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობა პოლიტიკურ (და აგრეთვე ეკონომიურ: ლოკაუტები, შიმშილობა და სხვ.) წინააღმდეგობათა გამწვავების შედეგად უფრო რევოლუციური გახდა. რა სასწაულით უნდა მისულიყვნენ ჩვენებური

მენშევიკები საწინააღმდეგო დასკვნამდე, რომელმაც ისინი აიძულა რევოლუციური ამოცანები («ძალაუფლებისათვის ბრძოლა») შეასუსტონ და ისინი რაღაც ლიბერალური ამოცანებით («სახალხო წარმომადგენლობისათვის ბრძოლა») ამოწურონ?

«აღვირახსნილი დიქტატურა» და მემარცხენე სათათბირო, — ცხადია, რომ აქედან საწინააღმდეგო დასკვნა გამომდინარეობს: სახალხო წარმომადგენლობის ნიადაგზე ბრძოლისა ან მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლის ლიბერალური ამოცანა მეშჩანური უტოპიაა, რადგან ობიექტური პირობების გამო ასეთი ამოცანის შესრულება შეუძლებელია ისე, თუ «ძალაუფლებისათვის უშუალო ბრძოლა» არ ვაწარმოეთ.

მენშევიკური პოლიტიკური აზროვნება მოძრაობს კიბოს მსგავსად.

მეორე მუხლიდან გამომდინარე დასკვნა: მენშევიკები რევოლუციური სოციალ-დემოკრატების პოზიციას ასცდნენ და ლიბერალების პოზიციაზე დადგნენ. მეორე მუხლის დასკვნითი «ბუნდოვანობა» («სახალხო წარმომადგენლობისათვის ბრძოლა») ნამდვილად გამოხატავს ლიბერალური ბურჟუაზიის იდეას, ბურჟუაზიისა, რომელიც რევოლუციით თავის «ტერორიზებას» «ხალხის მასების ტერორიზებად» აცხადებს და ამ საბაბით ჩქარობს ხელი აიღოს რევოლუციურ ბრძოლაზე («ძალაუფლებისათვის უშუალო ბრძოლა») ვითომდა ლეგალური ბრძოლის («სახალხო წარმომადგენლობისათვის ბრძოლა») სასარგებლოდ. სტოლიპინი, ალბათ, მალე ასწავლის მენშევიკებს, თუ რას ნიშნავს «საზოგადოებრივ ძალთა ახლანდელი თანაფარდობის დროს» «სახალხო წარმომადგენლობისათვის ბრძოლა»!

მუხლი მე-3:

«მე-2 სათათბიროს არჩევნებმა, რომელმაც რევოლუციის თანამიმდევარ მომხრეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მოგვცა, დაგვანახა, რომ ხალხის მასებში მწიფდება ძალაუფლებისათვის ამ ბრძოლის აუცილებლობის შეგნება».

«დასკვნა სიმპათიურია», თქმა არ უნდა. მაგრამ ლოგიკა ისევ მოიკოჭლებს. ამ მუხლით ამთავრებენ მენშევიკები რეზოლუციის მთელ სამოტივო ნაწილს. ამ საკითხზე ისინი რეზოლუციაში საზოგადოდ მეტს არაფერს ამბობენ. და დასკვნაც კოჭლი გამოდის.

თუ «რევოლუციის თანამიმდევარი მომხრენი» სათათბიროში შეადგენენ არა უმრავლესობას, არამედ მხოლოდ «მნიშვნელოვან რაოდენობას» (როგორც ამბობს — და სავსებით მართებულად ამბობს — მე-3 მუხლი), მაშინ ცხადია, რომ არიან კიდევ რევოლუციის მოწინააღმდეგენიც და რევოლუციის არათანამიმდევარი მომხრენიც. მაშასადამე, არის «შესაძლებლობა», რომ სათათბირო მთლიანად «გახდეს ნამდვილი ცენტრი» არათანამიმდევარი დემოკრატიული პოლიტიკისა და სრულიადაც არა «თავისუფლებისა და ძალაუფლებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლისა».

ამ შემთხვევაში ორიდან ერთ-ერთი რამ მოხდება: (1) ან ამ დაწესებულებისადმი ხალხის მასების ნდობა კი არ გადიდდებოდა და განმტკიცდებოდა, არამედ შემცირდებოდა და შესუსტდებოდა. (2) ან ხალხის მასების პოლიტიკური შეგნება გაირყვნებოდა იმის გამო, რომ რევოლუციის არათანამიმდევარ მომხრეთა პოლიტიკას მასები აღიქვამდნენ, როგორც თანამიმდევარ დემოკრატიულ პოლიტიკას.

აქედან სავსებით ნათელია, რომ მენშევიკების მიერ წამოყენებული წანამძღვრებიდან გარდუვალად გამომდინარეობს მათ მიერ რატომღაც გამოტოვებული დასკვნა: პროლეტარიატის, როგორც რევოლუციის თანამიმდევარი მომხრის პარტია განუხრელად უნდა ცდილობდეს მიაღწიოს იმას, რომ რევოლუციის მომხრენი, არა მთლად თანამიმდევარნი (მაგალითად, ტრუდოვიკები), მიჰყვებოდნენ მუშათა კლასს რევოლუციის არათანამიმდევარ მომხრეთა წინააღმდეგ და განსაკუთრებით რევოლუციის შეწყვეტის აშკარა მომხრეთა (მაგალითად, კადეტების) წინააღმდეგ.

მენშევიკების რეზოლუციაში ამ დასკვნის უქონლობა იმას იწვევს, რომ მათ უთავბოლობა გამოუდით. გამოდის, რომ რ ა დ გ ა ნ სათათბიროში «რევოლუციის თანამიმდევარი მომხრეები» მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან, ამიტომ ხმა უნდა მივცეთ... რევოლუციის შეწყვეტის აშკარა მომხრის სასარგებლოდ!

ძალიან ცუდად გამოდის, ამხანაგებო!

განსახილველი რეზოლუციის დასკვნითი ნაწილი ამბობს (ვიღებთ მუხლობრივ) შემდეგს:

«სოციალ-დემოკრატია, იმით, რომ იგი ააშკარავებს ილუზიურ წარმოდგენებს სახელმწიფო სათათბიროზე, როგორც თითქოს ნამდვილ საკანონმდებლო დაწესებულებაზე, განუმარტავს ხალხის მასებს, ერთი მხრივ, სათათბიროს ჭეშმარიტ ხასიათს, სათათბიროსი, რომელიც ფაქტიურად კანონსათათბირო დაწესებულებას წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, იმის შესაძლებლობასა და აუცილებლობას, რომ გამოყენებულ იქნას ეს დაწესებულება, რაგინდ არასრულყოფილიც იყოს ის, ხალხის ძალაუფლებისათვის შემდგომი ბრძოლის მიზნით, მონაწილეობას იღებს სათათბიროს საკანონმდებლო მუშაობაში და თანაც ხელმძღვანელობს შემდეგი დებულებებით:»...

ეს არის იმ აზრის უფრო მ კ რ თ ა ლ ა დ გამოთქმა, რომელიც უ ფ რ ო ნ ა თ ლ ა დ გამოთქმულია მე-4 (გამაერთიანებელი) ყრილობის რეზოლუციის იმ სიტყვებით, რომ საჭიროა სათათბირო «გადავაქციოთ» «რევოლუციის იარაღად», რომ მასები მივიყვანოთ «სათათბიროს სრული უვარგისობის» შეგნებამდე და სხვ.

...«I ა) სოციალ-დემოკრატია აკრიტიკებს, ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის ინტერესებისა და თანამიმდევარი დემოკრატიზმის თვალსაზრისით, ყველა არაპროლეტარული პარტიის წინადადებებსა და კანონპროექტებს და მათ უპირისპირებს თავის მოთხოვნებსა და წინადადებებს, ამასთან ამ მუშაობის დროს უახლოეს პოლიტიკურ ამოცანებს აკავშირებს პროლეტარული მასების სოციალურ-ეკონომიურ საჭიროებებთან და ყველა სახის მუშათა მოძრაობის მოთხოვნილებებთან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. როცა ამას გარემოება მოითხოვს, სოციალ-დემოკრატია მჭარს უჭერს, როგორც ნაკლებ ბოროტებას, სხვა პარტიათა იმ კანონპროექტებს, რომლებიც, თუ ისინი განხორციელდება, შეიძლება ხალხის

მასების ხელში ნამდვილი დემოკრატიული თავისუფლების მოპოვებისათვის რევოლუციური ბრძოლის იარაღი გახდნენ»...

ამ შენიშვნაში ის აზრია გამოთქმული, რომ სოციალ-დემოკრატიამ აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღოს ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ-რ ე ფ ო რ მ ა ტ ო რ უ ლ მუშაობაში სათათბიროს ნიადაგზე. ნაადრევი ხომ არ არის, ამხანაგებო? განა თქვენ თვითონ არ ლაპარაკობდით, რომ სათათბიროს ნამდვილ საკანონმდებლო დაწესებულებად წარმოდგენა ილუზიაა? თქვენ გინდათ მხარი დაუჭიროთ ი ს ე თ ბურჟუაზიულ კანონპროექტებს, რომლებმაც, თ უ ი ს ი ნ ი გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ა, შეიძლება სარგებლობა მოიტანონ შემდგომ ბრძოლაში.

ჩაუფიქრდით ამ პირობას: «თუ ისინი განხორციელდება». თქვენი მხარის დაჭერის მიზანია ხელი შეუწყოთ «ნაკლები ბოროტების» განხორციელებას. მაგრამ ახორციელებს არა სათათბირო, არამედ სათათბირო პლუს სახელმწიფო საბჭო პლუს უმაღლესი ხელისუფლება! მაშასადამე, ა რ ა ვ ი თ ა რ ი გარანტია ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს, რომ თქვენი მხარის დაჭერით ხელს შეუწყობთ «ნაკლები ბოროტების» განხორციელებას. ხოლო «ნაკლები ბოროტებისათვის» მხარის დაჭერით, მის სასარგებლოდ ხმის მიცემით თქვენ, უეჭველია, პ ი რ ა დ ა დ თქვენს თავს, პროლეტარულ პარტიას, აკისრებთ პასუხისმგებლობის ნაწილს ორჭოფული ბურჟუაზიული რეფორმატორობისათვის, სათათბიროს არსებითად კ ო მ ე დ ი ა ნ ტ უ რ ი საკანონმდებლო მუშაობისათვის, რომელიც თქვენ თვითონაც კომედიანტურ მუშაობად მიიჩნიეთ!

მ ა შ რ ი ს თ ვ ი ს ღ ა უნდა მოხდეს ეს სახიფათო «მხარის დაჭერა»? ის შეიცავს მასების რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი შეგნების შესუსტების უ შ უ ა ლ ო საფრთხეს, შეგნებისა, რომელსაც თქვენ თვითონ მიმართავთ, ხოლო «მხარის დაჭერის» პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი სარგებლობა კი «ილუზორულია»!

თქვენ რეზოლუციებს წერთ არა რეფორმატორული მუშაობის შესახებ ს ა ზ ო გ ა დ ო დ (მაშინ მხოლოდ იმის

თქმა იქნებოდა საჭირო, რომ სოციალ-დემოკრატები ასეთ მუშაობაზე ხელს არ იღებენ), არამედ მ ე ო რ ე  ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს შესახებ. თქვენ უკვე თქვით, რომ ა მ სათათბიროში არის «რევოლუციის თანამიმდევარ მომხრეთა» მნიშვნელოვანი რიცხვი. მაშასადამე, თქვენ გულისხმობთ სათათბიროს უ კ ვ ე  გ ა მ ო რ კ ვ ე უ ლ პარტიულ შემადგენლობას. ეს ფაქტია. თქვენ იცით, რომ ამ სათათბიროში არიან არა მარტო «რევოლუციის თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ ა რ ი* მომხრენი», არამედ «რეფორმების არათანამიმდევარი მომხრენიც», არა მარტო მემარცხენეები და ტრუდოვიკები, არამედ კადეტებიც, ამასთან უკანასკნელნი თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ მემარჯვენეებზე ძლიერნი არიან (კადეტები და მათი მომხრენი, მათ შორის ნაროდოვცებიც, დაახლოებით 150-ს შეადგენენ, წინააღმდეგ 100 მემარჯვენისა). სათათბიროში შექმნილი ასეთი ვითარების პირობებში «ნაკლები ბოროტების» განსახორციელებლად თქვენ ა რ გ ჭ ი რ დ ე ბ ა თ მხარი დაუჭიროთ მას, თქვენთვის საკმარისია თ ა ვ ი შ ე ი კ ა ვ ო თ «რეფორმების არათანამიმდევარ მომხრეებთან» რეაქციის ბრძოლის დროს. ამასთანავე პრაქტიკული შედეგი (კანონპროექტების განხორციელების აზრით) იგივე იქნება, იდეურ-პოლიტიკურად კი, უეჭველია, თქვენ მოიგებთ თქვენი პოზიციის, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის პარტიის პოზიციის მთლიანობას, სიწმინდეს, სიმტკიცესა და რწმენას.

განა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატს შეუძლია ეს გარემოება უგულებელყოს?

მენშევიკები ზედა ფენებს შესცქერიან, ნაცვლად იმისა, რომ ქვედა ფენებს უყურებდნენ. ისინი უფრო შესცქერიან «ნაკლები ბოროტების» განხორციელების შესაძლებლობას რეაქციასთან «რეფორმის არათანამიმდევარი მომხრეების» გარიგების გზით (ვინაიდან კანონპროექტების განხორციელების ნამდვილი მნიშვნელობა სწორედ ასეთია), ვიდრე შეგნებისა

* მკითხველს ვთხოვ ყოველთვის მხედველობაში ჰქონდეს ამ სიტყვის ჩემ მიერ ზემოთ გაკეთებული შესწორების აუცილებლობა.

და ბრძოლის უნარის განვითარებას «რევოლუციის თანამიმდევარ მომხრეთა» შორის, რომლებიც სათათბიროში, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, «მნიშვნელოვანი რაოდენობით» არიან. მენშევიკები თვითონაც შესცქერიან და ხალხსაც აჩვევენ შესცქეროდეს კადეტების შეთანხმებას თვითმპყრობელობასთან («ნაკლები ბოროტების», რეფორმების განხორციელება) და არა «რევოლუციის» ცოტად თუ ბევრად «თანამიმდევარ მომხრეთა» მიმართვას მასისადმი. ეს პროლეტარული კი არა, ლიბერალური პოლიტიკაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვიერად აცხადებდე სათათბიროს საკანონმდებლო უფლებების ილუზორობას, საქმით კი ხალხში განამტკიცებდე სათათბიროს მეშვეობით საკანონმდებლო რეფორმების რწმენას და ასუსტებდე რევოლუციური ბრძოლის რწმენას.

უფრო თანამიმდევრად და პატიოსნად მოიქეცით, ამხანაგო მენშევიკებო! თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ რევოლუცია დამთავრდა, თუ თქვენი ამ (იქნებ, მეცნიერული გზით მიღებული?) რწმენიდან რევოლუციის რწმენის უქონლობა გამომდინარეობს, მაშინ რევოლუციაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, მაშინ თქვენი უშუალო ამოცანები რეფორმებისათვის ბრძოლით უნდა ამოსწუროთ.

ხოლო თუ თქვენ გწამთ ის, რასაც ამბობთ, თუ თქვენ მეორე სათათბიროს დეპუტატთა «მნიშვნელოვან რაოდენობას» ნამდვილად თვლით «რევოლუციის თანამიმდევარ მომხრეებად», მაშინ პირველ რიგში უნდა დააყენოთ არა რეფორმებისათვის მხარის დაჭერა (პრაქტიკულად უმაქნისო, იდეურად საზიანო მხარის დაჭერა), არამედ ამ მომხრეთა რევოლუციური შეგნების გაღვიძება, პროლეტარიატის ზეგავლენის საშუალებით მათი რევოლუციური შეკავშირებისა და გამბედაობის განმტკიცება.

თორემ თქვენ ხომ საშინელი ულოგიკობა და დომხალი გამოგიდით. რევოლუციის განვითარების გულისათვის მუშათა პარტია არც ერთი სიტყვით

არ განსაზღვრავს თავის ამოცანებს «რევოლუციის» ცოტად თუ ბევრად «თანამიმდევარ მომხრეთა» მიმართ, მაგრამ სამაგიეროდ საგანგებო შენიშვნას უთმობს «ნაკლები ბოროტებისათვის», რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ს არათანამიმდევარი მომხრეებისათვის მხარის დაჭერის ამოცანას!

«შენიშვნა» უნდა გადაკეთებულიყო დაახლოებით ასე: «იმის გამო, რომ სათათბიროში არის რევოლუციის ცოტად თუ ბევრად თანამიმდევარ მომხრეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, სოციალ-დემოკრატებმა სათათბიროში იმ კანონპროექტების განხილვის დროს, რომელთა განხორციელებაც უნდათ რეფორმების არათანამიმდევარ მომხრეებს, უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ კანონპროექტების ორჭოფობისა და არასაიმედობის კრიტიკას, რეაქციასთან ლიბერალების შეთანხმებას, რასაც ეს კანონპროექტები შეიცავენ, რევოლუციის ცოტად თუ ბევრად თანამიმდევარი მომხრეებისათვის გადამწყვეტი და ულმობელი რევოლუციური ბრძოლის აუცილებლობის გარკვევას. ხოლო ისეთი კანონპროექტების კენჭისყრის დროს, რომლებიც ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენენ, სოციალ-დემოკრატები თავს იკავებენ და საშუალებას აძლევენ ლიბერალებს, რომ მარტო მათ «დაამარცხონ» რეაქცია ქალალდზე და პასუხი აგონ ხალხის წინაშე «ლიბერალური» რეფორმების განხორციელებისათვის თვითმპყრობელობის დროს».

...«ბ) სოციალ-დემოკრატია როგორც სხვადასხვა კანონპროექტის, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვას იყენებს იმისათვის, რომ გამოააშკარაოს, არა მარტო უარყოფითი მხარეები არსებული რეჟიმისა, არამედ ყველა კლასობრივი წინააღმდეგობაც ბურჟუაზიული საზოგადოებისა».

ძალიან კარგი მიზანია. იმისათვის, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი წინააღმდეგობანი გამოვააშკარაოთ, საჭიროა პარტიები დავიყვანოთ კლასებამდე. საჭიროა ვებრძოლოთ სათათბიროში «უპარტიო», «ერთიანი» «ოპოზიციის» სულისკვეთებას და ულმობლად გ ა მ ო ვ ა ა შ კ ა რ ა ო თ კლასობრივი შეზღუდულობა, მაგალითად, იმავე კადეტებისა,

რომლებიც ყველაზე მეტად იჩემებენ «კლასობრივ წინააღმდეგობათა» მიჩქმალვას ვითომდა «სახალხო თავისუფლების» სახელწოდების მეშვეობით.

ვისურვოთ, რომ მენშევიკები არა მხოლოდ ლაპარაკობდნენ ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივ წინააღმდეგობათა (და «არა მარტო» თვითმპყრობელობის სისაძაგლეთა) გამოააშკარავებაზე, არამედ საქმითაც აკეთებდნენ ამას...

...«ბ) ბიუჯეტის საკითხში სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს პრინციპით: «არც ერთი კაპიკი — არაპასუხისმგებელ მთავრობას»...

ჩინებული პრინციპია, რომელიც სავსებით კარგი იქნებოდა, «არაპასუხისმგებელის» ნაცვლად სხვა სიტყვა რომ იყოს, რომელიც აღნიშნავდა არა მთავრობის პასუხისმგებლობას სათათბიროს წინაშე (ახლანდელი «კონსტიტუციის» დროს ეს ფიქციაა), არამედ მის «პასუხისმგებლობას» უმაღლესი ძალაუფლების წინაშე (ეს ფიქცია კი არა, რეალობაა, რადგან ნამდვილი ძალაუფლება ხალხს არ უპყრია, და თვითონ მენშევიკები ლაპარაკობენ «ძალაუფლებისათვის ბრძოლის» მომწიფებაზე).

საჭირო იყო ეთქვათ: «არც ერთი კაპიკი მთავრობას, ვიდრე მთელი ძალაუფლება ხალხის ხელში არ იქნება».

«II. სოციალ-დემოკრატია იყენებს შეკითხვების შეტანის უფლებას იმისათვის, რომ ხალხის წინაშე გამოააშკარაოს არსებული მთავრობის ნამდვილი ხასიათი და მისი ყველა მოქმედებისა და ხალხის ინტერესების სრული წინააღმდეგობა; გამოარკვიოს მუშათა კლასის მდგომარეობა ქალაქად და სოფლად და პირობები მისი ბრძოლისა თავისი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; გააშუქოს ის როლი, რომელსაც მუშათა კლასის მიმართ ასრულებენ როგორც მთავრობა და მისი აგენტები, ისე შეძლებული კლასები და მათი წარმომადგენელი პოლიტიკური პარტიები»...

ძალიან კარგი მუხლია. ოღონდ სამწუხაროა, რომ სათათბიროში მყოფი ჩვენი სოციალ-დემოკრატები დღემდე (19 მარტამდე) ნაკლებად იყენებდნენ შეკითხვის შეტანის ამ უფლებას.

...«III. სოციალ-დემოკრატია, რომელსაც ამ მუშაობის ნიადაგზე მუშათა მასებთან უაღრესად მჭიდრო ურთიერთობა აქვს და ესწრაფვის თავისი საკანონმდებლო საქმიანობით მათი ორგანიზებული მოძრაობის გამომხატველი იყოს, ხელს უწყობს მათს, ისე როგორც საერთოდ ხალხის მასების, შეკავშირებას სათათბიროსათვის მხარის დასაჭერად მის ბრძოლაში ძველი რეჟიმის წინააღმდეგ და იმ პირობების შესაქმნელად, რომლებიც სათათბიროს საშუალებას მისცემდა თავის საქმიანობაში გასცდეს შემბორკავი ძირითადი კანონების ფარგლებს»...

ჯერ ერთი, სოციალ-დემოკრატების «საკანონმდებლო» საქმიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია. უნდა ვთქვათ: «სათათბიროში საქმიანობით».

მეორე, ლოზუნგი: «სათათბიროსათვის მხარის დასაჭერად მის ბრძოლაში ძველი რეჟიმის წინააღმდეგ» — სრულიად არ ეთანხმება რეზოლუციის წანამძღვარებს და, არსებითად, სწორი არ არის.

რეზოლუციის მოტივებში ლაპარაკია ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს რევოლუციურ ბრძოლაზე და სათათბიროში «რევოლუციის თანამიმდევარ მომხრეთა მნიშვნელოვანი რაოდენობის» არსებობაზე.

მაშ რატომ არის აქ სავსებით ნათელი რევოლუციური კატეგორია — «ძალაუფლებისათვის ბრძოლა» — შეცვლილი ბუნდოვანი «ბრძოლით ძველი რეჟიმის წინააღმდეგ», ე. ი. ისეთი გამოთქმით, რომელიც პირდაპირ შეიცავს რ ე ფ ო რ მ ა ტ ო რ უ ლ ბრძოლას? ხომ არ უნდა გადაკეთდეს მოტივები იმ მიმართულებით, რომ ძალაუფლებისათვის «ილუზორული» ბრძოლის ნაცვლად წამოყენებულ იქნას «რეფორმებისათვის ბრძოლის ამოცანა»?

რატომ არის აქ ლაპარაკი «სათათბიროსათვის» მხარის დაჭერაზე და არა «რევოლუციის თანამიმდევარ მომხრეთათვის» მხარდაჭერაზე მ ა ს ე ბ ი ს მ ი ე რ? ხომ ისე გამოდის, რომ მენშევიკები მასებს მოუწოდებენ მხარი დაუჭირონ რეფორმების ა რ ა თ ა ნ მ ი მ დ ე ვ ა რ მომხრეებს!! ცუდი რამ გამოდის, ამხანაგებო.

ბოლოს, სიტყვები «სათათბიროსათვის» მხარის დაჭერის შესახებ მის ბრძოლაში ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, არსებითად, პირდაპირ მცდარ აზრებს ბადებენ. «სათათბიროსათვის» მხარის დაჭერა სათათბიროს უმრავლესობისათვის მხარის დაჭერას ნიშნავს. უმრავლესობა — ესენი არიან კადეტები პლუს ტრუდოვიკები. მაშასადამე, თქვენ implicite, ე. ი. ისე, რომ ამას პირდაპირ არ ამბობთ, დაახასიათეთ კადეტები: ისინი «იბრძვიან ძველი რეჟიმის წინააღმდეგო».

ასეთი დახასიათება მცდარი და არასრულია. ასეთ რამეს ნახევრად გადაკრული სიტყვებით არ ამბობენ. ის პირდაპირ და ნათლად უნდა ითქვას. კადეტები «ძველი რეჟიმის წინააღმდეგ» კი არ «იბრძვიან», არამედ ცდილობენ სწორედ ამ ძველი რეჟიმის რეფორმა, ოდნავი განახლება მოახდინონ, რისთვისაც უკვე ამჟამად სავსებით ნათლად და აშკარად ისახავენ მიზნად ძველ ხელისუფლებასთან შეთანხმებას.

რეზოლუციაში ამის დაფარვა, ამის ჩრდილში დატოვება იმას ნიშნავს, რომ პროლეტარულ თვალსაზრისს ასცდე და ლიბერალურ თვალსაზრისზე დადგე.

...«IV. სოციალ-დემოკრატია, რომელიც თავისი ამ საქმიანობით ხელს უწყობს დამფუძნებელი კრების მოპოვებისაკენ მიმართული სახალხო მოძრაობის განვითარებას, მხარს დაუჭერს, როგორც ამ სახალხო ბრძოლის ეტაპს, სახელმწიფო სათათბიროს ყველა ღონისძიებას დაიმორჩილოს აღმასრულებელი ძალაუფლება და ამრიგად ნიადაგი გაწმინდოს მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების გადასასვლელად ხალხის ხელში»...

ეს არის რეზოლუციის ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლი, რომელიც «სათათბიროს» ანუ «პასუხისმგებელი» სამინისტროს ყბადაღებულ ლოზუნგს შეიცავს. საჭიროა ეს მუხლი განვიხილოთ ფორმულირების თვალსაზრისითაც და, შემდეგ, არსებითადაც.

ეს მუხლი მეტად უცნაურად არის ფორმულირებული. მენშევიკებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ეს ერთერთი

უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. შემდეგ, მათ არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ასეთ ლოზუნგს ერთხელ უკვე აყენებდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სახელდობრ, პირველი სათათბიროს დროს, და რომ მაშინ პარტიამ ეს ლოზუნგი არ მიიღო. ეს იმდენად სარწმუნოა, რომ პირველი სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამაც კი, რომელიც, როგორც ცნობილია, მხოლოდ მენშევიკებისაგან შედგებოდა და ლიდერად ისეთი გამოჩენილი მენშევიკი ჰყავდა, როგორიც ამხ. ჟორდანიაა, — ამ ფრაქციამაც კი არ მიიღო ლოზუნგი — «პასუხისმგებელი სამინისტრო» და სათათბიროში წარმოთქმულ არც ერთ სიტყვაში ის ერთხელაც არ წამოუყენებია!

ეს გარემოება თითქოს საკმაოზე მეტ საფუძველს იძლეოდა იმისათვის, რომ საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით მოჰკიდებოდნენ. ამის ნაცვლად კი ჩვენს წინაშეა ყოვლად დაუდევრად შედგენილი მუხლი რეზოლუციაში, რომელიც საზოგადოდ საკმაოდ მოფიქრებული არ არის.

რატომ არის, რომ ნაცვლად ნათელი ლოზუნგისა — «პასუხისმგებელი სამინისტრო» (პლეხანოვი «რუსსკაია ჟიზნ-ში») ანუ «სათათბიროს უმრავლესობის სამინისტრო» (ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია პირველი სათათბიროს ხანაში) შერჩეულია ახალი, ბევრად უფრო ბუნდოვანი ფორმულირება? ეს იმავე «პასუხისმგებელი სამინისტროს» განმეორებაა მხოლოდ, თუ სხვა რამ? გავერკვეთ ამ საკითხებში.

როგორ შესძლებდა სათათბირო დაემორჩილებინა აღმასრულებელი ხელისუფლება? ამას შესძლებდა ან ლეგალურად, ახლანდელი (ანდა ოდნავ შეცვლილი) მონარქისტული კონსტიტუციის ნიადაგზე, ან კიდევ — არალეგალურად, თუ კი «გასცდებოდა მისი შემბორკავი ძირითადი კანონების ფარგლებს», დაამხობდა ძველ ხელისუფლებას, გადაიქცეოდა რევოლუციურ კონვენტად, დროებით მთავრობად და სხვა. პირველი შესაძლებლობა სწორედ იმას ნიშნავს, რასაც გამოთქვამენ ხოლმე სიტყვებით: «სათათბიროს» ანუ «პასუხისმგებელი»

სამინისტრო. მეორე შესაძლებლობა ნიშნავს «სათათბიროს» (ე. ი. სათათბიროს უმრავლესობის) აქტიურ მონაწილეობას ძალაუფლებისათვის უშუალო-რევოლუციურ ბრძოლაში. სათათბიროსადმი აღმასრულებელი ხელისუფლების «დამორჩილების» სხვა გზები შეუძლებელია, ხოლო იმ კერძო საკითხის დასმა, თუ როგორ გადაეხლართებოდა ერთმანეთს სულ სხვადასხვაგვარი გზა, — აქ უადგილოა: ჩვენს წინაშე დგას არა ის ბეცნიერულ-აკადემიური საკითხი, თუ საზოგადოდ რანაირი სიტუაციებია შესაძლებელი, არამედ პრაქტიკულ-პოლიტიკური საკითხი იმის შესახებ, თუ სახელდობრ რას უნდა დაუჭიროს მხარი სოციალ-დემოკრატიამ და რას — არა.

აქედან დასკვნა ნათელია. ახალი ფორმულირება თითქოს განზრახ არის გამოგონილი სადავო საკითხის დედაარსის დ ა ს ა ფ ა რ ა ვ ა დ, ყრილობის იმ ნამდვილი ნების დ ა ს ა ფ ა რ ა ვ ა დ, რომლის გამოხატულებაც უნდა გახდეს რეზოლუცია. «პასუხისმგებელი სამინისტროს» ლოზუნგმა სოციალ-დემოკრატიაში მწვავე დავა გამოიწვია და იწვევს. სათათბიროს რევოლუციური ნაბიჯებისათვის მხარის დაჭერა სოციალ-დემოკრატიაში არათუ მწვავე, არამედ თითქმის არავითარ უთანხმოებას არ იწვევდა და არც იწვევს. რა უნდა ვთქვათ ამის შემდეგ იმ ადამიანებზე, ვინც წამოაყენა რეზოლუცია, რომელიც სადავო და უდავო საკითხების ერთი საერთო ბუნდოვანი ფორმულით გაერთიანების საშუალებით ჩ ქ მ ა ლ ა ვ ს უთანხმოებას? რა უნდა ვთქვათ იმ ადამიანებზე, ვინც წინადადება წამოაყენა ყრილობის გადაწყვეტილება გამოითქვას ისეთი სიტყვებით, რომლებიც არაფერს არ წყვეტენ და ზოგიერთებს შესაძლებლობას აძლევენ ამ სიტყვებით იგულისხმონ სათათბიროს რევოლუციური ნაბიჯები, «ფარგლებს რომ სცილდება» და სხვა, ხოლო სხვებს კიდევ — ასეთ რამედ იგულისხმონ მილიუკოვის გარიგება სტოლიპინთან სამინისტროში კადეტების შესვლის შესახებ?

იმ ადამიანების შესახებ, ვინც ასე იქცევა, ყველაზე ლმობიერი, რაც შეიძლება ითქვას, შემდეგია: ისინი უკან იხევენ

და საბურველს აფარებენ კადეტური სამინისტროსათვის მხარის დაჭერის ოდესღაც ნათელ, ოდესღაც აშკარად გამოთქმულ პროგრამას.

და ამიტომ შემდგომაც განზე დავტოვებთ ამ აბნეულ-დაბნეულ ფორმულირებას, რომელიც საკითხს საბოლოოდ ხლართავს. ვილაპარაკებთ მხოლოდ საკითხის დ ე დ ა ა რ ს ზ ე, «პასუხისმგებელი» (ანუ, რაც იგივეა, კადეტური) სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერაზე.

რით ასაბუთებს რეზოლუცია სათათბიროს ანუ პასუხისმგებელი სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერის აუცილებლობას? იმით, რომ ეს არის «დამფუძნებელი კრებისათვის სახალხო ბრძოლის ეტაპი», რომ ეს არის «ნიადაგი მთელი ძალაუფლების გადასასვლელად ხალხის ხელში». ეს არის მ თ ე ლ ი დასაბუთება. ამას ჩვენ ვუპასუხებთ სათათბიროს სამინისტროს მოთხოვნისათვის სოციალ-დემოკრატიის მხარის დაჭერის საწინააღმდეგო ჩვენი მოსაზრებების მოკლე დასკვნით.

1) მარქსისტისათვის ყოვლად შეუწყნარებელია დაკმაყოფილდეს იმით, რომ აბსტრაქტულ-იურიდიულად დაუპირისპიროს ერთმანეთს «პასუხისმგებელი» და «არაპასუხისმგებელი» სამინისტრო, «სათათბიროს» სამინისტრო და თვითმპყრობელური სამინისტრო და სხვა, როგორც ამას პლეხანოვი სჩადის «რუსსკაია ჟიზნში» და როგორც ყოველთვის სჩადიოდნენ მენშევიკები, როდესაც ისინი ამ საკითხს განიხილავდნენ ხოლმე. ეს ლიბერალურ-იდეალისტური მსჯელობაა და არა პროლეტარულ-მატერიალისტური.

საჭიროა განსახილველი ღონისძიების კლასობრივი მნიშვნელობის გარკვევა. ვინც ასე მოიქცევა, იგი მიხვდება, რომ ამ ღონისძიების შინაარსია ლიბერალურ ბურჟუაზიასთან თვითმპყრობელობის გარიგება ან გარიგების ცდა რევოლუციის შესაწყვეტად. სათათბიროს სამინისტროს ობიექტურ-ეკონომიური მნიშვნელობა სწორედ ასეთია. ამიტომ ბოლშევიკებს სრული უფლება და საფუძველი ჰქონდათ ეთქვათ:

სათათბიროს სამინისტრო ანუ პასუხისმგებელი სამინისტრო — ეს ნამდვილად კადეტური სამინისტროა. მენშევიკები ბრაზობდნენ და გაჰყვიროდნენ საქმის შინაარსის გადასხვაფერებაზე, დამახინჯებაზე და სხვა. მაგრამ ისინი იმიტომ ბრაზობდნენ, რომ არ უნდოდათ გ ა ე გ ო თ მოსაზრება ბოლშევიკებისა, რომლებსაც იურიდიული ფიქცია (სათათბიროს სამინისტრო ხომ «პასუხისმგებელი» იქნება უფრო მონარქის წინაშე, ვიდრე სათათბიროს წინაშე, უფრო ლიბერალურ მემამულეთა წინაშე, ვიდრე ხალხის წინაშე!) კლასობრივ საფუძვლამდე დ ა ჰ ყ ა ვ დ ა თ. და როგორც უნდა ბრაზობდეს ამხ. მარტოვი, როგორც უნდა გაჰყვიროდეს იმაზე, რომ ახლა სათათბიროც კი კადეტური არ არისო, — ის ამით ოდნავადაც ვერ შეასუსტებს უცილობელ დასკვნას: ა რ ს ე ბ ი თ ა დ საქმე ეხება ს წ ო რ ე დ კადეტურ სამინისტროს, რადგან აქ თ ა ვ ი დ ა თ ა ვ ი სწორედ ეს ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიაა. სათათბიროს სამინისტროს შესაძლო შერეული შემადგენლობა (კადეტები პლუს ოქტიაბრისტები პლუს «უპარტიონი» პლუს თვით უხეირო «ტრუდოვიკი» ანდა ვითომდა «მემარცხენე» და სხვ.) ოდნავაც კი ვერ შესცვლიდა საქმის ამ დედაარსს. საქმის ამ დედაარსისათვის გვერდის ავლა, როგორც მენშევიკები და პლეხანოვი იქცევიან, მარქსიზმისათვის გვერდის ავლას ნიშნავს.

სათათბიროს ანუ «პასუხისმგებელი» სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერა, არსებითად, საზოგადოდ კადეტური პოლიტიკისა და კერძოდ კადეტური სამინისტროსათვის მხარის დაჭერაა (როგორც ეს ნათქვამია კიდეც V ყრილობისათვის წარსადგენ ბოლშევიკური რეზოლუციის პირველსავე პროექტში). ვისაც ეშინია აღიაროს ეს, ის უკვე ამით აღიარებს თავისი პოზიციის სისუსტეს, საზოგადოდ კადეტებისათვის სოციალ-დემოკრატიის მხარის დაჭერის სასარგებლოდ წამოყენებული არგუმენტების სისუსტეს.

ჩვენ ყოველთვის იმ აზრს ვიცავდით და ვიცავთ, რომ სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია მხარი დაუჭიროს თვით-

შპყრობელობის გარიგებას ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, გარიგებას, რომელიც მიმართულია რევოლუციის შეწყვეტისაკენ.

2) მენშევიკები სათათბიროს სამინისტროს ყოველთვის განიხილავენ როგორც უკეთესობისაკენ გადადგმულ ნაბიჯს, როგორც რევოლუციისათვის შემდგომი ბრძოლის შემსუბუქებას, და წინამდებარე რეზოლუციამაც ნათლად გამოხატა ეს აზრი. მაგრამ აქ მენშევიკები შეცდომას სჩადიან, როცა ცალმხრივ თვალსაზრისზე დგებიან. მარქსისტს არ შეუძლია დაბეჯითებით თქვას, სავსებით გაიმარჯვებს თუ არა ახლანდელი ბურჟუაზიული რევოლუცია რუსეთში: ეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეალიზმსა და უტოპიზმში გადავარდნა იქნებოდა. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ რევოლუციის სრულ გამარჯვებას ვესწრაფოდეთ, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ, რომ დაუმთავრებელი, შუა გზაზე შეჩერებული ბურჟუაზიული რევოლუციები წინათაც ყოფილა და ახლაც შეიძლება იყოს.

მენშევიკები კი თავიანთ რეზოლუციას ისე აყალიბებენ, რომ სათათბიროს სამინისტრო გამოდის დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლის ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ეტაპი, და სხვა და სხვა. ე ს ა შ კ ა რ ა დ ს წ ო რ ი ა რ ა რ ი ს. მარქსისტს უ ფ ლ ე ბ ა ა რ ა ა ქ ვ ს სათათბიროს სამინისტრო მ ხ ო ლ ო დ ამ მხრით განიხილოს და რუსეთის ეკონომიური განვითარების ორი ტიპის ობიექტური შესაძლებლობა უგულებელყოს. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალება რუსეთში გარდუვალია. მაგრამ ის შესაძლებელია მემამულური მეურნეობის შენარჩუნებისა და იუნკრულ-კაპიტალისტურ მეურნეობად მისი თანდათანობითი ტრანსფორმაციის პირობებში (სტოლიპინისა და ლიბერალური აგრარული რეფორმა), შესაძლებელია აგრეთვე მემამულური მეურნეობის მოსპობისა და გლეხობისათვის მიწების გადაცემის პირობებში (გლეხთა რევოლუცია, რომელსაც მხარს უჭერს სოციალ-დემოკრატიული აგრარული პროგრამა).

მარქსისტი მოვალეა კადეტური სამინისტრო განიხილოს არა ერთი, არამედ ორივე მხრით: როგორც დამფუძნებელი კრებისათვის ბრძოლის შესაძლებელი ეტაპი და როგორც ბურჟუაზიული რევოლუციის ლიკვიდაციის შესაძლებელი ეტაპი. კადეტებისა და სტოლიპინის განზრახვით, სათათბიროს სამინისტრომ მეორე როლი უნდა შეასრულოს; საქმის ობიექტური ვითარების მიხედვით, მას შეუძლია შეასრულოს როგორც მეორე, ისე პირველი როლი*.

როცა მენშევიკები ივიწყებენ ბურჟუაზიული რევოლუციის ლიბერალური შეზღუდვისა და შეწყვეტის შესაძლებლობას (და საფრთხესაც), ისინი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისიდან გადადიან ლიბერალების თვალსაზრისზე, რომლებიც ლამაზი ფერებით ხატავენ მონარქიასაც, გამოყიდვასაც, ორ პალატასაც, რევოლუციის შეწყვეტასაც, და სხვა და სხვა.

3) საკითხის ეკონომიურ-კლასობრივი მხრიდან სახელმწიფოებრივ-უფლებრივ მხარეზე თუ გადავალთ, უნდა ვთქვათ, რომ მენშევიკები სათათბიროს სამინისტროს განიხილავენ როგორც პარლამენტარიზმისაკენ გადადგმულ ნაბიჯს, როგორც რეფორმას, რომელიც კონსტიტუციურ წყობილებას აუმჯობესებს და პროლეტარიატს თავისი კლასობრივი ბრძოლისათვის მის გამოყენებას უადვილებს. მაგრამ ესეც «სანუგეშო მოვლენების» ცალმხრივი თვალსაზრისია. სათათბიროს უმრავლესობიდან მინისტრების დანიშვნის (სწორედ ამ უმრავლესობიდან დანიშვნას ცდილობდნენ კადეტები პირველ სათათბიროში) აქტში არ არის რეფორმის ერთი მეტად არსებითი ნიშანი, არ არის კონსტიტუციის ცნობილი საერთო შეცვლის სა-

* ჩვენ ვვარაუდობთ პლეხანოვისა და მენშევიკებისათვის საუკეთესო შემთხვევას, სახელდობრ იმას, რომ კადეტები წამოაყენებენ სათათბიროს სამინისტროს მოთხოვნას. უფრო მოსალოდნელია, რომ ეს არ მოხდება. მაშინ პლეხანოვი (და მენშევიკები), რომელიც «მხარს უჭერს» ლოზუნგს, რასაც ლიბერალები არ აყენებენ, ისევე სასაცილო იქნება, როგორც «სრულძალაუფლებიანი სათათბიროს» მოთხოვნის დროს იყო.

კანონმდებლო აღიარება. ეს ასე თუ ისე ერთპიროვნული, პერსონალური აქტიც კია. იგი ემყარება ფარულ გარიგებებს, მოლაპარაკებას, პირობებს. ტყუილ-უბრალოდ როდი გამოტყდა «რეჩი» ახლა (1907 წლის მარტში!), რომ 1906 წლის ივნისში კადეტებს მოლაპარაკება ჰქონდათ მთავრობასთან, მაგრამ მისი შინაარსის გამოქვეყნება ჯერ კიდევ არ (!) შეიძლებაო. კადეტების დამქაშმა «ტოვარიშჩმაც» კი ეს კეკემალულობანა შეუწყნარებლად მიიჩნია. და საკვირველი არ არის, რომ პობედონოსცევმა (როგორც გაზეთები იტყობინებიან) ასეთი ღონისძიება წამოაყენა: დაენიშნათ ლიბერალური, კადეტური მინისტრები, შემდეგ კი სათათბირო გაერეკათ და სამინისტრო შეეცვალათ! ეს არ იქნებოდა რეფორმის გაუქმება, კანონის შეცვლა, ეს იქნებოდა მონარქის სავსებით კანონზომიერი, «კონსტიტუციური აქტი». მენშევიკები რომ სათათბიროს სამინისტროსადმი კადეტების მისწრაფებას მხარს უჭერდნენ, ამით ისინი საქმით, თავიანთი ნებისა და შეგნების წინააღმდეგ, მხარს უჭერდნენ ფარულ მოლაპარაკებასა და გარიგებებს ხალხის ზურგს უკან.

ამასთან მენშევიკებს კადეტებისთვის არავითარი «პირობა» არ ჩამოურთმევიათ და არც შეეძლოთ ჩამოერთმიათ. ისინი კადეტებს ასაჩუქრებდნენ თავიანთი მხარის დაჭერით, წინდაწინ, კადეტის სახით, აღუთქვამდნენ ასეთ მხარის დაჭერას, რითაც მუშათა კლასის შეგნებაში არევდარევა და გარყვნა შეჰქონდათ.

4) ერთი რამ კიდევ დავუთმოთ მენშევიკებს. წარმოვიდგინოთ საუკეთესო შესაძლებელი შემთხვევა, სახელდობრ, წარმოვიდგინოთ, რომ სათათბიროს მინისტრების დანიშვნის აქტი აღმოჩნდა არა მარტო პერსონალური აქტი, არა მარტო ხალხის მოტყუება და მოჩვენებითი გარიგება, არამედ პროლეტარიატის ბრძოლის პირობების ნამდვილად გამაუმჯობესებელი ნამდვილი კონსტიტუციური რეფორმის პირველი ნაბიჯი.

ამ შემთხვევაშიც კი ყოვლად შეუძლებელია გავამართლოთ სათათბიროს სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერის ლოზუნგის წამოყენება სოციალ-დემოკრატიის მიერ.

ეს უკეთესობისაკენ გარდამავალი ეტაპია, შემდგომი ბრძოლის ნიადაგიაო, ამბობთ თქვენ? ვთქვათ, ეს ასეა. და განა უ თ უ ო დ უკეთესობისაკენ გარდამავალი ეტაპი არ იქნებოდა საყოველთაო, მ ა გ რ ა მ ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ ი საარჩევნო უფლება? მაშ, რატომ არ გამოვაცხადოთ, რომ სოციალ-დემოკრატია მხარს უჭერს საყოველთაო, მ ა გ რ ა მ ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ ი საარჩევნო უფლების მოთხოვნას, როგორც «4-წევრიანი ფორმულისათვის» ბრძოლის «ეტაპს», როგორც ამ ფორმულაზე «გადასვლის ნიადაგს»? აქ ჩვენთან ერთად იქნებოდნენ არა მარტო კადეტები, არამედ პედერაკებიც[66] და ოქტიაბრისტთა ნაწილიც! დამფუძნებელი კრებისათვის სახალხო ბრძოლისაკენ გარდამავალი «საერთო-ნაციონალური» ეტაპი — აი რას ნიშნავს სოციალ-დემოკრატიის მიერ საყოველთაო, მ ა გ რ ა მ ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ ი და ა რ ა ფ ა რ უ ლ ი კენჭისყრისათვის მხარის დაჭერა!

სათათბიროს სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერასა და საყოველთაო, მაგრამ არა პირდაპირი და არა ფარული კენჭისყრის მოთხოვნისათვის მხარის დაჭერას შორის სრულიად არავითარი პრინციპული განსხვავება არ არის.

«პასუხისმგებელი სამინისტროს» ლოზუნგის წამოყენების გამართლება იმით, რომ ეს უკეთესობისაკენ გარდამავალი ეტაპიაო და სხვა, იმას ნიშნავს, რომ არ გესმოდეს ბურჟუაზიული რეფორმატორობისადმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების საკითხის საფუძვლები.

ყოველგვარი რეფორმა მხოლოდ სწორედ იმდენად არის რეფორმა (და არა რეაქციული და არა კონსერვატული ღონისძიება), რომ ის უკეთესობისაკენ გადადგმულ გარკვეულ ნაბიჯს, «ეტაპს» მოასწავებს. მაგრამ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ რეფორმას კაპიტალისტურ საზოგადოებაში ო რ ჭ ო ფ უ ლ ი ხასიათი აქვს. რეფორმა არის დათმობა, რომელსაც მმართვე-

ლი კლასები მიმართავენ, რომ რევოლუციური ბრძოლა შეაჩერონ, შეასუსტონ ან ჩააქრონ, რომ რევოლუციური კლასების ძალა და ენერგია დაქსაქსონ, მათი შეგნება დააბნელონ და ა. შ.

ამიტომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია, რომელიც სრულიადაც უარს არ ამბობს გამოიყენოს რეფორმები რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის განვითარების მიზნით («ჩვენ გადასახდელს ნაწილ-ნაწილადაც მივიღებთ», **wir nehmen auch Abschlagszahlung** — ამბობდა ფრიდრიხ ენგელსი [67]), არავითარ შემთხვევაში არ «გაიხდის თავის» * ლოზუნგებად ორპოფულ ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ ლოზუნგებს.

ასეთი საქციელი იმას ნიშნავს, რომ მოქმედებდე სავსებით ბერნშტეინისებურად (პლეხანოვს დ ა ს ჭ ი რ დ ე ბ ა თავისი ახლანდელი პოლიტიკის დასაცავად ბერნშტეინის რეაბილიტაცია მოახდინოს! ტყუილად კი არ ასხამს ქება-დიდებას ბერნშტეინის ორგანო, «**Sozialistische Monatshefte**»**, პლეხანოვს!), იმას ნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატია გადააქციო «რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ს  დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ-ს ო ც ი ა ლ ი ს-ტ უ რ  პ ა რ ტ ი ა დ» (ბერნშტეინის ცნობილი გამოთქმა მის სახელგანთქმულ წიგნში — «სოციალიზმის წანამძღვრები»).

სოციალ-დემოკრატია რეფორმებს განიხილავს და იყენებს როგორც პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის დ ა მ ხ მ ა რ ე  პ რ ო დ უ ქ ტ ს.

და აქ ჩვენ ვუახლოვდებით ჩვენს უკანასკნელ არგუმენტს განსახილველი ლოზუნგის წინააღმდეგ:

5) რით შეუძლია სოციალ-დემოკრატიას ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მოაახლოოს საზოგადოდ ყოველგვარი რეფორმების, კერძოდ კი რუსეთში კონსტიტუციური რეფორმების განხორციელება, ხოლო განსაკუთრებით სათათბიროს სამინისტროს და პროლე-

---

* პლეხანოვი «რუსსკაია ჟიზნში»: ...«ს.-დ. დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ს  ა რ  შ ე უ ძ ლ ი ა თ  ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი  მ ო თ ხ ო ვ ნ ა («პასუხისმგებელი სამინისტრო») თ ა ვ ი ს  მ ო თ ხ ო ვ ნ ა დ  ა რ  გ ა ი ხ ა დ ო ნ ხალხის ინტერესების, რევოლუციის ინტერესების გულისათვის»...

** — «სოციალისტური ყოველთვიური». რ ე დ.

ტარიატისათვის სასარგებლო მისი შედეგების განხორციელება? იმით, რომ იგი «თავის» ლოზუნგებად «გაიხდის» ბურჟუაზიული რეფორმისტების ლოზუნგებს, თუ იმით, რომ იგი გადაჭრით უარს იტყვის ამგვარი ლოზუნგები «თავისად გაიხადოს» და განუხრელად განაგრძობს პროლეტარიატის რევოლუციურ კლასობრივ ბრძოლას სრული, შეუკვეცელი ლოზუნგების დროშით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის.

ბურჟუაზიული რეფორმატორობის მუდამ ორჭოფულ, მუდამ შეკვეცილ, მუდამ ორპირულ ლოზუნგებს «ჩვენს» ლოზუნგებად რომ «ვიხდით», ჩვენ ნამდვილად რეფორმის განხორციელების მოსალოდნელობას, შესაძლებლობასა და მოახლოებას კი არ ვაძლიერებთ, არამედ ვასუსტებთ. ეს იმიტომ, რომ ნამდვილ ძალას, რომელიც რეფორმებს წარმოშობს, რევოლუციური პროლეტარიატის, მისი შეგნებულობის, დარაზმულობის, ბრძოლაში მისი შეუდრეკელი სიმტკიცის ძალა წარმოადგენს.

მასებში ბურჟუაზიულ-რეფორმატორული ლოზუნგების გავრცელებით მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მოძრაობის ა მ თვისებებს ჩვენ ვასუსტებთ და ვაჩლუნგებთ. ჩვეულებრივი ბურჟუაზიული სოფიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი რევოლუციური მოთხოვნებიდან და ლოზუნგებიდან ზოგი რამის დათმობით (მაგალითად, «ხალხის თვითმპყრობელობისა» და დამფუძნებელი კრების ნაცვლად «სათათბიროს სამინისტროს», როგორც «ეტაპის», წამოყენებით და სხვ.), ჩვენ ვ ა ძ ლ ი ე რ ე ბ თ ასეთი შესუსტებული ზომის გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს შესაძლებლობას, რადგან მას პროლეტარიატიც და ბურჟუაზიის ესა თუ ის ნაწილიც მხარს დაუჭერსო.

ეს ბურჟუაზიული სოფიზმია, — ამბობს საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. პირიქით, ჩვენ ამით ვასუსტებთ რეფორმის განხორციელების შესაძლებლობას, რადგან ბურჟუაზიის თანაგრძნობის ძიებაში, ბურჟუაზიისა, რომელიც ყოველთვის ძალაუნებურად სთმობს ხოლმე, — ჩვენ ვასუსტებთ მასების რევოლუციურ შეგნებას, ვრყვნით,

ვაბნელებთ მას. ჩვენ ვეგუებით ბურჟუაზიას, მონარქიასთან მ ი ს გარიგებას და ამით ზიანს ვაყენებთ მასების რევოლუციური ბრძოლის განვითარებას. შედეგი ყოველთვის ის არის, რომ ასეთი ტაქტიკის დროს რეფორმები ან არ ხორციელდება, ანდა აშკარა მოტყუება გამოდის. რეფორმების ერთადერთი მ ტ კ ი ც ე დასაყრდენი, მათი არაფიქციურობის, ხალხის საკეთილდღეოდ მათი გამოყენების ერთადერთი სერიოზული გარანტია — ეს არის დამოუკიდებელი რევოლუციური ბრძოლა პროლეტარიატისა, რომელიც თავის ლოზუნგებს ა რ ა კ ნ ი ნ ე ბ ს.

მენშევიკები, 1906 წლის ივნისიდან მოკიდებული, მასებში ავრცელებენ სათათბიროს სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერის ლოზუნგს. ამით ისინი მასების რევოლუციურ შეგნებას ასუსტებენ და აბნელებენ, აგიტაციის გაქანებას აფერხებენ, ამ რეფორმის განხორციელებისა და მისი გამოყენების შესაძლებლობას ამცირებენ.

უნდა გავაძლიეროთ რევოლუციური აგიტაცია მასებში, უფრო ფართოდ გადავისროლოთ, უფრო ნათლად განვავითაროთ ჩვენი სრული, შეუკვეცელი ლოზუნგები, — ა მ ი თ ჩვენ, უკეთეს შემთხვევაში, მოვაახლოებთ რევოლუციის სრულ გამარჯვებას, უარეს შემთხვევაში კი, ძალით გამოვტაცებთ რაიმე სანახევრო დათმობებს (როგორიცაა სათათბიროს სამინისტრო, საყოველთაო, მაგრამ არა პირდაპირი საარჩევნო უფლება და სხვ.) და უზრუნველვყოფთ რევოლუციის იარაღად მათი გადაქცევის შესაძლებლობას. რეფორმები — რევოლუციური პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის დ ა მ ხ მ ა რ ე პროდუქტია. დამხმარე პროდუქტის მიღების «საკუთარ» საქმედ გადაქცევა ლიბერალურ-ბურჟუაზიულ რეფორმიზმში გადავარდნას ნიშნავს.

* * *

რეზოლუციის უკანასკნელი მუხლი:

«V. მიაჩნია რა სათათბიროში მოღვაწეობა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია სათათბიროში ინარ-

ჩუნებს სრულ დამოუკიდებლობას და უთანხმდება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აგრესიული მოქმედებისათვის იმ პარტიებსა და ჯგუფებს, რომელთა ამოცანები ამ მომენტში ემთხვევა პროლეტარიატის ამოცანებს, ხოლო თვით სახალხო წარმომადგენლობისა და მისი უფლების დაცვისაკენ მიმართული თავდაცვითი მოქმედებისათვის — იმ პარტიებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლით პოლიტიკური თავისუფლების გამარჯვებისათვის».

რამდენადაც კარგია აქ პირველი ნაწილი (სიტყვამდე — «უთანხმდება»), იმდენადვე ცუდი და აშკარად შეუსაბამოა მეორე ნაწილი.

რას ნიშნავს «აგრესიული» და «თავდაცვითი» მოქმედების ეს სასაცილო განსხვავება? ხომ არ გახსენებიათ ჩვენებურ მენშევიკებს გასული საუკუნის 90-იანი წლების «რუსსკიე ვედომოსტის» ენა, როდესაც ლიბერალები ამტკიცებდნენ, რომ ლიბერალიზმი რუსეთში «იცავს», რეაქცია კი — «აგრესიულიაო»? აბა წარმოიდგინეთ: ნაცვლად პოლიტიკური მოქმედების «ძველი» დაყოფისა: რევოლუციურ და რეფორმისტულ, რევოლუციურ და კონტრრევოლუციურ, პარლამენტურ და პარლამენტს გარეთ მოქმედებად, — მარქსისტები გვთავაზობენ ახალ კლასიფიკაციას: «თავდაცვითი» მოქმედება არსებულს «იცავს»; «აგრესიული» მოქმედება უფრო შორს მიდისო! იწამეთ ღმერთი, ამხანაგო მენშევიკებო! რამდენად უნდა დასჩლუნგებოდა კაცს რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის ყოველგვარი ალღო, რომ ვერ შეემჩნია ის უ ხ ა მ ს ი სუნი, რომელიც «თავდაცვითის» და «აგრესიულის» ამ განსხვავებას დაჰკრავს!

და რა სასაცილოდ არის ასახული ამ უსუსურ ფორმულირებაში, როგორც საგანი ჩაზნექილ სარკეში, ის მ წ ა რ ე (მენშევიკებისათვის) ჭეშმარიტება, რომლის აშკარად აღიარება მათ არ უნდათ! მენშევიკები დაჩვეული არიან ილაპარაკონ პარტიებზე საზოგადოდ, ეშინიათ ზუსტად დაასახელონ და ნათლად გამიჯნონ ისინი, დაჩვეული არიან «ოპოზიციურ-დემოკრატიული პარტიების» საერთო სახელწოდების პირბადე ააფარონ კადეტებსაც და მემარცხენეებსაც. ახლა მენშევიკები

გრძნობენ, რომ იწყება ვითარების შეცვლა. ისინი გრძნობენ, რომ ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ს არსებითად ამჟამად შეუძლიათ მხოლოდ ახლანდელი სათათბიროს და ჩვენი ახლანდელი, უკაცრავად პასუხია, «კონსტიტუციის» დ ა ც ვ ა (მუხლთმოდრეკის საშუალებით, როგორც «რუსსკიე ვედომოსტი» «იცავდა» ერობას 80-იან წლებში!). მენშევიკები გრძნობენ, რომ ლიბერალურ ბურჟუებს არ შეუძლიათ და არც სურთ წ ი ნ წ ა ვ ი დ ნ ე ნ («აგრესიულნი» იყვნენ — ასეთი უმსგავსი ტერმინებიც ხომ არსებობს!). და მენშევიკების მიერ სიმართლის ამ ბუნდოვანმა შეგნებამ გამოხატულება ჰპოვა სასაცილო და ყოვლად აბნეულ-დაბნეული ფორმულირებით, რომლის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით გამოდის, რომ სოციალ-დემოკრატებს შეუძლიათ ო დ ე ს მ ე შეთანხმება დასდონ ისეთი მოქმედებისათვის, «რომლის ამოცანები» ა რ ემთხვევა პროლეტარიატის ამოცანებს!

მენშევიკური რეზოლუციის ეს უკანასკნელი აკორდი, ეს სასაცილო შიში — აშკარად და ნათლად თქვან სიმართლე, სახელდობრ ის, რომ ლიბერალური ბურჟუები, კადეტები, სრულიად აღარ ეხმარებიან რევოლუციას, ჩინებულად გამოხატავს ჩვენ მიერ განხილული მთელი რეზოლუციის სულისკვეთებას.

## ბოლოსიტყვაობის მაგივრად

წინამდებარე სტრიქონები უკვე დაწერილი იყო, როდესაც მივიღე რსდმ პარტიის «ესტონეთის მხარის კავშირის» თებერვლის (1907 წ.) კონფერენციის რეზოლუცია[68].

ამ კონფერენციაზე გამოვიდნენ (ალბათ, როგორც ცენტრალური კომიტეტის დელეგატები) ამხანაგი მენშევიკები მ. და ა. სახელმწიფო სათათბიროს საკითხის განხილვის დროს მათ, ეტყობა, შ ე უ ტ ა ნ ი ა თ ს წ ო რ ე დ ი ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ა, რომელიც ზემოთ გავარჩიე. და აი, ფრიად საგულისხმოა ვნახოთ, რ ა ც ვ ლ ი ლ ებ ებ ი შეიტანეს ამ რეზოლუციაში ესტონელმა სოციალ-დემოკრატმა ამხანაგებმა. მოგვყავს კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია მთლიანად:

## სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ

«ხალხის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო სათათბიროს არავითარი ძალაუფლება არ გააჩნია, რადგან მთელი ძალაუფლება წინანდებურად ხალხის მტრების — მეფის თვითმპყრობელობის, ბიუროკრატიისა და ერთი მუჭა მემამულეების ხელშია. ამიტომ სოციალ-დემოკრატია ულმობლად უნდა სპობდეს ახლანდელი სახელმწიფო სათათბიროს საკანონმდებლო ძალის ილუზიურ იმედებს და ხალხს განუმარტავდეს, რომ ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ სრულძალაუფლებიან საყოველთაო სახალხო დამფუძნებელ კრებას, რომელსაც მეფის თვითმპყრობელობის მოსპობის შემდეგ თავისუფლად აირჩევს თვით ხალხი.

პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების განვითარების, ხალხის მასების პოლიტიკური აღზრდის, რევოლუციურ ძალთა განვითარებისა და ორგანიზაციის მიზნით კი სოციალ-დემოკრატიამ ეს უმწეო, უძლური სახელმწიფო სათათბიროც უნდა გამოიყენოს. ამის გამო სოციალ-დემოკრატია მონაწილეობას იღებს სახელმწიფო სათათბიროს საქმიანობაში შემდეგ საფუძვლებზე:

I. სოციალ-დემოკრატია, ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის ინტერესებიდან და თანამიმდევარი დემოკრატიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, აკრიტიკებს მთავრობისა და ბურჟუაზიული პარტიების ყველა წინადადებას, კანონპროექტსა და სახელმწიფო ბიუჯეტს და მათ უპირისპირებს თავის მოთხოვნებსა და კანონპროექტებს, ამასთან მუდამ გამოდის ხალხის ფართო მასების მოთხოვნებიდან და საჭიროებიდან და თავისი ასეთი მოღვაწეობით ააშკარავებს არსებული წყობილების უთანაბრობას და ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივ წინააღმდეგობებს.

II. სოციალ-დემოკრატია იყენებს შეკითხვის შეტანის უფლებას იმისათვის, რათა გამოააშკარაოს ახლანდელი მთავრობის რაობა და ბუნება და დაანახოს ხალხს, რომ მთავრობის მთელი საქმიანობა პირდაპირ მიმართულია ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, რათა ცხადყოს მუშათა კლასის უუფლებო მდგომარეობა და გააშუქოს ის როლი, რასაც მუშათა კლასის მიმართ ასრულებენ მთავრობა, გაბატონებული კლასები და ის პარტიები, რომლებიც მათ ეყრდნობიან. სხვათა შორის, სოციალ-დემოკრატიამ უნდა იბრძოლოს კადეტების შემთანხმებელი და გამცემი პარტიის წინააღმდეგ, გამოააშკარაოს მათი ორპოფობა და თვალთმაქცური დემოკრატიზმი, რათა ამით მათი ჰეგემონიისა და გავლენისაგან გაათავისუფლოს რევოლუციური წვრილი ბურჟუაზია, აიძულოს ის გაჰყვეს პროლეტარიატს.

III. როგორც პროლეტარული კლასის პარტია, სოციალ-დემოკრატია სახელმწიფო სათათბიროში ყოველთვის დამოუკიდებლად უნდა გამოდიოდეს. სოციალ-დემოკრატიამ სხვა რევოლუციურ და ოპოზიციურ პარტიებ-

თან სახელმწიფო სათათბიროში არ უნდა დასდოს არავითარი მუდმივი შეთანხმება ან ხელშეკრულება, რომელიც შეზღუდავს სოციალ-დემოკრატიის მოქმედების თავისუფლებას. ცალკე შემთხვევებში, როცა სხვა პარტიების ამოცანები და ნაბიჯები ემთხვევა სოციალ-დემოკრატიის ამოცანებსა და ნაბიჯებს, — სოციალ-დემოკრატიას შეუძლია გამართოს და კიდეც უნდა გამართოს სხვა პარტიებთან მოლაპარაკება ამ ნაბიჯების შესახებ.

IV. რადგან ხალხს ახლანდელ ბატონყმურ მთავრობასთან არავითარი შეთანხმება არ შეიძლება ჰქონდეს და ხალხის მოთხოვნათა და საჭიროებათა დაკმაყოფილება მხოლოდ სრულძალაუფლებიან დამფუძნებელ კრებას შეუძლია, ამიტომ კონფერენცია პროლეტარიატის ამოცანად არ თვლის ბრძოლას იმ სამინისტროსათვის, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ახლანდელი უძლური სათათბიროს წინაშე. პროლეტარიატმა უნდა იბრძოლოს არა პასუხისმგებელი სამინისტროს დროშით, არამედ დამფუძნებელი კრების დროშით.

V. იბრძვის რა ამნაირად, სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია უაღრესად მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს პროლეტარულ და ხალხის ფართო მასებს სათათბიროს გარეთ და, ამ მასების ორგანიზაციისათვის ხელშეწყობით, შეჰქმნას რევოლუციური არმია თვითმპყრობელობის დასამხობად».

კომენტარები ზედმეტია. ჩემს სტატიაში ვცდილობდი მეჩვენებინა, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს იმგვარი რეზოლუციები, როგორიც განხილული რეზოლუციაა. თავიანთ რეზოლუციაში ესტონელმა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა გვიჩვენეს, თუ როგორ უნდა გასწორდეს უვარგისი რეზოლუციები.

# შენიშვნა ესტონელ სოციალ-დემოკრატთა რეზოლუციის გამო[69]

ჩვენმა კორესპონდენტმა გამოგვიგზავნა აგრეთვე რსდმპარტიის ესტონეთის მხარის კავშირის წესდება, რომელიც კონფერენციას მიუღია. ადგილის სიმცირის გამო ჩვენ მას ვერ ვბეჭდავთ.

მკითხველთა ყურადღებას მივაქცევთ სათათბიროს შესახებ მიღებულ რეზოლუციას. ამ რეზოლუციიდან ნათლად ჩანს, რომ მისი საფუძველი ყოფილა «რუსსკაია ჟიზნის» 47-ე ნომერში დაბეჭდილი მენშევიკთა რეზოლუცია: მენშევიკების მ.-ს და ა.-ს გავლენამ ამით იჩინა თავი და ამით ამოიწურა. ამ რეზოლუციის ყველა მთავარი ადგილი ესტონელმა სოციალ-დემოკრატებმა გადააკეთეს მკაფიო ბოლშევიკური სულისკვეთებით (განსაკუთრებით კადეტებსა და «პასუხისმგებელ სამინისტროზე»). მენშევიკური რეზოლუციების «შესწორებათა» კარგი ნიმუშია!

«პროლეტარი» № 15,
1907 წ. 25 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

# გარიგების საფუძვლები

პეტერბურგი, 1907 წ. 21 მარტი.

მდგომარეობა არსებითად შეიცვალა მას შემდეგ, რაც სამი კვირის წინათ იწერებოდა «პროლეტარის» მე-14 ნომრის მოწინავე სტატია *. მთავრობამ და კადეტებმა, შავრაზმულმა თვითმპყრობელობამ და ლიბერალურ-მონარქისტულმა ბურჟუაზიამ გადადგეს ნაბიჯი ერთმანეთთან დასაახლოებლად და ემზადებიან ხელი ხელს ჩაჰკიდონ იმისათვის, რომ საერთო ძალღონით დაახრჩონ რევოლუცია და მიწისა და თავისუფლების ნაცვლად ხალხს მიუგდონ რაღაც უბადრუკი ნასუფრალი, რომელიც მას ნახევრადმშიერსა და ნახევრადმონურ მდგომარეობაში ამყოფებს. უფრო ახლო დავუკავშირდეთ შექმნილ მდგომარეობას.

შავრაზმულ თვითმპყრობელობას მძიმე ლოდივით აწევს გულზე ორი საკითხი — ბიუჯეტი და აგრარული საკითხი. სათათბიროს მიერ ბიუჯეტის დაუმტკიცებლად — კრედიტი არ არის. რამენაირად დროებით მაინც თუ არ მოაშუშეს მიწის საკითხის მწვავე წყლული, თუნდაც ხანმოკლე სიმშვიდის იმედი არ არის. სათათბიროს გარეკვას ბიუჯეტისა და აგრარული კანონის დაუმტკიცებლად, რომლებიც სათათბირომ უნდა მოიწონოს, მთავრობა ვერ ბედავს. მას ე შ ი ნ ი ა სათათბიროს გარეკვისა და იმავე დროს ამის შესახებ გაჰყვირის, მოძრაობაში მოჰყავს რუსი ხალხის კავშირის მთელი შავრაზმული აპარატი, რათა გაუბედავნი დააფრთხოს და მერყეევნი

* იხ. ეს ტომი, გვ. 210 — 215. რ ე დ.

დათმობაზე დაიყოლიოს. მთავრობას უნდა სინჯოს და სათათბიროს გამოსტაცოს დათმობა, რისთვისაც მას გარეკვის მუქარით პირში ბურთსა სჩრის. მერე კი ვნახოთ, როგორ მოვეპყრათ შერცხვენილ, სახელგატეხილ და თავლაფდასხმულ «მაღალ» კრებასაო. ამით არის გამოწვეული თხოვნა-მუდარა დაამტკიცონ ბიუჯეტი; ამიტომ ირწმუნებიან, ფინანსთა მინისტრს აზრადაც არ მოსვლია სესხის ნებართვის საკითხი სახელმწიფო სათათბიროს წარუდგინოსო. ამითვეა გამოწვეული ბ-ნ ვასილჩიკოვის თავაზიანი სიტყვები იმის შესახებ, რომ მთავრობა «დაიცავს იმ მიჯნების ხელუხლებლობას, სადაც ერთმანეთს ხვდება» «ცალკეულ პიროვნებათა, ცალკეულ ჯგუფთა და ცალკეულ წოდებათა ინტერესები», მაგრამ იმავე დროს მას «შეგნებული აქვს თავისი მოვალეობა ეს დაცვა გაავრცელოს იმდენად, რამდენადაც დასახული მიჯნები სახელმწიფოს საერთო ინტერესებს ემთხვევა. ი ქ, ს ა დ ა ც ე ს მ ი ჯ ნ ე ბ ი ა მ ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ს ა რ ე მ თ ხ ვ ე ვ ა, უ ნ დ ა მ ო ხ დ ე ს მ ა თ ი გ ა დ ა წ ე ვ ა». ამ სიტყვებში, განსაკუთრებით კი ჩვენ მიერ ხაზგასმულ ადგილას, უეჭველად არის ოდნავ შესამჩნევი ნიშანი კადეტების მისამართით, ოდნავ გადაკრული სიტყვა კადეტური «იძულებითი განსხვისების» ერთგვარ შესაძლებლობაზე.

რა პასუხს აძლევენ მთელ ამ ძნელად შესამჩნევ ავანსებს კადეტები? ოჰ! ისინი მთელი ძალღონით ცდილობენ შეუმჩნეველი აქციონ შესამჩნევად, საიდუმლო ნართაულებითა და მიკიბულ-მოკიბული სიტყვებით დაფარული — აშკარა და ბოლომდე გამოთქმულ აზრად. და ამიტომ თავის მხრივ შეუდარებლად მეტ ავანსებს აძლევენ მთავრობას, თავიანთ გულს უხსნიან, თუმცა, მათთვის ჩვეული სიფრთხილით, ჯერჯერობით მხოლოდ სანახევროდ და გაუბედავად უწვდიან ხელს, რათა მათკენ მოწყალედ გაშვერილი ბ-ნ სტოლიპინის სალოკი თითი მიიღონ. 18 მარტის ნომერში კადეტური ლეიბ-ორგანო «რეჩი» მთელ ქვეყნიერებას აუწყებს, რომ სახალხო თავისუფლების პარტია ამთავრებს ახალი აგრარული კანონპროექტის შემუშავებას, რომელიც ამ პარტიას ხდის «საუკეთე-

სოდ შეიარაღებულს მიწის საკითხის ს ა ქ მ ი ა ნ ი განხილვისათვის», ამასთან «საკითხის ახლებური დაყენების დროს გაცილებით უფრო მეტადაა მხედველობაში მიღებული ის, რასაც ძალთა რეალურ თანაფარდობას უწოდებენ». მეორე დღეს სათათბიროს სხდომაზე დეპუტატმა კუტლერმა ჭეშმარიტად «საქმიანი» სიტყვა წარმოთქვა და მით ოდნავ (თუმცა სულაც არა სავსებით) ასწია ის პირბადე, რომელიც ჯერ-ჯერობით მორცხვად აუფარებია კადეტური პარტიის საკანონმდებლო შემოქმედების «რეალიზმსა» და «საქმიან ხასიათს». რამდენადაც ამის გაგება შეიძლებოდა, საქმიანი რეალიზმი ამ შემთხვევაში იმით ამოიწურება, რომ, ჯერ-ერთი, «სამომხმარებლო ნორმის» ნაცვლად გლეხებს ბევრგან მიეცემა გაცილებით ნაკლები მიწა, — «რამდენიც აღმოჩნდება», როგორც ძალიან ბუნდოვნად გამოთქვამს ბ-ნი კუტლერი. როგორც ჩანს, ისე გამოდის, რომ მემამულეთა მრავალი მილიონი დესეტინა მიწა «იძულებითი განსხვისების» დროსაც შეიძლება თავისუფლად დარჩეს განუსხვისებელი. ეს ნიშნავს «მიჯნების» მხოლოდ ცოტაოდენ «გადაწევას», როგორც ბ-ნი ვასილჩიკოვი გამოთქვამს. ახალი კანონპროექტის «რეალიზმის» დამახასიათებელ მეორე ნიშანს ბ-ნი კულტერი შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: «გლეხებისათვის გამოსაყოფი მიწები» უნდა «საბოლოოდ გადაეცეს გლეხთა მფლობელობაში», ასე რომ «ეს მიწები მომავალში მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოერთვათ», ისინი «გლეხებს გადაეცემა არა დროებით, არამედ მუდმივ სარგებლობაში», ამასთან საჭირო იქნება «მხოლოდ განსხვისებისა და გირავნობის უფლების შეზღუდვა». ყოველივე ეს კვლავ ძალიან უახლოვდება ბ-ნ ვასილჩიკოვის პირით გამოცხადებულ მთავრობის «განზრახვას» — «საკუთრების საწყისებიდან გამომდინარე სიკეთენი გაავრცელოს გლეხთა მიწათმფლობელობის იმ უზარმაზარ ტერიტორიაზედაც, რომელიც დღემდე ამ სიკეთეს მოკლებული იყო». და, ბოლოს, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კადეტების ახალი აგრარული კანონპროექტის მესამე «საქმია-

ნი» ნიშანი: წინათ ვარაუდობდნენ მიწის გამოყიდვას ხაზინის ხარჯზე, ახლა კი «მიწის რეფორმის დროს მოსალოდნელი ხარჯების გარკვეული ნაწილი თვით გლეხებმა უნდა აანაზღაურონ დაახლოებით ნახევარი ოდენობით». ერთი მითხარით, რით განსხვავდება ეს გლეხების მიერ გამოსაყიდი გადასახდელის იმ სანახევრო შეტანისაგან, რომელიც მთავრობამ 1906 წლისთვის დააწესა? ამრიგად, საკმაოდ ნათლად ჩანს, რომ კადეტური აგრარული პროექტი პრინციპულად ეთანხმება მთავრობის «წინასწარდასახულობას». ეს მით უფრო ნაკლებ საეჭვოა, რომ მიწის განსხვისების კადეტური იძულებაც ფიქციურია: ვინღა «აიძულებს» კადეტურ საადგილმამულო კომიტეტებში, როცა კომიტეტებში სანახევროდ გლეხები იქნებიან, სანახევროდ მემამულენი და მათს ინტერესებს მოხელეები «მოარიგებენ»? გარიგება გაჩარხულია. ტყუილად როდი შენიშნავს სათათბიროს საქმეთა «რეჩის» მიმომხილველი 20 მარტის ნომერში ბ-ნ ვასილჩიკოვის სიტყვის გამო: «საკითხის ამგვარი დაყენების დროს ის საქმიან ნიადაგზე დგებაო». ხოლო ეს ხომ უდიდესი ქებაა ახლანდელი კადეტების მხრივ!

რაც შეეხება ბიუჯეტს, შავრაზმული თვითმპყრობელობის მიმართ კადეტების შემარიგებლური პოზიცია საკმაოდ ნათლად მოჩანს «რეჩის» იმავე 20 მარტის ნომრის მოწინავე სტატიაში. აქ «აშკარა სიცრუედ» არის გამოცხადებული ხმები, «თითქოს სახალხო თავისუფლების პარტია წინადადებას იძლეოდეს უარვყოთ ბიუჯეტი მთლიანად», აქ გამოთქმულია რწმენა, რომ «სახალხო წარმომადგენლები დაამტკიცებენ, ალბათ, ერთგვარი ცვლილებებით, 1907 წლის ბიუჯეტს» და, ბოლოს, — ისმინეთ, ბატონებო! — აქ ამტკიცებენ, «თუ სათათბირო მიიღებს იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ ბ-ნი ფინანსთა მინისტრი მზად არის დაეთანხმოს სათათბიროს უფლებების გაფართოებას (რა თქმა უნდა, «ძირითადი კანონების» ფარგლებში, — იხ. იგივე სტატია ზემოთ), — სათათბიროს წრეში შეიძლება წარმოიშვას მთავრობისადმი მეტი

ნდობა», ხოლო «თუ კი სათათბიროს საფუძველი ექნებოდა ბ-ნ ფინანსთა მინისტრისადმი ნდობისა, მას შეეძლო დასთანხმებოდა ფორმულას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ნებადართულ იქნას იმდენი სესხის აღება, რამდენიც საჭირო იქნება» (კურსივი ჩვენია). ეს ის მარგალიტია, რომელიც ღირსეულად აგვირგვინებს სამარცხვინო დათმობათა მთელ ამ გრძელ წყებას, სახალხო თავისუფლების მთელ ამ ცალობრივ გაყიდვას, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს სახალხო თავისუფლება ბითუმად გაყიდონ.

ვისაც მოთმინება აქვს თვალყური ადევნოს შავრაზმელებსა და ლიბერალურ ბურჟუებს შორის სამარცხვინო ვაჭრობის ყველა დეტალს, რამდენადაც ეს დეტალები ამჟამად იხატება, — მისთვის უეჭველი და ნათელია: კონტრრევოლუციური ძალები ირაზმებიან იმისათვის, რომ საბოლოო, სასიკვდილო ლახვარი ჩასცენ დიდ განმათავისუფლებელ მოძრაობას, გასტეხონ ძლიერი და მამაცი მებრძოლები, ხოლო მოატყუონ და თავიდან მოიშორონ გულუბრყვილო, მხდალი და გაუბედავი მებრძოლნი. მემარჯვენეები, პოლონეთის კოლო [70], კადეტები ერთად ირაზმებიან ამ ლახვარის ჩასაცემად. მთავრობა კადეტებსა და ტრუდოვიკებს აშინებს მის მიერვე წაქეზებული იმ შავრაზმული ბრბოს ღმუილით, რომელიც სათათბიროს გარეკვას და «საზიზღარი კონსტიტუციის» მოსპობას მოითხოვს. კადეტები იმავე ტრუდოვიკებს აშინებენ ისევ ამ ღმუილზე და სტოლიპინზე მითითებით, რომელსაც თითქოს განზრახული აქვს დაუყოვნებლივ გარეკოს სათათბირო. მთელი ეს მუქარა და დაშინება შავრაზმულ თვითმპყრობელობასა და ლიბერალურ ბურჟუაზიას იმისათვის სჭირდებათ, რომ უკეთესად შეთანხმდნენ ხალხისაგან მალულად, რომ სიამტკბილობით მორიგდნენ და ისე გაძარცვონ ეს ხალხი. ყველა ელფერის ტრუდოვიკებო, არ მოტყუვდეთ! იდექით ხალხის ინტერესების სადარაჯოზე! ხელი შეუშალეთ კადეტების ბინძურ გარიგებას მთავრობასთან! ამხანაგო სოციალ-დემოკრატებო!

ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ გაერკვევით ვითარებაში, რომ თქვენ გაუძღვებით სათათბიროს ყველა რევოლუციურ ელემენტს, რომ თქვენ დაანახვებთ ტრუდოვიკებს იმ სამარცხვინო გამ-ცემლობას, რასაც ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია სჩადის. ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ სათათბიროს ტრიბუნიდან მრისხანედ და ხმამაღლა გამოააშკარავებთ ამ გამცემლობას მთელი ხალხის წინაშე.

«პროლეტარი» № 15,
1907 წ. 25 მარტი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

# მენშევიკების ტაქტიკური პლატფორმა

ცალკე ფურცლად გამოიცა «ტაქტიკური პლატ-ფორმა მომავალი ყრილობისათვის, შემუშავებული მარტოვის, დანის, სტაროვერის, მარტინოვისა და სხვათა მიერ მენშევიკ-პრაქტიკოსთა ჯგუფის მონაწილეობით».

გაურკვეველი რჩება, რა დამოკიდებულება აქვს ამ პლატ-ფორმას იმ რეზოლუციასთან სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, რომელიც მენშევიზმის იმავე ლიდერებმა შეიმუშავეს და «რუსსკაია ჟიზნის» 47-ე ნომერში დაიბეჭდა. იმ ფურცელში, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, განზრახულია თუ არა აქ გადმოცემულ ტაქტიკურ შეხედულებათა უფრო დეტალური დამუშავება რეზოლუციების პროექტთა სახით, სახელდობრ — რა საკითხებზე და სხვა. არ შეიძლება ეს ბუნდოვანება დასანანი არ იყოს, რადგან თავისთავად «ტაქტიკური პლატფორმის» ფორმულირებანი მეტად ბუნდოვანი და გაურკვეველია. ამის ნათელსაყოფად მთლიანად მოვიყვანოთ პლატფორმის სამი დასკვნითი თეზისი, რომლებშიც გადმოცემულია «სოციალ-დემოკრატიის მორიგი ამოცანები უახლოეს პერიოდში»; დავიწყოთ მე-3 თეზისით:

«...3) მუშათა მასების პოლიტიკური და ორგანიზაციული თვითმოქმედების განვითარება მათ მიერ, როგორც დაქირავებული მუშათა კლასის მიერ, თავიანთი ინტერესების დაცვის ნიადაგზე. პარტიული ჯგუფების მხრივ ხელშეწყობა იმ ორგანიზაციული მშენებლობისათვის, რომელიც

პროლეტარიატის ფართო ფენებში ვითარდება მისი უახლოესი პროფესიული, პოლიტიკური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ნიადაგზე, მის მიერ ძველი წესწყობილებისათვის გამოგლეჯილ დათმობათა შესანარჩუნებლად და გასაფართოებლად ბრძოლის ნიადაგზე».

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ამაზე უფრო ბუნდოვანი, აბნეულ-დაბნეული და უშინაარსო რამ? რა არის ეს, 1907 წლის ყრილობისათვის შედგენილი «ტაქტიკური პლატფორმა», თუ ნაწყვეტი პოპულარული სტატიიდან მუშათა კლასის ამოცანებზე საზოგადოდ?

როგორც ვიცით, ყრილობის დღის წესრიგში დასმულია პროფესიული კავშირების საკითხიც, მუშათა ყრილობის საკითხიც, რწმუნებულთა საბჭოების საკითხიც, — ყველა ეს საკითხი ახლანდელი ეპოქის, მუშათა მოძრაობის განვითარების ახლანდელი საფეხურის კონკრეტული საკითხებია. ჩვენ კი გვიმასპინძლდებიან გაცვეთილი აზრებითა და ფრაზებით «თვითმოქმედების» შესახებ და თითქოს განზრახ სურთ დამალონ თავისი აზრები ცხოვრების მიერ წამოყენებულ და პარტიის მიერ დასმულ საკითხებზე! ეს პლატფორმა კი არ არის, ამხანაგებო, არამედ, საკითხის თავიდან მოშორებაა. ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, მუშათა ყრილობა, უკვე მთელი პარტიული ლიტერატურა არსებობს, დაწყებული ოფიციალურ-პარტიული «სოციალ-დემოკრატის»[71] სტატიებით და დამთავრებული მთელი რიგი ბროშურებით. პლატფორმა იმისათვის იწერება, რომ საკითხზე არსებითი პასუხი გავცეთ, და არა იმისათვის, რომ ის თავიდან მოვიშოროთ.

«...2) გადამწყვეტი იდეური ბრძოლა პროლეტარიატის კლასობრივი დამოუკიდებლობის შეზღუდვის ყველა ცდის წინააღმდეგ, მის შეგნებაში რეაქციული მეშჩანური ილუზიების შეტანისა და ყველა იმ ტენდენციის წინააღმდეგ, რომლებიც იწვევენ ორგანიზებული კლასობრივი ბრძოლის შეცვლას ანარქისტული ტერორითა და შეთქმულთა ავანტიურიზმით».

გულმოსულად არის ნათქვამი. ეტყობა, ავტორებს უნდოდათ «ჯავრი ეყარათ». ეს მათი უფლებაა, რა თქმა უნდა, და

ჩვენ კამათის სიმწვავის გამო ჩივილი არა გვჩვევია. იკამათეთ როგორც გენებოთ მწვავედ, ოღონდ ნათლად თქვით, რა გსურთ. თქვენი მე-2 მუხლი კი გარკვეულს სრულიად არაფერს ამბობს. როგორც ამის მიხვედრა შეიძლება, იგი ბოლშევიკებს «უმიზნებს», მაგრამ ბუნდოვანი ფორმულირების გამო მიზანს ა რ ხ ვ დ ე ბ ა. ყველა ბოლშევიკი, რა თქმა უნდა, თანახმა იქნება საკუთარი ანარქისტული ტერორი, «შეთქმულთა ავანტიურიზმი», «რეაქციული მეშჩანური ილუზიები» და «კლასობრივი დამოუკიდებლობის შეზღუდვის ცდები».

ჩვენ კეთილ რჩევას მივცემთ ამხანაგ მენშევიკებს. თუ თქვენ გინდათ, ამხანაგებო, უფრო მწვავედ ეკამათოთ ბოლშევიკებს და უფრო მაგრად «შებღალოთ» ისინი, მაშინ წერეთ, გეთაყვა, ისეთი რეზოლუციები, რომლებიც ჩვენთვის მ ი უ ღ ე ბ ე ლ ი იქნებოდა. საჭიროა ყველა ფრჩხილის გ ა ხ ს ნ ა და არა დიდი ხნის აღძრულ საკითხებზე ახალი საბურვლის ჩამოფარება! გადაიღეთ ჩვენი მაგალითი: ჩვენი რეზოლუციის პროექტი უპარტიო პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ პ ი რ დ ა პ ი რ ამბობს, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ აქსელროდის ა მ ა დ ა ა მ იდეისა, ა მ ა დ ა ა მ მიმდინარეობისა, რომელიც პარტიის წევრთა განსაზღვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში გამოიხატა. რაც არ უნდა გვისაყვედურონ ამ რეზოლუციის პროექტის გამო, ჩვენ, ალბათ, ვერ გვისაყვედურებენ ბუნდოვანობას ან კამათის დ ე დ ა ა რ ს ი ს ა თ ვ ი ს გვერდის ავლას.

«...1) პროლეტარული მასების პოლიტიკური ინიციატივის გამოღვიძება პოლიტიკური ცხოვრების ყოველგვარ გამოვლინებაში მათი გეგმაშეწონილი ჩარევის მოწყობის გზით.

ამასთან, მოუწოდებს რა პროლეტარიატს მხარი დაუჭიროს ყველა პროგრესულ კლასს მათს ერთობლივ ბრძოლაში რეაქციის წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატია უარყოფს ყოველგვარ მტკიცე გაერთიანებას არაპროლეტარული კლასების რომელიმე ნაწილთან, და იქ, სადაც ამ კლასების ცალკეული ფრაქციები ერთმანეთს შორდებიან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარს უჭერს ისეთ მოქმედებას, რომელიც საზოგადოებრივი

განვითარების ინტერესებს შეესაბამება. სოციალ-დემოკრატია თავის რევოლუციურ კრიტიკას თანაბრად წარმართავს ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური ზრახვების წინააღმდეგ და აგრარულ-მეშჩანური სოციალიზმის უტოპიურ და რეაქციულ ცრურწმენათა წინააღმდეგ».

ჩვენ განზრახ მოვაქციეთ ეს მუხლი უკანასკნელ ადგილზე, რადგან მხოლოდ და მარტო ის არის შედარებით შინაარსიანი იმ მხრივ, რომ აქ ავტორები ეხებიან მენშევიკებისა და ბოლშევიკების განსხვავებული ტაქტიკის პრინციპულ საფუძვლებს. მაგრამ მაინც კიდევ მხოლოდ «ეხებიან», მაინც უზომოდ ბევრია წყალი და ცოტაა კონკრეტული მასალა! პირველი ორი წინადადება — ტრუიზმებია, რომლებზედაც პრესაში ლაპარაკი 1894 — 1895 წლებში ბუნებრივი იყო, მაგრამ 1907 წელს აშკარად უხერხულია. და ეს ტრუიზმებიც კი გამოთქმულია ყოვლად დაუდევრად: მაგალითად, სოციალ-დემოკრატია უარყოფს საზოგადოდ ყოველგვარ «გაერთიანებას» სხვა კლასებთან და სულაც არა მარტო «მტკიცე გაერთიანებას».

მხოლოდ მესამე წინადადება ეხება ტაქტიკის საფუძვლებს. მხოლოდ აქ არის საბურველი ახდილი იმდენად მაინც, რომ ჩვენი ეპოქის კონკრეტული მოვლენების მოხაზულობანი დავინახოთ.

სოციალ-დემოკრატიასთან აქ დაპირისპირებულია: 1) ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური ზრახვები; 2) აგრარულ-მეშჩანური სოციალიზმის უტოპიური და რეაქციული ცრურწმენები. დირექტივა, რომელსაც პარტიას აძლევენ, ის არის, რომ თანაბრად იქნას გაკრიტიკებული ერთიც და მეორეც.

გავარჩიოთ ამ დაპირისპირების ორივე ნაწილი და ასეთი დირექტივის მნიშვნელობა.

რას გულისხმობენ ამხანაგები «ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ ზრახვებად», — ეს არც თუ მთლად ნათელია. ლაპარაკი ლიბერალურ ბურჟუაზიაზე სა-

ზოგადოდ ისე, რომ მათ მიმართ შემდგომი განსაზღვრა არ გამოგვეყენებინა, მართებული იყო 1897 წელს, მაგრამ სრულიადაც არა 1907 წელს. საოცრად იგვიანებენ ამხანაგი მენშევიკები! ჩვენ ახლა რუსეთში გვყვანან პოლიტიკური პ ა რ ტ ი ე ბ ი, რომლებმაც გვიჩვენეს თავი პირველ და ნაწილობრივ უკვე მეორე სათათბიროში! ეს რაღა «ტაქტიკური პლატფორმაა», თუ მას რუსეთში ჯერ კიდევ ა რ შ ე უ ნ ი შ ნ ა ვ ს ეს გარკვეული პარტიები?

ძნელი წარმოსადგენია, რომ ლიბერალურ ბურჟუაზიად ოქტიაბრისტები იგულისხმებოდნენ. ცხადია, ამხანაგები გულისხმობენ კ ა დ ე ტ უ რ ი ტიპის პარტიებს (დემოკრატიული რეფორმების პარტიას, შესაძლოა, მშვიდობიანი განახლების, როგორც იმავე ტიპის მოვლენის, პარტიას). ამაში გვარწმუნებს აგრეთვე სიტყვა: «ზრახვები», რადგან ოქტიაბრისტთა შორის ჩვენ ვხედავთ კონტრრევოლუციური ხასიათის ზრახვებს კი არა, არამედ მთელი მათი პოლიტიკა უკვე კონტრრევოლუციური გახდა.

ამრიგად, ლაპარაკია კადეტების კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ «ზ რ ა ხ ვ ე ბ ზ ე», ე. ი. იმაზე, რომ კადეტები უ კ ვ ე ი წ ყ ე ბ ე ნ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი პოლიტიკის გატარებას კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი სულისკვეთებით.

უეჭველია, ეს ნამდვილი ფაქტია. უეჭველია, მისი აშკარა და გარკვეული აღიარება ერთმანეთთან დააახლოებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამჟამად მტრულ მიმდინარეობებს. ამგვარი «ზრახვების» «რევოლუციური კრიტიკის» აუცილებლობაც სრულიად უდავოა.

განვაგრძოთ. ლიბერალთა რეაქციულ ზ რ ა ხ ვ ე ბ თ ა ნ დაპირისპირებულია «აგრარულ-მეშჩანური სოციალიზმის» რეაქციული «ც რ უ რ წ მ ე ნ ე ბ ი».

ჩვენ საგონებელში ვართ. როგორ შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ და დავუპირისპიროთ კ ლ ა ს ე ბ ი (ლიბერალური ბურჟუაზია) და მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ნ ი (სოციალიზმი)?

პრაქტიკული პოლიტიკა (ზრახვები) და შეხედულებანი (ცრურწმენები)?? ეს წარმოუდგენელი ულოგიკობაა. ტაქტიკურ პლატფორმაში რომ თავი და ბოლო ერთმანეთს შეესაბამებოდეს, საჭიროა დავუპირისპიროთ: 1) ერთი კლასი — მეორეს, მაგალითად, ლიბერალური ბურჟუაზია — დემოკრატიულ (თუ რეაქციულ?) გლეხობას; 2) ერთი პოლიტიკა — მეორეს, მაგალითად, კონტრრევოლუციური — რევოლუციურს; 3) მოძღვრებათა, შეხედულებათა და ცრურწმენათა ერთი წყება — მოძღვრებათა, შეხედულებათა და ცრურწმენათა მეორე წყებას. ეს იმდენად აშკარა, იმდენად ელემენტარული რამ არის, რომ უნებლიეთ ეჭვი გებადებათ: შემთხვევითია თუ არა მენშევიკების ეს ულოგიკობა? ხომ არ გამოხატავს ლოგიკური ბუნდოვანობა პოლიტიკური აზრის ბუნდოვანობას?

ესერების, ტრუდოვიკების, სახალხო სოციალისტების «სოციალიზმი» რომ უტოპიური და რეაქციული ცრურწმენებით არის სავსე, — ეს უდავოა. ეს, აღნიშნული პარტიების შეფასების დროს, რასაკვირველია, უნდა ითქვას, როგორც ეს კიდევაც თქვეს ბოლშევიკებმა თავიანთ რეზოლუციების პროექტებში როგორც IV, ისე V ყრილობისათვის. ამ უდავო აზრს ამნაირი ულოგიკო შეხამებით რომ იმეორებდნენ, მენშევიკები, ეტყობა, ებღაუჭებოდნენ პირველსავე შემთხვევითს მოსაზრებას კადეტებისათვის მხარის დაჭერის თავიანთი პოლიტიკის გასამართლებლად. მართლაცდა, იმ პლატფორმის ტექსტში, რომელსაც ჩვენ ვარჩევთ, მათ უკვე აღარ შეეძლოთ გვერდი აევლოთ ამგვარი პოლიტიკის დასაბუთებისა და მისი გამართლების ცდებისათვის. ახლა მენშევიკები ეხებიან ლიბერალური ბურჟუაზიის დამოკიდებულებას გლეხობისადმი რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში. და ეს, რა თქმა უნდა, დიდი პროგრესია. პირველი და (ნაწილობრივ) მეორე სათათბიროს გამოცდილების შემდეგ, «შავრაზმული საფრთხის» ყბადაღებულ ფიქციაზე უბრალო მითითება აღარ

კმარა კადეტებთან საარჩევნო შეთანხმების დასაცავად, კადეტი თავმჯდომარის სასარგებლოდ ხმის მისაცემად, კადეტების ლოზუნგებისათვის მხარის დასაჭერად. საჭირო ხდება დაისვას ზოგადი საკითხი, რომელიც ბოლშევიკებმა უკვე წამოაყენეს ბროშურაში «ორი ტაქტიკა» (1905 წ. ივლისი) *, სახელდობრ საკითხი ლიბერალური ბურჟუაზიისა და გლეხობის დამოკიდებულებისა რუსეთის რევოლუციისადმი. რას ამბობენ ახლა მენშევიკები, არსებითად, ამ საკითხზე?

«რუსეთში ქალაქის ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ ვერ დაიმორჩილა მთელი სახალხო მეურნეობა, ამიტომ მას არ შეუძლია დამოუკიდებელი რევოლუციური ინიციატივა გამოიჩინოს, როგორც ეს მოხდა წინა საუკუნეთა ბურჟუაზიული რევოლუციების დროს; ამავე დროს გლეხობა, რომელიც მწარმოებელთა უდიდეს უმრავლესობას შეადგენს, მხოლოდ ახლა იწყებს წინაბურჟუაზიული წარმოების ეკონომიური და საზოგადოებრივი პირობებიდან გამოსვლას და ამიტომ კიდევ უფრო ნაკლებად გამოდგება რევოლუციის დამოუკიდებელი ხელმძღვანელის როლისათვის».

ეს არის ერთადერთი ცდა ეკონომიური ანალიზით დაასაბუთონ მენშევიკური პოლიტიკა ლიბერალებისა და გლეხობის მიმართ! «გლეხობა კიდევ უფრო ნაკლებად გამოდგება, ვიდრე ქალაქის ბურჟუაზიული დემოკრატია»... სწორედ ეს სიტყვები: «კიდევ უფრო ნაკლებად» უნდა შეიცავდეს კადეტებისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკის გამართლებას.

რატომ «კიდევ უფრო ნაკლებად»? იმიტომ, რომ გლეხობა «მხოლოდ ახლა იწყებს წინაბურჟუაზიული წარმოების ეკონომიური და საზოგადოებრივი პირობებიდან გამოსვლას». დასაბუთება აშკარად არადამაკმაყოფილებელია. გლეხობა თუ «მხოლოდ ახლა იწყებს გამოსვლას», მას გამოსვლაში ხელს უშლის «ბატონყმური წესწყობილების ნაშთები, რომლებიც მძიმე უღლად აწევს უშუალოდ გლეხებს». ამას ამბობს ჩვენი პარტიული აგრარული პროგრამის პირველივე ფრაზა. იმ გარემოებიდან, რომ ბატონყმობის ნაშთების მძიმე უღელი უშუალოდ გლეხებს

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტ. 9, გვ. 1 — 162. რედ.

აწევს, გამომდინარეობს აუცილებლობა და გარდუვალობა არსებული წყობილების წინააღმდეგ უფრო ღრმა, ფართო და მწვავე რევოლუციური მოძრაობისა გლეხებში, ვიდრე ლიბერალურ ბურჟუაზიაში. რევოლუციის ხელმძღვანელის როლისათვის ლიბერალური ბურჟუების ან გლეხობის გამოსადეგობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება*; ხოლო «დამოუკიდებელი რევოლუციური ინიციატივისათვის» ან, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, რევოლუციის შემდგომ განვითარებაში დამოუკიდებელი მონაწილეობისათვის ლიბერალებისა და გლეხების შედარებითი გამოსადეგობა მენშევიკებმა აშკარად მცდარად შეაფასეს.

მენშევიკების თვალსაზრისი გლეხობის პოლიტიკურ როლზე ეწინააღმდეგება ჩვენი აგრარული პროგრამის სწორედ იმ ძირითად დებულებებს, რომელთაც იზიარებს მთელი პარტია, იზიარებენ ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც.

ჯერ-ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, «ბატონყმობის ნაშთების მძიმე უღელი უშუალოდ გლეხებს აწევს». მაშასადამე, რუსეთის თანამედროვე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში გლეხობა არ შეიძლება უფრო რევოლუციური არ იყოს, ვიდრე ლიბერალური ბურჟუაზია, რადგან

* საზოგადოდ, ჩვენ მხურვალედ მივესალმებით იმ გარემოებას, რომ მენშევიკებმა თავიანთ პლატფორმაში აღძრეს პროლეტარიატის, როგორც რევოლუციის ხელმძღვანელის, როლის საკითხი. ყრილობაზე ამ საკითხის განხილვა და რეზოლუციის მიღება ფრიად სასურველია. ხელმძღვანელის როლისათვის გლეხობის გამოუსადეგარობა კი მენშევიკებმა სუსტად დაასაბუთეს. საქმე ის კი არ არის, რომ გლეხობა ბატონყმობიდან «გამოსვლას მხოლოდ ახლა იწყებს», არამედ ის, რომ წვრილი წარმოების ძირითადი პირობები (მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში) წვრილ მწარმოებელს აიძულებს მერყეობდეს, ერთი მხრივ, «წესრიგსა» და «საკუთრებას» და, მეორე მხრივ, ძველი წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლას შორის. სწორედ ასევე ლიბერალური ბურჟუაზიის შესახებაც მენშევიკებმა გამოსტოვეს მისი არასაიმედობის მთავარი მიზეზი: პროლეტარიატის მიმართ შიში, იმის აუცილებლობა, რომ დაეყრდნოს ძველი წესწყობილების ძალაუფლების იარაღს «პროლეტარიატის მხრივ ხელყოფისაგან» დასაცავად, როგორც ეს ნათქვამია ბოლშევიკურ რეზოლუციაში.

რევოლუციური მოძრაობის ძალა, სიმტკიცე, ცხოველმყოფელობა, სიმწვავე დამოკიდებულია დრომოჭმული ძველი მჩაგვრელი პირობების ძალაზე.

მეორე, ჩვენს აგრარულ პროგრამაში ჩვენ მოვითხოვთ «კერძომფლობელური მიწების კონფისკაციას». არაფერ ამდაგვარს, არაფერ ისეთს, რაც თუნდაც ოდნავ უახლოვდება ესოდენ რადიკალურ ეკონომიურ ზომას, ჩვენ ლიბერალური ბურჟუებისათვის არ მოვითხოვთ. რატომ? იმიტომ რომ არ არსებობს ობიექტური პირობები, რომლებიც ლიბერალური ბურჟუაზიის წრეში გამოიწვევდა ძველი დროის თვალსაზრისით «კანონიერი» საკუთრების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილების კონფისკაციისათვის ბრძოლას. გლეხობის მიმართ კი ჩვენ ყველანი აღვიარებთ, რომ იქ ეს ობიექტური პირობები არსებობს, რადგან მარქსისტები კონფისკაციას ულტრა-რევოლუციური ზომებით გატაცების გამო კი არ მოითხოვენ, არამედ გლეხთა მასების გამოუვალი მდგომარეობის შეგნების გამო. გლეხობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციურობის შეუდარებლად უფრო დიდი სიღრმე გარდუვალად გამომდინარეობს ჩვენი აგრარული პროგრამის ასეთი წანამძღვარიდან.

მესამე, ჩვენი აგრარული პროგრამა ლაპარაკობს «გლეხობის რევოლუციური გამოსვლებისათვის მხარის დაჭერაზე თვით მემამულეთა მიწების კონფისკაციამდეც კი». აქ პირდაპირ აღიარებულია, რომ საჭიროა გარკვეულად მოვეკიდოთ გლეხობის უშუალო-რევოლუციურ ბრძოლას, მასობრივი ხასიათის «გამოსვლებს», რომლებიც ჩვენი ქვეყნის უზარმაზარ სივრცეს და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მოიცავენ. არაფერი ამ რევოლუციური გამოსვლების მსგავსი ქალაქის არათუ «ლიბერალურ», ე. ი. საშუალო და ნაწილობრივ მსხვილ, არამედ დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასაც კი არა აქვს. არავითარი «მხარის დაჭერა» ქალაქის ბურჟუაზიის არავითარი «საკონფისკაციო» გეგმისათვის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას არასოდეს არ აღუთქვამს და

არც შეეძლო აღეთქვა. აქედან უკვე ჩანს, რამდენად მ ც დ ა-
რ ი ა მენშევიკების ჩვეულებრივი მსჯელობა «ქალაქის პროგ-
რესული» და «სოფლის ჩამორჩენილი» ბურჟუაზიის შესახებ,
მსჯელობა, რაზედაც გ ა დ ა კ ვ რ ი თ მ ი უ თ ი თ ე ბ ს განსა-
ხილველი პლატფორმაც. ეს მსჯელობა ემყარება ბატონყმობის
ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში მთელი ჩვენი პროგ-
რამის ძირითადი იდეების გაუგებლობას, — იმ ბრძოლისა,
რომელიც რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეკონო-
მიურ შინაარსს შეადგენს.

მეოთხე, რუსეთის პოლიტიკურმა ისტორიამ გასული წლის
მანძილზე, განსაკუთრებით პირველმა სათათბირომ და მეორე
სათათბიროს არჩევნებმა, ნათლად დაგვანახა, რომ გლეხობამ,
მიუხედავად მთელი თავისი განუვითარებლობისა, დაქსაქსუ-
ლობისა და სხვა, შესძლო მ ყ ი ს ვ ე დაეწყო პ ო ლ ი ტ ი კ უ-
რ ი პარტიების («შრომის» ჯგუფი და სხვ.) შექმნა, რომლებიც
უეჭველად უ ფ რ ო დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ნ ი არიან, ვიდრე
ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიები (მათ შორის კადეტე-
ბიც). საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ კადეტებისა და
«104-ის» აგრარული პროექტი, ან კადეტებისა და ტრუდოვი-
კების დამოკიდებულება კრებების თავისუფლებისა და ადგი-
ლობრივი საადგილმამულო კომიტეტების შემადგენლობისად-
მი, ანდა კადეტების პრესა, ხალხს რომ აშოშმინებს და რევო-
ლუციურ მოძრაობას წყალწყალა კონსტიტუციური ფრაზებით
რომ აქრობს, და ტრუდოვიკების პრესა («იზვესტია კრესტიანს-
კიხ დეპუტატოვ» [72] და სხვ.), რომელიც ქალაქისა და სოფ-
ლის წვრილი ბურჟუაზიის ა ხ ა ლ ფ ე ნ ე ბ ს ა რ ე ვ ო ლ უ-
ც ი უ რ ე ბ ს დემოკრატიული აზრით.

ერთი სიტყვით, რა მხრითაც უნდა მიუდგეთ საკითხს, უნ-
და აღიაროთ, რომ მენშევიკების მიერ მოცემული შედარები-
თი შეფასება ლიბერალებისა და ტრუდოვიკებისა ძ ი რ ფ ე ს-
ვ ი ა ნ ა დ მ ც დ ა რ ი ა.

ამ შეცდომის წყაროა რუსეთის სოფლის მეურნეობაში მიმ-
დინარე ბურჟუაზიული გადატრიალების გაუგებლობა. ეს გა-

დატრიალება შესაძლებელია ორი ფორმით: ან მემამულური მიწათმფლობელობის შენარჩუნება, ბატონყმობის ნიშნებისაგან მისი ერთგვარი გაწმენდისა და გლეხ მოჯამაგირეთა დამონების გზით; ან მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობა, მისი კონფისკაციისა და გლეხობისათვის მიწის გადაცემის გზით (ნაციონალიზაციის, დაყოფის, «მუნიციპალიზაციის» სახით და სხვა და სხვა) *.

ბურჟუაზიული გადატრიალება რუსეთის სოფლის მეურნეობაში აბსოლუტურად გარდუვალია. და ეს გადატრიალება ბურჟუაზიულ გადატრიალებად რჩება (მიუხედავად ნაროდნიკების მოძღვრებისა) აგრეთვე მეორე შემთხვევაშიც. მაგრამ გადატრიალება შეიძლება მოხდეს პირველი ან მეორე ფორმით, იმისდა მიხედვით, დემოკრატიული რევოლუცია გაიმარჯვებს, თუ ის დაუმთავრებელი დარჩება; — გლეხთა მასა იქნება მისი მიმდინარეობისა და შედეგის განმსაზღვრელი, თუ ლიბერალური მემამულე და მეფაბრიკე.

ბურჟუაზიულ გადატრიალებას მემამულური მიწათმფლობელობის შენარჩუნების მიზნით ატარებენ სტოლიპინიც და ლიბერალებიც (კადეტების პარტია). სტოლიპინი — ყოვლად უხეში და აზიური ფორმებით, რომლებსაც შეუძლია სოფლად გააღვივოს ბრძოლა და გააძლიეროს რევოლუცია. ლიბერალებს ამის ეშინიათ, არ უნდათ საფრთხეში ჩააგდონ ყველაფერი; ისინი დათმობებს ემხრობიან, მაგრამ ისეთ დათმობებს, რომლებიც მაინც შ ე ი ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ე ნ მემამულურ მიწათმფლობელობას: საკმაოა გავიხსენოთ გამოყიდვა და — რაც მთავარია — ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების შედგენა მემამულეთა და გლეხთა თ ა ნ ა ბ ა რ ი წარმომად-

* მკითხველის ყურადღებას განსაკუთრებით მივაქცევთ იმას, რომ აგრარული სოციალ-დემოკრატიულ პროგრამის სადავო საკითხებს (დაყოფა, ნაციონალიზაცია, მუნიციპალიზაცია) მე განზრახ არ ვეხები და ვლაპარაკობ მხოლოდ იმაზე, რაც არა მარტო ფორმალურად მიიღო პარტიის ყრილობამ, არამედ არსებითადაც არ იწვევს დავას ან ფრაქციულ დაყოფას სოციალ-დემოკრატიაში.

გენლებისაგან მთავრობის აგენტების თავმჯდომარეობით! ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების ასეთი შემადგენლობა მემამულეთა ბატონობის შენარჩუნებას ნიშნავს. გამოყიდვა გლეხური ბურჟუაზიის განმტკიცებას და გლეხური პროლეტარიატის დამონებას ნიშნავს. მენშევიკებს სტოლიპინისა და კადეტების აგრარული რეფორმის აი ეს ძირითადი, ეკონომიური სოლიდარობა არ ესმით.

სტოლიპინი და კადეტები სხვადასხვა აზრს ადგანან დათმობათა ოდენობის, რეფორმის გატარების წესის (უხეშად თუ უფრო მოქნილად) საკითხში. მაგრამ სტოლიპინიც და კადეტებიც რეფორმის მომხრენი, ე. ი. გლეხისათვის დათმობის გზით მემამულეთა ბატონობის შენარჩუნების მომხრენი არიან.

პროლეტარიატი და გლეხობა არიან რევოლუციის მომხრენი, არა მარტო მემამულეთა ბატონობის, არამედ მთელი მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობის მომხრენი.

ჩვენ შეგვიძლია რევოლუციას ბოლო მოვუღოთ მემამულეთა მხრივ სრულიად უმნიშვნელო დათმობათა გზით, ამბობს სტოლიპინი.

ჩვენ შეგვიძლია რევოლუციას ბოლო მოვუღოთ მემამულეთა მხრივ მხოლოდ უფრო მნიშვნელოვან დათმობათა გზით, ამბობენ ლიბერალები (მათ შორის კადეტები).

ჩვენ გვინდა მოვსპოთ მემამულური მიწათმფლობელობა და ბოლომდე მივიყვანოთ რევოლუცია, ამბობენ გლეხები და მუშები.

აგრარული პროგრამების ამგვარი თანაფარდობის უარყოფა იმას ნიშნავს, რომ უარვყოთ ჩვენი საკუთარი აგრარული პროგრამა, რომელიც ლაპარაკობს «კერძომფლობელური მიწების კონფისკაციაზე», «გლეხობის რევოლუციური გამოსვლებისათვის მხარის დაჭერაზე თვით მემამულეთა მიწების კონფისკაციამდეც კი».

ამგვარი თანაფარდობის აღიარება კი ნიშნავს სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკური ხაზის აღიარებას: პროლეტარიატი

უნდა მიუძღოდეს დემოკრატიულ გლეხობას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ლიბერალების წინააღმდეგ.

ამიტომ მენშევიკების მთელი ტაქტიკის მერყეობა შემთხვევითი არ არის, მათ გარდუვალად ახასიათებს მერყეობა, ვიდრე ამ აგრარულ პროგრამას აღიარებენ. ზოგი მათგანი ამჯობინებს პროგრამაში სიტყვა «კონფისკაცია» შეიცვალოს «განსხვისებით», რითაც ს ა ვ ს ე ბ ი თ თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ რ ა დ გამოხატავს ოპორტუნიზმის შემდგომ ნაბიჯს და გრძნობს, რომ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა თავისი კადეტური პოლიტიკა შეუთანხმოს აგრარული პროგრამის კადეტურ ფორმულირებას.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ჩაუდენიათ. მენშევიზმის გავლენიანი ბელადები ამის აშკარად, პირდაპირ და წინასწარ თქმასაც კი ვერ ბედავენ. და მერყეობა პოლიტიკაში მათთვის გარდუვალია.

საჭირო ხდება კადეტებისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკა გაატარონ, ამავე დროს კი მისი აშკარად გამოცხადება ვერ გაუბედნიათ! «სათათბიროს სამინისტროს» მოთხოვნისათვის მხარის დაჭერაც, ფიქციური შავრაზმული საფრთხის გულისათვის კადეტებთან ბლოკიც, სათათბიროს კადეტი თავმჯდომარისათვის ხმის მიცემაც, — ყოველივე ეს კადეტებისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკის, ლიბერალთა ჰეგემონიისადმი პროლეტარიატის დამორჩილების პოლიტიკის მხოლოდ კერძო გამოვლინებანია.

მაგრამ ამ პოლიტიკის აშკარად დაცვას მენშევიკები ვერ ბედავენ. და თავიანთი ყალბი მდგომარეობა მათ აიძულებს, მიუხედავად მათი ნებისა და შეგნებისა, «გამოიგონონ» ისეთი ფიქციური მოსაზრებანი, როგორიც «შავრაზმული საფრთხეა» არჩევნების დროს, ანდა ის, რომ «სათათბიროს სამინისტრო» არ არის ორჭოფული ცრუ რეფორმა, რომელიც კადეტებთან შავრაზმული კამარილიის გარიგების ცდას ფარავს, ან კიდევ ის, რომ გოლოვინისათვის (რომელმაც მიიღო 356 ხმა წინააღმდეგ 102-ისა) ჩვენი 60 — 70 ხმის წართმევით ჩვენ კადეტის დამარცხების «რისკს ვეწეოდით» და სხვა და სხვა.

ყალბი მდგომარეობა მათ აიძულებს შეალამაზონ კადეტები. გაურბიან ამ პარტიის პირდაპირ დახასიათებას მისი კლასობრივი შემადგენლობისა და მისი კლასობრივი დასაყრდენის მიხედვით. თავს არიდებენ რუსეთის ბურჟუაზიული პარტიების შეფასებას ყრილობის მიერ. ნაცვლად «ლიბერალური ბურჟუაზიისა» ამბობენ: «ქალაქის ბურჟუაზიული დემოკრატიაო».

კადეტების ამ, აშკარად არასწორ, დახასიათებას* იცავენ ერთი, პირველი შეხედვით მეტად კარგი, მოსაზრებით: არჩევნების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ კადეტურ ამრჩევლებს ყველაზე მეტად სწორედ დიდი ქალაქები იძლევიანო. ეს მოსაზრება უსაფუძვლოა: ჯერ-ერთი, მეორე სათათბიროს არჩევნების დროს 22 დიდ ქალაქში, სადაც, «რეჩის» ცნობებით, მემარცხენე ბლოკი იყო, კადეტებმა 74 ათასი ხმა შეაგროვეს, მემარცხენეებმა კი — 41 ათასი. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ლეგალური აგიტაციის საქმეში მემარცხენეები საოცრად სუსტნი იყვნენ (სრულიად არა ჰქონდათ ყოველდღიური გაზეთები, სრულიად არა ჰქონდათ ღია ბიუროები და სხვ.), ტრუდოვიკებმა და სოციალ-დემოკრატებმა ერთბაშად წაართვეს კადეტებს ხმების მესამედზე მეტი! მაშასადამე, კადეტები წარმოადგენენ ქალაქის ბურჟუაზიის ზედაფენებს, ე. ი. სწორედ ლიბერალურ ბურჟუაზიას და სრულებითაც არა ქალაქის «დემოკრატიას» საერთოდ. მეორე, ლიბერალური ბურჟუაზია ყველა ქვეყანაში დიდხანს მიუძღოდა ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის ქვედა ფენების მრავალრიცხოვან ელემენტებს, მაგრამ ამის გამო

* განსახილველ პლატფორმაში პირდაპირ არარის ნათქვამი, რომ კადეტები ქალაქის ბურჟუაზიული დემოკრატიის პარტიაა, მაგრამ მთელი ტექსტისა და ყველა დასკვნის აზრი კი სწორედ ასეთია. სწორედ ასეთია მენშევიკური პრესის «განმარტებანი». პლატფორმის მიკიბულ-მოკიბულობა მხოლოდ კიდევ და კიდევ ხაზგასმით მოწმობს, თუ რამდენად აუცილებელია სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტიის კლასობრივი შინაარსისა და მათდამი ჩვენი დამოკიდებულების საკითხის დაყენება ყრილობის წინაშე. უამისოდ მტკიცე ტაქტიკა შეუძლებელია.

სულაც არ გამხდარა დემოკრატიულ პარტიად, მასების პარტიად. ლიბერალების წინააღმდეგ სოციალისტების ბრძოლა ქალაქის წვრილბურჟუაზიული ღარიბობის მასაზე დემოკრატიული ჰეგემონიისათვის ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლაა. კადეტების ერთბაშად გამოცხადება «ქალაქის დემოკრატიად» ნიშნავს ამ ბრძოლაზე უარის თქმას, პროლეტარულ საქმეზე უარის თქმას, ამ საქმის დატოვებას ლიბერალების ხელში. მესამე, იმის უარყოფა, რომ ლიბერალური მემამულენი ჯერ კიდევ შეადგენენ კადეტების პარტიის ერთერთ კლასობრივ დასაყრდენს, ნიშნავს თვითნებურად წარმოადგინო საყოველთაოდ ცნობილი პოლიტიკური და ეკონომიური ფაქტები: სათათბიროს კადეტური ფრაქციის შემადგენლობაც და, განსაკუთრებით, ბურჟუაზიული ინტელიგენციის, ადვოკატებისა და სხვათა მჭიდრო კავშირი მემამულეებთან, პირველთა დამოკიდებულება უკანასკნელთაგან. კადეტური აგრარული პოლიტიკა ლიბერალური მემამულის პოლიტიკა არის. რაც უფრო მცირდება ლიბერალთა რაოდენობა მემამულეთა შორის, მით უფრო სწრაფად იქცევა კადეტური აგრარული პოლიტიკა «სოციალური მშვიდობის» კეთილ სურვილად უმწეო ბურჟუაზიული ინტელიგენტის თვალში. კადეტები «დემოკრატიულნი» არ ხდებიან იმით, რომ ტრუდოვიკ-გლეხთან ოქტიაბრისტ-მემამულის შერიგებასა და სასიამტკბილო შეთანხმებაზე ოცნებას განაგრძობენ *.

---

* როგორც ცნობილია, მემარჯვენე კადეტები, მათ შორის ბ-ნი სტრუვეც, წინადადებას აყენებდნენ მეორე სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგებად აერჩიათ ოქტიაბრისტი კაპუსტინი და ტრუდოვიკი ბერეზინი. «მე მზად ვარ ამ გეგმას ვუწოდო ლიბერალური... «ჭკუამახვილობის» «გენიალური» გამოხატულება. მართლაც, ობიექტურად საქმე სწორედ იმნაირად არის, რომ კადეტის ისტორიული მისიაა ოქტიაბრისტი-მემამულისა და ტრუდოვიკი-გლეხის შერიგება. მემარცხენე კადეტებმა, მემარცხენეთა წინაშე შიშის გამო, არ მოისურვეს ეს აშკარად ეჩვენებინათ. მაგრამ ეს, მიუხედავად ამისა, უდავო ფაქტია. საქმის ობიექტური ვითარება კადეტების ისტორიულ ამოცანად ხდის რევოლუციის შეწყვეტას ტრუდო-

* *
*

ლიბერალური ბურჟუაზიისა და გლეხობის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრის ძირითადი შეცდომა წითელ ზოლად გასდევს მენშევიკების მთელ «ტაქტიკურ პლატფორმას». აი კიდევ ამ მცდარი აზრის ფორმულირება, რომელსაც ისინი იძლევიან:

«პროლეტარიატი, სავსებით თავის თავზე მინდობილი და ქალაქის დემოკრატიის მიერ არასაკმაოდ მხარდაჭერილი(!!), იხრებოდა (ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდის შემდეგ) იმ პროგრესული როლის დამცირებისაკენ, რომელიც ახლანდელ რევოლუციაში საზოგადოდ ამ დემოკრატიას ეკისრება, და, ამის შესაბამისად, პროლეტარიატმა ქალაქის დემოკრატიის მიმართ ცალმხრივი მტრული პოზიცია დაიკავა... იმის გამო, რომ პროლეტარიატმა შეითვისა ქალაქის ბურჟუაზიის ისტორიული როლის უმართებულო გაგება, პროლეტარიატი იწყებს მთელი თავისი რევოლუციური იმედების ცალმხრივად დამყარებას ისტორიულ ასპარეზზე გამომავალი გლეხობის მოძრაობაზე».

ეს არის ღირსშესანიშნავი ადგილი, რომელიც ისტორიაში უნდა შევიდეს იმის დასახასიათებლად, თუ როგორ «დაავიწყდა თავისი თავი» რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ ნაწილს 1907 წელს.

ეს ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, ლიბერალთა წინაშე სოციალ-დემოკრატების ნამდვილი მონანიების სიტყვაა! წარმოიდგინეთ მხოლოდ: მეორე სათათბიროს ხანაში, როცა აშკარად გამოიხატა პოლიტიკურ უკიდურესობათა გამწვავება შავრაზმელებსა და სათათბიროს მემარცხენე ფრთას შორის, როცა არსებობს რევოლუციური კრიზისი, რომლის მომწიფების უარყოფას ვერავინ ბედავს, როცა დასუსტებული ლიბერალური «ცენტრი» (კადეტები) აშკარად მარჯვნივ იხრება, როცა არჩევნების დროს ლიბერალებს აძევებს დემოკრატი-

---

ვიკ-გლეხთან ოქტიაბრისტ-მემამულეთა შერიგების გზით. და პირიქით: რუსეთის რევოლუცია შეიძლება დაუმთავრებელი, ბოლომდე მიუყვანელი დარჩეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი აღმოჩნდებოდა როგორც ოქტიაბრისტ-მემამულეთა, ისე ტრუდოვიკ-გლეხთა ძირითადი ეკონომიური ინტერესების ერთობლივად «დაკმაყოფილება».

ული გლეხობა, — არიან სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ლიბერალთა წინაშე საჯაროდ ინანიებენ მათ მიმართ «ცალმხრივ მტრობას», მათი პროგრესული როლის დამცირებას! რა არის ეს, ბოლოსა და ბოლოს? სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყველაზე გამოჩენილი ბელადების მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი ტაქტიკური პლატფორმა ყრილობის წინ, თუ იმ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენტთა გოდება, რომლებიც მათთვის შეუფერებელ პროლეტარულ ვითარებაში სევდას შეუპყრია?

«პროლეტარიატმა ქალაქის დემოკრატიის მიმართ ცალმხრივი მტრული პოზიცია დაიკავაო»... რით გამოიხატა ეს? ჩვენ მეხსიერების თვალს ვავლებთ განვლილი წლის პოლიტიკურ მოვლენებს. ბოიკოტით? მაგრამ ეს იყო, ჯერ-ერთი, გამაერთიანებელ ყრილობამდე, პლატფორმის ავტორები კი ყრილობის შემდეგ მომხდარი მოვლენების მიმოხილვას იძლევიან. ხოლო, მეორე, რა შუაშია აქ «ქალაქის დემოკრატია»? არა, ეტყობა, საქმე ბოიკოტს არ შეეხება. ალბათ, ლაპარაკია სათათბიროს სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერასა და კადეტებთან ბლოკზე: აქ პროლეტარიატმა მართლაც გამოიჩინა მტრული დამოკიდებულება კადეტების მიმართ, მაგრამ სრულიადაც არა ქალაქის დემოკრატიის მიმართ.

და ვინ გამოხატავდა მაშინ პარტიაში პროლეტარიატის ამ მტრულ დამოკიდებულებას? — ბოლშევიკები...

პლატფორმის ავტორებმა უცაბედად თქვეს დიდი სიმართლე, სახელდობრ ის, რომ ბოლშევიკები «სათათბიროს» სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერის წინააღმდეგ და კადეტებთან ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოხატავდნენ პროლეტარიატის პოლიტიკას. ეს სამართლიანია. ლიბერალებისადმი მტრული დამოკიდებულების შენელებაზე კი მუშათა პარტიის მხოლოდ წვრილბურჟუაზიული ნაწილი ოცნებობს.

...პროლეტარიატი, «ქალაქის დემოკრატიის მიერ არასაკმაოდ მხარდაჭერილი»...

ჯერ-ერთი, აქ განსაკუთრებით ნათლად ჩანს, რომ ლიბერალებისა (კადეტებისა) და ქალაქის ბურჟუაზიის ერთმანეთში აღრევა შეცდომაა. არჩევნების დროს «მემარცხენე ბლოკი», «რეჩის» ცნობებით, 22 ქალაქში იყო, მათ შორის მენშევიკურ ორგანიზაციებშიც. ამ ქალაქებში პროლეტარიატს, უეჭველია, საგრძნობლად დაუჭირა მხარი ქალაქის დემოკრატიამ — კადეტების წინააღმდეგ (41 ათასი ხმა მემარცხენე ბლოკის სასარგებლოდ, 74 ათასი — კადეტების სასარგებლოდ). აქედან გამოდის დასკვნა, რომელიც სრულიადაც არ ლაპარაკობს მენშევიკების სასარგებლოდ: პროლეტარიატს შეუძლია და კიდევაც უნდა მიიმხროს ქალაქის (და სოფლის) წვრილბურჟუაზიული დემოკრატია ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მეორე, თუ მენშევიკები ლაპარაკობენ პროლეტარიატისათვის ლიბერალების არასაკმაო მხარის დაჭერაზე, ესმით თუ არა მათ პროლეტარიატისათვის ლიბერალების მხარდაჭერის ფასი? ისინი ხომ პლატფორმას წერენ 1907 წელს და სრულებითაც არა დროისა და სივრცის გარეშე, თუმცაღა ძალიან ცდილობენ, რომ მას ყველაზე ნაკლებად კონკრეტული და ყველაზე მეტად განყენებული ხასიათი მისცენ. 1902 — 1904 წლებში, 1905 წელსაც კი ოქტომბრამდე ბ-ნ სტრუვესაც და ლიბერალებსაც საზოგადოდ არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ისინი მხარს უჭერენ პროლეტარიატს და ნამდვილად მხარს უჭერდნენ მას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეტევაში.

1905 წლის ოქტომბრის შემდეგ? მენშევიკებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ლიბერალებმა უკვე დეკემბერში და დეკემბრის შემდეგ პროლეტარიატს ზურგი შეაქციეს და მისი რევოლუციური ბრძოლის ყოველგვარი მხარის დაჭერა შეწყვიტეს.

კითხვა ისმის: ვინ ვის მიმართ დაიკავა ცალმხრივი მტრული პოზიცია?

პროლეტარიატმა ლიბერალების მიმართ?

თუ ლიბერალებმა პროლეტარიატის მიმართ და რევოლუციის მიმართ?

თუ მენშევიკებმა პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკის მიმართ?

* * *

მენშევიკებმა, რომლებიც «ცალმხრივი მტრობის» აღიარებამდე მივიდნენ, მეტად ნათლად დაუპირისპირეს ერთმანეთს ორი შეხედულება რუსეთის რევოლუციაზე 1905 წლის ოქტომბრის შემდეგ. ლიბერალური შეხედულება — იმ გერმანელ ტრეიჩკეთა რუსი მომხრეების შეხედულება, რომლებმაც 1848 წელი «უგუნურების წლად» გამოაცხადეს, — იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატმა დაიკავა ცალმხრივი მტრული პოზიცია ლიბერალიზმის მიმართ, კონსტიტუციური ლეგალობის მიმართ, მონარქისტული კონსტიტუციის მიმართ, გამოყიდვის მიმართ და სხვ.

პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს შეხედულება — ევროპის ბურჟუაზიულ რევოლუციებზე ყველა ევროპელი სოციალისტის შეხედულების მსგავსი, — იმაში მდგომარეობს, რომ ლიბერალურმა ბურჟუაზიამ დაიკავა ცალმხრივი მტრული პოზიცია რევოლუციის მიმართ, თავისუფლების მიმართ, დემოკრატიის მიმართ და სხვ.

მენშევიკები ცდილობენ მუშათა პარტია მეორე შეხედულებას ჩამოაშორონ და პირველი შეხედულებისაკენ გადახარონ.

მუშათა პარტია მენშევიკების ყოველგვარ ამნაირ ცდას შეხვდება მისწრაფებით — ჩამოაშოროს მენშევიკები მუშათა პარტიას და ლიბერალებს გადაულოცოს.

* *
*

ჩვენ სულაც არ გვინდა ვთქვათ, რომ მენშევიკები საზოგადოდ ცდილობენ გადააქციონ მუშათა პარტია ლიბერალების დანამატად. მუშათა პარტიაში მყოფი ოპორტუნისტები სწორედ იმით განსხვავდებიან მის რიგებს გარეთ მდგომი ლიბერალებისაგან, რომ პირველნი გულწრფელად განაგრძობენ თავისი პარტიის სამსახურს, მაგრამ ამავე დროს ისეთი არასწორი, მერყევი ტაქტიკური პოზიცია უჭირავთ, რომელიც იწვევს პროლეტარიატის პოლიტიკურ დამორჩილებას ლიბერალიზმისადმი.

ამ არასწორ პოზიციას ისეთი «საუბედურო» თვისება აქვს, რომ, ბოლშევიკებზე თავდასხმას მოწადინებულნი, მენშევიკები თავს ესხმიან პროლეტარიატს და რევოლუციისადმი პროლეტარულ დამოკიდებულებას. ასე ხდება ყოველთვის, როცა მენშევიკების თავდასხმა ნამდვილად პრინციპულია, ე. ი. როცა ისინი ორი სხვადასხვა ტაქტიკის მიზეზების საკითხს შეეხებიან. სხვანაირი თავდასხმა არაპრინციპულია; საკმარისია ისინი მხოლოდ მოკლედ აღვნიშნოთ, რათა მკითხველს დავუსვათ კითხვა: პლატფორმაა ჩვენს წინაშე თუ ლიბერალური პოლემიკური სტატია?

მაგალითად, «პლატფორმაში» ვკითხულობთ, რომ «პროლეტარული მასები» (sic! *) «იხრებიან იმ მომავალი უეცარი(!!) აჯანყების პოლიტიკური სასწაულის რწმენისაკენ, რომელიც თვით პროლეტარიატის შინაგანი მოძრაობის განვითარების დამოუკიდებლად(!!) წარმოიშობა და ერთი დარტყმით(!!) დააყენებს თვითმპყრობელობის ადგილზე მშრომელი კლასების პოლიტიკურ ბატონობას».

დღემდე ამგვარ რასმე ასეთი ფორმით «პროლეტარულ მასებს» მხოლოდ ლიბერალური გზეთები მიაწერდნენ. ჩვენთვის გაუგებარია, რამ აიძულა მენშევიკები ლაპარაკი დაეწყოთ აქ საზოგადოდ აჯანყების შესახებ. მაგრამ აჯანყების

* — ასეა! რედ.

შესახებ ამგვარმა სიტყვებმა ტაქტიკურ პლატფორმაში, — სადაც აჯანყებაზე, გარდა ციტირებული ფრაზისა, კრინტიც არაა დაძრული, — არ შეიძლება არ გამოიწვიოს კითხვა: იქნებ სჯობდეს, რომ ამიერიდან ნაცვლად «მენშევიკური პლატფორმისა» ვთქვათ ხოლმე «ლიბერალური პლატფორმა»?

დაწერილია 1907 წ. მარტის
მეორე ნახევარში

დაიბეჭდა 1907 წ. კრებულში
«ტაქტიკის საკითხები» I გამომც.
«ნოვაია დუმა», ს.-პეტერბურგი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება კრებულის ტექსტის
ძიხედვით

# მეორე სახელმწიფო სათათბიროში აგრარულ საკითხზე წარმოსათქმელი სიტყვის პროექტი[73]

ბატონებო! სათათბიროს წინაშე უკვე გამოვიდნენ მთელი რიგი ორატორები, რომლებმაც გამოთქვეს სხვადასხვა პარტიის ძირითადი შეხედულებანი მიწის საკითხზე. დროა, ყოველივე ამის ერთგვარი შეჯამება მოვახდინოთ. დროა, ნათელი და ზუსტი პასუხი გავცეთ კითხვებზე: რაშია დავის დედაარსი? რაში მდგომარეობს მიწის საკითხის სიძნელე? როგორია ძირითადი შეხედულებანი ყველა მთავარი პარტიისა, რომელთა წარმომადგენლებმაც აზრი გამოთქვეს სათათბიროში? რაში არ ეთანხმება ერთმანეთს გადაჭრით და საბოლოოდ სხვადასხვა პარტია მიწის საკითხის გამო?

სათათბიროში აგრარულ საკითხზე ოთხი მთავარი შეხედულება გამოთქვეს ოთხი მთავარი პარტიისა თუ პარტიული მიმდინარეობის წარმომადგენლებმა. დეპუტატმა სვიატოპოლკ-მირსკიმ გამოთქვა «მემარჯვენეთა» შეხედულება და სიტყვა «მემარჯვენეებით» გააერთიანა ოქტიაბრისტები, მონარქისტები და სხვანი. დეპუტატმა კუტლერმა გამოხატა კადეტების, ანუ ეგრეთწოდებული «სახალხო თავისუფლების პარტიის» თვალსაზრისი. დეპუტატმა კარავაევმა — ტრუდოვიკების შეხედულება. მისი გამოსვლა შეავსეს დეპუტატებმა ზიმინმა, კოლოკოლნიკოვმა, ბასკინმა და ტიხვინსკიმ, რომლებიც არსებითად ეთანხმებიან მას. დასასრულ, ჩემმა ამხანაგმა, წერეთელმა, გამოთქვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შეხედულება. მთავრობის წარმომადგენელმა, მინისტრმა ვასილჩიკოვმა, გამოხატა მთავრობის შეხედუ-



პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«მეორე სახელმწიფო სათათბიროში აგრარულ
საკითხზე წარმოსათქმელი სიტყვის პროექტი». — 1907 წ.

ლება, რაც, როგორც შემდეგ ცხადვყოფ ჩემს სიტყვაში, «მემარჯვენეების» შეხედულებათა და «კადეტების» შეხედულებათა შერიგებაში მდგომარეობს.

ახლა ვნახოთ, რაში მდგომარეობს ამ ოთხი პოლიტიკური მიმართულების ძირითადი შეხედულებანი აგრარულ საკითხში. დავიწყებ იმ რიგით, რომლითაც ლაპარაკობდნენ დეპუტატები სათათბიროში, ე. ი. მემარჯვენეებით.

დეპუტატ სვიატოპოლკ-მირსკის ძირითადი შეხედულება არის ყველა ეგრეთწოდებული «მონარქისტული» პარტიისა და ყველა ოქტიაბრისტის შეხედულება, რუსეთის მემამულეთა უდიდესი ნაწილის შეხედულება. დეპუტატმა სვიატოპოლკ-მირსკიმ ჩინებულად გამოხატა ეს შეხედულება თავისი სიტყვებით: «მაშ ასე, ბატონებო, თ ა ვ ი დ ა ა ნ ე ბ ე თ ფ ი ქ რ ს გ ლ ე ხ თ ა მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ფ ა რ თ ო ბ ი ს გ ა დ ი დ ე ბ ა ზ ე, გარდა მიწის ნამდვილი სივიწროვის გამონაკლისი შემთხვევებისა» (ციტატი მომყავს გაზეთ «ტოვარიშჩის» ანგარიშის, როგორც ყველაზე სრული ანგარიშის, მიხედვით, რადგან სტენოგრაფიული ანგარიშები ჯერ არ გამოსულა).

ეს კარგად არის ნათქვამი: პირდაპირ, ნათლად და მარტივად. თ ა ვ ი დ ა ა ნ ე ბ ე თ ფ ი ქ რ ს გლეხთა მიწების გადიდებაზეო — ა ი ყ ვ ე ლ ა მემარჯვენე პარტიის ნამდვილი შეხედულება, რუსი ხალხის კავშირით დაწყებული და ოქტიაბრისტებით დამთავრებული. და ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ სწორედ ასეთია რუსი მემამულეებისა და რუსეთის მოსახლეობის სხვა ეროვნებათა მემამულეების მასის შეხედულება.

რატომ ურჩევენ მემამულენი გლეხებს თ ა ვ ი დ ა ა ნ ე ბ ო ნ ფ ი ქ რ ს გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოებაზე? დეპუტატი სვიატოპოლკ-მირსკი განმარტავს: იმიტომ, რომ მემამულეთა მეურნეობანი უკეთესად არის მოწყობილი, ვიდრე გლეხთა მეურნეობანი, ისინი გლეხთა მეურნეობებზე უფრო «კულტურულიაო». გლეხები «ტეტიები, ბნელი, უვიცები» არიანო. მათ არ შეუძლიათ, თურმე ნუ იტყვით, შეე-

ლიონ მემამულეთა ხელმძღვანელობას. «როგორიც ბერი, ისეთი ერიო», ოხუნჯობდა დეპუტატი სვიატოპოლკ-მირსკი. ცხადია, მას მტკიცედ სწამს, რომ მემამულე ყოველთვის იქნება ბერი, რომ გლეხები ყოველთვის იქნებიან მოსამწყესი ცხვრები, ყოველთვის გააკრეჭინებენ თავს.

განა ყოველთვის, ბ-ნო სვიატოპოლკ-მირსკო? განა ყოველთვის, ბატონო მემამულენო? ვაი თუ შეცდეთ ამაში? იმიტომ ხომ არ რჩებოდნენ დღემდე გლეხები «მოსამწყეს ცხვრებად», რომ ისინი მეტად «ბნელი და უვიცები» იყვნენ? მაგრამ ახლა ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ გლეხები შეგნებულნი ხდებიან. გლეხთა დეპუტატები სათათბიროში «მემარჯვენეებთან» კი არ მიდიან, აშამედ ტრუდოვიკებთან და სოციალ-დემოკრატებთან. ისეთი სიტყვები, როგორიც სვიატოპოლკ-მირსკის სიტყვაა, ყველაზე ბნელ გლეხებსაც კი დაეხმარება გაერკვნენ, სადაა სიმართლე, შეიძლება თუ არა მართლაც დაეხმარონ იმ პარტიებს, რომლებიც გლეხებს ურჩევენ თავი დაანებონ ფიქრს გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოებაზე.

აი ამიტომ სულით და გულით მივესალმები დეპუტატ სვიატოპოლკ-მირსკის სიტყვას და მემარჯვენეთა სკამებზე მსხდომი ყველა მომავალი ორატორის სიტყვებს ამ საკითხზე. ამავე ყაიდაზე განაგრძეთ, ბატონებო! თქვენ მშვენივრად გვეხმარებით იმაში, რომ ყველაზე ბნელ გლეხებსაც კი თვალი ავუხილოთ!

ამბობენ: მემამულეთა მეურნეობანი უფრო კულტურულია, ვიდრე გლეხთა მეურნეობანიო... გლეხები ვერ შეელევიან მემამულეთა ხელმძღვანელობასაო!

მე კი გეტყვით: რუსეთის მემამულური მიწათმფლობელობისა და მეურნეობის მთელი ისტორია, ახლანდელი მემამულური მეურნეობის ყველა მონაცემი გვიჩვენებს, რომ მემამულეთა «ხელმძღვანელობა» ყოველთვის ნიშნავდა და ნიშნავს გლეხთა მიმართ უსაზღვრო ძალადობას, გლეხი მამაკაცებისა და გლეხი ქალების პიროვნების დაუსრულებლივ

აბუჩად აგდებას, ნიშნავს გლეხის შრომის ყოვლად უსინდისო, უსირცხვილო, მსოფლიოში გაუგონარ ექსპლოატაციას (რუსულად ეს ნიშნავს: გაძარცვას). ისეთ დაბეჩავებასა და ჩაგვრას, ისეთ სიღატაკეს, როგორც რუს გლეხებშია, არათუ დასავლეთ ევროპაში, თურქეთშიც კი ვერ ნახავთ.

ჩემმა ამხანაგმა, წერეთელმა, უკვე ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ურიგებდნენ დასახლებულ მამულებს სამეფო კარის «სფეროების» ფავორიტებსა და საყვარელ ადამიანებს. მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს საკითხზე, რასაც შეეხო დეპუტატი სვიატოპოლკ-მირსკი, რომელიც მემამულეთა ყბადაღებულ «კულტურაზე» ლაპარაკობდა.

იცის თუ არა ამ დეპუტატმა, რას უწოდებენ გლეხები შ რ ო მ ა მ ი გ ე ბ ა ს ან ს ა ბ ა ტ ო ნ ო ბ ე გ ა რ ა ს? რას უწოდებს ეკონომიური მეცნიერება შ რ ო მ ა მ ი გ ე ბ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ს?

შრომამიგების მემამულური მეურნეობა მემამულეთა ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ ი, საბატონო მეურნეობის პირდაპირი მემკვიდრეობა, პირდაპირი გადმონაშთია. რაში მდგომარეობდა ბატონყმური მეურნეობის დედაარსი? იმაში, რომ გლეხები მემამულისაგან ღებულობდნენ ნ ა დ ე ლ ს თავისი ოჯახის გამოსაკვებად, სამაგიეროდ კი სამი დღე (ხანდახან კი მეტიც) უნდა ემუშავათ მემამულის მიწაზე. იმის ნაცვლად, რომ მუშისათვის ფულად. გადაეხადათ, როგორც ახლა ყველგან უხდიან ქალაქებში, მ ი წ ი თ უხდიდნენ. მემამულისაგან მიღებული ნადელით გლეხი ძლივ-ძლივობით ირჩენდა თავს. და ამ რჩენისათვის თვითონ გლეხს და მთელ მის ოჯახს უნდა დაემუშავებინა მემამულის მიწა გლეხისავე ცხენით, გლეხის იარაღებით ანუ «ინვენტარით». ასეთია ბატონყმური მეურნეობის დედაარსი: ღატაკური ნადელი — შრომის საფასურის გადახდის ნაცვლად; მემამულის მიწის დამუშავება გლეხის შრომითა და გლეხის ინვენტარით; გლეხის იძულება იმუშაოს მემამულის მათრახის შიშით. ასეთი მეურნეობის დროს გლეხი თვითონაც ყ მ ა უნდა გამხდარიყო, იმიტომ რომ თუ ძ ა ლ ი თ ი ძ უ-

ლ ე ბ ა არ იქნებოდა, ისე არც ერთი კაცი, რომელსაც ნადელი ჰქონდა, მემამულისათვის არ იმუშავებდა. ხოლო თუ როგორი იყო ეს ბატონყმობა გლეხებისათვის, — ამის შესახებ თვითონ გლეხებმა მეტად ბევრი რამ იციან, ის მათ ძალიან კარგად ახსოვთ.

ბატონყმობა გაუქმებულად ი თ ვ ლ ე ბ ა. მაგრამ ნამდვილად მემამულეებს დღემდეც ისეთი ძალაუფლება დარჩათ ხელში (მათი ნაძარცვი მიწების მეოხებით), რომ გლეხი ახლაც კი ბატონყმურ დამოკიდებულებაში ჰყავთ — შ რ ო მ ა მ ი გ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ. შრომამიგება — აი სწორედ ეს არის თანამედროვე ბატონყმობა. როცა ჩემი ამხანაგი წერეთელი მთავრობის დეკლარაციის გამო თავის სიტყვაში ლაპარაკობდა რუსეთის მემამულური მიწათმფლობელობისა და მთელი ახლანდელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ბატონყმური ხასიათის შესახებ, ერთმა გაზეთმა, რომელიც მთავრობის წინაშე მლიქვნელობს, ამ გაზეთის სახელია «ნოვოე ვრემია», მორთო ყვირილი — დეპუტატი წერეთელი მართალს არ ამბობსო. არა, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დეპუტატმა სიმართლე თქვა. მხოლოდ მთლად უვიცებს ან სინდისგარეცხილ მჯღაბნელებს შეუძლიათ უარყონ ის, რომ შრომამიგება ბატონყმობის პირდაპირი ნაშთია, რომ ჩვენებური მემამულური მეურნეობა შრომამიგებას ემყარება.

რა არის შრომამიგების დედაარსი? ის, რომ მემამულის მიწის დამუშავება ხდება არა მემამულის ინვენტარით, არა მუშების დაქირავებით, არამედ მეზობელი მემამულის მიერ დ ა მ ო ნ ე ბ უ ლ ი გლეხის ინვენტარით. ხოლო გლეხი იძულებულია ყმა გახდეს იმიტომ, რომ მემამულემ საუკეთესო მიწები მიითვისა, გლეხი კი «ქვიშაზე» დასვა, ღატაკურ ნადელზე მოამწყვდია. მემამულეებმა იმდენი მიწა მიითვისეს, რომ გლეხებს არათუ მეურნეობის წარმოება არ შეუძლიათ, არამედ «ქათმის გასაშვები ადგილიც კი არ გააჩნიათ».

მემამულეთა საგუბერნიო კომიტეტებმა 1861 წელს და მემამულეებმა — მომრიგებელმა შუამავლებმა (მომრიგებლები

მათ, ალბათ, იმიტომ უწოდეს, რომ მემამულეებს არიგებდნენ, თავზე ხელს უსვამდნენ)[74] — გლეხები ისე გ ა ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ს, რომ გლეხთა მიწის მ ე ხ უ თ ე დ ი ნ ა წ ი ლ ი მემამულეთა მიერ ჩამოჭრილი აღმოჩნდა! მათ გლეხები ისე გ ა ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ს, რომ გლეხი აიძულეს ამ ძარცვის შემდეგ გლეხთა ხელში დარჩენილი ნადელისათვის ე რ თ ი ს ა მ ა დ ეხადა! ხომ არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ 1861 წლის «გ ა მ ო ყ ი დ ვ ი ს» დროს გლეხი აიძულეს ი მ ა ზ ე ბ ე ვ რ ა დ მ ე ტ ი გადაეხადა, ვიდრე მიწა ღირდა. არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ გლეხი მაშინ აიძულეს გ ა მ ო ე ყ ი დ ა არა მარტო გლეხთა მიწა, არამედ გ ლ ე ხ თ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ც. არავისთვის საიდუმლრება არ არის, რომ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ი გამოყიდვის «სიკეთე» იმაში მდგომარეობდა, რომ ხაზინამ გლეხებს მიწისათვის ი მ ა ზ ე მ ე ტ ი ფული წაგლიჯა (გამოსაყიდ გადასახდელთა სახით), ვ ი დ რ ე მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ს მ ი ს ცა! ეს იყო მემამულისა და «ლიბერალური» მოხელის ძმური კავშირი გლეხის გასაძარცვავად. თუ ბ-ნ სვიატოპოლკ-მირსკის ყოველივე ეს დაავიწყდა, გლეხებს ეს, უ თ უ ო დ, არ დავიწყებიათ. თუ ბ-ნმა სვიატოპოლკ-მირსკიმ ეს არ იცის, წაიკითხოს ის, რასაც ჯ ე რ კ ი დ ე ვ ო ც დ ა ა თ ი წ ლ ი ს წ ი ნ ა თ წერდა პროფესორი იანსონი თავის «გლეხთა ნადელებისა და გადასახდელთა სტატისტიკური გამოკვლევის ცდაში» და რაც ათასჯერ გაუმეორებიათ მას შემდეგ მთელ სტატისტიკურ-ეკონომიურ ლიტერატურაში.

გლეხი ი ს ე გ ა ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ს 1861 წელს, რომ იგი მყისვე მემამულის მ ა რ ყ უ ჯ ში მ ო ე ქ ც ა. მემამულისაგან მიტაცებული მიწებით გლეხი ისეა შეევიწროებული, რომ ის ან შიმშილით უნდა მოკვდეს, ანდა ყმა გახდეს.

და «თავისუფალი» რუსი გლეხი მე-20 საუკუნეში კვლავ იძულებულია ყმად დაუდგეს მეზობელ მემამულეს, — ს წ ო რ ე დ ი ს ე ვ ე, როგორც მე-11 საუკუნეში მიდიოდნენ ყმე-

ბად «სმერდები» (ასე უწოდებს გლეხებს «რუსსკაია პრავდა» [75]) — და მემამულეების კაცებად «იწერებოდნენ»!

სიტყვები იცვლებოდა, კანონები გამოდიოდა და ქრებოდა, საუკუნეები გადიოდა, — საქმის დედაარსი კი წინანდებური რჩებოდა. შრომამიგება — აი სწორედ ეს არის კაბალური დამოკიდებულება გლეხისა, რომელიც იძულებულია თავისი ინვენტარით დაამუშაოს მეზობელი მემამულის მიწები. შრომამიგების მეურნეობა — ეს იგივე, ოდნავ განახლებული და შეფერადებული, სახეშეცვლილი, ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ ი მეურნეობაა.

ამ ჩემი აზრის ნათელსაყოფად დავასახელებ ერთ მაგალითს იმ უთვალავი მაგალითებიდან, რომლებითაც სავსეა ლიტერატურა გლეხთა და მემამულეთა მეურნეობის შესახებ. არსებობს მიწათმოქმედების დეპარტამენტის ვრცელი გამოცემა, რომელიც 90-იან წლებს მიეკუთვნება და ემყარება მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ე ბ ი ს ა გ ა ნ მ ი ღ ე ბ უ ლ ცნობებს მემამულური მეურნეობის სისტემის შესახებ რუსეთში («მეპატრონეებისაგან მიღებული სასოფლო-სამეურნეო და სტატისტიკური ცნობები». მიწათმოქმედების დეპარტამენტის გამოცემა. ნაკვეთი V. სპბ. 1892). ეს ცნობები დაუმუშავებია ბ-ნ ს. ა. კოროლენკოს — ვ. გ. კოროლენკოდ არ მიიღოთ; არა პროგრესული მწერალი, არამედ რეაქციული მოხელე — აი ვინ არის ეს ბ-ნი ს. ა. კოროლენკო. მის დამუშავებულ წიგნში, 118-ე გვერდზე, შეიძლება წაიკითხოთ შემდეგი:

«ელეცის მაზრის (ორიოლის გუბერნია) სამხრეთ ნაწილის მემამულეთა დიდ მეურნეობებში, წლიური მუშებით დამუშავებასთან ერთად, მიწის საგრძნობ ნაწილს ამუშავებენ გლეხები მათთვის იჯარით მიცემული მიწის ანგარიშზე. ყ ო ფ ი ლ ი ყ მ ე ბ ი (უსმინეთ, ბ-ნო სვიატოპოლკ-მირსკო) კ ვ ლ ა ვ იჯარით იღებენ მიწას თ ა ვ ი ა ნ თ ი წ ი ნ ა ნ დ ე ლ ი მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ი ს ა გ ა ნ და ამისათვის ამუშავებენ ამ მემამულეთა მიწას. ასეთ სოფლებს კ ვ ლ ა ვ (დაიხსომეთ ეს!) ეწოდება ამა და ამ მემამულის «საბატონო სოფელი».

ეს დაწერილია გასული საუკუნის 90-იან წლებში, გლეხთა ყბადაღებული «განთავისუფლების» ოცდაათი წლის შემდეგ. 1861 წლიდან ოცდაათი წლის შემდეგ არსებობს იგივე «საბატონო ბეგარა», **წინანდელ** მემამულეთა მიწის იგივე დამუშავება გლეხის ინვენტარით!

იქნებ გამომედავონ და თქვან, რომ ეს ერთეული შემთხვევაა? მაგრამ ყველა, ვინც კი იცნობს მემამულურ მეურნეობას რუსეთის შუა-შავნიადაგიან ზოლში, ყველა, ვისაც კი რუსული ეკონომიური ლიტერატურისათვის თუნდაც თვალი გადაუვლია, იძულებული იქნება აღიაროს, რომ ეს გამონაკლისი კი არა, საზოგადო წესია. საკუთრივ რუსულ გუბერნიებში, სწორედ იქ, სადაც ჭეშმარიტი რუსი მემამულენი სჭარბობენ — (ტყუილად როდი არიან ისინი ასე ძვირფასნი მემარჯვენეთა სკამებზე მსხდომი ყველა ჭეშმარიტი რუსი ადამიანისათვის!), — დღესაც შრომამიგებების მეურნეობა **სჭარბობს.**

დავიმოწმებ, მაგალითად, ისეთ ცნობილ მეცნიერულ ნაშრომს, როგორიცაა წიგნი — «მოსავლისა და პურის ფასების გავლენა», შედგენილი რამდენიმე მეცნიერის მიერ. ეს წიგნი გამოვიდა 1897 წელს. მასში დამტკიცებულია, რომ მემამულეთა შრომამიგების მეურნეობა ბატონობს შემდეგ გუბერნიებში: უფისა, სიმბირსკისა, სამარისა, ტამბოვისა, პენზისა, ორიოლისა, კურსკისა, რიაზანისა, ტულისა, ყაზანისა, ნიჟნი-ნოვგოროდისა, ფსკოვისა, ნოვგოროდისა, კოსტრომისა, ტვერისა, ვლადიმირისა და ჩერნიგოვისაში, ე. ი. 17 რუსულ გუბერნიაში.

შრომამიგების მეურნეობის ბატონობა... რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს, რომ მემამულის მიწის დამუშავება ხდება იმავე გლეხის ინვენტარით, გაჩანაგებული, გაღატაკებული, დამონებული გლეხის შრომით. აი როგორია ეს «კულტურა», რომელზედაც დეპუტატი სვიატოპოლკ-მირსკი ლაპარაკობდა და რომელზედაც მემამულეთა ინტერესების ყველა დამცველი ლაპარაკობს. მემამულეებს, რა თქმა უნდა, უკეთესი პირ-

უტყვი ჰყავთ, რომელიც ბატონის საჯინიბოში უკეთესად არის, ვიდრე გლეხი თავის ქოხში. მემამულე, რა თქმა უნდა, უკეთეს მოსავალს იღებს იმიტომ, რომ მემამულეთა კომიტეტებმა ჯერ კიდევ 1861 წელს იზრუნეს, რათა საუკეთესო მიწები გლეხებისთვის ჩამოეჭრათ და მემამულეების სახელზე დაეწერათ. მაგრამ რუს მემამულეთა მეურნეობის «კულტურულობაზე» ლაპარაკი მხოლოდ დაცინვით შეიძლება. მამულების უდიდეს უმრავლესობაში ა რ ა ვ ი თ ა რ ი მემამულური მეურნეობა არ არის, არამედ იგივე გლეხური მეურნეობაა, მიწას ხნავენ გლეხის გაძვალტყავებული ცხენით, ამუშავებენ გლეხის ძველი და უვარგისი ინვენტარით. ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ დარჩენილა დღემდე მიწის დიდ და უდიდეს ნაკვეთებზე ეს ბატონყმური მეურნეობა დამონებული გლეხის საშუალებით, — არც ერთ ქვეყანაში, გარდა რუსეთისა.

მემამულური «კულტურა» არის მემამულური ბატონყმობის შენარჩუნება. მემამულური კულტურა არის მევახშეობა გაღატაკებული გლეხის მიმართ, რომელსაც ჰყვლეფენ და იმონებენ დესეტინა მიწისათვის, საძოვრისათვის, პირუტყვის წყალსალევისათვის, ტყის სარგებლობისათვის, ერთი ფუთი ფქვილისათვის, რასაც მშიერ გლეხს ზამთარში სესხად აძლევენ ხოლმე უღვთო პროცენტებით, გლეხის ოჯახის მიერ დიდი ხვეწნით მიღებული მანეთისათვის...

და მემარჯვენეთა სკამებზე მსხდომი ეს ვაჟბატონები კიდევ ლაპარაკობენ ებრაელთა მიერ გლეხთა ექსპლოატაციაზე, ებრაელთა პროცენტებზე! ათასობით ებრაელი ვაჭარი ისე ვერ გაყვლეფს რუს გლეხს, როგორც მას ჰყვლეფენ ჭეშმარიტი რუსი, მართლმადიდებელი მემამულეები. ყველაზე ცუდი მევახშის ვერავითარი პროცენტი ვერ შეედრება იმ პროცენტებს, რასაც იღებს ჭეშმარიტი რუსი მემამულე, რომელიც ზაფხულის სამუშაოსათვის გლეხს ზამთარში ქირაობს, ან დესეტინა მიწის გულისათვის ახდევინებს მას ფულითაც, მუშაობითაც, კვერცხებითაც, ქათმებითაც და ღმერთმა უწყის კიდევ რით!

ეს ხუმრობა გგონიათ, მაგრამ ეს მწარე ხუმრობა ძალიან ჰგავს სიმართლეს. აი, ინებეთ ფ ა ქ ტ ი უ რ ი მაგალითი იმისა, თუ რას იხდის გლეხი ე რ თ ი დესეტინა მიწისათვის (მაგალითი, რომელიც აღებულია კარიშევის ცნობილი წიგნიდან გლეხთა იჯარის შესახებ): ერთი დესეტინისათვის გლეხმა უნდა დაამუშაოს 1½ დესეტინა, აგრეთვე მიიტანოს 10 კვერცხი და მიიყვანოს 1 ქათამი, აგრეთვე ერთი დღე ამუშაოს ქალი მემამულისათვის (იხ. კარიშევის წიგნის 348 გვერდი) [76].

რა არის ეს? «კულტურა» თუ ყოვლად ურცხვი ბატონყმური ექსპლოატაცია?

აღმაშფოთებელ სიცრუეს ლაპარაკობენ გლეხებზე, ცილს სწამებენ გლეხებს ისინი, ვისაც სურს აიძულოს რუსეთი და ევროპა იფიქრონ, თითქოს ჩვენი გლეხები კულტურის წინააღმდეგ იბრძოდნენ. სიცრუეა! რუსეთის გლეხები იბრძვიან თავისუფლებისათვის ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ ი ექსპლოატაციის წინააღმდეგ. გლეხთა მოძრაობა ყველაზე ფართოდ, ყველაზე გაბედულად გაიშალა, მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა ბრძოლა ყველაზე მწვავე იყო ს წ ო რ ე დ იმ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ რ უ ს უ ლ გუბერნიებში, სადაც ყველაზე მაგრად ფეხმოკიდებულია, ყველაზე მეტად ფესვგადგმულია ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი რ უ ს უ ლ ი ბატონყმობა, ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი რ უ ს უ ლ ი შრომამიგება, კაბალა, გაღატაკებული და ვალში ჩაფლული გლეხის აბუჩად აგდება!

შრომამიგება რჩება არა კანონის ძალით — კანონით გლეხი «თავისუფალია» შიმშილით მოკვდეს! — ის რჩება გლეხთა **ეკონომიური დამოკიდებულების** ძალით. ვერავითარი კანონით, ვერავითარი აკრძალვით, ვერავითარი «ზედამხედველობითა» და «მეურვეობით» შრომამიგებისა და კაბალის წინააღმდეგ სრულიად ვერაფერს გახდები. რუსი ხალხის სხეულის ამ წყლულის მოსასპობად არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება: **მემამულური მიწის საკუთრების მოსპობა,** რადგან ის მეტწილ შემთხვევებში დღემდე ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ ი საკუთ-

რებაა, ბატონყმური ექსპლოატაციის წყარო და დასაყრდენია.

ყველა და ყოველგვარი ლაპარაკი გლეხებისადმი «დახმარებაზე», მათი მდგომარეობის «გაუმჯობესებაზე», მიწის შეძენაში მათთვის «ხელშეწყობაზე» და მემამულეებისა და მოხელეების ამგვარი დაზეპირებული სიტყვები, — მხოლოდ ცარიელი მომიზეზება და ფანდებია, რაკი გვერდს უვლიან ძირითად საკითხს: შენარჩუნებულ იქნას თუ არა მემამულური მიწის საკუთრება.

ეს არის საქმის დედაარსი. და მე განსაკუთრებით უნდა გავაფრთხილო გლეხები და გლეხთა დეპუტატები: ნება არ უნდა მივცეთ გვერდი აუარონ საქმის ამ დედაარსს. არ უნდა ვენდოთ არავითარ დაპირებას, არავითარ კარგ სიტყვას, ვიდრე არ გამორკვეულა უმთავრესი: მემამულური მიწის საკუთრება მემამულეებს დარჩებათ, თუ გლეხების ხელში გადავა. თუ მემამულეებს დარჩებათ, — შრომამიგება და კაბალაც დარჩება. დარჩება მილიონობით გლეხის გაჭირვება და მუდმივი შიმშილობა. თანდათანობით შიმშილით გაწყვეტის ტანჯვა-წამება — აი რას ნიშნავს გლეხებისათვის მემამულური მიწის საკუთრების შენარჩუნება.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორია აგრარული საკითხის ეს დედაარსი, საჭიროა გავიხსენოთ მთავარი ციფრები რუსეთში მიწის საკუთრების განაწილების შესახებ. სტატისტიკური ცნობები რუსეთში მიწათმფლობელობის შესახებ — უახლესი ცნობები, როგორიც კი მოიპოვება, — 1905 წელს მიეკუთვნება. ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა ისინი შეკრიბა საგანგებო გამოკვლევით, რომლის სრული შედეგები ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა. მაგრამ მთავარი შედეგები უკვე ცნობილია გაზეთებიდან. სულ ევროპის რუსეთში 400 მილიონამდე დესეტინას თვლიან. 395 1/2 მილიონიდან, — რომლის შესახებ წინასწარი მონაცემები არსებობს, — ხაზინას, საუფლისწულო მამულებს, ეკლესიებსა და დაწესებულე-

ბებს ეკუთვნის 155 მილიონი დესეტინა, კერძო პირებს — 102 მილიონი დესეტინა, გლეხთა სანადელო მიწაა 138½ მილიონი დესეტინა.

ერთი შეხედვით შეიძლება კაცს ეგონოს, რომ ყველაზე მეტი მიწა ხაზინას აქვს, რომ ამიტომ საკითხი სულაც არ შეეხება მემამულეთა მიწას.

მაგრამ ეს შეცდომაა, რომელსაც ხშირად სჩადიან, და რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვიშოროთ. მართალია, ხაზინას 138 მილიონი დესეტინა ეკუთვნის, მაგრამ თითქმის მთელი ეს მიწა ჩრდილოეთის — არხანგელსკის, ვოლოგდის, ოლონეცის — გუბერნიებზე მოდის და თანაც ისეთ ადგილებში, სადაც მიწათმოქმედება შეუძლებელია. ისეთი სახაზინო მიწები, რომლებიც შეიძლებოდა გლეხებს გადასცემოდა, სტატისტიკოსთა ზუსტი გამოანგარიშებით (დავასახელებთ, მაგალითად, ბ-ნ პროკოპოვიჩს და მის წიგნს — «აგრარული საკითხის ციფრებში»), თვით მთავრობას არ შეეძლო 7 მილიონ დესეტინაზე ცოტა მეტი აღერიცხა.

მაშასადამე, სახაზინო მიწებზე სერიოზულად ლაპარაკი შეუძლებელია. ლაპარაკი არ შეიძლება არც გლეხთა ჩასახლებაზე ციმბირში. ეს უკვე საკმაოდ გაარკვია ტრუდოვიკების ორატორმა სათათბიროში. დაე, თვითონ ბატონი მემამულენი, თუ მათ მართლაც სჯერათ ციმბირში ჩასახლების სარგებლობა, თვითონ გადასახლდნენ ციმბირში! გლეხები ამას, შეიძლება ითქვას, დასთანხმდებიან... იმ წინადადებას კი, რომ გლეხთა გაჭირვებას ციმბირით ვუმკურნალოთო, ისინი, უთუოდ, დაცინვით შეხვდებიან.

რუსული გუბერნიების, და განსაკუთრებით ცენტრალური შავნიადაგიანი გუბერნიების მიმართ, სადაც გლეხთა გაჭირვება ყველაზე ძლიერია, ლაპარაკია სწორედ მემამულეთა მიწებისა და არა სხვა მიწების შესახებ. ამაოდ ლაპარაკობდა დეპუტატი სვიატოპოლკ-მირსკი «მიწის სივიწროვის გამონაკლის შემთხვევებზე».

მიწის სივიწროვე ცენტრალურ რუსეთში გამონაკლისი კი არა, წესია. და გლეხები ვიწროდ არიან სწორედ იმიტომ, რომ ბატონმა მემამულეებმა მეტისმეტად ხალვათად, მეტისმეტად ფართოდ მოიკალათეს. «გლეხთა სივიწროვე» — ეს იმას ნიშნავს, რომ მიწების უდიდესი ნაწილი ხელთ იგდეს მემამულეებმა.

«გლეხთა მცირემიწიანობა» — ეს ნიშნავს მემამულეთა მრავალმიწიანობას.

აი, ინებეთ, ბატონებო, მარტივი და ნათელი ციფრები. გლეხთა სანადელო მიწაა 138½ მილიონი დესეტინა. კერძომფლობელური მიწაა 102 მილიონი დესეტინა. რამდენი ეკუთვნის ამ უკანასკნელიდან **მ ს ხ ვ ი ლ** მფლობელებს?

**ს ა მ ო ც დ ა ც ხ რ ა მ ე ტ ნ ა ხ ე ვ ა რ ი** მილიონი დესეტინა მიწა ეკუთვნის ისეთ მფლობელთ, რომელთაგან **თ ვ ი თ ე უ ლ ს 50 დ ე ს ე ტ ი ნ ა ზ ე მ ე ტ ი ა ქ ვ ს.**

და რამდენ პირს ეკუთვნის მიწის ეს უდიდესი მასა? **1 3 5 ა თ ა ს ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ს** (ზუსტი ციფრია 133 898 მფლობელი).

კარგად ჩაუფიქრდით ამ ციფრებს: **ე ვ რ ო პ ი ს** რუსეთის ას მილიონზე მეტი მცხოვრებიდან 135 ათასი კაცი ფლობს **თ ი თ ქ მ ი ს ო თ ხ მ ო ც მ ი ლ ი ო ნ** დესეტინა მიწას!!

ამის გვერდით კი 12¼ (თორმეტი და ერთი მეოთხედი!) მილიონი ნადელიანი გლეხის კომლი ფლობს 138½ მილიონ დესეტინას.

ერთ მსხვილ მფლობელზე, ერთ (სიმარტივისათვის ასე ვთქვათ) მემამულეზე მოდის **594 დესეტინა.**

გლეხის ერთ კომლზე მოდის **11⅓ დესეტინა.**

აი რას უწოდებენ ბ-ნი სვიატოპოლკ-მირსკი და მისი თანამოაზრენი «**მ ი წ ი ს ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ი ვ ი წ რ ო ვ ი ს გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ს**»! როგორ არ უნდა ჰქონდეს ადგილი გლეხთა **ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო** «სივიწროვეს», როდესაც ერთი მუჭა მდიდრებს — 135 ათას კაცს აქვს თვი-

თეულს 600 დესეტინა, გლეხობის მილიონებს კი თითო მეურნეობაზე — 11 დესეტინა? როგორ არ უნდა ჰქონდეს ადგილი გლეხთა «მცირემიწიანობას» მემამულეთა ასეთი უდიდესი და მეტისმეტი მრავალმიწიანობის დროს?

ბ-ნი სვიატოპოლკ-მირსკი გვირჩევდა «თავი დავანებოთ ფიქრს» გლეხთა მიწათმფლობელობის გადიდებაზე. არა, მუშათა კლასი ამაზე ფიქრს თავს არ დაანებებს. გლეხები ამაზე ფიქრს თავს არ დაანებებენ. მილიონებს და ათობით მილიონებს არ შეუძლიათ თავი დაანებონ ამ ფიქრს, არ შეუძლიათ შეაჩერონ ბრძოლა თავისი მიზნის მისაღწევად.

ჩემ მიერ მოტანილი ციფრები ნათლად გვიჩვენებენ, რისთვის წარმოებს ბრძოლა. მემამულეები, რომლებსაც საშუალოდ თითო მეურნეობაზე 600 დესეტინა აქვთ, იბრძვიან თავისი სიმდიდრისათვის, შემოსავლისათვის, რაც, ალბათ, წელიწადში 500 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს. უდიდესი მემამულენი კი ძალიან ხშირად იმავე დროს უდიდესი დიდკაცებიც არიან. ჩვენი სახელმწიფო, როგორც უკვე თქვა სამართლიანად ჩემმა ამხანაგმა წერეთელმა, ერთი მუჭა მემამულეების ინტერესებს იცავს და არა ხალხის ინტერესებს. საკვირველი როდია, რომ მემამულეთა მასაც და მთელი მთავრობაც გააფთრებული იბრძვიან გლეხთა მოთხოვნების წინააღმდეგ. კაცობრიობის ისტორიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი მაგალითები, რომ გაბატონებულ და მჩაგვრელ კლასებს ნებაყოფლობით აეღოთ ხელი ბატონობისა და ჩაგვრის უფლებებზე, დამონებული გლეხებისა და მუშებისაგან ათასობით შემოსავლის მიღების უფლებებზე.

გლეხები კი იბრძვიან კაბალისაგან, შრომამიგებისაგან, ბატონყმური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისათვის. გლეხები იბრძვიან იმისათვის, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ რაოდენადმე ადამიანურად იცხოვრონ. და მუშათა კლასი სავსებით მხარს უჭერს გლეხებს მემამულეთა წინააღმდეგ, მხარს უჭერს თვით მუშათა ინტერესების გულისათვის, რად-

გან მუშებსაც აწევთ მემამულეთა უღელი, — მხარს უჭერს მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესების გულისათვის, რადგან ამ განვითარებას აფერხებს მემამულური ძალაუფლების უღელი.

რომ დაგანახოთ თქვენ, ბატონებო, თუ რას შეიძლება მიაღწიონ და უ ნ დ ა მიაღწიონ გლეხებმა თავიანთი ბრძოლით, მცირე გაანგარიშებას მოგიყვანთ.

მიწათმოქმედების მინისტრმა, ბ-ნმა ვასილჩიკოვმა, თქვა: «დადგა დრო, ამ საკითხის გასარკვევად უკვე მივმართოთ არა იმდენად სიტყვების, რამდენადაც ციფრების, ფაქტებისა და სინამდვილის მჭევრმეტყველებასაო». მე სავსებით, სავსებით ვეთანხმები ბ-ნ მინისტრს. დიახ, დიახ, სწორედ ასეა, ბატონებო: რაც შეიძლება მეტი ციფრები, რაც შეიძლება მეტი ციფრები **მემამულური** მიწის საკუთრების ო დ ე ნ ო ბ ა ს ა და გლეხთა სანადელო საკუთრების ოდენობაზე. მე უკვე მოგიყვანეთ ციფრები იმის შესახებ, თუ რ ა მ დ ე ნ ი ა მემამულეთა «ჭარბი» მიწა. ახლა მოვიყვან ციფრებს იმის შესახებ, თუ რა დიდია მიწის მხრივ გ ლ ე ხ თ ა გაჭირვება. საშუალოდ, როგორც უკვე მოგახსენეთ, თვითეული გლეხური კომლი ფლობს 11⅓ დესეტინა სანადელო მიწას. მაგრამ ეს ს ა შ უ ა ლ ო გაანგარიშება ჩ ქ მ ა ლ ა ვს გლეხთა გაჭირვებას მიწის მხრივ, იმიტომ რომ გლეხთა უმრავლესობას აქვს ს ა შ უ ა ლ ო ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ი ნადელები, ხოლო სრულიად უმნიშვნელო უმცირესობას — საშუალოზე მეტი.

გლეხთა 12¼ მილიონი კომლიდან 2 მილიონ 860 ათას (ვიღებ დამრგვალებულ ციფრს) კომლს კომლზე აქვს ს ა ნ ა დ ე ლ ო მ ი წ ა 5 დ ე ს ე ტ ი ნ ა ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ი. სამ მილიონ 320 ათასს აქვს 5-დ ა ნ 8 დ ე ს ე ტ ი ნ ა მ დ ე. ოთხ მილიონ 810 ათასს აქვს 8-დ ა ნ 20 დ ე ს ე ტ ი ნ ა მ დ ე. ერთი მილიონ 100 ათას კომლს აქვს 20-დ ა ნ 50 დ ე ს ე ტ ი ნ ა მ დ ე და მხოლოდ მეოთხედ მილიონს — 50 დ ე ს ე ტ ი ნ ა ზ ე მ ე ტ ი (ამ უკანასკნელთ საშუალოდ, ალბათ, კომლზე აქვთ არა უმეტეს 75 დესეტინა).

დავუშვათ, რომ 79½ მილიონი დესეტინა მემამულური მიწა გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოებას ხმარდება. დავუშვათ, რომ გლეხებს — თანახმად გლეხთა კავშირის მომხრის, მღვდელ ტიხვინსკის სიტყვებისა, — არ სურთ გ ა ა უ ბ ე დ ურ ო ნ მემამულეები და თვითეულ მათგანს უტოვებენ 50 დ ე ს ე ტ ი ნ ა ს. ეს, უთუოდ, მეტად დიდი ჯამია ისეთი «კულტურული» ვაჟბატონებისათვის, როგორიც ჩვენი მემამულენი არიან, მაგრამ ჩვენ მაინც ჯერჯერობით, მაგალითისათვის, ამ ციფრს ავიღებთ. თუ 135 ათასი მემამულიდან თვითეულზე ვიანგარიშებდით 50 დესეტინას და მიღებულ ციფრს საერთო რაოდენობიდან გამოვრიცხავდით, გ ლ ე ხ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს განთავისუფლდებოდა 72 (ს ა მ ო ც დ ა თ ო რ მ ე ტ ი) მილიონი დესეტინა მიწა. ამ ჯამიდან ტყეების გამოსაკლებად (როგორც იქცევა ზოგიერთი მწერალი, მაგალითად, ბ-ნი პროკოპოვიჩი, რომლის ციფრები მე არაერთხელ გამოვიყენე) საფუძველი არ არსებობს, რადგან ტყეებიც შემოსავალს იძლევა, და ამ შემოსავლის ერთი მუჭა მემამულეთა ხელში დატოვება შეუძლებელია.

მიუმატეთ ამ 72 მილიონს ვარგისი სახაზინო მიწები (7,3 მილიონამდე დესეტინა), შემდეგ — **ყველა** ს ა უ ფ ლ ი ს წ უ ლ ო (7,9 მილიონი დესეტინა), საეკლესიო და სამონასტრო (2,7 მილიონი დესეტინა) მიწა, — მიიღებთ ჯამს — 90 მ ი ლ ი ო ნ ა მ დ ე დ ე ს ე ტ ი ნ ა ს*. ეს ჯამი საკმარისია იმისათვის, რომ ყ ვ ე ლ ა უღარიბესი გლეხური კომლის მიწათმფლობელობა გ ა ფ ა რ თ ო ვ დ ე ს თ ი თ ო კ ო მ ლ ზ ე ა რ ა ნ ა კ ლ ებ 16 დ ე ს ე ტ ი ნ ა მ დ ე.

გესმით თუ არა თქვენ, ბატონებო, რას ნიშნავს ეს?

ეს იქნებოდა უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი, ეს შიმშილისაგან იხსნიდა მილიონობით გლეხს, ეს აამაღლებდა ათობით მილიონი მუშისა და გლეხის საარსებო დონეს, გაუადვილებდა მათ შესაძლებლობას რაოდენადმე ადამიანურად ეცხოვ-

* დაწვრილებითი გაანგარიშება (ცნობებისათვის) მე-3 რვეულის ბოლოშია [77].

რათ, როგორც ცხოვრობენ «კულტურული» სახელმწიფოს რაოდენადმე კულტურული მოქალაქენი, და არა ისე, როგორც ცხოვრობს ამოწყვეტის გზაზე მდგომი მოდგმა ახლანდელი რუსი გლეხობისა. ეს, რა თქმა უნდა, ყველა მშრომელს ვერ იხსნიდა ყოველგვარი სიღატაკისა და ჩაგვრისაგან, — (ამისათვის საჭიროა კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნა სოციალისტურ საზოგადოებად, — მაგრამ დიდად გაუადვილებდა მათ ასეთი ხსნისათვის ბრძოლას. 6 მილიონზე მეტ გლეხურ კომლს, გლეხთა მთელი რიცხვის ნახევარზე მეტს, როგორც უკვე ვთქვი, თითო კომლზე 8 დესეტინაზე ნაკლები აქვს. მათი მიწათმფლობელობა ორჯერ და მეტად გადიდდებოდა, **თითქმის გასამკეცდებოდა.**

ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხობის ნახევარს, რომელიც მუდამ გაჭირვებული, დამშეულია და ქალაქებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშათა შრომის ფასს დაბლა სცემს, — გლეხობის ნახევარს შეეძლებოდა თავი ადამიანებად ეგრძნო!

და ბ-ნ სვიატოპოლკ-მირსკის ან მის თანამოაზრეებს შეუძლიათ სერიოზულად ურჩიონ მუშათა და გლეხთა მილიონებს თავი დაანებონ ფიქრს ასეთ სავსებით შესაძლებელ, განსახორციელებელ და ახლო გამოსავალზე აუტანელი, საშინელი მდგომარეობიდან?

მაგრამ საქმე მარტო ის არ არის, რომ ღარიბი გლეხების კომლთა ნახევარზე მეტს შეეძლო თითქმის გაესამკეცებინა თავისი მიწათმფლობელობა ჩვენი მეტისმეტად მრავალმიწიანი ბატონი მემამულეების ხარჯზე. ამ ექვს მილიონ ღარიბ კომლს გარდა, კიდევ არის თითქმის ხუთი (ზუსტი ციფრია 4,8) მილიონი გლეხური კომლი, რომელთაგან თვითეულს 8-დან 20 დესეტინამდე აქვს. ამ ხუთი მილიონი ოჯახიდან არანაკლებ სამი მილიონი აგრეთვე, უეჭველია, გაჭირვებულად ცხოვრობს თავის უბადრუკ ნადელებზე. და ამ სამ მილიონ კომლსაც შეეძ-

ლო აეყვანა თავისი მიწათმფლობელობა თითო კომლზე 16 დესეტინამდე, ე. ი. გაედიდებინა ერთნახევარჯერ, ზოგიერთებს კი ორჯერაც.

საერთო ჯამით გამოდის, რომ 12¼ მილიონი გლეხური კომლის მთელი რიცხვიდან 9 მილიონ კომლს შეეძლო ძალიან დიდად გაეუმჯობესებინა თავისი მდგომარეობა (და მუშათა მდგომარეობაც, რომელთა შრომის ფასსაც ისინი აღარ დასცემდნენ) მეტისმეტად მრავალმიწიან და ბატონყმურ მეურნეობას მეტისმეტად დაჩვეულ ბატონ მემამულეთა მიწის ხარჯზე!

აი რას ამბობენ ციფრები მემამულეთა მსხვილი საკუთრებისა და გლეხთა არასაკმაო საკუთრების შედარებითი ოდენობის შესახებ. ძალიან ვშიშობ, რომ ეს ციფრები და ფაქტები არ მოეწონება ციფრებისა და ფაქტების მოყვარულს, ბატონ მიწათმოქმედების მინისტრს, ვასილჩიკოვს. აკი მან თავის სიტყვაში, მას შემდეგ, რაც ციფრებისადმი მიმართვის სურვილი გამოთქვა, გვითხრა:

...«ამასთან არ შეიძლება შიში არ გამოვთქვათ, რომ იმ იმედებს, რომელთაც ბევრნი ამგვარი (ე. ი. ფართო საადგილმამულო) რეფორმების განხორციელებასთან აკავშირებენ, ციფრებისადმი დაპირისპირებისას სრული განხორციელების შანსები არ ექნება»...

ამაო შიშია, ბ-ნო მიწათმოქმედების მინისტრო! სწორედ ციფრებისადმი დაპირისპირებისას უნდა ჰპოვოს სრული განხორციელების შანსები გლეხთა იმედებმა — თავი დააღწიონ შრომამიგებასა და ბატონყმურ ექსპლოატაციას!! და რარიგ უსიამოვნოც არ უნდა იყოს ეს ციფრები ბატონ მიწათმოქმედების მინისტრისათვის, ვასილჩიკოვისათვის, ანდა ბ-ნ სვიატოპოლკ-მირსკისა და სხვა მემამულეებისათვის, — ამ ციფრების გაბათილება არ შეიძლება!

* * *

ახლა გადავალ იმ მოსაზრებებზე, რომლებიც შეიძლება გამოითქვას გლეხთა მოთხოვნების წინააღმდეგ. და, თუმცა ამის გაგონება ერთი შეხედვით უცნაურია, — გლეხთა მოთხოვნების საწინააღმდეგო მოსაზრებათა განხილვის დროს მე მომიხდება უმთავრესად გავარჩიო ეგრეთწოდებული «სახალხო თავისუფლების» პარტიის წარმომადგენლის, ბ-ნ კუტლერის, საბუთები.

ამის საჭიროება სრულიადაც არ გამომდინარეობს იქიდან, რომ მე მსურდეს ბ-ნ კუტლერს ვეკამათო. სრულებითაც არა. მე დიდად მოხარული ვიქნებოდი, მიწისათვის გლეხთა ბრძოლის მომხრეებს კამათი მხოლოდ «მემარჯვენეთა» წინააღმდეგ რომ უხდებოდეთ. მაგრამ ბ-ნი კუტლერი მთელი თავისი სიტყვის მანძილზე, არსებითად, ილაშქრებდა გლეხთა იმ მოთხოვნების წინააღმდეგ, რომლებიც სოციალ-დემოკრატებმა და ტრუდოვიკებმა გამოაცხადეს, ილაშქრებდა პირდაპირაც (მაგალითად, როცა ედავებოდა ჩემი ამხანაგის, წერეთლის, მიერ მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით წამოყენებულ წინადადებას) და არაპირდაპირაც, როცა ტრუდოვიკებს უმტკიცებდა მათი მოთხოვნების შეზღუდვის, შეკვეცის საჭიროებას.

დეპუტატი სვიატოპოლკ-მირსკი, არსებითად, არც კი ფიქრობდა ვინმე დაერწმუნებინა. განსაკუთრებით შორს იყო მისგან გლეხთა დარწმუნების აზრი. იგი კი არ არწმუნებდა, არამედ თავის ნებას გამოთქვამდა, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მემამულეთა მასის ნებას გამოთქვამდა. გლეხთა მიწათმფლობელობის ფართობის არავითარი გადიდება, — აი რით ამოიწურებოდა, მარტივად და პირდაპირ რომ ვთქვათ, დეპუტატ სვიატოპოლკ-მირსკის «სიტყვა».

დეპუტატი კუტლერი, პირიქით, მუდამ არწმუნებდა და უმთავრესად არწმუნებდა გლეხებს, არწმუნებდა მათ ხელი აიღონ იმაზე, რასაც მან ტრუდოვიკების პროექტში უწო-

და განუხორციელებელი ან მეტისმეტი რამ, ხოლო ჩვენი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროექტში — არა მარტო განუხორციელებელი რამ, არამედ «უდიდესი უსამართლობაც», როგორც მან თქვა სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლის წინადადების შესახებ.

მე ახლა გავარჩევ დეპუტატ კუტლერის მიერ გამოთქმულ საწინააღმდეგო მოსაზრებებს და აგრარულ საკითხზე არსებულ იმ შეხედულებათა მთავარ საფუძვლებს, აგრარული რეფორმის იმ პროექტებს, რომლებსაც იცავს ეგრეთწოდებული «სახალხო თავისუფლების» პარტია.

დავიწყოთ იმით, რასაც დეპუტატმა კუტლერმა, ჩემს პარტიულ ამხანაგს რომ ეკამათებოდა, «უდიდესი უსამართლობა» უწოდა. «მე მგონია, — თქვა კადეტების პარტიის წარმომადგენელმა, — მიწის კერძო საკუთრების მოსპობა უდიდესი უსამართლობა იქნებოდა, ვიდრე არსებობს საკუთრების, მოძრავი და უძრავი ქონების დანარჩენი სახეები»!.. და შემდეგ:... «რაკი არავინ წინადადებას არ აყენებს მოისპოს საკუთრება საზოგადოდ, აუცილებელია მთელი ძალით აღვიაროთ მიწის საკუთრების არსებობა».

ასე მსჯელობდა დეპუტატი კუტლერი, რომელიც სოციალ-დემოკრატ წერეთლის მოსაზრებათა «გასაბათილებლად» იმაზე მიუთითებდა, რომ «სხვა საკუთრებაც (გარდა მიწის საკუთრებისა), შესაძლოა, კიდევ უფრო ნაკლებად საქებური გზით იყოს შეძენილიო». და რაც უფრო მეტს ვფიქრობ დეპუტატ კუტლერის ამ მსჯელობაზე, მით უფრო მეტად მიმაჩნია იგი... როგორ გამოვთქვა ეს უფრო რბილად?.. უცნაურ მსჯელობად.

...«უსამართლობაა მიწის საკუთრების მოსპობა, თუ არ მოვსპობთ საკუთრების სხვა სახეებსაო».

კი მაგრამ, ბატონებო, გაიხსენეთ თქვენივე საკუთარი წანამძღვრები, თქვენივე საკუთარი სიტყვები და პროექტები! თქვენ თვითონვე ხომ იქიდან გამოდიხართ, რომ მემამულური საკუთრების გ ა რ კ ვ ე უ ლ ი სახეები «უსამართლოა» და

იმდენად უსამართლოა, რომ მოითხოვს განსაკუთრებულ კანონს მათი მოსპობის საშუალებებისა და გზების შესახებო.

მართლაცდა, ეს რაღა გამოდის? უსამართლობის ერთი სახის მოსპობა მისი სხვა სახეების მოუსპობლად — «უდიდესი უსამართლობაა»?? ბატონ კუტლერის სიტყვებიდან ასე გამოდის. მე პირველად ვხედავ ჩემს წინაშე ლიბერალს, და თანაც ისეთ ზომიერ, ფხიზელ, ბიუროკრატიულად გაწვრთნილ ლიბერალს, რომელიც აცხადებს პრინციპს: «ყველაფერი ან არაფერი»! რაღგან ბ-ნ კუტლერის მსჯელობა სავსებით აგებულია პრინციპზე: «ყველაფერი ან არაფერი». და, როგორც რევოლუციონერმა სოციალ-დემოკრატმა, მე გადაჭრით უნდა გავილაშქრო მსჯელობის ამ ხერხის წინააღმდეგ...

წარმოიდგინეთ, ბატონებო, რომ მე ეზოდან უნდა გავიტანო ნაგვის ორი გროვა. ურემი კი ერთი მაქვს. და ერთი ურმით მხოლოდ ერთი გროვის გატანა შეიძლება. როგორ მოვიქცე? სავსებით თავი გავანებო ჩემი ეზოს გაწმენდას იმის გამო, რომ ნაგვის ერთი გროვის გატანა უდიდესი უსამართლობა იქნებოდა, რაკი ორივე გროვის ერთბაშად გატანა არ შეიძლება?

ჩემ თავს უფლებას მივცემ ვიფიქრო, რომ ის, ვისაც ნამდვილად უნდა ეზოს სრული გასუფთავება, ვინც გულწრფელად ესწრაფვის სისუფთავეს და არა სიბინძურეს, სინათლეს და არა სიბნელეს, ის სხვანაირად განსჯის. თუ ორივე გროვის ერთბაშად გატანა მართლაც არ შეიძლება, მაშინ ჯერ გავიტანოთ პირველი გროვა, რომელიც შეიძლება ერთბაშად ავიღოთ და ურემზე დავდოთ, — შემდეგ ურემს დავცლით და შინ დავბრუნდებით, რათა მეორე გროვის გატანას შევუდგეთ. ეს არის და ეს, ბ-ნო კუტლერო! მეტი არაფერი!

რუსმა ხალხმა თავისი ურმით ჯერ უნდა გაიტანოს მთელი ის ნაგავი, რომელსაც ბატონყმური, მემამულური საკუთრება ეწოდება, შემდეგ კი დაცლილი ურმით დაბრუნდეს უფრო სუფთა ეზოში და დაიწყოს საზიდარზე მეორე გროვის დაყრა, დაიწყოს კაპიტალისტური ექსპლოატაციის ნაგვის გაწმენდა.

მოიტათ ხელი, ბ-ნო კუტლერო, თუ თქვენ ყოველგვარი ნაგავის ნამდვილი მოწინააღმდეგე ხართ? მოდით, ასე ჩავწეროთ კიდეც, თქვენი საკუთარი სიტყვების მიხედვით, სახელმწიფო სათათბიროს რეზოლუციაში: «აღიარებს რა, დეპუტატ კუტლერთან ერთად, რომ კაპიტალისტური საკუთრება ბატონყმურ მემამულურ საკუთრებაზე უფრო საქებური არ არის, სახელმწიფო სათათბირო ადგენს გაათავისუფლოს რუსეთი ჯერ ამ უკანასკნელი საკუთრებისაგან იმ ანგარიშით, რომ შემდეგ შეუდგეს მის გაწთავისუფლებას პირველისაგან».

თუ ბ-ნი კუტლერი მხარს არ დაუჭერს ამ ჩემს წინადადებას, მაშინ მე კვლავ ვიფიქრებ, რომ «სახალხო თავისუფლების» პარტია, როცა ის ბატონყმური საკუთრების ნაცვლად კაპიტალისტურ საკუთრებაზე მიგვითითებს, ამით აშკარად გვგზავნის, როგორც იტყვიან, პონტოელისაგან პილატესთან ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ფანდებს ეძებს, თავს შველის იმით, რომ საკითხის ნათლად დაყენებას გაურბის. ჩვენ არასოდეს არ გვსმენია, რომ «სახალხო თავისუფლების» პარტიას სურს იბრძოლოს სოციალიზმისათვის. (კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბ რ ძ ო ლ ა კ ი ხ ომ ს წ ო რ ე დ ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ა ა). მაგრამ ჩვენ ძალიან ბევრი... ძალიან, ძალიან ბევრი რამ გვსმენია იმაზე, რომ ამ პარტიას სურს იბრძოლოს თავისუფლებისათვის, ხალხის უფლებებისათვის. და აი ახლა, როცა რიგში დადგა სწორედ არა სოციალიზმის დაუყოვნებლივ განხორციელების, არამედ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს და ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს ა გ ა ნ თავისუფლების დაუყოვნებლივ განხორციელების საკითხი, — ბ-ნი კუტლერი უეცრად მიგვითითებს სოციალიზმის საკითხებზე! ბ-ნი კუტლერი «უდიდეს უსამართლობად» აცხადებს შრომამიგებასა და კაბალაზე დაფუძნებული მემამულური საკუთრების მოსპობას — იმ მიზეზით, მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ იმ მიზეზით, რომ მას კაპიტალისტური საკუთრების უსამართლობა მოაგონდა... როგორც გენებოთ, მაგრამ ეს ცოტა უცნაურია.

დღემდე მე ვფიქრობდი, რომ ბ-ნი კუტლერი სოციალისტი არ არის. ახლა ვრწმუნდები, რომ ის სულაც არ არის დემოკრატი, სულაც არ არის სახალხო თავისუფლების მომხრე,— ნამდვილი, უბრჭყალებო სახალხო თავისუფლების მომხრე. იმიტომ, რომ ქვეყნად ჯერ კიდევ არავინ დასთანხმდება დემოკრატი უწოდოს და დემოკრატად ჩათვალოს ისეთი ადამიანები, რომლებიც თავისუფლებისათვის ბრძოლის ეპოქაში «უდიდეს უსამართლობად» აცხადებენ იმის მოსპობას, რაც თავისუფლებას ღუპავს, თავისუფლებას ჩაგრავს და წიხლავს...

ბ-ნ კუტლერის მეორე მოსაზრება მიმართული იყო არა სოციალ-დემოკრატის წინააღმდეგ, არამედ ტრუდოვიკის წინააღმდეგ. «მე მგონია, — ამბობდა ბ-ნი კუტლერი, — შეიძლება წარმოვიდგინოთ ის პოლიტიკური პირობები, როდესაც მიწის ნაციონალიზაციის პროექტს (ლაპარაკია შრომის ჯგუფის პროექტზე, და ბ-ნი კუტლერი მას არაზუსტად ახასიათებს, მაგრამ ახლა ეს როდია არსებითი) შეეძლო კანონის ძალა მიეღო, მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია უახლოეს მომავალში ისეთი პოლიტიკური პირობები, როდესაც ეს კანონი ნამდვილად განხორციელდება».

კვლავ საკვირველად უცნაური მსჯელობაა, და უცნაურია სრულიადაც არა სოციალიზმის თვალსაზრისით (სრულებითაც არა!), არა «მიწის უფლების» ან სხვა «შრომის» პრინციპის თვალსაზრისითაც კი, — არა, უცნაურია თვით იმ «სახალხო თავისუფლების» თვალსაზრისით, რომლის შესახებ ესოდენ ბევრი რამ გვესმის ბ-ნ კუტლერის პარტიისაგან.

ბ-ნი კუტლერი მუდამ არწმუნებდა ტრუდოვიკებს, რომ მათი პროექტი «განუხორციელებელია», რომ ისინი ამაოდ ისახავენ «არსებული საადგილმამულო ურთიერთობის ძირფესვიანი გარდაქმნის» მიზანს და სხვა და ასე შემდეგ. ახლა ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ბ-ნი კუტლერი «გ ა ნ უ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ლ ო ბ ა ს» ხედავს არა სხვა რამეში, არამედ ახლანდელი დროისა და უახლოესი მომავლის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი!!

კი მაგრამ, ბატონებო, ეს ხომ პირდაპირ რაღაც ბურუსია, ცნებათა რაღაც მიუტევებელი აღრევაა. ჩვენ ხომ აქ სწორედ იმიტომ ვუწოდებთ ჩვენს თავს ხალხის წარმომადგენლებს, სწორედ იმიტომ ვითვლებით საკანონმდებლო დაწესებულების წევრებად, რომ განვიხილავთ და მოვითხოვთ ცუდი პირობების უკეთესი პირობებით შ ე ც ვ ლ ა ს. და უცბად, როდესაც ჩვენ ვარჩევთ ერთ-ერთი ყველაზე ცუდი პირობის შეცვლის საკითხს, ჩვენს წინააღმდეგ გამოდიან და გვეუბნებიან «განუხორციელებელია... არც ახლა... არც უახლოეს მომავალში... პოლიტიკური პირობებიო».

ორში ერთი, ბ-ნო კუტლერო: ან სათათბირო თვითონ არის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ი რ ო ბ ა, — და მაშინ დემოკრატს არ შეჰფერის დასჯერდეს, შეეგუოს იმას, თუ კიდევ რა შეზღუდვები შეიძლება წარმოსდგეს ს ხ ვ ა «პოლიტიკური პირობებისაგან». ანდა, სათათბირო «პოლიტიკური პირობა» კი არა, უბრალო კანცელარიაა, რომელიც ანგარიშს უწევს იმას, რაც ზემდგომთ ნებავთ ან არ ნებავთ, — და მაშინ ჩვენ ტყუილუბრალოდ მოგვაქვს თავი სახალხო წარმომადგენლებად.

ჩვენ თუ სახალხო წარმომადგენლები ვართ, მაშინ უნდა ვთქვათ ის, რასაც ხალხი ფიქრობს და რაც მას სწადია, და არა ის, რაც ზედა ფენებს ან კიდევ რაღაც «პოლიტიკურ პირობებს» ნებავთ. ჩვენ თუ მოხელეები ვართ, მაშინ, შეიძლება ითქვას, მე მზადა ვარ გავიგო, რომ წინასწარ გამოვაცხადებთ «განუხორციელებლად» იმას, რის შესახებაც «უფროსებმა» გვაგრძნობინეს, რომ ეს მათ არ ნებავთ.

...«პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პირობები»!.. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს: სამხედრო-საველე სასამართლოებს, გაძლიერებულ დაცვას, თვითნებობასა და უუფლებობას, სახელმწიფო საბჭოს და რუსეთის იმპერიის სხვა, ასევე საამო დ ა-წ ე-ს ე-ბ უ ლ-ე ბ-ე ბ ს. ბ-ნ კუტლერს უნდა თავისი აგრარული პროექტი შეუფარდოს იმას, რ ი ს გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ა ც ს ა მ ხ ე დ რ ო-ს ა ვ ე ლ ე ს ა ს ა ა მ ა რ თ ლ ო ე ბ ი ს, გაძლიერებული დაცვისა და სახელმწიფო საბჭოს პირობებში

შ ე ი ძ ლ ე ბ ა? არ გამიკვირდებოდა, ბ-ნი კუტლერი ამისათვის რომ დაეჯილდოებინათ... ხალხის თანაგრძნობით კი არა, არამედ... მაამებლობის ორდენით!

ბ-ნ კუტლერს შ ე უ ძ ლ ი ა წ ა რ მ ო ი დ გ ი ნ ო ს ისეთი პოლიტიკური პირობები, როდესაც მიწის ნაციონალიზაციის პროექტს შეეძლო კანონის ძალა მიეღო... დიაღაც! კაცს, რომელიც თავის თავს დემოკრატს უწოდებს, ა რ შ ე ე ძ ლ ო ს წ ა რ მ ო ი დ გ ი ნ ო ს დემოკრატიული პოლიტიკური პირობები... მაგრამ იმ დემოკრატის ამოცანა ხომ, რომელიც სახალხო წარმომადგენლად ითვლება, მარტო ის კი არ არის, რომ ყოველგვარი კარგი თუ ცუდი რამ «წ ა რ მ ო ი დ გ ი ნ ო ს», არამედ ისიც, რომ წარუდგინოს ხ ა ლ ხ ს ჭეშმარიტად ხალხური პროექტები, განცხადებანი, საბუთები.

ნუ გაიფიქრებს ბ-ნი კუტლერი იმაზე მითითებას, რომ მე წინადადებას ვაყენებ კანონს გადავუხვიოთ ან დავარღვიოთ ის სათათბიროში... სრულებითაც არა! არ არსებობს ისეთი კანონი, რომელიც სათათბიროში დემოკრატიაზე ლაპარაკს და ნამდვილად დემოკრატიული აგრარული კანონპროექტების წარდგენას კრძალავდეს. ჩემს კოლეგას, წერეთელს, არავითარი კანონი არ დაურღვევია, როცა შემოიტანა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაცია, რომელშიც ლაპარაკია «მიწის გამოუყიდავად განსხვისებაზედაც» და დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ზ ე დ ა ც.

ბ-ნ კუტლერის მთელი მსჯელობა კი ხომ იმით ამოიწურება, რომ რადგან ჩვენში სახელმწიფო დემოკრატიული არ არის, ამიტომ დემოკრატიული აგრარული კანონპროექტებიც არ უნდა შევიტანოთო! როგორც უნდა ატრიალოთ ბ-ნ კუტლერის მსჯელობა, მასში ს ხ ვ ა აზრის, ს ხ ვ ა შინაარსის ნატამალს ვერ იპოვნით. რადგან ჩვენში სახელმწიფო მემამულეთა ინტერესებს ემსახურება, ამიტომ ჩვენ (ხ ა ლ ხ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ მ ა!) არც აგრარულ პროექტებში შეიძლება ჩავწეროთ ის, რაც მემამულეებს არ ნებავთო... არა, არა, ბ-ნო კუტლერო, ეს დემოკრატიზმი არ არის, ეს სახალხო თავისუფ-

ლება არ არის, ეს არის რაღაც ისეთი რამ, რაც თავისუფლებიდან მეტისმეტად შორსაა, მაგრამ სერვილიზმთან ახლოს არის.

* * *

ახლა ვნახოთ, სახელდობრ რა თქვა ბ-ნმა კუტლერმა თავისი პარტიის აგრარული პროექტის შესახებ.

ბ-ნი კუტლერი, უწინარეს ყოვლისა, მიწის შესახებ რომ ლაპარაკობდა, ეკამათებოდა ტრუდოვიკებს «სამომხმარებლო ნორმისა» და იმის თაობაზე, იკმარებს თუ არა მიწა. ბ-ნმა კუტლერმა აიღო «1861 წლის ნორმა», რომელიც, თურმე, სამომხმარებლო ნორმაზე კიდევ უფრო ნაკლებია, და განაცხადა, რომ «მისი დაახლოებითი გამოანგარიშებით» (სათათბიროს ამ გამოანგარიშების შესახებ არა სმენია რა და სრულიად არაფერი იცის!) ამ ნორმასაც კი 30 მილიონი დესეტინა აკლდებაო.

მოგაგონებთ, ბატონებო, რომ დეპუტატი კუტლერი შრომის ჯგუფის წარმომადგენელ კარავაევის შემდეგ ლაპარაკობდა და სწორედ მას ეკამათებოდა. დეპუტატმა კარავაევმა კი პირდაპირ და გარკვევით თქვა სათათბიროში და საგანგებო წერილით დაუდასტურა საზოგადოებას გაზეთ «ტოვარიშჩში» (21 მარტს), რომ გლეხთა მიწათმფლობელობის სამომხმარებლო ნორმამდე გასადიდებლად აუცილებლად საჭიროა 70 მილიონამდე დესეტინა მიწა. მან ისიც თქვა, რომ ამ ციფრს შეესაბამება სწორედ სახაზინო, საუფლისწულო, საეკლესიო და კერძომფლობელური მიწების ჯამი.

დეპუტატ კარავაევს თავისი გაანგარიშების წყაროები არ დაუსახელებია, ამ ციფრის მიღების წესი სათათბიროსთვის არ გაუცვნია. ჩემმა გაანგარიშებამ, რომელიც ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის ჩემ მიერ ზუსტად მითითებულ და თანაც ოფიციალურ და უახლეს გამოცემას ემყარება, მოგვცა ციფრი — 70 მილიონ დესეტინაზე მეტი. მარტო კერძომფლობელური მიწებიდან გლეხებისათვის

თავისუფალია 72 მილიონი დესეტინა; ამას გარდა საუფლისწულო, სახაზინო, საეკლესიო და სხვა მიწები კიდევ 10 მილიონზე მეტსა და 20 მილიონამდე დესეტინას შეადგენს.

ყოველ შემთხვევაში ფაქტი ფაქტად რჩება: როცა დეპუტატ კარავაევს ეკამათებოდა, დეპუტატი კუტლერი ცდილობდა დაემტკიცებინა, გლეხთა დასახმარებლად საკმარისი მიწები არ არისო, მაგრამ მან ეს ვერ დაამტკიცა, მან წარმოადგინა უსაფუძვლო და, როგორც მე ცხადვყავი, არასწორი ციფრები.

საზოგადოდ უნდა გაგაფრთხილოთ, ბატონებო, ისეთი ცნებების ბოროტად გამოყენებისაგან, როგორიც არის: «შრომის ნორმა», «სამომხმარებლო ნორმა». ჩვენი, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია გაცილებით უფრო სწორედ იქცევა, როცა ყველა ამ «ნორმას» გვერდს უვლის. ამ «ნორმებს» ცოცხალ და საბრძოლო პოლიტიკურ საკითხში რაღაც ჩინოვნიკური, კანცელარიული რამ შეაქვთ. ეს «ნორმები» ადამიანებს თავგზას უბნევენ და საქმის ნამდვილ დედაარსს ჩქმალავენ. ამ «ნორმებზე» დავის გადატანა, მათ შესახებ საზოგადოდ ლაპარაკიც კი ახლა იმას ნიშნავს, რომ დათვის ტყავი გავიყოთ მანამდე, ვიდრე დათვი არ მოგვიკლავს, — და თანაც ეს ტყავი სიტყვიერად გავუყოთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც, უთუოდ, არ გაჰყოფენ ტყავს ნამდვილად, როცა ჩვენ დათვს მოვკლავთ.

ნუ სწუხართ, ბატონებო! გლეხები თვითონ დაიყოფენ მიწას, როცა მათ მიწა ხელში ჩაუვარდებათ. გლეხები ადვილად შესძლებენ მიწის დაყოფას, — ოღონდ კი მიწა იშოვნონ. და გლეხები არც არავის ჰკითხავენ, როგორ გაჰყონ მიწა. გლეხები არავის ნებას არ მისცემენ ჩაერიოს იმაში, თუ როგორ დაჰყონ მათ მიწა.

ლიტონი ლაპარაკია ეს ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ გაიყოს მიწა. ჩვენ აქ სამიჯნე კანცელარიას, მიწათმომწყობ კომისიას კი არ წარმოვადგენთ, არამედ პოლიტიკურ ორგანოს. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ხალხს გადაწყვიტოს ეკო-

ნომიური და პოლიტიკური ამოცანა, დავეხმაროთ გლეხობას მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ისეთი კლასის წინააღმდეგ, რომელიც ბატონყმური ექსპლოატაციით ცხოვრობს. «ნორმებზე» ლაპარაკი ჩქმალავს ამ ცოცხალ, საარსებო ამოცანას.

რატომ ჩქმალავს? იმიტომ, რომ ნაცვლად ნამდვილი საკითხისა: უნდა ჩამოერთვას თუ არა 72 მილიონი დესეტინა მემამულეებს გლეხობისათვის, ლაპარაკია გარეშე და ბოლოს და ბოლოს სულაც არა მნიშვნელოვან საკითხზე «ნორმების» შესახებ. ეს აადვილებს საკითხისათვის გვერდის ავლას, არსებითი პასუხის გაცემისათვის თავის არიდებას. შრომის, სამომხმარებლო და კიდევ რაღაც სხვა ნორმაზე დავა ხლართავს საკითხის ნამდვილ ბირთვს: უნდა ჩამოერთვას თუ არა მემამულეებს 72 მილიონი დესეტინა მიწა გლეხებისათვის?

ცდილობენ დაამტკიცონ, საკმარისია თუ არ არის საკმარისი მიწა ამა თუ იმ ნორმისათვის.

რისთვის არის საჭირო ეს მტკიცება, ბატონებო? რისთვის არის საჭირო ეს ლიტონი სიტყვები, ეს ამღვრეული წყალი, რომელშიც ზოგიერთებს ადვილად შეუძლიათ თევზი დაიჭირონ? განა თავისთავად ცხადი არაა, რომ რაც არ არის, იმას ვერ მოითხოვ, რომ გლეხებს გამოგონილი მიწა კი არ უნდათ, არამედ მათთვის ძალიან კარგად ცნობილი მეზობელი მემამულის მიწა? და უნდა ვილაპარაკოთ არა «ნორმების», არამედ მემამულეთა მიწების შესახებ, არა იმაზე, საკმარისია თუ არა ის რაღაც ნორმები, არამედ იმაზე, **რამდენია** მემამულეთა მიწა. ყოველივე დანარჩენი უბრალო თავდაძვრენა და მომიზეზებაა, ცდებიც კი იმისა, რომ გლეხებს თვალი აუხვიონ.

მაგალითად, დეპუტატმა კუტლერმა ხომ სწორედ ასე აუარა გვერდი საკითხის ნამდვილ დედაარსს. ტრუდოვიკმა კარავაევმა ასე თუ ისე პირდაპირ თქვა: 70 მილიონი დესეტინაო. რა უპასუხა **ამაზე** დეპუტატმა კუტლერმა?

ამაზე მან პასუხი არ გასცა. მან საკითხი «ნორმებით» დახლართა, ე. ი. აშკარად თავი აარიდა პასუხის გაცემას იმაზე, თანახმაა თუ არა იგი, თანახმაა თუ არა მისი პარტია, რომ მემამულეთა **მთელი** მიწები გლეხებს მიეცეს.

დეპუტატმა კუტლერმა გამოიყენა შეცდომა დეპუტატ კარავაევისა, რომელმაც საკითხი საკმაოდ ნათლად და მკვეთრად არ დააყენა, და კუტლერმა საქმის დედაარსს გვერდი აუარა. საკითხის მთელი დედაარსი კი სწორედ ეს არის, ბატონებო. ვინც ნამდვილად არ ეთანხმება იმას, რომ მემამულეთა მთელი მიწები გლეხებს მიეცეს (მოგაგონებთ, რომ მე დავთქვი თვითეულ მემამულეს დარჩეს 50 დესეტინა, რათა არავინ არ გაუბედურდეს!), — იგი გლეხთა მომხრე არ არის, მას გლეხებისათვის ნამდვილი დახმარება არ უნდა. იმიტომ, რომ თუ თქვენ დასთანხმდით მემამულეთა მთელი მიწის საკითხის მიჩქმალვას ან უკანა რიგში გადაწევას, მაშინ **მთელი ეს საქმე საეჭვო ხდება.** მაშინ კითხვა ისმის: **ვინ**-ღა განსაზღვრავს, მემამულეთა მიწის **რა ნაწილი** მიეცეს გლეხებს?

ვინ განსაზღვრავს? 79 მილიონი დესეტინიდან 9 მილიონი დესეტინაც «ნაწილია» და 70 მილიონი დესეტინაც — «ნაწილია». ვინ განსაზღვრავს, **თუ ჩვენ არ განვსაზღვრეთ, თუ სახელმწიფო სათათბირო ნათლად და მტკიცედ არ იტყვის?**

დეპუტატი კუტლერი ტყუილად როდი გაჩუმდა ამ საკითხზე. დეპუტატი კუტლერი თავს იწონებდა სიტყვებით: «იძულებითი განსხვისება».

ბატონებო, ნუ გაგიტაცებთ სიტყვები! ნუ მოიხიბლებით ლამაზი ფრაზით! შეხედეთ საქმის დედაარსს!

როცა მე მეუბნებიან: «იძულებითი განსხვისებაო», ჩემ თავს ვეკითხები: **ვინ ვის აიძულებს?** თუ მილიონობით გლეხი აიძულებს ერთ მუჭა მემამულეებს დაემორჩილონ ხალხის ინტერესებს, ეს ძალიან კარგი იქნება. თუ კი ერთი მუჭა მემამულენი მილიონობით გლეხს აიძულებენ თავისი ცხოვრება ამ

ერთი მუჭა მემამულეთა ანგარებას დაუმორჩილოს, ეს ძალიან ცუდი იქნება.

აი ამ პ ა ტ ა რ ა საკითხის სავსებით გვერდის აქცევა მოახერხა დეპუტატმა კუტლერმა! თავისი მსჯელობით «განუხორციელებლობასა» და «პოლიტიკურ პირობებზე» იგი, ა რ ს ებ ი თ ა დ, კიდევაც მოუწოდებდა ხალხს შ ე უ რ ი გ დ ე ს იმ მდგომარეობას, რომ ის ერთი მუჭა მემამულეებს ემორჩილება.

დეპუტატი კუტლერი უშუალოდ ჩემი ამხანაგის, წერეთლის, შემდეგ ლაპარაკობდა. წერეთელმა კი ჩვენი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაციაში გააკეთა **ორი** სავსებით გარკვეული განცხადება, რომლებიც ნათლად სწყვეტენ სწორედ ამ, ძირითად და მთავარ, საკითხს. პირველი განცხადება: მიწების გადაცემა **დემოკრატიული** სახელმწიფოსათვის. დემოკრატიული — ეს ნიშნავს ისეთ სახელმწიფოს, რომელიც ხალხის მასის ინტერესებს გამოხატავს და არა ერთი მუჭა პრივილეგიან პირთა ინტერესებს. ჩვენ პირდაპირ და ნათლად უნდა ვუთხრათ ხალხს, რომ დემოკრატიული სახელმწიფო თ უ ა რ ი ქ ნ ე ბ ა, პოლიტიკური თავისუფლება თუ არ იქნება, სრულუფლებიანი სახალხო წარმომადგენლობა თუ არ გვეყოლება, ისე შეუძლებელია **რაიმე** საადგილმამულო გარდაქმნა გლეხთა სასარგებლოდ.

მეორე განცხადება: აუცილებელია მიწის საკითხის **წინასწარი** განხილვა ასეთსავე დემოკრატიულ **ადგილობრივ კომიტეტებში.**

რით უპასუხა ამას დეპუტატმა კუტლერმა? დ უ მ ი ლ ი თ. ცუდი პასუხია ეს, ბ-ნო კუტლერო. თქვენ გაჩუმდით **სწორედ** იმ საკითხზე — გლეხები აიძულებენ მემამულეებს დაუთმონ ხალხის ინტერესებს, თუ მემამულენი აიძულებენ გლეხებს ახალი გამაჩანაგებელი გამოყიდვის ახალი მარყუჟი ჩამოიცვან კისერზე.

ასეთ საკითხზე დუმილი შეუწყნარებელია.

ადგილობრივი კომიტეტების შესახებ, ბატონებო, სათათბიროში სოციალ-დემოკრატს გარდა ლაპარაკობდნენ სახალხო სოციალისტებიც (დეპუტატი ბასკინი) და სოციალისტ-რევოლუციონერებიც (დეპუტატი კოლოკოლნიკოვი). ადგილობრივი კომიტეტების შესახებ უკვე დიდი ხანია ლაპარაკი იყო პრესაში, მათ შესახებ ლაპარაკობდა პირველი სათათბიროც. ეს არ უნდა დავივიწყოთ, ბატონებო. ჩვენ მოვალენი ვართ კარგად გავერკვეთ და ხალხსაც გავურკვიოთ, თუ რატომ ლაპარაკობდნენ ასე ბევრს ამ საკითხზე და როგორია მისი ნამდვილი მნიშვნელობა.

პირველმა სახელმწიფო სათათბირომ ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების საკითხი განიხილა მეთხუთმეტე სხდომაზე, 1906 წლის 26 მაისს. საკითხი აღძრეს შრომის ჯგუფის წევრებმა, რომლებმაც წერილობითი განცხადება შეიტანეს სათათბიროს 35 წევრის ხელმოწერით (მათ შორის იყო ორი სოციალ-დემოკრატი, ი. საველიევი და ი. შუვალოვი). განცხადება სათათბიროში პირველად წაკითხულ იქნა მე-14 სხდომაზე 1906 წლის 24 მაისს (იხ. პირველი სახელმწიფო სათათბიროს სხდომების «სტენოგრაფიული ანგარიშის» 589-ე გვერდი); მერე ეს განცხადება დაიბეჭდა და განხილულ იქნა ერთი დღის შემდეგ. მთლიანად მომყავს ამ განცხადების მ თ ა ვ ა რ ი ადგილები:

...«აუცილებელია ადგილებზე დაუყოვნებლივ შეიქმნას საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩეული კომიტეტები საჭირო მოსამზადებელი მუშაობისათვის, როგორიცაა: მიწათსარგებლობის სამომხმარებლო და შრომის ნორმების შემუშავება ადგილობრივი პირობების შესაბამისად, ვარგისი მიწის რაოდენობის, მასში კი საიჯარო და საკუთარი და სხვისი ინვენტარით დასამუშავებელი მიწის წილის განსაზღვრა... და სხვა. ადგილობრივი პირობების მთელ მრავალფეროვნებასთან საადგილმამულო კანონის რაც შეიძლება სრული შეხამების საჭიროების გამო, მიზანშეწონილია, რომ ამ კომიტეტებმა უაღრესად ცხოველი

მონაწილეობა მიიღონ **მიწის რეფორმის თვით იმ საფუძვლების** საერთო განხილვაში, რომლებიც გადმოცემულია სათათბიროში შეტანილ სხვადასხვა პროექტში»... ამიტომ ტრუდოვიკები წინადადებას იძლეოდნენ გ ა დ ა უ დ ე ბ ლ ი ვ აერჩიათ კომისია და დაუყოვნებლივ შეემუშავებინათ სათანადო კანონ-პროექტი.

როგორ შეხვდა ამ წინადადებას სხვადასხვა პარტია? ტრუდოვიკებმა და სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ ბეჭდვითს ორგანოებში ე რ თ ს უ ლ ო ვ ნ ა დ დაუჭირეს მხარი მას. ეგრეთწოდებული «სახალხო თავისუფლების» პარტიამ, თავის მთავარ ორგანო «რეჩში», 1 9 0 6 წ ლ ი ს 2 5 მ ა ი ს ს (ე. ი. სათათბიროში ტრუდოვიკების პროექტის პირველი წაკითხვის მეორე დღეს) კატეგორიულად გაილაშქრა ტ რ უ დ ო ვ ი კ ე ბ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. «რეჩმა» პ ი რ დ ა პ ი რ შიში გამოთქვა, რომ ასეთმა საადგილმამულო კომიტეტებმა შეიძლება **«აგრარული საკითხის გადაწყვეტა მარცხნივ გადახარონო»** *.

«რეჩი» წერდა:

«შეევცდებით, რამდენადაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, საადგილმამულო საქმეთა ადგილობრივ კომიტეტებს შევუნარჩუნოთ მათი ს ა მ ს ა ხ ურ ე ბ რ ი ვ ი და სპეციალური საქმიანი ხასიათი. იმავე მიზეზით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საყოველთაო კენჭისყრის გზით ამ კომიტეტების შედგენა — ეს იქნებოდა მათი მზადება საადგილმამულო საკითხის არა მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის ადგილებზე, არამედ სულ სხვა რამისათვის. რეფორმის საერთო მიმართულების ხელმძღვანელობა სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს: ამიტომ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებს ადგილობრივ კომისიებში თავისი ადგილი უნდა ჰქონდეთ, თუ იმ მიზნით არა, რომ გადაწყვიტონ, იმ მიზნით მაინც, რომ კონტროლი გაუ-

* იხ. გაზეთი «ვპერიოდი» 78, № 1, 1906 წ. 26 მაისი, მოწინავე წერილი «კ ა დ ე ტ ე ბ ი ღ ა ლ ა ტ ო ბ ე ნ გ ლ ე ხ ებ ს», გ. ა ლ — ს კ ი ს ხელმოწერით.

წიონ ადგილობრივი ინსტანციის გადაწყვეტილებას. შემდეგ — ისევ და ისევ რეფორმის საერთო საფუძვლების ფარგლებში — ადგილობრივ კომისიებში წარმოდგენილი უნდა იყოს, რამდენადაც შეიძლება თანაბრად, მხარეთა ის მოპირდაპირე ინტერესები, რომელთა შერიგებაც შეიძლება განზრახული რეფორმის სახელმწიფო მნიშვნელობის დაურღვევლად და ისე, რომ ეს რეფორმა არ გადაიქცეს ცალმხრივი ძალადობის აქტად, რაც შეიძლება მთელი საქმის სრული მარცხით დამთავრდეს».

ეს ნათქვამია საკვანძოთ ნათლად და გარკვევით.

«სახალხო თავისუფლების» პარტია წამოყენებულ ღონისძიებას არსებითად აფასებს და მის წინააღმდეგ ილაშქრებს. პარტიას უნდა არა ისეთი ადგილობრივი კომიტეტები, რომლებიც არჩეული იქნებოდა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, არამედ ისეთი, რომლებშიც **თანაბრად** უნდა იყვნენ წარმოდგენილი ერთი მუჭა მემამულენიც და ათასობით, ათი ათასობით გლეხიც. «კონტროლის» გასაწევად კი უნდა მონაწილეობდნენ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები.

დაე, კარგად ჩაუფიქრდნენ ამას გლეხთა დეპუტატები, დაე, მათ შეიგნონ, რაშია აქ დედაარსი, დაე, განუმარტონ ეს მთელ გლეხობას.

აბა წარმოიდგინეთ, ბატონებო, რაზეა ლაპარაკი. ადგილობრივ კომიტეტებში თანაბრად არიან წარმოდგენილი მემამულეებიც და გლეხებიც, მთავრობის წარმომადგენელი კი კონტროლის გასაწევად, «შესარიგებლად» მონაწილეობს. ეს ნიშნავს: ხმების ერთი მესამედი — მემამულეებს, მესამედი — გლეხებს და მესამედიც — სახელმწიფოს წარმომადგენლებს. ხოლო სახელმწიფოს უდიდესი მოხელეები, სახელმწიფო საქმეთა ყველა მოთავენი თვითონ არიან უმდიდრესი მემამულენი! გამოდის, რომ მემამულენი «კონტროლს» გაუწევენ გლეხებ-

საც და მემამულეებსაც! მ ე მ ა მ უ ლ ე ნ ი «შ ე ა რ ი გ ე ბ ე ნ» გლეხებსა და მემამულეებს!

დიახ, დიახ, ეს იქნება, უეჭველად «იძულებითი განსხვისება», მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა მიერ გლეხთა ფულისა და გლეხთა შრომის სწორედ რომ ი ძ უ ლ ე ბ ი თ ი განსხვისება, ზუსტად ისევე, როგორც 1861 წელს მემამულეთა საგუბერნიო კომიტეტებმა გლეხებს ჩამოაჭრეს მიწის მეხუთედი ნაწილი და მათ მიწისათვის ორმაგი ფასი დააკისრეს!

ა ს ე თ ი აგრარული რეფორმა სხვა არა არის რა, თუ არა ის, რომ მემამულეებმა მათთვის არასაჭირო და ცუდი მიწები ს ა მ მ ა გ ფ ა ს ა დ შ ე ა ჩ ე ჩ ო ნ გლეხებს, რათა კ ი დ ე ვ უ ფ რ ო მ ე ტ ა დ დაიმონონ გლეხები. **ასეთი** «იძულებითი განსხვისება» **ბევრად უარესია**, ვიდრე გლეხებისა და მემამულეების ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ი შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა, რადგან ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ი შეთანხმების დროს ხმების ნახევარი გლეხებს ექნებათ, ნახევარი კი — მემამულეებს. კადეტური იძულებითი განსხვისების დროს კი გლეხებს ექნებათ ხმების მ ე ს ა მ ე დ ი, ხოლო მემამულეებს — ო რ ი მ ე ს ა მ ე დ ი: ერთი მესამედი იმიტომ, რომ ისინი მემამულეები არიან, მეორე მესამედი კი იმიტომ, რომ ისინი იმავე დროს მოხელეებიც არიან!!

გლეხთა «განთავისუფლებისა» და 1861 წლის ავად მოსაგონარი «**გამოყიდვის**» შესახებ დიდი რუსი მწერალი, რუსეთის ერთ-ერთი პირველი სოციალისტი, მთავრობის ჯალათების ხელით წამებული ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი წერდა: უმჯობესი იქნებოდა გლეხთა და მემამულეთა ნებაყოფლობითი მორიგება, ვიდრე ასეთი «გამოყიდვით განთავისუფლება» მემამულეთა საგუბერნიო კომიტეტების საშუალებით *. მიწის ყიდვის შესახებ ნებაყოფლობითი მორიგების დროს გლეხებს იმდენს ვ ე რ ააძრობენ, რამდენიც მათ **მთავრობის**

* კარგი იქნებოდა ზუსტი ციტატის მონახვა: მგონი, «უმისამართო წერილებში» ან კიდევ სადღაც უნდა იყოს [79].

მიერ გლეხთა და მემამულეთა «მორიგების» საშუალებით ააძვრესო.

და დიდი რუსი სოციალისტი მართალი გამოდგა. ახლა, ყბადაღებული «გამოყიდვით განთავისუფლების» 46 წლის შემდეგ, ჩვენ ვიცით გ ა მ ო ყ ი დ ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ი ს შედეგი. იმ მიწის გასაყიდი ფასი, რომელიც გლეხებს ხვდათ, 6 4 8 მილიონი მანეთი იყო, გლეხები კი აიძულეს გადაეხადათ 8 6 7 მილიონი მანეთი, 2 1 9 მილიონი მანეთით იმაზე მეტი, რაც მიწა ღირდა. და ნახევარი საუკუნის განმავლობაში გლეხები იტანჯებოდნენ, წვალობდნენ, შიმშილობდნენ, წყდებოდნენ ასეთი ნადელებით, ასეთი გადასახდელების ტვირთით, მთავრობის მიერ გლეხთა და მემამულეთა «მორიგების» ტვირთით, — ვიდრე მთელი გლეხობა ახლანდელ აუტანელ მდგომარეობამდე არ მივიდა.

რუსეთის ლიბერალებს უნდათ ერთხელ კიდევ გაიმეორონ გლეხთა და მემამულეთა ასეთივე «მ ო რ ი გ ე ბ ა». უფრთხილდით, გლეხებო! მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია გაფრთხილებთ: ათეული წლების მანძილზე ახალ-ახალ ტანჯვას, შიმშილს, კაბალას, დამცირებას და აბუჩად აგდებას — აი რას მოუტანთ თქვენ ხალხს, თუ ამგვარ «მორიგებას» დასთანხმდებით.

ადგილობრივი კომიტეტებისა და გამოყიდვის საკითხი — ეს აგრარული საკითხის ნამდვილი თავი და ბოლოა. და მთელი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აქ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ი ყ ო ს ბუნდოვანობა, ორაზროვნება, ორჭოფობა და მომიზეზება.

ხოლო როდესაც, 1906 წლის 26 მაისს, პირველ სახელმწიფო სათათბიროში ამ საკითხის განხილვა მიმდინარეობდა, ტრუდოვიკების წინააღმდეგ გამოსული კადეტები კ ო კ ო შ კ ი ნ ი და კ ო ტ ლ ი ა რ ე ვ ს კ ი სავსებით თავს იძვრენდნენ ორჭოფული აზრებითა და მომიზეზებით. ისინი განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, რომ სათათბიროს არ შეუძლია ერთბაშად დ ე კ რ ე ტ უ ლ ი წ ე ს ი თ შემოიღოს ასეთი კომი-

ტეტებიო, — თუმცა არავითარი ამდაგვარი დეკრეტი არც არავის წამოუყენებია! ისინი ამბობდნენ, რომ ეს საკითხი დაკავშირებულია საარჩევნო უფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან — ე. ი. მხოლოდ აჭიანურებდნენ იმ ადგილობრივი კ ო მ ი ს ი ე ბ ი ს შექმნის საარსებო და უბრალო საქმეს, რომლებიც სათათბიროს აგრარული საკითხის გადაწყვეტაში დაეხმარებოდნენ. ისინი ლაპარაკობდნენ «საკანონმდებლო მუშაობის მსვლელობის დამახინჯებაზე», «ადგილებზე 80 თუ 90 სათათბიროს» შექმნის საშიშროებაზე, იმაზე, რომ «ისეთი ორგანოების შექმნა, როგორიცაა ადგილობრივი კომიტეტები, არსებითადაც არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენსო» და სხვა და სხვ.

ყოველივე ეს მხოლოდ მომიზეზებაა, ბატონებო, მხოლოდ და მხოლოდ სრული თავის არიდებაა იმ საკითხისა, რომელიც ნათლად და გარკვეულად უნდა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ო ს სათათბირომ: დემოკრატიულმა სახელმწიფომ უნდა გადაჭრას აგრარული საკითხი, თუ ახლანდელმა სახელმწიფომ? გლეხები, ე. ი. მოსახლეობის მასა, უნდა სჭარბობდნენ ადგილობრივ საადგილმამულო კომიტეტებში, თუ მემამულეები? ერთი მუჭა მემამულენი უნდა დაემორჩილონ ხალხის მილიონებს, თუ მშრომელთა მილიონები უნდა დაემორჩილონ ერთ მუჭა მემამულეებს?

და ნუ მელაპარაკებიან მე სათათბიროს უძლურებასა, უმწეობასა და უუფლებობაზე. მე ეს ძალიან, ძალიან კარგად ვიცი. მე ხალისით დავთანხმდები გავიმეორო და ხაზგასმით აღვნიშნო ეს სათათბიროს რომელიც გნებავთ რეზოლუციასა, განცხადებასა თუ დეკლარაციაში. მაგრამ ამ საკითხში ლაპარაკია არა სათათბიროს უფლებებზე, — რადგან არც ერთ ჩვენგანს ფიქრადაც არ მოსვლია რაიმე წინადადების შემოტანა სათათბიროს უფლებების კანონის დასარღვევად. ლაპარაკია იმაზე, რომ სათათბირომ ნათლად, გარკვევით და — რაც მთავარია — სწორად გამოხატოს ხალხის ნამდვილი ინტერესები, სიმართლე თქვას აგრარული საკითხის გადაწყვეტის შესა-

ხებ, დაანახოს გლეხობის მასას ის წყალქვეშა ქვები, რომლებიც მიწის საკითხის გადაწყვეტას გზაზე ეღობება.

რა თქმა უნდა, სათათბიროს ნება ჯერ კიდევ კანონი არ არის, ეს მე მშვენივრად ვიცი! მაგრამ დაე, სათათბიროს ნების შესაზღუდავად, სათათბიროსათვის პირში ბურთის ჩასაჩრელად იზრუნოს ვინც უნდა იყოს, — მაგრამ არა თვითონ სათათბირომ! რა თქმა უნდა, სათათბიროს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ყოველგვარ და ყოველნაირ წინააღმდეგობას შეხვდება, — მაგრამ ეს არასოდეს არ გაამართლებს იმათ, ვინც წინასწარვე წელში მოიხრებოდა და დაიკლაკნებოდა, ვინც ლაქუცს დაიწყებდა და თავს დაიმცირებდა იმით, რომ სხვის ნებასურვილს აჰყვებოდა და ხალხის წარმომადგენელთა გადაწყვეტილებას ყოველი სხვა ვიგინდარის ნებას შეუგუებდა.

რა თქმა უნდა, აგრარულ საკითხს საბოლოო ანგარიშით სათათბირო როდი გადაწყვეტს, მიწისათვის გლეხობის ბრძოლის გადამწყვეტი აქტი სათათბიროში როდი მოხდება. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და **ჩვენ ვალდებული ვართ** დავეხმაროთ ხალხს საკითხის განმარტებით, მისი ნათლად დაყენებით, სრული სიმართლის თქმით, ყოველგვარი ორჭოფობისა და მიკიბ-მოკიბვის სრული მოშორებით, თუ კი ჩვენ გვინდა ნამდვილად ვიყოთ ხალხის წარმომადგენლები და არა ლიბერალური მოხელეები, თუ კი ჩვენ გვინდა ნამდვილად ვემსახუროთ ხალხის ინტერესებს და თავისუფლების ინტერესებს.

ხოლო იმისათვის, რომ ნამდვილად დავეხმაროთ ხალხს, საჭიროა სათათბიროს დადგენილებაში უაღრესად სრული სიცხადით გავაშუქოთ მიწის **სამი ძირითადი** საკითხი, რომლებსაც მე ჩემს სიტყვაში ვარკვევდი და რომელთაც დეპუტატი კუტლერი გვერდს უვლიდა და ხლართავდა.

პირველი საკითხია — მემამულეთა სამოცდაცხრამეტი მილიონი დესეტინა მიწისა და იმის შესახებ, რომ აუცილებელია აქედან არანაკლებ 70 მილიონი დესეტინა გადაეცეს გლეხებს.

მეორე საკითხია — გ ა მ ო ყ ი დ ვ ი ს შესახებ. აგრარული გარდაქმნა გლეხებს მხოლოდ მაშინ მოუტანს რაოდენადმე სერიოზულ სარგებლობას, თუ ისინი მიწას მიიღებენ გ ა მ ო უ ყ ი დ ვ ე ლ ა დ. გამოყიდვა ახალი მ ა რ ყ უ ჟ ი იქნებოდა გლეხის კისერზე, აუტანლად მძიმე ხ ა რ კ ი იქნებოდა რუსეთის მთელი შემდგომი განვითარებისათვის.

მესამე საკითხი — სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილების შესახებ, რაც აუცილებელია აგრარული რეფორმის განსახორციელებლად, და განსაკუთრებით საკითხი ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო, პ ი რ დ ა პ ი რ ი, თ ა ნ ა ს წ ო რ ი და ფ ა რ უ ლ ი კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ი თ ა რ ჩ ე უ ლ ი ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ს ა ა დ გ ი ლ მ ა მ უ ლ ო კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ს შესახებ. უამისოდ მიწის რეფორმა იქნება იძულება გლეხობის მასისა, რომ მემამულეთა უღელი დაიდგას და არა იძულება ერთი მუჭა მემამულეებისა, რომ დააკმაყოფილონ მთელი ხალხის მომწიფებული მოთხოვნები.

ჩემი სიტყვის დასაწყისს ვთქვი, რომ ბ-ნი მიწათმოქმედების მინისტრი ვასილჩიკოვი ერთმანეთთან ა რ ი გ ე ბ დ ა «მემარჯვენეებსა» და «კადეტებს». ახლა, როდესაც მე გავარკვიე მემამულეთა 70 მილიონი დესეტინა მიწის საკითხის, გამოყიდვის და, რ ა ც მ თ ა ვ ა რ ი ა, ადგილობრივი საადგილმამულო კომიტეტების შემადგენლობის საკითხის მნიშვნელობა, — ჩემთვის საკმარისია მოვიყვანო ე რ თ ი ადგილი ბ-ნ მინისტრის სიტყვიდან:

...«ამ ნიადაგზე რომ ვდგევართ, — თქვა ბ-ნმა მინისტრმა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა მემამულური საკუთრების «მიჯნათა ხელუხლებლობა» და მათი «გადანაცვლება» მხოლოდ «სახელმწიფოს ინტერესების» გულისათვის, — ამ ნიადაგზე რომ ვდგევართ და გ ა რ კ ვ ე უ ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ შ ი დ ა ს ა შ ვ ე ბ ა დ ვ თ ვ ლ ი თ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ს **იძულებით** გ ა დ ა ნ ა ც ვ ლ ე ბ ა ს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ ვარყევთ... საკუთრების ძირითად საწყისებს»...

კარგად ჩაუფიქრდით თუ არა თქვენ, ბატონებო, ბ-ნ მინისტრის ამ ფრიად მნიშვნელოვან სიტყვებს? ამ სიტყვებს ღირს ჩავუფიქრდეთ... უნდა ჩავუფიქრდეთ... ბ-ნმა კუტლერმა სავსებით დაარწმუნა ბ-ნი მინისტრი, რომ სიტყვაში: «იძულებითი» არაფერია მემამულეთათვის უხერხული... რატომ? იმიტომ, რომ იძულებას თვითონვე ბატონი მემამულენი გამოიყენებენ!!

* * *

იმედი მაქვს, ბატონებო, რომ მე შევძელი გამერკვია თქვენთვის ჩვენი, სოციალ-დემოკრატიული, დამოკიდებულება როგორც «მემარჯვენე» პარტიებისადმი, ისე ლიბერალური ცენტრისადმი (კადეტებისადმი) აგრარულ საკითხში. ახლა უნდა შევჩერდე ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომლითაც სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისი განსხვავდება ტრუდოვიკების, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, შეხედულებებისაგან, ე. ი. «შრომის საწყისის» თვალსაზრისზე მდგომი ყველა პარტიის შეხედულებებისაგან, და სახალხო სოციალისტებისა და «ტრუდოვიკების», ამ სიტყვების ვიწრო მნიშვნელობით, და სოციალისტ-რევოლუციონერთა შეხედულებებისაგან.

ყოველივე ზემოთნათქვამიდან უკვე ჩანს, რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია სავსებით მხარს უჭერს გლეხობის მასას მის ბრძოლაში მემამულეთა წინააღმდეგ მიწისათვის, ბატონყმური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისათვის. ამ ბრძოლაში გლეხებს არა ჰყავთ და არც შეიძლება ჰყავდეთ პროლეტარიატზე უფრო საიმედო მოკავშირენი, იმ პროლეტარიატზე, რომელმაც ყველაზე მეტი მსხვერპლი შესწირა რუსეთის თავისუფლებისა და სინათლის მოპოვების საქმეს. გლეხებს არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ თავიანთი სამართლიანი მოთხოვნების განხორციელების სხვა საშუალება, თუ არა შეერთება შეგნებულ პროლეტარიატთან, რომელიც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის წითელი დროშით იბრძვის. ლიბერალური პარტიები ყველგან, ევროპის ყველა

ქვეყანაში, ღალატობდნენ გლეხებს და მათს ინტერესებს მსხვერპლად სწირავდნენ მემამულეებს; ჩვენშიც, რუსეთში, როგორც ეს ლიბერალური, კადეტური პროგრამის გარჩევით ცხადვყავი, იგივე ხდება.

აგრარულ საკითხზე ტრუდოვიკებისა და სოციალ-დემოკრატების შეხედულებათა განსხვავებას მე უკვე არაერთხელ შევეხე ჩემი სიტყვის წინა ნაწილებში. ახლა უნდა განვიხილოთ შრომის ჯგუფის ერთ-ერთი ძირითადი შეხედულება.

ასეთი განხილვის მიზნით ჩემ თავს ნებას მივცემ შევჩერდე მღვდელ ტიხვინსკის სიტყვაზე. ბატონებო! სოციალ-დემოკრატები არ იზიარებენ ქრისტიანული რელიგიის შეხედულებებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქრისტიანობის ნ ა მ დ ვ ი ლ საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ მნიშვნელობასა და შინაარსს უ ფ რ ო სწ ო რ ე დ გამოხატავენ ისეთი სასულიერო პირთა შეხედულებანი და მისწრაფებანი, როგორიც არის ეპისკოპოზი ევლოგი, ვიდრე ისეთი პირებისა, როგორიც არის მღვდელი ტიხვინსკი. აი ამიტომაა, რომ როგორც ჩვენი მეცნიერული, მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამო, რომლისთვისაც ყოველგვარი ცრურწმენა უცხოა, ისე ყველა მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის საერთო ამოცანების გამოც ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, უარყოფით ვუყურებთ ქრისტიანულ მოძღვრებას. მაგრამ, ამ განცხადებასთან ერთად, ჩემს მოვალეობად ვთვლი აქვე, პირდაპირ და აშკარად ვთქვა, რომ სოციალ-დემოკრატია იბრძვის სინდისის სრული თავისუფლებისათვის და სრული პატივისცემით ეპყრობა ყოველგვარ გულწრფელ რწმენას სარწმუნოების საქმეებში, თუ კი ეს რწმენა ძალადობის ან მოტყუების გზით არ ხორციელდება. მით უმეტეს მოვალედ ვთვლი ჩემ თავს ხაზგასმით აღვნიშნო ეს იმიტომ, რომ განზრახული მაქვს ვილაპარაკო ჩემს უთანხმოებებზე მ ღ ვ დ ე ლ ტიხვინსკისთან, — გლეხთა დეპუტატთან, რომელიც ყოველგვარი პატივისცემის ღირსია, რადგან ის გულწრფელად ერთგულია გლე-

ხობის ინტერესებისა, ხალხის ინტერესებისა, რასაც იგი უშიშრად და გაბედულად იცავს.

დეპუტატი ტიხვინსკი მხარს უჭერს შრომის ჯგუფის საადგილმამულო პროექტს, რომელიც აგებულია მიწათსარგებლობის გათანაბრების საწყისებზე. დეპუტატი ტიხვინსკი იცავდა ამ პროექტს და ამბობდა:

«აი როგორ უყურებს გლეხობა, აი როგორ უყურებს მშრომელი ხალხი მიწის საკითხს: მიწა ღვთისაა, და მშრომელ გლეხს მის მიმართ ისეთივე უფლება აქვს, როგორც თვითეულ ჩვენგანს უფლება აქვს წყლითა და ჰაერით ისარგებლოს. უცნაური იქნებოდა, ვისმე რომ წყლის ან ჰაერის გაყიდვა ან ყიდვა, ანდა ვაჭრობა დაეწყო, — ასევე უცნაურად გაისმის ჩვენთვის, თუ ვინმე მიწით ვაჭრობს, მას ჰყიდის ან ყიდულობს. გლეხთა კავშირსა და შრომის ჯგუფს სურთ გაატარონ პრინციპი: მთელი მიწა — მშრომელ ხალხს. ხოლო მიწის გამოყიდვა — რა გზით განხორციელდება ის, გამოყიდვის გზით, თუ გამოუყიდველად და უბრალო განსხვისების გზით, — მშრომელ გლეხობას ეს საკითხი არ აინტერესებს»...

ასე ლაპარაკობდა გლეხთა კავშირისა და შრომის ჯგუფის სახელით დეპუტატი ტიხვინსკი.

ტრუდოვიკების შეცდომა, დიდი შეცდომა სწორედ ის არის, რომ მათ არ აინტერესებთ გამოყიდვისა და მიწის რეფორმის განხორციელების საშუალებათა საკითხი; — მაშინ როდესაც ამ საკითხზეა ნამდვილად დამოკიდებული, მიაღწევენ თუ არა გლეხები მემამულეთა ჩაგვრისაგან განთავისუფლებას. მათ აინტერესებთ მიწის ყიდვა-გაყიდვისა და მიწის მიმართ ყველასთვის თანასწორი უფლების საკითხი, — მაშინ როდესაც ამ საკითხს არავითარი სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს მემამულეთა ჩაგვრისაგან გლეხთა ნამდვილი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

დეპუტატი ტიხვინსკი იმ შეხედულებას იცავს, რომ მიწის ყიდვა და გაყიდვა არ შეიძლება, რომ მიწის მიმართ ყველა მშრომელს თანასწორი უფლება აქვს.

მე სავსებით შეგნებული მაქვს, რომ ასეთი შეხედულება გამომდინარეობს ყველაზე კეთილშობილი გულისწადილიდან, სასტიკი პროტესტიდან მონოპოლიის წინააღმდეგ, მდიდარი

მუქთახორების პრივილეგიების წინააღმდეგ, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, — გამომდინარეობს იმ მისწრაფებიდან, რომ მივაღწიოთ ყველა მშრომელის განთავისუფლებას ყოველგვარი ჩაგვრისა და ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან.

ამ იდეალისათვის, სოციალიზმის იდეალისათვის, იბრძვის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. მაგრამ ამ იდეალს ვერ მივაღწევთ წვრილ მეურნეთა მიწათსარგებლობის გათანაბრების იმ გზით, რომელზედაც დეპუტატი ტიხვინსკი და მისი თანამოაზრენი ოცნებობენ.

დეპუტატი ტიხვინსკი მზად არის პატიოსნად, გულწრფელად და გაბედულად იბრძოლოს — და, იმედი მაქვს, ბოლომდე იბრძოლოს — მემამულეთა ძალაუფლების წინააღმდეგ. მაგრამ მან დაივიწყა მეორე, კიდევ უფრო მძიმე, თანამედროვე მშრომელი ხალხის კიდევ უფრო მეტად მჩაგვრელი ძალაუფლება, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა, ფ უ ლ ი ს ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა.

დეპუტატი ტიხვინსკი ამბობს, რომ მიწის, წყლის ან ჰაერის გაყიდვა გლეხს უცნაურობად ეჩვენება. მე მესმის, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც მთელი ან თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე სოფლად ცხოვრობენ, ასეთი შეხედულება უნდა ჩამოყალიბებოდათ. მაგრამ თვალი გადაავლეთ მთელ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებას, დიდ ქალაქებს, რკინიგზებს, შახტებსა და სამადნეებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს. თქვენ დაინახავთ, როგორ ჩაუგდიათ ხელში მდიდრებს ჰაერიც, წყალიც და მიწაც. თქვენ დაინახავთ, რომ ათი და ასი ათასობით მუშა მოკლებულია სუფთა ჰაერს, ისინი იძულებული არიან მიწის ქვეშ იმუშაონ, სარდაფებში იცხოვრონ, ფაბრიკების სიახლოვით გაფუჭებული წყალი იხმარონ. თქვენ დაინახავთ, რა საშინლად იზრდება მიწის ფასები ქალაქად და როგორ უწევენ ექსპლოატაციას მუშას არა მარტო მეფაბრიკენი და მექარხნენი, არამედ აგრეთვე სახლთმფლობელებიც, რომლებიც, როგორც ცნობილია, ბევრად უფრო ისქელე-

ბენ ჯიბეს მუშებით დასახლებული ბინებით, სენაკებით, კუნჭულებითა და ჯურღმულებით, ვიდრე მდიდრული ბინებით. ან კი რა უნდა ითქვას წყლის, ჰაერისა და მიწის ყიდვა-გაყიდვაზე, როდესაც მთელი ახლანდელი საზოგადოება დამყარებულია მხოლოდ მ უ შ ა-ძ ა ლ ი ს ყიდვა-გაყიდვაზე, ე. ი. მილიონობით ადამიანთა დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ მ ო ნ ო ბ ა ზ ე!

დაუფიქრდით, შეიძლება თუ არა მიწათმფლობელობის თანასწორობაზე, მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვაზე ლაპარაკი ფულის ამ ძალაუფლებისა და კაპიტალის ძალაუფლების არსებობის დროს? შესძლებს თუ არა რუსი ხალხი თავი დააღწიოს ჩაგვრასა და ექსპლოატაციას იმ შემთხვევაში, თუ აღიარებული იქნება თვითეული მოქალაქის თანასწორი უფლება მიწის თანაბარი ნაკვეთის მიმართ, ამავე დროს კი ათი ათასობით ან მილიონობით მანეთი ერთი მუჭა ადამიანების მფლობელობაში იქნება, ხოლო მასა ღარიბ-ღატაკი დარჩება? არა, ბატონებო, ვიდრე კაპიტალის ძალაუფლება არსებობს,—შეუძლებელი იქნება მიწათმფლობელთა შორის რაიმე თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა, შეუძლებელი, სასაცილო და უაზრობაა მიწის გაყიდვისა და ყიდვის ყოველგვარი აკრძალვა. ყველაფერი, არა მარტო მიწა, არამედ ადამიანის შრომაც, ადამიანის პიროვნებაც, სინდისიც, სიყვარულიც, მეცნიერებაც, — ყ ო ვ ე ლ ა ფ ე რ ი გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ იქცევა ყ ი დ ვ ა-გ ა ყ ი დ ვ ი ს ს ა გ ნ ა დ, ვიდრე კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა არსებობს.

ამას რომ ვამბობ, მე სულაც არ მინდა შევასუსტო გლეხთა ბრძოლა მიწისათვის, შევასუსტო მისი მნიშვნელობა, მისი სიდიადე, მისი გადაუდებლობა. სრულებითაც. მე უკვე ვთქვი და ვიმეორებ, რომ ეს ბრძოლა სამართლიანი და აუცილებელია, რომ გლეხებმა თავიანთი ინტერესებისთვისაც, პროლეტარიატის ინტერესებისთვისაც და მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებისთვისაც უ ნ დ ა მოიშორონ ბატონყმური მემამულური ჩაგვრის უღელი.

შეგნებულ მუშებს უნდათ კი არ შეასუსტონ, არამედ გააძლიერონ გლეხთა ბრძოლა მიწისათვის. სოციალისტები ამ

ბრძოლის შეჩერებას კი არ ესწრაფიან, არამედ ცდილობენ ის კიდევ უფრო განავითარონ და ამისათვის თავი დააღწიონ ყოველგვარ გულუბრყვილო რწმენას, თითქოს შესაძლებელი იყოს წვრილ მეურნეთა გათანაბრება ან მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა აღებ-მიცემობის, ფულისა და კაპიტალის ბატონობის დროს.

მემამულეთა წინააღმდეგ გლეხებს სავსებით მხარს უჭერენ მუშები — სოციალ-დემოკრატები. მაგრამ წვრილი, თუნდაც გათანაბრებული მეურნეობით როდი შეიძლება კაცობრიობის ხსნა მასების სიღატაკისაგან, ექსპლოატაციისა და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისაგან. ამისათვის საჭიროა ბრძოლა მთელი კაპიტალისტური საზოგადოების მოსასპობად და მისი შეცვლა მსხვილი სოციალისტური წარმოებით. ამ ბრძოლას ეწევიან ახლა შეგნებულ მუშა სოციალ-დემოკრატთა მილიონები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. და მხოლოდ მაშინ, როცა გლეხობა ამ ბრძოლას შეუერთდება, როცა დაამხობს თავის პირველ მტერს — მებატონე-მემამულეს, შესძლებს იგი წარმატებით ებრძოლოს მეორე, უფრო საშინელ მტერს — კაპიტალის ძალაუფლებას!

დაწერილია 1907 წ.
21 — 25 მარტს (3 — 7 აპრილს) შუა

პირველად დაიბეჭდა
1925 წ. ლენინის კრებულში, IV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

# თეთრი კბილი და შავი გული

სახელმწიფო სათათბიროში აგრარულ საკითხზე გამართული დებატები ფრიად საგულისხმოა. საჭიროა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ სხვადასხვა პარტიის მეთაურების სიტყვებზე და მათს შინაარსს ჩავუკვირდეთ.

აგრარული საკითხის მთავარი პუნქტი, უეჭველია, მემამულეთა მიწის საკუთრებისადმი დამოკიდებულებაა. გლეხობა ამ საკუთრების წინააღმდეგ იბრძვის და ცდილობს მიწა მიიღოს. როგორი დამოკიდებულება აქვს ამ ბრძოლასთან სხვადასხვა პარტიას?

სოციალ-დემოკრატებმა პირდაპირ და აშკარად წამოაყენეს გამოუყიდველად განსხვისების მოთხოვნა. სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი წერეთელი თავის სიტყვაში ენერგიულად ამტკიცებდა მემამულეთა საკუთრების «უფლებების» დაცვის სიყალბეს, განმარტავდა ამ საკუთრების წარძოშობას მტაცებლობის შედეგად, ცხადყოფდა კერძო საკუთრების ხელშეუვალობის შესახებ წარმოთქმული სიტყვების მთელ უსაზღვრო თვალთმაქცობას, აბათილებდა პრემიერ-მინისტრის სიტყვებს, რომელსაც «სახელმწიფოებრიობად» წარმოუდგენია არა ხალხის ინტერესები, არამედ იმ ერთი მუჭა მემამულეთა ინტერესები, რომლებთანაც სახელმწიფო ხელისუფლება მთელი არსებით არის დაკავშირებული.

მიუმატეთ ამას ამხ. წერეთლის სიტყვის დასასრულს წამოყენებული წინადადება, რომ საკითხი განსახილველად

გადაეცეს ადგილობრივ საადგილმამულო კომიტეტებს (არჩეულთ, რა თქმა უნდა, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით), — და თქვენ მიიღებთ მიწის საკითხში პროლეტარული პოზიციის მთლიანსა და ნათელს სურათს. მიწის მიმართ მემამულეთა უფლებები უარყოფილია. გარდაქმნის წესი განსაზღვრულია ნათლად: ადგილობრივი კომიტეტები — ეს ნიშნავს გლეხთა ინტერესების უპირატესობას მემამულეთა ინტერესებზე. გამოუყიდველად განსხვისება — ეს ნიშნავს გლეხთა ინტერესების სავსებით დაცვას, მემამულეთა კლასობრივი ანგარების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას.

გადავიდეთ ტრუდოვიკებზე. კარავაევს სრული სიცხადითა და გარკვეულობით არ წამოუყენებია პრინციპი: «გამოუყიდველად განსხვისება». გლეხთა წარმომადგენელმა ნაკლები სიმტკიცით წამოაყენა ხალხის მოთხოვნები მემამულეებისადმი, ვიდრე მუშათა წარმომადგენელმა. ნათლად არ წამოუყენებიათ საკითხის ადგილობრივი კომიტეტებისათვის გადაცემის მოთხოვნა, პროტესტი არ განუცხადებიათ ლიბერალების (კადეტების) იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ მწვავე საკითხის განხილვა გადაიტანონ და მიჩქმალონ კომისიაში, რაც შეიძლება შორს ხალხისაგან, რაც შეიძლება შორს საჯაროდ განხილვის შუქისაგან, რაც შეიძლება შორს თავისუფალი კრიტიკისაგან. მაგრამ, მიუხედავად ტრუდოვიკის სიტყვის ყველა ამ ნაკლისა, სოციალ-დემოკრატის სიტყვასთან შედარებით, მაინც უნდა აღვიაროთ, რომ ტრუდოვიკი იცავდა გლეხთა საქმეს მემამულეთა წინააღმდეგ. ტრუდოვიკი ხალხს თვალს უხელდა გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობის დასანახავად. იგი ედავებოდა ერმოლოვისა და მემამულეთა კლასის იმ სხვა დამცველთა დასკვნებს, რომლებიც უარყოფდნენ გლეხთა მიწათმფლობელობის გაფართოების აუცილებლობას. იგი ამბობდა, რომ გლეხებს ესაჭიროებათ სულ ცოტა 70 მილიონი დესეტინა მიწა და განმარტავდა, რომ გლეხთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად მოიპოვება 70 მილიონ დესეტინაზე მეტი მემამულეთა, საუფლისწულო და სხვა მიწა. ტრუდო-

ვიკის სიტყვის საერთო ტონი — ვიმეორებთ, მიუხედავად ჩვენ მიერ ხაზგასმული მისი ნაკლოვანებებისა, — ხალხისადმი მიმართვა, ხალხისთვის თვალის ახელის მისწრაფება იყო...

ავიღოთ კადეტ კუტლერის სიტყვა. ჩვენს წინაშე ერთბაშად სულ სხვა სურათი იშლება. იგრძნობა, რომ მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა სავსებით თანამიმდევარ (სოციალ-დემოკრატები) ან რაოდენადმე მერყევ (ტრუდოვიკები) დამცველთა ბანაკიდან ჩვენ მოვხვდით მემამულეთა ბანაკში, რომლებსაც შეგნებული აქვთ «დათმობათა» აუცილებლობა, მაგრამ ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ რაც შეიძლება ნაკლები დასთმონ.

კუტლერი ამბობდა, რომ იგი «ეთანხმება» ტრუდოვიკებს, «თანაუგრძნობს» ტრუდოვიკებს, მაგრამ ამას ამბობდა მხოლოდ იმისათვის, რომ მოეშაქრა იმ დაუყოვნებლივი შეზღუდვის, შეკვეცის, შემცირების აბი, რომლებიც საჭიროა ტრუდოვიკების პროექტშიო. კუტლერის მთელი სიტყვა სავსეა ყოველგვარი აზრებით სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ და ტრუდოვიკების წინააღმდეგ.

ლიტონი ლაპარაკი რომ არ გამოგვივიდეს, გავარჩიოთ კუტლერის სიტყვა კვალდაკვალ.

შესავალი. ქათინაური ტრუდოვიკების მისამართით. კადეტი უერთდება ძირითად აზრს, იგი მხურვალედ თანაუგრძნობს... მაგრამ... მაგრამ... შრომის ჯგუფის პროექტი «არ სჯერდება მარტივსა და ნათელ ამოცანას — უშველოს გლეხთა მცირემიწიანობას. ის უფრო შორს მიდის, ის ისწრაფვის ძირფესვიანად შესცვალოს მთელი არსებული საადგილმამულო უფლებრივი ურთიერთობანი» (ციტატები ყველგან მოყვანილია «ტოვარიშჩის» ანგარიშის მიხედვით).

მაშ ასე: გლეხისადმი «თანაგრძნობა» — სიტყვით, გლეხთა მოთხოვნების შეზღუდვა — საქმით; გლეხისათვის მხარის დაჭერა — სიტყვით, მემამულისათვის მხარის დაჭერა — საქმით.

და ამავე დროს კუტლერი არწმუნებს სათათბიროს, ტრუდოვიკი მ ა რ ტ ი ვ ს ა  დ ა  ნ ა თ ე ლ  ამოცანას არ სჯერდებაო! აბა განსაჯეთ, მკითხველო: ტრუდოვიკი პირდაპირ ლაპარაკობს 7 0  მ ი ლ ი ო ნ ი  დ ე ს ე ტ ი ნ ა  მ ი წ ი ს  შ ე ს ა ხ ე ბ. საჭიროა ეს მიწა მემამულეთა ხელიდან გლეხთა ხელში გადავიდესო. განა ეს «ნათელი» არ არის, განა ეს «მარტივი» არ არის!!

«ნათელი» რომ იყოს, საჭიროა ლაპარაკი შრომის ნორმის, სამომხმარებლო ნორმის, 1861 წელს მიწების გამოყოფის ნორმის შესახებ. და ბ-ნი კუტლერიც ლაპარაკობს, ლაპარაკობს, ლაპარაკობს. იგი მსმენელებს თავს უჭედავს სიტყვების ნიაღვარით ყველა ამ უმაქნისი საკითხის შესახებ იმისათვის, რომ მიიღოს დასკვნა: «ჩემი აზრით,... აკლია 30 მილიონი დესეტინა», რომ გლეხთა ნადელები 1861 წლის ნორმამდე ავიდესო, ეს ნორმა კი სამომხმარებლო ნორმაზე კიდევ უფრო ნაკლებიაო. ეს არის და ეს. ეს არის ყველაფერი, რაც მან თქვა გაჭირვების რაოდენობისა და მისი დაკმაყოფილების საკითხზე.

მაგრამ განა ეს არის პასუხი 7 0  მ ი ლ ი ო ნ ი ს  შ ე ს ა ხ ე ბ? თქვენ ხომ მხოლოდ თავს იძვრენთ, «სახალხო თავისუფლების» პატივცემულო რაინდო, თქვენ მხოლოდ სიტყვას ბანზე აგდებთ! უნდა გადაეცეს გლეხებს 70 მილიონი დესეტინა მიწა თუ არა? ჰო თუ არა?

და იმისათვის, რომ კიდევ უფრო ცხადვყოთ ამ თავდაძვრენის არსი, ტრუდოვიკის მითითებას ჩვენ დავასაბუთებთ უ ა ხ ლ ე ს ი  საადგილმამულო სტატისტიკის შენაჯამი დასკვნით. 1905 წლის გამოკვლევით კერძო პირებს ჰქონდათ სულ 101,7 მილიონი დესეტინა მიწა, აქედან: 15,8 მილიონი — საზოგადოებებსა და ამხანაგობებს; 3,2 მილიონი დესეტინა — იმ მფლობელთ, რომლებსაც 20 დესეტინამდე აქვთ; 3,3 მილიონი დესეტინა — იმ მფლობელთ, რომლებსაც 20-დან 50 დესეტინამდე აქვთ; 7 9, 4  მ ი ლ ი ო ნ ი  დ ე ს ე ტ ი ნ ა — იმ მფლობელთ, რომლებსაც 5 0  დ ე ს ე ტ ი ნ ა ზ ე  მ ე ტ ი  აქვთ. ამ უკანასკნელ მფლობელთა რიცხვი სულ 133.898 უდრის.

მაშასადამე, თვითეულ მათგანზე საშუალოდ მოდის 594 დესეტინა. ვთქვათ, რომ ამ ვაჟბატონთაგან თვითეულს ვუტოვებთ 50 დესეტინას. ეს შეადგენს 6,9 მილიონ დესეტინას. გამოვაკლოთ 79,4 მილიონ დესეტინას 6,9 მილიონი დესეტინა — მივიღებთ მემამულეთა 72,5 მილიონ დესეტინა თავისუფალ მიწას, რომ არ ჩავთვალოთ საუფლისწულო, სახაზინო, საეკლესიო, სამონასტრო დასხვა მიწები.

ჩვენ ვხედავთ, რომ ტრუდოვიკმა ჯერ კიდევ სავსებით სწორედ ვერ განსაზღვრა მიწის ის რაოდენობა, რომელიც შეიძლება და უნდა მიიღონ გლეხებმა, თუმცა მისი საერთო ციფრი (70 მილიონი დესეტინა) ჭეშმარიტებას უახლოვდება.

მაშ ასე, გაისარჯეთ და მარტივი და ნათელი პასუხი მოგვეცით, ბ-ნო კადეტებო: უნდა გადაეცეს მემამულეებისაგან გლეხებს 70 მილიონი დესეტინა, თუ არა?

პირდაპირი პასუხის ნაცვლად ჩვენი ყოფილი მინისტრი და ახლანდელი ლიბერალური პირმოთნე ისე ტრიალებს, როგორც უშმაკი ცისკრის ლოცვის წინ, და პათეტიკურად გაიძახის:

«განა ეს უფლება (მიწის უფლება, შრომის ჯგუფის პროექტის მიხედვით) იგივე არ არის, რაც იმ სადგომში შესვლის უფლება, სადაც ყველა ადგილი უკვე დაკავებულიაო?»

როგორ მოგწონთ? 70 მილიონი დესეტინის საკითხი გვერდავლილია. ლიბერალური ბატონი გლეხებს პასუხს აძლევს: სადგომი დაკავებულიაო.

მას შემდეგ, რაც 70 მილიონი დესეტინის უსიამოვნო საკითხი გადაყლაპა (ბრიყვები არიან ეს გლეხები! ჩაგვაცივდნენ რაღაც 70 მილიონით!), კუტლერი იწყებს ტრუდოვიკებთან დავას მიწის ნაციონალიზაციის «პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობაზე».

ყოველივე ეს თვალის ახვევის ბოროტი განზრახვით არის ნათქვამი, რადგან 70 მილიონი დესეტინა თუ მემამულეებს დარჩებათ, მაშინ აღარაც ის იქნება, რის ნაციონალიზაციაც უნდა მოხდეს! მაგრამ ბ-ნი კუტლერი

სწორედ იმიტომ ლაპარაკობს, რომ თავისი აზრები დაფაროს.

რაში მდგომარეობს მისი მოსაზრება მიწის ნაციონალიზაციის წინააღმდეგ?

«მე მგონია, შეიძლება წარმოვიდგინოთ ის პოლიტიკური პირობები, როდესაც მიწის ნაციონალიზაციის პროექტს შეეძლებოდა კანონის ძალა მიეღო, მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია უახლოეს მომავალში ისეთი პოლიტიკური პირობები, როდესაც ეს კანონი ნამდვილად განხორციელდებოდა».

საფუძვლიანი და დამაჯერებელია. ლიბერალურ მოხელეს, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში «კოხტად ქედმოხრილი ყოფილა», არ შეუძლია წარმოიდგინოს ისეთი პოლიტიკური პირობები, რომ საკანონმდებლო ძალაუფლება ხალხის წარმომადგენლებს ეკუთვნოდეს. ჩვეულებრივ ისე ხდება ხოლმე, — გადაკვრით ბრძანებს ჩვენი საყვარელი ლიბერალი, — რომ ერთი მუჭა მემამულენი ბატონობენ ხალხზეო.

დიახ, ასე ხდება ხოლმე. ასეა საქმე რუსეთში. მაგრამ აქ ხომ ლაპარაკია ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაზე. ლაპარაკია სწორედ იმ საკითხზე, თუ როგორ შევცვალოთ მემამულეთა ბატონობის ეკონომიური და «პოლიტიკური პირობები». თქვენ კი ამის წინააღმდეგ ილაშქრებთ იმაზე მითითებით, რომ ახლა ძალაუფლება მემამულეთა ხელშია და რომ საჭიროა უფრო მეტად მოვიხაროთ ქედიო:

«გლეხობის დახმარების მარტივი და უდავოდ სასარგებლო ამოცანის გართულება უსაფუძვლო და უმართებულოა».

ჩოჩორს რქები არ ამოსდის, არა!

და ბ-ნი კუტლერი მეტისმეტად გრძლად ლაპარაკობს იმაზე, რომ «განუხორციელებელი» ნაციონალიზაციის მაგივრად საჭიროა მხოლოდ «გლეხთა მიწათსარგებლობის გაფართოებაო».

როდესაც ლაპარაკი იყო გლეხთა მიწათმფლობელობის (და არა მიწათსარგებლობის, დიდად პა-

ტივცემულნო!) გაფართოებაზე მემამულეთა 70 მილიონი დესეტინა მიწით, — მაშინ კუტლერი «ნაციონალიზაციის» საკითხზე გადავიდა. «ნაციონალიზაციის» საკითხიდან კი იგი «გაფართოების» საკითხს დაუბრუნდა... იქნებ, 70 მილიონი დესეტინა არ გაახსენდეთო!

ბ-ნი კუტლერი პირდაპირ იცავს მიწის კერძო საკუთრებას. მის მოსპობას იგი «უდიდეს უსამართლობად» აცხადებს.

«რაკი არავინ წინადადებას არ იძლევა მოვსპოთ საკუთრება საზოგადოდ, ამიტომ აუცილებელია სავსებით აღვიაროთ მიწის საკუთრების არსებობაო».

რაკი არ შეიძლება დღესვე გადავდგათ წინ ორი ნაბიჯი, «ამიტომ აუცილებელია» ერთი ნაბიჯის წინ გადადგმაზედაც ხელი ავიღოთო! ასეთია ლიბერალის ლოგიკა. ასეთია მემამულეთა ანგარების ლოგიკა.

ბ-ნ კუტლერის სიტყვის ერთადერთ მუხლად, რომელიც გლეხთა ინტერესებისა და არა მემამულეთა ინტერესების დაცვას ეხება, ერთი შეხედვით შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ის, რომ იგი სცნობს კერძო მიწების იძულებით განსხვისებას.

მაგრამ ის, ვინც ამ სიტყვების ბგერას ენდობოდა, დიდად შესცდებოდა. მემამულეთა მიწის იძულებითი განსხვისება გლეხებისათვის ხელსაყრელია მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ მემამულენი მართლაც იძულებული იქნებიან გლეხებს მისცენ ბევრი მიწა და მისცენ იაფად. მაგრამ თუ მემამულენი აიძულებენ გლეხებს დიდი საფასური გადაიხადონ მიწის უბადრუკი ნაჭრებისათვის?

სიტყვები: «იძულებითი განსხვისება» ჯერ კიდევ სრულიად არაფერს არ ნიშნავს, რაკი არ არის იმის ნამდვილი გარანტია, რომ მემამულეები გლეხებს არ მოატყუებენ.

ბ-ნი კუტლერი არათუ არცერთ ამ გარანტიას არ ასახელებს, არამედ, პირიქით, მთელი თავისი სიტყვით, მთელი თავისი კადეტური პოზიციით გამორიცხავს მას. სა-

თათბიროს გარეთ მუშაობა კადეტებს არ უნდათ. ისინი აშკარად ქადაგებენ ადგილობრივი კომიტეტების ანტიდემოკრატიულ შემადგენლობას: გლეხთა და მემამულეთა თანაბარი წარმომადგენლები მთავრობის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით! ეს უკვე სავსებით მოასწავებს იმას, რომ მემამულეებმა გლეხები აიძულონ.

მიუმატეთ ამას ის, რომ მიწას შეაფასებენ მემამულეთა ასეთივე კომიტეტები, რომ კადეტები უკვე ახლა აკისრებენ გლეხებს (იხ. კუტლერის სიტყვის დასასრული) მიწის გადასახდელთა ნახევარს (მეორე ნახევარსაც აგრეთვე გლეხები გადაიხდიან, ოღონდ გადიდებული გადასახადების სახით!), — და თქვენ დარწმუნდებით, რომ ბ-ნ კადეტებს კბილი თეთრი აქვთ, გული კი შავი.

სოციალ-დემოკრატები და ტრუდოვიკები სათათბიროში გლეხთა სასარგებლოდ ლაპარაკობდნენ, მემარჯვენეები და კადეტები — მემამულეთა სასარგებლოდ. ეს — ფაქტია, და ვერავითარი ფანდები და ფრაზები მას ვერ მიჩქმალავს.

«ნაშე ეხო» № 1,
1907 წ. 25 მარტი

იბეჭდება გაზეთ «ნაშე ეხოს» ტექსტის მიხედვით

# სათათბირო და ბიუჯეტის დამტკიცება

სათათბიროს მიერ ბიუჯეტის დამტკიცების საკითხს მეტად სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. კანონის მიხედვით, სათათბიროს უფლებები ყოვლად უმნიშვნელოა, და მთავრობას თავისი მოქმედებისათვის სათათბიროს დასტური სრულებით არ ესაჭიროება. მაგრამ ფაქტიურად მთავრობა ასე თუ ისე დამოკიდებულია სათათბიროს მიერ ბიუჯეტის დამტკიცებაზე: ამას ყველა აღიარებს, ამას განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ლიბერალური ბურჟუებიც, კადეტები, რომლებიც მზად არიან ამ დამოკიდებულებაზე წარმოთქმული მშვენიერი ფრაზებით შეცვალონ ამ მცირეოდენი დამოკიდებულების მცირეოდენი ფარგლების განსაზღვრა. მთავრობას ფული ესაჭიროება, სესხი აუცილებელია. სესხის მიღებაზე შეთანხმების დადება კი, თუ სათათბიროს პირდაპირი ან არაპირდაპირი თანხმობა არ იქნება, ან სრულებით არ ხერხდება, ანდა მოხერხდება მხოლოდ დიდი გაჭირვებით, ისეთ მძიმე პირობებში, რომლებიც ძალიან გააუარესებენ მდგომარეობას.

სავსებით ცხადია, რომ ასეთ პირობებში სათათბიროს მიერ ბიუჯეტის განხილვას და მის გამო კენჭისყრას ორგვარი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ჯერ-ერთი, სათათბირომ ხალხს უნდა დაანახოს ერთი მუჭა მემამულეების, მოხელეებისა და ყოველგვარი პარაზიტების მიერ სახალხო საკუთრების იმ ორგანიზებული მტაცებლობის, იმ სისტემატური, ურცხვი ძარცვის ყველა ხერხი, რომელსაც რუსეთის «სახელმწიფო მეურნეობა» ეწოდება. სათათბიროს ტრიბუნიდან ამის განმარტება იმას ნიშნავს, რომ დავეხმაროთ ხალხს ბრძოლაში «სახალხო

Вторникъ, 27-го марта.
№ 2.
Полугодовая цѣна:

# НАШЕ ЭХО

Цѣна 3 копѣйки.
ежедневная политическая и литературная газета.
Контора и редакція помѣщаются Невскій 102, кв. 27.

Открыта подписка
на ежедневную политическую и литературную газету
„НАШЕ ЭХО“.
Подписная цѣна

Центральный книжный складъ и магазинъ
„Впередъ“

Дуэль и гражданинъ Бенкендорфъ

Отклики

თავისუფლებისათვის», რომელზედაც ესოდენ ბევრს ლაპარაკობენ რუსეთის ლიბერალიზმის ბალალაიკინები. როგორიც უნდა იყოს სათათბიროს შემდგომი ბედი და როგორიც უნდა იყოს მთავრობის უახლოესი ნაბიჯები და «განზრახვები», — ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ხალხის მასების შეგნებულობა და ორგანიზებულობა გადაწყვეტს საბოლოო ანგარიშით თავისუფლებისათვის ბრძოლის შედეგს. ვისაც ეს არ ესმის, ის ამაოდ დაიჩემებს დემოკრატის სახელს.

მეორე, ბიუჯეტის ულმობელ აშკარა კრიტიკას და მის გამო თანამიმდევრულ-დემოკრატიულ კენჭისყრას მნიშვნელობა აქვს ევროპისათვის და ევროპის კაპიტალისათვის, ევროპის იმ საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენებისთვისაც კი, რომელიც სესხად აძლევს ფულს რუსეთის ბ-ნ სტოლიპინების მთავრობას. ბანკირებიც და საერთაშორისო კაპიტალის სხვა ბობოლებიც ბ-ნ სტოლიპინებსა და კომპანიას ფულს სესხად აძლევენ ისეთივე მოგების მისაღებად, როგორისთვისაც «რისკს ეწევა» ყოველი სხვა მევახშე. სესხად გაცემული ფულის დაბრუნებისა და პროცენტების წესიერად მიღების რწმენა რომ არ არსებობდეს, — ვერავითარი სიყვარული «წესრიგისადმი» («რუსეთი» კი სამარისებური წესრიგის სასურველი ნიმუშია პროლეტარიატით დამფრთხალი ევროპის ბურჟუაზიისათვის) ვერ აიძულებდა ყველა ამ როტშილდებს, მენდელსონებსა და სხვებს ხელი გაეკრათ ჯიბეზე. სათათბიროზე ძალიან დიდად არის დამოკიდებული, გაძლიერდება თუ შესუსტდება ევროპის ფულადი კაპიტალის მაგნატების რწმენა «სტოლიპინისა და კომპანიის» ფირმის სიმტკიცისა და გადახდისუნარიანობისადმი. და ბანკირებიც ვერ გაბედავდნენ მილიარდობით სესხის გაცემას, ევროპის ფართო ბურჟუაზიული მასა რუსეთის მთავრობას რომ არ ენდობოდეს. ამ მასას კი სისტემატურად ატყუებენ მთელი მსოფლიოს სინდისგარეცხილი ბურჟუაზიული გაზეთები, რომლებსაც ქრთამავენ ბანკირებიც და რუსეთის მთავრობაც. ევროპის გავრცელებული გაზეთების მოქრთამვა რუსეთისათვის სესხის მიცემის სა-

სარგებლოდ — «ნორმალური» მოვლენაა. ჟორესსაც კი სთავაზობდნენ 200 000 ფრანკს იმისათვის, რომ ხელი აეღო რუსეთის სესხის საწინააღმდეგო კამპანიაზე: იმდენად აფასებს ჩვენი მთავრობა საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზიის თვით იმ ფენების «საზოგადოებრივ აზრს», რომელთაც შეუძლიათ სოციალიზმს თანაუგრძნონ.

ევროპის მთელ ფართო წვრილბურჟუაზიულ მასას ყოვლად უმნიშვნელო შესაძლებლობა აქვს შ ე ა მ ო წ მ ო ს რუსეთის ფინანსების ნამდვილი მდგომარეობა, რუსეთის მთავრობის ნამდვილი გადახდისუნარიანობა, — უფრო სწორედ რომ ვთქვათ, სიმართლის გაგების თითქმის არავითარი საშუალება არა აქვს. სათათბიროს ხმას, რომლის კამათსა და გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ე ბ ს ევროპის მ თ ე ლ ი საზოგადოება დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ შეიტყობს, ამ მხრივ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ვერავინ ვერ გააკეთებდა ისე ბევრს იმისათვის, რომ სტოლიპინებმა და კომპანიამ ევროპის ფინანსური დახმარება არ მიიღონ, რამდენსაც სათათბირო.

აქედან თავისთავად გამომდინარეობს «ოპოზიციური» სათათბიროს მოვალეობა. ეს მოვალეობა მ ხ ო ლ ო დ სოციალ-დემოკრატებმა შეასრულეს. როგორც ნახევრადკადეტური «ტოვარიშჩი» აღიარებს, სწორედ სოციალ-დემოკრატებმა ყველაზე პრინციპულად დააყენეს საკითხი დეპუტატ ალექსინსკის სიტყვაში ბიუჯეტის შესახებ. და, წინააღმდეგ ნახევრადკადეტური «ტოვარიშჩის» აზრისა, სოციალ-დემოკრატები მართებულად მოიქცნენ, როცა შეიტანეს ნათელი, პირდაპირი, მკაფიო დეკლარაცია იმის შესახებ, რომ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს შეუწყნარებელია დაამტკიცონ ისეთი ბიუჯეტი, როგორიც რუსეთის ბიუჯეტია. ოღონდ საჭირო იყო დეკლარაციაში დამატებული ყოფილიყო სოციალისტური თვალსაზრისის გამოთქმა კლასობრივი ბურჟუაზიული სახელმწიფოს ბიუჯეტზე.

სოციალ-დემოკრატებს მიემხრნენ მხოლოდ უკიდურესი მემარცხენე ნაროდნიკები, ე. ი. სოციალისტ-რევოლუციონე-

რები. გლეხთა დემოკრატიის მასა, ტრუდოვიკები და სახალხო სოციალისტები მერყეობენ, როგორც ყოველთვის, ლიბერალურ პარტიასა და პროლეტარიატს შორის: წვრილი მეპატრონე ბურჟუაზიისაკენ მიიწევს, თუმცა ბატონყმურ-ფისკალური «დაწოლის» აუტანელი ტვირთი ძალით უბიძგებს მას მებრძოლი მუშათა კლასისაკენ.

ლიბერალები, ვიდრე მათ ტრუდოვიკები მიჰყვებიან, განაგრძობენ სათათბიროს ხელმძღვანელობას. სოციალისტების მითითებებს კადეტთა მოღალატურ როლზე ბიუჯეტის საკითხში ისინი უპასუხებენ ...უხეირო ხუმრობით ან ნოვოევრემიასებური, მენშიკოვისებური ფრაზებით მსგავსად სტრუვეს წამოძახილისა სოციალ-დემოკრატების ეფექტიანი ჟესტის შესახებ და სხვ.

მაგრამ ვერც ხუმრობით, ვერც მელაკუდობით, ვერც ფრაზებით ისინი თავს ვერ დააღწევენ იმას, რომ დ ე მ ო კ რ ა ტ თ ა ო რ ი ვ ე ამოცანა, რომელნიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, ბურჟუაზიულმა ლიბერალიზმმა ტალახში ამოსვარა.

ლიბერალების მიერ რევოლუციის ღალატის მაჩვენებელია, როგორც ჩვენ არაერთხელ გაგვირკვევია, პირადი გარიგება, პირადი გამცემლობა კი არა, არამედ რეაქციასთან ანგარებითი შერიგება, მისთვის პირდაპირი და არაპირდაპირი მხარის დაჭერის კლასობრივი პოლიტიკა. სწორედ ამ პოლიტიკას ადგანან კადეტები ბიუჯეტის საკითხში. ხალხისთვის სიმართლის განმარტების მაგივრად ისინი ხალხის ყურადღებას ა ძ ი ნ ე ბ ე ნ, რისთვისაც განზრახ გამოჰყავთ წინ კუტლერის მსგავსი კანცელარიული ფუტლარის ადამიანები. ევროპისთვის სიმართლის განმარტების მაგივრად ისინი მთავრობის პოზიციას განამტკიცებენ, როცა თავიანთ კრიტიკას წვრილმანებზე ახურდავებენ და ამით უარს ამბობენ ევროპის წინაშე დაადასტურონ სტოლიპინისა და კომპანიის ფირმის გაკოტრება.

ფარულად კადეტები წინათაც ამ ლაჩრულ, მეშჩანურ უბადრუკ პოლიტიკას ადგნენ. მეორე სათათბიროს საარჩევნო კამპანიის დროს პეტერბურგში სოციალ-დემოკრატებმა სა-

ხალხო კრებებზე გამოარკვიეს, რომ კადეტები დაეხმარნენ მთავრობას 1906 წლის გაზაფხულზე მიეღო ორი მილიარდი ფრანკის სესხი დახვრეტისა, სამხედრო-საველე სასამართლოებისა და დამსჯელი ექსპედიციებისათვის. კლემანსომ კადეტებს განუცხადა, რომ კამპანიას გააჩაღებდა სესხის წინააღმდეგ, თუ კადეტური პარტია ფორმალურად აზრს გამოთქვამდა რუსი ხალხისათვის ამ სესხის მიუღებლობის სასარგებლოდ. კადეტებმა ამის გაკეთებაზე უარი თქვეს და ამით დაეხმარნენ მთავრობას კონტრრევოლუციისათვის ფულის შოვნაში. ამ ოინს ისინი მალავენ. მაგრამ ახლა სათათბიროში აშკარა ხდება ის, რაც დაფარული იყო. იმავე მეტისმეტ საზიზღარ ოინს ისინი აშკარად სჩადიან სათათბიროში.

დროა, ეს ოინი მისი ყველა დეტალით სათათბიროს ტრიბუნიდანვე ვამხილოთ და ხალხს მთელი სიმართლე ვუთხრათ.

«ნაშე ეხო» № 2,
1907 წ. 27 მარტი

იბეჭდება გაზეთ «ნაშე ეხოს» ტექსტის მიხედვით

## გუგული აქებს მამალსა...

კადეტები აქებენ ნოვოევრემიაელებს. ნოვოევრემიაელები — კადეტებს. «სახალხო თავისუფლების» პარტია კმაყოფილია ბ-ნ მინისტრის საბოლოო სიტყვით ბიუჯეტის შესახებ. ყველა მინისტრის ყოველთვის კმაყოფილთა პარტია კმაყოფილია კადეტების, როგორც სათათბიროს «ცენტრის» მეთაურების, თანხმობით — დაამტკიცონ სათათბიროს დათხოვნის სამინისტროს ბიუჯეტი.

«საჭირო რომ ყოფილიყო იმის დამტკიცება, — ამაყად იწყებს «რეჩის» (28 მარტის) მოწინავე, — რომ საერთო კამათი ბიუჯეტის შესახებ სახელმწიფო სათათბიროში უნაყოფოდ არ მიმდინარეობდა, მაშინ ბ-ნ ფინანსთა მინისტრის საბოლოო სიტყვა ამის ყველაზე ბრწყინვალე დამამტკიცებელი საბუთი იქნებოდა».

რა არის ეს ბრწყინვალე დამამტკიცებელი საბუთი?

ის, რომ ბ-ნ მინისტრის სიტყვაში წინანდელი «გოროზი — დამრიგებლური და გაჯავრებული — ირონიული ტონის» «ნატამალიც კი არ დარჩენილა»... ბ-ნ მინისტრის პასუხი ფორმით თავაზიანი იყო, შინაარსით — მან გამოიჩინა «სათათბიროს კრიტიკის ძალის სათანადო პატივისცემა», ბ-ნი მინისტრი სათათბიროს ანუგეშებდა, სათათბიროს მეტი უფლებები აქვს, ვიდრე ჰგონიაო; — სახალხო თავისუფლების პარტიას ეუბნებოდა ქათინაურებს, «რაც, სხვათა შორის, შემდგომი კენჭისყრით დაიმსახურა სათათბიროს უდიდესმა უმრავლესობამ» (რომელიც დასთანხმდა ბიუჯეტის გადაცემას კომისიაში).

დიახ, დიახ, ასეთია კადეტური ბრწყინვალე საბუთები, რომლებიც ადასტურებენ, რომ სათათბიროს მუშაობა «უ ნ ა-ყ ო ფ ო  ა რ  ა რ ი ს». ამ მუშაობის ნაყოფი ის კი არ არის, რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობის გაუმჯობესების სერიოზული განზრახვის ნატამალი მაინც ჩანდეს. და არც ის, რომ ხალხის მასებმა ზოგი რამ ისწავლეს და კონსტიტუციური ზიზილ-პიპილებით დაფარულ ზოგიერთ ამოცანაში გაერკვნენ. სრულიადაც არა. ნაყოფი ის არის, რომ მინისტრი უფრო ზრდილობიანი, უფრო თავაზიანი გახდა, — თავაზიანი იმათ მიმართ, ვინც თანახმაა «სახალხო წარმომადგენლობის» სახელით ყოველგვარ კომპრომისს დასთანხმდეს.

ლიბერალები ეთანხმებიან სახალხო წარმომადგენლობის შერყვნას შავრაზმული ბატონობის საფუძველთა განსამტკიცებლად. სტოლიპინისა და კომპანიის მთავრობა თანახმაა ა მ პირობით არ დაითხოვოს (ჯერჯერობით...) სათათბირო. ორივე მხარე აღსავსეა სიხარულითა და ურთიერთისადმი გულაჩვილებით.

დღევანდელი «ნოვოე ვრემია», რომელიც შემთხვევას არ უშვებს და კადეტებს აგინებს სარწმუნოების კომისიის «ებრაული» შემადგენლობის გამო, იმავე დროს ბეჭდავს სათათბიროს რეპორტიორის გრძელ-გრძელ მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ რატომ არ არის ხელსაყრელი სათათბიროს გარეკვა. «ძალიან მემარჯვენე ელემენტების თვალსაზრისითაც კი, სათათბიროს დათხოვნა ამჟამად მეტად არასასურველი და საზიანოა». საარჩევნო კანონის შეცვლა ისე, თუ სახელმწიფო გადატრიალება არ მოხდება, არ შეიძლება, ხოლო თუ ახალ სათათბიროს აირჩევენ ახლანდელი საარჩევნო კანონის მიხედვით, მაშინ შეიძლება «დავკარგოთ მეორე სახელმწიფო სათათბიროს ახლანდელი ცენტრიო». ეს ცენტრი, ნოვოევრემიაელის სიტყვით რომ ვთქვათ, «ოქტიაბრისტებით იწყება და შემდეგ მშვიდობიანი განახლების მომხრეთა, უპარტიოთა, პოლონელთა და კადეტთა მეშვეობით მიდის თვით ტრუდოვიკებამდე». «ახლანდელი ცენტრი, უეჭველია, ზუსტ კონსტიტუციურ-მონარ-

ქისტულ თვალსაზრისზე დგას და დღემდე ყოველნაირად ისწრაფოდა ორგანული მუშაობისაკენ. ამ ცენტრს ჩვენ ყოველ შემთხვევაში დავკარგავთ (მეორე სათათბიროს გარეკვისას). მაშასადამე, ჩვენ დავკარგავთ სათათბიროს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს, რადგან სავსებით უეჭველად მიმაჩნია, რომ სამინისტროს მიერ შეტანილ ბიუჯეტს — ზოგიერთი სრულიად უმნიშვნელო (ისმინეთ!) ცვლილებით — მეორე სათათბირო მიიღებს».

ასე წერს «ნოვოე ვრემია». მისი მსჯელობა მეტად ნათელია. ჩინებულად არის გადმოცემული თვალსაზრისი ფრიად მემარჯვენე ელემენტებისა, რომელთაც ამავე დროს სურთ ამჟამად დასტოვონ სათათბირო.

მმართველი დიდკაცობის უმაღლეს სფეროებში ორი მიმდინარეობა იბრძვის: გარეკონ სათათბირო თუ ჯერჯერობით დასტოვონ. პირველი პოლიტიკა «ნოვოე ვრემიამ» უკვე დიდი ხანია განავითარა, განმარტა, დაიცვა და შემთხვევიდან შემთხვევამდე — უფრო სწორედ: ყოველი შემთხვევისათვის! — კვლავ იცავს ამჟამად. მაგრამ არსებობს მმართველი დიდკაცობის მეორე პოლიტიკაც. გარეკვას მოვასწრებთ. ხოლო სათათბიროს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შემწეობით, სესხს, უთუოდ, უფრო ადვილად მივიღებთო. მაშასადამე, უფრო ხელსაყრელია დავიცვათო. გარეკვის მუქარა რჩება, და ამ მუქარით კადეტებს «ჩვენ» განუწყვეტლივ ვაშინებთ, ვაიძულებთ მათ ყველასთვის თვალნათლივ მარჯვნივ გადიხარონო.

უეჭველია, მეორე პოლიტიკა უფრო მარჯვე და უკეთესია, რეაქციულ მემამულეთა ინტერესების თვალსაზრისით. პირველი პოლიტიკა — უხეში, ტლანქი, აჩქარებულია. მეორე — უფრო მოფიქრებულია, რადგან გარეკვა «შემონახულია სათადარიგოდ», ამავე დროს კი მთავრობა ლიბერალებს იყენებს. სათათბიროს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი — ეს თითქმის უდრის თამასუქის ხელახლა დაწერის

დიახ, დიახ, ასეთია კადეტური ბრწყინვალე საბუთები, რომლებიც ადასტურებენ, რომ სათათბიროს მუშაობა «უ ნ ა-ყ ო ფ ო ა რ ა რ ი ს». ამ მუშაობის ნაყოფი ის კი არ არის, რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობის გაუმჯობესების სერიოზული განზრახვის ნატამალი მაინც ჩანდეს. და არც ის, რომ ხალხის მასებმა ზოგი რამ ისწავლეს და კონსტიტუციური ზიზილ-პიპილებით დაფარულ ზოგიერთ ამოცანაში გაერკვნენ. სრულიადაც არა. ნაყოფი ის არის, რომ მინისტრი უფრო ზრდილობიანი, უფრო თავაზიანი გახდა, — თავაზიანი იმათ მიმართ, ვინც თანახმაა «სახალხო წარმომადგენლობის» სახელით ყოველგვარ კომპრომისს დასთანხმდეს.

ლიბერალები ეთანხმებიან სახალხო წარმომადგენლობის შერყვნას შავრაზმული ბატონობის საფუძველთა განსამტკიცებლად. სტოლიპინისა და კომპანიის მთავრობა თანახმაა ა მ პირობით არ დაითხოვოს (ჯერჯერობით...) სათათბირო. ორივე მხარე აღსავსეა სიხარულითა და ურთიერთისადმი გულაჩვილებით.

დღევანდელი «ნოვოე ვრემია», რომელიც შემთხვევას არ უშვებს და კადეტებს აგინებს სარწმუნოების კომისიის «ებრაული» შემადგენლობის გამო, იმავე დროს ბეჭდავს სათათბიროს რეპორტიორის გრძელ-გრძელ მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ რატომ არ არის ხელსაყრელი სათათბიროს გარეკვა. «ძალიან მემარჯვენე ელემენტების თვალსაზრისითაც კი, სათათბიროს დათხოვნა ამჟამად მეტად არასასურველი და საზიანოა». საარჩევნო კანონის შეცვლა ისე, თუ სახელმწიფო გადატრიალება არ მოხდება, არ შეიძლება, ხოლო თუ ახალ სათათბიროს აირჩევენ ახლანდელი საარჩევნო კანონის მიხედვით, მაშინ შეიძლება «დავკარგოთ მეორე სახელმწიფო სათათბიროს ახლანდელი ცენტრიო». ეს ცენტრი, ნოვოევრემიაელის სიტყვით რომ ვთქვათ, «ოქტიაბრისტებით იწყება და შემდეგ მშვიდობიანი განახლების მომხრეთა, უპარტიოთა, პოლონელთა და კადეტთა მეშვეობით მიდის თვით ტრუდოვიკებამდე». «ახლანდელი ცენტრი, უეჭველია, ზუსტ კონსტიტუციურ-მონარ-

ქისტულ თვალსაზრისზე დგას და დღემდე ყოველნაირად ისწრაფოდა ორგანული მუშაობისაკენ. ამ ცენტრს ჩვენ ყოველ შემთხვევაში დავკარგავთ (მეორე სათათბიროს გარეკვისას). მაშასადამე, ჩვენ დავკარგავთ სათათბიროს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს, რადგან სავსებით უეჭველად მიმაჩნია, რომ სამინისტროს მიერ შეტანილ ბიუჯეტს — ზოგიერთი სრულიად უმნიშვნელო (ისმინეთ!) ცვლილებით — მეორე სათათბირო მიიღებს».

ასე წერს «ნოვოე ვრემია». მისი მსჯელობა მეტად ნათელია. ჩინებულად არის გადმოცემული თვალსაზრისი ფრიად მემარჯვენე ელემენტებისა, რომელთაც ამავე დროს სურთ ამჟამად დასტოვონ სათათბირო.

მმართველი დიდკაცობის უმაღლეს სფეროებში ორი მიმდინარეობა იბრძვის: გარეკონ სათათბირო თუ ჯერჯერობით დასტოვონ. პირველი პოლიტიკა «ნოვოე ვრემიამ» უკვე დიდი ხანია განავითარა, განმარტა, დაიცვა და შემთხვევიდან შემთხვევამდე — უფრო სწორედ: ყოველი შემთხვევისათვის! — კვლავ იცავს ამჟამად. მაგრამ არსებობს მმართველი დიდკაცობის მეორე პოლიტიკაც. გარეკვას მოვასწრებთ. ხოლო სათათბიროს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შემწეობით, სესხს, უთუოდ, უფრო ადვილად მივიღებთო. მაშასადამე, უფრო ხელსაყრელია დავიცვათო. გარეკვის მუქარა რჩება, და ამ მუქარით კადეტებს «ჩვენ» განუწყვეტლივ ვაშინებთ, ვაიძულებთ მათ ყველასთვის თვალნათლივ მარჯვნივ გადიხარონო.

უეჭველია, მეორე პოლიტიკა უფრო მარჯვე და უკეთესია, რეაქციულ მემამულეთა ინტერესების თვალსაზრისით. პირველი პოლიტიკა — უხეში, ტლანქი, აჩქარებულია. მეორე — უფრო მოფიქრებულია, რადგან გარეკვა «შემონახულია სათადარიგოდ», ამავე დროს კი მთავრობა ლიბერალებს იყენებს. სათათბიროს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი — ეს თითქმის უდრის თამასუქის ხელახლა დაწერის

თანხმობას, რასაც გაკოტრებულს აძლევენ ხოლმე. უფრო ხელსაყრელია ახალი ვადით ხელახლა დაწერილი თამასუქიც მიიღო და შემდეგ სათათბიროც გარეკო, ვიდრე ერთბაშად გარეკო ისე, რომ თამასუქის ვადის გადადებას არ შეეცადო.

ხოლო დამტკიცებულ ბიუჯეტს გარდა, ხომ შეიძლება სხვა ამგვარი თამასუქებიც იყოს. მაგალითად, კადეტებმა უკვე გააუმჯობესეს თავიანთი აგრარული პროექტი მემამულეთა თვალსაზრისით. დაე, გატარდეს ეს პროექტი სათათბიროში, დაე, ის მერე განსახილველად და შემდგომ გასაუმჯობესებლად გადაეცეს სახელმწიფო საბჭოს. თუ «ჩვენ» სათათბიროს ასეთ მომენტში გავრეკავთ, ერთი კი არა, ორი ხელახლა დაწერილი თამასუქი გვექნება. «ჩვენ» შესაძლებლობა გვექნება ევროპისაგან მივიღოთ არა ერთი, არამედ, იქნებ, ორი მილიარდი. ერთი მილიარდი — სათათბიროს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის გამო, ე. ი. «ზუსტი კონსტიტუციური შემოწმების ბრძმედში გატარებული სახელმწიფო მეურნეობის» საფუძველზე. მეორე მილიარდი — იმ «დიდი აგრარული რეფორმის» გამო, რომელიც «სახალხო წარმომადგენლობის ჭეშმარიტი კონსტიტუციური შემოქმედებითი მუშაობის ბრძმედში ტარდება».

სახელმწიფო საბჭო ოდნავ შეასწორებს კადეტურ აგრარულ პროექტს. ეს პროექტი ახლაც სავსეა ყოვლად ბუნდოვანი ფრაზებით, რომლებიც არაფერს არ განსაზღვრავენ. ნამდვილად ყველაფერი დამოკიდებულია ადგილობრივი მიწათმომწყობი კომიტეტების შემადგენლობაზე. კადეტები წინააღმდეგი არიან ამ კომიტეტების არჩევისა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით. კადეტები მომხრე არიან მემამულეთა და გლეხთა თანაბარი წარმომადგენლობისა მთავრობის მხრივ კონტროლის პირობით. ჩინებული ლიბერალური პროექტის ამ ძირითადი იდეის მიღებით მთავრობა და მემამულეები არავითარ რისკს არ ეწევიან, რადგან ამგვარი კომიტეტები,

სახელმწიფო სათათბიროს, სტოლიპინისა და კომპანიის კეთილ-მოწყალე დახმარებით, მემამულეთა მიწის «იძულებით განსხვისებას» უსათუოდ და აუცილებლად გადააქცევენ გლეხის იძულებით დამონებად მისთვის გამოყოფილი ქვიშიანი, ჭაობიანი და ძირკვებიანი მიწის ახალი, გამაჩანაგებელი გამოყიდვით.

ასეთია მთავრობის პოლიტიკისა და კადეტების პოლიტიკის ნამდვილი მნიშვნელობა. ლიბერალები თავიანთი მოღალატეობით ეხმარებიან მემამულეებს საქმის მოხერხებულად მოჭახრაკებაში. თუ გლეხები — «ტრუდოვიკები» — კვლავ ლიბერალებს გაჰყვებიან და სოციალ-დემოკრატიის გაფრთხილებას ყურად არ იღებენ, მაშინ მემამულე აუცილებლად გააბრიყვებს გლეხს ლიბერალური ადვოკატის დახმარებით.

დაწერილია 1907 წ.
28 მარტს (10 აპრილს)
დაიბეჭდა 1907 წ. 29 მარტს
გაზეთ «ნაშე ეხო'მი», № 4

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

# ინტელიგენტი მეოცრეები ინტელიგენციის ბატონობის წინააღმდეგ

«ნაროდნაია დუმას»[80] მე-13 ნომერში დაბეჭდილია გრძელზე-გრძელი რეზოლუცია მუშათა მასობრივი ორგანიზაციებისა და მუშათა ყრილობის შესახებ. რეზოლუცია მომავალი ყრილობისათვის პროექტის სახით შეუდგენია ლიტერატორთა და პრაქტიკოს მენშევიკთა ჯგუფს. ლიტერატორთა გვარები, მენშევიკების სხვა რეზოლუციებისაგან (სახელმწიფო სათათბიროს და «ტაქტიკური პლატფორმის» შესახებ) განსხვავებით, დასახელებული არ არის. გაურკვეველი რჩება, შემთხვევითია ეს ხარვეზი, თუ ის მოასწავებს მენშევიკების სხვაგვარ დაჯგუფებას ამ საკითხში. გავიხსენოთ, რომ ისეთმა თავგამოდებულმა მენშევიკებმა და მუშათა ყრილობის მომხრემ, როგორიც არის ელი, განაცხადა: «მენშევიკების მხოლოდ ერთი ნაწილი ეკიდება ცოტად თუ ბევრად თანაგრძნობით მუშათა ყრილობასაო» (კრებული «სრულიად რუსეთის მუშათა ყრილობის შესახებ. რსდმპ მორიგი ყრილობისათვის», გვ. 82).

მაგრამ გადავიდეთ რეზოლუციის შინაარსზე. რეზოლუცია ორ ნაწილად იყოფა: ა და ბ. პირველი ნაწილი დასაბუთებაში იძლევა უამრავ ზოგად აზრს მუშათა მასების ორგანიზაციისა და გაერთიანების სარგებლობის შესახებ. «მეტი დარბაისლობის» გულისათვის, როგორც ამბობდა ბაზაროვი[81], ორგანიზაცია თ ვ ი თ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა დ ა ც კი იქცევა. მართალია, ეს

სიტყვა ნამდვილად არაფერს არ გამოხატავს, არავითარ გარკვეულ აზრს არ შეიცავს, — მაგრამ სამაგიეროდ ის აჩემებული აქვთ მუშათა ყრილობის მომხრეებს! ცხადია, რომ ეს «თვითორგანიზაცია» მხოლოდ ინტელიგენტური მიკიბ-მოკიბვაა, რომელიც ნამდვილი ორგანიზაციული იდეების სიღარიბეს ჰფარავს, — მუშას არასოდეს აზრად არ მოუვიდოდა «თვითორგანიზაციის» გამოგონება...

მოტივებში გაკრიტიკებულია სოციალ-დემოკრატია იმ «გაბატონებული და განმსაზღვრელი როლისათვის, რომელსაც მასში ასრულებს ინტელიგენცია მის პროლეტარულ ელემენტებთან შედარებით». საინტერესო კრიტიკაა. ჩვენ ჯერჯერობით არ შევჩერდებით მისი ნამდვილი საზოგადოებრივ-ისტორიული მნიშვნელობის ანალიზზე, — რადგან ეს ამ თემიდან შორს გადაგვახვევინებდა. ჩვენ მხოლოდ შევეკითხებით მათ: ამხანაგო «ლიტერატორებო და პრაქტიკოსო მენშევიკებო», რატომ თქვენი თავით არ იწყებთ? რატომ ექიმი თავის თავს არ მკურნალობს? თქვენი რეზოლუციის ყოველ ფრაზაში ხომ გამოსჭვივის ის, რასაც თქვენ «ინტელიგენციის გაბატონებულ და განმსაზღვრელ როლს» უწოდებთ! რატომ ა რ უ ნ დ ა დ ა ი წ ყ ო ს თ ქ ვ ე ნ მ ა «ინტელიგენციამ» იმით, რომ განზე გადგეს და რეზოლუციების შემუშავება «პროლეტარულ ელემენტებს» მიანდოს?? სად არის იმის გარანტია, რომ იგივე მოვლენა არ განმეორდება იმ «თვითორგანიზაციებში», რომელთა პროექტსაც ადგენთ თქვენ, «ლ ი ტ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი და უმცირესობის პრაქტიკოსები»??

ლარინი, ელი და მუშათა ყრილობის მრავალი სხვა მომხრე «ანადგურებენ» სოციალ-დემოკრატიას რეზოლუციების გ ა ჩ ა ნ ჩ ა ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. და ასეთი კრიტიკის გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს ლ ი ტ ე რ ა ტ ო რ ე ბ ი «აჩანჩალებენ» ახალ-ახალ ყოვლად მოსაბეზრებელ და მეტისმეტად გრძელ პერიოდებს «თვითორგანიზაციის» შესახებ... კარგი სანახაობა კია!

რეზოლუცია ამავე დროს აღნიშნავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ე. ი. რსდმ პარტიის? თუ აქ გ ა ნ ზ-

რა ხ არის ამორჩეული უფრო ფართო სიტყვა იმისათვის, რომ შეყვანილ იქნან აგრეთვე ბ-ნები პროკოპოვიჩი, კუსკოვა, პოსე და სხვანი?) «იდეურ და პოლიტიკურ გავლენას» პროლეტარიატის მოწინავე ფენებზე და ამბობს, რომ სასურველია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის «ძალთა შეერთება» «პროლეტარიატის პოლიტიკურად შეგნებულ ელემენტებთან» (ა, მუხლი მე-6).

სცადეთ, ამხანაგებო, ერთხელ მაინც ჩაუფიქრდით იმ სიტყვებს, რომლებითაც თქვენს ფრაზებს ბლანდავთ! შეიძლება თუ არა «პოლიტიკურად შეგნებული» პროლეტარიატი სოციალ-დემოკრატი არ იყოს? თუ არ შეიძლება, მაშინ თქვენი ფრაზები ცარიელი ტავტოლოგია, გაბერილი და პრეტენციოზული ქარაფშუტობაა. მაშინ უნდა ვილაპარაკოთ რსდმ პარტიის გაფართოებაზე იმ ნამდვილი სოციალ-დემოკრატების შესაყვანად, რომლებიც მასში დღემდე არ შედიოდნენ.

თუ კი შეიძლება, მაშინ თქვენ შეგნებულ პროლეტარად აცხადებთ ესერ პროლეტარსაც. სასაცილოა იმის თქმა, რომ მას «პოლიტიკური შეგნება» არა აქვს! და გამოდის, რომ, კლასობრივი პარტიის «თვითორგანიზაციისა» და «დამოუკიდებლობის» შესახებ მყვირალა ფრაზების საფარით, თქვენ ნამდვილად ქადაგებთ პროლეტარიატის დეზორგანიზაციას არაპროლეტარული იდეოლოგების მიზიდვის გზით, ნამდვილი დამოუკიდებლობის (ს.-დ.) აღრევის გზით არადამოუკიდებლობასთან, ბურჟუაზიულ იდეოლოგიასა და ბურჟუაზიულ პოლიტიკაზე (ს.-რ.) დამოკიდებულებასთან.

ერთ ოთახში აპირებდა შესვლას — მეორეში კი მოხვდაო...

სავსებით ისევე, როგორც 1895 — 1901 წლების ძველი ინტელიგენტი «ეკონომისტები», რომლებიც მუშებს თავს ახვევდნენ თავიანთ შეზღუდულობას, თავიანთ უმტკიცობას, სულმოკლეობას, თავიანთ უგზოუკვლო ხეტიალს «თვითორ-

ზანიზაციის», «წმინდა მუშური» მოძრაობისა და სხვათა ბაირაღით!

დასკვნა ა ნაწილიდან: «ყრილობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს მორიგ საქმედ თვლის მუშათა მასების მოწინავე ელემენტებთან ერთად ხელიხელჩაკიდებით მუშაობას (მაშასადამე, ა გ რ ე თ ვ ე ე ს ე რ-მ უ შ ე ბ თ ა ნ ხელიხელჩაკიდებითაც და არა მათ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ?) ამ უკანასკნელთა შესამჭიდროებლად დამოუკიდებელ ორგანიზაციებად, რა პოლიტიკურად ზომიერი ხასიათიც არ უნდა ჰქონდეთ ზოგჯერ ან ჰქონდათ მათ ადგილისა და დროის გარემოებათა გამო».

რა არის აქ გარკვეული, კონკრეტული, ისეთი, რაც ინტელიგენტური ა მ ო ო ხ ვ რ ი ს ფარგლებს სცილდება? რაზეა ლაპარაკი? კაცმა არ იცის.

ავიღოთ სამომხმარებლო საზოგადოებანი. ეს, უეჭველია, მუშათა შ ე მ ჭ ი დ რ ო ე ბ ა ა. მათი ხასიათი საკმაოდ ზ ო მ ი ე რ ი ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ. არის თუ არა ეს «დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი» ორგანიზაციები?? ეს დამოკიდებულია თვალსაზრისზე. სოციალ-დემოკრატებისათვის ნამდვილად დამოუკიდებელი არიან მხოლოდ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი სულისკვეთებით გამსჭვალული მუშათა საზოგადოებანი, და არა მარტო «სულისკვეთებით» გამსჭვალული, არამედ სოციალ-დემოკრატიასთან ტაქტიკურად, პოლიტიკურად დაკავშირებულნიც — სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შესვლისა თუ ამ პარტიისადმი მიმხრობის გზით.

სინდიკალისტებისათვის, «ბეზზაგლავიელებისათვის» [82], პოსეს [83] მომხრეებისათვის, ესერებისათვის, «უპარტიო (ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი) პროგრესისტებისათვის», პირიქით, დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი არიან მხოლოდ ის მუშათა საზოგადოებანი, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ა რ შ ე დ ი ა ნ და მას ა რ ე მ ხ რ ო ბ ი ა ნ, რომლებიც თავიანთი ფაქტიური პოლიტიკით, თავიანთი ტაქტიკით დაკავშირებული არ

არიან სწორედ სოციალ-დემოკრატიასთან და მხოლოდ სოციალ-დემოკრატიასთან.

ორი თვალსაზრისის ეს განსხვავება ჩვენი გამოგონილი არ არის. ყველა აღიარებს, რომ მართლაც არსებობს სწორედ ამგვარი ორი თვალსაზრისი, რომლებიც ერთიმეორეს გამორიცხავენ და ყველგან და ყოველთვის, ამა თუ იმ საბაბით მუშათა ყოველგვარი «შემჭიდროების» დროს ერთმანეთს ებრძვიან. ეს — ორი შეურიგებელი თვალსაზრისია, რადგან სოციალ-დემოკრატიისათვის «უპარტიორობა» (ტაქტიკაში და პოლიტიკაში საზოგადოდ) არის მხოლოდ ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი, ბურჟუაზიული პოლიტიკისადმი მუშათა დამორჩილების შენიღბული და ამიტომ განსაკუთრებით მავნე ფორმა.

შედეგი: არსებითად რეზოლუციამ ვერაფერი თქვა თავის დასკვნაში. უკეთეს შემთხვევაში, მისი დასკვნა ლიტონი ფრაზაა. უარეს შემთხვევაში — მავნე ფრაზაა, რომელიც პროლეტარიატს თავგზას უბნევს, სოციალ-დემოკრატიის საანბანო ჭეშმარიტებებს აბუნდოვნებს, ფართოდ უღებს კარს ყოველგვარ დეკლასირებულ ბურჟუებს, რომლებიც ევროპის ყველა ქვეყანაში ხანგრძლივი დროის მანძილზე დიდ ზიანს აყენებდნენ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობას.

როგორ უნდა შესწორდეს რეზოლუცია?

ფრაზები უნდა ამოვარდეს. უნდა ითქვას მარტივად: სოციალ-დემოკრატებმა ხელი უნდა შეუწყონ მუშათა სხვადასხვა საზოგადოების, მაგალითად, სამომხმარებლო საზოგადოებათა მოწყობას, ამასთან განუხრელად იზრუნონ იმისათვის, რომ მუშათა ყოველგვარი საზოგადოებანი სწორედ სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის, აგიტაციის, ორგანიზაციის კერას წარმოადგენდნენ.

ეს მართლაც «პოლიტიკურად ზომიერი», მაგრამ საქმიანი და სოციალ-დემოკრატიული რეზოლუცია იქნებოდა. თქვენ კი, «ინტელიგენციის გაბატონებული და განმსაზღვრელი როლის» წინააღმდეგ მეომარო ბატონო ინტელიგენტებო, — თქვენ გამოგიდით არა პროლეტარული საქმე, არამედ ინტელიგენტური ფრაზა.

---

რეზოლუციის მეორე (ბ) ნაწილის შესახებ — შემდეგ.

«ნაშე ეხო» № 5,
1907 წ. 30 მარტი

იბეჭდება გაზეთ «ნაშე ეხოს» ტექსტის მიხედვით

# გულმოსულთა დაბნეულობა

## (მუშათა ყრილობის საკითხისათვის)

განსახილველი რეზოლუციის * მეორე ნაწილი (ბ) მიძღვნილია მუშათა ყრილობის საკითხისადმი.

ამ საკითხზე მენშევიკებმა უკვე იმდენი წერეს და იმდენი ილაპარაკეს, რომ ცოდვა არ იქნებოდა ისეთი რეზოლუცია გამოსულიყო, რომელიც ნამდვილად აჯამებს შედეგებს, სპობს გაუგებრობასა და უთანხმოებას იდეის განმარტებაში, რეზოლუცია, რომელიც ნათელ და გარკვეულ დირექტივას აძლევს პარტიას. საკმარისია ითქვას, რომ მუშათა ყრილობის შესახებ გამოსული რუსული ლიტერატურის უახლეს სიაში (ზემოთ დასახელებული ბროშურა «სრულიად რუსეთის მუშათა ყრილობის შესახებ») ჩამოთვლილია 15-მდე სახელწოდების ბროშურა და ჟურნალი, რომლებიც ამ საკითხს მენშევიკურად განმარტავდნენ.

ახლა ვნახოთ მთელი ამ «დისკუსიის» ნაყოფი.

მოტივების პირველი მუხლი:

«მასობრივ მუშათა ორგანიზაციებს, რომლებიც მხოლოდ მარტოოდენ პროფესიულ, ადგილობრივ (?) და საერთოდ (?) ჯგუფურ (??) საჭიროებათა და მოთხოვნილებათა ნიადაგზე ჩნდებიან და ყალიბდებიან, თავისთავად, თუ მათზე გავლენას არ მოახდენენ პროლეტარული სოციალ-დემოკრატიული პარტიები ან ორგანიზაციები, უშუალო ტენდენცია აქვთ

---

* პირველი ნაწილის განხილვა იხ. «ნაშე ეხოს» 84 მე-5 ნომერში (იხ. ეს ტომი, გვ. 380 — 385. რ ე დ.).

შეზღუდონ მუშათა მასების გონებრივი და პოლიტიკური ჰორიზონტი პროლეტარიატის ცალკეული ფენების ან ჯგუფების პროფესიული და საზოგადოდ კერძო ინტერესებისა და ყოველდღიურ მოთხოვნილებათა ვიწრო სფეროთი».

რომელი მასობრივი ორგანიზაციები შეიძლება ყალიბდებოდნენ ჯგუფურ საჭიროებათა ნიადაგზე — ეს ალაჰმა უწყის. ჯგუფად ყოველთვის გულისხმობენ რაღაც მცირეს, რომელიც დიამეტრულად საწინააღმდეგოა მასისა. რეზოლუციის ავტორები სიტყვებს სიტყვებზე ახუხულავებენ ისე, რომ კონკრეტულ, გარკვეულ შინაარსზე არ ფიქრობენ.

შემდეგ, რას ნიშნავს ეს: მასობრივი ორგანიზაციები ადგილობრივ საჭიროებათა ნიადაგზე? ორგანიზაციების რომელ ტიპს გულისხმობენ აქ, — კვლავ გაურკვეველი რჩება. თუ ლაპარაკია ისეთ ორგანიზაციებზე, როგორიც არიან სამომხმარებლო საზოგადოებანი, კოოპერატივები და სხვანი, მათი განმასხვავებელი ნიშანი სულაც არ არის მათი ადგილობრივი ხასიათი. მენშევიკების სიყვარული ზოგადი ფრაზებისადმი, საკითხის კონკრეტული გადმოცემისათვის თავის არიდება, — ეს პირწმინდა ინტელიგენტური ნიშანია. იგი თავისი საფუძვლით პროლეტარიატისათვის უცხო და პროლეტარიატის თვალსაზრისით საზიანოა.

სიტყვების ზედმიწევნითი მნიშვნელობით «მასობრივი მუშათა ორგანიზაციები ადგილობრივ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა ნიადაგზე» შეიცავენ მუშათა დეპუტატების საბჭოებს. ეს არის რუსეთში მეტად ცნობილი ტიპი მასობრივი მუშათა ორგანიზაციებისა რევოლუციურ ეპოქაში. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ იშვიათია ისეთი სტატია მუშათა ყრილობისა და საზოგადოდ მასობრივი მუშათა ორგანიზაციების შესახებ, რომელშიც მითითებული არ იყოს ორგანიზაციის ეს ტიპი. რეზოლუცია — გარკვეული აზრებისა და ლოზუნგების ზუსტი და კონკრეტული გადმოცემის მოთხოვნის თითქოს აბუჩად ასაგდებად — **კრინტს ვერ** სძრავს მუშათა დეპუტატების საბჭოებზე,

კრიტს არა სძრავს მუშათა რწმუნებულების საბჭოებზე და სხვ.

ისე გამოდის, რომ ჩვენ წარმოგვიდგინეს რომელიღაცა ადგილობრივი მასობრივი ორგანიზაციების რაღაც მოუთავებელი კრიტიკა, მაგრამ იმნაირად, რომ სრულებით არ შეეხნენ მათი დადებითი მნიშვნელობის, მათი მოღვაწეობის პირობების საკითხს და სხვ.

შემდეგ, რანაირადაც უნდა შეასწოროთ ნაწილ-ნაწილ მოტივების ეს საშინლად მოუხეშავი პირველი მუხლი, მასში რჩება ზოგადი, ძირითადი უსწორობა. «თუ პროლეტარული სოციალ-დემოკრატიული პარტიები ზეგავლენას არ მოახდენენ», მაშინ არა მარტო პროფესიულ, არა მარტო ადგილობრივ, არა მარტო ჯგუფურ, არამედ მასობრივ არა ადგილობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებსაც «ტენდენცია აქვთ შეზღუდონ მუშათა ჰორიზონტი».

მოტივების პირველმა მუხლმა, ავტორების განზრახვით, უნდა განმარტოს გადასვლა «საერთო-რუსეთის მუშათა ყრილობაზე»: რადგან, ადგილობრივი, პროფესიული და სხვა ორგანიზაციები ჰორიზონტს ზღუდავენო, აი საერთო-რუსეთის მუშათა ყრილობაო და სხვა. მაგრამ დიდად პატივცემულ «ლიტერატორებსა და პრაქტიკოსებს» ლოგიკა საბოლოოდ ღალატობს, რადგან სოციალ-დემოკრატიის ზეგავლენა ან ზეგავლენის უქონლობა ორივე შემთხვევაში შესაძლებელია! დაპირისპირების მაგივრად გამოვიდა დომხალი...

მოტივების მეორე მუხლი:

«რუსეთის მუშათა პოლიტიკური გაერთიანებისათვის საფუძვლის ჩაყრის მიზნით საერთო-რუსეთის მუშათა ყრილობის მოწვევის აზრი, რომელსაც მუშათა წრეებში თანაგრძნობით შეხვდნენ, გამაერთიანებელ საწყისს შეიტანს მუშათა მასების ორგანიზაციულ მშენებლობაში და მათ წინაშე პირველ რიგში წამოაყენებს შუშათა კლასის საერთო ინტერესებსა და მის ამოცანებს რუსეთის თანამედროვე რევოლუციაში».

ჯერ-ერთი მართალია თუ არა ის, რომ ამ ყბადაღებულ «აზრს» მუშათა წრეებში თანაგრძნობით შეხვდნენ? იმავე რე-

ზოლუციის მოტივების მე-5 მუხლი იუწყება: «თვით მუშათა მისწრაფება მისი (მუშათა ყრილობის) მოწვევისადმი ჯერ კიდევ არ გამოვლინებულა მათი რაიმე სერიოზული პრაქტიკული ნაბიჯით მის მოსამზადებლადაო».

უცაბედად აქ ნათქვამია სიმართლე. მუშათა ყრილობის შესახებ უკვე არსებობს ინტელიგენტური ნაწერების გროვა, მაგრამ თვით მუშებს არავითარი სერიოზული პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამთ. ინტელიგენტური გამონაგონის მუშებისათვის გადაბრალების ცდა არ ხერხდება.

შემდეგ. რა არის მუშათა ყრილობა? მისი მიზანია «საფუძველი ჩაუყაროს რუსეთის მუშათა პოლიტიკურ გაერთიანებას».

მაშ ასე: ასეთი საფუძველი ჯერ არ ჩაუყრია არც რსდმ პარტიას, ის არ ჩაუყრია არც 1902 წლის როსტოვის დემონსტრაციას, არც 1903 წლის ზაფხულის გაფიცვებს, არც 1905 წლის 9 იანვარს, არც 1905 წლის ოქტომბრის გაფიცვას! დღემდე ისტორია იყო, მაგრამ ახლა ის აღარ არის! «საფუძველი» ჩაყრილ იქნა მხოლოდ იმით, რომ აქსელროდმა და კომპანიამ მუშათა ყრილობა გამოიგონეს... ეს უბადლო რამ არის.

რას ნიშნავს მუშათა «პოლიტიკური» გაერთიანება? თუ ავტორებს სპეციალურად ამ რეზოლუციისათვის ახალი ტერმინოლოგია არ შეუთხზავთ, მაშინ ეს ნიშნავს გაერთიანებას გარკვეული პოლიტიკური პროგრამისა და ტაქტიკის გარშემო. სახელდობრ რომლის გარშემო?? ნუთუ ჩვენმა ინტელიგენტებმა არ იციან, რომ მთელ მსოფლიოში არსებობენ და არსებულან მუშათა პოლიტიკური გაერთიანებანი ბურჟუაზიული პოლიტიკის დროშით? იქნებ ეს წმიდა რუსეთს არ შეეხება? წმიდა რუსეთში მუშათა ყოველგვარი პოლიტიკური გაერთიანება უკვე სოციალ-დემოკრატიულ გაერთიანებას წარმოადგენს?

რეზოლუციის საბრალო ავტორები ასე უმწეოდ იმიტომ გაიხლართნენ, რომ ვერ გაბედეს აშკარად გამოეხა-

ტათ აზრი, რომელიც ნამდვილად უდევს საფუძვლად მუშათა ყრილობას და რომელიც უკვე დიდი ხანია გამოთქვეს მისმა უფრო გულახდილმა ან უფრო ახალგაზრდა და თავგამოდებულმა მომხრეებმა. ეს აზრი ის არის, რომ მუშათა ყრილობა უნდა იყოს მუშათა უპარტიო ყრილობა. მართლაცდა, განა ღირდა სერიოზულად ლაპარაკი მუშათა პარტიული ყრილობის შესახებ??

მაგრამ ჩვენს მენშევიკებს შეეშინდათ პირდაპირ და აშკარად ეთქვათ სიმართლე: «მუშათა უპარტიო პოლიტიკური გაერთიანება»...

მუხლის დასასრული: ყრილობის მოწვევის აზრი «გამაერთიანებელ საწყისს შეიტანს მუშათა მასების ორგანიზაციულ მშენებლობაში, მათ წინაშე პირველ რიგში წამოაყენებს მუშათა კლასის საერთო ინტერესებსა და მის ამოცანებსაო»... ჯერ ორგანიზაციული მშენებლობა, შემდეგ კი ამოცანები, ე. ი. პროგრამა და ტაქტიკა! პირიქით ხომ არ უნდა ვმსჯელობდეთ, ამხანაგო «ლიტერატორებო და პრაქტიკოსებო»? აბა დაუფიქრდით: შეიძლება თუ არა ორგანიზაციული მშენებლობის გაერთიანება, თუ გაერთიანებული არ არის კლასის ინტერესებისა და ამოცანების გაგება? როცა დაუფიქრდებით, დარწმუნდებით, რომ არ შეიძლება.

ხოლო სხვადასხვა პარტიას სხვადასხვანაირად ესმის მუშათა კლასის საერთო ინტერესები და მისი ამოცანები თანამედროვე რევოლუციაში. ეს ამოცანები ერთიან რსდმ პარტიაშიც კი სხვადასხვანაირად ესმით მენშევიკებს, ტროცკის მომხრეებს, ბოლშევიკებს. აბა დაუფიქრდით, ამხანაგებო: შეიძლება თუ არა აზრთა ამ სხვადასხვაობამ გამოხატულება არ ჰპოვოს მუშათა ყრილობაზე? არ ამოტივტივდეს ამ ყრილობაზე? არ გართულდეს უთანხმოებით ანარქისტებთან, ესერებთან, ტრუდოვიკებთან და სხვებთან და სხვებთან? შეიძლება თუ არა «მუშათა ყრილობის მოწვევის აზრმა» ან მისმა მოწვევამ აღმოფხვრას ეს უთანხმოებანი??

და გამოდის, რომ რეზოლუციის ავტორთა დაპირება: «ყრილობის მოწვევის აზრი გ ა მ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ე ლ საწყისს შეიტანსო და სხვა» — ან სავსებით ნორჩი და უკანასკნელად წაკითხული წიგნაკით გატაცებული ინტელიგენტის უწყინარი ოცნება არის, ანდა დემაგოგიაა, ე. ი. მასის გატაცება ისეთი დაპირებით, რომლის შესრულება შეუძლებელია.

არა, ამხანაგებო. გაერთიანებას იწვევს ნამდვილი ბრძოლა. გაერთიანებას იწვევს პარტიების განვითარება, მათი ხანგრძლივი ბრძოლა პარლამენტში და პარლამენტს გარეთ, გაერთიანებას იწვევს საყოველთაო გაფიცვა და ასე შემდეგ. მაგრამ უპარტიო ყრილობის მოწვევის ექსპერიმენტით ნამდვილ გაერთიანებას ვერ შეიტან, «ინტერესებისა და ამოცანების» გაგების ერთიანობას ვერ დაამყარებ.

რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას: მუშათა ყრილობაზე სხვადასხვა პარტიის ბრძოლა გამოიწვევს სოციალ-დემოკრატთა მოქმედების ასპარეზის გაფართოებას და მათ გამარჯვებასაო. თუ თქვენ მუშათა ყრილობას ამნაირად უყურებთ, ეს აშკარად უნდა თქვათ და არა «გამაერთიანებელი საწყისის» ტკბილ-ტკბილი დაპირებანი გასცეთ. რაკი ამას აშკარად არ ამბობთ, თქვენ იმის რისკს ეწევით, რომ თავგზააბნეული და დაპირებებით მოტყუებული მუშები ყრილობაზე მოვლენ პ ო ლ ი ტ ი კ ი ს გ ა ს ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ლ ა დ, ნამდვილად კი დაინახავენ უდიდეს და შ ე უ რ ი გ ე ბ ე ლ უთანხმოებას პოლიტიკაში, დაინახავენ ესერების, სოციალ-დემოკრატებისა და სხვათა დაუყოვნებლივ გაერთიანების შ ე უ ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს და წ ა ვ ლ ე ნ გ უ ლ გ ა ტ ე ხ ი ლ ნ ი, წავლენ და შეაჩვენებენ ინტელიგენტებს, რომლებმაც ისინი მოატყუეს, შეაჩვენებენ «პოლიტიკას» საზოგადოდ, შეაჩვენებენ სოციალიზმს საზოგადოდ. ასეთი გულგატეხილობის აუცილებელი ნაყოფი იქნება ძახილი: ძირს პოლიტიკა! ძირს სოციალიზმი! ისინი მუშებს კი არ აერთიანებენ, არამედ სთიშავენო! ამით გაძლიერდება ნამდვილი ტრედ-უნიონიზმის ან გულუბრყვილო სინდიკალიზმის რომელიმე პრიმიტიული ფორმები.

რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატია ბოლოს და ბოლოს ყველაფერზე გაიმარჯვებს, ყველა განსაცდელს გაუძლებს, მთელ მუშებს შეამჭიდროებს. მაგრამ განა ეს ავანტიურების პოლიტიკის სასარგებლო საბუთია?

მოტივების მე-3 მუხლი:

«პროლეტარიატის სოციალურ-აქტიური (შეხეთ, როგორ ენაწყლიანობს «დარბაისლობისათვის»!) მასების დაქსაქსულ ორგანიზაციულ ცდებში ისეთი გამაერთიანებელი კონკრეტული მიზნის შეტანით, როგორიც არის მუშათა საერთო (უკვე არა საერთო-რუსეთის, არამედ საერთო! ე. ი. საერთო-პარტიული თუ უპარტიო? ნუ კი გეშინიათ, ამხანაგებო!) ყრილობის მოწვევა, პროპაგანდა და აგიტაცია მისი მოწვევის სასარგებლოდ, თავის მხრივ მძლავრ ბიძგს მისცემს ამ ფენების მისწრაფებას თვითორგანიზაციისადმი (ე. ი. მაშასადამე, სოციალ-დემოკრატების ზეგავლენის მოუხდენლად, რადგან მაშინ ეს თვითორგანიზაცია არ იქნება?) და გააძლიერებს მათს აქტიურობას ამ მიმართულებით».

ამას ქვია პონტოელისაგან პილატესთან გაგზავნა. მუხლი მე-2: მუშათა ყრილობა შეიტანს გამაერთიანებელ საწყისსაო. **მუხლი** მე-3: მუშათა ყრილობის კონკრეტული მიზნის გარშემო გაერთიანება ბიძგს მისცემს თვითორგანიზაციასაო. რისთვის არის საჭირო თვითორგანიზაცია? მუშათა ყრილობისათვის. რისთვის არის საჭირო მუშათა ყრილობა? თვითორგანიზაციისათვის. რისთვის არის საჭირო ლიტერატორთა რეზოლუციები ინტელიგენციის ბატონობის წინააღმდეგ? ინტელიგენტთა თვითდაკმაყოფილებისათვის.

მუხლი მე-4:

«რადგან მუშათა წრეებში იზრდება მუშათა ყრილობის მოწვევის აზრის პოპულარობა, ამიტომ ამ აზრის განხორციელების ცდებისადმი პარტიების (?? ბეჭდვის შეცდომაა? სოციალ-დემოკრატიული პარტიის?) პასიური და განსაკუთრებით კი მტრული დამოკიდებულება ფართო სარბიელს გადაუშლიდა უპრინციპო ავანტიურისტებს იმისათვის, რომ მუშები ყალბ

გზაზე დაეყენებინათ, და მათ სხვადასხვა დემაგოგის ხელში ჩააგდებდა».

მეტისმეტად გულმოსულთა მუხლია. მისი შინაარსია გულმოსულთა დაბნეულობა. ვის ლანძღავენ, თვითონაც არ იციან ხეირიანად, და ამიტომ თავისიანებს ესვრიან.

ვიღებ «ოტგოლოსკის» [85] უკანასკნელ (V) ნაკვეთს. ე. ჩარსკი ი. ლარინის წინააღმდეგ წერს: ი. ლარინმა «უეცრად აღმოაჩინა ორგანიზაციული უებარი წამალი»... «მოულოდნელი რეცეპტურა»... «დომხალი»... «ი. ლარინი ვერ ამჩნევს, რომ წინადადებას იძლევა «შეგნებული» აქტით განვამტკიცოთ რევოლუციის სტიქიური ტენდენციები, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებიან მუშათა მასების კლასობრივი შემჭიდროების საქმეს. და ყველაფერი ეს კეთდება მუშათა ყრილობის ინტერესებისათვის»... «ყოველ შემთხვევაში, ჩვენს წინაშეა ნიადაგი, რომელიც მეტად ხელსაყრელია ყოველგვარი «საადგილმამულო დემაგოგიისათვის»... ამხ. ლარინის აბნეულ-დაბნეული აზრის დასკვნები».

ვფიქრობ, კმარა. ლარინს მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ მ ა ბრალად დასდეს დემაგოგიაც და ავანტიურიზმიც, რადგან რეცეპტურა, უებარი წამალი და სხვა კომპლიმენტები სწორედ ავანტიურიზმზე ლაპარაკობენ.

გამოდის, რომ ერთს უმიზნებდნენ, მეორეს კი მოარტყეს! ჭეშმარიტად, ძაღლი პატრონს ვერა სცნობს. ისიც მხედველობაში მიიღეთ, რომ თუ ლარინი რეზოლუციის ავტორებისათვის ავანტიურისტი და დემაგოგი აღმოჩნდა, ელი და კომპანია ლ ა რ ი ნ ზ ე შ ო რ ს მ ი დ ი ა ნ. ელი პირდაპირ წერს («სრულიად რუსეთის მუშათა ყრილობა», მოსკოვი. 1907 წ.), რომ მუშათა ყრილობის საკითხში არის ო რ ი მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა, რომ ი ს ი ნ ი, მოსკოველი მენშევიკები, არც «პიტერელებს» ეთანხმებიან (გვ. 10) და არც ლარინს. «პიტერელებს» მხოლოდ მუშათა ავანგარდის ყრილობა უნდათ, ეს კი უბრალო «ვარიაციაა პარტიული ყრილობისაო» (გვ. 10 — 11). ლარინი «პიტერში ერეტიკოსად და ამრევად

ითვლებაო» (გვ. 10). ლარინს უნდა «სრულიად რუსეთის მუშათა პარტია». მოსკოველებს უნდათ სრულიად რუსეთის მუშათა კავშირიო.

კითხვა იბადება: თუ კი ლარინი ასე «შეახურეს» «ოტგოლოსკში», ვიღას უნდა მიაკუთვნონ ელი, ახმეტ ც., არხანგელსკი, სოლომინი და კომპანია? გამოდის, რომ გულმოსულთა მე-4 მუხლი ლარინსაც შეეხება და მოსკოველებსაც.

მაგრამ თუ თქვენ ბრაზობთ, პატივცემულო ამხანაგებო, და თქვენს რეზოლუციაში ჰგმობთ «ყალბ გზას», თქვენ მოვალენი ხართ ის მაინც თქვათ, თუ სად არის ჭეშმარიტი გზა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი, გულმოსულთა დაბნეულობა მთლად სასაცილო ხდება. ხოლო თქვენ ხომ, უარყოფთ რა «სრულიად რუსეთის მუშათა კავშირსაც» და «სრულიად რუსეთის მუშათა პარტიასაც», კრინტსაც არა სძრავთ იმაზე, თუ რაღა პრაქტიკული მიზნისათვის გინდათ თქვენ მუშათა ყრილობა!

დემაგოგებსა და ავანტიურისტებს შეუძლიათ მუშათა ყრილობის საქმეს ხელი მოჰკიდონ ყალბი მიზნებისათვის. ამიტომ უნდა მოვეპყრათ თანაგრძნობით მუშათა ყრილობას ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ისე კი, რომ არ მივუთითოთ ამ ყრილობას არავითარი მიზანი... ღმერთმანი, მენშევიკური რეზოლუცია — ყოველნაირ შეუსაბამობათა ნამდვილი კოლექციაა.

მუხლი მე-5:

«მეორე მხრივ, მუშათა ყრილობის ამოცანების, მისი მომზადების გზებისა და საშუალებების საკითხები ჯერ კიდევ ძალიან ნაკლებად გაირკვა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში (ჰო, მაგრამ იმდენად მაინც გაირკვა, რომ ლარინმა და მოსკოველებმა ყრილობის ამოცანები, გზები და საშუალებანი ნათლად აღნიშნეს! ქეკემალულობანას ნუ თამაშობთ, ამხანაგო «პიტერელებო». აქსელროდის გამოჩეკილი იხვის ჭუჭულები ამით წუმპედან მშრალზე ვერ გავლენ!), თვით მუშათა მისწრაფება ყრილობის მოწვევისადმი ჯერ კიდევ არ გამოვ-

ლინებულა მათი რაიმე სერიოზული პრაქტიკული ნაბიჯით მის მოსამზადებლად და ყრილობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება პროლეტარიატის შეგნებული ფენების კოლექტიური ნებისყოფის ნამდვილი და არა მოჩვენებითი გამომხატველი და ხელს შეუწყობს მისი კლასობრივი გაერთიანების საქმეს, თუ მისი მოწვევა მომზადდება მათი საკუთარი ორგანიზებული თვითმოქმედებით პარტიის გაძლიერებული გეგმაშეწონილი დახმარების პირობებში».

ამაზე იტყვიან: სადღეგრძელოთი დაიწყეს და სულთათანათი დაასრულესო. ის-ის იყო ლარინმა და ახალგაზრდა მოსკოველებმა «თვითმოქმედება» გამოიჩინეს, — რომ მათ უკვე პიტერელებმა დაუცაცხანეს: დაიცა! შენ ჯერ კიდევ არ ხარ კოლექტიური ნებისყოფის გამომხატველი! შენ ჯერ კიდევ ნაკლებად გარკვეულხარ! (უ პ ა რ ტ ი ო) ყრილობის მოწვევა ჯერ კიდევ მომზადებული არ არის პ ა რ ტ ი ი ს გაძლიერებული დახმარებითაო!

საბრალო ამხანაგები ელი, ახმეტ ც. და კომპანია! ის იყო მათ ესოდენ ხალისით, ესოდენ ახალგაზრდული თავგამოდებით მოჰკიდეს საქმეს ხელი, გამოსცეს სტატიების მთელი ორი კრებული მუშათა ყრილობის შესახებ, ყოველმხრივ განიხილეს საკითხი, განმარტეს მისი «საერთო-პოლიტიკური» მნიშვნელობაც, ორგანიზაციული მნიშვნელობაც, სათათბიროსადმი დამოკიდებულებაც, პარტიისადმი დამოკიდებულებაც, «წვრილბურჟუაზიული სტიქიისადმი» დამოკიდებულებაც, — და აი, უცბად, როგორ შეტრიალდა საქმე აქსელროდის შემწეობით!

ვშიშობთ, რომ თუ აქამდე მარტო ლარინი აწყობდა «ამბოხებას» (გაიხსენეთ: «ერეტიკოსი და ამრევი» კ ა ზ ი ო ნ უ რ ი მ ე ნ შ ე ვ ი ზ მ ი ს* წინააღმდეგ, ახლა ეს ამბოხება ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა დ იქცევა... აქსელროდმა აღუთქვა თვითმოქმედება და ჭეშმარიტად მუშური ყრილობა ინტელიგენციის ბატონობის წინააღმდეგ, — ახლა კი «პიტერელი» ლიტერატორები სწყვე-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტ. 11, გვ. 428 — 429. რ ე დ.

ტენ და განმარტავენ, რომ ეს თვითმოქმედება გაგებულ უნდა იქნას... იმავე გალანძღული «ინტელიგენტური» პარტიის ნებართვითაო!

* *
*

საკვირველი არ არის, რომ ასეთი დასაბუთებიდან პირდაპირ კურიოზული დასკვნები გამოდის:

«ყველა ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, რსდმპ ყრილობა წინადადებას აძლევს ამხანაგ მუშებსა და ინტელიგენტებს (ნუთუ? რა დიდი მოწყალებაა ინტელიგენციის «ბატონობის» წინააღმდეგ მებრძოლთა მხრივ!) შეუდგნენ (მაგრამ არა ლარინისებურად და არა ახმეტისებურად!) იმ საკითხების ყოველმხრივ განხილვას, რომლებიც შეეხება მუშათა ყრილობის პროგრამასა და ამოცანებს, მის მოსამზადებელ პროპაგანდისტულ, სააგიტაციო და ორგანიზაციულ მუშაობას და მისი მოწვევის გზებსა და საშუალებებს.

პარტიული ყრილობა ამავე დროს პარტიულ დაწესებულებათა მოვალეობად თვლის ყოველნაირი დახმარება გაუწიონ მუშათა ყრილობის მოსამზადებელ პროპაგანდისტულ, სააგიტაციო და ორგანიზაციულ ცდებს; ამგვარი ცდების წინააღმდეგ მიმართულ მტრულ აგიტაციას კი პრინციპულად შეუწყნარებლად აღიარებს, რადგან ეს აგიტაცია ისწრაფის შეინარჩუნოს და განამტკიცოს მოძველებული პარტიული რეჟიმი რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში, რეჟიმი, რომელიც უკვე აღარ შეესაბამება არც რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში და მის ირგვლივ დაჯგუფებული პროლეტარული ელემენტების განვითარების თანამედროვე დონესა და მოთხოვნილებებს, არც რევოლუციის მოთხოვნილებებს».

აბა როგორ არ ვუწოდოთ ამას გულმოსულთა დაბნეულობა? როგორ არ დავცინოთ ასეთ რეზოლუციას?

პარტიული ყრილობა კრძალავს მოძველებული პარტიული რეჟიმის დაცვას, რომელ რეჟიმსაც თვით ეს ყრილობა ამტკიცებს!

პარტიული ყრილობა მოძველებული რეჟიმის არავითარი რეფორმის წინადადებას არ აყენებს, ყბადაღებული «მუშათა ყრილობის» (მიუწვდომელი «პოლიტიკური გაერთიანების» მიზნით) გადადებასაც კი ურჩევს და იმავე დროს ავალებს მხარი დაუჭირონ... «ცდებს»!

ნამდვილი უმწეო ინტელიგენტური ბუზღუნია: მე უკმაყოფილო ვარ თანამედროვე მოძველებული პარტიული რეჟიმით, არ მინდა მისი შენარჩუნება და განმტკიცებაო! — ჩინებულია. არ გინდათ შეინარჩუნოთ — წამოაყენეთ გარკვეული ცვლილებები, ჩვენ მათ სიამოვნებით განვიხილავთ. გვითხარით, გეთაყვათ, რანაირი მუშათა ყრილობა გნებავთ თქვენ? — ეს ჯერ კიდევ გამოურკვეველია... მისწრაფება არ გამოვლინებულა... მოწვევა მომზადებული არ არის. უნდა შეევუდგეთ განხილვას. — ჩინებულია. რეზოლუციების წერა იმაზე, რომ «შეევუდგეთ განხილვას», მერწმუნეთ, არა ღირს, ძვირფასო ამხანაგებო, რადგან ჩვენ უკვე დიდი ხანია ისედაც ვიხილავთ. მაგრამ მუშათა პარტია ხომ ინტელიგენტური «განხილვისათვის» განკუთვნილი კლუბი არ არის, არამედ მებრძოლი, პროლეტარული ორგანიზაციაა. განხილვა კი განხილვაა, მაგრამ ცხოვრება და მოქმედება მაინც საჭიროა. და რომელ პარტიულ ორგანიზაციაში არის ნებადართული ცხოვრება და მოქმედება? წინანდელში? — არ გაბედოთ მოძველებული წინანდელი ორგანიზაციის დაცვა, არ გაბედოთ მისი შენარჩუნება და განმტკიცებაო! — ჩინებულია და სხვ.

გაუთავებელი ამბავია. ინტელიგენტი ჭირვეულობს და ჯავრობს თავის საკუთარ გაუბედაობაზე, თავის საკუთარ დაბნეულობაზე.

ასეთია «ქაზიონური მენშევიზმის» უკანასკნელი სიტყვა.

* * *

მენშევიკმა ლიტერატორებმა, რომლებიც მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობენ, მშვიდობიანად აუარეს გვერდი მომწიფებულ და როგორც ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში წამოჭ-

რილ საკითხს: დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თუ მისი შ ე ც ვ ლ ა (ვარიანტი: მისი დაქვემდებარება) პროლეტარიატის უპარტიო პოლიტიკური ორგანიზაციით?

ჩვენი ბოლშევიკური რეზოლუცია ამ საკითხს აშკარად აყენებს და პ ი რ დ ა პ ი რ და გარკვეულად სწყვეტს. თავის არიდება აქ ამაოა, — სულერთია, დაბნეულობით იქნება გამოწვეული ეს თავის არიდება თუ კეთილმოსურნე «შემარიგებლობით». თავის არიდება ამაოა, რადგან შ ე ც ვ ლ ი ს წინადადება წამოყენებულია და ა ს ე თ ი შ ე ც ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს მუშაობა ტარდება. მენშევიზმის მოინტელიგენტო კრუხებმა იხვის ჭუჭულები გამოჩეკეს. ჭუჭულებმა ცურვა დაიწყეს. კრუხებმა არჩევანი უ ნ დ ა მოახდინონ: წყალში იცურაონ ჭუჭულებმა თუ მშრალზე იარონ? მათი პასუხი (ეს პასუხი შეიძლება საკმაოდ ზუსტად გადმოიცეს სიტყვებით: არც წყალში იცურაონ და არც მშრალზე იარონ, არამედ წუმპეში იჭყუმპალაონო) — პასუხი კი არ არის, არამედ საქმის გადადება, გაჭიანურებაა.

აქსელროდმა ვერ შეაჩერა ლარინი. ლარინმა ვერ შეაჩერა ელი, ახმეტ ც. და კომპანია. ამ უკანასკნელ კომპანიას არ შეუძლია შეაჩეროს ანარქისტ-სინდიკალისტები.

წყალში თუ მშრალზე, ბატონებო?

ჩვენ გვინდა მშრალზე ვიაროთ. წინასწარვე გეუბნებით, რომ რაც უფრო გულმოდგინედ, რაც უფრო თავგამოდებით შეტოპავთ თქვენ ტლაპოში, მით უფრო მალე დაბრუნდებით მშრალზე.

«პროლეტარიატის ფართო მასებზე სოციალ-დემოკრატიის გავლენის გასაფართოებლად და განსამტკიცებლად» ჩვენ მოვითხოვთ არა სოციალ-დემოკრატიის შეცვლას უპარტიო ტიპის «მუშათა პარტიით», არა «სრულიად რუსეთის მუშათა კავშირს», რომელიც პარტიაზე მაღლა იდგება, არა მუშათა ყრილობას უცნობი მიზნებისათვის, არამედ მარტივ, უბრალო რამეს, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი პროექტიორობა:

აუცილებელია, «ერთი მხრივ, გავაძლიეროთ მუშაობა პროფესიული კავშირების მოსაწყობად, სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა და აგიტაცია მათში, მეორე მხრივ კი, მოვიზიდოთ მუშათა კლასის სულ უფრო და უფრო ფართო ფენები ყოველგვარ პარტიულ ორგანიზაციებში მონაწილეობის მისაღებად» (ბოლშევიკური რეზოლუციის უკანასკნელი მუხლი).

თავნება ინტელიგენტებს ეს მეტისმეტად «მოძველებული», მ ე ტ ი ს მ ე ტ ა დ მ ო ს ა წ ყ ე ნ ი ჰგონიათ. დაე, იოცნებონ: ჩვენ მუშებთან ერთად ვივლით, ჩვენ მივალთ «მუშათა ყრილობაზე» (თუ ის შედგება), ს ა ქ მ ი თ ცხადვყოფთ იქ ჩვენი წინასწარმეტყველების სისწორეს და... და გულგატეხილ (უფრო სწორედ რომ ვთქვათ: ზოგიერთ ინტელიგენტ ბელადზე გულგატეხილ) მუშებთან ერთად დავუბრუნდებით «მოძველებულ» მუშაობას პროფესიულ კავშირებსა და ყოველგვარ პარტიულ ორგანიზაციებში.

* * *

რით აიხსნება «მუშათა ყრილობის მომხრე» მიმდინარეობა ჩვენს პარტიაში? ჩვენ შეგვიძლია აქ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნოთ სამი ძირითადი, ჩვენი აზრით, მიზეზი: 1) რევოლუციით გამოწვეული ინტელიგენტურ-ობივატელური დაღლილობა; 2) თავისებურება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ოპორტუნიზმისა, რომელიც ისტორიულად ვითარდება იმ მიმართულებით, რომ «წმინდა მუშური» მოძრაობა დაუმორჩილოს ბურჟუაზიულ გავლენას; 3) რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის მოუნელებელი ტრადიციები.

Ad * 1) მუშათა ყრილობის მომხრეთა ერთ ნ ა წ ი ლ ს აშკარად ეტყობა რევოლუციით დაღლილობა და იმის სურვილი, რომ რადაც უნდა დაჯდეს მოახდინოს პარტიის ლეგალიზაცია, თავი დაანებოს ყოველგვარ რესპუბლიკას, პროლეტარიატის დიქტატურას და სხვა. ლეგალური მუშათა ყრილობა

* — მუხლისათვის. რ ე დ.

მოხერხებული საშუალებაა ამისათვის. ამით (ნაწილობრივ კი მეორე მიზეზითაც) აიხსნება სახალხო სოციალისტების, «ბეზ-ზაგლავიელ»-ბერნშტეინელებისა («ტოვარიშჩიდან» და სხვ.) და კადეტების თანაგრძნობა ასეთი ყრილობისადმი.

**Ad 2)** აიღეთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ოპორტუ-ნიზმის პირველი ისტორიული ფორმა. მასობრივი მუშათა მოძ-რაობის დასაწყისმა (გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარი) წარმოშვა ეს ოპორტუნიზმი «ეკონომიზმისა» და სტრუვიზმის სახით. როგორც ერთის, ისე მეორის ურთიერთკავშირი არა ერთხელ გაურკვევიათ მაშინ პლე-ხანოვსაც, აქსელროდსაც და ყველა ძველ ისკრელს. პროკოპოვიჩ-კუსკოვას განთქმულმა «Credo»-მ * (1899 — 1900 წ.) ეს კავშირი ნათლად გამოხატა: ინტელიგენციამ და ლიბერალებმა, დაე, პოლიტიკური ბრძოლა აწარმოონ, მუშებ-მა კი — ეკონომიური. პოლიტიკური მუშათა პარტია — რევო-ლუციური ინტელიგენტის გამოგონილიაო.

ამ კლასიკურ «Credo»-ში მკაფიოდ არის გამოხატული «წმინდა მუშური» მოძრაობით ინტელიგენტური გატაცების ისტორიული, კლასობრივი დედაარსი. ეს დედაარსია მუშათა კლასის დამორჩილება («წმინდა მუშური» ამოცანების გული-სათვის) ბურჟუაზიული პოლიტიკისა და იდეოლო-გიისადმი. ინტელიგენტების «გატაცება» გამოხატავდა ლიბე-რალებისადმი განუვითარებელი მუშების დამორჩილების კა-პიტალისტურ ტენდენციებს.

ახლა, განვითარების მაღალ საფეხურზე, ჩვენ ამასვე ვხედავთ. კადეტებთან ბლოკი, საზოგადოდ კადეტებისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკა — და მუშათა უპარტიო ყრილობა, ეს ერთი მედლის ორი მხარეა, რომლებიც ისევე დაკავშირე-ბულია ერთმანეთთან, როგორც ლიბერალიზმი და წმინდა მუ-შური მოძრაობა «Credo»-ში. ნამდვილად მუშათა უპარტიო ყრილობა პროლეტარიატის კლასობრივი დამოუკი-

* — რწმენის სიმბოლო, პროგრამა, მსოფლმხედველობის გადმოცემა. ტ ე დ.

დებლობის შესუსტებისა და ბურჟუაზიისადმი მისი დამორჩილების იმავე კაპიტალისტური ტენდენციის გამოხატულებაა. ეს ტენდენცია ნათლად ჩანს იმ გეგმებში, რომლებიც ითვალისწინებენ სოციალ-დემოკრატიის შეცვლას მუშათა უპარტიო ორგანიზაციით ან მის დამორჩილებას ამ უკანასკნელისადმი.

ამით აიხსნება სახალხო სოციალისტების, «ბეზზაგლავიელების», ესერებისა და სხვათა თანაგრძნობა «მუშათა ყრილობის» იდეისადმი.

**Ad 3)** რუსეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ შექმნა პროლეტარიატის თავისებური მასობრივი ორგანიზაციები, რომლებიც არა ჰგვანან ევროპის ჩვეულებრივ ორგანიზაციებს (პროფესიულ კავშირებსა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს). ეს არის მუშათა დეპუტატების საბჭოები.

თუ ამგვარ დაწესებულებებს სქემატურად განავითარებ სისტემად (როგორც იქცეოდა ტროცკი) ან საზოგადოდ პროლეტარიატის რევოლუციურ აღმავლობას თანაგრძნობით მოეკიდები და «რევოლუციური სინდიკალიზმის» «მოდური» ფრაზით მოიხიბლები (როგორც მუშათა ყრილობის ზოგიერთი მოსკოველი მომხრე), ადვილად შეიძლება არა ოპორტუნისტული, არამედ რევოლუციური გზით მიხვიდე მუშათა ყრილობის იდეამდე.

მაგრამ ეს არის არაკრიტიკული დამოკიდებულება დიდი და სახელოვანი რევოლუციური ტრადიციისადმი.

ნამდვილად მუშათა დეპუტატების საბჭოები და მათი მსგავსი დაწესებულებანი აჯანყების ორგანოები იყვნენ. მათი ძალა და წარმატება სავსებით დამოკიდებული იყო აჯანყების ძალასა და წარმატებაზე. მათი წარმოშობა მხოლოდ მაშინ იყო არა კომედია, არამედ პროლეტარიატის საგმირო საქმე, როცა აჯანყება მწიფდებოდა. ბრძოლის ახალი აღმავლობის დროს, ამ ფაზაში მისი გადასვლის დროს ამგვარი დაწესებულებანი, რა თქმა უნდა, გარდუვალი და სასურველია. მაგრამ მათი ისტორიული განვითარება უნდა წარმოადგენდეს

მუშათა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არა სქემატურ გაგრძელებას სრულიად რუსეთის მუშათა ყრილობამდე, არამედ რევოლუციური ძალაუფლების ჩანასახი ორგანოების (სწორედ ასეთი ორგანოები იყვნენ მუშათა დეპუტატების საბჭოები) გადაქცევას გამარჯვებული რევოლუციური ძალაუფლების ცენტრალურ ორგანოებად, რევოლუციურ დროებით მთავრობად. მუშათა დეპუტატების საბჭოები და მათი გაერთიანება აუცილებელია აჯანყების გამარჯვებისათვის. გამარჯვებული აჯანყება აუცილებლად ჰქმნის ს ხ ვ ა ორგანოებს.

* * *

მუშათა ყრილობაში მონაწილეობაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ, რა თქმა უნდა, ხელი არ უნდა აიღოს, რადგან რევოლუციის განვითარება მეტად მიხვეულ-მოხვეული გზით მიმდინარეობს და მას შეუძლია ფრიად სხვადასხვანაირი და თავისებური მდგომარეობა შექმნას. მაგრამ ერთი საქმეა — გულდასმით სწავლობდე ხან აღმავალი და ხან დაღმავალი რევოლუციის სხვადასხვა პირობებს, ცდილობდე მათ გამოყენებას, — და სულ სხვა საქმეა ეწეოდე აბნეულ-დაბნეულ ან ანტისოციალ-დემოკრატიულ პროექტიორობას.

დაწერილია 1907 წ. აპრილში
დაიბეჭდა 1907 წ. კრებულში:
«ტაქტიკის საკითხები» II. გამომც.
«ნოვაია დუმა», ს.-პეტერბურგი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება კრებულის ტექსტის
მიხედვით

# აგრარული საკითხი და რევოლუციის ძალები

გაზეთი «ტრუდოვოი ნაროდ», ტრუდოვიკებისა და გლეხთა კავშირის წევრების ორგანო, განსაზღვრავს ძალთა თანაფარდობას სათათბიროში მიწის საკითხში, გლეხობისათვის «საარსებო საკითხში».

«შეთანხმებულად შეუძლიათ იმოქმედონ მიწის საკითხში, მშრომელი ხალხის ინტერესების გულისათვის, ტრუდოვიკებს (100), სახალხო სოციალისტებს (14) და ესერებს (34); სულ 148 კაცი. დავუშვათ, რომ მიწის საკითხის მრავალ პუნქტში სოციალ-დემოკრატებიც (64) მათთან ერთად იქნებიან, სულ 212 კაცი.

ხოლო ყველა მათ წინააღმდეგ მიწის საკითხში იქნებიან კადეტები (91), პოლონური კოლო (46), უპარტიონი (52), ოქტიაბრისტები და ზომიერნი (32), — სულ 221 კაცი.

წინააღმდეგი მეტია. ჩვენ არ ჩაგვითვლია არც მუსლიმანები (30), არც კაზაკები (17); შესაძლოა, უკეთეს შემთხვევაში, მათი ნახევარი მემარცხენეებს მიემხროს, ნახევარიც — მემარჯვენეებს: სულერთია, წინააღმდეგი მეტია, ვიდრე ტრუდოვიკების საადგილმამულო კანონის მომხრე».

ამ გამოანგარიშებაში გამოტოვებულია კიდევ მონარქისტები (22), მაგრამ მათი მიმატება მხოლოდ აძლიერებს ტრუდოვიკების დასკვნას.

ეს დასკვნა ორი მხრით არის საინტერესო: ჯერ-ერთი, იგი ნათელს ფენს რუსეთის თანამედროვე რევოლუციაში საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობის ძირითად საკითხს; მეორე, იგი გვეხმარება გავარკვიოთ მნიშვნელობა სათათბიროსი და სათათბიროს ბრძოლისა განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ყველა სოციალ-დემოკრატი დარწმუნებულია, რომ ჩვენი რევოლუცია მიმდინარე საზოგადოებრივ-ეკონომიური გადატრიალების შინაარსით ბურჟუაზიული რევოლუციაა. ეს იმას ნიშნავს, რომ გადატრიალება ხდება წარმოების კაპიტალისტურ ურთიერთობათა ნიადაგზე და რომ გადატრიალების შედეგს გარდუვალად წარმოადგენს წარმოების სწორედ ამ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება. უფრო მარტივად რომ ვთქვათ: ბაზრის ძალაუფლებისადმი, ფულის ძალაუფლებისადმი მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის დაქვემდებარება რჩება ყველაზე სრული თავისუფლებისა და მიწისათვის ბრძოლაში გლეხთა ყველაზე სრული გამარჯვების დროსაც. მიწისათვის ბრძოლა, თავისუფლებისათვის ბრძოლა ბურჟუაზიული საზოგადოების საარსებო პირობებისათვის ბრძოლაა, რადგან კაპიტალის ბატონობა რჩება ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც და «მთელი მიწის ხალხის ხელში» ყოველგვარი გადასვლის დროსაც.

ვინც მარქსის მოძღვრებას არ იცნობს, მას ასეთი შეხედულება შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს. მაგრამ ამ შეხედულების სისწორეში დარწმუნება ძნელი არ არის: საკმარისია გავიხსენოთ საფრანგეთის დიდი რევოლუცია და მისი შედეგები, ამერიკის «თავისუფალი მიწების» ისტორია და სხვ.

თანამედროვე რევოლუციას რომ ბურჟუაზიულს უწოდებენ, ამით სოციალ-დემოკრატებს სულაც არა სურთ მისი ამოცანების დაკნინება, მისი მნიშვნელობის შემცირება. პირიქით. კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლა არ შეიძლება საკმაოდ ფართოდ გაჩაღდეს და გამარჯვებით დამთავრდეს, ვიდრე პროლეტარიატის უფრო ძველი ისტორიული მტრები დამხობილნი არ არიან.

ამიტომ ახლანდელ მომენტში პროლეტარიატის მთავარი ამოცანაა რაც შეიძლება სრული თავისუფლების მოპოვება და მემამულური (ბატონყმური) მიწათმფლობელობის რაც შეიძლება სრული მოსპობა. მხოლოდ ასეთი მუშაობის დროს, რომელიც აღსავსეა ძველი, ნახევრადბატონყმური საზოგადოების

დემოკრატიული მსხვრევით, პროლეტარიატს შეუძლია სავსებით განმტკიცდეს როგორც დამოუკიდებელი კლასი, სავსებით გამოჰყოს თავისი განსაკუთრებული, ე. ი. სოციალისტური, ამოცანები «მთელი უუფლებო ხალხის» საერთო დემოკრატიული ამოცანებიდან და შეუქმნას თავის თავს სოციალიზმისათვის რაც შეიძლება თავისუფალი, ფართო და გაძლიერებული ბრძოლის საუკეთესო პირობები. დაუმთავრებელი, ბოლომდე მიუყვანელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს პროლეტარიატს სჭირდება გაცილებით მეტად მოახმაროს თავისი ძალები არა პროლეტარულ-კლასობრივ, ე. ი. არა სოციალისტურ, არამედ საერთო-დემოკრატიულ, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ამოცანებს.

მაგრამ შეუძლია თუ არა სოციალისტურ პროლეტარიატს დამოუკიდებლად — და როგორც ხელმძღვანელმა ძალამ — მოახდინოს ბურჟუაზიული რევოლუცია? ხომ არ ნიშნავს ბურჟუაზიული რევოლუციის ცნება იმას, რომ მისი მოხდენა მხოლოდ ბურჟუაზიას შეუძლია?

ამ თვალსაზრისზე ხშირად დგებიან მენშევიკები. მაგრამ ეს თვალსაზრისი მარქსიზმის კარიკატურაა. ბურჟუაზიული — თავისი საზოგადოებრივ-ეკონომიური შინაარსით — განმათავისუფლებელი მოძრაობა არ წარმოადგენს ბურჟუაზიულს მისი მამოძრავებელი ძალების მიხედვით. მისი მამოძრავებელი ძალები შეიძლება იყვნენ არა ბურჟუაზია, არამედ პროლეტარიატი და გლეხობა. რატომ არის ეს შესაძლებელი? იმიტომ, რომ პროლეტარიატსა და გლეხობას კიდევ უფრო მეტად სტანჯავს, ვიდრე ბურჟუაზიას, ბატონყმობის ნაშთები, კიდევ უფრო მეტად ესაჭიროება თავისუფლება და მემამულეთაგან ჩაგვრის მოსპობა. პირიქით, სრული გამარჯვება ბურჟუაზიას ასეთ საფრთხეს უქადის: სრულ თავისუფლებას პროლეტარიატი ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოიყენებს და გამოიყენებს მით უფრო ადვილად, რაც უფრო სრულია თავისუფლება, რაც უფრო სრულია მემამულეთა ძალაუფლების მოსპობა.

აქედან გამომდინარეობს ბურჟუაზიის მისწრაფება — დაამთავროს ბურჟუაზიული რევოლუცია შუა გზაზე, დაამთავროს ნახევრად მოპოვებული თავისუფლებით, ძველ ხელისუფლებასა და მემამულეებთან გარიგებით. ეს მისწრაფება ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს ემყარება. იგი უკვე ისე ნათლად გამოვლინდა გერმანიის 1848 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციაში, რომ კომუნისტმა მარქსმა მაშინ პროლეტარული პოლიტიკის მთელი მახვილი მიმართა «შემთანხმებელი» (მარქსის გამოთქმაა) ლიბერალური ბურჟუაზიის [86] წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩვენში, რუსეთში, ბურჟუაზია კიდევ უფრო მხდალია, პროლეტარიატი კი გაცილებით უფრო შეგნებული და უკეთესად შეკავშირებულია, ვიდრე გერმანიის პროლეტარიატი 1848 წელს იყო. ჩვენში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის სრული გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ «შემთანხმებელი» ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მხოლოდ მაშინ, თუ დემოკრატიული გლეხობის მასა გაჰყვება პროლეტარიატს სრული თავისუფლებისა და მთელი მიწისათვის ბრძოლაში.

მეორე სათათბირო ამ შეფასებას კიდევ უფრო ნათლად ადასტურებს. ახლა გლეხებიც კი მიხვდნენ, რომ ლიბერალური ბურჟუები, კადეტები, უნდა მიაკუთვნონ მემარჯვენეებს, გლეხები და მუშები კი — მემარცხენეებს. თუმცა ისიც მართალია, რომ «ტრუდოვიკები», სახალხო სოციალისტები და ესერები მუდამ მერყეობენ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის და ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ ყოველ ნაბიჯზე პოლიტიკურად კ უ დ შ ი მ ი ს ჩ ა ნ ჩ ა ლ ე ბ ე ნ ლიბერალებს. (გოლოვინისათვის ხმის მიცემა, «დუმილის ტაქტიკა», თანხმობა კომისიისათვის ბიუჯეტის გადაცემაზე და სხვა და სხვა [87]). ეს მერყეობა შემთხვევითი როდია. ის წვრილი ბურჟუაზიის კლასობრივი ბუნებიდან გამომდინარეობს.

რატომ უნდა მივაკუთვნოთ კადეტები მემარჯვენეებს ისეთ მწვავე საკითხში, როგორიც მიწის საკითხია? იმიტომ, რომ

კადეტური აგრარული პოლიტიკა არსებითად მემამულური პოლიტიკაა. კადეტური «იძულებითი განსხვისება» ნამდვილად იმას ნიშნავს, რომ მემამულეებმა გლეხები აიძულონ მიმართონ გამაჩანაგებელ გამოყიდვას, რადგან ფაქტიურად გამოსაყიდი მიწის ოდენობასაც და გადასახადების ოდენობასაც მემამულენი განსაზღვრავენ: ადგილებზე მემამულეებს მოხელეებთან ერთად უმრავლესობა ეყოლებათ საადგილმამულო კომიტეტებში (პირველ სათათბიროში კადეტები ამ კომიტეტების საყოველთაო კენჭისყრით არჩევის წინააღმდეგნი იყვნენ), ხოლო რუსეთის საერთო ცენტრალურ კანონმდებლობაში მემამულენი იბატონებენ სახელმწიფო საბჭოს მეშვეობით და სხვა. კადეტური «ლიბერალიზმი» იმ ბურჟუაზიული ადვოკატის ლიბერალიზმია, რომელიც გლეხს მემამულეებთან არიგებს და არიგებს მემამულის სასარგებლოდ*.

გადავიდეთ მეორე საკითხზე. კადეტები და მემარჯვენეები სათათბიროს უმრავლესობას შეადგენენ. «როგორ დავაღწიოთ ამას თავი?» — კითხვას აყენებს «ტრუდოვოი ნაროდი». პასუხი მარტივია: იმისათვის, რომ «ამას თავი დავაღწიოთ», საჭიროა უფრო მაღლა დავდგეთ, ვიდრე მარტოოდენ სათათბიროს კამათია.

ეს აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაშიც კი, მემარცხენეებს რომ სათათბიროში უმრავლესობა ჰყოლოდათ, რადგან

* «რეჩის» იმ ფრაზის გამო, რომ კადეტების მემამულურ ხასიათზე შეიძლება მხოლოდ მიტინგებზე ვილაპარაკოთ, დავსძენთ აგრეთვე შემდეგს: ცნობილი წიგნის — «II სახელმწიფო სათათბიროს წევრები» (სპბ. 1907) მიხედვით ჩვენ დავთვალეთ 79 ნამდვილი კადეტი, მათგან 20 მემამულე. დავასახელებთ ტუჩკოვს, ბოგუსლავსკის, ბიჩკოვს, ბაკუნინს, როდიჩევს, ბოგდანოვს, სალაზკინს, ტატარინოვს, სტახოვიჩს, იკონიკოვს, საველიევს, დოლგორუკოვს, ჩელნოკოვს, გოლოვინს, ორიეე პერელეშინს, ვოლოცკის, იორდანსკის, ჩერნოსვიტოვს. ხაზგასმულია თავადაზნაურობის წინამძღოლთა, ერობის უფროსთა და საერობო სამმართველოების თავმჯდომარეთა გვარები.

სათათბიროს ძალაუფლება არ გააჩნია და სახელმწიფო საბჭო მემამულეთა ინტერესების გულისათვის სათათბიროს ყოველგვარ პროექტს «გააუმჯობესებს». ეს აუცილებელია ამჟამადაც, — აუცილებელია არა სუბიექტურ-პარტიული აზრით, არამედ ობიექტურ-ისტორიული აზრით: უამისოდ მიწის საკითხი შეიძლება მხოლოდ მემამულეების სასარგებლოდ გადაწყდეს.

«ნაშე ეხო» № 7,
1907 წ. 1 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «ნაშე ეხოს» ტექსტის მიხედვით

# ანემიური სათათბირო ანუ ანემიური წვრილი ბურჟუაზია

ყოველდღიური პრესის იმ ორგანოების რიცხვი, რომლებიც კადეტებზე მარცხნივ დგანან, თანდათან იზრდება. უფრო ხმამაღლა გაისმის სათათბიროს იმ მემარცხენე ნაწილის ხმა, რომელიც კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შუა დგას.

ახალი ამბავი იყო «სახალხო სოციალისტების» ყოველდღიური პრესა. მათი გაზეთი «ობშჩესტვენნოე დელო» (კვირა, 1 აპრილი) ერთბაშად ალაპარაკდა ჩივილის, წუხილისა და მონანიების მეტად დამახასიათებელი და ფრიად საგულისხმო ტონით.

რას უჩივიან ისინი? იმას, რომ სათათბირო «ანემიურია» (ე. ი. ჩვენებურად რომ ვთქვათ, სისხლნაკლული და უძლურია).

რას სწუხან ისინი? იმას, რომ დიდხანს ბატონობდა ლოზუნგი: «გაუფრთხილდით სათათბიროსაო».

რას ინანიებენ ისინი? იმას, რომ ხელს უწყობდნენ კადეტურ ტაქტიკას.

მართალია, ეს მონანიება შორს არის იმისაგან, რომ სრული, ნამდვილი, გულწრფელი მონანიება იყოს, — ისეთი მონანიება, რომელიც, როგორც ცნობილი გამოთქმა ამბობს, სანახევროდ მორჯულებას ნიშნავს. «სახალხო სოციალისტების» მონანიება იმდენად არაგულწრფელია, რომ თავიანთ პირველსავე, მომნანიებელ, ნომერში ისინი გვიპასუხებენ ბოროტი გამოლაშქრებით და აცხადებენ, თითქოს ჩვენ, სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკები, «უთანხმოებას იმით ვწყვეტთ, რომ მოწინააღმ-

დეგეს უვიცს, უბადრუკს ვუწოდებთ» და სხვა, რომ ჩვენ «ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ ა რ ა ზ უ ს ტ ა დ» მივაწერთ ხოლმე მოწინააღმდეგეს «შეთანხმების გზაზე დადგომას».

ჩვენ, რა თქმა უნდა, ნაროდნიკული მონანიების გულწრფელობის ამ საკითხზე მკითხველის ყურადღებას არ შევაჩერებდით, ეს საკითხი რომ უაღრესად მჭიდროდ და უშუალოდ არ იყოს დაკავშირებული იმ საკითხებთან, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მთელი მეორე სათათბიროს შეფასებისათვის, მეტიც: რუსეთის მთელი რევოლუციის შეფასებისათვის.

ნაროდნიკები — ეს არის სათათბიროს სამი ფრაქცია, რომლებიც მთელ რიგ ძირითად საკითხებში სოლიდარულნი არიან, ცოტად თუ ბევრად შეთანხმებულ საერთო პოლიტიკას ადგანან და ასე თუ ისე გამოხატავენ რუსი ხალხის უდიდესი მასის ინტერესებსა და თვალსაზრისს.

ამ კატეგორიის დეპუტატებში ყველაზე მეტი გლეხები არიან, და არა მგონია შეიძლებოდეს იმის წინააღმდეგ დავა, რომ გლეხობის ფართო მასამ თავისი საჭიროებანი (და თავისი ცრურწმენანი) ყველაზე ზუსტად სათათბიროს დეპუტატთა სწორედ ამ — და არა რომელიმე სხვა — კატეგორიის საშუალებით გამოხატა. მაშასადამე, სათათბიროში ნაროდნიკების პოლიტიკის საკითხი დაკავშირებულია გლეხობის მასის პოლიტიკის საკითხთან, მასისა, რომლის მონაწილეობის გარეშე განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

სახალხო სოციალისტები ცხადად და აშკარად სტყუიან, როცა ამბობენ, თითქოს სოციალ-დემოკრატები უთანხმოებას ლანძღვა-გინებით სწყვეტდნენ ან ტყუილად მიაწერდნენ ტრუდოვიკებს (ე. ი. ნაროდნიკებს) შემთანხმებლობას. ეს ტყუილია, ბატონებო, რადგან მეორე სათათბიროს საქმიანობის დ ა წ ყ ე ბ ი ს თ ა ნ ა ვ ე, ნაროდნიკებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლისაგან სრულიად დამოუკიდებლად, სოციალ-დემოკრატებმა უ კ ვ ე გ ა მ ო თ ქ ვ ე ს ის შეფასება ყბად-

აღებული ლოზუნგისა «გაუფრთხილდით სათათბიროს», რომელსაც თქვენ ახლა ბაჯბაჯით უახლოვდებით.

««გაუფრთხილდით სათათბიროს!» — წერდა 21 თებერვალს ჩვენი კოლეგა ნ. რ.[88] — აი სიტყვები, რომელთაც განუწყვეტლივ გაიძახიან ბურჟუაზიული ამომრჩევლები და იმეორებს ბურჟუაზიული პრესა, არა მარტო კადეტური, არამედ «მემარცხენეც», როგორიცაა «ტოვარიშჩი» ...სათათბიროს შენარჩუნების საიდუმლოება დიდი ხანია აღმოაჩინეს შავრაზმულ-ოქტიაბრისტულმა პრესამ და მთავრობამ. სათათბიროს შენარჩუნება აღვილია, თუ ის «მუშაობისუნარიანი» და «კანონის მორჩილი» იქნება, ე. ი. თუ ის მონურად პირქვე განერთხმის მთავრობის წინაშე და მორიდებული თხოვნისა და დამამცირებელი შუამდგომლობის მეტს არას გაპბედავს. სათათბიროს შენარჩუნება ადვილია, თუ ის საყოველთაო-სახალხო განთავისუფლების საქმეს უღალატებს და ამ უკანასკნელს მსხვერპლად მოუტანს შავრაზმულ ხროვას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება კიდეც სათათბიროს შენარჩუნება, თუ ძალაუფლება ძველებური დარჩება. ეს ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, ამის დაეიწყება არ შეიძლება. მაგრამ განა შეიძლება სათათბიროს შენარჩუნება ღალატის ფასად?! ამ კითხვაზე სოციალ-დემოკრატია ხმამაღლა და ნათლად უპასუხებს: არასოდეს! პროლეტარიატსა და გლეხობას მოღალატური სათათბირო არ ესაჭიროებათ. ტყუილ-უბრალოდ როდი განუცხადეს მოსკოველმა გლეხებმაც განაწესში თავიანთ დეპუტატს: «დაე, გაგრეკონ, მაგრამ ხალხის ნებას არ უღალატოთო». თუ სათათბირო უმთავრესად იმაზე იზრუნებს, რომ მთავრობა არ გააღიზიანოს, — ის ხალხის ნდობას დაჰკარგავს, ის ვერ შეასრულებს იმ ამოცანას, რომელიც მას ეკისრება: შესაძლებლობისამებრ ხელი შეუწყოს ხალხის მასების დარაზმვას რეაქციის დამარცხებისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებისათვის... ეშინიათ მხოლოდ ძლიერებისა. და პატივს სცემენ მხოლოდ ძლიერთ. თავისუფალ ხალხს და მის არჩეულთ არ შეშვენით ისტერიკული გოდება: «გაუფრთხილდით სათათბიროს»».

ეს დაწერილია მეორე სათათბიროს გახსნის მეორე დღეს. და, მგონია, ეს ნათლადაა დაწერილი!

ნაროდნიკები, რომლებიც თავიანთ ლიტერატურაშიც, საერთო პოლიტიკაშიც და სათათბიროშიც წვრილი ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენის, წვრილი მეპატრონეების (ქალაქად, მაგრამ განსაკუთრებით სოფლად, ე. ი. გლეხების) ინტერესთა წარმომადგენლები არიან, ახლა თანდათან ხვდებიან, რომ სოციალ-

დემოკრატები სიმართლეს ამბობდნენ. მოვლენებმა დ ა ა დ ა ს ტ უ რ ე ს ჩვენი პოლიტიკა.

მაგრამ იმისათვის, რომ «ძალიან არ დაიგვიანო», «წინდაუხედავ» პოლიტიკოსად რომ არ იქცე, — არ კმარა მოვლენებისაგან სწავლობდე. უნდა გ ა ი გ ო მოვლენების მსვლელობა, გაიგო კლასთა ძ ი რ ი თ ა დ ი თანაფარდობანი, რომლებიც გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ე ნ სხვადასხვა პარტიისა და მთელი სათათბიროს პოლიტიკას.

«გაუფრთხილდით სათათბიროს» — ეს კადეტური ლოზუნგია, რომელიც კადეტურ პოლიტიკას გამოხატავს. რა არის ამ პოლიტიკის დედაარსი? რეაქციასთან შეთანხმება ხალხის მოთხოვნების წინააღმდეგ. რით გამოიხატება ეს შეთანხმება? ისეთი დაწესებულებებისადმი და მოქმედების ისეთი ჩარჩოებისადმი დამორჩილებით, რომლებიც რეაქციას შემოუღია. თავისუფლების მოთხოვნებისა და ხალხის მოთხოვნების გადაქცევით უმნიშვნელო, უბადრუკ, ცრუ «რეფორმებად», რომლებიც ამ ჩარჩოებში თ ა ვ ს დ ე ბ ა. რატომ უწოდებენ სოციალ-დემოკრატები ლიბერალების ამ პოლიტიკას მოღალატურ პოლიტიკას? იმიტომ რომ ყველა წარუმატებელი ბურჟუაზიული რევოლუციის დამარცხება მუდამ შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ ლიბერალებისა და რეაქციის შეთანხმების მეოხებით, ე. ი. იმით, რომ ლიბერალები ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ გადადიოდნენ სახალხო თავისუფლებიდან რეაქციის მხარეზე. ლიბერალური რეფორმიზმი რევოლუციაში — სახალხო თავისუფლებისადმი ღალატია. ხოლო ეს ღალატი გამოწვეულია არა შემთხვევით, არამედ ბურჟუაზიისა და მემამულეთა ერთი ნაწილის კლასობრივი ინტერესებით, რომელთაც ე შ ი ნ ი ა თ ხალხისა და, განსაკუთრებით, მუშათა კლასისა.

«გაუფრთხილდით სათათბიროს» — ამ ლოზუნგს მნიშვნელობა აქვს სწორედ იმიტომ, რომ ის მკაფიოდ გამოხატავს ამ მოღალატური პოლიტიკის ს ა ე რ თ ო ხაზს. მისი ცალკეული გამოვლინებანია: დ უ მ ი ლ ი ს ტაქტიკა დეკლარაციის პასუხად, სასურსათო და უმუშევრობის კომისიების ამოცანების

შეკვეცა, სათათბიროში სიტყვების შეკვეცა, სათათბიროს დახურდავება კომისიებად, ბიუჯეტის გადაცემა კომისიაში და სხვ.

ნაროდნიკები, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, მხარს უჭერდნენ და მხარს უჭერენ კადეტების ამ პოლიტიკას. ნაროდნიკებმა ხმა მისცეს გოლოვინს, ნაცვლად იმისა, რომ თავი შეეკავებინათ. ნაროდნიკები მონაწილეობას იღებდნენ უბადრუკ «დუმილის ტაქტიკაში»; მასში მონაწილეობას იღებდნენ სახალხო სოციალისტებიც და აგრეთვე ესერებიც. მხოლოდ სოციალ-დემოკრატების განმეორებითი გავლენით დაიწყეს ნაროდნიკებმა კადეტებისაგან ჩამოცილება. მაგრამ ახლაც ტრუდოვიკებიც, სახალხო სოციალისტებიც და ესერებიც მერყეობენ მთელ თავიანთ პოლიტიკაში, რადგან მათ არ ესმით ამოცანა კადეტების წინააღმდეგ ბრძოლისა და სათათბიროს ტრიბუნიდან მათი მხილებისა.

ეს მერყეობა — წვრილი ბურჟუას ანემიურობის შედეგია.

ნაწილობრივ რევოლუციით დაღლილი, ნაწილობრივ (სოციალური) ბუნებით მერყეევი და არამტკიცე წვრილი ბურჟუას «ანემიურობა» — «სათათბიროს ანემიურობის» ძირითადი მიზეზია. და ჩვენ ვეტყვით ნაროდნიკებს: ტყუილად ემდურით სარკეს...

ნუ იქნებით ანემიურნი თქვენს პოლიტიკაში, კავშირი გაწყვიტეთ კადეტებთან, მტკიცედ გაჰყევით პროლეტარიატს, სათათბიროს შენარჩუნებაზე ზრუნვა ლიბერალებს მიანდეთ, თქვენ კი აშკარად, გაბედულად და მტკიცედ გაუფრთხილდით განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებსა და ტრადიციებს, — აი, მაშინ თქვენი მონანიება, მართლაც, «სანახევროდ მორჯულება» იქნება!

დაწერილია 1907 წ. 2 (15) აპრილს
დაიბეჭდა 1907 წ. 3 აპრილს
გაზეთში «ნაშე ეხო» № 8

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

# მოზეიმე უხამსობა ანუ მოკადეტო ესერები

გუშინ აღვნიშნეთ, რომ სათათბიროს ერთი თვის არსებობის შემდეგ ნაროდნიკებს თითქოს უცებ მოაგონდათ და დაიწყეს... — არ ვიტყვი: შეგნება-მეთქი, მაგრამ იმის შეგრძნობა მაინც, თუ რამდენად უმსგავსია აბადაღებული კადეტური ლოზუნგი: გაუფრთხილდით სათათბიროსაო. ამის თაობაზე დაწერილ სტატიაში ჩვენ ცხადვყავით, რომ კადეტური ლოზუნგი შემთხვევითი კი არ არის, არამედ იმ პოლიტიკის გამოხატულებაა, რომელსაც ბურჟუაზიისა და მემამულეების ღრმა კლასობრივი ინტერესები განსაზღვრავენ *.

დღეს კადეტების მთავარი ორგანო «რეჩი» (3 აპრილისა) მოწინავეს უძღვნის ამ საკითხს. «უკანასკნელი დღეების მემარცხენე გაზეთების მკაცრი პროტესტები, — წერს კადეტების მოწინავე, — «სათათბიროს გაფრთხილების» ტაქტიკის წინააღმდეგ, საკმაოდ საგანგაშო სიმპტომია».

ეგრე, ეგრე. ჩვენ მოხარული ვართ, რომ ნაროდნიკების სინანული «სათათბიროს გაფრთხილების» გამო კადეტებმაც შეამჩნიეს. მაშასადამე, ჩვენი გუშინდელი დაკვირვება მცდარი არ არის. მაშასადამე, წვრილ ბურჟუაზიაში ნამდვილად არის მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ლიბერალური მემამულეებისაგან მუშათა კლასისაკენ. კეთილიმც იყოს!

კადეტური «რეჩი» «სათათბიროს გაფრთხილების» ტაქტიკას ხოტბას ასხამს ისეთი გამოთქმებით, რომლებიც უნდა უკვდავგვეყო, როგორც უხამსობის მარგალიტი. ყური დაუგდეთ

* იხ. ეს ტომი, გვ. 409 — 413. რ ე დ.

მხოლოდ: «სათათბირო თუ ცოცხლობს, ეს ხომ სწორედ თ ქ ვ ე ნ ი (ოპოზიციის) მეცადინეობის შეგნებული ნაყოფია. ეს არის მოვლენებში თქვენი ნების ჩარევის პირველი ხელშესახები შედეგი. სწორედ ეს ფაქტების უ ქ ო ნ ლ ო ბ ა არის თავისთავად უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, ეს არის თქვენი მოფიქრებული და გატარებული გეგმის შესრულება».

სამწუხაროა, რომ შჩედრინი ვერ მოესწრო რუსეთის «დიდ» რევოლუციას. იგი ალბათ, ახალ თავს მიუმატებდა «ბატონ გოლოვლევებს», იგი გვიჩვენებდა იუდუშკას, რომელიც ამშვიდებს გაწყეპლილ, ნაცემ-ნაგვემ, მშიერ, დამონებულ გლეხს: შენ უკეთესობას მოელი? შენ გულგატეხილი ხარ, იმიტომ რომ არ შეცვლილა წესები, რომლებიც ემყარება შიმშილს, ხალხის დახვრეტას, წკეპლას და მათრახს? შენ უჩივი «ფაქტების უქონლობას»? უმადურო! მაგრამ სწორედ ეს ფაქტების უქონლობა ხომ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია! ეს ხომ შენი ნების ჩარევის შეგნებული შედეგია, რომ ლიდვალები წინანდებურად ბატონობენ, რომ გლეხები მშვიდად წვებიან გასაწკეპლად და არ ეძლევიან მავნე ოცნებას «ბრძოლის პოეზიაზე».

შავრაზმელები ძნელია არ გძულდეთ: გრძნობა აქ უკვე მოკვდა, როგორც კვდება ის, ამბობენ, ომში მთელი წყება ბრძოლების შემდეგ, ადამიანების წინააღმდეგ სროლის ხანგრძლივი გამოცდილებისა და აფეთქებულ გრანატებსა და მოზუზუნე ტყვიებში ყოფნის შემდეგ. ომი — ომია, და შავრაზმელთა წინააღმდეგ ყველგან მიმდინარეობს აშკარა, ჩ ვ ე უ ლ ი ომი.

მაგრამ კადეტ იუდუშკა გოლოვლევს შეუძლია სიძულვილისა და ზიზღის ყველაზე მწვავე გრძნობის გამოწვევა. ამ «ლიბერალურ» მემამულეს და ბურჟუაზიულ ადვოკატს ხომ უსმენენ, უსმენენ გლეხებიც კი. ის ხომ ნამდვილად თვალს უხვევს ხალხს, ნამდვილად აყეყეჩებს ადამიანებს!..

კრუშევანებთან ბრძოლა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა სიტყვებით, კალმით. მათთან სხვანაირი ბრძოლა გვიხდება. კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სიტყვით, კალმით ბრძოლა ნიშნავს, უწი-

ნარეს ყოვლისა, ყველაზე მეტად ააშკარავებდე საზიზღარ პირმოთნეთ, რომლებიც «სახალხო თავისუფლების» გულისათვის, «დემოკრატიის» გულისათვის ხოტბას ასხამენ პოლიტიკურ დამყაყებულობას, ხალხის დუმილს, ობივატელად ქცეული მოქალაქის დაბეჩავებულობას, «ფაქტების უქონლობას». საჭიროა ბრძოლა ამ ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიული ადვოკატების წინააღმდეგ, რომლებიც სავსებით კმაყოფილი არიან იმით, რომ ხალხი სდუმს და რომ მათ შეუძლიათ დაუსჯელად და უშიშრად მოაჩვენონ თავი «სახელმწიფო მოღვაწეებად» და დამამშვიდებელი სიტყვებით მიმართონ იმათ, ვინც «თავდაუჭერლად» აღშფოთებულია კონტრრევოლუციის ბატონობით.

განა შეიძლება დამშვიდებით ისმენდე და გამამათრახებელ პასუხს არ აძლევდე ასეთ სიტყვებს:

«იმ დღეს, როცა თავრიდის სასახლეში დებატებს ისეთსავე ყოველდღიურ აუცილებელ კუთვნილებად მიიჩნევენ, როგორიცაა სადილი დღისით და თეატრი საღამოთი, როცა დღის პროგრამით დაინტერესდებიან არა ყველანი ერთად, არამედ ერთნი თუ მეორენი სპეციალურად (!!), როცა საერთო პოლიტიკის გამო დებატები გამონაკლისი, ხოლო უსაგნო მჭევრმეტყველებაში ვარჯიში ფაქტიურად შეუძლებელი გახდება, იმის გამო, რომ მსმენელები არ იქნებიან, — ამ დღეს შესაძლებელი იქნება მივესალმოთ როგორც წარმომადგენლობითი მმართველობის საბოლოო გამარჯვების დღეს რუსეთში».

ეს შენა ხარ, იუდუშკა! ის დღე, როცა გაწკეპლილნი გონს დაჰკარგავენ და «დებატების» ნაცვლად ჩუმად იქნებიან, როცა მემამულეთათვის ისევე უზრუნველყოფილი იქნება ძველი მემამულური ძალაუფლება («ლიბერალური» რეფორმებით განმტკიცებული), როგორც ლიბერალური იუდუშკებისათვის უზრუნველყოფილია დღისით სადილი, საღამოთი კი თეატრი, — ეს დღე «სახალხო თავისუფლების» საბოლოო ზეიმის დღე იქნება. დღე, როცა კონტრრევოლუცია საბოლოოდ გაიმარჯვებს, კონსტიტუციის საბოლოო გამარჯვების დღე იქნება...

ასე იყო — ბურჟუაზიის ყველა მოღალატეობის დროს ევროპაში. ასე იქნება... იქნება კი ასე, ბატონებო, რუსეთში?

იუდუშკები ცდილობენ ჭუჭყი მოიშორონ, რისთვისაც ამტკიცებენ, «გაფრთხილების» მომხრენი მემარცხენე პარტიებშიც იყვნენ და არიანო. საბედნიეროდ, იუდუშკებისაგან თავგზააბნეულთა შორის ამჯერად ვხედავთ არა სოციალ-დემოკრატს, არამედ ესერს. კადეტებს მოჰყავთ ადგილები რომელიღაც ესერის მიერ ტამერფორსში წარმოთქმული სიტყვიდან; იგი მოუწოდებდა კადეტებთან «თანამშრომლობისაკენ», სადავოდ ხდიდა მათ წინააღმდეგ ბრძოლის დროიანობასა და საჭიროებას.

ჩვენ ამ სიტყვას არ ვიცნობთ, არ ვიცით, სწორედ მოჰყავს თუ არა მისი ციტატები «რეჩს».

მაგრამ ჩვენ ვიცნობთ ესერების უკანასკნელი ყრილობის რეზოლუციას და არა ცალკე სიტყვას, — და ეს რეზოლუცია მართლაც გამოხატავს იმ წვრილი ბურჟუას გამოყეყეჩებას, რომელიც ლიბერალურ იუდუშკას მოუჯადოებია.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ოფიციალურ ორგანოში [89] (1907 წლის 8 მარტის № 6) ეს რეზოლუცია დაბეჭდილია, და ირკვევა, რომ მისი ძველი, თებერვლის ამონაწერები გაზეთებს სწორედ მოუყვანიათ. იქ მართლაც წერია შავით თეთრზე: «ყრილობა (ესერების პარტიისა) თვლის, რომ მკვეთრი პარტიული დაჯგუფება სათათბიროს შიგნით, ყოველი ცალკე ჯგუფის იზოლირებული გამოსვლისა და ფრაქციათა შორის მწვავე ბრძოლის პირობებში, საესებით მოადუნებდა ოპოზიციური უმრავლესობის საქმიანობას და ამით მშრომელი კლასების თვალში სახელს გაუტეხდა თვით სახალხო წარმომადგენლობის იდეას». «რეჩმა» მაშინვე (22 თებერვალს) შეაქო ეს უხამსობა. ჩვენ მაშინვე (23 თებერვალს) ვუპასუხეთ მას, ცხადვყავით ყრილობის ამგვარი რეზოლუციის წვრილბურჟუა-

ზიული წარმოშობა და ლიბერალურ-გამცემლური მნიშვნელობა *.

პოლიტიკურად მოკლავს თუ არა ესერების რომელიღაც ბელადს იუდუშკას ამბორი, — ეს ჩვენ არ გვაინტერესებს. მაგრამ ესერების ყრილობის კადეტური რეზოლუცია ათასჯერ უნდა იქნას გაშუქებული მუშათა წინაშე, — მერყეევი სოციალ-დემოკრატების გასაფრთხილებლად, პროლეტარიატსა და ვითომდა რევოლუციურ ესერებს შორის ყოველგვარი კავშირის გასაწყვეტად.

დაწერილია 1907 წ. 3 (16) აპრილს

დაიბეჭდა 1907 წ. 4 აპრილს
გაზეთში «ნაშე ეხო» № 9

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 185 — 190. რედ.

# სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და 3 აპრილი სათათბიროში

იძულებული ვხდებით დავუბრუნდეთ სახელმწიფო სათათბიროში მომხდარ ინციდენტს იმ შეკითხვასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა მკვლელობებსა და წამებას რიგის საპატიმროში და 74 კაცის გადაცემას სამხედრო-საველე სასამართლოზე. იძულებული ვხდებით, ვამბობთ ჩვენ, ასე მოვიქცეთ, სხვათა შორის, იმიტომ, რომ «ნაროდნაია დუმას» რატომღაც დასჭირდა მიეჩქმალა ამ ამბის ნამდვილი აზრი და ამით მხოლოდ გაეძლიერებინა ის მეტად არახელსაყრელი შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საქციელი ამ საქმეში.

მართალია, სათათბიროში შეკითხვების შეტანის ამ პირველი დღის შესახებ «ნაროდნაია დუმაც» ამბობს: «პირველი ნაზუქი კუტიაო»; მართალია, «ნაროდნაია დუმა» ამის გამო მიუთითებს იმაზე, რომ «სათათბიროს ფრაქციები ჯერ კიდევ ნაკლებად შეეგუენ საპარლამენტო ნიადაგს», მაგრამ მთავარი ეს როდია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ გამოიჩინა არა ს ა პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ო, არამედ წმინდა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გამოუცდელობა. უბედურება ის კი არ არის, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ხანდახან ამა თუ იმ «ფორმალურ ხაფანგში» («ნაროდნაია დუმას» სიტყვებია) გაებმის ხოლმე, არამედ ის, რომ იგი ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ სთმობს თავის პოზიციას, ბოლომდე ვერ მიჰყავს კარგად დაწყებული ბრძოლის საქმე, ვერ გ ა ნ ი მ ტ-

კიცებს ხოლმე გამარჯვებას, როდესაც ამის სრული შესაძლებლობა არის.

ასე მოხდა მთავრობის დეკლარაციაზე პასუხის გაცემის დროს, როცა სოციალ-დემოკრატიამ სრულიად ტყუილ-უბრალოდ დაუთმო თავისი გამარჯვების ნახევარზე მეტი... ბ-ნ სტოლიპინს, ასე მოხდა 3 აპრილს რიგის საშინელებათა შესახებ შეტანილ შეკითხვასთან დაკავშირებით.

კადეტები სასწრაფო შეკითხვების წინააღმდეგნი არიან; ეს სავსებით ბუნებრივია: სასწრაფო შეკითხვა, და ისიც ისეთი საქმის გამო, როგორიც არის მთავრობის სამხედრო-საველე ომი ხალხის წინააღმდეგ, ყოველთვის შეიცავს «დემონსტრაციული გამოსვლის» ელემენტებს, მინისტრებზე ზეგავლენის მოხდენის ელემენტებს. ამგვარი საქმის გამო შეტანილი სასწრაფო შეკითხვა, უეჭველად, ერთ-ერთი ისეთი «ფაქტია», სათათბიროს ერთ-ერთი ისეთი «საქციელია», რაც არ შეესაბამება არც ჩვეულებრივ «სადილს — დღისით», ან «თეატრს — საღამოთი», რომლებთან ერთად ერთ სიბრტყეზე მოთავსება თვით სათათბიროსი ასე ძალიან სწყურია მლიქვნელ «რეჩს». მაგრამ ნუთუ კადეტური გახრწნის ამ საწამლავს შეუძლია იმოქმედოს სათათბიროს მემარცხენე ნაწილზედაც, თვით სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ჩათვლით?! ჩვენ ეს შესაძლებლად არ მიგვაჩნია, ამავე დროს კი...

— სასწრაფო შეკითხვა საჭირო არ არის, — მლიქვნელურად გაიძახოდა ბ-ნი როდიჩევი ტრიბუნიდან, — სასწრაფო შეკითხვამ ამ შემთხვევაში შეიძლება მინისტრების თავმოყვარეობა შელახოსო.

ჩვენ სრულებით არ გვაკვირვებს ამგვარი სიტყვები, წარმოთქმული კადეტების მირაბოს მიერ, რომელიც ასე გულმოდგინედ ასრულებს «tas de blagueurs» * წარმომადგენლის როლს სათათბიროში.

---

* ერთი მუჭა მოლაყბენი.

და როდიჩევს მშვენივრად უპასუხა დეპუტატმა ჯაფარიძემ (ს.-დ.): «ჩვენი მოვალეობაა, — მოაგონა მან მლიქვნელ კადეტებს, — ვთქვათ ჩვენი სიტყვა, როცა ჯალათი მსხვერპლის თავზე მახვილს აღმართავს».

მაშინ ტრიბუნაზე ადის კუზმინ-კარავაევი და კითხულობს მის მიერ რიგიდან მიღებულ დეპეშას, რომელიც გამოუგზავნია იქაურ სატრაპ მელერ-ზაკომელსკის, სწორედ იმ მელერ-ზაკომელსკის, ვისი სახელითაც დედები დღემდე აშინებენ თავიანთ შვილებს ციმბირში. დეპეშა გამოუთქმელად თავხედურია, აღსავსეა ყოვლად უხეში დაცინვით: «...რიგაში არ ყოფილა საბაბი, რომ სასამართლოსათვის გადაეცათ არც 74, არც 70 და არც 4 კაცი; გადასარჩენი ჯერჯერობით არავინ არის».

ამ დეპეშას დეპუტატმა ალექსინსკიმ დაუპირისპირა რიგის პროგრესულ ამრჩეველთაგან მიღებული დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ სამხედრო-საველე სასამართლოსათვის გადაცემა მზადდება.

და დეპუტატ ალექსინსკის შემდეგ, რომელიც მაინც დაჟინებით მოითხოვდა სავსებით სამართლიანად, რომ შეკითხვა სასწრაფოდ შეტანილიყო, ამ გადაუდებელ მოთხოვნას შეუერთდა შრომის ჯგუფი და სოციალისტ-რევოლუციონერთა ჯგუფი.

მაშინ კადეტებმა უკანდახევა დაიწყეს. პერგამენტს არგუმენტებიც კი არ წამოუყენებია, იგი სთხოვდა სათათბიროს მემარცხენე ნაწილს დაჟინებით არ მოეთხოვა სასწრაფო შეკითხვის შეტანა, შეკითხვების კომისიის სახელით იგი წინადადებას იძლეოდა ერთი დღე-ღამის განმავლობაში გაეტარებინათ ეს შეკითხვა კომისიაში. ოღონდ კი სასწრაფო შეკითხვაზე უარი სთქვითო!

გამოდის მოთაფლულ-მისტიკური ბულგაკოვი და სასწრაფო შეკითხვაზე იმავე უარისთქმის გულისათვის სთხოვს არ შეიტანონ ამ საკითხში პარტიული ვნებათაღელვა. ბ-ნ ბულგაკოვს მართებდა უწინარეს ყოვლისა განემარტა თავისი პარტიული კოლეგებისათვის, რომ ამგვარ საქმეებში მლიქვნელობა

უფრო ნაკლებად შესაწყნარებელია, ვიდრე რომელიმე სხვა საქმეში, და ბუნებრივი იქნება ყოველთვის მივიყვანოთ პარტიული ვნებათაღელვა პაროქსიზმებამდე, რომლებიც არავისთვის სასურველი არ არის.

ბულგაკოვის შემდეგ — კიზევეტერი და ახალი ნაბიჯი მემარცხენე ნაწილთან დასაახლოებლად, ახალი მცირეოდენი დათმობა. კიზევეტერი წინადადებას აყენებს საკითხი კომისიას გადაეცეს იმ ანგარიშით, რომ მან თავისი ამოცანა შეასრულოს «ვადის გარეშე».

დელაროვი სახალხო სოციალისტების სახელით მხარს უჭერს სასწრაფო შეკითხვას.

მთელი მემარცხენე ნაწილი სხვადასხვანაირი სიტყვებით, სათათბიროში იშვიათი ერთსულოვნებით, კადეტების წინააღმდეგ გამოვიდა. სულ უფრო და უფრო გამოირკვა, რომ საკითხი პოლიტიკურად ისმის, რომ კადეტური მლიქვნელობის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის საქმე შეიძლება და ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი. წაიკითხეთ ა. სტოლიპინის «შენიშვნები» 4 აპრილის «ნოვოე ვრემიაში». რა ქება-დიდებას ასხამს ის კადეტურ პარტიას! როგორ ესხმის ის თავს თავის მოკავშირეებს — «მემარჯვენეებს», რათა ჩააგონოს მათ, ბოლოს და ბოლოს, რომ საჭირო არ არის ამგვარ შემთხვევებში ესოდენ მკაცრად გამოსვლა, საჭირო არ არის კადეტების დაფრთხობა და იმ შემთანხმებლური გზიდან ჩამოცილება, რომლითაც ისინი ახლა მიდიან! თურმე ნუ იტყვით, «გულწრფელობასა და სერიოზულობას» ხედავდა ბ-ნი სტოლიპინი «კადეტების სიტყვებში» ამ დღეს!

და აი, როცა გამარჯვება სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხელთ იყო, წერეთელი წამოდგა და განაცხადა, ფრაქცია ხსნის თავის წინადადებას სასწრაფო შეკითხვის შესახებო. რატომ? რა მოტივებით? აბსოლუტურად არავითარი საფუძველი არ ყოფილა იმის საფიქრებლად, რომ კომისიაში გადაცემული შეკითხვა უფრო მეტ მოქმედებას მოახდენდა, ვიდრე

სასწრაფო შეკითხვა. ამის მტკიცებას, რა თქმა უნდა, ვერავინ გაბედავს.

წერეთლის განცხადებისათვის არავითარი საფუძველი არ ყოფილა. ეს ნიშნავს საკუთარი თავის გაწკეპლვას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. 3 აპრილის დღეს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის აქტივში ვერ შევიტანთ. აქ მიზეზი, ვიმეორებთ, ს ა პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ო გამოუცდელობა არ არის. აქ მიზეზია სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ის პოლიტიკური მოდუნებულობა, გაუბედაობა, რაც უკვე არაერთხელ გამოვლინებულა და რაც ს.-დ. ფრაქციას ესოდენ უშლის ხელს დაიკავოს სათათბიროში სათათბიროს მთელი მემარცხენე ნაწილის ნამდვილი ბელადის ადგილი. ამაზე თვალი არ უნდა დავხუჭოთ, უნდა ვცდილობდეთ, რომ ამას თავი დავაღწიოთ!

დაწერილია 1907 წ. 4 (17) აპრილს

დაიბეჭდა 1907 წ. 5 აპრილს
გაზეთში «ნაშე ეხო» № 10

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

# რუსეთის რევოლუციის ძალა და სისუსტე

## 1

ამ სათაურით გუშინდელ «ნაროდნაია დუმაში» მოთავსებული სტატია წარმოადგენს სოციალ-დემოკრატების ნამდვილ პრინციპულ უთანხმოებათა მშვიდი, ნათელი და მარტივი გადმოცემის ნიმუშს. ასეთ ნიადაგზე კამათი იმდენადვე სასიამოვნო და სასარგებლოა, რამდენადაც უსიამოვნო და შეუძლებელია პასუხის გაცემა «პრივეტის» [90] ან «ოტგოლოსკის» ისტერიკაზე.

მაშ ასე, გადავიდეთ საქმეზე. უთანხმოებას იწვევს კადეტებისა და ნაროდნიკების შეფასება. კადეტების შესახებ უთანხმოება, «ნაროდნაია დუმას» სავსებით მართებული აზრით, იმ საკითხით ამოიწურება, თუ ვ ი ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ე ნ ი ს ი ნ ი. «საშუალო და წვრილ, უმთავრესად ქალაქის, ბურჟუაზიასაო», — უპასუხებს «ნაროდნაია დუმა». «ასეთი პარტიების ეკონომიური საფუძველია, — ამბობს ბოლშევიკების რეზოლუცია, — საშუალო მემამულეთა და საშუალო ბურჟუაზიის ნაწილი, განსაკუთრებით კი ბურჟუაზიული ინტელიგენცია, მაშინ როდესაც ქალაქისა და სოფლის დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი ჯერ კიდევ მიჰყვება ამ პარტიებს მხოლოდ ტრადიციის ძალით და იმიტომ, რომ ლიბერალების მიერ პირდაპირ მოტყუებულია» *.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 152. რ ე დ.

ცხადია, მენშევიკები უფრო ოპტიმისტურად აფასებენ კადეტებს, ვიდრე ჩვენ. ისინი ჩქმალავენ ან უარყოფენ კადეტების კავშირს მემამულეებთან, ჩვენ კი ამ კავშირს ხაზგასმით აღვნიშნავთ. ისინი ხაზს უსვამენ კადეტების კავშირს ქალაქის დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასთან, ჩვენ კი ეს კავშირი მეტისმეტად სუსტად მიგვაჩნია.

რაც შეეხება მემამულეებს, «ნაროდნაია დუმა» გულუბრყვილობად აცხადებს ჩვენს მსჯელობას «ნაშე ეხოს» მე-7 ნომერში, სადაც ჩვენ 20 მემამულე დავთვალეთ სათათბიროს არა წ ი ნ ა ნ დ ე ლ (ეს «ნაროდნაია დუმას» შეცდომაა), არამედ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ კადეტურ ფრაქციაში *. მილიონერები და სამოქალაქო გენერლები სოციალ-დემოკრატთა შორისაც კი არიანო, ირონიულად შენიშნავს «ნაროდნაია დუმა».

მეტად მსუბუქი ირონიაა! ყველას ესმის, რომ ზინგერები, არონსები, ნალივკინები — ბურჟუაზიიდან პროლეტარიატისაკენ პერსონალური გადასვლის მოვლენებია. რაო, ბატონებო, თქვენ სერიოზულად დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ 20 მემამულე (კადეტების ფრაქციის 79 ჩამოთვლილი წევრიდან, ე. ი. მ ე ო თ ხ ე დ ი ნ ა წ ი ლ ი) პერსონალურად მიჰყვება 60 ბურჟუაზიულ ინტელიგენტს, და არა პირიქით?? თქვენ დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ მემამულე ეწევა ლიბერალურ-ინტელიგენტურ პოლიტიკას და არა ლიბერალური ინტელიგენტები ეწევიან მემამულურ პოლიტიკას?? თქვენი ხუმრობა ზინგერისა და ამხ. ნალივკინის შესახებ — უწყინარი ხუმრობაა უიმედო პოზიციის დასაფარავად და მეტი არაფერი.

რა თქმა უნდა, სათათბიროს კადეტური ფრაქციის შემადგენლობა ძირითადი დამამტკიცებელი საბუთი კი არა, მხოლოდ სიმპტომია. ძირითადი დამამტკიცებელი საბუთია, ჯერ-ერთი, მემამულური ლიბერალიზმის ისტორია რუსეთში (ეს «ნაროდნაია დუმამაც» აღიარა); მეორე — და ეს მთავარია — კადეტების თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე პოლიტიკის ანალიზი. «კადეტური

* იხ. ეს ტომი, გვ. 407. რ ე დ.

აგრარული პოლიტიკა ა რ ს ე ბ ი თ ა დ (ეს დაიხსომეთ) მემამულური პოლიტიკაა» («ნაშე ეხო» № 7). «კადეტური «ლიბერალიზმი» იმ ბურჟუაზიული ადვოკატის ლიბერალიზმია, რომელიც გლეხს მემამულეებთან არიგებს და არიგებს მემამულის სასარგებლოდ» (იქვე) *.

ამ საბუთის საპასუხოდ «ნაროდნაია დუმას» არაფერი აქვს.

შემდეგ. რით ა ს ა ბ უ თ ე ბ ე ნ კადეტების პარტიის კლასობრივ კავშირს ქალაქების დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასთან? არჩევნების სტატისტიკით. ქალაქები ყველაზე მეტ კადეტებს იძლევიანო. ეს ფაქტი სწორია. მაგრამ ის დამამტკიცებელ საბუთად არ გამოდგება. ჯერ-ერთი, ჩვენი საარჩევნო უფლება უპირატესობას აძლევს ქალაქის ბურჟუაზიის ა რ ა დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ფენებს. ყველამ იცის, რომ სახალხო კრებები უ ფ რ ო ზ უ ს ტ ა დ გამოხატავენ «ქალაქების დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი წვრილი ბურჟუაზიის» შეხედულებებსა და სულისკვეთებას. მეორე, დიდი ქალაქების საქალაქო კურიაში კადეტები უფრო ძლიერნი და მემარცხენეები უფრო სუსტნი არიან, ვიდრე წვრილი ქალაქების საქალაქო კურიაში. ამას გვიჩვენებს ამრჩეველთა სტატისტიკა. აქედან კი გამოდის, რომ კადეტები დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზია კი არ არის, არამედ ლიბერალური საშუალო ბურჟუაზიაა. რაც უფრო დიდია ქალაქი, მით უფრო მწვავეა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ანტაგონიზმი, მით უფრო ძლიერნი არიან ქალაქის (ბურჟუაზიულ) კურიაში კადეტები მემარცხენეთა წინააღმდეგ. მესამე, 22 დიდ ქალაქში, სადაც მემარცხენე ბლოკი იყო, მემარჯვენეებმა მოაგროვეს 17 ათასი ხმა, ოქტიაბრისტებმა — 34, კადეტებმა — 74 და მემარცხენეებმა — 41 ათასი. კადეტებისათვის ასე ბევრი ხმის ე რ თ ბ ა შ ი ა დ წართმევა შეიძლებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ კადეტები დემოკრატები ა რ ა რ ი ა ნ. ლიბერალური ადვოკატები ქვეყნად ყველგან ატყუებდნენ დემოკრატიულ წვრილ

* იხ. ეს ტომი, გვ. 406 — 407. რ ე დ.

ბურჟუაზიას, მაგრამ მათ სოციალისტები ააშკარავებდნენ ხოლმე.

«მართალია თუ არა, — კითხვას აყენებს «ნაროდნაია დუმა», — რომ ჩვენი საშუალო და წვრილი ბურჟუაზია უკვე დაინტერესებულია რევოლუციის ჩახშობით, რათა გასტეხოს პროლეტარიატის ძალა, რომელიც მას უშუალოდ ემუქრება?» — და უპასუხებს: «რა თქმა უნდა, მართალი არ არის».

აქ უდავოდ არასწორად არის გადმოცემული ჩვენი შეხედულებანი. ეს უკვე, ძვირფასო ამხანაგებო, პრინციპული პოლემიკა არ არის... თქვენ თვითონ მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ჩვენ კადეტების კონტრრევოლუციურობას განვასხვავებთ ოქტიაბრისტების კონტრრევოლუციურობისაგან; — რომ ჩვენ წვრილ ბურჟუაზიაზე სრულიადაც არ ვავრცელებთ კონტრრევოლუციურობის ბრალდებას; — რომ ჩვენ კადეტურ მემამულეებს ისეთ ხალხად ვთვლით, რომელსაც არა მარტო მუშების, არამედ გლეხებისაც ეშინია. ეს აზრის შედავება კი არა, აზრის დამახინჯებაა.

აზრის შედავებას წარმოადგენს «ნაროდნაია დუმას» შემდეგი საბუთი. კადეტები უფრო ზომიერნი და უფრო რეაქციულნი ხდებიან არა რევოლუციის აღმავლობასთან, არამედ მის შენელებასთან დაკავშირებით, ე. ი. არა თავიანთი კონტრრევოლუციურობის, არამედ თავიანთი უძლურების გამოო. კადეტების ტაქტიკა, — ხაზგასმით წერს «ნაროდნაია დუმა», — «ეს — კონტრრევოლუციური ძალის ტაქტიკა კი არ არის, ეს — რევოლუციური უძლურების ტაქტიკაა».

გამოდის, რომ კადეტებიც რევოლუციონერები არიან, ოღონდ უძლურნი. უცნაური დასკვნაა. ამ აშკარა შეუსაბამობამდე მისვლისათვის საჭირო იყო მსჯელობის დაწყება ძირითადი შეცდომით. ეს შეცდომაა კადეტების მემამულური ხასიათის უარყოფა (მემამულე რუსეთში კონტრრევოლუციურია ან შავრაზმელისა და ოქტიაბრისტის ყაიდაზე, ანდა კადეტის ყაიდაზე) და იმის უარყოფა, რომ კადეტებში

ბურჟუაზიული ინტელიგენცია სჭარბობს. ამ ორ შეცდომას თუ გავასწორებთ, მივიღებთ სწორ დასკვნას: კადეტების ტაქტიკა არის მემამულური კონტრრევოლუციურობისა და ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური უძლურების ტაქტიკა. მემამულეები — კონტრრევოლუციური ძალაა. მსხვილი ბურჟუებიც ასევე. ბურჟუაზიული ინტელიგენტი და ლიბერალური მოხელე — მათი მშიშარა მსახურია, რომელიც კონტრრევოლუციისადმი მსახურებას «დემოკრატიული» თვალთმაქცობით ფარავს.

მართალი არ არის, რომ კადეტები «უფრო და უფრო მემარჯვენე» ხდებოდნენ მხოლოდ რევოლუციის შენელებასა და არა აღმავლობასთან დაკავშირებით. გაიხსენეთ «ნაჩალო»[91], ამხანაგო «ნაროდნაია დუმელებო». გაიხსენეთ იმგვარი სტატიები, როგორიც იყო: «ვიტე — ბირჟის აგენტი, სტრუვე — ვიტეს აგენტი». რა კარგი სტატიები იყო! რა კარგი დრო იყო... მაშინ ჩვენსა და მენშევიკებს შორის არ იყო აზრთა სხვადასხვაობა კადეტების შეფასებაში... იმისათვის, რომ სწორად გავაშუქოთ კადეტების დამოკიდებულება რევოლუციის აღმავლობისა ან რევოლუციის აღმავლობათა მიმართ, უნდა ვთქვათ: რევოლუცია ქუჩაში გამოჩნდება ხოლმე, კადეტი მინისტრის დერეფანში.

სტრუვე — ვიტესთან 1905 წლის ნოემბერში. რომელიღაც კადეტი — რომელიღაც შავრაზმელთან 1906 წლის ივნისში. მილიუკოვი — სტოლიპინთან 1907 წლის 15 იანვარს. ასე იყო — ასე იქნება...

* * *

«ნაროდნაია დუმა» ეკონომიურად ასაბუთებს თავის შეხედულებებს კადეტებზე და დაასკვნის:

«რუსეთში ქალაქების სუსტი განვითარებისა და ქალაქის მრეწველობაში მსხვილი ინდუსტრიის გაბატონებული გავლე-

ნის პირობებში, ჩვენს ქალაქის საშუალო და წვრილ ბურჟუაზიას იმდენად მცირე გავლენა აქვს ქვეყნის საერთო ეკონომიურ ცხოვრებაზე, რომ არ შეუძლია თავს გრძნობდეს ისეთსავე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად, როგორ ძალადაც თავის დროზე გრძნობდა ინგლისის ან საფრანგეთის ბურჟუაზია»... ძალიან კარგი და პატიოსანი. მაგრამ ეს კ ა დ ე ტ ე ბ ს რ ო დ ი შეეხება. და შემდეგ, აქ უკვე სავსებით საფუძველი ეცლება «ქალაქის მსხვილი პროგრესული» და «სოფლის წვრილი ჩამორჩენილი» ბურჟუაზიის იმ ვითომდა მარქსისტულ დაპირისპირებას, რომლითაც არაერთგზის ცდილობდნენ გაეგმართლებინათ მენშევიკური ტაქტიკა... «ხოლო თავის იარაღად პროლეტარიატის გადაქცევა მას არ შეუძლია, იმიტომ რომ პროლეტარიატი უკვე საკუთარი სოციალ-დემოკრატიული დროშით იბრძვის...» მართალია!.. «აი, სად არის თვითმპყრობელურ ბატონყმურ წყობილებასთან ბრძოლაში მთელი მისი მერყეობის, მთელი მისი გაუბედაობის წყარო»... ესეც მართალია, ოღონდ არა კადეტების, არამედ შ რ ო მ ი ს პარტიებისა და ჯგუფების მიმართ, რომლებიც არა მარტო სოფლის, არამედ ქალაქის წვრილ ბურჟუაზიასაც ეყრდნობიან!

...«ქალაქის ბურჟუაზიული დემოკრატიის ამავე შედარებითი სისუსტით აიხსნება ისიც, რომ როგორც კი ჩვენი ბურჟუაზიული დემოკრატები გამემარცხენებას იწყებენ, მათ მაშინვე ქალაქის ნიადაგი ფეხქვეშ ეცლებათ და გლეხურ-ნაროდნიკულ ჭაობში ჩაფლობას იწყებენ».

მართალია! ათასჯერ მართალია! ჩვენ ოცნებასაც კი ვერ გავბედავდით იმაზე, რომ «ნაროდნაია დუმა» ასე სავსებით დაადასტურებდა ბოლშევიკურ ტაქტიკას. «როგორც კი ჩვენი ბურჟუაზიული დემოკრატები გამემარცხენებას იწყებენ, — ისინი ნაროდნიკები ხდებიანო». სწორედ რომ ასეა: მ ე - მ ა რ ც ხ ე ნ ე ბურჟუაზიული დემოკრატები — აი ესენი არიან ნაროდნიკები. კადეტებს კი მხოლოდ თავი მოაქვთ დემოკრატებად, ნამდვილად კი სულაც არ არიან დემოკრატები. ამიტომ, რამდენადაც პროლეტარიატს უხდება მოახდინოს ბურჟუაზიული რევოლუცია ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან ერ-

თად, — ამდენად იგი უნდა გამოდიოდეს პოლიტიკური «ბლოკით» ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, არა მარტო საარჩევნო და არა მარტო საპარლამენტო შეთანხმებებით, არამედ ერთობლივი მოქმედებითაც რაიმე შეთანხმების დაუდებლად მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ნაწილთან, ე. ი. ნაროდნიკულ წვრილ ბურჟუაზიასთან, შავრაზმელების წინააღმდეგ და კადეტების წინააღმდეგ!

**Quod erat demonstrandum** — რისი დამტკიცებაც იყო საჭირო.

სპეციალურად ნაროდნიკების შესახებ «ნაროდნაია დუმასთან» საუბარი გვექნება შემდეგ.

II *

თუ აღვიარებთ, რომ «ნაროდნიკები კადეტების მემარცხენე მეზობლები არიან», რომ ისინი «მუდამ მერყეობენ კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის», აქედან გარდუვალად გამომდინარეობს ბოლშევიკური პოლიტიკის აღიარება: ვაიძულოთ ნაროდნიკები დადგნენ სოციალ-დემოკრატების მხარეზე შავრაზმელთა წინააღმდეგ და კადეტთა წინააღმდეგ.

მენშევიკები ცდილობენ მათი საკუთარი აღიარებიდან გამომდინარე ეს გარდუვალი დასკვნა შეასუსტონ ან უარყონ იმაზე მითითებით, რომ გლეხობა, რომელიც ლიბერალებზე «უ ფ რ ო რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი და უ ფ რ ო დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ა», იმავე დროს «გამსჭვალულია რეაქციული სოციალური უტოპიებით» და ისწრაფის «ეკონომიურ დარგში უკუღმა დაატრიალოს ისტორიის ჩარხი».

ეს მსჯელობა, რომელიც ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაში მეტად ჩვეულებრივი მოვლენაა, შეიცავს დიდ ლოგიკურ შეცდომასაც და ისტორიულ-ეკონომიურ შეცდომასაც. ერთმანეთს ადარებენ ადლსა და ფუთს, სოციალისტური

* რადგან მთავრობამ «ნაროდნაია დუმა» დახურა, ჩვენ, რამდენადაც შესაძლებელია, მასთან უშუალო კამათს თავს ავარიდებთ და შევჩერდებით მარქსიზმის მიერ ნაროდნიკობის პრინციპულ შეფასებაზე.

რევოლუციის შესახებ გლეხური იდეების რეაქციულობას და ბურჟუაზიულ რევოლუციაში ლიბერალური პოლიტიკის რეაქციულობას.

თუ სოციალიზმის ამოცანების მიმართ გლეხები, უეჭველია, მხარს უჭერენ რეაქციულ უტოპიებს, ლიბერალური ბურჟუები ამ ამოცანების მიმართ მხარს უჭერენ 1848 წლის ივნისის ან 1871 წლის მაისის ამბების მსგავს რეაქციულ ანგარიშის გასწორებას.

ხოლო თუ ახლანდელ, ე. ი. ბურჟუაზიულ რევოლუციაში გლეხობა და მისი იდეოლოგები, ნაროდნიკები, ლიბერალებთან შედარებით რეაქციულ პოლიტიკას ეწევიან, მარქსისტი არასოდეს არ ჩათვლის ნაროდნიკებს ლიბერალებზე უფრო მემარცხენე, უფრო რევოლუციურ, უფრო დემოკრატიულ მოღვაწეებად.

ცხადია, აქ რაღაც სხვა ამბავია.

შეადარეთ ერთმანეთს ლიბერალებისა და ნაროდნიკების აგრარული პოლიტიკა. არის თუ არა მასში ამჟამად ეკონომიურ-რეაქციული ნიშნები? ორივე პარტიას აქვს რეაქციული მისწრაფება — შეზღუდონ მიწათმფლობელობის მობილიზაცია. მაგრამ კადეტური აგრარული პოლიტიკის მოხელური ხასიათი (მემამულურ-ბიუროკრატიული საადგილმამულო კომიტეტები) ამ პოლიტიკის რეაქციულობას გაცილებით უფრო საშიშარს ხდის პრაქტიკულად და დაუყოვნებლივ. მაშასადამე, ამ მუხლის მიხედვით შედარება მთლიანად ლიბერალების წინააღმდეგ ლაპარაკობს.

მიწათსარგებლობის «გათანაბრება»... წვრილ მწარმოებელთა თანასწორობის იდეა რეაქციულია, როგორც ისეთი ცდა, რომელიც სოციალისტური რევოლუციის ამოცანების გადაწყვეტას წარსულში დაეძებს და არა მომავალში. პროლეტარიატს თან მოაქვს არა წვრილ მეპატრონეთა თანასწორობის სოციალიზმი, არამედ მსხვილი განსაზოგადოებული წარმოების სოციალიზმი. მაგრამ თანასწორობის იგივე იდეა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანების ყველაზე სრული, თანამიმდევარი

და გაბედული გამოხატულებაა. იმ მარქსისტებს, რომლებსაც ეს დავიწყნიათ, შეიძლება ვურჩიოთ მიმართონ მარქსის «კაპიტალის» პირველ ტომს და ენგელსის «ანტი-დიურინგს». თანასწორობის იდეა ყველაზე სრულად გამოხატავს ბატონყმობის ყველა ნაშთის წინააღმდეგ ბრძოლას, სასაქონლო წარმოების ყველაზე ფართო და ნამდვილი სახით განვითარებისათვის ბრძოლას.

ჩვენში ეს ხშირად ავიწყდებათ, როცა ნაროდნიკული «გათანაბრების» აგრარული პროექტების რეაქციულობაზე ლაპარაკობენ.

თანასწორობა არა მარტო იდეურად გამოხატავს თავისუფალი კაპიტალიზმისა და სასაქონლო წარმოების პირობების უაღრესად სრულ განხორციელებას. მატერიალურადაც, მიწათმოქმედების ეკონომიური ურთიერთობის დარგში, მიწათმოქმედებისა, რომელიც ბატონყმობიდან წარმოიშობა, წვრილ მწარმოებელთა თანასწორობა კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის ყველაზე ფართო, სრული, თავისუფალი და სწრაფი განვითარების პირობას წარმოადგენს.

ეს განვითარება რუსეთში დიდი ხანია მიმდინარეობს. რევოლუციამ იგი დააჩქარა. მთელი საკითხი ის არის, წარიმართება იგი, ასე ვთქვათ, პრუსიული ტიპის მიხედვით (მემამულური მეურნეობის შენარჩუნება და დამონება კნეხტისა, რომელიც «სამართლიანი შეფასებით» იხდის ლატაკური ნადელის საფასურს), თუ ამერიკული ტიპის მიხედვით (მემამულური მეურნეობის მოსპობა, მთელი მიწის გლეხთა ხელში გადასვლა).

ეს — მთელი ჩვენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ძირითადი საკითხია, მისი დამარცხებისა თუ გამარჯვების საკითხია.

სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ მთელი მიწის გლეხთა ხელში გადასვლას გამოუსყიდველად, ე. ი. გადაჭრით იბრძვიან კაპიტალიზმის განვითარების მეორე, ხალხისათვის ხელსაყრელი, ტიპის სასარგებლოდ. მებატონე-მემამულეთა წინააღმდეგ

გლეხთა ბრძოლის დროს მიწისათვის ბრძოლაში ყველაზე ძლიერი იდეური იმპულსია თანასწორობის იდეა, — და ბატონყმობის ყველა და ყოველგვარი ნაშთის ყველაზე სრულ მოსპობას წარმოადგენს წვრილ მწარმოებელთა შორის თანასწორობის შექმნა. ამიტომ თანასწორობის იდეა გლეხთა მოძრაობისათვის ყველაზე რევოლუციური იდეაა არა მარტო პოლიტიკური ბრძოლის სტიმულის მნიშვნელობით, არამედ ბატონყმობის ნაშთებისაგან სოფლის მეურნეობის ეკონომიური გაწმენდის სტიმულის მნიშვნელობითაც.

რამდენადაც ნაროდნიკები ოცნებობენ, რომ თანასწორობამ შეიძლება იარსებოს სასაქონლო წარმოების საფუძველზე, რომ ეს თანასწორობა შეიძლება სოციალიზმისაკენ განვითარების ელემენტი იყოს, — ამდენად მათი შეხედულებანი მცდარია, მათი სოციალიზმი რეაქციულია. ეს უნდა იცოდეს და ახსოვდეს ყოველ მარქსისტს. მაგრამ მარქსისტი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განსაკუთრებული ამოცანების ისტორიული განხილვის საქმეს უღალატებდა, თუ იგი დაივიწყებდა, რომ თანასწორობის სწორედ ეს იდეა და გათანაბრების ყოველნაირი გეგმები ყველაზე სრული გამოხატულებაა ა რ ა სოციალისტური, არამედ ბურჟუაზიული რევოლუციის ამოცანებისა, არა კაპიტალიზმთან, არამედ მემამულურ და ბიუროკრატიულ წყობილებასთან ბრძოლის ამოცანებისა.

ან პრუსიული ტიპის ევოლუცია: მებატონე-მემამულე იუნკერი ხდება. სახელმწიფოში ათეული წლების მანძილზე განმტკიცებულია მემამულეთა ძალაუფლება. მონარქია. «საპარლამენტო ფორმებით შემოქარგული სამხედრო დესპოტიზმი» დემოკრატიის ნაცვლად. უდიდესი უთანასწორობა სოფლისა და დანარჩენ მოსახლეობაში. ანდა ამერიკული ტიპის ევოლუცია. მემამულური მეურნეობის მოსპობა. გლეხი თავისუფალი ფერმერი ხდება. ხალხის გამგებლობა. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილება. უდიდესი თანასწორობა სოფლის მოსახლეობაში, როგორც თავისუფალი კაპიტალიზმის გამოსავალი წერტილი და პირობა.

ასეთია ნამდვილად ისტორიული ალტერნატივა, შელამაზებული კადეტების პირმოთნეობით (რომლებსაც ქვეყანა პირველი გზით მიჰყავთ) და ნაროდნიკების სოციალურ-რეაქციული უტოპიზმით (რომლებსაც ქვეყანა მეორე გზით მიჰყავთ).

ცხადია, პროლეტარიატმა მთელი ძალები უნდა წარმართოს მეორე გზის მხარის დასაჭერად. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიშორებენ მშრომელი კლასები ყველაზე სწრაფად უკანასკნელ ბურჟუაზიულ ილუზიებს, — რადგან თანასწორობის სოციალიზმი წვრილი მეპატრონის უკანასკნელი ბურჟუაზიული ილუზიაა. მხოლოდ ამ შემთხვევაში ნამდვილად გამოსცდიან სულ მოკლე ხანში ხალხის მასები, არა წიგნებით, არამედ გამოცდილების ნიადაგზე სწავლით, ყველა და ყოველგვარი გათანაბრების პროექტების უძლურებას, უძლურებას — კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩამოიბერტყავს პროლეტარიატი უფრო სწრაფად «შრომის», ე. ი. მეშჩანურ ტრადიციებს, განთავისუფლდება იმ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანებისაგან, რომლებიც ახლა მას გარდუვალად აწევს, და მ თ ე ლ ი ძ ა ლ ე ბ ი თ მოჰკიდებს ხელს თავის საკუთარ, ნამდვილად კლასობრივ, ე. ი. სოციალისტურ ამოცანებს.

მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულისა და სოციალისტური ამოცანების თანაფარდობის გაუგებლობა აიძულებს ზოგიერთ სოციალ-დემოკრატს ეშინოდეს ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის პოლიტიკისა.

მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლუციის ამოცანებისა და დედაარსის გაუგებლობა წარმოშობს ისეთ მსჯელობას, როგორიც არის შემდეგი: «ის (ჩვენი რევოლუცია) საბოლოო ანგარიშით წარმოშობილია არა გლეხთა ინტერესებით, ა რ ა მ ე დ (??) განვითარების გზაზე მდგომი ბურჟუაზიული საზოგადოების ინტერესებით», ან: «ეს რევოლუცია ბურჟუაზიულია და ამიტომ (!! ??) ის არ შეიძლება მიმდინარეობდეს გლეხობის დროშითა და ხელმძღვანელობით» («ნაროდნაია დუმა», № 21, 4 აპრილი). გამოდის, რომ გლეხური მეურნეობა რუსეთში რა-

ღაც სხვა, არა ბურჟუაზიულ, ნიადაგზე დგას! გლეხთა მასის ინტერესები — ეს სწორედ «ბურჟუაზიული საზოგადოების» ყველაზე სრული, სწრაფი და ფართო «განვითარების», «ამერიკული» და არა «პრუსიული» განვითარების, ინტერესებია. სწორედ ამიტომ ბურჟუაზიული რევოლუცია შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ დ ე ს «გლეხობის ხელმძღვანელობით» (უფრო სწორედ: პროლეტარული ხელმძღვანელობით, თუ გლეხები, კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის რომ მერყეობენ, საერთოდ და მთლიანად სოციალ-დემოკრატებს გ ა ჰ ყ ვ ე ბ ი ა ნ). ბურჟუაზიული რევოლუცია ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით შეიძლება იყოს მხოლოდ დაუმთავრებელი რევოლუცია (ე. ი. არა რევოლუცია, არამედ, ზუსტად რომ ვთქვათ, რეფორმა). ნამდვილი რევოლუცია შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის ხელმძღვანელობით.

«ნაშე ეხო» №№ 10 და 12;
1907 წ. 5 და 7 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «ნაშე ეხოს» ტექსტის მიხედვით

# წინასიტყვაობა
# რუსულად ნათარგმნი წიგნისა: «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსისა და სხვათა წერილები ფ. ა. ზორგესა და სხვებისადმი»

დაწერილია 1907 წ. 6 (19) აპრილს

დაიბეჭდა 1907 წ. წიგნში:
«ი. ფ. ბეკერის, ა. დიცგენის,
ფ. ენგელსის, კ. მარქსისა და სხვათა
წერილები ფ. ა. ზორგესა და
სხვებისადმი».
გამომც. პ. გ. დაუგესი, ს.-პეტერბურგი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება წიგნის ტექსტის
მიხედვით

მარქსის, ენგელსის, დიცგენის, ბეკერისა და წარსული საუკუნის საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სხვა ბელადთა წერილების კრებული, რომელსაც რუს საზოგადოებას ვაწვდით, ჩვენი მოწინავე მარქსისტული ლიტერატურის აუცილებელი დამატებაა.

ჩვენ აქ დაწვრილებით არ შევჩერდებით ამ წერილების მნიშვნელობაზე სოციალიზმის ისტორიისათვის და მარქსისა და ენგელსის მოღვაწეობის ყოველმხრივი გაშუქებისათვის. საქმის ეს მხარე განმარტებას არ საჭიროებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დაბეჭდილი წერილების გასაგებად საჭიროა გაცნობა ძირითადი ნაშრომებისა ინტერნაციონალის ისტორიის დარგში (იხ. **Jekk** *: «ინტერნაციონალი». რუსული თარგმანი, «ზნანიეს» გამოცემა), შემდეგ — გერმანიისა და ამერიკის მუშათა მოძრაობის ისტორიის დარგში (იხ. ფრ. მერინგი: «გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორია» და მორის ჰილკვიტი: «სოციალიზმის ისტორია ამერიკაში») და სხვ.

ჩვენ არ ვფიქრობთ აგრეთვე ვცადოთ და აქ წარმოვადგინოთ ამ მიწერ-მოწერის შინაარსის საერთო ნარკვევი და იმ სხვადასხვა ისტორიული პერიოდის შეფასება, რომელთაც იგი ეკუთვნის. მერინგმა ეს ჩინებულად შეასრულა თავის სტატიაში: **«Der Sorgesche Briefwechsel»** (**«Neue Zeit», 25. Jahrg., Nr. 1 und 2)** **, რომელსაც, ალბათ, გამომცემელი დაურთავს ამ თარგმანს ან გამოვა ცალკე რუსულ გამოცემად.

---

* — იეკი. რ ე დ.

** — «ზორგეს მიწერ-მოწერა» («ახალი დროება», გამოცემის 25-ე წელი, №№ 1 და 2). რ ე დ.

ახლანდელ რევოლუციურ ეპოქაში რუსი სოციალისტებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ის გაკვეთილები, რომელნიც მებრძოლმა პროლეტარიატმა უნდა გამოიტანოს მარქსისა და ენგელსის თითქმის 30 წლის (1867—1895) მოღვაწეობის ინტიმური მხარეების გაცნობიდან. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაშიც ზორგესადმი მარქსისა და ენგელსის წერილების მკითხველებისათვის გაცნობის პირველი ცდები ხდებოდა რუსეთის რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის «საბრძოლო» საკითხებთან დაკავშირებით (პლეხანოვის «სოვრემენნაია ჟიზნ», მენშევიკური «ოტკლიკი» [92]). ჩვენ გვინდა მკითხველების ყურადღება შევაჩეროთ სწორედ დაბეჭდილი მიწერ-მოწერის იმ ადგილების შეფასებაზე, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის მუშათა პარტიის თანამედროვე ამოცანების თვალსაზრისით.

თავიანთ წერილებში მარქსი და ენგელსი ყველაზე ხშირად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს ინგლის-ამერიკისა და გერმანიის მუშათა მოძრაობის საჭირბოროტო საკითხებზე. ეს გასაგებია, რადგან ისინი გერმანელები იყვნენ, რომელნიც მაშინ ინგლისში ცხოვრობდნენ და მიწერ-მოწერა ჰქონდათ თავიანთ ამერიკელ ამხანაგებთან. საფრანგეთის მუშათა მოძრაობაზე და განსაკუთრებით პარიზის კომუნაზე მარქსი გაცილებით უფრო ხშირად და დაწვრილებით ლაპარაკობდა იმ წერილებში, რომელთაც ის სწერდა გერმანელ სოციალ-დემოკრატ კუგელმანს *.

იმის შედარება, თუ რა აზრებს გამოთქვამდნენ მარქსი და ენგელსი ინგლის-ამერიკისა და გერმანიის მუშათა მოძრაობის საკითხებზე, მეტად საგულისხმოა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ, ერთი მხრით გერმანია, მეორე მხრით, ინგლისი და ამერიკა წარმოადგენენ კაპიტალისტური განვითარე-

* იხ. «კ. მარქსის წერილები დ-რ კუგელმანისადმი». თარგმანი ნ. ლენინის რედაქციით და წინასიტყვაობით. სპბ. 1907 წ. (იხ. ეს ტომი, გვ. 111 — 122. რ ე დ.).

ბის სხვადასხვა სტადიას, ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ბატონობის სხვადასხვა ფორმას ამ ქვეყნების მთელ პოლიტიკურ ცხოვრებაში, — მაშინ აღნიშნულ შედარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეცნიერული თვალსაზრისით, ჩვენ აქ ვხედავთ მატერიალისტური დიალექტიკის ნიმუშს, იმის უნარს, რომ პირველ რიგში წამოსწიონ და ხაზი გაუსვან საკითხის სხვადასხვა პუნქტს, სხვადასხვა მხარეს ამა თუ იმ პოლიტიკური და ეკონომიური პირობების კონკრეტულ თავისებურებებთან შეფარდებით. მუშათა პარტიის პრაქტიკული პოლიტიკისა და ტაქტიკის თვალსაზრისით, ჩვენ აქ ვხედავთ იმის ნიმუშს, თუ როგორ განსაზღვრავდნენ «კომუნისტური მანიფესტის» შემოქმედნი მებრძოლი პროლეტარიატის ამოცანებს სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალური მუშათა მოძრაობის სხვადასხვა ეტაპთან შეფარდებით.

ინგლისურ-ამერიკულ სოციალიზმში მარქსი და ენგელსი ყველაზე მკვეთრად აკრიტიკებენ მის მოწყვეტას მუშათა მოძრაობისაგან. მთელ მათს მრავალრიცხოვან შენიშვნებში ინგლისის «სოციალ-დემოკრატიულ ფედერაციაზე» (**Social-Democratic Federation**) და ამერიკელ სოციალისტებზე წითელი ზოლივით გატარებულია ბრალდება, რომ მათ მარქსიზმი გადააქციეს დოგმად «გაქვავებულ (**starre**) ორთოდოქსიად», რომ ისინი მასში ხედავენ «სარწმუნოების სიმბოლოს და არა სახელმძღვანელოს მოქმედებისათვის» [93], რომ ისინი ვერ ახერხებენ შეეწყონ მათ ახლოს მიმდინარე, თეორიულად უმწეო, მაგრამ ცოცხალ, მასობრივ, მძლავრ მუშათა მოძრაობას. «სად ვიქნებოდით ახლა, — ამბობს ენგელსი 1887 წლის 27 იანვრის წერილში, — ჩვენ რომ 1864—1873 წლების პერიოდში მუდამ მოსურნენი ვყოფილიყავით ხელიხელჩაკიდებული გვევლო მხოლოდ იმათთან, ვინც აშკარად აღიარებდა ჩვენს პროგრამას?» [94]. ხოლო წინა წერილში (1886 წლის 28 დეკემბერი), ეხება რა ამერიკაში ჰენრი ჯორჯის იდეების მუშათა კლასზე გავლენის საკითხს, ის წერს:

«ერთი ან ორი მილიონი მუშინ ხმა, მიცემული ნოემბერში ნამდვილი («bona fide») მუშათა პარტიის სასარგებლოდ, ამჟამად გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ასიათასობით ხმები, მიცემული თეორიულად უმწიკვლო პროგრამის სასარგებლოდ».

ეს მეტად საინტერესო ადგილებია. ჩვენში გამოჩნდნენ სოციალ-დემოკრატები, რომელთაც არ დააყოვნეს მათი გამოყენება «მუშათა ყრილობის» იდეის ანუ რაღაც ლარინისეული «ფართო მუშათა პარტიის» დასაცავად. რატომ «მემარცხენე ბლოკის» დასაცავად არა? — ვეკითხებით ჩვენ ენგელსის ასეთ აჩქარებულ «გამომყენებელთ». წერილები, საიდანაც ამოღებულია ციტატები, ეკუთვნის იმ დროს, როცა ამერიკის მუშები არჩევნებში ხმას აძლევდნენ ჰენრი ჯორჯს. ქ-ნმა ვიშნეეეკაიამ — ამერიკელმა ქალმა, რომელიც ცოლად გაჰყვა რუსს და სთარგმნიდა ენგელსის თხზულებებს, — სთხოვა ენგელსს, როგორც ენგელსის პასუხიდან ჩანს, კარგად გაეკრიტიკებინა ჰენრი ჯორჯი. ენგელსი წერს (1886 წლის 28 დეკემბერს), რომ ამისთვის ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო, რადგან უკეთესია მუშათა პარტიამ დაიწყოს ჩამოყალიბება თუნდაც არა სავსებით წმინდა პროგრამის ნიადაგზე. მერე კი თვითონ მუშები მიხვდებიან, რაშია საქმე, «ისწავლიან თავისი შეცდომების დახმარებით», ხოლო ხელის შეშლას «მუშათა პარტიის ნაციონალური შეკავშირებისათვის, სულერთია რომელი პროგრამის საფუძველზედაც უნდა იყოს, — მე დიდ შეცდომად ჩავთვლიდიო» [95].

რასაკვირველია, ჰენრი ჯორჯის იდეების მთელი შეუსაბამობა და რეაქციულობა სოციალისტური თვალსაზრისით ენგელსს ჩინებულად ესმოდა და მრავალჯერაც აღუნიშნავს. ზორგეს მიწერ-მოწერაში არის კ. მარქსის 1881 წლის 20 ივნისის მეტად საინტერესო წერილი, სადაც ის შეფასებას აძლევს ჰ. ჯორჯს, როგორც რადიკალური ბურჟუაზიის იდეოლოგს. «თეორიულად ჰენრი ჯორჯი სრულიად ჩამორჩენილი ადამიანია» (total errière), წერდა მარქსი [96]. და ამ ნამდვილ სოციალისტ-რეაქციო-

ნ ე რ თ ა ნ ერთად არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა არ ეშინოდა ფრ. ენგელსს, ოღონდ ყოფილიყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც შეეძლებოდათ მასებისათვის ეწინასწარმეტყველათ «მათი საკუთარი შეცდომების შედეგები» (ენგელსი, 1886 წლის 29 ნოემბრის წერილი)[97].

ამერიკელი მუშების მაშინდელი ორგანიზაციის, «შრომის რაინდების» (**Knights of Labor**), შესახებ ენგელსი იმავე წერილში წერდა: «მათი უსუსტესი (სიტყვა-სიტყვით: დამპალი, faulste) მხარე იყო — პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ა ვ შ ე კ ა ვ ე ბ ა»... «მოძრაობაში ყოველი ახლად შემავალი ქვეყნის ერთ-ერთი პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი უნდა იყოს დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანიზაცია, სულერთია, რა გზითაც უნდა იყოს ეს მიღწეული, ოღონდ კი იგი იყოს ნამდვილი მუშათა პარტია»[98].

ცხადია, აქედან სრულიად არაფრის გამოყვანა არ შეიძლება ნახტომის დასაცავად ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი-დ ა ნ მუშათა უპარტიო ყრილობისაკენ და სხვა. რადიკალურ «სოციალ-რეაქციონერებთან» ერთად ხანდახან საარჩევნო კამპანიის დაშვების აუცილებლობა კი უნდა გამოიყვანოს აქედან ყველამ, ვისაც არ სურს, რომ მას შეეფარდოს ენგელსის ბრალდება მარქსიზმის ჩამოქვეითებაში «დოგმამდე», «ორთოდოქსიამდე», «სექტანტობამდე» და სხვ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, უფრო საინტერესოა შევჩერდეთ არა იმდენად ამ ამერიკულ-რუსულ პარალელებზე (ჩვენ მათ უნდა შევხებოდით, რათა პასუხი გაგვეცა მოწინააღმდეგეთათვის), — რამდენადაც ინგლის-ამერიკის მუშათა მოძრაობის ძ ი რ ი თ ა დ ნიშნებზე. ეს ის ნიშნებია, რომ არ არსებობს ცოტად თუ ბევრად დიდი, საერთონაციონალური დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ამოცანები პროლეტარიატის წინაშე; პროლეტარიატი -მთლიანად ექვემდებარება ბურჟუაზიულ პოლიტიკას; ერთი მუჭა სოციალისტები სექტანტურად მოწყვეტილია პროლეტარიატისაგან; სოციალისტებს არავითარი წარმატება არა აქვთ არჩევნებში მუშათა მასების წინაშე

და სხვა. ვინც ივიწყებს ამ ძირითად პირობებს და ცდილობს «ამერიკულ-რუსული პარალელებიდან» ფართო დასკვნები გამოიყვანოს, ის უკიდურეს ზერელობას ააშკარავებს.

თუ ენგელსი ასეთ დიდ ყურადღებას აქცევს მუშათა ეკონომიურ ორგანიზაციებს ამგვარ პირობებში, ეს იმიტომ, რომ ლაპარაკია ყველაზე უფრო დამკვიდრებულ დემოკრატიულ წესებზე, რომლებიც პროლეტარიატის წინაშე აყენებენ წმინდა სოციალისტურ ამოცანებს.

თუ ენგელსი დიდ ყურადღებას აქცევს დამოუკიდებელი, თუნდაც ცუდი პროგრამის მქონე მუშათა პარტიის მნიშვნელობას, ეს იმიტომ, რომ ლაპარაკია იმ ქვეყნებზე, სადაც მანამდე ხსენებაც კი არ იყო მუშათა რაიმე პოლიტიკური დამოუკიდებლობისა, — სადაც მუშები პოლიტიკაში ყველაზე მეტად მისჩანჩალებდნენ და მისჩანჩალებენ ბურჟუაზიას.

ცდა ასეთი მსჯელობიდან გამოტანილი დასკვნების გავრცელებისა იმ ქვეყნებზე ან ისტორიულ მომენტებზე, სადაც პროლეტარიატმა უფრო ადრე შექმნა თავისი პარტია, ვიდრე ლიბერალურმა ბურჟუებმა, — სადაც პროლეტარიატს არავითარი ტრადიცია არა აქვს ბურჟუაზიული პოლიტიკანებისათვის ხმისმიცემის საქმეში, — სადაც რიგში უშუალოდ დგას არა სოციალისტური, არამედ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანები, — ამისი ცდა ნიშნავს მარქსის ისტორიული მეთოდის აბუჩად აგდებას.

ჩვენი აზრი კიდევ უფრო ნათელი გახდება მკითხველისათვის, თუ ერთმანეთს შევადარებთ ენგელსის შენიშვნებს ინგლის-ამერიკისა და გერმანიის მოძრაობის შესახებ.

ასეთი შენიშვნებიც, თანაც უაღრესად საინტერესო, მრავალია დაბეჭდილ მიწერ-მოწერაში. და ყველა ამ შენიშვნაში წითელი ზოლივით გავლებულია სრულიად სხვა რამ: გაფრთხილება მუშათა პარტიის «მემარჯვენე ფრთის» წინააღმდეგ, დაუნდობელი (ზოგჯერ — როგორც მარქსს ჰქონდა 1877 — 1879 წწ. — გ ა ა ფ თ რ ე ბ უ ლ ი) ომი ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ თ ა ნ სოციალ-დემოკრატიაში.

დავადასტუროთ ეს ჯერ წერილებიდან ამოღებული ციტატებით, ხოლო შემდეგ შევჩერდეთ ამ მოვლენის შეფასებაზე.

უწინარეს ყოვლისა, აქ უნდა აღვნიშნოთ კ. მარქსის შენიშვნები ხეხბერგსა და კომპანიაზე. ფრ. მერინგი თავის სტატიაში «Der Sorgesche Briefwechsel» ცდილობს შეარბილოს მარქსის თავდასხმები, ისევე როგორც ენგელსის მერმინდელი თავდასხმები ოპორტუნისტებზე, — ცდილობს, ჩვენი აზრით, ცოტა გადაჭარბებულად. კერძოდ, ხეხბერგისა და კომპანიის შესახებ მერინგი იცავს თავის აზრს — მარქსს სწორად არ შეუფასებია ლასალი და ლასალიანელებიო. ჩვენ კი, ვიმეორებთ, გვაინტერესებს აქ არა სახელდობრ ამა და ამ სოციალისტზე მარქსის თავდასხმების სისწორისა თუ გადაჭარბების ისტორიული შეფასება, არამედ მარქსის მიერ საზოგადოდ სოციალიზმში არსებულ განსაზღვრულ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა თ ა პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი შეფასება.

სჩიევის რა გერმანელ სოციალ-დემოკრატთა კომპრომისებზე ლასალიანელებსა და დიურინგთან (1877 წლის 19 ოქტომბრის წერილი), მარქსი გმობს აგრეთვე კომპრომისს «მოუმწიფებელი სტუდენტებისა და ფრიად ჭკვიანი დოქტორების» («დოქტორი» გერმანულად — სამეცნიერო ხარისხია, რაც შეესაბამება ჩვენებურ «კანდიდატს» ან «პირველი ხარისხით უნივერსიტეტდამთავრებულს») «მთელ ბანდასთან, რომელთაც ამოცანად დაისახეს მისცენ სოციალიზმს «უფრო მაღალი იდეალისტური» მიმართულება, ე. ი. შესცვალონ მისი მატერიალისტური ბაზა — (რომელიც ობიექტურ შესწავლას მოითხოვს, სანამ მისით ოპერირებას დაიწყებენ) — ახალი მითოლოგიით ყველა მისი ღვთაებითურთ: სამართლიანობით, თავისუფლებით, თანასწორობითა და **fraternité**-თი (ძმობით). ამ მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენელია პარტიაში «ფულით შესული» ჟურნალ «**Zukunft**»-ის * გამომცემელი, დ-რი ხეხბერგი, — შეიძლება შემოსული «მეტად

* — «მომავალი». რ ე დ.

ქეთილი» განზრახვებით, მაგრამ მე ვაფურთხებ ყოველგვარ «განზრახვას». იშვიათად თუ გაჩენილა რაიმე ქვეყნად იმაზე უფრო უბადრუკი და უფრო «მცირე პრეტენზიის» მქონე, როგორც მისი «Zukunft»-ის პროგრამაა» (წერილი № 70) [99].

მეორე წერილში, რომელიც დაწერილია თითქმის ორი წლის შემდეგ (1879 წლის 19 სექტემბერს), მარქსი უარყოფს ჭორებს, თითქოს ის და ენგელსი ი. მოსტის ზურგს უკან იდგნენ, და დაწვრილებით უამბობს ზორგეს, თუ როგორ უყურებს ის ოპორტუნისტებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ჟურნალ «Zukunft»-ს ხელმძღვანელობდნენ ხეხბერგი, შრამი და ედ. ბერნშტეინი. მარქსმა და ენგელსმა უარი განაცხადეს ამგვარ გამოცემაში მონაწილეობაზე, ხოლო როცა ლაპარაკი ჩამოვარდა იმავე ხეხბერგის მონაწილეობით და მისი ფულადი დახმარებით ახალი პარტიული ორგანოს დაარსებაზე, მარქსი და ენგელსი, «დოქტორების, სტუდენტებისა და კათედრის სოციალისტების ასეთი ნარევის» კონტროლის გასაწევად, ჯერ მოითხოვდნენ მათ მიერ დანიშნული პასუხისმგებელი რედაქტორის ჰირშის მიღებას, შემდეგ კი პირდაპირი ცირკულარით მიმართეს ბებელს, ლიბკნეხტსა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხვა ბელადებს და აფრთხილებდნენ მათ, რომ აშკარად შეებრძოლებიან «თეორიისა და პარტიის ასეთ გაუხამსებას» (Verluderung — კიდევ უფრო მაგარი სიტყვაა გერმანულად), თუ ხეხბერგის, შრამისა და ბერნშტეინის მიმართულება არ შეიცვლებაო.

ეს ის დრო იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელზედაც მერინგი თავის «ისტორიაში» წერდა — «არეულობის წელიო» («Ein Jahr der Verwirrung»). «განსაკუთრებული კანონის» შემდეგ პარტიამ ერთბაშად ვერ იპოვა სწორი გზა და შესტოპა ჯერ მოსტის ანარქიზმში და ხეხბერგისა და კომპანიის ოპორტუნიზმში. «ამ ადამიანებს, — წერს მარქსი უკანასკნელის შესახებ, — რომელნიც თეორიულად ნულები არიან, ხოლო პრაქტიკულად არაფრად არ ვარ-

განან, უნდათ, რომ სოციალიზმი (რომელზედაც მათ წარმოდგენა აქვთ უნივერსიტეტის რეცეპტით) და, უმთავრესად, სოციალ-დემოკრატიული პარტია უფრო ზომიერი გახადონ, ხოლო მუშები გაანათლონ, ან, როგორც ისინი ამბობენ, ჩაუნერგონ მათ «განათლების ელემენტები», მაშინ როდესაც თვითონ მათ მხოლოდ ბუნდოვანი ნახევარცოდნა აქვთ, და, გარდა ამისა, ისინი უწინარეს ყოვლისა ამოცანად ისახავენ პარტიის მნიშვნელობა ასწიონ წვრილი ბურჟუაზიის თვალში. მიუხედავად ამისა ისინი, არც მეტი, არც ნაკლები, უბადრუკი კონტრრევოლუციური მოლაყბენი არიან»[100].

მარქსის «გაოფთრებულ» იერიშს მოჰყვა ის, რომ ოპორტუნისტებმა უკან დაიხიეს და... გაქრნენ. 1879 წლის 19 ნოემბრის წერილში მარქსი იტყობინება, რომ ხეხბერგი სარედაქციო კომისიიდან გააძევეს, ხოლო მისი იდეები უ ა რ ყ ო პარტიის ყველა გავლენიანმა წინამძღოლმა, ბებელმა, ლიბკნეხტმა, ბრაკემ და სხვებმაო[101]. სოციალ-დემოკრატების პარტიულმა ორგანომ «სოციალ-დემოკრატმა» დაიწყო გამოსვლა ფოლმარის რედაქციით, რომელიც მაშინ პარტიის რევოლუციურ ფრთაზე იდგა. კიდევ ერთი წლის შემდეგ (1880 წლის 5 ნოემბერს) მარქსი ამბობს, რომ ის და ენგელსი მუდამ ებრძოდნენ ამ «სოციალ-დემოკრატის» «უბადრუკ» (miserabel) ხელმძღვანელობას და ხშირად მ კ ვ ე თ რ ა დ ა ც ებრძოდნენ («wobei's oft scharf hergeht»). ლიბკნეხტი 1880 წელს მარქსთან იყო და აღუთქვა, რომ მოხდება ყ ო ვ ე ლ-მ ხ რ ი ვ ი «გაუმჯობესებაო»[102].

მშვიდობა აღდგენილ იქნა, და ომმა თავი აღარ იჩინა. ხეხბერგი განზე გადგა, ხოლო ბერნშტეინი რევოლუციური სოციალ-დემოკრატი გახდა... ენგელსის სიკვდილამდე მაინც (1895 წ.).

1882 წლის 20 ივნისს ენგელსი სწერს ზორგეს და ამ ბრძოლაზე ლაპარაკობს როგორც უკვე წარსულზე: «საერთოდ საქმეები გერმანიაში მშვენივრად მიდის. მართალია, პატონი პარტიული ლიტერატორები ცდილობდნენ გამოეწ-

ვიათ პარტიაში რეაქციული შებრუნება, მაგრამ საშინლად დამარცხდნენ. აბუჩად აგდებამ, რასაც ყველგან განიცდიან მუშა სოციალ-დემოკრატები, ისინი კიდევ უფრო მეტად გააარევოლუციურა, ვიდრე სამი წლის წინათ იყვნენ... ამ ვაჟბატონებს (პარტიულ ლიტერატორებს) უნდოდათ უწყინარობისა, მორჩილებისა და ლაქუცის საშუალებით გამოეჯანჯლათ გაუქმება სოციალისტების საწინააღმდეგო კანონისა, რომელმაც ასე უდიერად მოუსპო მათ ლიტერატურული შემოსავალი. ამ კანონის გაუქმებისთანავე, უეჭველად, თავს იჩენს გათიშვა, და ბატონი ფირეკები, ხეხბერგები და სხვები შექმნიან მემარჯვენე ფრთას და ჩამოგვშორდებიან; მათთან დროგამოშვებით შეიძლება მოლაპარაკების გამართვა, ვიდრე ისინი, ბოლოს, სრულიად არ გაქრებიან. ეს აზრი ჩვენ გამოვთქვით სოციალისტების საწინააღმდეგო კანონის შემოღებისთანავე, როცა ხეხბერგმა და შრამმა «წელიწდეულში» დაბეჭდეს პარტიული მოღვაწეობის უაღრესად საზიზღარი შეფასება და მოითხოვდნენ პარტიისაგან უფრო თავაზიან, ზრდილობიან და ელეგანტურ მოქმედებას»[103] («jebildetes» — gebildetes-ის ნაცვლად. ენგელსი გულისხმობს გერმანელი ლიტერატორების ბერლინურ აქცენტს).

ბერნშტეინიადის წინასწარმეტყველება 1882 წელს შესანიშნავად დადასტურდა 1898 წელს და შემდგომ წლებში.

და მას შემდეგ, განსაკუთრებით მარქსის სიკვდილის შემდეგ, ენგელსი, — შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას: დაუღალავად ახდენს იმ «ჯოხის გადაღუნვას», რომელსაც გერმანელი ოპორტუნისტები ამრუდებენ.

1884 წლის დასასრული. ჰაიცხავენ რაიხსტაგის იმ გერმანელ სოციალ-დემოკრატ დეპუტატთა «მეშჩანურ ცრურწმენებს», რომლებმაც ხმა მისცეს ნაოსნობის სუბსიდიას («Dampfersubvention» იხ. მერინგის «ისტორიაში»). ენგელსი ატყობინებს ზორგეს, რომ მას დიდი მიწერ-მოწერა უხდება ამის გამო (1884 წლის 31 დეკემბრის წერილი)[104].

1885 წელი. ენგელსი შეფასებას აძლევს «**Dampfersubvention**»-ის მთელ ისტორიას და წერს (3 ივნისს), რომ «საქმე კინაღამ გათიშვამდე მივიდაო». სოციალ-დემოკრატ დეპუტატთა «ფილისტერობა» «კ ო ლ ო ს ა ლ უ რ ი» იყო. «წვრილბურჟუაზიულ-სოციალისტური ფრაქცია გარდუვალია ისეთ ქვეყანაში, როგორიც გერმანია არისო», — ამბობს ენგელსი [105].

1887 წელი. ენგელსი უპასუხებს ზორგეს, რომელიც სწერდა მას, რომ პარტია თავს ირცხვენს დეპუტატებად ფირეკის (ხეხბერგისებური სოციალ-დემოკრატი) მსგავსი ადამიანების არჩევითაო. რა გაეწყობა, — თავს იმართლებს ენგელსი, — მუშათა პარტია ვერსაიდან შეარჩევს რაიხსტაგის კარგ დეპუტატებსაო. «მემარჯვენე ფრთის ვაუბატონებმა კი იციან, რომ მათ ითმენენ მხოლოდ სოციალისტების საწინააღმდეგო კანონის გამო და რომ პირველ დღესვე, როცა პარტია უფრო ადვილად ამოისუნთქავს, მათ პარტიიდან გააძევებენო». და საერთოდ უკეთესიც არის, «დაე, პარტია იდგეს თავის საპარლამენტო გმირებზე მაღლა, ვიდრე პირიქით» (1887 წლის 3 მარტი). ლიბკნეხტი — შემარიგებელია, — სჩივის ენგელსი, — ის სულ ფრაზებით ჰფარავს უთანხმოებას. მაგრამ როცა საქმე გათიშვამდე მიდგება, — გადამწყვეტ წუთს ის ჩვენთან იქნებაო [106].

1889 წელი. ორი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიული კონგრესი პარიზში. ოპორტუნისტები (ფრანგი პოსიბილისტების [107] მეთაურობით) გაეთიშნენ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს. ენგელსი (მაშინ ის 68 წლისა იყო) ჭაბუკივით ებმება ბრძოლაში. მთელი რიგი წერილები (დაწყებული 1889 წლის 12 იანვრიდან 20 ივლისამდე) მიეძღვნა ოპორტუნისტებთან ბრძოლას. ხვდება არა მარტო მათ, არამედ გერმანელებსაც, ლიბკნეხტს, ბებელს და სხვებს, მათი შემარიგებლობისათვის.

პოსიბილისტები მიეყიდნენ მთავრობასაო, — წერს ენგელსი 1889 წლის 12 იანვარს. ხოლო ინგლისის «სოციალ-დემოკრა-

ტიული ფედერაციის» (S. D. F.) წევრებს ის ამხელს და ბრალად სდებს პოსიბილისტებთან კავშირს.[108] «აქა-იქ სირბილი და დიდი მიწერ-მოწერა ამ წყეული ყრილობის გამო აღარაფრისთვის აღარ მიტოვებს დროს» (1889 წლის 11 მაისი). პოსიბილისტები ფუსფუსებენ, ჩვენებს კი სძინავთ, — ჯავრობს ენგელსი. ახლა აუერი და შიპელიც კი მოითხოვენ, რომ ჩვენ პოსიბილისტების კონგრესს დავესწროთ. მაგრამ ამან «ბოლოს» თვალი აუხილა ლიბკნეხტს. ენგელსი ბერნშტეინთან ერთად წერს პამფლეტებს (ბერნშტეინის ხელმოწერით, — ენგელსი მათ უწოდებს: «ჩვენი პამფლეტები») ოპორტუნისტების წინააღმდეგ[109].

«გარდა S. D. F.-ისა, პოსიბილისტებს მთელ ევროპაში არც ერთი სოციალისტური ორგანიზაცია არ ემხრობა (1889 წლის 8 ივნისი). მაშასადამე, მათ არაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ დაუბრუნდნენ არასოციალისტურ ტრედ-უნიონებს» (ფართო მუშათა პარტიის, მუშათა ყრილობის და სხვათა ჩვენებურ თაყვანისმცემელთა საყურადღებოდ!). «ამერიკიდან მათთან ჩამოვა მხოლოდ ერთი დელეგატი შ რ ო მ ის რ ა ი ნ დ ე ბ ი ს ა გ ა ნ». მოწინააღმდეგე იგივეა, რაც ბაკუნისტებთან ბრძოლაში: «მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ანარქისტების დროშა შეცვლილია პოსიბილისტების დროშით; ბურჟუაზიისათვის იგივე მიყიდვა ცალობით თავისი პრინციპებისა კონცესიების მისაღებად, უმთავრესად კი წინამძღოლთათვის თბილი ადგილების მისაღებად (ქალაქის გამგეობის, შრომის ბირჟისა და სხვათა წევრები)». ბრუსი (პოსიბილისტების ბელადი) და ჰაინდმანი (პოსიბილისტებთან შეერთებული S. D. F.-ის ბელადი) თავს ესხმიან «ავტორიტარულ მარქსიზმს» და სურთ შეადგინონ «ახალი ინტერნაციონალის ბირთვი».

«ვერ წარმოიდგენ, რამდენად გულუბრყვილონი არიან გერმანელები! დიდი შრომა დამჭირდა, რათა განმემარტა, თვით ბებელისთვისაც კი, რაშია ნამდვილად აქ საქმე» (1889 წლის 8 ივნისი)[110]. და როდესაც ორივე კონგრესი შესდგა,

როდესაც რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა რიცხვით გადააჭარბეს პოსიბილისტებს (გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ უ ლ თ ტრედ-უნიონისტებთან, S. D. F.-ბთან, ავსტრიელების ნაწილთან და სხვ.), ენგელსი აღტაცებულია (1889 წლის 17 ივლისი) [111]. მას ახარებს, რომ ლიბკნეხტისა და სხვათა შემარიგებელი გეგმები და წინადადებანი ჩაიფუშა (1889 წლის 20 ივლისი). «ჩვენმა სანტიმენტალურმა შემარიგებელმა კომპანიამ კი მთელი თავისი გულითადობისათვის მიიღო საკადრისი ტლანქი პანღური ყველაზე რბილ ადგილას». «იქნებ, ამან განკურნოს ისინი რამდენიმე ხნით» [112].

...მერინგი მართალია («Der Sorgesche Briefwechsel»), როცა ამბობს — მარქსსა და ენგელსს «კარგი ტონისა» ცოტა რამ ესმოდათო: «ისინი დიდხანს არ ყოყმანობდნენ, როცა სხვებს ურტყამდნენ, მაგრამ არც მაშინ წუწუნებდნენ, როცა მათ მოხვდებოდათ ხოლმე». «თუ თქვენ ფიქრობთ, — წერდა ერთხელ ენგელსი, — რომ თქვენი ნემსის ჩხვლეტა გახვრეტს ჩემს ძველს, კარგად გამოქნილ, სქელ კანს, — ძალიან სცდებით» [113]. და მათ მიერ შეძენილ ამ უგრძნობლობას, — წერს მერინგი მარქსსა და ენგელსზე, — ისინი სხვებშიც გულისხმობდნენ.

1893 წელი. ანგარიშის გასწორება «ფაბიანელებთან», რაც თავისთავად გვადგება ენაზე... ბერნშტეინელებზე მსჯელობისათვის (ტყუილად ხომ არ «აღუზრდია» ბერნშტეინს თავისი ოპორტუნიზმი ინგლისში «ფაბიანელებზე»). «ფაბიანელები აქ, ლონდონში, წარმოადგენენ კარიერისტების ბანდას, რომელთაც თუმცა საკმაოდ მოეპოვებათ საღი აზროვნება, რათა გაიგონ სოციალური გადატრიალების გარდუვალობა, მაგრამ ისინი ამ გიგანტურ მუშაობას ვერ ანდობენ მარტო უხეშ პროლეტარიატს; ამიტომ მათ კეთილ ინებეს და სათავეში ჩაუდგნენ მას. რევოლუციის წინაშე შიში — მათი ძირითადი პრინციპია. ისინი par excellence * «ინტელიგენტები» არიან. მათი სოციალიზმი მუნიციპალური სოციალიზმია:

* — უპირატესად. რ ე დ.

კომუნა და არა ერი უნდა გახდეს, პირველ ხანებში მაინც, წარმოების საშუალებათა მესაკუთრე. თავიანთ სოციალიზმს კი ისინი გვიხატავენ ბურჟუაზიული ლიბერალიზმის უკიდურეს, მაგრამ აუცილებელ შედეგად. აქედან გამომდინარეობს მათი ტაქტიკა: გადამწყვეტი ბრძოლა კი არ აწარმოონ ლიბერალებთან, როგორც მოწინააღმდეგეებთან, არამედ უბიძგონ მათ სოციალისტური დასკვნებისაკენ, ე. ი. ატყუონ ისინი, «გაქღენთონ ლიბერალიზმი სოციალიზმით», კი არ დაუპირისპირონ ლიბერალებს სოციალისტი კანდიდატები, არამედ შეაჩეჩონ ისინი ლიბერალებს, ე. ი. მოტყუებით გაიყვანონ ისინი... მაგრამ, რომ ისინი ამასთან ან თვითონ იქნებიან მოტყუებულნი, ან სოციალიზმს მოატყუებენ, ეს, რა თქმა უნდა, მათ არ ესმით.

ფაბიანელებმა, ყოველგვარ ნაგავთან ერთად, გამოსცეს რამდენიმე კარგი პროპაგანდისტული თხზულებაც, და ეს ყველაზე უკეთესი რამაა, რაც ამ დარგში გააკეთეს ინგლისელებმა. მაგრამ როგორც კი ისინი უბრუნდებიან თავიანთ სპეციფიკურ ტაქტიკას — კლასობრივი ბრძოლის მიფუჩეჩებას, საქმე ცუდად არის ხოლმე. კლასობრივი ბრძოლის გამო მათ ფანატიკურად სძულთ მარქსი და ვძულვართ ჩვენ ყველანი.

ფაბიანელებს, რა თქმა უნდა, ბევრი ბურჟუაზიული მომხრე ჰყავთ, ამიტომ მათ «დიდძალი ფული» აქვთ... [114].

## კლასიკური შეფასება ინტელიგენტური ოპორტუნიზმისა სოციალ-დემოკრატიაში

1894 წელი. გლეხთა საკითხი. «კონტინენტზე, — წერს ენგელსი 1894 წლის 10 ნოემბერს, — მოძრაობის ზრდასთან ერთად ძლიერდება მისწრაფებაც კიდევ უფრო მეტი წარმატებებისაკენ, ხოლო გლეხებზე ნადირობა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მოდაში შემოდის. ჯერ ფრანგებმა, ლაფარგის პირით, განაცხადეს ნანტში, არათუ ჩვენი საქმე არ არის დავაჩქაროთ წვრილი გლეხობის გაღატაკება — ჩვენთვის ამაზე კაპიტალიზმი იზრუნებს, — არამედ საჭიროა პირ-

დაპირ დავიცვათ გლეხი ფისკის, მევახშეებისა და მსხვილი მიწათმფლობელების წინააღმდეგო. მაგრამ ამას ჩვენ ვერასგზით ვერ დავეთანხმებით, რადგან ეს, ჯერ-ერთი, სისულელეა, ხოლო, მეორე — შეუძლებელიცაა. ამის შემდგომ ფრანკფურტში გამოდის ფოლმარი, რომელიც საზოგადოდ მოწადინებულია მოისყიდოს გლეხები, ამასთან ის გლეხი, რომელთანაც მას საქმე აქვს ზემო ბავარიაში, ის არ არის, რაც რაინისპირელი წვრილი, ვალებით დაბეჩავებული გლეხი, არამედ ეს არის საშუალო და დამოუკიდებელი მსხვილი მიწათმოქმედი, რომელიც ექსპლოატაციას უწევს მოჯამაგირე მამაკაცებსა და ქალებს და ვაჭრობს პირუტყვითა და პურით. ხოლო ყველა პრინციპზე ხელაუღებლად ამაზე დათანხმება შეუძლებელია» [115].

1894 წელი, 4 დეკემბერი:.. «ბავარიელები მეტისმეტად ოპორტუნისტულნი გახდნენ და თითქმის უბრალო სახალხო პარტიად გადაიქცნენ (მე ვლაპარაკობ ბელადების უმრავლესობაზე და პარტიაში შემოსულ მრავალ ახალ ელემენტზე); ბავარიის ლანდტაგში მათ ხმა მისცეს ბიუჯეტს მთლიანად, განსაკუთრებით კი ფოლმარმა მოაწყო აგიტაცია გლეხებს შორის იმ მიზნით, რომ გადმოებირებინა არა მოჯამაგირეები, არამედ ზემობავარიელი მსხვილი მიწათმოქმედნი — ადამიანები, რომელნიც ფლობენ 25 — 80 აკრ მიწას (10 — 30 ჰექტარს), ე. ი. რომლებსაც სრულიად არ შეუძლიათ შეელიონ მუშების დაქირავებას»... [116].

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ათ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე მარქსი და ენგელსი სისტემატურად, განუხრელად ებრძოდნენ ოპორტუნიზმს გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და სდევნიდნენ ინტელიგენტურ ფილისტერობას და მეშჩანობას სოციალიზმში. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. ფართო საზოგადოებამ იცის, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია პროლეტარიატის მარქსისტული პოლიტიკისა და ტაქტიკის ნიმუშად ითვლება, მაგრამ არ იცის, რა მუდმივი ომის წარმოება უხდებოდათ მარქსიზმის ფუძემდებელთ ამ

პარტიის «მემარჯვენე ფრთის» (ენგელსის გამოთქმაა) წინააღმდეგ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ რომ ეს ომი მალე ფარული ომის ნაცვლად აშკარა ომად იქცა, — ეს შემთხვევითი არ არის. ეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიული განვითარების ათეული წლების გარდუვალი შედეგია.

და ახლა ჩვენს წინაშე განსაკუთრებით მკაფიოდ დგება ენგელსის (და მარქსის) რჩევის, მითითების, შესწორების, მუქარისა და დარიგების ორი ხაზი. ინგლისელ-ამერიკელ სოციალისტებს ისინი ყველაზე უფრო დაჟინებით მოუწოდებდნენ შეერთებოდნენ მუშათა მოძრაობას, აღმოეფხვრათ თავიანთ ორგანიზაციებში ვიწრო და დახავსებული სექტანტური სული. გერმანელ სოციალ-დემოკრატებს ისინი ყველაზე დაჟინებით ასწავლიდნენ: არ გადავარდეთ ფილისტერობაში, «პარლამენტურ იდიოტიზმში» (მარქსის სიტყვებია 1879 წლის 19 სექტემბრის წერილში)[117] მეშჩანურ-ინტელიგენტურ ოპორტუნიზმშიო.

განა დამახასიათებელი არ არის, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული ნათლიდედები აწრიპინდნენ პირველი სახის რჩევა-დარიგების შესახებ და ტუჩები მოიკუმეს, ხმა გაიკმინდეს მეორე სახის რჩევა-დარიგების გამო? განა ასეთი ცალმხრიობა მარქსისა და ენგელსის წერილების შეფასებაში ჩვენი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული... ერთგვარი «ცალმხრიობის» საუკეთესო მაჩვენებელს არ წარმოადგენს?

დღეს, როდესაც საერთაშორისო მუშათა მოძრაობას ემჩნევა ღრმა დუღილისა და მერყეობის სიმპტომები, როდესაც ოპორტუნიზმის, «პარლამენტური იდიოტიზმის» და ფილისტერული რეფორმიზმის უკიდურესობამ რევოლუციური სინდიკალიზმის პირიქითი უკიდურესობა გამოიწვია, — დღეს ინგლისურ-ამერიკული და გერმანული სოციალიზმის მიმართ მარქსისა და ენგელსის «შესწორებათა» საერთო ხაზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს.

ისეთ ქვეყნებში, სადაც არ არის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, არ არიან სოციალ-დემოკრატი

დეპუტატები პარლამენტებში, არ არის არავითარი სისტემატური, მტკიცე სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკა არც არჩევნებში, არც პრესაში და სხვა, — ასეთ ქვეყნებში მარქსი და ენგელსი ასწავლიდნენ სოციალისტებს რადაც უნდა დაჯდომოდათ გაერღვიათ ვიწრო სექტანტობა და შეერთებოდნენ მუშათა მოძრაობას, რათა პოლიტიკურად შეენჯღრიათ პროლეტარიატი, რადგან არც ინგლისში და არც ამერიკაში პროლეტარიატი XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში თითქმის არავითარ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას არ იჩენდა. ამ ქვეყნებში პოლიტიკური ასპარეზი, — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ისტორიული ამოცანების თითქმის აბსოლუტური უქონლობის პირობებში, — მთლად დაკავებული ჰქონდა გამარჯვებულ, თვითკმაყოფილ ბურჟუაზიას, რომელსაც მუშების მოტყუების, გახრწნისა და მოსყიდვის ხელოვნებაში ქვეყნიერებაზე ბადალი არა ჰყავს.

იმის ფიქრი, რომ მარქსისა და ენგელსის ეს რჩევა-დარიგებანი ინგლის-ამერიკის მუშათა მოძრაობის მიმართ შეიძლება უბრალოდ და პირდაპირ შეუფარდოთ რუსეთის პირობებს, — ნიშნავს გამოიყენოთ მარქსიზმი არა მისი მეთოდის გასარკვევად, არა მუშათა მოძრაობის კონკრეტულ ისტორიულ თავისებურებათა შესასწავლად განსაზღვრულ ქვეყნებში, არამედ წვრილმანი ფრაქციული, ინტელიგენტური ანგარიშებისათვის.

პირიქით, ისეთ ქვეყანაში, სადაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია დაუმთავრებელი დარჩა, სადაც მეფობდა და მეფობს «პარლამენტური ფორმებით შემოქარგული სამხედრო დესპოტიზმი» (მარქსის გამოთქმაა მის «გოთას პროგრამის კრიტიკაში») [118], სადაც პროლეტარიატი უკვე დიდი ხანია ჩაბმულია პოლიტიკაში და სოციალ-დემოკრატიულ პოლიტიკას აწარმოებს, — ასეთ ქვეყანაში მარქსსა და ენგელსს ყველაზე მეტად აშინებდა პარლამენტური უხამსო-

ბა, მუშათა მოძრაობის ამოცანებისა და გაქანების ფილისტერული დაკნინება.

ჩვენ მარქსიზმის ეს მხარე მით უფრო უნდა აღვნიშნოთ ხაზგასმით და წინ წამოვაყენოთ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში, რომ ჩვენში ფართო, «ბრწყინვალე», მდიდარი ლიბერალურ-ბურჟუაზიული პრესა მრავალი ათასი ხმით ჩასძახის პროლეტარიატს მეზობელი გერმანიის მუშათა მოძრაობის «სანიმუშო» ლოიალობის, პარლამენტური ლეგალობის, თავმდაბლობისა და ზომიერების შესახებ.

რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიულ გამცემთა ეს ანგარებიანი სიყალბე გამოწვეულია არა შემთხვევით და არა კადეტური ბანაკის რომელიმე ყოფილი ან მომავალი მინისტრის პირადი გათახსირებით. იგი გამოწვეულია რუსეთის ლიბერალური მემამულეებისა და ლიბერალური ბურჟუების ღრმა, ეკონომიური ინტერესებით. და ამ სიყალბესთან, ამ «მასების დაჩლუნგებასთან» («Massenverdummung» — ენგელსის გამოთქმაა 1886 წლის 29 ნოემბრის წერილში) [119] ბრძოლაში მარქსისა და ენგელსის წერილები უბადლო იარაღს უნდა წარმოადგენდეს რუსეთის ყველა სოციალისტისათვის.

ლიბერალური ბურჟუების ანგარებიანი სიცრუე უჩვენებს ხალხს გერმანელი სოციალ-დემოკრატების სანიმუშო «თავმდაბლობას». ამ სოციალ-დემოკრატების ბელადები, მარქსიზმის თეორიის ფუძემდებელნი, გვეუბნებიან:

«ფრანგების რევოლუციურმა გამოსვლამ ფირეკისა და კომპანიის (ოპორტუნისტი სოციალ-დემოკრატები გერმანიის პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში) თვალთმაქცობა კიდევ უფრო ულაზათო სახით გამოააშკარავა» (ლაპარაკია მუშათა პარტიის შექმნაზე საფრანგეთის პალატაში და დეკაზვილის გაფიცვაზე, რომელმაც ფრანგი რადიკალები საფრანგეთის პროლეტარიატს ჩამოაშორა [120]). «უკანასკნელ სოციალისტურ დებატებში უკვე მხოლოდ ლიბკნეხტი და ბებელი გამოდიოდნენ და ორივენი — ძალიან მარჯვედ. ასეთი

დებატებით ჩვენ კვლავ შეგვიძლია გამოვჩნდეთ რიგიან საზოგადოებაში, რასაც, სამწუხაროდ, წინათ ყოველთვის როდი ჰქონდა ადგილი. ეს საზოგადოდ კარგია, რომ გერმანელებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ რაიხსტაგში ამდენი ფილისტერები გაგზავნეს (რაც, თუმცა, გარდუვალი იყო), ედავებიან საერთაშორისო სოციალური მოძრაობის ხელმძღვანელთა როლს. მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ დ რ ო ს გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ფ ი ლ ი ს ტ ე რ უ ლ ი ხ დ ე ბ ა, და ასეთ მომენტებში ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა ფრანგული კონკურენციის ნესტარი...» (1886 წლის 29 აპრილის წერილი) [121].

აი რა გაკვეთილები უნდა შეითვისოს ყველაზე მტკიცედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიის უპირატესი იდეური გავლენის ქვეშ იმყოფება.

ამ გაკვეთილებს გვაძლევს არა ესა თუ ის ცალკეული ადგილი XIX საუკუნის უდიდესი ადამიანების მიწერ-მოწერიდან, — არამედ პროლეტარიატის საერთაშორისო გამოცდილების მათი ამხანაგური, პირდაპირი, ყოველგვარ დიპლომატიასა და წვრილმან ანგარიშებს მოკლებული კრიტიკის მთელი სულისკვეთება და მთელი შინაარსი.

თუ რამდენად გამსჭვალულია, მართლაც, მარქსისა და ენგელსის ყველა წერილი ამ სულისკვეთებით, შეიძლება გვიჩვენოს კიდევ შემდეგმა, მართალია, შედარებით კერძომ, მაგრამ მეტად დამახასიათებელმა ადგილებმა [122].

1889 წელს ინგლისში იწყებოდა გაუწვრთნელი, არაკვალიფიციური, უბრალო მუშების (გაზის მუშების, დოკერების და სხვ.) ახალგაზრდა, ცოცხალი, ახალი, რევოლუციური სულით გაჟღენთილი მოძრაობა. ენგელსი ამით აღტაცებულია. იგი აღფრთოვანებით აღნიშნავს მარქსის ქალიშვილის — «ტასის» (Tussy) როლს, რომელიც ამ მუშებს შორის აგიტაციას ეწეოდა. «აქ ყველაზე საზიზღარია, — იწერება იგი ლონდონიდან 1889 წლის 7 დეკემბერს, — ის ბურჟუაზიული

«რესპექტაბელობა», რომელიც მუშების სისხლსა და ხორცშია გამჯდარი. საზოგადოების სოციალური დანაწილება ურიცხვ, ყველას მიერ უდავოდ აღიარებულ გრადაციებად, რომელთაგან თვითეულს ცალცალკე თავისი «რიხი» აქვს და გამსჭვალულია «უკეთესებისა» და «უმაღლესებისადმი» პატივისცემის თანდაყოლილი გრძნობით, იმდენად ძველია და იმდენად მყარი, რომ მასების გაბრიყვება ბურჟუაზიისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. მე, მაგალითად, სულაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ჯონ ბერნსი (**Burns**) გუნებაში უფრო მეტად ამაყობდეს თავისი პოპულარობით თავის კლასში, ვიდრე თავისი პოპულარობით კარდინალ მანინგთან, ლორდ-მერთან და საზოგადოდ ბურჟუაზიაში. ხოლო ჩემპიონი (**Champion**) — გადამდგარი ლეიტენანტი — ჯერ კიდევ მრავალი წლის წინათ რაღაც საქმეებს აჭახრაკებდა ბურჟუაზიულ და, უმთავრესად, კონსერვატიულ ელემენტებთან, ხუცების საეკლესიო ყრილობაზე კი ქადაგებდა სოციალიზმს და სხვა. თვით ტომ მენსაც (**Mann**) კი, რომელსაც მათ შორის საუკეთესო ადამიანად ვთვლი, მასაც კი უყვარს ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ ისაუზმებს ის ლორდ-მერთან. და მხოლოდ ფრანგებთან მათი დაპირისპირების დროს რწმუნდები, თუ ამ მხრივ რამდენად კეთილ გავლენას ახდენს რევოლუცია»[123].

კომენტარები ზედმეტია.

კიდევ მაგალითი. 1891 წელს ევროპის ომის საფრთხე წამოიჭრა. ენგელსს ამის თაობაზე მიწერ-მოწერა ჰქონდა ბებელთან, ისინი ეთანხმებოდნენ ერთმანეთს იმის შესახებ, რომ, თუ ვინიცობაა რუსეთი თავს დაესხა გერმანიას, გერმანელი სოციალისტები თავგანწირულად უნდა შეებრძოლონ რუსებსაც და რუსების ყოველგვარ მოკავშირეებსაცაო. «თუ გერმანიას მოახრჩობენ, ჩვენც მასთან ერთად მოვიხრჩობით. ხოლო თუ საქმე კეთილსასურველად შემობრუნდება, ბრძოლა ისეთ გამძვინვარებულ ხასიათს მიიღებს, რომ გერმანიას შეეძლება გასძლოს მხოლოდ რევოლუციური ღონისძიებებით, რის გამოც ჩვენ, ადვილი შესაძლებელია, იძულებული

შევიქნებით სათავეში ჩავუდგეთ მართვა-გამგეობას და გავითამაშოთ 1793 წელი» (1891 წლის 24 ოქტომბრის წერილი) [124].

იმ ოპორტუნისტთა საყურადღებოდ, რომელნიც საქვეყნოდ გაჰყვიროდნენ 1905 წელს რუსეთის მუშათა პარტიისათვის «იაკობინური» პერსპექტივების არასოციალ-დემოკრატიულობაზე! ენგელსი პირდაპირ მიუთითებდა ბებელს იმის შესაძლებლობაზე, რომ სოციალ-დემოკრატებს მოუხდებათ მონაწილეობის მიღება დროებითს მთავრობაშიო.

სავსებით ბუნებრივია, რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიების ამოცანებზე ასეთი შეხედულების არსებობის დროს მარქსი და ენგელსი აღსავსენი იყვნენ მტკიცე რწმენით რუსეთის რევოლუციისა და მისი მძლავრი მსოფლიო მნიშვნელობისადმი. ამ მიწერ-მოწერაში თითქმის ოცი წლის მანძილზე ჩვენ ვხედავთ რუსეთის რევოლუციის ამ მხურვალე მოლოდინს.

აი მარქსის 1877 წლის 27 სექტემბრის წერილი. აღმოსავლეთის კრიზისი [125] მარქსის აღტაცებას იწვევს. «რუსეთი უკვე დიდი ხანია დგას დიდ გადატრიალებათა მიჯნაზე, და საამისოდ აუცილებელი ყველა ელემენტი უკვე მომწიფებულია. აფეთქება მრავალი წლით დაჩქარებულია თურქების მარჯვე დარტყმების მეოხებით... გადატრიალება დაიწყება **secundum artem** («ხელოვნების ყველა წესისამებრ») კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი უ რ ი ლ ა ქ უ ც ო ბ ი თ და ჩინებული აყალ-მაყალი გამოვა (**il y aura un beau tapage**). და დედა-ბუნების წყალობით ჩვენ ამ ზეიმს მოვესწრებით» [126] (მარქსი მაშინ 59 წლისა იყო).

დედა-ბუნებამ მარქსს არ დააცალა — და, ალბათ, არც შეეძლო დაეცლია, რომ «ამ ზეიმამდე» ეცოცხლა. მაგრამ «კონსტიტუციური ლაქუცი» მან ი წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ა, და ასე გგონია მისი სიტყვები გუშინ იყოს დაწერილი რუსეთის პირველი და მეორე სათათბიროს შესახებ. ხოლო ხალხის გაფრთხილება «კონსტიტუციური ლაქუცის» შესახებ

ხომ სწორედ ლიბერალებისა და ოპორტუნისტებისათვის ესოდენ საძულველი ბოიკოტის ტაქტიკის «ცოცხალ სულს» შეადგენდა...

აი მარქსის 1880 წლის 5 ნოემბრის წერილი. ის აღტაცებულია რუსეთში «კაპიტალის» წარმატების გამო და ემხრობა ნაროდოვოლცებს წინააღმდეგ ჩერნოპერედელცების ჯგუფისა, რომელიც ის-იყო მაშინ წარმოიშვა. მათი შეხედულების ანარქისტულ ელემენტებს მარქსი სწორად აღნიშნავს, და — რაკი მან მაშინ არ იცოდა და არც შესაძლებლობა ჰქონდა სცოდნოდა, რომ მომავალში ჩერნოპერედელეცი-ნაროდნიკები სოციალ-დემოკრატებად გადაიქცეოდნენ, — მარქსი თავს ესხმის ჩერნოპერედელცებს თავისი გამანადგურებელი სარკაზმის მთელი სიძლიერით:

«ეს ვაჟბატონები წინააღმდეგი არიან ყოველგვარი პოლიტიკური რევოლუციური გამოსვლებისა. მათი აზრით, რუსეთი პირდაპირ უნდა გადახტეს ანარქისტულ-კომუნისტურ-ათეისტურ ათასწლეულში. ამასობაში კი ისინი ამ ნახტომს ამზადებენ უაღრესად მოსაწყენი დოქტრინიორობით. თავიანთ დოქტრინათა ეგრეთწოდებული პრინციპები მათ ნასესხები აქვთ განსვენებულ ბაკუნინისაგან» [127].

აქედან შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ შეაფასებდა მარქსი სოციალ-დემოკრატიის «პოლიტიკურ-რევოლუციური გამოსვლების» დიდ მნიშვნელობას 1905 და შემდგომი წლების რუსეთისათვის *.

აი ენგელსის 1887 წლის 6 აპრილის წერილი. «სამაგიეროდ, მგონი, მოსალოდნელია კრიზისი რუსეთში. უკანასკნელმა თავდასხმებმა დიდი არევ-დარევა გამოიწვიეს...». 1887 წლის 9 აპრილის წერილი — იგივე... «არმია სავსეა უკმაყოფილო, ფარულად მოქმედი ოფიცრებით» (ენგელსი მაშინ

* სხვათა შორის. თუ მეხსიერება არ მღალატობს, პლეხანოვი თუ ვ. ი. ზასულიჩი მიამბობდნენ 1900 — 1903 წლებში, რომ არსებობს ენგელსის წერილი პლეხანოვისადმი «ჩვენს უთანხმოებათა» და რუსეთის მომავალი რევოლუციის ხასიათის შესახებ. საინტერესო იქნებოდა გაგვეგო დანამდვილებით, იყო თუ არა ასეთი წერილი, გადარჩა თუ არა ის და არის თუ არა დრო გამოქვეყნდეს იგი [128].

ნაროდოვოლცების რევოლუციური ბრძოლის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა, იგი იმედებს ამყარებდა ოფიცრებზე და ჯერ კიდევ ვერ ხედავდა რუსი ჯარისკაცისა და მატროსის რევოლუციურობას, რაც ასე ბრწყინვალედ გამოაშკარავდა 18 წლის შემდეგ...). «...არა მგონია, რომ ახლანდელი მდგომარეობა კიდევ გაგრძელდეს თუნდაც ერთ წელიწადს. ხოლო როცა რუსეთში რევოლუცია იფეთქებს («losgeht»), მაშინ ვაშა!» [129].

1887 წლის 23 აპრილის წერილი: «გერმანიაში გაჩაღებულია განუწყვეტელი დევნა (სოციალისტებისა). ბისმარკს, მგონი, უნდა ყველაფერი მოამზადოს იმისათვის, რომ იმ მომენტში, როცა რუსეთში რევოლუცია იფეთქებს, რაც რამდენიმე თვის საკითხს წარმოადგენს, გერმანიას შეეძლოს დაუყოვნებლივ გაჰყვეს მის მაგალითს» («losgeschlagen werden») [130].

თვეები მეტისმეტად გრძელი გამოდგა. ეჭვი არაა, აღმოჩნდებიან ფილისტერები, რომელნიც შუბლს შეიჭმუხნიან, წარბებს შეიკრავენ და მკაცრად დაგმობენ ენგელსის «რევოლუციონარიზმს», ანდა ლმობიერად დასცინებენ ძველი რევოლუციონერ-ემიგრანტის ძველ უტოპიებს.

დიახ, ბევრჯერ სცდებოდნენ და ხშირად სცდებოდნენ მარქსი და ენგელსი რევოლუციის სიახლოვის განსაზღვრაში, რევოლუციის გამარჯვების იმედებში (მაგალითად, 1848 წელს გერმანიაში), გერმანიის «რესპუბლიკის» სიახლოვის რწმენაში («მოვკვდეთ რესპუბლიკისათვისო», წერდა იმ ეპოქაზე ენგელსი, როცა იგონებდა თავის სულიერ განწყობილებას, როგორც მონაწილე სომარი კამპანიისა იმპერიის კონსტიტუციისათვის — 1848 — 1849 წლები [131]). ისინი სცდებოდნენ 1871 წელს, როცა ცდილობდნენ «აეჯანყებინათ სამხრეთ საფრანგეთი, რისთვისაც ისინი (ბეკერი წერს: «ჩვენაო» თავის თავსა და უახლოეს მეგობრებზე: წერილი № 14, 1871 წლის 21 ივლისი) სწირავდნენ და იმეტებდნენ ყოველივეს, რაც კი ადამიანის ძალღონეს შეეძლო...». იმავე წე-

რილში: «ჩვენ რომ მარტსა და აპრილში მეტი ფული გვქონოდა, ავაჯანყებდით მთელ სამხრეთ საფრანგეთს, და ვიხსნიდით პარიზის კომუნასაო» (გვ. 29). მაგრამ ასეთი შეცდომები რევოლუციური აზროვნების ბუმბერაზებისა, რომელთაც მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი აჰყავდათ და აიყვანეს წვრილმანი, ყოველდღიური, კაპიკიანი ამოცანების დონეზე მაღლა, — ათასჯერ უფრო კეთილშობილი, უფრო დიადია და ისტორიულად უფრო ძვირფასი, უფრო სამართლიანია, ვიდრე უხამსი სიბრძნე კაზიონური ლიბერალიზმისა, რომელიც მღერის, ღაღადებს, დრტვინავს და მეტყველებს რევოლუციურ ამაოებათა ამაოებაზე, რევოლუციური ბრძოლის ამაოებაზე, კონტრრევოლუციურ «კონსტიტუციურ» ბოდვათა სიმშვენიერეზე...

რუსეთის მუშათა კლასი მოიპოვებს თავისუფლებას და წინ წაუბიძგებს ევროპას შეცდომებით აღსავსე რევოლუციური მოქმედებით — და დაე, უხამსმა ადამიანებმა იყოყოჩონ თავიანთი რევოლუციური უმოქმედობის შეუცდომლობით.

1907 წ. 6 აპრილი.

# სათათბირო და რუსი ლიბერალები

ს.-პეტერბურგი, 10 აპრილი.

რუსეთის ეგრეთწოდებული «საზოგადოება» უგუნებობის, შიშისა და დაბნეულობის განწყობილებას შეუპყრია. სტატია ბ-ნ თ. მალოვერისა [132], რომელსაც მეტად მარჯვედ შეურჩევია თავისი ფსევდონიმი, კვირის (8 აპრილის) «ტოვარიშჩში» იმიტომაც წარმოადგენს საგულისხმო და დამახასიათებელ მოვლენას, რომ სწორად გამოხატავს ამ სულიერ განწყობილებას.

ბ-ნ მალოვერის სტატიას ეწოდება «სათათბირო და საზოგადოება». საზოგადოებად აქ, თანახმად სიტყვის ძველებური რუსული ხმარებისა, იგულისხმება ერთი მუჭა ლიბერალური მოხელეები, ბურჟუაზიული ინტელიგენტები, ნაღვლიანი რანტიები და სხვა ქედმაღალი, თავმომწონე უსაქმური პუბლიკა, რომელსაც თავისი თავი ქვეყნის მარილი ჰგონია და ამაყად უწოდებს თავს «ინტელიგენციას», ჰქმნის «საზოგადოებრივ აზრს» და სხვა და სხვა.

ბ-ნ მალოვერს «მეტად საშიშად ეჩვენება ის ლაშქრობა სათათბიროს წინააღმდეგ, რასაც ამ უკანასკნელ დღეებში ადგილი აქვს მემარცხენე პრესის ფურცლებზე». ეს არის სტატიის ძირითადი აზრი. ბ-ნ მალოვერის არგუმენტაცია ის არის, რომ იგი საზოგადოების სულიერ განწყობილებას იმოწმებს. საზოგადოება დაიღალა, პოლიტიკას «გაურბის», უმსგავსობათა წინააღმდეგ პროტესტს არ აცხადებს, ბიბლიოთეკებში კითხულობს და მაღაზიებში ყიდულობს «მსუბუქ» ბელეტრისტიკასაო. «გარემო დუნეა»... «სათათბირო რომ გამოცოცხლდეს, —

საჭიროა კვლავ გამოცოცხლდეს ქვეყანა». «სათათბიროს შეეძლო, რა თქმა უნდა, ყოველ ამა თუ იმ მომენტში გმირული სიკვდილით დაღუპულიყო, მაგრამ, როგორც ხმები დადის, ეს ხელსაყრელი იქნებოდა მხოლოდ მისი უნებლიე მიმრქმელებისათვის. ხოლო რას მოიგებდა ამით ხალხი, გარდა ახალი საარჩევნო კანონისა?».

ჩვენ ეს ციტატები იმიტომ მოგვყავს, რომ ისინი ტ ი პ ი უ რ ი ა რუსეთის ლიბერალთა უდიდესი ნაწილისათვის და ლიბერალიზმის ყველა ინტელიგენტური ჯურღმულისათვის.

ყურადღება მიაქციეთ: უკანასკნელ ფრაზაში «საზოგადოების» ნაცვლად უცბათ გამოტყვრა «ხალხი»! ბ-ნმა მალოვერმა, რომელიც თვითონ თავისი თავის წინაშე ცბიერობს (როგორც მუდამ იქცევა ყველა ნაკლებ მორწმუნე ინტელიგენტი), მთელი თავისი არგუმენტაცია გააყალბა, საქმე ისე დასახა, თითქოს, უბადაღებული «საზოგადოება» ნამდვილად განსაზღვრავდეს «გარედან მხარის დაჭერას» ანუ მ ა ს ე ბ ი ს დამოკიდებულებას. და თუმცა ეს მარჯვე სიყალბე იყო, მაგრამ მაინც ჩაიფუშა: საჭირო შეიქნა «საზოგადოებიდან» «ხალხზე» გადასვლა. და «საზოგადოების» ადამიანთა შეხუთულ და აშმორებულ, ქუჩისგან გულმოდგინედ გამიჯნულ და დაცულ კაბინეტებში დაგროვებული მთელი მტვერი კორიანტელად დგება, როგორც კი «ქუჩისაკენ» გამავალი კარი ოდნავ გაიღება. სოფისტიკა იმ ადამიანისა, რომელსაც თავი მოაქვს «ინტელიგენტად» და «განათლებულად», თვალნათლივ აშკარავდება.

თეზისი: მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე თ ა ლაშქრობა სათათბიროს წინააღმდეგ საშიშიაო.

საბუთი: საზოგადოება დაიღალა და პოლიტიკას გაურბის, მას მსუბუქი ბელეტრისტიკა ურჩევნიაო.

დასკვნა: სათათბიროს გმირული სიკვდილით ხ ა ლ ხ ი ვერაფერს მოიგებდაო.

პოლიტიკური ლოზუნგი: «ახლა, მგონი, არავის ეჭვი არ ეპარება, რომ უახლოეს მომავალში პოლიტიკური ბრძოლა

შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ სათათბიროს უფლებების განსამტკიცებლად და გასაფართოებლად, სათათბიროსი, რაც მთავრობასთან ბრძოლის ერთადერთი (!) იარაღია, რომელიც ჯერჯერობით ხელთა აქვს ხალხს (!)».

სკეპტიციზმისა და მოყირჭებული გულგრილობის კეთილშობილური სამოსით მორთულ კონტრრევოლუციურ პირმოთნეთა სწორუპოვარი ლოგიკაა, ხომ?

თეზისი: ჩვენ, «საზოგადოება», ტალახში ვზივართ. თქვენ, მემარცხენეები, ცდილობთ ტალახი მოიშოროთ? — ხელს ნუ ახლებთ — ტალახი არაფერს აშავებსო.

საბუთი: ჩვენ დავიღალეთ ტალახის გაწმენდის ცდებით (რასაც ჩვენ არ მივმართავდით). გაწმენდისათვის საჭირო ჩვენი სულიერი განწყობილება მტკიცე არ არისო.

დასკვნა: ტალახისათვის ხელის ხლება საშიშიაო.

ბატონ მალოვერების მსჯელობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს მსჯელობა, ვიმეორებთ, სწორედ გამოხატავს იმ სულიერ განწყობილებას, რომლის წყაროს საბოლოო ანგარიშით წარმოადგენს კლასთა ბრძოლა რუსეთის რევოლუციაში. ბურჟუაზიის დაღლილობა და «მსუბუქი» ბელეტრისტიკისადმი მისწრაფება — შემთხვევითი კი არა, გარდუვალი მოვლენაა. მოსახლეობის დაჯგუფებამ პარტიების მიხედვით — რევოლუციის ამ უმნიშვნელოვანესმა გაკვეთილმა და უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა შენაძენმა II სათათბიროს არჩევნების დროს, — თვალსაჩინოდ დაგვანახა საერთო-ნაციონალური მასშტაბის ფაქტებით მემამულეთა და ბურჟუაზიის ფართო ფენების ეს მარჯვნივ მიბრუნება. «საზოგადოება» და «ინტელიგენცია» მხოლოდ საცოდავი, უბადრუკი, ლაჩრულად ფლიდი მაჩანჩალაა ამ ათიათასიანი ზედა ფენისა.

ბურჟუაზიული ინტელიგენციის დიდი ნაწილი იმათთან ერთად ცხოვრობს და იმათ ახლომახლო საზრდოობს, ვინც პოლიტიკას განზე გაუდგა. მუშათა პარტიის პროპაგანდისტთა წრეებში მიდიან მხოლოდ მცირეოდენი ინტელიგენტები, რომლებმაც გამოცდილებით იციან, რომ ხალხის მასებს «ს ა-

შინლად სწყურიათ» პოლიტიკური წიგნი, გაზეთი და სოციალისტური ცოდნა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთი ინტელიგენტები მზად არიან აიტანონ თუ გმირული სიკვდილი არა, გაჭირვებული, ნახევრადმშიერი, მუდამ მეტისმეტად დაღლილი, წარმოუდგენლად განაწამები «რიგითი» პარტიული მუშაკის ნამდვილად გმირული კატორღული ცხოვრება მაინც. ასეთი ინტელიგენციის ჯილდოა ის, რომ მან თავი დააღწია «საზოგადოების» ნეხვის გროვას და დაივიწყა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხებისადმი თავისი აუდიტორიის გულგრილობაზე ფიქრი. ხოლო «ინტელიგენტი», რომელსაც უნარი არა აქვს ამ საკითხებისადმი არაგულგრილი აუდიტორია იპოვოს, ხომ ისევე ჰგავს «დემოკრატსა» და ინტელიგენტს ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით, როგორც ფულის გულისათვის კანონიერად დაქორწინებული ქალი ჰგავს მოსიყვარულე ცოლს. ესეც და ისიც — ოფიციალურად კეთილმართებული და სავსებით ლეგალური პროსტიტუციის უბრალო ნაირსახეობაა.

მემარცხენე პარტიები კი ნამდვილად მხოლოდ იმდენად არიან მემარცხენეები და ამ სახელწოდების ღირსნი, რამდენადაც ისინი გამოხატავენ და ასახავენ არა «საზოგადოების», არა ყოველგვარ მოწუწუნე ინტელიგენტურ სისაძაგლის გროვათა, არამედ ხალხის ქვედა ფენების, პროლეტარიატის და სოფლისა და ქალაქის წვრილბურჟუაზიული მასის გარკვეული ნაწილის ინტერესებსა და ფსიქოლოგიას. მემარცხენე პარტიები — ეს ის პარტიებია, რომელთა აუდიტორია არასოდეს გულგრილი არ არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხებისადმი, ისე როგორც მშიერი ადამიანი არასოდეს გულგრილი არ არის ლუკმა პურის საკითხისადმი. ამ მემარცხენე პარტიების «ლაშქრობა სათათბიროს წინააღმდეგ» — გამოხატულებაა ხალხის ქვედა ფენებში არსებული გარკვეული მიმდინარეობისა, გამოძახილია ერთგვარი მასობრივი... ვთქვათ, აღელვებისა თავმომწონე ნარგიზების წინააღმდეგ, რომლებსაც ირგვლივ მიმოფანტული ნეხვის გროვა შეჰყვარებიათ.

ერთ-ერთი ასეთი ნარგიზი, ბ-ნი თ. მალოვერი, წერს: «ხალხის მასების ფსიქოლოგია ახლანდელი პერიოდისათვის აბსოლუტურად უცნობი სიდიდეა, და ვერავინ ვერ იქნება იმის თავმდები, რომ ეს მასები სხვაგვარად გამოეხმაურებიან მეორე სათათბიროს დათხოვნას, ვიდრე ისინი პირველი სათათბიროს დათხოვნას გამოეხმაურნენო».

ეს რით განსხვავდება ბურჟუაზიული საზოგადოების იმ «პატიოსანი ქალის» ფსიქოლოგიისაგან, რომელიც ამბობს: ვერავინ ვერ იქნება თავმდები, რომ მე სიყვარულით არ გავყვები ცოლად იმას, ვინც უფრო მეტს გადაიხდისო?

ხოლო თქვენი საკუთარი გრძნობები, ქალბატონო, არავის არავითარ თავდებობად არ გამოადგება? თქვენ კი, ბატონნო მალოვერებო, თავს არა გრძნობთ «ხალხის მასების» ნაწილაკებად, თავს არა გრძნობთ მონაწილედ (და არა მარტო მაყურებლად), თქვენს თავს არა თვლით საერთო სულიერი განწყობილების ერთ-ერთ შემოქმედად, წინსვლის ერთ-ერთ მამოძრავებლად?

ბურჟუაზია «ვერ იქნება იმის თავმდები», რომ პროლეტარიატი დამარცხებებიდან გამარჯვებისაკენ მიდის. პროლეტარიატი კი იქნება იმის თ ა ვ მ დ ე ბ ი, რომ ბურჟუაზია ერთნაირი სულმდაბლობით განირჩევა თავისუფლებისათვის ბრძოლაში ხალხის დამარცხებათა დროსაც და გამარჯვებათა დროსაც.

დაე, იმ სოციალ-დემოკრატებმა, რომლებსაც მერყეობისა და ეჭვებისადმი მიდრეკილება აქვთ, ისწავლონ ბატონ მალოვერების მაგალითებით, ისწავლონ იმის გაგება, თუ რამდენად რ ე ა ქ ც ი უ ლ ი ა ამჟამად არა მარტო იმ «ცალმხრივ მტრულ» პოზიციაზე ლაპარაკი, რომელიც სოციალ-დემოკრატიას ლიბერალების მიმართ უჭირავს, არამედ «საერთო ნაციონალურ» (მალოვერების მეთაურობით!?) რევოლუციაზე ლაპარაკიც.

«ნაშე ეხო» № 14,
1907 წ. 10 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «ნაშე ეხოს» ტექსტის მიხედვით

# ფრ. მერინგი მეოთხე სათათბიროს შესახებ

გერმანული სოციალ-დემოკრატიული ჟურნალის «Die Neue Zeit»-ის * ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია მოწინავე წერილი ამ ჟურნალის მოწინავეთა ჩვეულებრივი ავტორის ფრანც მერინგის ჩვეულებრივი ნიშნით. ავტორი აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის გამო გამართული ჩვეულებრივი კამათის დროს სოციალ-დემოკრატმა ორატორებმა, ზინგერმა და დავიდმა, შემთხვევით ისარგებლეს იმის ცხადსაყოფად, თუ რა მედგრად იცავს თავის პროლეტარულ პოზიციას უკანასკნელ არჩევნებში ვითომდა დამარცხებული სოციალ-დემოკრატია. პირიქით, გერმანელი ლიბერალები, რომლებიც არჩევნების დროს მთავრობასთან გაერთიანდნენ კლერიკალური «ცენტრისა» და სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ, რეაქციის დამცირებულ მოკავშირეთა ყოვლად უბადრუკ მდგომარეობაში აღმოჩნდენ. «ლიბერალური ბურჟუაზია — ამბობს მერინგი — ოსტელბელ იუნკერთა მორჩილი მხევალი ქალის (გერმანული «Dirne», არსებითად, «მეძავ ქალს» ნიშნავს) როლს ასრულებს მათი რაღაც საცოდავი ნასუფრალის გულისათვის».

ჩვენ ზუსტად მოგვყავს ეს მკვახე სიტყვები იმისათვის, რომ ნათლად დავანახოთ მკითხველებს, თუ რარიგ განსხვავდება, ტონითა და შინაარსით, გერმანიის ლიბერალების საკითხის სოციალ-დემოკრატიული დაყენება იმ დაყენებისაგან, რო-

* 1907 წლის 6 მარტის № 23 (25. Jahrg., Bd. I) («ახალი დროება». გამოცემის 25-ე წელი, ტ. I. რ ე დ.).

შელსაც ახლა ხშირად შეხვდები რუსულ კადეტურ გაზეთებში. როგორც ცნობილია, ამ გაზეთებმა გერმანიის არჩევნების შედეგების გამო სულ სხვა ჰანგზე დაიწყეს სიმღერა, ალაპარაკდნენ სოციალ-დემოკრატიის შეცდომებზე, რომელიც უგულებელყოფდა ბურჟუაზიულ დემოკრატიას ან მის მიმართ «ცალმხრივი მტრული პოზიცია» ეჭირაო და სხვ.

მაგრამ ეს — გაკვრით. აქ ჩვენ გვაინტერესებს მერინგის შეფასება არა გერმანული ლიბერალიზმისა, არამედ რუსეთის სათათბიროსი და რ უ ს უ ლ ი ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ა, რომლის ლოზუნგებს («გავუფრთხილდეთ სათათბიროს», ვაწარმოოთ «დადებითი მუშაობა») იგი შესანიშნავად მარჯვედ და მკაფიოდ არჩევს.

მოგვყავს მერინგის სტატიის მთელი მეორე ნაწილის სრული თარგმანი.

## გერმანული ლიბერალიზმი და რუსეთის სათათბირო

...ამ დებატების * მთელი უზომო არარაობის გასაგებად, სასარგებლო იქნება გადავხედოთ იმას, რაც ამ 60 წლის წინათ იყო, ბერლინის გაერთიანებულ ლანდტაგს, როცა ბურჟუაზია პირველად გაემზადა საპარლამენტო ბრძოლისათვის. იმ ხანებშიც ბურჟუაზიას გმირული ცოტა რამ გააჩნდა. აი როგორ ახასიათებს მას მარქსი: «თავის თავისადმი რწმენას მოკლებული, ხალხისადმი რწმენას მოკლებული, ზედა ფენების წინააღმდეგ მობუზღუნე, ქვედა ფენების მოშიშარი, როგორც პირველთა, ისე მეორეთა მიმართ ეგოისტური და თავისი ეგოიზმის შემგნები, კონსერვატორების მიმართ რევოლუციური, რევოლუციონერთა მიმართ კონსერვატიული; თავისი საკუთარი ლოზუნგებისადმი უნდობელი, მსოფლიო გრიგალის მოშიშარი და ამ გრიგალის თავის სასარგებლოდ ექსპლოატაციის გამწევი; ყოველგვარ ენერგიას მოკლებული, სრული პლაგიატი, ის

* ლაპარაკია ბიუჯეტის გამო გამართულ დებატებზე რაიხსტაგში.

უხამსია, იმიტომ რომ ორიგინალური მასში არაფერია, ის ორიგინალურია თავისი უხამსობით, ის თავის თავს ევაჭრება; უთაოსნო, მსოფლიო-ისტორიული მოწოდების უქონელი — როგორც ბებერი, რომელიც დამძიმებულია შეჩვენებით, წინასწარ განკუთვნილია იმისათვის, რომ გარყვნას სიცოცხლით სავსე ხალხის პირველი ახალგაზრდული სწრაფვანი და ეს სწრაფვანი თავის ბებრულ ინტერესებს დაუმორჩილოს; ბებერია უთვალოდ, უყურადოდ, უცხვიროდ — სრული ბეხრეკი» [133].

და მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, მაშინდელ ბურჟუაზიას უნარი შესწევდა ფული ხელიდან არ გაეშვა და მეფისა და იუნკრების შემოსავალი ჩამოეჭრა, ვიდრე მისი საკუთარი უფლება უზრუნველყოფილი არ იყო; ის ამჯობინებდა უმალ მეფის გულისწყრომა აეტანა, ვიდრე მეფისთვის ხელი შეეწყო იმაში, რომ მას ბანკროტობისაგან თავი ეხსნა პირმშოობის უფლების საფასურით.

ახლანდელ თავისუფალ მოაზროვნეებთან შედარებით, გაერთიანებული ლანდტაგის ლიბერალები მაშინ, რა თქმა უნდა, უფრო შორსმჭვრეტელნი იყვნენ. ისინი არად აგდებდნენ ლაყბობას «დადებითი მუშაობის» შესახებ და უმალ ამჯობინებდნენ შეეფერხებინათ ისეთი მნიშვნელოვანი საქმე ქვეყნის კეთილდღეობისათვის, როგორიც იყო მაშინ აღმოსავლეთის რკინიგზის გაყვანა, ვიდრე თავიანთ კონსტიტუციურ უფლებაზე უარის თქმას შერიგებოდნენ.

მაშინდელი დროის მოგონება მით უფრო აღიძვრის, რომ რაიხსტაგში ბიუჯეტის შესახებ გამართული დებატების დასასრულს დაემთხვა რუსეთის მეორე სათათბიროს გახსნა. უეჭველია, რუსეთის რევოლუციის საპარლამენტო ისტორია დღემდე 1848 წლის პრუსიის რევოლუციის საპარლამენტო ისტორიას უფრო ჰგავდა, ვიდრე 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის საპარლამენტო ისტორიას; რუსეთის პირველი სათათბიროს ისტორია ზოგიერთი მხრით გასაოცრად მოგვაგონებს «შემთანხმებელთა» იმ ყბადაღებული «კრების» ისტორიას, რომელსაც ოდესღაც სხდომები ჰქონდა ბერლინის თეატრში, მოგვაგო-

ნებს წვრილმანებსაც კი, მოგვაგონებს უშედეგოდ გამქრალ იმ მოწოდებასაც კი გადასახადთა გადახდაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც კრების გარეკვის შემდეგ გამოუშვა კონსტიტუციურ-დემოკრატიულმა უმრავლესობამ. პრუსიაშიც მეორე ლანდტაგს, მთავრობის მიერ მოწვეულს, რუსეთის ახლანდელი სათათბიროს მსგავსად, უფრო მკაფიო ოპოზიციური ელფერი ჰქონდა, ერთი თვის შემდეგ კი კვლავ გარეკეს შეიარაღებული ძალით. მრავლად გაისმის ისეთი ხმები, რომელნიც რუსეთის ახალ სათათბიროსაც სწორედ ამავე ბედს უწინასწარმეტყველებენ. ყოვლად ბრძენი ლიბერალები კი მშვენიერ რჩევას იძლევიან: გაუფრთხილდით სათათბიროს და მოიპოვეთ ხალხის ნდობა «დადებითი მუშაობის» გზითაო. იმ მნიშვნელობით, როგორც ეს ლიბერალებს ესმით, — ეს არის ყველაზე უგუნური რამ, რაც კი შეიძლება კაცმა ახალ სათათბიროს ურჩიოს.

ისტორიას განმეორება არ უყვარს. ახალი სათათბირო რევოლუციის ნაყოფია, რომელიც სრულიად არა ჰგავს იმას, რაც ოდესღაც პრუსიის მეორე პარლამენტი იყო. სათათბიროს ირჩევდნენ არჩევნების მიმართ ისეთი საზიზღარი და საძაგელი ზეგავლენის პირობებში, რომელთან შედარებითაც არაფერია ყოველივე ის, რასაც მიმართავდა გერმანიის «საიმპერიო სიცრუის კავშირი». და ახლანდელი სათათბიროს მემარცხენეთა შორისაც კონსტიტუციური დემოკრატია აღარ ბატონობს; ახლანდელი მემარცხენე ნაწილი ძლიერი სოციალისტური ფრაქციის გამოწრთობილია. სათათბიროს სწრაფი გარეკვაც უკვე არც ისე უბრალო საქმეა. არჩევნებზე ზეგავლენის მთელი ამ პროცედურით, რომელიც იმდენადვე მომქანცველია, რამდენადაც საზიზღარი, ცარიზმი თავს არ შეიწუხებდა, მხოლოდ მის სურვილზე რომ იყოს დამოკიდებული — გარეკოს სათათბირო თუ არა. კრედიტორებისათვის მას სჭირდება სახალხო წარმომადგენლობა, რომელიც მას გაკოტრებისაგან იხსნის; მას სულ მცირეოდენი შესაძლებლობაც კი აღარა აქვს — ასე გაჭირვებულიც რომ არ იყოს, — რომ უფრო უბადრუკი საარ-

ჩევნო სისტემა გამოიგონოს და კიდევ უფრო უხეში ზეგავლენა მოახდინოს არჩევნებზე.

ამ მხრივ 1849 წლის პრუსიის რეაქციას კიდევ ჰქონდა დიდი იარაღი: საყოველთაო საარჩევნო უფლების გაუქმებისა და არჩევნების სამკლასიანი სისტემის შემოღების შემდეგ, მან ისეთი ეგრეთწოდებული სახალხო წარმომადგენლობა მიიღო, რომელიც მას არავითარ სერიოზულ წინააღმდეგობას არ უწევდა, სახელმწიფო კრედიტორებისათვის კი მაინც ერთგვარ გარანტიას წარმოადგენდა.

სწორედ ახალი სათათბიროს არჩევნებმა ცხადყო, რომ რუსეთის რევოლუციას გაცილებით უფრო მძლავრი გაქანება აქვს, ვიდრე ოდესღაც გერმანიის რევოლუციას ჰქონდა. უეჭველია, აგრეთვე, რომ ახალი სათათბირო რევოლუციამ შემთხვევით როდი აირჩია, რომ რევოლუციას განზრახული აქვს გამოიყენოს ის. მაგრამ რევოლუცია თავის თავს უღალატებდა, თუ გერმანელი ლიბერალების ბრძნულ რჩევას დაუჯერებდა და შეეცდებოდა ხალხის ნდობა მოეპოვებინა «დადებითი მუშაობით» ამ რჩევის მნიშვნელობისამებრ; ასე თუ მოიქცეოდა, იგი დაადგებოდა იმავე უბადრუკ და სამარცხვინო გზას, რომლითაც უკვე სამოცი წელიწადია მიდის გერმანული ლიბერალიზმი. ის, რაც ამ საკვირველ გმირს «დადებით მუშაობად» მიაჩნია, მხოლოდ იმას გამოიწვევდა, რომ ახალი სათათბირო დაეხმარებოდა ცარიზმს ფინანსური მუხრუჭებიდან განთავისუფლებაში და სამაგიეროდ მიიღებდა უბადრუკ ნასუფრალს ისეთი «რეფორმების» სახით, რომელთა გამოჩეკა მხოლოდ რომელიმე სტოლიპინის სამინისტროს შეუძლია.

განვმარტოთ «დადებითი მუშაობის» ცნება ისტორიის მაგალითით. როცა ეროვნულმა კრებამ 1789 წლის ზაფხულის ერთ-ერთ ღამეს საფრანგეთის გლეხთა განთავისუფლება მოახდინა, საბოლოოდ სინდისგაყიდულმა ავანტიურისტმა მირაბომ, კონსტიტუციური დემოკრატიის უდიდესმა გმირმა, ამ მოვლენას ენაწყლიანად უწოდა «საზიზღარი ორგია». ჩვენი აზრით კი, ეს «დადებითი მუშაობა» იყო. და პირიქით, პრუსი-

ის გლეხთა განთავისუფლება, რაც კუს ნაბიჯით მიმდინარეობდა 60 წლის განმავლობაში, 1807 წლიდან 1865 წლამდე, — და თანაც უამრავი გლეხის სიცოცხლე უხეშად, შეუბრალებლად დაიღუბა, — ჩვენი ლიბერალების თვალსაზრისით «დადებითი მუშაობა» იყო, რომელზედაც ისინი გამაყრუებლად გაჰყვირიან. ჩვენი აზრით, ეს იყო «საზიზღარი ორგია».

ამრიგად, ახალმა სათათბირომ, თუ მას თავისი ისტორიული ამოცანის შესრულება სურს, უეჭველად ხელი უნდა მოჰკიდოს «დადებით მუშაობას». ამ მხრივ სასიამოვნო ერთსულოვნება სუფევს. საკითხი მხოლოდ ის არის, თუ რანაირი უნდა იყოს ეს «დადებითი მუშაობა». ჩვენი მხრივ ვიმედოვნებთ და ვისურვებთ, რომ სათათბირო გამომდგარიყოს რუსეთის რევოლუციის იარაღი, რევოლუციისა, რომელმაც იგი წარმოშვა.

* * *

მერინგის ეს სტატია უნებლიეთ აღგვიძრავს ფიქრებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე მიმდინარეობათა გამო.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, უწინარეს ყოვლისა, რომ ავტორი, რუსეთის 1905 და შემდგომი წლების რევოლუციის შედარებისას გერმანიის 1848 — 1849 წლების რევოლუციასთან, პირველ სათათბიროს უპირისპირებს განთქმულ «შემთანხმებლების კრებას». ეს უკანასკნელი გამოთქმა მარქსს ეკუთვნის. მან ეს სახელი უწოდა თავის «რაინის ახალ გაზეთში» [134] მაშინდელი ეპოქის გერმანელ ლიბერალებს. და მის მიერ შერქმეული სახელი გადავიდა ისტორიაში, როგორც მტკიცე კუთვნილება ბურჟუაზიული რევოლუციის შემფასებელი პროლეტარული აზრისა.

რევოლუციური ეპოქის გერმანელ ლიბერალებს მარქსი «შემთანხმებლებს» უწოდებდა იმიტომ, რომ ლიბერალური ბურჟუაზიის პოლიტიკურ ტაქტიკას მაშინ საფუძვლად ედო «შეთანხმების თეორია», მეფის ტახტის შეთანხმებისა — ხალხთან, ძველი ხელისუფლებისა — რევოლუციის ძალებ-

თან. ეს ტაქტიკა გამოხატავდა გერმანიის ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს გერმანიის ბურჟუაზიულ რევოლუციაში: ბურჟუაზიას ეშინოდა რევოლუციის ბოლომდე მიყვანისა, ეშინოდა პროლეტარიატის დამოუკიდებლობისა, ეშინოდა გლეხობის სრული გამარჯვებისა მის შუასაუკუნებრივ ექსპლოატატორებზე — მემამულეებზე, რომელთა მეურნეობა მაშინ ბატონყმობის მრავალ ნიშანს ინარჩუნებდა. ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები უბიძგებდა მას რეაქციასთან გარიგებისაკენ («შეთანხმება») რევოლუციის წინააღმდეგ: ლიბერალური ინტელიგენტები, რომლებმაც «შეთანხმების თეორია» შექმნეს, ამით ფარავდნენ თავიანთ განდგომას რევოლუციისაგან.

მერინგის მიერ მოყვანილი მშვენიერი ციტატი ცხადყოფს, როგორ ამათრახებდა მარქსი რევოლუციურ ეპოქაში ამ შემთანხმებელ ბურჟუაზიას. და ვინც იცნობს მარქსისა და ენგელსის 40-იანი წლების ნაწარმოებთა მერინგისეულ გამოცემას, განსაკუთრებით კი მათ სტატიებს «რაინის ახალი გაზეთიდან», მან, რა თქმა უნდა, იცის, რომ შეიძლებოდა მთელი რიგი ა ს ე თ ი ციტატების მოყვანა.

დაე, ჩაუფიქრდნენ ამას ისინი, ვინც, პლეხანოვის მსგავსად, ცდილობს დაიმოწმოს მარქსი რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთის ტაქტიკის გასამართლებლად! ასეთი ხალხის არგუმენტაცია ციტატების უხეირო შერჩევას ემყარება: ისინი იღებენ ზოგად დებულებებს მსხვილი ბურჟუაზიისათვის მხარის დაჭერის შესახებ რეაქციული წვრილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ და უკრიტიკოდ იყენებენ მათ რუსეთის კადეტების, რუსეთის რევოლუციის მიმართ.

მერინგი კარგ გაკვეთილს აძლევს ამ ხალხს. ვისაც უნდა რჩევა-დარიგება მიიღოს მარქსისაგან პროლეტარიატის ამოცანების შესახებ ბურჟუაზიულ რევოლუციაში, მან უნდა აიღოს მარქსის ის მოსაზრებანი, რომლებიც ს წ ო რ ე დ გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქას შეეხებიან. და

ტყუილ-უბრალოდ როდი უვლიან გვერდს ასეთი შიშით ამ მოსაზრებებს ჩვენი მენშევიკები! ამ მოსაზრებებში ჩვენ ვხედავთ შემთანხმებელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ გაჩაღებული იმ ულმობელი ბრძოლის ყველაზე სრულ, ყველაზე მკაფიო გამოხატულებას, რომელსაც ეწევიან რუსეთის «ბოლშევიკები» რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში.

გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს მარქსი პროლეტარიატის ძირითად ამოცანად თვლიდა რევოლუციის ბოლომდე მიყვანას, პროლეტარიატის მიერ ხელმძღვანელი როლის მოპოვებას, «შემთანხმებელი» ბურჟუაზიის გამცემლობის გამოაშკარავებას, ხალხის მასების და განსაკუთრებით გლეხობის * გამოგლეჯას ამ ბურჟუაზიის გავლენისაგან. ეს ისტორიის ფაქტია, რომლის მიჩქმალვა ან გვერდის ავლა მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვინც მარქსის სახელს ამაოდ აღიარებს.

და ამასთან მჭიდროდ, განუყრელად დაკავშირებულია შეფასება, რასაც მერინგი აძლევს «დადებით მუშაობას» და «საზიზღარ ორგიას».

მისი ეს პარალელი იმდენად მარჯვედ ხვდებათ შიგ გულში რუსეთის ლიბერალებს, კადეტებს, რომლებიც ახლა მეორე სათათბიროში ბიუჯეტს უმტკიცებენ სამხედრო-საველე თვითმპყრობელობას, რომ მერინგის სიტყვებისთვის რისიმე დამატება არსებითად მხოლოდ მათი შესუსტება იქნებოდა.

მერინგის მიერ საკითხის დაყენებას ჩვენ დავუპირისპირებთ გერმანიის სოციალ-დემოკრატების მემარჯვენე ფრთის მიერ საკითხის დაყენებას. მკითხველებმა, რა თქმა უნდა, იციან, რომ მერინგი, ისე როგორც «**Neue Zeit**»-ის მთელი სარედაქციო კოლეგია, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისზე დგას. საწინააღმდეგო, ოპორტუნისტული პოზიცია უჭირავთ ბერნშტეინელებს. მათი მთავარი ორგანოა ჟურნალი

---

* გერმანიის ბურჟუაზია ღალატობს თავის ბუნებრივ მოკავშირეებს, გლეხობას, — ამბობდა მარქსი 1848 წელს, როცა აფასებდა გლეხობის როლს ბურჟუაზიულ რევოლუციაში [138].

«**Sozialistische Monatshefte**» *. ამ ჟურნალის უკანასკნელ წიგნაკში (აპრილი, 1907) ვპოულობთ ვიღაც ბ-ნ რომან სტრელცოვის სტატიას: «რუსეთის მეორე პარლამენტი». სტატია სავსეა მთელი რიგი გაბოროტებული ლაშქრობით ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლებსაც ავტორი, ალბათ, გესლიანობის მიზნით, «ლენინიანელებს» უწოდებს: რამდენად კეთილსინდისიერად აცნობს საქმის ვითარებას ეს მოისარი გერმანიის საზოგადოებას, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ, მოჰყავს რა ლენინის ბროშურების ყველაზე მწვავე ადგილები პეტერბურგის არჩევნების დროს, ავტორი ა რ ა ფ ე რ ს ა მ ბ ო ბ ს იმ მზაკვრულ გ ა თ ი შ ვ ა ზ ე, რომელიც მენშევიკებმა მოაწყეს და რომელმაც გამოიწვია ბრძოლა გათიშვის ნიადაგზე!

მაგრამ ეს გაკვრით. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს ბერნშტეინელის მიერ საკითხის პრინციპულ დაყენებას. მენშევიკებს, დ ა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ს, ის ქება-დიდებას ასხამს, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რ ე ა ლ ი ს ტ უ რ ფ რ თ ა ს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოს, «**Vorwärts**»-ს ** «რეალისტი» შავ დღეს აყრის იმ ფრაზის გამო, რომ ხალხმა მეორე სათათბიროში გაგზავნა არა შუაკაცები (**Fürsprecher**), არამედ მებრძოლებიო (**Vorkämpfer**): «ეტყობა, «**Vorwärts**»-იც ისევე კარგი თვალით უცქერის ახლანდელ სიტუაციას რუსეთში, როგორც ლენინიანელებიო» (აღნიშნული წიგნაკის გვ. 295) ***.

---

* — «სოციალისტური ყოველთვიური». რ ე დ.

** — «წინ». რ ე დ.

*** სხვათა შორის. იქნებ ზედმეტი არ იყოს დავსძინოთ, რომ ჩვენ ყოველ შემთხვევაში სულით და გულით მადლობელი ვართ ბ-ნ სტრელცოვისა მისი მისწრაფების გამო — სახელი გაუტეხოს ბოლშევიკებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის თვალში. ბ-ნი სტრელცოვი ისე... მარჯვედ აკეთებს ამას, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატთა შორის ბოლშევიზმის პროპაგანდისათვის უკეთეს მოკავშირეს ჩვენ ვერც ვისურვებდით. ეცადეთ, ეცადეთ, ბ-ნო სტრელცოვო!

ავტორის დასკვნა ნათელი და გარკვეულია. «ამრიგად, — წერს ის თავისი სტატიის დასასრულს, — ამრიგად, გავუფრთხილდეთ სათათბიროს (**Erhaltung der Duma**), ასეთია ჯერჯერობით მიზანი მთელი, ერთად აღებული, ოპოზიციისა». და შემდეგ: სოციალისტებმა არ უნდა «დახარჯონ თავისი ძალები ყოვლად უსარგებლო ბრძოლაში კადეტების წინააღმდეგაო» (გვ. 296, იქვე).

მკითხველისთვის მიგვინდვია შეადაროს «საზიზღარი ორგიის» შესახებ მერინგის აზრის მიმდინარეობა «სათათბიროს გაფრთხილების» ლოზუნგის შესახებ ბატონ სტრელცოვების აზრის მიმდინარეობას და ამ შედარებიდან გამოიტანოს დასკვნა.

ასეთ შედარებას სავსებით შეუძლია შესცვალოს კომენტარი ბოლშევიკური და მენშევიკური პოლიტიკისადმი ახლანდელ სათათბიროში, — ბოლშევიკური და მენშევიკური რეზოლუციების პროექტებისადმი სახელმწიფო სათათბიროსთან დამოკიდებულების შესახებ.

დაწერილია 1907 წ. აპრილში

დაიბეჭდა 1907 წ. კრებულში «ტაქტიკის საკითხები» II

ხელმოწერა: კ. ტ.

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

# ლარინი და ხრუსტალევი[136]

მენშევიკურ «ნაროდნაია გაზეტას» პირველ ნომერში (10 აპრილს) ამხ. გ. ხრუსტალევი გამოვიდა მეტად საინტერესო და ჩინებული (ბოლშევიკური ფრაქციული თვალსაზრისით) მებრძოლი ფელეტონით მუშათა ყრილობის შესახებ. ამ ფელეტონს ჩინებულად ვთვლით იმიტომ, რომ მენშევიკი ხრუსტალევი ისევე გვეხმარება ჩ ვ ე ნ, — თუ მეტად არა — თავისი გამოსვლით, როგორც მენშევიკი ლარინი. ჩვენ ორივე მათგანის ერთნაირად მადლობელი ვართ და არსებითად გავარჩევთ მათ იდეებს, რომლებსაც თვალსაჩინოდ დავუპირისპირებთ ერთმანეთს.

გაიხსენეთ, რას ქადაგებდა ი. ლარინი თავის ბროშურაში: «ფართო მუშათა პარტია და მუშათა ყრილობა». ფართო მუშათა პარტია, ლარინის იდეით, უნდა შეიცავდეს, დაახლოებით, 900 ათას კაცს მთელი რუსეთის 9 მილიონი პროლეტარიდან. «აბრა» უნდა მოიხსნას — ე. ი. ეს პარტია სოციალ-დემოკრატიული არ უნდა იყოს. სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები უნდა შეერთდნენ. ახალი პარტია, კაცმა რომ თქვას, «უპარტიო პარტია» უნდა იყოს (თვითონ ლარინის გამოთქმაა). სოციალ-დემოკრატებმა, ისევე როგორც სოციალისტ-რევოლუციონერებმა, უნდა შეასრულონ «პროპაგანდისტულ საზოგადოებათა როლი ფართო პარტიის შიგნით».

ყველა ხედავს, რომ ლარინის გეგმა სავსებით ნათელია, და მისი იდეები მუშათა ყრილობის შესახებ განირჩევა იმით, რომ მათში არ არის არავითარი მიკიბ-მოკიბვა, არავითარი

ბუნდოვანობა, რაც ესოდენ ბევრი აქვს აქსელროდს. აზრის ამ სიცხადისათვის ჩვენ, ბოლშევიკები, ვაქებდით გულმართალ ამხ. ლარინს და ამ სიცხადეს ვუპირისპირებდით «კაზიონური მენშევიზმის» (ლარინის გამოთქმაა) ბუნდოვანობას. ამავე დროს ლარინის გეგმას ჩვენ ვაცხადებთ ოპორტუნისტულ ავანტიურად, რადგან ესერებთან შეერთებას და «უპარტიო პარტიას», გარდა მუშის შეგნების დაბნელებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გაძნელებისა, არაფრის მოცემა არ შეუძლია.

ახლა, დაე, მკითხველმა განიხილოს გულდასმით ამხ. ხრუსტალევის გეგმა. ის პირდაპირ წერს: «პარტიამ არ უნდა იკისროს მუშაობა ყრილობის მოსაწვევად». «მისი მოწვევის ინიციატივა უნდა ეკუთვნოდეს პროფესიულ კავშირებს და ყრილობის მომწვევ სპეციალურ კომიტეტებს».

როგორ უნდა შევადგინოთ ეს კომიტეტები?

პირდაპირ პასუხს ამაზე ამხ. ხრუსტალევი არ იძლევა. მაგრამ შემდეგ სიტყვებში მოცემულია საკმაოდ ნათელი, თუმცა არაპირდაპირი პასუხი:

«მაშ ყრილობის როგორი შემადგენლობაა ნავარაუდევი? წესდება თუ არა რაიმე ცენზი? — კითხვას აყენებს ის და უპასუხებს: — რაკი ორგანიზაციის გაფართოებას ვესწრაფვით, ამით ჩვენ აზრს გამოვთქვამთ ყოველგვარი შეზღუდვის წინააღმდეგ. ყრილობას უნდა დაესწროს მუშათა ყველა არჩეული წარმომადგენელი. პროფესიულ კავშირებს, სამომხმარებლო საზოგადოებებს, მუშათა სალაროებს, მუშათა ურთიერთდამხმარე საზოგადოებებს, საქარხნო კომიტეტებს, სპეციალურად ყრილობის მოსაწყობად შექმნილ კომიტეტებს, იმ ქარხნებიდან და ფაბრიკებიდან არჩეულ დეპუტატებს, სადაც საქარხნო კომიტეტები არ არის, — ყველას უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენლები სრულიად რუსეთის მუშათა ყრილობაზე. ასეთია მისი შემადგენლობა».

ეს საკვანძო ნათელია. «ყოველგვარი შეზღუდვის წინააღმდეგ» — მოდით ყველანი, ვინც ასე თუ ისე არჩეული ხართ მუშების მიერო. ავტორი არ ამბობს, თუ როგორ გ ა ვ მ ი ჯ ნ ო თ «მუშები» ყოველგვარი მოსამსახურეებისაგან (სავაჭრო, ფოსტის, ტელეგრაფის, რკინიგზის მოსამსახურენი და სხვ.)

და გლეხებისაგან, რომლებიც შედიან ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებშიც და «სამომხმარებლო საზოგადოებებშიც». ეს, უთუოდ, ტექნიკური წვრილმანია, მისი თვალსაზრისით: «ყოველგვარი შეზღუდვის წინააღმდეგ»! რატომ უნდა შევზღუდოთ წვრილბურჟუაზიული ელემენტებიო?

მაგრამ განვაგრძოთ. ყრილობის შემადგენლობას ამხ. ხრუსტალევი ნათლად განსაზღვრავს. მისი ამოცანების შესახებაც მან ნათლად გამოთქვა აზრი. «ყოველ შემთხვევაში, — წერს ის, — მუშათა ყრილობის კომიტეტები და ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ერთდროულად იარსებებენ».

...«პირველი ორგანიზაციული უჯრედი იქნება საქარხნო კომიტეტები. ქარხნის ცხოვრების ყველა გამოვლინებაში მონაწილეობის მიღებით, დაწყებული შრომისა და კაპიტალის კონფლიქტების მოგვარებით, ეკონომიური გაფიცვების გეგმაშეწყნილ ხელმძღვანელობაში მონაწილეობით, სამუშაოს გამოძებნაში მონაწილეობის მიღებით და სხვა, თვით სალაროების, კლუბების, ლექციების, ბიბლიოთეკების მოწყობით, — საქარხნო კომიტეტები, არჩეულნი და ანგარიშვალდებულნი, თავიანთ ჩარჩოებში მოაქცევენ პროლეტარიატის ფართო ფენებს.

ერთი ქალაქის ან სამრეწველო ცენტრის საქარხნო კომიტეტები შეადგენენ მუშათა ყრილობის კომიტეტს. მისი ხვედრი იქნება პროფესიული და კოოპერაციული მოძრაობის ხელმძღვანელობა, გაღრმავება და გაფართოება, უმუშევრების დახმარების ორგანიზაცია, საქალაქო თვითმმართველობებზე ზედმოქმედება საზოგადოებრივ სამუშაოთა მოსაწყობად, აგიტაცია სანოვაგის გაძვირების წინააღმდეგ, ურთიერთობა სათათბიროს კომისიასთან, რომელსაც უმუშევრების დახმარების აღმოჩენა ევალება, გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ა დ გ ი ლ ე ბ ზ ე ყ ვ ე ლ ა ი მ კ ა ნ ო ნ ბ რ ო ე ქ ტ ი ს ა, რ ო მ ლ ე ბ ი ც მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ებ ს ე ხ ებ ა (ხაზგასმა ავტორისაა); ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის დროს — საარჩევნო კამპანიის ჩატარება და სხვ.

მუშათა ყრილობა იქნება მხოლოდ ხელმძღვანელი და წარმმართველი ორგანო მთელი მოძრაობისა. ასეთია დაახლოებითი სქემა. რა თქმა უნდა, ცხოვრება თავის შესწორებებს შეიტანს».

ეს სავსებით ნათელია. უპარტიო საქარხნო კომიტეტები. მუშათა ყრილობის უპარტიო კომიტეტები. მუშათა უპარტიო ყრილობა. «ამ კომიტეტების მეშვეობით და მათი საშუალე-

ბით, — ამბობს ამხ. ხრუსტალევი, — პარტია მიიღებს მთელ მუშათა კლასზე ზედმოქმედების მძლავრ ბერკეტს».

კითხვა ისმის: რით განსხვავდება ეს ლარინისაგან?? ეს სავსებით იგივე გეგმაა, ოღონდ ოდნავ სხვა სიტყვებით გამოხატული. ფაქტიურად ეს არის სოციალ-დემოკრატიის სავსებით იგივე ჩამოქვეითება «ფართო პარტიის შიგნით არსებული პროპაგანდისტული საზოგადოების» როლამდე, რადგან ნამდვილად ამხ. ხრუსტალევის «გეგმამ» სოციალ-დემოკრატიას არავითარი სხვა ამოცანა არ დაუტოვა. მუშათა კლასის პოლიტიკური მოღვაწეობა მან სავსებით ისევე, როგორც ლარინმაც, გადასცა «მუშათა უპარტიო პარტიას», რადგან «ყველა კანონპროექტის განხილვა», «საარჩევნო კამპანიის ჩატარება და სხვა», — სწორედ ეს არის მუშათა კლასის მთელი პოლიტიკური მოღვაწეობა.

ლარინი მხოლოდ ხრუსტალევზე უფრო ალალმართალი და გულახდილია, საქმით კი ისინი ორივე მოითხოვს და ატარებს «სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოსპობას და მის შეცვლას პროლეტარიატის უპარტიო პოლიტიკური ორგანიზაციით». სწორედ ამას აღნიშნავს მუშათა უპარტიო ორგანიზაციების შესახებ შემუშავებული იმ ბოლშევიკური რეზოლუციის პირველივე მუხლი, რომელზედაც ამხ. ხრუსტალევი საშინლად გაჯავრდა, გაგვლანძღა და გვიწოდა პროკურორები და სხვა.

ამხ. ხრუსტალევი გაჯავრდა იმიტომ, რომ გრძნობდა აუცილებლობას თავი აერიდებინა ჩვენს რეზოლუციაში პირდაპირ დასმული კითხვისათვის: ვინ უნდა უხელმძღვანელოს პროლეტარიატის ბრძოლას, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, თუ «პროლეტარიატის უპარტიო პოლიტიკურმა ორგანიზაციამ»? ვინ უნდა იყოს «ხელმძღვანელი და წარმმართველი ორგანო» საქალაქო თვითმმართველობებზე ზედმოქმედებაში, სათათბიროს კომისიასთან ურთიერთობაში (ამხ. ხრუსტალევმა კრინტი არ დასძრა სათათბიროს სოციალ-დემო-

კრატიული ფრაქციის შესახებ! შემთხვევითი ამბავია ეს, თუ «პროვიდენციული წამონაცდენი» იმ ადამიანისა, რომელმაც ბუნდოვნად იგრძნო, რომ უპარტიო «კომიტეტები მუშათა ყრილობისა» ურთიერთობას გააბამენ სოციალ-დემოკრატებთანაც, ესერებთანაც და ტრუდოვიკებთანაც განურჩევლად?), კანონპროექტების განხილვაში, საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში და ა. შ.?

ამხ. ხრუსტალევს ისღა დარჩენია, რომ გაჯავრდეს, როცა მას ამ კითხვას უსვამენ, რადგან იმის აღიარება, რომ პროლეტარიატის პოლიტიკურ მოღვაწეობას უპარტიო «კომიტეტები» უნდა ხელმძღვანელობდნენო, — უხერხულია. «რომელი სოციალ-დემოკრატი ეწეოდა ან ეწევა აგიტაციას, — განრისხებული სვამს ის კითხვას, — ანტიპარტიული ყრილობის მოსაწვევად? მოწინააღმდეგენი ვერავის დაასახელებენო». ნუ ჯავრობთ, ამხ. ხრუსტალევ, ჩვენ აღვნიშნეთ მთელი რიგი სახელები ჩვენი რეზოლუციის პირველსავე მუხლში, და შეგვეძლო ახლა მათთვის დაგვემატებინა ამხ. გ. ხრუსტალევის სახელი. საქმით ამხ. ხრუსტალევი, ლარინის მსგავსად, აგიტაციას ეწევა შრომის ფართო პარტიის სასარგებლოდ *. ვამბობთ «შრომისა» და არა მუშათა პარტია, რადგან (1) უპარტიო პოლიტიკური ორგანიზაციის შემადგენლობიდან არც ლარინი, არც ხრუსტალევი არ გამორიცხავენ შრომითს, ე. ი. წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას (მაგალითად, მუშათა ყრილობის დელეგატები «სამომხმარებლო საზოგადოებათაგან» ანდა ლოზუნგი: «ყოველგვარი შეზღუდვის წინააღმდეგ»), ხოლო (2) მუშათა პოლიტიკური ორგანიზაციის უპარტიობა აუცილებლად მოასწავებს სოციალ-დემოკრატიული და შრომითი თვალსაზრისების აღრევას.

* ეს გამოთქმა ეკუთვნის ამხ. გ. ლინდოვს, რომელმაც მშვენივრად დაასაბუთა და დაამტკიცა მისი სისწორე სტატიაში «მუშათა ყრილობა», რაც მოთავსებული იყო კრებულში «ტაქტიკის საკითხები».

ამხ. ხრუსტალევი წერს: «ზუბატოვისა და გაპონის შექმნილი ორგანიზაციები სწრაფად განთავისუფლდნენ პოლიციური ელფერისაგან და წმინდა კლასობრივი პოლიტიკა გაატარესო». განთავისუფლდნენ იმის მეოხებით, რომ საქმეში შეგნებულად მონაწილეობდა შეკავშირებული სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც არასოდეს არ ეთანხმებოდა პროლეტართა პოლიტიკის ხელმძღვანელობის გადაცემას უპარტიო ორგანიზაციებისათვის. ამხ. ხრუსტალევი, მგონია, ასხვავებს «წმინდა კლასობრივ» პოლიტიკას სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკისაგან? ძალიან ვთხოვთ მას გულახდილად განმარტოს თავისი აზრი.

«მუშათა ყრილობა იქნება, — ბრძანების კილოთი ამბობს ამხ. ხრუსტალევი, — და სოციალ-დემოკრატები მონაწილეობას მიიღებენ მასში». რა თქმა უნდა, მივიღებთ, თუ კი შესდგა. ჩვენ მონაწილეობას ვიღებდით ზუბატოვურ და გაპონურ მუშათა მოძრაობაში სოციალ-დემოკრატიისათვის საბრძოლველად. მონაწილეობას მივიღებთ შრომითს მუშათა ყრილობაშიც შრომითი და ტრუდოვიკურ-უპარტიო იდეების წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატიისათვის საბრძოლველად. ეს არ არის საბუთი არც ძველი გაპონობის სასარგებლოდ და არც ახალი უპარტიობის სასარგებლოდ.

ამხ. ხრუსტალევი მიმართავს «ბოლშევიკ მუშებს» და ამასთან ცდილობს წაჰკიდოს ისინი იმ ბოლშევიკებს, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ მუშათა დეპუტატების საბჭოს წინააღმდეგ. ამ ხრიკზე ჩვენ პასუხს არ გავცემთ. დავასახელებთ უფრაქციო ტროცკის. დაე, წაიკითხოს ამხ. ხრუსტალევმა მისი წიგნი: «პარტიის დასაცავად», დაე, გადაშალოს ამ სათაურით მოთავსებულია სტატია, § 2. «ბ-ნ პროკოპოვიჩის ბოროტი პირუთვნელობა», გვერდი 82-ე. როცა ამხ. ხრუსტალევი ამ სტატიას წაიკითხავს, მას შერცხვება, რომ ფრაქციულ გამოლაშქრებას უფრაქციო მუშათა ყრილობის იდეით ჩქმალავს.

შეგნებულ მუშებს კი ჩვენ მხოლოდ ორიოდე სიტყვით მივუთითებთ იმაზე, რომ უპარტიო კომიტეტების ხელმძღვანელი როლი პროლეტარიატის პოლიტიკაში (საარჩევნო კამპანიაში და სხვ.) წმინდა ინტელიგენტური ახირებაა, რომელიც მიგვიყვანდა მხოლოდ გაათკეცებულ ჩხუბსა და კინკლაობამდე, ამ ჩხუბისა და კინკლაობის გზით კი, — «უკან სოციალ-დემოკრატიისაკენ».

დასასრულ, ერთხელ კიდევ მადლობას მოვახსენებთ ამხ. ხრუსტალევს იმისათვის, რომ მუშათა ყრილობის ქადაგება ნათელი და ბოლომდე თქმულია. ლარინი და ხრუსტალევი — ბოლშევიკების საუკეთესო მოკავშირენი არიან აქსელროდის წინააღმდეგ.

«ტრუდ» № 1,
1907 წ. 15 აპრილი

იბეჭდება გაზეთ «ტრუდის» ტექსტის მიხედვით

# რეორგანიზაცია და პეტერბურგის გათიშვის ლიკვიდაცია

მკითხველებმა ყოველდღიური ლეგალური პრესიდან უკვე იციან, რომ რსდმ პარტიის პეტერბურგის ორგანიზაციაში, როგორც იქნა, დამთავრდა პარტიის ადგილობრივი წევრების უმრავლესობის მიერ უკვე დიდი ხანია დასახული რეორგანიზაცია. ადგილობრივი ორგანიზაციის ყველა წევრისაგან საგანგებოდ არჩეული კონფერენცია შეიკრიბა 1907 წლის 25 მარტს [137], განიხილა პეტერბურგის კომიტეტის რეორგანიზაციის პროექტი (დაიბეჭდა «პროლეტარის» მე-15 ნომერში) და შენშევიკების კონტრპროექტი (დაიბეჭდა «რუსსკაია ჟიზნის» 51-ე ნომერში) და უმნიშვნელო შესწორებებით მიიღო პეტერბურგის კომიტეტის პროექტი.

ამ ორგანიზაციული წესდების დედაარსია დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის თანამიმდევრად გატარება. მთელი ორგანიზაციის სათავეში დგას კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა, არჩეული პარტიის ყველა წევრის მიერ პირდაპირი არჩევნებით (ორსაფეხურიანი არჩევნებით მხოლოდ დაუძლეველ დაბრკოლებათა დროს) და გარკვეული ნორმით (პირველი კონფერენცია შესდგებოდა დელეგატებისაგან, რომლებიც არჩეული იყვნენ პარტიის ყოველ 50 წევრზე თითო კაცის რაოდენობით). ეს კონფერენცია მუდმივი დაწესებულებაა. ის იკრიბება თვეში

ორჯერ მაინც და ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს. მისი გადარჩევა ხდება ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ.

კონფერენცია ირჩევს პეტერბურგის კომიტეტს პ ა რ ტ ი ი ს ყ ვ ე ლ ა წ ე ვ რ ი დ ა ნ, არა მარტო ადგილობრივი ორგანიზაციის ამა თუ იმ რაიონში მომუშავეთაგან.

ორგანიზაციის ამ ტიპის დროს ისპობა რაიონების წარმომადგენლობის ყოველგვარი უთანაბრობა, ხოლო, რაც მთავარია, რაიონების წარმომადგენელთაგან პეტერბურგის კომიტეტის შედგენის ვეებერთელა, მრავალსართულიანი, არადემოკრატიული სისტემის ნაცვლად იქმნება ნამდვილი ერთიანობა პარტიის ყველა წევრისა, რომლებიც უშუალოდ გაერთიანებული არიან ერთიანი ხელმძღვანელი კონფერენციით. ამ კონფერენციის შემადგენლობა შესაძლებლობას იძლევა და აუცილებელს ხდის თვალსაჩინო მუშათა უმრავლესობის მონაწილეობას მთელი ადგილობრივი ორგანიზაციის ყველა საქმის ხელმძღვანელობაში.

კონფერენციამ უკვე ცხოვრებაში შემოიღო ორგანიზაციის ეს ახალი ტიპი, თავი გამოაცხადა მუდმივ დაწესებულებად, აირჩია პეტერბურგის ახალი კომიტეტი 19 ამხანაგის შემადგენლობით და ჰქონდა ორი სხდომა (უფრო სწორად: ორჯერ შეიკრიბა სხდომაზე) ყველა მიმდინარე საკითხის გადასაწყვეტად.

იმის დასახასიათებლად, თუ როგორი იყო კონფერენციის მიერ უარყოფილი რეორგანიზაციის მენშევიკური პროექტი, აღვნიშნავთ ერთ, ყველაზე მნიშვნელოვან გარემოებას. ეს პროექტი ორგანიზაციის სათავეში აყენებს ასეთსავე კონფერენციას (მხოლოდ მას უწოდებს საბჭოს). მაგრამ კონფერენციის აღმასრულებელ ორგანოს, პეტერბურგის კომიტეტს, ეს პროექტი სრულებით არ ითვალისწინებს! «საერთო-საქალაქო საბჭო, — ამბობს მენშევიკების პროექტი, — მიმდინარე საქმეების გასაძღოლად იყოფა მთელ რიგ კომისიებად (საპროპა-

განდო, სააგიტაციო, სალიტერატურო, პროფესიული, საფინანსო და სხვ.)». ხოლო «ორგანიზაციის წარმომადგენლობა სხვა პარტიების წინაშე და ჩვენი პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებთან ურთიერთობა ევალება პრეზიდიუმს» საბჭოს მიერ არჩეული 5 პირის შემადგენლობით.

შეიძლება წარმოვიდგინოთ, რანაირი იქნებოდა იმ ორგანიზაციის მუშაობისუნარიანობა, სადაც მ ი მ დ ი ნ ა რ ე მ უ შ ა ო ბ ა ს ეწევიან დაქსაქსული კომისიები, რომელნიც არ არიან გაერთიანებულნი კონფერენციის ერთი აღმასრულებელი ორგანოს მიერ! დემოკრატიული ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ მ ი აქ ფიქციად არის გადაქცეული: არსებითად, ეს არის ნაბიჯი ლარინის იმ ცნობილი გეგმის მიმართულებით, რომლის თანახმად სოციალ-დემოკრატიული პარტია უნდა ჩამოქვეითდეს იმ მუშათა მასაში მოქმედი პ რ ო პ ა გ ა ნ დ ი ს ტ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს როლამდე, რომელიც რაც შეიძლება ნაკლებად მტკიცედაა შეკავშირებული ერთიან ორგანიზაციად. თქმა არ უნდა, მენშევიკების ეს პროექტი მაშინვე უარყოფილ იქნა. ისღა დაგვრჩენია, რომ მის ავტორებს ვთხოვოთ გაგვაცნონ ასეთ საფუძველზე მოქმედი მ ე ნ შ ე ვ ი კ უ რ ი კომიტეტების ან რსდმ პარტიის ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება.

შემდეგ. ფრიად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პეტერბურგის ორგანიზაციის ახალმა კონფერენციამ ბ ო ლ ო მ ო უ ღ ო პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს გ ა თ ი შ ვ ა ს. როგორც ცნობილია, მენშევიკებმა პეტერბურგში გათიშვა მოახდინეს მეორე სათათბიროს არჩევნების დროს, როცა წავიდნენ (ვითომდა, ფორმალური მიზეზებით) 1907 წ. 6 იანვრის კონფერენციიდან, — იმ კონფერენციიდან, რომელმაც გადაწყვიტა რსდმ პარტიის პეტერბურგის საარჩევნო კამპანიის საკითხი. არჩევნები ახალი კონფერენციისა, რომელიც პირველად 25 მარტს შეიკრიბა, ჩატარდა ს ა გ ა ნ გ ე ბ ო კომისიის უ შ უ ა ლ ო კონტროლით; ეს კომისია რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა ს პ ე ც ი ა ლ უ რ ა დ ამ მიზნით

დანიშნა და მასში შედიოდა ლატვიის სოციალ-დემოკრატიის ც. კ.-ის წევრი. ამიტომ 25 მარტის კონფერენცია (რომელიც მოქმედებას განაგრძობს ახლაც, რადგან მან, როგორც უკვე ვთქვით, თავი გამოაცხადა მუდმივ დაწესებულებად) უკანასკნელი წლის მანძილზე პეტერბურგში შემდგარი პირველი სოციალ-დემოკრატიული კონფერენცია იყო, რომელიც კანონიერ საფუძველზე შეიკრიბა ისე, რომ ადგილი არ ჰქონია არავითარ დავას წარმომადგენლობის სისწორის, მანდატების კანონიერებისა და რაოდენობის და სხვათა შესახებ.

პეტერბურგისათვის, სადაც ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ყველაზე უფრო გააფთრებული ბრძოლა იყო, ეს — აქამდე არნახული ფაქტია. ბოიკოტის საკითხზე მოწვეულმა კონფერენციამაც (1906 წლის თებერვალი) [138] და «სათათბიროს» სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერის საკითხზე შეკრებილმა კონფერენციამაც (1906 წლის ივნისი) [139] გამარჯვება ბოლშევიკებს არგუნა, მაგრამ ორივე კონფერენცია ყოველთვის იწყებოდა აუცილებელი დავით წარმომადგენლობის სისწორის შესახებ.

ამიტომ უაღრესად საგულისხმოა ვისარგებლოთ ამ უდავო, პირველი უდავო, მონაცემებით სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრაქციის ძალის შესახებ პეტერბურგში იმისათვის, რომ ნათლად გავერკვეთ იმ გათიშვის ნამდვილ მიზეზებსა და ნამდვილ მნიშვნელობაში, რომელმაც განვლო ახლა პეტერბურგის არჩევნების წინ. როგორც ცნობილია, მენშევიკები ამ გათიშვას ფორმალური მიზეზებით ამართლებდნენ: 1) არასწორი წარმომადგენლობით 6 იანვრის კონფერენციაზე (ბოლშევიკებს ბრალად სდებდნენ ხმების, განსაკუთრებით ნოქრების ხმების, გაბერვას და მენშევიკური მანდატების უკანონოდ გაუქმებას); 2) კონფერენციის უარით შეესრულებინა ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნა საქალაქო და საგუბერნიო კონფერენციად გაყოფის შესახებ.

მეორე «გამართლება» რომ ნამდვილად ნიშნავს ცენტრალური კომიტეტის (ე. ი. მისი მენშევიკური ნაწილის) მონა-

წ ი ლ ე ო ბ ა ს პეტერბურგის გათიშვის მოწყობაში, ეს უკვე საკმაოდ გარკვეულია «პროლეტარის» წინა ნომრებში. ამას ადვილად მიხვდება სხვა ქალაქებში მომუშავე ჩვენი პარტიის ყველა წევრიც, რომლებმაც მშვენივრად იციან, რომ ცენტრალურ კომიტეტს ა რ ს ა დ არ მოუთხოვია დ ა ა რ ც შ ე ე ძ ლ ო მ ო ე თ ხ ო ვ ა საერთო-საქალაქო კონფერენციების გაყოფა საქალაქო და საგუბერნიო კონფერენციებად. ამ მოთხოვნის ულტიმატური ხასიათი ცენტრალურ კომიტეტს პეტერბურგში იმისთვის დასჭირდა, რ ო მ სანკტ-პეტერბურგის ორგანიზაციაში გ ა თ ი შ ვ ა მ ო ე ხ დ ი ნ ა და შემდეგ დახმარებოდა გათიშულ მენშევიკებს დაეწყოთ (თუ განეგრძოთ) მოლაპარაკება კადეტებთან.

მაგრამ გათიშვის პირველი «გამართლება» ჩვენი პარტიის ყველა წევრისათვის, გარდა პეტერბურგელებისა, სავსებით ბუნდოვანი და სადავო რჩება. მათ არ შეუძლიათ იმსჯელონ 6 იანვრის კონფერენციაზე წარმომადგენლობის სისწორესა და ბოლშევიკურ და მენშევიკურ ძალთა ნამდვილ თანაფარდობაზე პეტერბურგში. დოკუმენტებით ამის დამტკიცება სოციალ-დემოკრატიული პრესისათვის სრულიად შეუძლებელი ამოცანაა, რადგან დოკუმენტების შეკრება და შესწავლა მხოლოდ საგანგებო კომისიას შეეძლო. მაგრამ 25 მარტის კონფერენციაზე წარმომადგენლობის შემოწმებული და უდავო ციფრების მეოხებით შესაძლებლობა გვეძლევა მთელ ჩვენს პარტიას დავანახოთ, რამდენი სიმართლე იყო არჩევნების წინ პეტერბურგში მომხდარი გათიშვის მენშევიკურ გამართლებაში. ამისათვის საკმარისია მხოლოდ ერთმანეთს შ ე ვ ა დ ა რ ო თ რ ა ი ო ნ უ ლ ი მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი იმ სოციალ-დემოკრატთა რაოდენობის შესახებ, რომლებმაც ხმა მისცეს ბოლშევიკებს და მენშევიკებს 6 იანვრის კონფერენციისა და 25 მარტის კონფერენციის არჩევნების დროს.

25 მარტის კონფერენციის არჩევნების დროს კენჭისყრის მონაცემები უ დ ა ვ ო ა: ისინი შეამოწმა ცენტრალური კო-

მიტეტის კომისიამ და მიიღეს როგორც ბოლშევიკებმა, ისე მენშევიკებმა.

ხოლო 6 იანვრის კონფერენციის არჩევნების დროს მიცემული ხმების უდავო მონაცემების მისაღებად ჩვენ ავიღებთ მენშევიკურ ციფრებს. 6 იანვრის კონფერენციიდან წასვლის შემდეგ 31 მენშევიკმა გამოსცა საგანგებო განცხადება — ნაბეჭდი ფურცელი სათაურით: «რამ გვაიძულა დაგვეტოვებინა კონფერენცია? (კონფერენციის 31 წევრის განცხადება, შეტანილი ცენტრალურ კომიტეტში)». ეს ფურცელი ჩვენ «პროლეტარის» მე-12 ნომერში განვიხილეთ *. ახლა ჩვენ ავიღებთ იმ «ციფრობლივ მონაცემებს პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციის» (6 იანვრის კონფერენციის) «ამომრჩეველთა შემადგენლობის შესახებ», რომლებიც დაბეჭდილია ამ ფურცლის მე-7 და მე-8 გვერდებზე. აქ 11 რაიონიდან თვითეული რაიონის მიხედვით ცალკეა აღნიშნული ხმების რაოდენობა ბოლშევიკების სასარგებლოდ ** და მენშევიკების სასარგებლოდ, ამასთან ყველა ხმები კიდევ დაყოფილია უდავო და სადავო ხმებად, ეს უკანასკნელნი კი — ბოლშევიკების მიერ სადავოდ მიჩნეულ და მენშევიკების მიერ სადავოდ მიჩნეულ ხმებად.

ჩვენთვის საჭირო არ არის გადმოვცეთ აქ მთელი ეს დეტალური დაყოფა. შენიშვნაში საგანგებოდ აღვნიშნავთ მენშევიკების შეტანილ ყველა შესწორებას. შესადარებლად კი ავიღებთ ბოლშევიკების სასარგებლოდ და მენშევიკების სასარგებლოდ მიცემული «ხმების რაოდენობის»

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 18 — 22. რედ.

** ეს ციფრები კიდევ დაყოფილია ბოლშევიკთა და დისიდენტთა («რევოლუციური ბლოკის პლატფორმა») ხმებად. ერთნიც და მეორენიც — ბოლშევიკები არიან, რომლებიც ერთმანეთს ედავებოდნენ შემდეგ საკითხზე: მემარცხენე ბლოკი თუ წმინდა სოციალ-დემოკრატიული სია.

ჯ ა მ ს, ე. ი. შევაერთებთ უდავო და სადავო ხმებს, რათა ამ მონაცემთა და 25 მარტის კონფერენციის არჩევნებისას მიცემული ხმების მონაცემთა შედარებით პარტიის ყოველ წევრს შეეძლოს თვითონ დარწმუნდეს, რ ა უსწორობას და ვ ი ს ი მ ხ რ ი ვ ჰქონდა ადგილი 6 იანვრის კონფერენციის არჩევნების დროს.

პეტერბურგის ორგანიზაციის მე-12 რაიონის — ნოქართა რაიონის შესახებ 31-ის ფურცელში ცხრილის მონაცემები არ არის. ტექსტში (გვ. 4) ისინი ამბობენ, რომ პეტერბურგის კომიტეტმა უფლება მისცა 313 შეკავშირებულ ნოქარს აერჩიათ 5 წარმომადგენელი, თითო წარმომადგენელი არა 50 (საერთო ნორმა), არამედ 60 კაცზე არჩევნების არადემოკრატიული ხასიათის გამოო. ამ საფუძვლით მენშევიკები ს რ უ ლ ი ა დ არ სცნობდნენ ნოქართა ხმებს. რადგან 5 წარმომადგენლიდან 1 მენშევიკი იყო და 4 ბოლშევიკი, ჩვენ 63 ხმას ჩავთვლით მენშევიკების სასარგებლოდ და 250 ხმას — ბოლშევიკების სასარგებლოდ.

შემდეგ ჩვენ პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ყველა 12 რაიონს ვყოფთ ექვს უდავო და ექვს სადავო რაიონად. ამ უკანასკნელთ მიაკუთვნებდნენ ისეთ რაიონებს, რომელთა მიხედვითაც ან მენშევიკები, ან ბოლშევიკები 6 იანვრის კონფერენციაზე ს ა დ ა ვ ო დ ა ც ხ ა დ ე ბ დ ნ ე ნ ბოლშევიკების სასარგებლოდ ან მენშევიკების სასარგებლოდ მიცემული ხმების ნ ა ხ ე ვ ა რ ზ ე მ ე ტ ს. ამ რაიონებს მიეკუთვნება: ვიბორგისა (მენშევიკების სასარგებლოდ მიცემული 256 ხმიდან ბოლშევიკებმა სადავოდ გამოაცხადეს 234 ხმა, როგორც არც თუ მთლად სწორად მიღებული), საქალაქო (მენშევიკების სასარგებლოდ მიცემული 459 ხმიდან ბოლშევიკებმა სადავოდ გამოაცხადეს 370), მოსკოვისა (მენშევიკების სასარგებლოდ მიცემული 248 ხმიდან ბოლშევიკებმა სადავოდ გამოაცხადეს 97, მენშევიკებმა — 107; ბოლშევიკების

სასარგებლოდ მიცემული 185 ხმა მენშევიკებმა ყველა სადავოდ გამოაცხადეს *), რკინიგზისა (ბოლშევიკების სასარგებლოდ მიცემული 21 ხმიდან სადავოდ გამოცხადდა 5; მენშევიკების სასარგებლოდ მიცემული 154 ხმიდან სადავოდ გამოცხადდა 107); ესტონეთისა (ბოლშევიკების სასარგებლოდ მიცემული ყველა 100 ხმა მენშევიკებმა სადავოდ გამოაცხადეს) და ნოქრებისა (ყველა 313 ხმა მთლიანად გააპროტესტეს მენშევიკებმა; ისინი ამ ხმებს და მხოლოდ ამ ხმებს აცხადებდნენ ისეთ ხმებად, რომლებიც სრულებით არ ყოფილა მიცემული: ორგანიზაციის წევრთა ნაცვლად ორგანიზაციის ზედა ფენებს ირჩევდნენო).

უდავო რაიონებზე მიკუთვნებულია ვასილის კუნძულის, ნარვის, საოლქო, ლატვიის (ამ 4 რაიონში ყველა ხმა უდავო იყო), შემდეგ ნევის (ბოლშევიკების სასარგებლოდ მიცემული 150 ხმიდან სადავოდ გამოცხადებულია 15; მენშევიკების სასარგებლოდ მიცემული 40 ხმიდან სადავოდ გამოცხადებულია 4) და პეტერბურგის (მენშევიკების სასარგებლოდ მიცემული 120 ხმიდან სადავოდ გამოცხადებულია 22) რაიონები.

მიცემული ხმების რაოდენობის რაიონული მონაცემები შემდეგ სახეს იღებს:

---

* სადავოდ გამოცხადებული ყველგან ეწოდება იმ ხმებს, რომლებსაც მეორე მხარე თვლიდა არც თუ სავსებით სწორ, შეუმოწმებელ, წამატებულ, მაგრამ სრულიადაც არა ფიქციურ ხმებად. ბოლშევიკებმა 6 იანვრის კონფერენციაზე გადაწყვიტეს გაედიდებინათ წარმომადგენლობის ნორმა სადავოდ გამოცხადებული ყველა ხმისთვის და მათთვის თითო დელეგატი ჩაეთვალათ 75 კაცზე, ნაცვლად თითო დელეგატისა 50 კაცზე.

| | რსდმპ სპბ ორგანიზაცია<br>რაიონები: | 6 იანვრის კონფერენცია ხმების რიცხვი: | | | 25 მარტის კონფერენცია ხმების რიცხვი: | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ბოლშ. სასარ. | მენშ. სასაო. | სულ | ბოლშ. სასარ. | მენშ. სასარ. | სულ |
| ყველა რაიონები | ვას. კუნძულისა ..... | 329 | 339 | 668 | 798 | 435 | 1 233 |
| | პეტერბურგისა..... | 161 | 120 | 281 | 528 | 254 | 782 |
| | ნარვისა ..... | 24 | 6 | 30 | 202 | 231 | 433 |
| | ნევისა ..... | 150 | 40 | 190 | 585 | 173 | 758 |
| | საოლქო ..... | 451 | 63 | 514 | 737 | — | 737 |
| | ლატვიისა ..... | 117 | 47 | 164 | 100 | — | 100 |
| | სულ ..... | 1 232 | 615 | 1 847 | 2 950 | 1 093 | 4 043 |
| სადავო რაიონები | ვიბორგისა..... | 97 | 256 | 353 | 155 | 267 | 422 |
| | საქალაქო ..... | 220 | 459 | 679 | 701 | 558 | 1 259 |
| | მოსკოვისა..... | 185 | 248 | 433 | 331 | 83 | 414 |
| | რკინიგზისა..... | 21 | 154 | 175 | 29 | 105 | 134 |
| | ესტონეთისა..... | 100 | — | 100 | 150 | — | 150 |
| | ნოკრებისა ..... | 250 | 63 | 313 | 300 | 50 | 350 |
| | სულ ..... | 873 | 1 180 | 2 053 | 1 666 | 1 063 | 2 729 |
| | ჯამი ..... | 2 105 | 1 795 | 3 900 | 4 616 | 2 156 | 6 772 |

ამ მონაცემებიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები:

1) პეტერბურგის სოციალ-დემოკრატმა მუშებმა შეუდარებლად მეტი ინტერესი გაიჩინეს სანკტ-პეტერბურგის ორგანიზაციის რეფორმისადმი (25 მარტის კონფერენციის მიზანი), ვიდრე სათათბიროს არჩევნებისადმი ქალაქის კურიაში (6 იანვრის კონფერენციის მიზანი).

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრთა რიცხვი არ შეიძლება ძალიან მნიშვნელოვნად შეცვლილიყო ორნახევარი თვის განმავლობაში. პოლიციური პირობები კრებების მოსაწვევად და ხმების დასათვლელად მარტში არათუ უკეთესი, უარესიც იყო (კრებები არ შემდგარა უნივერსიტეტში; გაძლიერდა მუშათა დევნა).

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის იმ წევრთა რიცხვი, რომლებმაც ხმა მისცეს, ერთნახევარჯერ და მეტად გადიდდა, გადიდდა ორი მესამედით და მეტად (3 900-დან 6 772-მდე).

2) მენშევიკების მიმართ ბოლშევიკების უპირატესობა ხმის მიმცემთა უფრო მნიშვნელოვანი რიცხვის დროს შეუდარებლად უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე კენჭისყრაში სუსტი მონაწილეობის დროს. 6 იანვარს მენშევიკებს ჰქონდათ 1 795 ხმა 3 900 ხმიდან, ე. ი. 46 პროცენტი, 25 მარტს მათ მიიღეს 2 156 ხმა 6 772 ხმიდან, ე. ი. 32 პროცენტი.

3) უდავო (პირველ 6) რაიონებში გადიდდა როგორც ბოლშევიკების სასარგებლოდ, ისე მენშევიკების სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი (პირველი რიცხვი გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად გადიდდა). სადავო (უკანასკნელ ექვს) რაიონებში გადიდდა **ბოლშევიკების** სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი და **შემცირდა მენშევიკების** სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი.

ბოლშევიკების სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი გადიდდა 873-დან 1 666-მდე. მენშევიკების სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი შემცირდა 1 180-დან 1 063-მდე. სადავო რაიონებში აღმოჩნდა, რომ მენშევიკების უპირატესობა არ არსებობდა.

ეს ფაქტი სწყვეტს იმ საკითხს, თუ ვინ არის დამნაშავე გათიშვაში.

შესამოწმებელმა და ცენტრალური კომიტეტის საგანგებო კომისიის მიერ შემოწმებულმა არჩევნებმა გვიჩვენა, რომ ბოლშევიკური ხმების რიცხვი სადავო რაიონებში ნამდვილ რიცხვზე ნაკლები იყო, მენშევიკური ხმების რიცხვი კი ნამდვილ რიცხვზე მეტი იყო!!

მენშევიკები ამბობდნენ და წერდნენ, ბოლშევიკებმა გააზვიადეს ხმების რიცხვი სადავო რაიონებშიო. ბოლშევიკები ამ ბრალდებას მენშევიკებს უყენებდნენ. შესამოწმებელმა არჩევნებმა მოგვცა ბოლშევიკური ხმების რიცხვის გადიდება და მენშევიკური ხმების რიცხვის შემცირება. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ბოლშევიკების სიმართლის დამამტკიცებელი უფრო სარწმუნო და უფრო გადამწყვეტი საბუთი?

ამ დასკვნის გასაბათილებლად არ შეიძლება არც იმის დამოწმება, რომ რაიონული მონაცემები შეიძლებოდა შემთხვევითი ყოფილიყო, არც იმისა, რომ ჩვენ 6 იანვარს სადავო და უდავო ხმები ერთად ავიღეთ. პირველ მოსაზრებას ნიადაგი ეცლება, რადგან ჩვენ განზრახ ავიღეთ არა მარტო ცალკე რაიონები, არამედ რაიონთა ჯგუფები, ერთმანეთს შევადარეთ ექვსი და ექვსი რაიონი სწორედ იმისათვის, რომ შემთხვევითი ჰომენტების ყოველგვარი დამოწმების შესაძლებლობა მოგვესპო. ცალკეული რაიონების (მაგალითად, მოსკოვის რაიონის!!) მონაცემები ჩვენთვის ერთიანად უფრო ხელსაყრელი იქნებოდა.

მეორე მოსაზრებას ნიადაგი ეცლება, რადგან ჩვენ განზრახ ვემყარებოდით მენშევიკების ციფრებს, რომლებშიც თვითონ მენშევიკებს სრულიად უმნიშვნელო შესწორებანი შეჰქონდათ. «ნამდვილად კი, არ უნდა დამტკიცებულიყო», 31 მენშევიკის აზრით, რაც მათ გამოთქვეს თავიანთ ნაბეჭდ ფურცელში (გვ. 7), მხოლოდ შემდეგი ხმები: 15 ხმა 150 ბოლშევიკური ხმიდან ნევის რაიონში და არც ერთი ბოლშევიკური ხმა ესტონეთის რაიონში; 107 ხმა 248 მენშევიკური ხმიდან მოსკოვის რაიონში და 41 ხმა 154 მენშევიკური ხმიდან რკინიგზის რაიონში, ე. ი. სულ 115 ბოლშევიკური და 143 მენშევიკური ხმა. ნოქართა ხმებს (სულ 313) მენშევიკები მთლიანად უარყოფდნენ. ადვილი დასანახია, რომ ეს შესწორებანი ოდნავადაც ვერ არყევენ ჩვენ მიერ გამოტანილ საერთო დასკვნებს.

25 მარტის კონფერენციამ, რომლის არჩევნები ცენტრალური კომიტეტის კომისიამ საგანგებოდ შეამოწმა და ყველამ უდავოდ აღიარა, დაამტკიცა, რომ 6 იანვრის კონფერენციაზე წარმომადგენლობის გამო გამართულ დავაში სიმართლე სულ მთლად ბოლშევიკების მხარეზე იყო, რომელთა უპირატესობა მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა; მენშევიკების უპირატესობა კი საბოლოოდ გაბათილდა. რა თქმა უნდა, ჩვენი შსჯელობის საწინააღმდეგოდ კიდევ შეიძლება სცადონ იმაზე

მითითება, რომ 25 მარტის კონფერენცია საარჩევნო კამპანიის შემდეგ შესდგა და, ამრიგად, გამოხატა სოციალ-დემოკრატი მუშების გადასვლა ბოლშევიკების მხარეზე ამ საკითხში, გადასვლა უკვე 1907 წლის 6 იანვრის შემდეგ. მაგრამ ასეთი მოსაზრება, რა თქმა უნდა, კი არ ასუსტებს, არამედ უფრო აძლიერებს (თუმცა რაოდენადმე სხვა მხრივ) სწორედ მენშევიკების დამნაშავეობას არჩევნების გამო მომხდარ გათიშვაში.

მეორე სათათბიროს არჩევნების დროს პეტერბურგში მომხდარი გათიშვის დანაშაული მთლად მენშევიკებს აკისრიათ. ჩვენ ამას მუდამ ვამტკიცებდით და ვკისრულობდით დაგვემტკიცებინა პარტიის წინაშე.

ახლა ჩვენ ეს საბოლოოდ დავამტკიცეთ.

დაწერილია 1907 წ. აპრილში

დაიბეჭდა 1907 წ. 2 მაისს
გაზეთ «პროლეტარში» № 16

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

# საერთო-ნაციონალური რევოლუციის საკითხისათვის

სიტყვის განსაზღვრული მნიშვნელობით, ძლევამოსილი შეიძლება იყოს მხოლოდ საერთო-ნაციონალური რევოლუცია. ეს სწორია იმ აზრით, რომ რევოლუციის გამარჯვებისათვის აუცილებელია მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის გაერთიანება ამ რევოლუციის მოთხოვნებისათვის ბრძოლაში. ეს უდიდესი უმრავლესობა ან მთლიანად ერთი კლასისაგან უნდა შესდგებოდეს, ან სხვადასხვა კლასისაგან, რომელთაც ზოგიერთი ერთნაირი ამოცანები აქვთ. რუსეთის თანამედროვე რევოლუციის მიმართ აგრეთვე, რა თქმა უნდა, სწორია, რომ მას შეუძლია გაიმარჯოს მხოლოდ როგორც საერთო-ნაციონალურმა რევოლუციამ ამ სიტყვების *იმ მნიშვნელობით*, რომ მისი გამარჯვებისათვის აუცილებელია მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის შეგნებული მონაწილეობა ბრძოლაში.

მაგრამ ამით შემოიფარგლება პირობითი სისწორე გავრცელებული გამოთქმისა: «საერთო-ნაციონალური» რევოლუცია. ვერავითარ შემდგომ დასკვნას, გარდა აღნიშნული, სწორად რომ ვთქვათ, ტრუიზმისა (ორგანიზებული და გაბატონებული უმცირესობის წინააღმდეგ გამარჯვება შეუძლია მხოლოდ უდიდეს უმრავლესობას), ამ ცნებიდან ვერ გამოიტანთ. ამიტომ

ძირფესვიანად მცდარი და უაღრესად ანტიმარქსისტულია გამოყენება მისი, როგორც საერთო ფორმულისა, როგორც შაბლონისა, როგორც ტაქტიკის კრიტერიუმისა. «საერთო-ნაციონალური რევოლუციის» ცნება მარქსისტს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აუცილებელია სხვადასხვა კლასის იმ სხვადასხვა ინტერესთა ზუსტი ანალიზი, რომლებიც ერთმანეთს ხვდება ზოგიერთი განსაზღვრული, შეზღუდული საერთო ამოცანების ნიადაგზე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ ცნების გამოყენება იმისათვის, რომ ვაფუჩეჩებდეთ, ვჩრდილავდეთ კლასობრივი ბრძოლის შესწავლას ამა თუ იმ რევოლუციის მიმდინარეობის დროს. «საერთო-ნაციონალური რევოლუციის» ცნების ამგვარი გამოყენება ნიშნავს მარქსიზმის სრულ უარყოფას და წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ან წვრილბურჟუაზიული სოციალისტების ვულგარული ფრაზისაკენ დაბრუნებას.

მემარჯვენე ფრთის ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს ხშირად ავიწყდებათ ეს ჭეშმარიტება. კიდევ უფრო ხშირად ავიწყდებათ მათ, რომ რევოლუციის პროგრესთან ერთად იცვლება კლასთა თანაფარდობა რევოლუციაში. რევოლუციის ყოველი ნამდვილი პროგრესი ნიშნავს უფრო ფართო მასების ჩაბმას მოძრაობაში, — მაშასადამე, კლასობრივი ინტერესების მეტ შეგნებას, — მაშასადამე, პოლიტიკურ, პარტიულ დაჯგუფებათა მეტ გარკვეულობასა და სხვადასხვა პარტიის კლასობრივი სახის უფრო ზუსტად გამოკვეთას, — მაშასადამე, ზოგადი აბსტრაქტული და თავისი აბსტრაქტულობით გაურკვეველი და ბუნდოვანი პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნების სულ უფრო და უფრო მეტად შეცვლას სხვადასხვა კლასის კონკრეტული, ზუსტად განსაზღვრული სხვადასხვა მოთხოვნით.

მაგალითად, რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, ისე როგორც ყოველი ბურჟუაზიული რევოლუცია, აუცილებლად იწყება საერთო ლოზუნგით: «პოლიტიკური თავისუფლება», «ხალხის ინტერესები», ამასთან ამ ლოზუნგების კონკრეტული

მნიშვნელობა მასებისა და კლასებისათვის ნათელი ხდება მხოლოდ ბრძოლის მსვლელობაში, მხოლოდ იმის მიხედვით, თუ როგორ იწყება პრაქტიკულად ამ «თავისუფლების» განხორციელება, გ ა რ კ ვ ე უ ლ ი შინაარსის მიცემა თუნდაც ისეთი უბრალო სიტყვიერი ცნებისათვის, როგორიც არის «დემოკრატია». ბურჟუაზიული რევოლუციის წინ, მის დასაწყისს, დემოკრატიის გულისათვის გამოდიან ყველანი: პროლეტარიატიც, გლეხობაც ქალაქის წვრილბურჟუაზიულ ელემენტებთან ერთად, ლიბერალური ბურჟუებიც ლიბერალურ მემამულეებთან ერთად. მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის მსვლელობის დროს, მხოლოდ რევოლუციის ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი ისტორიული განვითარების დროს თავს იჩენს ამ «დემოკრატიის» სხვადასხვანაირი გაგება სხვადასხვა კლასის მიერ. მეტიც: თავს იჩენს ღრმა უფსკრული სხვადასხვა კლასის ინტერესთა შორის, რომლებიც მოითხოვენ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ეკონომიურ და პოლიტიკურ ღონისძიებას ერთი და იმავე «დემოკრატიის» გულისათვის.

მხოლოდ ბრძოლის მსვლელობის, მხოლოდ რევოლუციის განვითარების დროს ირკვევა, რომ ერთ «დემოკრატიულ» კლასს ან ფენას არ უნდა ან არ შეუძლია წავიდეს ისე შორს, როგორც მეორეს, — რომ «საერთო» (ვითომდა საერთო) ამოცანების განხორციელების ნიადაგზე ჩაღდება გააფთრებული შეჯახებები მათი განხორციელების წ ე ს ი ს ა თ ვ ი ს, მაგალითად, თავისუფლების, ხალხის ბატონობის ამა თუ იმ დონისა, მოცულობისა და თანამიმდევრობისათვის, გლეხობის ხელში მიწის ამა თუ იმ წესით გადასვლისათვის და სხვ.

ყველა ამ დავიწყებული ჭეშმარიტების გახსენება ჩვენ იმისათვის დაგვჭირდა, რომ მკითხველს განვუმარტოთ დავა, რომელიც ამასწინათ წარმოებდა ორ გაზეთს შორის. აი რას წერდა ერთი მათგანი — «ნაროდნაია გაზეტა» მეორის — «ნაშე ეხოს» წინააღმდეგ:

««მოსახლეობის დაჯგუფებამ პარტიების მიხედვით, — წერს «ნაშე ეხოს», — რევოლუციის ამ უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა გაკვეთილმა

და უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა შენაძენმა II სათათბიროს არჩევნების დროს, — თვალსაჩინოდ დაგვანახა საერთო-ნაციონალური მასშტაბის ფაქტებით მემამულეთა და ბურჟუაზიის ფართო ფენების ეს მარჯვნივ მიბრუნება». სავსებით სწორია; მაგრამ იმ სულიერმა განწყობილებამ და მანდატებმა, რომლებიც «მემარცხენე» დეპუტატებმა — ესერებმა, ტრუდოვიკებმა და სახალხო სოციალისტებმა — ადგილებიდან ჩამოიტანეს, ასევე «თვალსაჩინოდ დაგვანახა საერთო-ნაციონალური მასშტაბით», რომ «ხალხი» ამჟამად არანაკლებად არის გამსჭვალული კადეტური «კონსტიტუციური ილუზიებით», რომ «ხალხი» მეტისმეტ იმედს ამყარებს სათათბიროს თვითკმარ საქმიანობაზე, რომ ის მეტისმეტად ზრუნავს სათათბიროს «შენარჩუნებისათვის». აი ეს სპილო ვერ შეამჩნიეს გაზეთ «ნაშე ეხოს» ლიტერატორებმა. მათ შენიშნეს, ვ ი ს გზავნიდა ხალხი სათათბიროში, მათ ვერ შენიშნეს, რ ი ს თ ვ ი ს გზავნიდა ხალხი მათ სათათბიროში. მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ არ დაეთანხმება «ნაშე ეხო» იმას, რომ როცა პროლეტარიატს მოუწოდებს უგულებელყოს «საერთო-ნაციონალური» ამოცანები, «მით ის მას მოუწოდებს განმარტოვდეს არა მარტო ბურჟუაზიული «საზოგადოებისაგან», არამედ წვრილბურჟუაზიული «ხალხისაგანაც»?».

ეს მეტად საგულისხმო და ფრიად მნიშვნელოვანი ტირადაა, რომელიც ოპორტუნიზმის სამ დიდ შეცდომას ააშკარავებს: ჯერ-ერთი, არჩევნების შედეგებს უპირისპირებენ დეპუტატების სულიერ განწყობილებას; ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხის სულიერი განწყობილება შეცვალო დეპუტატების სულიერი განწყობილებით, უფრო ღრმა, ფართო, ძირითადი მოვლენის ნაცვლად მიმართო უფრო წვრილმანს, ვიწროს, მეორეხარისხოვანს *. მეორე, პროლეტარიატის მტკიცე და ურყევი პოლიტიკური ხაზისა და ტაქტიკის საკითხს სცვლიან ამა თუ იმ «სულიერი განწყობილების» გათვალისწინების საკითხით. მესამე, — და ე ს უ მ თ ა ვ რ ე ს ი ა, — «საერთო-ნაციონალური რევოლუციის» ვულგარულ-დემოკრატიული ფეტიშის გულისათვის პროლეტარიატს აშინებენ «წვრილბურჟუაზიული ხალხისაგან» «გ ა ნ მ ა რ ტ ო ე ბ ი თ».

* რაც შეეხება «მანდატებს», ამ საბუთს ჩვენ სავსებით ვაბათილებთ. ვინ ითვლის რევოლუციურ და ოპორტუნისტულ განაწესებსა და მანდატებს? ვინ არ იცის, რამდენი გაზეთი დახურეს რევოლუციურ განაწესთა დაბეჭდვისათვის?

პირველ ორ შეცდომაზე რაც შეიძლება მოკლედ შევჩერდებით. არჩევნებმა აამოძრავა მასები და გვიჩვენა მათი არა მარტო წუთიერი სულიერი განწყობილება, არამედ მათი ღრმა ინტერესებიც. მარქსისტებს სრულებით არ შეშვენით დაივიწყონ კლასობრივი ინტერესები (რომლებიც გამოხატულია პარტიული დაჯგუფებით არჩევნების დროს) და წუთიერ სულიერ განწყობილებას მიმართონ. დეპუტატების სულიერი განწყობილება შეიძლება მოდუნებული იყოს, მასების ეკონომიურ ინტერესებს კი შეუძლიათ მასობრივი ბრძოლა გამოიწვიონ. ამიტომ «სულიერი განწყობილების» გათვალისწინება შეიძლება საჭირო იყოს ამა თუ იმ მოქმედების, ნაბიჯის, მოწოდებისა და სხვათა მომენტის განსაზღვრისათვის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში პროლეტარიატის ტაქტიკის განსაზღვრისათვის. სხვაგვარად მსჯელობა ნიშნავს მტკიცე პროლეტარული ტაქტიკის შეცვლას უპრინციპო დამოკიდებულებით «სულიერი განწყობილებისაგან». ლაპარაკი კი ყოველთვის იყო სწორედ ხაზის და სრულიადაც არა «მომენტის» შესახებ. მოღონიერდა ამჟამად პროლეტარიატი თუ ვერ მოღონიერდა (როგორც ფიქრობს «ნაროდნაია გაზეტა»), ამას მნიშვნელობა აქვს მოქმედების «მომენტის» გასათვალისწინებლად, მაგრამ არა მუშათა კლასის მოქმედების ტაქტიკური ხაზის განსაზღვრისათვის.

მესამე, ყველაზე ღრმა და ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომაა წვრილბურჟუაზიული ხალხისაგან სოციალ-დემოკრატიის ანუ (რაც იგივეა) პროლეტარიატის «განმარტოების» შიში. ეს უკვე ყოვლად უმართებულო შიშია.

რამდენადაც ესერები, ტრუდოვიკები და სახალხო სოციალისტები მართლაც კუდში მისჩანჩალებენ კადეტებს, — ეს კი ძალიან ხშირად ხდება და მომხდარა, დაწყებული გოლოვინისათვის ხმისმიცემით, შემდეგ კი სამარისებური სიჩუმის განთქმული ტაქტიკით და სხვა, — იმდენად სოციალ-დემოკრატია ვალდებულია განმარტოვდეს წვრილბურჟუაზიული ხალხისაგან. რადგან ორში ერთია: ან წვრილბურჟუაზიული

ხალხის მერყეობა საზოგადოდ გვიჩვენებს წვრილი ბურჟუების მერყეე ბუნებას, გვიჩვენებს რევოლუციის მძიმე და ძნელ განვითარებას, მაგრამ არ მოასწავებს მის დასასრულს, მის ძალთა ამოწურვას (ასე ვფიქრობთ ჩვენ). მაშინ, წვრილბურჟუაზიული ხალხის ყველა და ყოველგვარი მერყეობისა და ქანაობისაგან განმარტოებით, სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატი ეწევა ამ ხალხის ა ღ ზ რ დ ა ს ბრძოლისათვის, ამზადებს მას ბრძოლისათვის, ავითარებს მის შეგნებას, გამბედაობას, სიმტკიცეს და ასე შემდეგ. ანდა წვრილბურჟუაზიული ხალხის მერყეობა მოასწავებს ახლანდელი ბურჟუაზიული რევოლუციის სრულ დასასრულს (ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი შეხედულება ა რ ა ს წ ო რ ი ა, და სოციალ-დემოკრატთაგან მას არავინ არ იცავდა პირდაპირ და აშკარად, თუმცა უეჭველია, რომ უკიდურესი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ამ შეხედულებისაკენ იხრებიან). მაშინ სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატი ა გ რ ე თ ვ ე ვ ა ლ დ ებ უ ლ ი ა განმარტოვდეს წვრილი ბურჟუაზიის მერყეობისაგან (ანუ გამცემლობისაგან) იმისათვის, რომ აღზარდოს მუშათა მასების კლასობრივი შეგნება და ამზადოს ისინი უფრო გეგმაშეწონილი, მტკიცე, გაბედული მონაწილეობისათვის შემდგომ რევოლუციაში.

სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატი ორივე შემთხვევაში, ყველა შემთხვევაში უთუოდ ვალდებულია განმარტოვდეს კ ა დ ე ტ უ რ ი ი ლ უ ზ ი ებ ი თ გ ა მ ს ჭ ვ ა ლ უ ლ ი წვრილბურჟუაზიული ხალხისაგან. მან უნდა აწარმოოს ყოველ შემთხვევაში ნამდვილად რევოლუციური კლასის მტკიცე, ნაცადი პოლიტიკა და თავი არ უნდა დააშინებინოს არავითარ რეაქციულ ან მეშჩანურ ლაყბობას არც საერთო-ნაციონალურ ამოცანებზე საზოგადოდ და არც საერთო-ნაციონალურ რევოლუციაზე.

შესაძლებელია, ძალთა ამა თუ იმ შეხამებისა და არახელსაყრელ გარემოებათა დამთხვევისას, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ფენების უდიდესი უმრავლესობა დროებით

შეიპყროს მონურმა მორჩილებამ, ქვემძრომობამ ან სიმხდალემ. ეს იქნებოდა «საერთო-ნაციონალური» სიმხდალე, — და სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატი განმარტოვდება მისგან საერთოდ მთელი მუშათა მოძრაობის ინტერესების გულისათვის.

«პროლეტარი» № 16,
1907 წ. 2 მაისი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარის» ტექსტის მიხედვით

# რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნოემბრის სამხედრო-საბრძოლო კონფერენციის ოქმების გამო[140]

«ნაროდნაია დუმას» მე-20 (ა. წ. 3 აპრილის) ნომერში დაბეჭდილია: «რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციებს მიმართა შემდეგი წერილით: «ამ დღეებში დაიბეჭდა წიგნაკი, რომლის სათაურია: «სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების პირველი კონფერენციის ოქმები»*. ყველა შესაძლო გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ცენტრალური კომიტეტი საჭიროდ თვლის ამის გამო განმარტოს შემდეგი: 1) ეს კონფერენცია მოიწვიეს რამდენიმე სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა არათუ ცენტრალური კომიტეტის თანხმობის გარეშე, არამედ მისი მტკიცე პროტესტის მიუხედავადაც, რადგან ცენტრალური კომიტეტი საბრძოლო ორგანიზაციების გაერთიანების ყოველგვარ ფორმას შეუწყნარებლად თვლიდა. 2) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ტექნიკურ ჯგუფს «კონფერენციაში» მონაწილეობისათვის ცენტრალური კომიტეტის ნებართვა არ მიუღია, და ამ ჯგუფის წევრი, რომელმაც თავს ნება მისცა ცენტრალური კომიტეტის

* ნამდვილი სათაური, რომელიც ცენტრალურ კომიტეტს შეუკვეცია, ასეთია: «ოქმები რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების პირველი კონფერენციისა, რომელიც შედგა 1906 წ. ნოემბერში» (ს.-პეტერბურგი. 1907. ფასი 60 კაპ. გვერდი IV + 168).

უნებართვოდ მონაწილეობა მიეღო კონფერენციაში, ცენტრალურმა კომიტეტმა სასტიკად გაკიცხა. საჭიროდ ვთვლით ამას დავსძინოთ, რომ ბალტიისპირა მხარის სამხედრო ორგანიზაციები კონფერენციაში მონაწილეობდნენ წინაალმდეგ ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა»».

მკითხველები აქედან ხედავენ, რომ ჩვენი ცენტრალური კომიტეტი ძალიან გაჯავრებულია, ჩქარობს პარტიის წინაშე სახელი გაუტეხოს რომელიღაც კონფერენციას და საქმის დედაარსი მიჩქმალოს ფორმალურ უსწორობათა ჩამოთვლით.

პარტიის ყველა წევრს ვურჩევთ გაეცნოს ფრიად საინტერესო «რსდმპ სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების ოქმებს», რათა თვითონ პირადად დარწმუნდეს, თუ რა სასაცილოა ცენტრალური კომიტეტის გულისწყრომა და აღშფოთება. ჩვენი მხრივ, საჭიროდ ვთვლით მოკლედ მაინც შევჩერდეთ ამ წიგნის (და მასთან დაკავშირებული «კონფლიქტის») შეფასებაზე.

ჯერ ორიოდე სიტყვა ცენტრალური კომიტეტის გულისწყრომით სავსე განცხადებაში ასახულ საქმის ფორმალურ მხარეზე. კონფერენცია მოწვეულ იქნა მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის პროტესტისა, რადგან ცენტრალური კომიტეტი «საბრძოლო ორგანიზაციების გაერთიანების ყოველგვარ ფორმას შეუწყნარებლად» თვლიდაო. ეს ძალიან მწყრალად არის ნათქვამი, მაგრამ ყოვლად არალოგიკურია. თუ ის «გაერთიანების ფორმებს» საზოგადოდ არ მიაკუთვნებს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ე ბ ს, მაშინ გატყორცნილი ისარი მიზანს სცდება. თუ მებრძოლთა თათბირი («კონფერენცია») ა გ რ ე თ ვ ე შეუწყნარებელია, როგორც «გაერთიანების ფორმა», მაშინ გაოცებით ვეკითხებით ჩვენს თავს: როგორ შეიძლება აუკრძალო მ ო თ ა თ ბ ი რ ე ბ ა პ ა რ ტ ი უ ლ ი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ვიდრე ისინი პარტიული ორგანიზაციებია, ვიდრე ისინი არც პარტიულ ყრილობას, არც ცენტრალურ კომიტეტს არ დაუშლია?? ცენტრალურ კომიტეტს, ეტ-

ყობა, ეშინია პირდაპირ გამოთქვას თავისი ნამდვილი აზრი (ყოველგვარი საბრძოლო ორგანიზაციების სავსებით დაშლის სურვილი) და ამიტომ სასაცილოდ ჯავრობს. მართლაცდა, განა ბუნებრივი არ იქნებოდა კონფერენციის გარკვეული ნაბიჯების თუ გადაწყვეტილებების წინააღმდეგ მოგვესმინა არსებითი მოსაზრებანი ნაცვლად ამ შეყვირებისა: «თათბირების ნებას არ გაძლევთო»? უნებლიეთ გებადებათ აზრი: ხომ არ უნდათ ამ შეყვირებით ხელი შეუშალონ საკითხის არსებითად დაყენებას?

გადავიდეთ რსდმპ სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების კონფერენციის მოწვევის ისტორიაზე. გასული წლის შემოდგომაზე პეტერბურგის სამხედრო ორგანიზაციასა და ცენტრალურ კომიტეტს შორის ამ ნიადაგზე კონფლიქტი წარმოიშვა. პირველი იწვევდა სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების კონფერენციას, რისთვისაც იმოწმებდა «პარტიული წესდებით ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის მინიჭებულ კონფერენციების მოწვევის უფლებას» *. ცენტრალური კომიტეტი პეტერბურგის სამხედრო ორგანიზაციის ინიციატივისა და კონფერენციაზე საბრძოლო ორგანიზაციების დაშვების წინააღმდეგი იყო. მოხდა ისე, რომ შედგა ორი კონფერენცია: 1) მხოლოდ სამხედრო ორგანიზაციების ოქტომბრის კონფერენცია, ც. კ.-ის წარმომადგენელთა მონაწილეობით; 2) როგორც სამხედრო, ისე საბრძოლო ორგანიზაციების ნოემბრის კონფერენცია, ც. კ.-ის წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე (თუმცა ც. კ.-მა დანიშნა თავისი ერთი წევრი ამ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად). ოქტომბრის კონფერენციაში მონაწილეობდნენ 8 სამხედრო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ნოემბრის კონფერენციაში — **11** სამხედრო

* იხ. ცენტრალური კომიტეტის გამოცემა: «მოკლე ამონაკრები რსდმპ იმ ორგანიზაციების 1-ლი კონფერენციის ოქმებიდან, რომლებიც ჯარში მუშაობენ», — ცენტრალური კომიტეტის სტამბაში გამოცემული 13-გვერდიანი ფურცელი.

და 8 საბრძოლო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ორივე კონფერენციას სათანბირო ხმით დაესწრნენ რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის წარმომადგენლები და სხვა პარტიული მუშაკები.

ოქტომბრის კონფერენციის რეზოლუციები ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა ზემოთ აღნიშნულ ფურცლად («მოკლე ამონაკრები»). ნოემბრის კონფერენციის რეზოლუციები დაიბეჭდა «პროლეტარის» მე-9 ნომერში და შემდეგ ახლა შევიდა ცალკე წიგნაკად გამოცემულ «ოქმებში». ცენტრალური კომიტეტის პროტესტი, რომლითაც ჩვენ სტატია დავიწყეთ, ნოემბრის კონფერენციას შეეხება.

რასაკვირველია, არ შეიძლება არ დავგმოთ ის გარემოება, რომ კონფერენცია ორი იყო. ერთიან პარტიაში ეს უთუოდ არასასურველი მოვლენაა. ფორმალური მხარე განზე გადავდოთ და დავსვათ იმ კონფლიქტის დედაარსის საკითხი, რომელმაც ორი კონფერენცია გამოიწვია: სასარგებლო იყო თუ საზიანო საბრძოლო ორგანიზაციების მონაწილეობა კონფერენციაში? ოქტომბრის კონფერენციის რეზოლუციაში ვკითხულობთ: ...«პარტიისათვის მწვავე საჭიროებას წარმოადგენს სპეციალურად სამხედრო ორგანიზაციებისადმი მიძღვნილი კონფერენციის მოწვევა ხალხის შეიარაღებულ ბრძოლაში მონაწილეობისათვის ჯარის მომზადების საკითხის განსახილველად, — კონფერენცია, რომლის მუშაობის წარმატებას მებრძოლი რაზმების წარმომადგენელთა მონაწილეობა ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს» (ც. კ.-ის ფურცელი, გვ. 4). ეს არის და ეს. ესაა ყველა მოტივი.

მათი მცდარობა აშკარაა. დავუშვათ ყველაზე უარესი რამ რაზმელთა წინააღმდეგ. მაგრამ ისინი რომ აჯანყების წინანდელ ცდებში მონაწილეობდნენ, — ეს ფაქტია. და მარტო ამის გულისთვისაც კი მათთან მოთათბირება სასარგებლო და აუცილებელია. სასარგებლოა პარტიის წინაშე გამოვააშკარაოთ მათი საზიანო ტენდენციები, ვამხილოთ ესა და ეს ხასიათი მათი საქმიანობისა კონფერენციაზე, რომელ-

საც ისინი ესწრებიან. ცენტრალურ კომიტეტსა და კონფერენციის ყოველ წევრსაც შეეძლო და მოვალე იყო ეს გაეკეთებინა. არავის არაფრით არ შეზღუდავდა გადაწყვეტილებანი კონფერენციისა, რომელიც უცილობლად არ იყო სავალდებულო არც ცენტრალური კომიტეტისათვის, არც ადგილობრივი კომიტეტებისათვის. ასეთ პირობებში ერთად მოთათბირების შიშ მხოლოდ სასაცილოა.

და თუ ახლა ცენტრალური კომიტეტი პირდაპირ გმობს კონფერენციას, რომელშიც რაზმელები მონაწილეობდნენ, მაგრამ ამასთან ერთად ასევე პირდაპირ არა გმობს ამ კონფერენციის არც ერთ რეზოლუციას, — ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ კონფერენციას გაუბათილებია ცენტრალური კომიტეტის ვარაუდები!

პირდაპირ რომ გადავიდეთ ამ კონფერენციის გადაწყვეტილებებზე, ავიღოთ, მაგალითად, მისი რეზოლუცია საბრძოლო ორგანიზაციების ამოცანების შესახებ. აქ ვკითხულობთ: «სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების კონფერენცია თვლის, რომ საბრძოლო ორგანიზაციების მთავარი ამოცანებია: 1) შეიარაღებული აჯანყების იდეის მართებული გაგების გავრცელება და იმ კონკრეტული პირობების განმარტება, როდესაც შეიძლება შეიარაღებული აჯანყება წარმოიშვას, მიმდინარეობდეს და წარმატებით დამთავრდეს, რადგან პარტიული მუშაკების წრეშიც კი შეიარაღებულ აჯანყებაზე მეტად ბუნდოვანი, უმართებულო წარმოდგენა არსებობს; 2) ყველა საჭირო ტექნიკური მონაცემის მომზადება შეიარაღებული აჯანყების წარმატებით ჩასატარებლად; 3) რსდმ პარტიის გარშემო დაჯგუფებულ შეგნებულ მუშათა კადრების დარაზმვა აქტიური გამოსვლისათვის; 4) საბრძოლო მიზნით მოსახლეობის რევოლუციურ-დემოკრატიული ფენების დარაზმვისათვის ხელშეწყობა და მათში სოციალ-დემოკრატიის მებრძოლი ხელმძღვანელობის განმტკიცება».

ამრიგად, საბრძოლო ორგანიზაციების მთავარ ამოცანად გამოცხადებულია, უწინარეს ყოვლისა, შეიარაღებუ-

ლიაჯანყების მართებული გაგების გავრცელება. ეს აზრი კიდევ უფრო მკვეთრად არის განმეორებული შეიარაღებულ აჯანყებაში სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების როლის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში: «საბრძოლო ორგანიზაციების როლს შეადგენს შეიარაღებული აჯანყების მართებული გაგების განვითარება ხალხის მასებში»...

როგორ, ამის შესახებ თათბირი «შეუწყნარებლად» მიაჩნია ჩვენს მენშევიკურ ცენტრალურ კომიტეტს?? თუ იგი სწრაფად ამოეფარა ჩინოვნიკურ-კაზიონურ შრომას: «არავითარი მოქმედება და არავითარი თათბირიც კი თავმოყრით არ შეიძლებაო», — იმისათვის, რომ თავი დააღწიოს უსიამოვნო მოვალეობას — გამოვიდეს პარტიის წინაშე და გარკვევით განაცხადოს, საბრძოლო ორგანიზაციების სახელდობრ რომელი ამოცანაა დაყენებული, მისი აზრით, მართებულად და რომელი — უმართებულოდ??

საქმეც ისაა, რომ მენშევიკებში გავრცელებულია საბრძოლო ორგანიზაციებისადმი ჭეშმარიტად ფარისევლური დამოკიდებულება: უპარტიო საბრძოლო ორგანიზაციების მოქმედების ამა თუ იმ «შედეგის» გამოყენებაზე ისინი უარს არ ამბობენ, მაგრამ სამაგიეროდ პარტიული საბრძოლო ორგანიზაციების შესახებ ავრცელებენ დედაბრულ ჭორებს, რაც შესაძლებლობას იძლევა სავსებით გვერდი აუარონ შეიარაღებული აჯანყების მართებული გაგების მასებში გავრცელების საშუალებათა საკითხს და სხვ.

ასეთ ჭორებს მიეკუთვნება, მაგალითად, მოარული აზრი, რომელიც ამტკიცებს, რაზმელები (ბოლშევიკებთან ერთად) აჯანყების ტექნიკას აზვიადებენო.

კეთილი, ბატონებო! თქვენ ბრალად გვდებთ «ტექნიკის» გაზვიადებას? ხომ არ ინებებთ ამ საკითხში სიმართლის გასარკვევად წაიკითხოთ ორი რეზოლუცია: მენშევიკური (ოქტომბრისა) და ბოლშევიკური (ნოემბრისა) სამხედრო სოციალ-დემოკრატიული კონფერენციების რეზოლუციები?

ოფიცრებში მუშაობის შესახებ. მენშევიკური (ოქტომბრის) კონფერენციის რეზოლუცია:

«კონფერენცია თვლის, რომ ოფიცრობაში რევოლუციური პროპაგანდა მნიშვნელოვანი ამოცანაა როგორც იმიტომ, რომ ოფიცრებში სოციალ-დემოკრატიული სამხედრო-რევოლუციური ორგანიზაციის მუშაობას შეუძლია მრავალ შემთხვევაში შეამსუბუქოს ჩვენი მუშაობა ჯარში მშვიდობიან დროს, ისე იმიტომაც, რომ შეიარაღებული აჯანყების დროს რევოლუციური ოფიცრები შეიძლება აჯანყების ტექნიკურ ხელმძღვანელებად გამოდგნენ. ამიტომ კონფერენცია ურჩევს სამხედრო-რევოლუციურ ორგანიზაციას სერიოზული ყურადღება მიაქციოს ოფიცრებში მუშაობას და ეცადოს შეძლებისდაგვარად გახადოს ისინი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეგნებულ მომხრეებად» (ც. კ.-ის ფურცელი, გვ. 13).

ბოლშევიკური (ნოემბრის) კონფერენციის რეზოლუცია:

«იღებს რა მხედველობაში: 1) რომ როგორც ოფიცრობის კლასობრივი სოციალური შემადგენლობა, ისე ოფიცრობის, როგორც პროფესიული სამხედრო კასტის, ინტერესები აიძულებენ მათ ესწრაფოდნენ მუდმივი არმიისა და ხალხის უუფლებობის შენარჩუნებას; 2) რომ ამის გამო მიმდინარე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გადატრიალებაში მთლიანად ოფიცრობა რეაქციულ როლს ასრულებს; 3) რომ ოფიცრობის არსებული ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფები აქტიურ როლს არ ასრულებენ; 4) რომ ამავე დროს შესაძლებელია ჩვენს პარტიაში გადმოვიდნენ ცალკეული ოფიცრები, რომლებსაც შეუძლიათ თავისი სპეციალური ცოდნით და სპეციალური სამხედრო მომზადებით მნიშვნელოვანი სამსახური გასწიონ არმიის აჯანყებისა და ხალხის მხარეზე მისი გადასვლის მომენტში, აგრეთვე შეიარაღებული აჯანყებისათვის ტექნიკურად მომზადებაში, — სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების კონფერენცია თვლის: 1) რომ სამხედრო ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ჩამოაყალიბონ დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ოფიცრობაში; 2) რომ საჭიროა ოფიცერთა არსებული ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფების გამოყენება ცნობების მისაღებად და იმ მიზნით, რომ ცალკეული წევრები მოვიზიდოთ ჩვენს პარტიულ სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციებში როგორც ინსტრუქტორები და პრაქტიკული ხელმძღვანელები» («ოქმები», გვ. 132).

მენშევიკები კრინტს არ სძრავენ არც ოფიცრობის კლასობრივ შემადგენლობაზე, არც მის როლზე მთელ ბურჟუაზიულ რევოლუციაში. ბოლშევიკები მთავარ ყურადღებას აქცევენ როგორც ერთის, ისე მეორის შეფასებას. ეს ერთი. მენშევიკებისთვის მთავარია შიშ-

ველ ი ტ ე ქ ნ ი კ ა, რადგან ოფიცრებში მუშაობის «მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს» მ თ ე ლ ი დასაბუთება ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ ოფიცრებში მუშაობას «შეუძლია შეამსუბუქოს» ჩვენი მუშაობა ჯარში (ბინებს გვაძლევდეს? ლეგალურ საფარს წარმოადგენდეს?) და შემდეგ შეუძლია მოგვცეს ტექნიკური ხელმძღვანელები. ბოლშევიკები ტექნიკას აკუთვნებენ დ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ უ ლ ადგილს, როგორც «ცალკეულ ოფიცერთა» სამსახურს, პირველ რიგში კი წამოყენებულია იმის დასაბუთება, რომ მუშათა პარტიას არ შეუძლია ოფიცრობაში ჩამოაყალიბოს «დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა». ეს მეორე. მენშევიკების მეშჩანურად აწყობილ გონებას, რომელსაც ეშინია აღნიშნოს ოფიცრობის კლასობრივი კავშირი ბურჟუაზიასთან, ემატება დასკვნის სიმხდალე: «შ ე ძ ლ ე ბ ი ს დ ა გ ვ ა რ ა დ გახადოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეგნებულ მ ო მ ხ რ ე ე ბ ა დ ა ო». ბოლშევიკების რეზოლუციაში მ თ ლ ი ა ნ ა დ რეაქციული ფენის აშკარა პროლეტარულმა შეფასებამ გამოიწვია გაბედული დასკვნა: ოპოზიციურად განწყობილი ოფიცრები გამოვიყენოთ «ცნობების მისაღებად», «ცალკეული წევრები» კი მოვიზიდოთ ჩ ვ ე ნ ს პ ა რ ტ ი უ ლ სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციებშიო. ეს მესამე.

კითხვა ისმის: როგორ არ ვუწოდოთ ამის შემდეგ დედაბრული ჭორი მენშევიკურ მითქმა-მოთქმას საერთოდ ბოლშევიკების, კერძოდ კი ბოლშევიკი რაზმელების მიერ «ტექნიკის» გაზვიადების შესახებ? ნამდვილად კი ეს მითქმა-მოთქმა, როგორც ვხედავთ, გამოიყენეს იმისათვის, რომ დაეფარათ, ერთი მხრივ, ოფიცრობაზე მენშევიკური შეხედულების ტექნიკური შეზღუდულობა, ხოლო, მეორე მხრივ, იმისათვის, რომ დაეფარათ წმინდა ინტელიგენტური ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ ი შიში ოფიცრობის ბურჟუაზიული კლასობრივი შემადგენლობის შეფასებისა და ჯარში მუშაობის საკითხში იმ იდეის შეტანისა, რომ გლეხთა და მუშათა წრიდან გამოსული «ჯარისკაცთა» მასა კლასობრივად განსხვავდება ერთი მუჭა თავადაზნაურთა

შვილებისაგან ან იმ ბურჟუებისაგან, რომლებიც სამხედრო სამსახურის მეშვეობით მიძვრებიან თავადაზნაურობაში.

ეს «ტექნიკური» და მეშჩანურ-ოპორტუნისტული შეხედულება ოფიცრობაზე ოქტომბრის მცირე კონფერენციის მარტო მენშევიკმა წევრებმა როდი გამოამჟღავნეს. ჩვენ ვხედავთ, რომ ამავე შეხედულებას იჩენს ჩვენი მენშევიკური ცენტრალური კომიტეტი: საკმარისია გავიხსენოთ მისი განთქმული მ ე-4 წერილი ორგანიზაციებისადმი (სათათბიროს გარეკვის ხანა), სადაც ლოზუნგი: «მხარი დავუჭიროთ სათათბიროს», როგორც დამფუძნებელი კრების მომწვევ ძალაუფლების ორგანოსაო, გამართლებულია იმ მისწრაფებით, რომ შეეწყონ «საშუალო ბურჟუაზიისა და ო ფ ი ც რ ო ბ ი ს» ინტერესებსა და შეგნების დონეს. იმავე წერილში ცენტრალურმა კომიტეტმა ის აზრიც კი გამოთქვა, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში მუშათა დეპუტატების საბჭოების გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა მხოლოდ ხალხის მხარეზე გადმოსული არმიის სამხედრო დიქტატურამდე მიგვიყვანდაო! «ლიბერალური» ოფიცრების გარეშე, თურმე ნუ იტყვით, ჯარისკაცები ვერ შესძლებდნენ თუნდაც მუშათა დეპუტატების საბჭოებთან ერთად უზრუნველეყოთ სხვა რამ, თუ არა სამხედრო დიქტატურა!

ჩვენ ვხედავთ, რომ მეშჩანურ შეხედულებას ოფიცრობაზე იჩენს პლეხანოვიც, მენშევიკების იდეური ბელადი. ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი 1906 წლის განმავლობაში იგი ძალიან ცდილობდა ბრალი დაედო ბოლშევიკებისათვის აჯანყების ტექნიკური ამოცანების გაზვიადებაში. აჯანყების რომელი მხარის შესახებ წერდა თვითონ პატივცემული ამხ. პლეხანოვი ამ ხნის განმავლობაში? აჯანყების მასობრივი ფესვების, აჯანყებაში გლეხური და პროლეტარული ელემენტების როლის შესახებ? სრულებითაც არა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ამხ. პლეხანოვი «დნევნიკის» [141] მ ხ ო ლ ო დ მე-7 ნომერში (1906 წ. აგვისტო) წერდა ერთი ლ ი ბ ე რ ა ლ ი ოფიცრის ე რ თ ი წერილის შესახებ, ოფიცრისა, რომელსაც ის მეტისმეტად თავაზიანად «უსწორებდა» მის ბურჟუაზიულ შეხედულებებს «ჯა-

რისკაცზე», ვიტეს სამინისტროს პერიოდის «მშვიდ» ხასიათზე და სხვა. «მე იმასაც კი ვფიქრობ, — წერდა ამხ. პლეხანოვი, — რომ მხოლოდ (დაიხსომეთ ეს «მხოლოდ»!) ოფიცრების მონაწილეობა სამხედრო ორგანიზაციებში მოუღებს ბოლოს (ჯარისკაცთა და მატროსთა) ამ ა მ ბ ო ხ ე ბ ებ ს, რომლებიც რევოლუციისათვის საჭირო ძალთა გეგმაშეუწონელ და უნაყოფო ხარჯვას წარმოადგენენო». ხედავთ, რა ენერგიულად არის ნათქვამი: მ ხ ო ლ ო დ ოფიცრების მონაწილეობა მოუღებს ბოლოს ამბოხებებს!! უოფიცრებოდ გლეხთა ბრიყვული ძალების «გ ე გ მ ა შ ე უ წ ო ნ ე ლ» ხარჯვას ბოლო არ ექნებაო. ხოლო როცა ბოლშევიკური რაზმელები თათბირზე შეიკრიბებიან და მოისურვებენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მისცენ მოკრძალებული რჩევა: საბრძოლო ორგანიზაციებს მ თ ა ვ ა რ ამოცანად დაუსახოს მ ა ს ე ბ ი ს ა თ ვ ი ს სამხედრო ხელოვნების სწავლება, აჯანყების მსვლელობის გაგება, მისი გ ე გ მ ა შ ე წ ო ნ ი ლ ი წარმართვის პირობების გაგება, — მაშინ კაზიონური მენშევიზმის ფარისეველნი გოდებას დაიწყებენ: «გეგმაშეწონილობის» რა ვიწრო-ტექნიკური გაგებაა! მებრძოლი რაზმების რა «შეუწყნარებელი» თათბირიაო ცენტრალური კომიტეტის ნებასურვილის წინააღმდეგ!

მაგრამ კმარა ამ ფარისეველებზე ლაპარაკი. დავუბრუნდეთ ოქმებს. ჩვენ იქ ე რ თ ადგილას ვნახეთ არა «მოკრძალებული რჩევა» სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი, არამედ პრეტენციოზული და უაზრო პროექტიორობა. ეს ამხ. იზაროვის[142] მოხსენებაშია პარტიის როლის შესახებ შეიარაღებულ აჯანყებაში. ამხ. იზაროვი მართლაც მივიდა აქ ისეთ უაზრობამდე, როგორიცაა ყველა პარტიული ორგანიზაციის დაყოფა სამ მთავარ ტიპად: სამხედრო, საბრძოლო და პროლეტარული!! მან იმის «გეგმებიც» კი წამოაყენა, რომ შეიქმნას «სამხედრო-საბრძოლო საბჭოები» ორგანიზაციების ამ სამი ტიპის დელეგატთა თ ა ნ ა ბ ა რ ი რ ი ცხ ვ ი ს ა გ ან (გვ. 95) და სხვა. რასაკვირველია, ა ს ე თ «მ ე ბ რ ძ ო ლ ი ზ მ ს» ჩვენ, ბოლშევიკები, მ უ დ ა მ მ კ ვ ე თ რ ა დ და გ ა დ ა ჭ რ ი თ

გავემიჯნებით. საერთო-პროლეტარული ორგანიზაციის უდავოდ გაბატონებული ხასიათი და გადამწყვეტი ხმა, — მისდამი ყველა სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციის სრული დაქვემდებარება — ამავე საბრძოლო ორგანიზაციების მთლიანად პარტიულ სოციალ-დემოკრატ მუშათა კადრებზე დაყრდნობის აუცილებლობა (ანდა, შესაძლოა, საბრძოლო ორგანიზაციის პარტიული მილიციით შეცვლის აუცილებლობაც კი), — ყოველივე ეს ჩვენთვის ეჭვს გარეშეა.

და თუ ჩვენ ფრაქციული მიზნით შემოგვთავაზებენ ამხ. იზაროვის უაზრო გატაცებას, იძულებული ვიქნებით ამგვარ «კრიტიკოსებს» ვთხოვოთ არ დაივიწყონ, რომ ბოლშევიკური სამხედრო-საბრძოლო კონფერენცია არ აჰყვა იზაროვის უკიდურესობებს! ჩვენი რაზმელებისადმი ცილისწამების საუკეთესო გაბათილება ის არის, რომ თვითონ მათ, თავიანთ კონფერენციაზე, პირდაპირ განზე გადადეს იზაროვის პროექტიორობა. იმისათვის, რომ შეიარაღებულ აჯანყებაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის როლის საკითხზე მათი აზრი ვერ მიეჩნიათ პრეტენციოზულ, თავზე მოხვეულ აზრად ან ბრძანებად და სხვა ამისთანა რამედ, თვითონ მათ აქციეს თავიანთი კონფერენცია ამ საკითხზე კერძო თათბირად (იხ. «პროლეტარი», № 9 და «ოქმები», გვ. 116). და მხოლოდ კერძო თათბირზე ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც არ არის არავითარი პროექტიორობა à la * იზაროვისა, არამედ ლაპარაკია მხოლოდ «საერთო-პროლეტარული, სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების უაღრესად მჭიდრო კავშირზე და ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფაზე». ამასთან რეზოლუციაში სამხედრო ორგანიზაციების ამოცანების შესახებ საგანგებოდ არის ხაზგასმით აღნიშნული, რომ «მთელი მუშაობა ექვემდებარებოდეს» «საერთო-პრო-

* — მსგავსად. რედ.

ლეტარული ორგანიზაციების პოლიტიკურ ხელმძღვანელობას» («პროლეტარი», № 9 და «ოქმები», გვ. 137). თუ კი მარტო ბოლშევიკურმა რაზმელებმაც შესძლეს შესწორება მიეცათ იზაროვისათვის, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რამდენად საფუძვლიანია ცენტრალური კომიტეტის შიში მთელი პარტიის სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების საერთო თათბირის წინაშე.

ადგილი საშუალებას არ გვაძლევს ასევე დაწვრილებით შევჩერდეთ კონფერენციის მუშაობის სხვა მხარეებზე. აღვნიშნავთ, რომ დიდტანიანი წიგნის თ ი თ ქ მ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ს შეადგენს მოხსენებები ჯარში მუშაობისა (გვ. 10 — 49) და შეიარაღებული აჯანყების წინანდელი ცდების (გვ. 53 — 59, 64 — 79) შესახებ. ეს მეტად ძვირფასი მასალაა, და მისი შეკრებისა და დამუშავების თაოსნობისათვის ყველა შეგნებული სოციალ-დემოკრატი მუშა სამხედრო-საბრძოლო კონფერენციას მადლობას ეტყვის. აღვნიშნავთ ამხ. ვარინის [143] მოხსენებას «შეიარაღებული აჯანყების წინანდელი ცდების შესახებ»; ამ მოხსენებაში პირველ რიგში წამოწეულია შეიარაღებული აჯანყების, როგორც მ ა ს ე ბ ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ი ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ს ა ხ ი ს, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებული სახის შესწავლა. ხაზგასმულია განსაზღვრული კლასების ბრძოლის უკიდურესი გამწვავების ისტორიული მომენტი, როგორც აჯანყების პირობა. განხილულია ცალკეული კლასების როლი, — ჯარში მოძრაობის დამოკიდებულება საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობაზე, — აჯანყების პოლიტიკური და საბრძოლო მხარის განუყრელობა, — «ხალხის მასების ფართო დემოკრატიული ორგანიზაციების», როგორც დროებითი რევოლუციური მთავრობის წანამძღვართა, მნიშვნელობა და სხვა. რა თქმა უნდა, ასეთი საკითხების შ ე ს წ ა ვ ლ ა ცოტა უფრო ძნელია, ვიდრე კადეტური ფრაზებით «ტაქტიკური პლატფორმების» წერა «უეცარი აჯანყების სასწაულისადმი პროლეტარული მასების

რწმენის» შესახებ (იხ. მარტოვისა და კომპანიის «ტაქტიკური პლატფორმა»).

დასასრულ, აღვნიშნავთ კამათს მიმდინარე მომენტის შესახებ და ამხ. ილიანის[144] შესანიშნავ სიტყვას; მან 1906 წლის ნოემბერში სამხედრო-საპრძოლო კონფერენციაზე შესძლო მეორე სათათბიროს შესახებ გამოეთქვა შეხედულება, რომელიც ბრწყინვალედ დაადასტურეს მოვლენებმა. «თავს ნებას მივცემ შევეხო სათათბიროს, — თქვა მან. — სათათბიროში ჩვენ გვეყოლება სულ სხვა შემადგენლობა, ვიდრე წინანდელ სათათბიროში გვყავდა. ჩვენ გვეყოლება მობილიზებული რევოლუცია და მობილიზებული რეაქცია. გლეხობა, განსაკუთრებით მისი მოლოდინის გაუმართლებლობის გამო, უფრო რევოლუციურ ელემენტს გაგზავნის, ვიდრე წინანდელ სათათბიროში. უეჭველია, ასევე მოიქცევა პროლეტარიატიც... ჩვენი უბედურება ის არის, რომ სოციალ-დემოკრატიის ნაწილი ცდილობს სათათბირო ლიბერალთა რაღაც შუათანა ფენით შეავსოს» («ოქმები», გვ. 84).

საბრძოლო კონფერენციაზე უფრო სწორად შესძლეს პოლიტიკის შეფასება, ვიდრე პლეხანოვმა და მენშევიკურმა ცენტრალურმა კომიტეტმა 1906 წლის ნოემბერში!

«ოქმების» შინაარსის ამომწურავი გადმოცემა საგაზეთო სტატიაში, რასაკვირველია, შეუძლებელია, და ჩვენ დავამთავრებთ გულითადი რჩევით — შეისწავლონ ეს ოქმები, — რჩევით იმ სოციალ-დემოკრატების მისამართით, რომლებსაც შეუძლიათ აჯანყების საკითხებზე ისე ილაპარაკონ, რომ ლიბერალური ხითხითი არ აუტყდეთ.

დაწერილია 1907 წ. აპრილში
დაიბეჭდა 1907 წ. 2 მაისს
გაზეთ «პროლეტარში» № 16

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

# მოხსენება რსდმპ V ყრილობას პეტერბურგის გათიშვისა და მასთან დაკავშირებით პარტიული სასამართლოს შექმნის გამო[145]

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, როგორც ბურჟუაზიული გაზეთებიდან («ტოვარიშჩი» და სხვ.) ვიცით, შექმნა პარტიული სასამართლო ჩემი მოქმედების განსახილველად — სახელდობრ ჩემი ბროშურისა: «პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი დ ა 31 მ ე ნ შ ე ვ ი კ ი ს თ ვ ა ლ თ მ ა ქ ც ო ბ ა» *, რომელიც გამოვიდა მეორე სათათბიროს არჩევნების პერიოდში პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გათიშვის დროს.

სასამართლოს შემადგენლობაში შევიდა სამი წარმომადგენელი ჩემი მხრიდან, სამი — 31 მენშევიკის მხრიდან და პრეზიდიუმის სამი წევრი, რომლებიც დანიშნეს ლატვიის, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის და ბუნდის ცენტრალურმა კომიტეტებმა. მე ამ სასამართლოს წარვუდგინე შემხვედრი ბრალდება 31 მენშევიკისა და ამხ. დ ა ნ ი ს (ცენტრალური ორგანოს რედაქციის წევრის, ხოლო ცენტრალური ორგანოს მეშვეობით — აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის წევრის) წინააღმდეგ და მათ ბრალად დავდე შეუწყნარებელი საქციელი. ამ შემხვედრ ბრალდებას მხარი დაუჭირა, ერთი მხრივ, პეტერბურგის 234 ბოლშევიკის, პარტიის წევრების, კრებამ (მათი რეზოლუცია და მოხსენება, რომელიც მთელი საქმის დასკვნას

* იხ. ეს ტომი, გვ. 23 — 37. რ ე დ.

იძლევა, დაიბეჭდა «პროლეტარის» მე-13 ნომერში), მეორე მხრივ კი, პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულმა კონფერენციამ (გათიშულ მენშევიკთა გამოკლებით). ამ კონფერენციის რეზოლუცია დაიბეჭდა «პროლეტარის» მე-14 ნომერში [146].

სასამართლომ, როგორც ცენტრალური კომიტეტის შექმნილმა დაწესებულებამ, თავი უფლებამოსილად არ ჩათვალა დამოუკიდებლად წაეყენებინა ბრალდება 31 მენშევიკისა და ამხ. დანისათვის და შემხვედრი ბრალდების საკითხში თავისი კომპეტენციის განსაზღვრის მიზნით იმავე ცენტრალურ კომიტეტს მიმართა. ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებო სხდომაზე კვლავ განიხილა ეს საკითხი და დაადასტურა, რომ ეს სასამართლო იქმნება მხოლოდ ლენინის საქმის გასარჩევად და რომ ახალი პირების ახლად მიცემა სამართალში სავსებით დამოკიდებულია ცენტრალურ კომიტეტზე, რომელიც, რა თქმა უნდა, თავის მოვალეობად ჩათვლის სამართალში მისცეს ყველა, ვის წინააღმდეგაც კი ეს სასამართლო ჩამოაყალიბებს შეუწყნარებელი მოქმედების ბრალდებას. ამ ახალი სასამართლოს შედგენაც კვლავ სავსებით მოხდება იმავე ცენტრალური კომიტეტის შეხედულების თანახმად.

ამრიგად, გამოვიდა აშკარა შეუსაბამობათა და წინააღმდეგობათა მთელი ხლართი. მენშევიკური ცენტრალური კომიტეტი ასრულებს ისეთი დაწესებულების როლს, რომელიც სამართალში აძლევს და განსაზღვრავს სასამართლოს შემადგენლობასა და სასამართლოს კომპეტენციას. შემხვედრი ბრალდება წამოყენებულია ცენტრალური კომიტეტის მენშევიკური ნაწილის ლიდერის წინააღმდეგ. გამოდის, რომ ერთი და იგივე პირები არიან სასამართლოს დამნიშვნელნიც, პროკურორებიც და მათივე წინააღმდეგ წაყენებული შემხვედრი ბრალდების წარმართვის საკითხის გადამწყვეტნიც!

გასაგებია, რომ ამნაირ წესებს არ ძალუძს აამაღლოს პარტიისადმი პატივისცემა. შეუსაბამობათა ხლართის გახსნა მხოლოდ პარტიულ ყრილობას შეუძლია. და ამიტომ მივმართავ ყრილობას და ვთხოვ: აღჭურვოს სასამართლო სასამართლო

ძალაუფლების მთელი სისრულით უშუალოდ ყრილობის სახელით; შეუქმნას სასამართლოს ისეთი მდგომარეობა, რომ ის სრულიად დამოუკიდებელი იყოს ცენტრალური კომიტეტისაგან, რომელიც (მისი მენშევიკური ნაწილის სახით) აშკარად დაინტერესებულია საქმით; უფლება მისცეს სასამართლოს გაარჩიოს საქმე ყოველმხრივ, სრულიად შეუზღუდავად, და პასუხი აგებინოს პარტიის ყველა წევრს და მის ყველა დაწესებულებას, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის მენშევიკურ ნაწილსაც და სხვ.

რსდმ პარტიის ყრილობის წევრებისათვის საქმის გასარკვევად თან ვურთავ: 1) ჩემი დასაცავი (ანუ ცენტრალური კომიტეტის მენშევიკური ნაწილის წინააღმდეგ მიმართული საბრალდებო) სიტყვის სრულ ტექსტს, რომელიც მე წავიკითხე სასამართლოში პირველ სამსჯავრო სხდომაზე. (სასამართლოს სულ ორი სამსჯავრო სხდომა ჰქონდა და მან რამდენიმე ათეული მოწმიდან დაკითხა სამი. სასამართლოს სხდომები შეწყდა ყრილობის გამო). 2) თან ვურთავ პეტერბურგის გათიშვის ფაქტიური ისტორიის მოკლე კონსპექტს.

## I. ლენინის დასაცავი (ანუ ცენტრალური კომიტეტის მენშევიკური ნაწილის წინააღმდეგ მიმართული საბრალდებო) სიტყვა პარტიულ სასამართლოში

ამხანაგებო — მოსამართლეებო!

ცენტრალურმა კომიტეტმა მე ბრალდებად წამომიყენა პ ა რ ტ ი ი ს წ ე ვ რ ი ს ა თ ვ ი ს შ ე უ წ ყ ნ ა რ ე ბ ე ლ ი გ ა მ ო ს ვ ლ ა (ბეჭდვითი სიტყვით). ასეა ნათქვამი ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში პარტიული სასამართლოს შექმნის შესახებ. დავიწყებ პირდაპირ საქმის დედაარსით: მთლიანად წავიკითხავ იმ «განცხადებას», რომელიც ცენტრალურ კომიტეტს «სასამართლოს განსახილველად შემოაქვს».

...«ცენტრალური კომიტეტი ადასტურებს, რომ ბროშურა «სანკტ-პეტერბურგის არჩევნები და 31 მენშევიკის პირმოთნეობა», ხელმოწერილი ამხ. ლენინის მიერ, შეიცავს სანკტ-პეტერბურგის ორგანიზაციის 31 წევრის პირდაპირ ბრალდებას იმაში, რომ მათ მოლაპარაკება გამართეს კადეტურ პარტიასთან «კადეტებისათვის მუშათა ხმების მისაყიდად» და რომ «მენშევიკები კადეტებს ევაჭრებოდნენ იმისათვის, რომ სათათბიროში, მუშათა ნების წინააღმდეგ, კადეტების დახმარებით გაეთრიათ თავისი კაცი».

ცენტრალური კომიტეტი ადასტურებს, რომ ამგვარი ბრალდების გამოქვეყნებამ, განსაკუთრებით არჩევნების წინ, შფოთი უნდა შეიტანოს პროლეტარიატის რიგებში, საეჭვო გახადოს პარტიის წევრთა პოლიტიკური პატიოსნება, და მას პროლეტარიატის მტრები გამოიყენებენ სოციალ-დემოკრატიასთან საბრძოლველად.

ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც თვლის, რომ ამგვარი გამოსვლები შეუწყნარებელია პარტიის წევრებისათვის, ამხ. ლენინის მოქმედება შეაქვს პარტიული სასამართლოს განსახილველად».

ასეთია ბრალდების სრული ტექსტი. უწინარეს ყოვლისა შევნიშნავ, რომ აქ არის დიდი, პირდაპირ ფაქტიური უ ს წ ო რ ო ბ ა, რომლის გასწორებას ვთხოვდი მე სასამართლოს ჩემთვის ბრალად შერაცხული ბროშურის ტ ე ქ ს ტ ი ს საფუძველზე. სახელდობრ: ამ ბროშურაში პირდაპირ და გარკვევით არის ნათქვამი, რომ მე ბრალს ვდებ ა რ ა მ ა რ ტ ო 31 მენშევიკს, ა რ ა მ ე დ ა მ ხ. დ ა ნ ს ა ც, ე. ი. ცენტრალური კომიტეტის წ ე ვ რ ს.

ცენტრალურ კომიტეტს, თავისი დადგენილების შედგენის დროს, ა რ შ ე ე ძ ლ ო ა რ ს ც ო დ ნ ო დ ა ისიც, რომ ამხ. დანი ცენტრალური კომიტეტის წევრია (წევრი, რომელიც, იქნებ, კიდევაც მონაწილეობდა საკითხის განხილვაში ან იმ დადგენილების მიღებაში, რომ მე სამართალში მიმცენ დანის ბრალდებისათვის?), და ისიც, რომ მე ბრალს ვდებ არა მარტო 31 მენშევიკს, არამედ დანსაც, მაშასადამე, ცენტრალურმა კომიტეტმა იმ პირთა შემადგენლობიდან, რომელთაც მე ბრალ-სა ვდებ, შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ გამოჰყო თ ა ვ ი ს ი წ ე ვ რ ი. აქ უკვე, ფაქტიური უსწორობის გარდა, რაღაც უარესი, რაღაც შეუწყნარებელი რამ არის, და მე შემდეგ დაწვრილებით შევჩერდები საქმის ამ მხარის შეფასებაზე და შევე-

ცდები გავარკვიო ს წ ო რ ე დ ე ს მ ხ ა რ ე სასამართლო გამოძიების მთელი მასალით.

გადავდივარ ბრალდების დედაარსზე.

ცენტრალურ კომიტეტს ჩემი ბროშურიდან ორი ციტატი მოჰყავს და მე რაც შეიძლება უფრო დაწვრილებით უნდა გავარჩიო თვითეული მათგანი. მე, რა თქმა უნდა, მესმის, რომ ლაპარაკია მ თ ე ლ აღნიშნულ ბროშურაზე და არა მარტო სახელდობრ ამ ორ ციტატზე. მაგრამ მე მათ, ცენტრალურ კომიტეტთან ერთად, ვიღებ როგორც ძირითადსა და მთავარს.

პირველი ციტატი აღებულია ბროშურის დასაწყისიდან. თავს ნებას მივცემ წავიკითხო მთელი გვერდი იმისათვის, რომ ცხადვყო, თუ რას უკავშირდება ეს ციტატი:

«გაზეთ «ტოვარიშჩში» დღეს (20 იანვარს), — მოგაგონებთ, რომ, მაშასადამე, საქმე მოხდა სანკტ-პეტერბურგში მემარცხენე ბლოკის შექმნამდე ხ უ თ ი დღით ადრე და ქალაქ სანკტ-პეტერბურგში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებამდე 1 6 დ ღ ი თ ადრე, — დაბეჭდილია ვრცელი ამონაწერები იმ 31 მენშევიკის მოწოდებიდან, რომელნიც სოციალისტურ ორგანიზაციას გაეთიშნენ სანკტ-პეტერბურგის არჩევნების წინ» *.

ხაზს ვუსვამ იმას, რომ ბროშურის პირველივე ფრაზა მთავარ ყურადღებას აქცევს სანკტ-პეტერბურგში არჩევნების წინ მომხდარი გ ა თ ი შ ვ ი ს ძირითად ფაქტს. მე ხაზს ვუსვამ ამ გარემოებას, რადგან შემდგომ კვლავ მრავალგზის მომიხდება აღვნიშნო მისი მნიშვნელობა.

განვაგრძობ ციტატს:

...«ჯერ ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ ფაქტიური ისტორია იმისა, თუ რა მოიმოქმედეს სოციალ-დემოკრატიისაგან გათიშულმა მენშევიკებმა კონფერენციიდან წასვლის შემდეგ»... ამ წასვლისა და მისი მნიშვნელობის შესახებ განსახილველ ბროშურამდე რამდენიმე დღით ადრე მე გამოვუშვი

* იხ. ეს ტომი, გვ. 23. რ ე დ.

ბროშურა «სოციალ-დემოკრატია და სანკტ-პეტერბურგის არჩევნები», აგრეთვე ბროშურა: ««მოისმენ მსჯავრსა რეგვენისასა»... (სოციალ-დემოკრატი პუბლიცისტის შენიშვნებიდან)» *. უკანასკნელი ბროშურა თითქმის მთლად კონფისკეებულია პოლიციის მიერ. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი, და მე მას ვასახელებ იმისათვის, რომ სასამართლოს შეეძლოს მთლიანად, და არა ნაწყვეტების სახით, შეისწავლოს მაშინდელი ამბების სურათი.

...«1) სოციალ-დემოკრატ მუშებს რომ გაეთიშნენ, მათ ბლოკი შეჰკრეს წვრილ ბურჟუაზიასთან (ესერები, ტრუდოვიკები და სახალხო სოციალისტები), რათა შეთანხმებულად ევაჭრათ კადეტებთან ადგილების მისაღებად. წვრილობითი ხელშეკრულება გათიშული სოციალ-დემოკრატების წვრილბურჟუაზიულ ბლოკში შესვლის შესახებ მ ა თ დ ა უ მ ა ლ ე ს მ უ შ ებ ს ა და საზოგადოებას.

მაგრამ ჩვენ იმედს არ კარგავთ, რომ ეს ხელშეკრულება მაინც გამოქვეყნდება, — და ყოველივე დაფარული გამოაშკარავდება».

სასამართლოს ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ ჩემს ბროშურაში, რომელიც ბრალსა სდებს დანს და 31 მენშევიკს, ერთბაშად ხაზგასმულია ის მომენტი, რომ მუშებს დაუმალეს წერილობითი ხელშეკრულება. განვაგრძობთ:

«2) როგორც წვრილბურჟუაზიული ბლოკის (რასაც გაზეთებში უმართებულოდ უწოდებენ «მემარცხენე ბლოკს») შემადგენელი ნაწილი, გათიშული მენშევიკები კადეტებს ევაჭრებოდნენ ამ ბლოკისათვის ექვსიდან სამი ადგილის დათმობის შესახებ. კადეტები აძლევდნენ ორ ადგილს. ვერ მორიგდნენ. კადეტებთან ერთად წვრილბურჟუაზიული «კონფერენციის» ეს გამოთქმა ჩვენ კი არ გვეკუთვნის, არამედ ამოღებულია გაზეთებიდან) სხდომა შესდგა 18 ი ა ნ ვ ა რ ს. ამას იუწყებოდნენ «რეჩი» და «ტოვარიშჩი». დღეს «რეჩი» აცხადებს, შეთანხმება არ მოხდაო (თუმცა ჩვენ, ცხადია, უნდა მოველოდეთ, რომ ფარული მოლაპარაკება ისევ წარმოებს).

მენშევიკები პრესაში ჯერჯერობით არაფერს იუწყებიან ამ თავისი «გ ა მ ო ს ვ ლ ი ს» შესახებ კადეტებისათვის მუშათა ხმების მისაყიდად».

აი რასთან არის დაკავშირებული პირველი ციტატი. ჩემი სიტყვები მენშევიკების წინააღმდეგ დაწერილია სწორედ იმ

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტ. 11, გვ. 521 — 551 და 552 — 575. რ ე დ.

დღეს, როცა მე პირველად შევიტყე გაზეთებიდან, რომ მენშევიკებისა და ნაროდნიკების ბლოკი კადეტებთან პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის უმრავლესობის წინააღმდეგ არ შესდგა, ამასთან მე იქვე გავაკეთე შენიშვნა, არ შეიძლება ვთქვათ, რომ შეთანხმება საბოლოოდ არ მოხდება, რომ უნდა მოველოდეთ უარესს: მოლაპარაკების «ფარულად» განგრძობასმეთქი. რატომ ვფიქრობდი მაშინ (მე კი ჩემი მაშინდელი შეხედულება ახლაც მართებულად მიმაჩნია), რომ უნდა მოველოდეთ ამ უარესს-მეთქი? იმიტომ, რომ წვრილბურჟუაზიულ ბლოკთან მენშევიკების წერილობითი ხელშეკრულების საზოგადოებისათვის დამალვა უმართებულო, სოციალისტისათვის არასაკადრისი და აუცილებლად ყველაზე უარესი ეჭვების გამომწვევი საქციელი იყო.

კადეტებისათვის მუშათა ხმების რა «მიყიდვაზეა» აქ ლაპარაკი? ზოგიერთი ხუმარა მეუბნებოდა, ჩვენ ისე გავიგეთ, თითქოს თქვენ ლაპარაკობთ ფულზე მიყიდვასაო. ხუმრობა, რა თქმა უნდა, გონებამახვილობას მოკლებული არ არის. მაგრამ საქმის მცოდნე ადამიანი, რომელიც სერიოზულად წაიკითხავს მთელ ბროშურას და არა ამოგლეჯილ ადგილებს, რასაკვირველია, კონტექსტიდან, ყველა წინა და მომდევნო ფრაზებიდან ერთბაშად დაინახავს, რომ ლაპარაკია არა ფულზე მიყიდვის შესახებ, არამედ სათათბიროში ადგილების მისაღებად. «ვაჭრობად» და «ყიდვა-გაყიდვად» იგულისხმება პოლიტიკური და არა ეკონომიური ექვივალენტების გაცვლა, ხმებისათვის ადგილების და არა ხმებისათვის ფულის გაცვლა.

კითხვა ისმის: ღირდა თუ არა ასეთ ნათელ და აშკარა გარემოებაზე შეჩერება?

მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ღირდა, რადგან აქ ჩვენ უშუალოდ ვუახლოვდებით იმ საკითხის გარკვევას, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა დააყენა, სახელდობრ: შე-

საწყნარებელი თუ შეუწყნარებელი გამოსვლების შესახებ პრესაში.

ბროშურის განსახილველ ადგილას რომ ნათქვამი ყოფილიყო: 31 მენშევიკი ფულისთვის ჰყიდდა მუშათა ხმებს კადეტებზეო, მაშინ ეს იქნებოდა სამარცხვინო და დანაშაულებრივი მოქმედების მიწერა მოწინააღმდეგისათვის. ის, ვინც ასეთი რამის მტკიცებას დაიწყებდა, უნდა გაესამართლებინათ, რასაკვირველია, არა «შფოთის შეტანისათვის პროლეტარიატის რიგებში», არამედ ცილისწამებისათვის. ეს სავსებით ნათელია.

პირიქით, ბროშურის განსახილველ ადგილას რომ ნათქვამი ყოფილიყო: 31 მენშევიკი გამოვიდა კადეტების ხმებისთვის მუშათა ხმების შესაერთებლად იმ პირობით, რომ საათაბიროში სოციალ-დემოკრატებს ადგილი მიეღოთო, — მაშინ ეს იქნებოდა ლოიალური, თავაზიანი, პარტიის წევრებისათვის შესაწყნარებელი პოლემიკის ნიმუში.

რით განსხვავდება ამ ფორმულირებისაგან ის, რომელიც მე ავირჩიე? ის განსხვავდება ტონით, რომელიც მთელ მუსიკას ჰქმნის. სახელდობრ, ეს ფორმულირება თითქოს გათვალისწინებულია იმისათვის, რომ მკითხველში გამოიწვიოს სიძულვილი, ზიზღი, მძულვარება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ასეთ საქციელს სჩადიან. ეს ფორმულირება გათვალისწინებულია არა იმისათვის, რომ დაარწმუნოს, არამედ იმისათვის, რომ დაშალოს რიგები, — არა იმისათვის, რომ გაასწოროს მოწინააღმდეგის შეცდომა, არამედ იმისათვის, რომ მოსპოს, აღგავოს პირისაგან მიწისა მისი ორგანიზაცია. ამ ფორმულირებას ნამდვილად ისეთი ხასიათი აქვს, რომ აღძრავს ყველაზე უარეს აზრებს, ყველაზე უარეს ეჭვებს მოწინააღმდეგის შესახებ და მას, დამარწმუნებელი და შესწორების შემტანი ფორმულირებისაგან განსხვავებით, მართლაც «შეაქვს შფოთი პროლეტარიატის რიგებში».

მაშასადამე, თქვენ ასეთ ფორმულირებას შეუწყნარებლად თვლით? — შემეკითხებიან მე. რა თქმა უნდა,

ვთვლი, — მივუგებ მე, — ოღონდ მცირეოდენი დამატებით: შეუწყნარებლად ვთვლი ერთიანი პარტიის წევრებისათვის. ამ დამატებაშია საკითხის თავი და ბოლო. ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდების მთელი უმართებულობა, მეტსაც ვიტყვი, არაკეთილსინდისიერება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრალური კომიტეტი არაფერს ამბობს ერთიანი პარტიის უქონლობაზე იმ დროს, როცა ბროშურა იწერებოდა, იმ ორგანიზაციაში, რომლისგანაც ის (არაფორმალურად, არამედ არსებითად) გამოდიოდა, რომლის მიზნებსაც ის ემსახურებოდა. უპატიოსნებაა კაცს ბრალად დასდო «პარტიის წევრებისათვის შეუწყნარებელი გამოსვლა პრესაში» ასეთი საბაბით, მაშინ, როდესაც პარტიაში გათიშვა იყო.

გათიშვა არის ყოველგვარი ორგანიზაციული კავშირის გაწყვეტა, რასაც შეხედულებათა ბრძოლა გადააქვს ორგანიზაციის შიგნითი ზედმოქმედების ნიადაგიდან ორგანიზაციის გარეთა ზედმოქმედების ნიადაგზე, ამხანაგების გამოსწორებისა და დარწმუნების ნიადაგიდან მათი ორგანიზაციის მოსპობის ნიადაგზე, გამოთიშული ორგანიზაციის წინააღმდეგ მუშათა (და საერთოდ ხალხის) მასის აღშფოთების ნიადაგზე.

ის, რაც დაშვებულია ერთიანი პარტიის წევრთა შორის, დასაშვები და სავალდებულოა გათიშული პარტიის ნაწილებს შორის. არ შეიძლება პარტიული ამხანაგების შესახებ ვწეროთ ისეთი ენით, რომელიც მუშათა მასებში სისტემატურად ავრცელებს სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ სიძულვილს, ზიზღს, მძულვარებას და სხვა. გამოთიშული ორგანიზაციის შესახებ სწორედ ამგვარი ენით შეიძლება ვწეროთ და უნდა ვწეროთ კიდევაც.

რატომ უნდა ვწეროთ? იმიტომ რომ გათიშვა ვალდებულებას გვაკისრებს გამოვგლიჯოთ მასები გათიშულთა ხელმძღვანელობას. მეუბნებიან: თქვენ შფოთი შეგქონდათ პროლეტარიატის რიგებშიო. ვუპასუხებ: მე განზრახ და გარკ-

ვეული ვარაუდით შემქონდა შფოთი პეტერბურგის პროლეტარიატის იმ ნაწილის რიგებში, რომელიც არჩევნების წინ გათიშულ მენშევიკებს მიჰყვებოდა, და მე ყოველთვის ამგვარად მოვიქცევი გათიშვის დროს.

ჩემი მკაცრი შეურაცხმყოფელი თავდასხმებით მენშევიკებზე სანკტ-პეტერბურგის არჩევნების წინ მე მართლაც ვაიძულე, რომ შემდრკალიყო იმ პროლეტარიატის რიგები, რომელსაც მენშევიკებისა სჯეროდა და რომელიც მათმიჰყვებოდა. ეს იყო ჩემი მიზანი. ეს იყო ჩემი მოვალეობა, როგორც სანკტ-პეტერბურგის იმ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრისა, რომელიც მემარცხენე ბლოკის კამპანიას ატარებდა. იმიტომ, რომ გათიშვის შემდეგ ამ კამპანიის ჩასატარებლად საჭირო იყო შეგვემუსრა მენშევიკების რიგები, რომლებსაც პროლეტარიატი მიჰყავდათ კადეტების კვალდაკვალ, საჭირო იყო შფოთი შეგვეტანა მათ რიგებში, საჭირო იყო მასაში გამოგვეწვია სიძულვილი, ზიზღი, მძულვარება ამ ადამიანების მიმართ, რომლებიც ერთიანი პარტიის წევრები აღარ არიან და იქცნენ პოლიტიკურ მტრებად, ხელს რომ უშლიან ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას მის საარჩევნო კამპანიაში. ასეთი პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ მე მაშინ მქონდა — და გათიშვის განმეორების ან განვითარების შემთხვევაში მუდამ მექნება — გამანადგურებელი ბრძოლა.

სანკტ-პეტერბურგში მენშევიკების მოწყობილი გათიშვის შემდეგ მენშევიკების ხელმძღვანელობით მოქმედ პროლეტარიატის რიგებში ჩვენ რომ შფოთი არ შეგვეტანა, ვერ შევძლებდით მემარცხენე ბლოკის ჩვენი საარჩევნო კამპანიის ჩატარებას. და მე მხოლოდ იმას ვწუხვარ, რომ, რაკი პიტერში არ ვიყავი, მე არასაკმაო დახმარება გავუწიე გათიშული მენშევიკების გავლენისაგან მასების გამოგლეჯის ამ საქმეს, რადგან, ეს ამოცანა რომ უფრო ჭულმოდგინედ და წარმატებით შესრულებულიყო, მემარცხენე

ბლოკი სანკტ-პეტერბურგში გამარჯვებას მოიპოვებდა. ეს დადასტურებულია ციფრობლივი მონაცემებით არჩევნების შედეგების შესახებ.

ბრალდების ძირითადი ლოგიკური (და არა მარტო ლოგიკური, რა თქმა უნდა) შეცდომა სახელდობრ იმაში მდგომარეობს, რომ მზაკვრულად გვერდს უვლიან გათიშვის საკითხს, ჩქმალავენ გათიშვის ფაქტს, ცდილობენ პარტიის ერთიანობის თვალსაზრისით კანონიერი მოთხოვნები წაუყენონ ისეთ პირობებს, როდესაც ა რ ა რ ი ს ერთიანობა, ა რ ა რ ი ს ერთი პარტია და ამასთან ერთად — მე ამას შემდგომ დავამტკიცებ — არ არის თვით ბრალმდებელი ცენტრალური კომიტეტის მიზეზით, რომელიც გათიშვას აწყობს და იცავს.

ვისმეს რომ პარტიის შიგნით შესაწყნარებელი ბრძოლის საზომი გამოეყენებინა გათიშვის ნიადაგზე გაჩაღებული ბრძოლის მიმართ, იმ ბრძოლის მიმართ, რომელსაც გარედან წარმართავენ პარტიის წინააღმდეგ ან (ადგილობრივი გათიშვის დროს) ამა თუ იმ პარტიული ორგანიზაციის წინააღმდეგ, ასეთი ადამიანი ან ბავშვივით გულუბრყვილოდ, ანდა პირმოთნედ უნდა მიგვეჩნია. ორგანიზაციული თვალსაზრისით, გათიშვა ნიშნავს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ორგანიზაციული კავშირის გაწყვეტას, ე. ი. ორგანიზაციის შიგნით ამხანაგების დამარწმუნებელი ბრძოლიდან ისეთ ბრძოლაზე გადასვლას, რომელიც ა ნ გ რ ე ვ ს მტრულ ორგანიზაციას, სპობს პროლეტარიატის მასებზე მის გავლენას. ფსიქიკის თვალსაზრისით სავსებით ნათელია, რომ ამხანაგებს შორის ყოველგვარი ორგანიზაციული კავშირის გაწყვეტა უ კ ვ ე ნიშნავს უ კ ი დ უ რ ე ს ურთიერთ გაბოროტებასა და მტრობას, რაც სიძულვილად ქცეულა.

ხოლო პეტერბურგის გათიშვაში კიდევ იყო ორი გახსაკუთრებული გარემოება, რაც ბრძოლის სიმწვავესა და ულმობელობას აათკეცებდა.

პირველი გარემოებაა პარტიის ცენტრალური კომიტეტის როლი. «წესდების თანახმად», მას გაერთიანება უნდა ეწარმოებინა, ყოველგვარი ადგილობრივი გათიშვა უნდა იწვევდეს არა

ბრძოლას გათიშვის ნიადაგზე, არამედ ცენტრალურ კომიტეტში ჩივილს ან, უფრო ფართო მნიშვნელობით რომ ვთქვათ, ცენტრალური კომიტეტისადმი მიმართვას ერთიანობის აღდგენისათვის დასახმარებლად. ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ კი ცენტრალური კომიტეტი იყო სანკტ-პეტერბურგის არჩევნების წინ გათიშვის ინიციატორი და მონაწილე. სწორედ ეს გარემოება, რომელიც დაწვრილებით და დოკუმენტურად არის განვითარებული შემხვედრი ბრალდების წაყენების შესახებ კონფერენციის გადაწყვეტილების დასაბუთებაში, გვაიძულებს პეტერბურგის გათიშვა უ პ ა ტ ი ო ს ნ ო გათიშვად მივიჩნიოთ. ამის შესახებ შემდეგ მე ცალკე ვილაპარაკებ და დაჟინებით მოვთხოვ სასამართლოს დასვას ამ ბრალდების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე საკითხები, ბრალდებისა, რომელსაც ბრალდებული ბრალმდებლის წინააღმდეგ აყენებს.

მეორე გარემოება: პეტერბურგის საარჩევნო კამპანია გათიშვის დროს. გათიშვა მაშინ, როდესაც ადგილი არა აქვს პარტიის დაუყოვნებლივ აშკარა და მასობრივ პოლიტიკურ გამოსვლას ან საზოგადოდ მის პოლიტიკურ მოქმედებას, ზოგჯერ შეიძლება ჯერ კიდევ არ მოასწავებდეს დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ ი ულმობელ-გამანადგურებელი ომის აუცილებლობას. მაგრამ რაკი ხდება ისეთი მასობრივი გამოსვლა, როგორიც, მაგალითად, არჩევნებია, რაკი საჭიროა აუცილებლივ და დაუყოვნებლივ ჩავერიოთ არჩევნებში და ასე თუ ისე ჩავატაროთ ის, — მაშინ გათიშვა უთუოდ ნიშნავს გამანადგურებელ ომს მყისვე, ომს იმისათვის, თუ ვ ი ნ ჩაატარებს არჩევნებს: ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, თუ მისგან გათიშული ჯგუფი. ასეთი გათიშვის დროს არც ერთი წუთით არ შეიძლება გადაიდოს ამოცანა: გამოვგლიჯოთ მასები გათიშულთა გავლენას, შევმუსროთ მათი ორგანიზაცია, პოლიტიკურ არარაობად ვაქციოთ ისინი. და მხოლოდ მენშევიკების წინააღმდეგ მიმართული ბოლშევიკური იერიშის ულმობელი ძალის მეოხებით, 6 იანვარს მათი გათიშვის შ ე მ დ ე გ, — მოხდა ის, რომ დედაქალაქის საარჩევნო კამპანია გამოვიდა შედარებით

კიდევ ერთსულოვანი, რაოდენადმე პარტიული, ყოველ შემთხვევაში, სოციალ-დემოკრატიული კამპანიის მსგავსი.

ამბობენ: იბრძოლეთ, ოღონდ შხამიან იარაღს ნუ იხმართო. უდავოა, ეს მეტად ლამაზი და ეფექტიანი გამოთქმაა. მაგრამ ის ან ლამაზი ლიტონი ფრაზაა, ანდა უსახური და ბუნდოვანი ფორმით გამოხატავს სწორედ იმავე აზრს ბრძოლის შესახებ, რომელიც მასაში ავრცელებს მოწინააღმდეგეთა მიმართ სიძულვილს, ზიზღსა და მძულვარებას, — იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც შეუწყნარებელია ერთიან პარტიაში, და გარდუვალი, აუცილებელია გათიშვის დროს თვით გათიშვის დედაარსის გამო, — აზრს, რომელიც მე უკვე განვავითარე სიტყვის დასაწყისს. როგორც უნდა ატრიალოთ ეს ფრაზა, ანუ ეს მეტაფორა, თქვენ მას ვერ გამოსწურავთ ვერც ერთ წვეთ რეალურ შინაარსს, გარდა იმავე განსხვავებისა, რომელსაც ჰქმნის, ერთი მხრივ, თვით ორგანიზაციის ფარგლებში დარწმუნების საშუალებით მიმდინარე ბრძოლის ლოიალური და თავაზიანი ხერხი და, მეორე მხრივ, გათიშვის საშუალებით გაჩაღებული ბრძოლის ხერხი, ე. ი. მტრული ორგანიზაციის დანგრევა ამ ორგანიზაციისადმი მასის სიძულვილის, ზიზღისა და მძულვარების აღძვრის გზით. შხამიანი იარაღი — ეს არის უპატიოსნო გათიშვანი და არა გამანადგურებელი ომი, რომელიც მომხდარი გათიშვიდან გამომდინარეობს.

არსებობს თუ არა მიჯნები შესაწყნარებელი ბრძოლისა გათიშვის ნიადაგზე? ასეთი ბრძოლის პარტიულად შესაწყნარებელი მიჯნები არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგან გათიშვა არის პარტიის არსებობის შეწყვეტა. სასაცილოა თვით ის აზრიც კი, რომ პარტიული გზით, პარტიული გადაწყვეტილებით და სხვა ამისთანა გზით შეიძლებოდეს ბრძოლა ბრძოლის იმ ხერხების წინააღმდეგ, რომლებიც პარტიის გათიშვიდან გამომდინარეობენ. გათიშვის ნიადაგზე ბრძოლის ფარგლები — ეს არის არა პარტიული, არამედ საერთო-პოლიტიკური ან, უფრო სწორად თუ ვიტყვით, საერთო-სამოქალაქო ფარგლები, სისხლის სამართლის კანონის ფარგლები და მეტი

არაფერი. თუ თქვენ გამეთიშეთ მე, თქვენ არ შეგიძლიათ მომთხოვოთ იმაზე მეტი, ვიდრე მოსთხოვდით კადეტს, ან ესერს, ანდა შემთხვევით ადამიანს და სხვ.

კიდევ განვმარტავ ჩემ აზრს ერთი თვალსაჩინო მაგალითით. «პროლეტარის» უახლოეს ნომერში იბეჭდება ადგილიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია ქალაქ კოვნოს არჩევნების შესახებ. კორესპონდენტი მეტად უკმაყოფილოა ბუნდისა და დოსტიეენცების[147] ბლოკით ლიტვის სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგ და მკაცრად აკრიტიკებს ბუნდს. რანაირი კრიტიკა არის შესაწყნარებელი ერთიანი პარტიის წევრებისათვის? უკმაყოფილება გამოხატული უნდა ყოფილიყო დაახლოებით ასე: ბუნდელები არასწორად მოიქცნენ, როცა ბლოკი შეჰკრეს ებრაელ ბურჟუებთან სხვა ეროვნების სოციალისტთა წინააღმდეგ; ამ მოქმედებით თავს იჩენს წვრილბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეის გავლენა, და სხვა და სხვა. ვიდრე ჩვენ ერთიან პარტიაში ვართ ბუნდთან ერთად, ყოვლად შეუწყნარებელი იქნებოდა მათ წინააღმდეგ მიმართული ბროშურა, რომელსაც მასაში გაავრცელებდნენ არჩევნების წინ და რომელიც ტალახში ამოსვრიდა ბუნდელებს, როგორც პროლეტარიატის გამცემლებს. მაგრამ 1903 წლის ისტორია რ ო მ განმეორებულიყო — ისტორია საზოგადოდ არ მეორდება, და მე მოგონილ მაგალითს ვიღებ — ბუნდიც გაეთიშებოდა პარტიას. ნუთუ შემდეგ ვისმე შეეძლებოდა სერიოზულად აღეძრა ისეთი ბროშურების შეუწყნარებლობის საკითხი, რომლებიც გათვალისწინებულია იმისათვის, რომ ბუნდელ მუშათა მასაში დანერგოს სიძულვილი, ზიზღი, მძულვარება მისი ბელადებისადმი, როგორც გადაცმული ბურჟუებისადმი, რომლებიც ებრაელ ბურჟუაზიას მიეყიდნენ და მისი საშუალებით გაჰყავთ თავისი ხალხი სათათბიროში და სხვა? ყველას, ვინც კი ასეთ ჩივილს, დაიწყებდა, მხოლოდ პირში დასცინებდნენ: ნუ აწყობთ გათიშვას, ნუ ხმარობთ გათიშვის «შხამიან იარაღსო», ანდა, ნუ დაემდურებით შემდეგ იმას, რომ ის, ვინც შხამიან ხმალს აღმართავს, შხამიანი ხმლითვე იღუპებაო!

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საჭირო არ არის შევჩერდეთ მეორე ციტატზე. იქ ნათქვამია: «მენშევიკები კადეტებს ევაჭრებოდნენ იმისათვის, რომ სათათბიროში, მუშათა ნების წინააღმდეგ, კადეტების დახმარებით გაეჩანჩალებინათ თავისი კაცი,—აი უბრალო ახსნა მთელი ამ ხეტიალისა სოციალ-დემოკრატიიდან წვრილბურჟუაზიული ბლოკისაკენ, წვრილბურჟუაზიული ბლოკიდან — კადეტებისაკენ» *. სცადეთ გაარჩიოთ ეს ციტატი ფორმალურად და გარეგნული მხრივ, ერთიანი პარტიის თვალსაზრისით, და თქვენ, რა თქმა უნდა, იტყვით: ნაცვლად სიტყვისა: «ევაჭრებოდნენ» უნდა დაიწეროს პარტიის წევრების შესახებ: «მოლაპარაკებას აწარმოებდნენო»; ნაცვლად სიტყვისა: «გაეთრიათ» — «გაეყვანათო»; ნაცვლად «თავისი კაცისა» — «სოციალ-დემოკრატი დეპუტატიო», და სხვა და სხვა. მაგრამ განა ციტატის ამგვარ «გარჩევას» ან გამოთქმის საშუალების გამო ამგვარ «მსჯელობას» შეუძლია გამოიწვიოს სხვა რამ, გარდა ღიმილისა? განა ცხადი არ არის, რომ გამოთქმის ყველაზე შეურაცხმყოფელი, საზიზღარი საშუალება, რაც ყველაფერს უარესს და არა უკეთესს გულისხმობს, არის გათიშვის ნიადაგზე ბრძოლა იმ ორგანიზაციის მოსპობისათვის, რომელიც ჰფუშავს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის პოლიტიკურ კამპანიას? ასეთი გამოთქმების საწყენი, შეურაცხმყოფელი და ეჭვმიმტანი ხასიათის გამო ჩივილი იმის მსგავსი იქნებოდა, შტრეიკბრეხერს რომ მისდამი ბოროტ დამოკიდებულებაზე ჩივილი დაეწყო! საჩივრის ან ბრალდების ამ სიბრტყეზე განხილვა იგივე იქნებოდა, ჩვენ რომ დაგვეგმო, როგორც შეუწყნარებელი, სიტყვა «შტრეიკბრეხერი» ისე, რომ არსებითად არ გაგვერჩია საკითხი — ნამდვილად შტრეიკბრეხერული იყო თუ არა ამა თუ იმ პირის საქციელი.

გათიშვაც არის და გათიშვაც. მე უკვე არაერთხელ ვიხმარე გამოთქმა: «უპატიოსნო» გათიშვა. ახლა შევჩერდები საკითხის

* იხ. ეს ტომი, გვ. 31. რედ.

ამ მხარეზე. ცენტრალური კომიტეტი თავის ბრალდებაში წერს, რომ მე საეჭვოდ ვხდი პარტიის წევრთა პოლიტიკურ პატიოსნებას. ეს — მეტად სუსტად არის ნათქვამი და უმართებულოდ მიყენებული ზემოთ მოყვანილი ციტატებისადმი. მე არა მარტო «საეჭვოდ ვხდი» 31 მენშევიკისა და დანის «პოლიტიკურ პატიოსნებას». მე ჩემი «საარჩევნო ბროშურების» მთელი შინაარსით ბ რ ა ლ ა დ ვ დ ებ მათ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ უ პ ა ტ ი ო ს ნ ო ანუ პ ა რ ტ ი უ ლ ა დ უ პ ა ტ ი ო ს ნ ო გათიშვას. და მე მხარს ვუჭერ ამ ბრალდებას. ყოველგვარი ცდა, რომ ამ ბრალდების სიმძიმის ცენტრი გათიშვის მომწყობთა ზოგადი, უმთავრესი და ძირითადი საკითხებიდან გადაიტანონ რაიმე წვრილმან, კერძო, მეორეხარისხოვან საკითხებზე, ამაო იქნება.

ყოველგვარი გათიშვა უდიდესი დანაშაულია პარტიის წინაშე, რადგან ის სპობს პარტიას, სწყვეტს პარტიულ კავშირურთიერთობას. მაგრამ გათიშვაც არის და გათიშვაც. გამოთქმა «უპატიოსნო გათიშვა», რაც მე არაერთხელ ვიხმარე, ყოველგვარი გათიშვის მიმართ როდი შეიძლება გამოვიყენოთ. განვმარტავ ამას მაგალითით.

ვთქვათ, პარტიაში დიდი ხანია იბრძვის ორი მიმდინარეობა, რომლებიც, მაგალითად, კადეტების პოლიტიკისათვის მხარის დაჭერის მომხრე ან მხარის დაჭერის წინააღმდეგი არიან. ხდება დიდი პოლიტიკური ამბავი, რომელიც ამწვავებს კადეტურ ტენდენციებს, აახლოებს კადეტების გარიგებას რეაქციასთან. კადეტებისათვის მხარის დაჭერის მომხრენი კავშირს სწყვეტენ მხარის დაჭერის მოწინააღმდეგეებთან. ასეთი გათიშვა, ისევე როგორც ყოველგვარი გათიშვა, გარდუვალად გამოიწვევს ყველაზე გამწვავებულ, გაბოროტებულ, სიძულვილის გამავრცელებელ და სხვ. ბრძოლას, მაგრამ არ შეიძლება ის უპატიოსნო გათიშვად ჩავთვალოთ, რადგან ამ გათიშვას სარჩულად უდევს მხოლოდ პრინციპულ უთანხმოებათა გამწვავება და სხვა არაფერი.

წარმოიდგინეთ სხვანაირი გათიშვა. ვთქვათ, ორი მიმდინარეობა პარტიაში შეთანხმდა ნება დართონ სხვადასხვა ადგილას გატარდეს სხვადასხვა ტაქტიკა. თუ ამ საერთო შეთანხმებას ერთ-ერთ ადგილას არღვევენ, თუ მას ფარულად, ზურგს უკან არღვევენ და ამხანაგების მიმართ გამცემლურად იქცევიან, — მაშინ, უთუოდ, ყველა დაგვეთანხმება, რომ ამგვარი გათიშვა უ პ ა ტ ი ო ს ნ ო გათიშვად უნდა აღვიაროთ.

პეტერბურგში მენშევიკებმა არჩევნების წინ სწორედ ამგვარი უპატიოსნო გათიშვა მოაწყეს. ჯერ-ერთი, სრულიად რუსეთის კონფერენციაზე პარტიის ორივე მიმდინარეობამ საზეიმო პირობა დასდო დამორჩილებოდა ადგილობრივი ორგანიზაციების ადგილობრივ ტაქტიკას არჩევნების დროს. მთელ რუსეთში ეს პირობა მხოლოდდამხოლოდ პეტერბურგელმა მენშევიკებმა დაარღვიეს. ეს უპატიოსნებაა. ეს პარტიის მიმართ მუხანათობაა.

მეორე, ცენტრალური კომიტეტი, პარტიის გაერთიანების ნაცვლად, იმდენად ფრაქციულ პოლიტიკას ატარებდა, რომ პირდაპირ ხელს უწყობდა მენშევიკურ გათიშვას, ცენტრალური კომიტეტის წევრი დანი კი ამაში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ეს უპატიოსნებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიისაგან მონიჭებული ძალაუფლება პარტიის წინააღმდეგ გამოიყენო. ეს იმას ნიშნავს, რომ მალულად, საფარიდან ზურგში სცემდე შხამიან დანას, სიტყვით კი პარტიის ერთიანობის დამცველად რჩებოდე.

ა ი ო რ ი ძირითადი ფაქტი, რომლებმაც მაიძულეს გამეგმათრახებინა 31 მენშევიკიც და დანიც, როგორც პოლიტიკურად უპატიოსნო ადამიანები. სწორედ ამგვარი გამათრახების სულისკვეთებით არის გამსჭვალული მ თ ე ლ ი ჩემი ბროშურა.

და მე სასამართლოს წინაშე მხარი დავუჭირე ამ ბრალდებას. მე მთელი ძალღონე იქითკენ წარვმართე, რომ სასამართლო გამოძიებას მოსამართლეთა წინაშე გამოემზეურებინა პეტერბურგის გათიშვის მთელი ვითარება და შესაძლებლობა მიეცა სრული რწმენით გადაეწყვიტათ საკითხი: პატიოსანი

გათიშვა იყო ეს, თუ არა? იმ ადამიანებმა გამოიყენეს «შხამიანი იარაღი», ვინც ეს გათიშვა, მოაწყო, თუ იმათ, ვინც გათიშვის მომწყობთა წინააღმდეგ ყოვლად ულმობელ, გამანადგურებელ ომს ეწეოდა?

ამ საკითხის ბოლომდე გარკვევას, მთელ მის სიღრმესა და ფარულ მიზეზში ჩაწვდომას, მის გარკვევას იმ ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების დელეგატების მიერ, რომლებიც ნამდვილად პირველად შემოდიან რსდმ პარტიაში, შეიძლება უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდეს ცუდად დაფარული გათიშვის ნაცვლად ჩვენს პარტიაში ნამდვილად პარტიული ურთიერთობის დასამყარებლად.

ამ სასამართლოს შინაარსს ფორმალური, ვიწრო-იურიდიული საკითხი როდი შეადგენს. მართლაცდა, თავი და თავი ის კი არ არის, უნდა ვწეროთ თუ არა ერთიან პარტიაში: ევაჭრებოდნენ თუ მოლაპარაკებას აწარმოებდნენო, გაიყვანონ თუ გაათრიონო, გაჰყიდონ ხმები ადგილების მისაღებად თუ შეუერთონ ხმები ადგილების მიღების პირობით და სხვა. საკითხის ამგვარ გაგებას შეეძლო, რა თქმა უნდა, მხოლოდ ღიმილი გამოეწვია.

თავი და თავი ის არის, ნამდვილად ვაფასებთ ჩვენი პარტიის ერთიანობას, თუ ვურიგდებით გათიშვებს და მათ ყურს წავუყრუებთ, ამ წყლულს თავიდან ვიშორებთ ფორმალური ფანდით. თქვენი სასამართლოს განაჩენზე, ამხანაგო მოსამართლენო, დამოკიდებულია — და, შესაძლოა, ბევრად დამოკიდებულია — ის გარემოება, იქნება თუ არა პეტერბურგის გათიშვა საერთო-პარტიული გათიშვის განვლილი ხანის უკანასკნელი, ნამდვილად უკანასკნელი გამოძახილი, თუ... თუ ის იქნება ახალი გათიშვისა და, მაშასადამე, შხამიანი იარაღით ახალი ბრძოლის დასაწყისი ყველგან.

თქვენს განაჩენზეა დამოკიდებული, შესუსტდება თუ განმტკიცდება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მერყევი ერთიანობა.

## II. პეტერბურგის გათიშვის ფაქტიური ისტორიის მოკლე კონსპექტი

რსდმპ ნოემბრის (1906 წ.) კონფერენციაზე ერთხმად გადაწყდა, რომ არჩევნების საქმეში ყველა ემორჩილება ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დადგენილებებს.

ლენინი იმავე კონფერენციაზე აცხადებს: «დაე, ნურც ვიბორგის რაიონი (სანკტ-პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მენშევიკური ნაწილის ანგარიში) დაარღვევს პეტერბურგის კომიტეტის დადგენილებებს!» — თითქოს ამით იძლევა გაფრთხილებასაო ურთიერთი ვალდებულების შესახებ.

«პროლეტარის» მე-8 ნომრის (1906 წ., ნოემბერი) საგანგებო სტატიაში ბოლშევიკებს მოუწოდებენ მკვეთრად გააკრიტიკონ კადეტებთან ბლოკი, მაგრამ დაემორჩილონ ადგილობრივ ორგანიზაციებს.

იმავე 1906 წლის ნოემბერში ამხ. დანი, ცენტრალური კომიტეტის წევრი, «სრულიად კერძო (როგორც მან განაცხადა სასამართლოში) წესით» მონაწილეობას იღებს ინჟინერ ფედოროვიჩის მიერ მოწყობილ კრებაში, რომელსაც ესწრებიან მილიუკოვი და ნაბოკოვი (კადეტების ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის ლიდერები), ესერების ერთი ბელადი და პეშეხონოვი (სახალხო სოციალისტების ბელადი). ლაპარაკი იყო არჩევნებზე, მაგრამ არა პეტერბურგის არჩევნებზე (ამხ. დანის სიტყვით). ამხ. დანმა საჭიროდ არ ჩათვალა მოეხსენებინა ამ კრების შესახებ არც ცენტრალური კომიტეტისთვის, არც პეტერბურგის კომიტეტისთვის.

1906 წლის დეკემბერში ამხ. დანი გამოცხადდა არჩევნების საკითხის გამო მოწვეულ საინფორმაციო კრებაზე, სადაც იყვნენ რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის და შემდეგ — კადეტების, სახალხო სოციალისტებისა და ესერების წარმომადგენ-

ლები. დანი აცხადებს, რომ ის არის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, მაგრამ გამოთქვამს «თავის პირად შეხედულებას» იმის შესახებ, რომ სანკტ-პეტერბურგში რაიონების მიხედვით შეთანხმება საჭიროა.

1907 წლის 4 იანვარს ცენტრალური კომიტეტის კრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას — ულტიმატუმის წესით მოსთხოვონ პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენციას, რომ იგი გაიყოს საქალაქო და საგუბერნიო კონფერენციებად. ცენტრალური კომიტეტის წევრებს, ბოლშევიკებს (მაქსიმოვს, ზიმინს, სტროევს) [148] პროტესტი შეაქვთ ამ ნაბიჯის წინააღმდეგ, ნაბიჯისა, რომელიც ფაქტიურად ნიშნავს ცენტრალური კომიტეტის მიერ პეტერბურგის ორგანიზაციის გათიშვას.

1907 წლის 6 იანვარს შედგა სანკტ-პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენცია, რომელმაც გადაწყვიტა არჩევნების საკითხი. იქ იყო 39 ბოლშევიკი და 31 მენშევიკი. მენშევიკები კონფერენციიდან წავიდნენ ორი ფორმალური საფუძვლით: 1) იმის გამო, რომ ისინი არასწორად თვლიდნენ მანდატების განაწილებას; 2) იმის გამო, რომ კონფერენციამ უარი განაცხადა გაყოფილიყო საქალაქო და საგუბერნიო კონფერენციებად, როგორც ამას ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა.

გათიშვის ამ საფუძვლების შესაფასებლად მოგვყავს სამი ფაქტი: 1) 6 იანვრის კონფერენციაზე დაამტკიცეს ბოლშევიკების 42 მანდატი და მენშევიკების 28 მანდატი. თვითონ მენშევიკებმა მათ მიერ გამოცემულ ფურცელში განაცხადეს, 35 ბოლშევიკი და 32 მენშევიკი უნდა ჩაგვეთვალაო, ე. ი. აღიარეს ბოლშევიკების უმეტესობა. 2) გათიშვის გამო სანკტ-პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შემდგომი კონფერენცია არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის მიერ საგანგებოდ დანიშნული კომისიის განსაკუთრებული კონტროლით. არჩევნებმა 25 მარტის კონ-

ფერენციაზე მოგვცა 92 ბოლშევიკი და 41 მენშევიკი. ახალმა არჩევნებმა დაადასტურა ბოლშევიკების კიდევ უფრო დიდი უმეტესობა. 3) რუსეთის არც ერთ ქალაქში, არც ვილნოში, არც ოდესაში, არც ბაქოში, ცენტრალური კომიტეტი არ მოითხოვდა კონფერენციის გაყოფას. ეს ულტიმატური მოთხოვნა უკანონოც იყო და იგი აშკარად გამოიწვია ფრაქციულმა მოსაზრებებმა მხოლოდ პეტერბურგის წინააღმდეგ.

კონფერენციიდან წასვლის შემდეგ მენშევიკებმა აირჩიეს თავისი აღმასრულებელი ორგანო, შეუდგნენ თავიანთი ფურცლების გამოშვებას (ცენტრალური კომიტეტის მენშევიკი წევრების და მათ შორის ამხ. დანის მონაწილეობით) და დაიწყეს დამოუკიდებელი საარჩევნო კამპანია. ისინი უბოლშევიკებოდ შეუთანხმდნენ ნაროდნიკულ პარტიებს (სახალხო სოციალისტები, ესერები და ტრუდოვიკები) კადეტებთან ერთობლივი შეთანხმებისათვის.

პეტერბურგის ბურჟუაზიული პრესა («რეჩი», «სტრანა», «ტოვარიშჩ» და სხვ.) მხურვალედ მიესალმა მენშევიკებს გათიშვის გამო, უწოდებდა მათ «ზომიერ სოციალისტურ პარტიას», მოუწოდებდა გაბედული ბრძოლისაკენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, ზეიმობდა ამ «ბლანკისტების» განმარტოების გამო და სხვა. ბოლშევიკებს, რომლებმაც 6 იანვარს ნაროდნიკებს შესთავაზეს ბლოკი კადეტების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, არავითარ მოლაპარაკებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

14 იანვარს «რეჩი» მოწინავეში აღუთქვამს მენშევიკებს ა დ გ ი ლ ს მ უ შ ა თ ა კ უ რ ი ი დ ა ნ, თუ ბოლშევიკების საწინააღმდეგო ბლოკი წარმატებას მოიპოვებდა.

მენშევიკები 17 იანვრის კრებაზე ადგენენ: ყველა ადგილი, რასაც ისინი მოიპოვებენ, გადასცენ მუშათა კურიის განკარგულებაში. 19 იანვარს «ტოვარიშჩი» აქვეყნებს ამ ცნობას.

15 იანვარს მილიუკოვი აუდენციას იღებს სტოლიპინთან, რის შემდეგ კადეტები აშკარად მარჯვნივ მიდიან.

18 იანვარს შესდგა მენშევიკების, ნაროდნიკებისა და კადეტების კონფერენცია. კადეტები იძლეოდნენ 2 ადგილს, მათგან მოითხოვდნენ 3 ადგილს. შეწყვეტა ურთიერთობისა კადეტებთან.

20 იანვარს «ტოვარიშჩი» ბეჭდავს ამონაწერებს მენშევიკების ფურცლიდან, რომელიც მიმართულია ბოლშევიკების წინააღმდეგ და ძირს უთხრის მათს საარჩევნო კამპანიას. მე იმავე დღეს ვწერ ბროშურას — «პეტერბურგის არჩევნები და 31 მენშევიკის თვალთმაქცობა»; — იგი ქვეყნდება სამი დღის შემდეგ.

25 იანვარს პეტერბურგში შეიკრა მემარცხენე ბლოკი. 28 იანვარს ტარდება ქალაქ სანკტ-პეტერბურგის მუშათა კურიის ხაზით ამორჩეულთა (7 და 14 იანვარს), ფაბრიკებისა და ქარხნების რწმუნებულთა კრება. 271 კაციდან ესწრება 200 — 250 კაცი. უმრავლესობით, 10 — 12 ხმის წინააღმდეგ, მიღებულია რეზოლუცია მემარცხენე ბლოკის საასარგებლოდ. რეზოლუცია სპეციალურად მოუწოდებს მენშევიკებს «არ აღმოუჩინონ დახმარება, თუნდაც ფარულად, კადეტებს».

მენშევიკებმა, რომლებმაც 17 იანვარს აღუთქვეს მიეცათ «თავისი» ადგილები მუშათა კურიისათვის, არათუ ყურად არ იღეს ყველა რწმუნებულის კრების ხმა, არამედ პირდაპირ გამოაცხადეს ის «ესერულ-ბოლშევიკურ ოთურმად».

30 იანვარს ტარდება სოციალ-დემოკრატ რწმუნებულთა კრება. ამრჩევლებად დასახელებული არიან პეტერბურგის კომიტეტის კანდიდატები.

29 იანვარს მემარცხენე ბლოკი კოლომნის უბნის უპარტიო პროგრესულ ამომრჩევლებს არღვევინებს თავიანთ წერილობითს ხელშეკრულებას მენშევიკებთან, რადგან ამ ხელშეკრულებაში (ისე როგორც მენშევიკების ნაბეჭდ ფურცელში) შეტანილია პირობა: «მენშევიკი-ამრჩევლები ვალდებული არ არიან დაემორჩილონ ნაროდნიკულ-ბოლშევიკური ბლოკის პირო-

ბებს, რომლებიც შეეხება დეპუტატთა ადგილების განაწილებას» (მუხლი II, ქვეგანყოფილება 3). ეს პირობა იმის აშკარა ცდაა, რომ უზრუნველყონ შესაძლებლობა მეორე სტადიაზე ხმა მისცენ კადეტებთან ერთად მემარცხენე ბლოკის წინააღმდეგ.

7 თებერვალს პეტერბურგში ტარდება არჩევნები. შავრაზმული საფრთხე საბოლოოდ გაქარწყლებულია. კადეტებმა მიიღეს 28 798 ხმა, მემარცხენე ბლოკმა — 16 703, ოქტიაბრისტებმა — 16 613 და მონარქისტებმა — 5 270. საჭირო იყო მემარცხენე ბლოკს კადეტებისთვის წაერთმია 1 573 ხმა 5 უბანში, რათა გამარჯვება მოეპოვებინა მთელ პიტერში. კოლომნის უბანში მემარცხენე ბლოკმა კადეტებზე სულ 199 ხმით ნაკლები მიიღო.

ასეთია ფაქტების მოკლე ჩამოთვლა. ამ ფაქტებიდან ნათლად ჩანს, რომ არსებითად საარჩევნო კამპანია სანკტ-პეტერბურგში მენშევიკებმა ჩაფუშეს. არსებითად, შეთქმულება გათიშვის შესახებ ჯერ კიდევ ნოემბერში დაიწყო და ის დაიწყო ცენტრალური კომიტეტის წევრმა დანმა. არსებითად, სწორედ დანი პლუს ცენტრალური კომიტეტის მენშევიკი წევრები ახორციელებდნენ სანკტ-პეტერბურგში გათიშვას ადგილობრივი ორგანიზაციის უმრავლესობის წინააღმდეგ...

დაიბეჭდა 1907 წ. აპრილში
ცალკე ბროშურად
ხელმოწერა: ნ. ლენინ

იბეჭდება ბროშურის ტექსტის
მიხედვით

# რსდმპ V ყრილობა[149]

1907 წ. 30 აპრილი — 19 მაისი
(13 მაისი — 1 ივნისი)

პირველად დაიბეჭდა 1909 წელს წიგნში: «რსდმპ ლონდონის ყრილობა (რომელიც შესდგა 1907 წ.). ოქმების სრული ტექსტი». პარიზი

იბეჭდება წიგნის ტექსტთან შეჯერებული ხელნაწერი ტექსტის მიხედვით

1

## სიტყვა ყრილობის დღის წესრიგის საკითხზე გამართული კამათის დროს 2 (15) მაისს

ამ საკითხზე გამართული კამათიდან სავსებით გამოირკვა, რომ სოციალ-დემოკრატიის სხვადასხვა მიმდინარეობას ერთმანეთისაგან ჰყოფს დიდი ტაქტიკური უთანხმოებანი. ვინ იფიქრებდა, რომ ასეთ პირობებში წინადადებას მოგვცემდნენ ყრილობის დღის წესრიგიდან მოგვეხსნა ყველა ზოგად-პრინციპული საკითხი? და რა სოფისტური საბუთებით იცავდნენ აქ — ვითომდა პრაქტიციზმისა და საქმის გულისათვის — პრინციპული საკითხების ასეთ თავიდან მოშორებას.

მოგაგონებთ, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ამოცანების საკითხი უკვე დიდი ხანია დაისვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე. ჯერ კიდევ 1905 წლის დამდეგს, რევოლუციამდე, ეს საკითხი განხილულ იქნა რსდმპ მე-3 ყრილობაზედაც, ე. ი. მისი ბოლშევიკური ნაწილის მიერ, და იმავე დროს მოწვეულ მენშევიკების ჟენევის კონფერენციაზედაც. მაშინ თვითონ მენშევიკები აყენებდნენ თავიანთი ყრილობის დღის წესრიგში ზოგად-პრინციპულ საკითხებს.

მაშინ თვითონ ისინი არკვევდნენ ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ტაქტიკის საფუძვლებს და იღებდნენ დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს ამის თაობაზე. თუ ახლა წინადადებას იძლევიან უკუვაგდოთ ამგვარი საკითხები, ეს

დაცემულობის სულიერი განწყობილების შედეგია, და ამ განწყობილებას უნდა ვებრძოლოთ და არა დავნებდეთ!

ლაპარაკობენ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების გამოცდილებაზე და მათს «საქმიან» ყრილობებზე, მე კი გეტყვით, რომ გერმანელებს თავიანთ ყრილობებზე არაერთხელ განუხილავთ უფრო აბსტრაქტული, უფრო თეორიული საკითხები, ვიდრე ის საკითხებია, რომლებიც შეეხება ჩვენში მიმდინარე რევოლუციის შეფასებას და პროლეტარიატის ამოცანებს ამ რევოლუციაში. სხვა პარტიების გამოცდილებიდან უნდა ვიღებდეთ არა იმას, რაც ჩვენ უფერული, რუტინული ყოველდღიურობის ამა თუ იმ პერიოდის დონემდე გვაქვეითებს. ჩვენ უნდა ვიღებდეთ იმას, რაც გვამაღლებს ზოგად საკითხებამდე, მთლიანად პროლეტარიატის მთელი რევოლუციური ბრძოლის ამოცანებამდე. ჩვენ უნდა ვსწავლობდეთ საუკეთესო და არა ცუდი ნიმუშების მიხედვით.

ამბობენ: «არ შეიძლება სერიოზული ტაქტიკური საკითხები ათიოდე ხმის უმრავლესობით გადავწყვიტოთო». აბა სთქვით, განა ეს სოფიზმი არ არის? განა ეს პრინციპულობიდან უპრინციპობის მიმართულებით უმწეო თავდაძვრენა არ არის?

საკითხის გადაწყვეტას კენჭისყრით ვერასოდეს ვერ მიაღწევ. ჩვენ უკვე რამდენიმე წელიწადია ვწყვეტთ ჩვენი რევოლუციის მარქსისტული შეფასების საკითხებს. ჩვენ უკვე რამდენიმე წელიწადია ვამოწმებთ ჩვენი რევოლუციის გამოცდილებით ჩვენს თეორიულ შეხედულებებსა და ზოგად ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს. ახლა კი გვეუბნებიან, ჯერ კიდევ დრო არ არის შევაჯამოთ ეს პარტიული მუშაობაო! თურმე ნუ იტყვით, ტაქტიკის საფუძვლების განსაზღვრა კი არ არის საჭირო, არამედ მოვლენათა განვითარებას კუდში უნდა მივჩანჩალებდეთ და საკითხს შემთხვევიდან შემთხვევამდე ვწყვეტდეთ...

გაიხსენეთ სტოკჰოლმის ყრილობა. იქ გამარჯვებულმა მენშევიკებმა მოხსნეს თავისივე რეზოლუცია მომენტის შეფასების შესახებ, მოხსნეს თავისივე რეზოლუცია ბურჟუაზიული

პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ. რა მივიღეთ ამის შედეგად? მივიღეთ ის, რომ ცენტრალურ კომიტეტს არავითარი პრინციპული საფუძვლები არა ჰქონდა მის წინაშე წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად. მივიღეთ ის, რომ ცენტრალური კომიტეტი მთელი წლის განმავლობაში აქეთ-იქით აწყდებოდა და არავითარი პოლიტიკა არ ჰქონდა. ერთ დღეს ის მხარს უჭერდა დამფუძნებელ კრებას, მეორე დღეს იწყებდა სათათბიროს სამინისტროს ქადაგებას, მესამე დღეს მოითხოვდა «სათათბიროს, როგორც ძალაუფლების ორგანოს დამფუძნებელი კრების მოსაწვევად», შემდეგ — სრულუფლებიან სათათბიროს, შემდეგ — კადეტებთან ბლოკს... ამას უწოდებთ მტკიცე პროლეტარულ პოლიტიკას? (ტ ა შ ი ც ე ნ ტ რ ი დ ა ნ დ ა ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ს კ ა მ ე ბ ი დ ა ნ).

ამბობენ: «პარტიული მშვიდობის გულისათვის... პრაქტიკული მუშაობის გულისათვის ზოგად საკითხებს გვერდი ავუქციოთო». ეს სოფიზმია. ამგვარი საკითხებისათვის გვერდის აქცევა არ შეიძლება. მათთვის გვერდის აქცევა მშვიდობას კი არ შოგვიტანს, არამედ მხოლოდ უფრო ბრმა და ამიტომ უფრო გაბოროტებულ, ნაკლებად ნაყოფიერ პარტიულ ბრძოლას.

ასეთი საკითხების გვერდის აქცევა არ შეიძლება. ისინი თავს იჩენენ ყველაფერში. გაიხსენეთ პლეხანოვის სიტყვა ყრილობის გახსნისას. რადგან ჩვენში რევოლუცია ბურჟუაზიულია, — მსჯელობდა ის, — განსაკუთრებით უნდა დავაჩქაროთ მოკავშირეთა გამოძებნა ბურჟუაზიიდანაო. მე ვამტკიცებ, რომ ამ მსჯელობის საფუძვლები მცდარია. მე ვამტკიცებ, რომ, თუ თქვენ ამ საფუძვლებს არ განიხილავთ, პარტიას თავს დაატეხთ უამრავ ზედმეტ პრაქტიკულ შეცდომას.

პლეხანოვი იმავე სიტყვაში ამბობდა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში ოპორტუნიზმი სუსტიაო. — შეიძლება, თუ სუსტად ჩავთვლით თვით პლეხანოვის ნაწარმოებთ! (ტ ა შ ი ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ს კ ა მ ე ბ ი დ ა ნ). მე კი ვფიქრობ, რომ ოპორტუნიზმი ჩვენში თავს იჩენს სწორედ იმით, რომ უნდათ პირველი ნამდვილად საერთო-პარტიული ყრილობის დღის

წესრიგიდან მოხსნან ზოგადი საკითხები ბურჟუაზიულ რევოლუციაში ჩვენი ტაქტიკის საფუძვლების შესახებ. თეორიულ საკითხებს კი არ უნდა ვხსნიდეთ, არამედ მთელი ჩვენი პარტიული პრაქტიკა უნდა აგვყავდეს მუშათა პარტიის ამოცანების თეორიული გაშუქების სიმაღლეზე. (ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ტ ა შ ი).

## 2

## სიტყვა ცკ-ის მოლვაწეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო 4 (17) მაისს

მე მინდოდა მელაპარაკნა საკითხის მხოლოდ პოლიტიკური მხარის შესახებ. მაგრამ ამხ. აბრამოვიჩის უკანასკნელი სიტყვა მაიძულებს მოკლედ შევეხო მის შენიშვნებს. როცა ამხ. აბრამოვიჩი ლაპარაკობდა «ალყაშემორტყმული» მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის შესახებ, მე გულში ვფიქრობდი: «საბრალო მენშევიკები! ისინი კვლავ ალყაშემორტყმულნი არიან». მათ «ალყას არტყამენ» არა მარტო მაშინ, როცა ისინი უმცირესობაში არიან, არამედ მაშინაც, როცა ისინი უმრავლესობას შეადგენენ!».

ხომ არ არსებობს თვით მენშევიკური პოლიტიკის ხასიათში ჩამარხული ისეთი შინაგანი მიზეზები, რომლებიც მენშევიკებს აიძულებენ მუდამ იწუწუნონ, რომ ისინი ალყაშემორტყმული არიან პროლეტარული პარტიის მიერ?

როგორია მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის ალყის ფაქტები, რომლებიც ამხ. აბრამოვიჩმა მოიყვანა? ისინი სამია: აგიტაცია საგანგებო ყრილობის სასარგებლოდ, სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების კონფერენცია და, ბოლოს, «სხვა ორგანიზაციული საკითხები», როგორც ეს ამხ. აბრამოვიჩმა თქვა.

განვიხილოთ ეს სამი ფაქტი.

საგანგებო ყრილობის სასარგებლო აგიტაცია ფართოდ გაჩაღდა მაშინ, როცა გამოირკვა, რომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა უთუოდ ეწინააღმდეგება პარტიის უმრავლესობის ნებას. მოგაგონებთ, რომ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა კომიტეტმა წამოაყენა პასუხისმგებელ სამინისტროსათვის მხარის დაჭერის ლოზუნგი. ამ დროს ჩვენს პარტიაში ჯერ კიდევ არ შემოსულიყო ბუნდი, მაგრამ უკვე შემოვიდნენ პოლონელები და ლატვიელები. ორივემ მათ სრულიად გარკვეულად უარყვეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა. მაშასადამე, სავსებით უდავო ფაქტია, რომ ცენტრალური კომიტეტი მაშინ დასცილდა პარტიის უდიდეს უმრავლესობას. მაშ ვინ ვის შემოარტყა ალყა: პარტიის უმრავლესობამ შემოარტყა ალყა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომლისგანაც მოითხოვდა ანგარიში ჩაებარებინა ყრილობისათვის? თუ ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის წინააღმდეგ რომ მიდიოდა, შემოარტყა ალყა პარტიას? გაიხსენეთ, სადამდე მივიდა მაშინ პლეხანოვი. ყრილობის წინააღმდეგ მიმართული მისი წერილი გადაბეჭდა «სოციალ-დემოკრატმა», რომელსაც ცენტრალური კომიტეტი ოფიციალურად სცემდა. ამ წერილში კი პლეხანოვი ყრილობის მოწვევისაკენ მიმართულ მოწოდებას უპასუხებდა აგიტაციის მოტივების ეჭვებით და ტირადებით მუშათა გროშების შესახებ! აბა დაუფიქრდით: განა პლეხანოვი მტყუანი არ იყო, როცა თავის თავს ნებას აძლევდა ამგვარი რამ ეთქვა პარტიის უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელიც ყრილობას მოითხოვდა?

მე კი მხოლოდ ვიტყვი: რსდმპ სრულიად რუსეთის ნოემბრის კონფერენციის გადაწყვეტილების შემდეგ საგანგებო ყრილობის სასარგებლო აგიტაცია შეწყდა.

მეორე ფაქტი: სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების კონფერენცია. კონფერენცია ორი გამოვიდა. ეს სამწუხაროა, რა თქმა უნდა, მაგრამ აქ ცენტრალური კომიტეტისათვის «ალყის» შემორტყმის დანახვა უცნაურია. განა უკეთესი არ იქნებოდა აგვეხსნა, რით იყო ცუდი ცენტრალური კომიტეტის დაუ-

კითხვად შემდგარი კონფერენციის გადაწყვეტილებანი, ვიდრე თავი დაგვეძვრინა ალყაზე ჩივილით? მოგაგონებთ, რომ ორივე კონფერენციაზე იყვნენ როგორც მოსკოვის კომიტეტის, ისე პეტერბურგის კომიტეტის წარმომადგენლები, — მაშასადამე, პარტიის რომელიმე ფრაქცია არ დაკავშირებია არც ერთ კონფერენციას, როგორც ფრაქცია. სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების ბოლშევიკური კონფერენციის რეზოლუციები კი, რომლებიც 1906 წლის ნოემბერში დაიბეჭდა, დღემდე სერიოზულად არ გაუკრიტიკებიათ.

მესამე ფაქტი: «სხვა ორგანიზაციული საკითხები». რა არის ეს? რა კონკრეტული შინაარსია ამაში? პეტერბურგში მომხდარი გათიშვა ხომ არა, რომელიც მენშევიკებმა ცენტრალური კომიტეტის დახმარებით მოაწყეს არჩევნების დროს? მაგრამ ამის გამო ცენტრალური კომიტეტის ალყაზე ლაპარაკი პირდაპირ სასაცილო იქნებოდა.

გადავდივარ საკითხის პოლიტიკურ მხარეზე. ჩვენი მთავარი ამოცანა ის არის, რომ განვიხილოთ, როგორ ხელმძღვანელობდა ცენტრალური კომიტეტი პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას, როგორ იყენებდა ის საქმით ტაქტიკას, რომელიც მიღებულ იქნა გამაერთიანებელ ყრილობაზე.

პირველი ლოზუნგი, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიას მისცა, «სათათბიროს» ანუ «პასუხისმგებელი» სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერის ლოზუნგი იყო. ამხ. მარტოვმა აქ ჩვენს წინაშე თქვა, ეს ლოზუნგი წამოყენებულ იქნა მთავრობასთან სათათბიროს კონფლიქტის გასაფართოებლად და გასაღრმავებლადაო.

ასეა თუ არა ეს? რაში უნდა მდგომარეობდეს კონფლიქტის პროლეტარული გაფართოება და გაღრმავება? რა თქმა უნდა, იმაში, რომ აღვნიშნოთ კონფლიქტის გამომწვევი ბრძოლისა და შეტაკების ნამდვილი ასპარეზი, — საზოგადოდ კლასობრივი ბრძოლის, ამ შემთხვევაში კი — ძველ ხელისუფლებასთან ხალხის ბრძოლის ასპარეზი. სათათბიროს კონფლიქტის გასაფართოებლად და გასაღრმავებლად საჭირო იყო თვითონაც

გაეგოთ და ხალხისთვისაც განემარტათ, რომ სათათბიროს კონფლიქტი მხოლოდ მეტად არასრულად და მახინჯად ასახავს ხალხის კონფლიქტს ძველ ხელისუფლებასთან, რომ სათათბიროში ბრძოლა სუსტი გამოძახილია სათათბიროს გარეთ მიმდინარე რევოლუციური ბრძოლისა. გასაფართოებლად და გასაღრმავებლად საჭირო იყო პოლიტიკური შეგნება და პოლიტიკური მოთხოვნები სათათბიროს ლოზუნგებიდან აგვემაღლებინა საერთო რევოლუციური ბრძოლის ლოზუნგებამდე. ცენტრალური კომიტეტი პირიქით მოიქცა. ის რევოლუციური ბრძოლის ლოზუნგებს აჩლუნგებდა და ჰკვეცდა სათათბიროს სამინისტროს ლოზუნგით. ის ხალხს მოუწოდებდა არა ძალაუფლებისათვის საბრძოლველად, თუმცა ეს ბრძოლა საქმის მთელი ობიექტური მდგომარეობიდან გამომდინარეობდა, არამედ ხელისუფლებასთან ლიბერალების გარიგებისათვის საბრძოლველად. ნებსით თუ უნებლიეთ ცენტრალური კომიტეტი პარტიას მოუწოდებდა მიეღო პარლამენტური «მშვიდობიანი» გზის ლოზუნგები მაშინ, როდესაც ნამდვილად ობიექტური პირობებიდან გამომდინარეობდა რევოლუციური ბრძოლა პარლამენტს გარეთ. ნამდვილად არავითარი რაოდენადმე სერიოზული საზოგადოებრივი მოძრაობა «პასუხისმგებელ სამინისტროს» სასარგებლოდ არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა მენშევიკურმა ფრაქციამაც კი (1-ლ სათათბიროში) არ მიიღო ცენტრალური კომიტეტის ეს ლოზუნგი. (მ ა რ ტ ო ვ ი: «მართალი არ არის!»). არა, მართალია, ამხ. მარტოვ, ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციისა და 1-ლი სათათბიროს სტენოგრაფიული ანგარიშების უბრალოდ გაცნობაც კი ცხადყოფს, რომ ეს მართალია.

ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგი სინამდვილეში, ცენტრალური კომიტეტის სურვილებისა და მოტივების დამოუკიდებლად, ლიბერალურ პოლიტიკასთან შეგუება იყო. და ეს შეგუება ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებდა, რადგან ლიბერალური პოლიტიკა გამოხატავდა არა იმდროინდელ ნამდვილ

საზოგადოებრივ მოძრაობას, არამედ რევოლუციის შეწყვეტაზე ოცნებას, თუმცა ის ჯერ კიდევ სულაც არ შეწყვეტილა. მოვლენათა განვითარებამ დაამტკიცა, რომ «პასუხისმგებელი სამინისტროს» მთელი ეს ისტორია იყო უვარგისი ფარ-ხმალით თავდასხმა.

ცენტრალური კომიტეტის მეორე ლოზუნგი ივლისის გაფიცვის ხანას მიეკუთვნება. მაშინდელი გამოსვლის წარუმატებლობას ცენტრალურ კომიტეტს ვერ ვუსაყვედურებთ. ისეთი ცენტრალური კომიტეტისათვის, როგორიც მენშევიკური ცენტრალური კომიტეტია, საყვედური კი არა, ქება უფროა ის, რომ მაშინ რევოლუციას გამოეხმაურა. ცენტრალური კომიტეტის ბრალი როდია, რომ მან, პეტერბურგში მოკალათებულმა, არ იცოდა პროლეტარიატის სულიერი განწყობილება მთელ რუსეთში. არც ის შეიძლება შეცდომად გამოვაცხადოთ, რომ ჩვენ მაშინ აჯანყების რწმენა გვქონდა და მოველოდით მას. აჯანყება მართლაც მოხდა, და ჩვენი წინასწარი ლოზუნგები, ჩვენი პოლიტიკა აჯანყების წინ — ამ აჯანყების წარმატებისა თუ წარუმატებლობის ერთ-ერთი ელემენტი იყო.

ცენტრალური კომიტეტის შეცდომას მე იმაში ვხედავ, რომ ის ცდილობდა აჯანყებამდე მისული რევოლუციური ბრძოლა მოექცია არარევოლუციური ან შეკვეცილი რევოლუციური ლოზუნგების ჩარჩოებში. ეს გამოიხატა ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგით: «ნაწილობრივი მასობრივი გამოსვლები». ეს კიდევ უფრო მეტად გამოიხატა ლოზუნგით: «მხარი დავუჭიროთ სათათბიროს, როგორც ძალაუფლების ისეთ ორგანოს, რომელიც დამფუძნებელ კრებას მოიწვევს». ასეთი უსიცოცხლო ლოზუნგების გადასროლა ნიშნავდა პროლეტარული პოლიტიკის შეგუებას ლიბერალური ბურჟუაზიის პოლიტიკასთან. და მოვლენებმა კვლავ ცხადყო ამგვარი შეგუების ცდების მთელი ამაოება და სრული უმწეობა. ჩვენში ხშირად გაისმის ჩივილი და წუწუნი მუშათა პარტიის უმწეობაზე. მე კი ვიტყვი: უმწეონი სწორედ იმიტომ ხართ, რომ თქვენს ლოზუნგებს აჩლუნგებთ! (ტაში ბოლშევიკების სკამებიდან).

განვაგრძოთ. თვალი გადავავლოთ კადეტებთან ბლოკის საკითხს მე-2 სათათბიროს არჩევნების დროს. მარტოვმა ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, რომელიც მან წაიკითხა, თავიდან მოიშორა ეს საკითხი საოცრად უდარდელი ფორმალიზმით: ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ბლოკი დასაშვებია, და ბლოკი, ცენტრალური კომიტეტის დირექტივის სრულ საფუძველზე, დასაშვები შეიქმნა! (ს ი ც ი ლ ი). ცოდვა არ იქნებოდა, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში დაემოწმებინათ არა დადგენილებათა ფორმალური კანონიერება, არამედ ცხოვრების მიერ ამ პოლიტიკის არსებითი სისწორის შემოწმება. ჩვენ, ბოლშევიკები, მუდამ ვამტკიცებდით, რომ ყბადაღებული შავრაზმული საფრთხე ნამდვილად ნიშნავს ლიბერალურ თავდაცვას მემარცხენე საფრთხისაგან, რომ, თუ ჩვენს პოლიტიკაში შავრაზმული საფრთხის შიშით ვიხელმძღვანელებთ, ჩვენ მართლაც წამოვეგებით ლიბერალების ანკესზე. არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ ჩვენ მართალნი ვიყავით. მთელ რიგ ქალაქებში საარჩევნო სტატისტიკამ გააბათილა ლიბერალებისა და მენშევიკების ჭორები. (ხ მ ე ბ ი: «კიევი? პოლონეთი? ვილნო?»). მე დრო არა მაქვს შევეხო ცალკეულ ადგილებს, ვილაპარაკებ საერთო პოლიტიკურ შედეგებზე. სტატისტიკოსმა სმირნოვმა გამოიანგარიშა, რომ 22 ქალაქში მემარცხენე ბლოკმა მიიღო 41 ათასი ხმა, კადეტებმა მიიღეს 74 ათასი, ოქტიაბრისტებმა — 34½ ათასი და მონარქისტებმა — 17 ათასი. სხვა 16 ქალაქში 72 ათასი ხმიდან ოპოზიციის სასარგებლოდ მისცეს 58,7%, ხოლო რეაქციის სასარგებლოდ — 21%. არჩევნებმა გამოააშკარავა შავრაზმული საფრთხის ფიქციურობა, და კადეტებთან ვითომდა გამონაკლისის სახით «დასაშვები» ბლოკის პოლიტიკა ა ღ მ ო ჩ ნ დ ა ლიბერალურ ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის დამოკიდებულების პოლიტიკა.

და მე გეტყვით: ნუ უგულებელყოფთ თეორიულ დავას, ტუჩაკვრით ნუ ჩაიქნევთ ხელს უთანხმოებათა შესახებ ფრაქციული მონაჭორის გამო. ჩვენი ძველი დავა, ჩვენი თეორიული

და განსაკუთრებით ტაქტიკური უთანხმოებანი რევოლუციის მსვლელობაში განუწყვეტლივ იქცევა უაღრესად უშუალო პრაქტიკულ უთანხმოებებად. პრაქტიკულ პოლიტიკაში ვერც ერთ ნაბიჯს ვერ გადადგამთ ისე, რომ არ წააწყდეთ იმავე ძირითად საკითხებს ბურჟუაზიული რევოლუციის შეფასების შესახებ, კადეტებისა და ტრუდოვიკების თანაფარდობის შესახებ და სხვა. პრაქტიკული ცხოვრება უთანხმოებებს კი არ სპობს, არამედ ამწვავებს და აძლიერებს. და შემთხვევითი როდია, რომ ისეთ გამოჩენილ მენშევიკებს, როგორიც პლეხანოვია, კადეტებთან ბლოკის პოლიტიკა აბსურდამდე მიჰყავდათ. პლეხანოვი, თავის ყბადაღებულ «სრულძალაუფლებიან სათათბიროს» რომ აყენებდა, პროლეტარიატისა და ლიბერალური ბურჟუაზიისათვის საერთო ლოზუნგს ქადაგებდა. პლეხანოვი მხოლოდ უფრო ნათლად, სხვებზე უფრო ძლიერად გამოხატავს მთელი მენშევიკური პოლიტიკის შინაგან არსს, ძირითად ტენდენციას: მუშათა კლასის დამოუკიდებელი ხაზის შეცვლას ლიბერალურ ბურჟუაზიასთან შეგუებით. ჩვენი ცენტრალური კომიტეტის გაკოტრება უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად ოპორტუნიზმის ამ პოლიტიკის გაკოტრება იყო. (ცენტრის ნაწილისა და ბოლშევიკების ტაში).

---

## 3

## სიტყვა სათათბიროს ფრაქციის მოლვაწეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

8 (21) მაისს

მე მინდოდა კვლავ შემებრუნებინა კამათი სათათბიროს ფრაქციის პოლიტიკის პრინციპული შეფასებისაკენ. ამხ. წერეთელი ამბობდა: «ჩვენ შეცდომები გვქონდა, მაგრამ მერყეობა არ გვქონიაო». ვფიქრობ, რომ სათათბიროს ახალგაზრდა, დამწყები ფრაქციის დაგმობა შეცდომებისათვის სრულიად უმართებულო იქნებოდა. მაგრამ დედაარსიც სწორედ ის არის, რომ თვით ფრაქციის პოლიტიკაში უეჭველად იყო მ ე რ ყ ე ო ბ ა. და პიროვნებათა გასაკიცხად კი არა, არამედ მთლიანად პროლეტარული პარტიის აღსაზრდელად ჩვენ ეს მერყეობა აშკარად უნდა აღვიაროთ და ამოცანად დავისახოთ მისი აღმოფხვრა.

ამხ. წერეთელი ევროპის ისტორიას იმოწმებდა. 48 წელმა, — ამბობდა იგი, — გვასწავლა არა მარტო ის, რომ სოციალიზმისათვის პირობები ჯერ კიდევ არ მომწიფებულა, არამედ ისიც, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა არ შეიძლება ისე, თუ არ არის ესა თუ ის კავშირი ბურჟუაზიულ დემოკრატიასთანაო. ამხ. წერეთლის ეს დასკვნა პირწმინდა რევიზიონიზმია. პირიქით, 1848 წლის რევოლუციამაც და შემდგომდროინდელმა ისტორიულმა გამოცდილებამაც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას ასწავლა სწორედ საწინააღმდეგო რამ, სახელდობრ: რომ ბურჟუაზიული დემოკრატია სულ უფრო და უფრო

მეტად უპირდაპირდება პროლეტარიატს, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა თანამიმდევრად მხოლოდ იქ წარმოებს, სადაც მას პროლეტარიატი ხელმძღვანელობს. 1848 წელი ბურჟუაზიულ დემოკრატიასთან კავშირს კი არ გვასწავლის, არამედ იმას, რომ აუცილებელია განვითარების დონის მხრივ უკანასკნელი ფენები ხალხის მასებისა გავათავისუფლოთ ბურჟუაზიული დემოკრატიის გავლენისაგან, რომელსაც დემოკრატიისათვის ბრძოლის უნარიც კი არ შესწევს. ამხ. წერეთელმა იმით, რომ 1848 წლის გამოცდილება დაიმოწმა ბერნშტეინიანელობის სულისკვეთებით, გამოამჟღავნა სწორედ ის რევიზიონიზმი, რომლის გამოც პლეხანოვმა უსაფუძვლოდ თქვა, ჩვენს პარტიაში ის სუსტიაო.

ამხ. წერეთლის პრინციპული პოზიციის მთელი მერყეობისათვის აგრეთვე დამახასიათებელი იყო მისი განცხადება სასურსათო კომისიის თაობაზე. ჩვენ საკმაოდ ხაზი ვერ გავუსვით ჩვენი წინადადების ლ ე გ ა ლ ო ბ ა ს, რომ საქმე ადგილებზე გამორკვეულიყოო, — ამბობდა წერეთელი. ჩვენ ზოგადმა მსჯელობამ გაგვიტაცა და ხელიდან გავუშვით შემთხვევა ჩვენი გეგმის ლეგალობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებით დაგვერწმუნებინა სხვები. სხვა დროს ამ შეცდომას გამოვასწორებთო.

საკითხის ამგვარი დაყენება შესანიშნავი სიცხადით გამოხატავს ჩვენი ფრაქციის პოზიციის მთელ მერყეობას. აბა წარმოიდგინეთ: სწუხან იმის გამო, რომ მათი მოტივები ლეგალობის სასარგებლოდ საკმაო არ იყო! ნუთუ ისინი ვერ ხედავენ, რომ აქ საქმე სრულებითაც არ არის მოტივებში, ლეგალობის დამოწმებაში, კადეტებისა თუ სხვა ვისმეს «დარწმუნებაში»? ნუთუ მათთვის ნათელი არ არის, რომ მთავრობას ა რ ს ე ბ ი თ ა დ არ შეეძლო დაეშვა და არც დაუშვებდა ადგილებზე გამორკვევას, რადგან ამაში მასებისადმი მიმართვას ხედავდა (და მართებულადაც ხედავდა)?

ლეგალობის რა დამოწმებებისთვისაც უნდა მიემართათ, ამით საქმის დედაარსი არ შეიცვლებოდა. და იმის ნაცვლად,

რომ ქვევით იცქირებოდეს, — დაარწმუნოს ხალხის მასები, დაანახოს მას სიმართლე, — წერეთელი ზევით იცქირება, მას სურს დაარწმუნოს ლიბერალები, ლეგალობით მიიზიდოს ისინი... ეს ნამდვილი ბურჟუაზიული პარლამენტარიზმია. ხოლო ამნაირი წვრილმანი, უბადრუკი, უსუსური პოლიტიკანობის უნაყოფობა აშკარაა, რადგან ცხადია, რომ ვერც მენშევიკების, ვერც კადეტების ვერავითარი პარლამენტური ფანდი სტოლიპინს მისი პოლიტიკიდან ვერ გადაახვევინებდა. მასებისაგან ჩამოშორება აშკარა ფაქტია, სტოლიპინებისა და კადეტების ლეგალური დარწმუნების სარგებლობა კი უსაქმო ინტელიგენტის ფუჭი ოცნებაა.

ოპორტუნიზმის ასეთსავე ფუჭ ცდებს ვხედავ მე ნაროდოვცებთან მოლაპარაკებაში; მათი დაცვა ბებელის დამოწმებით — ერთობ სუსტია. ბებელმა თქვაო: საქმისათვის თუ საჭიროა, ეშმაკის ბებიასაც კი დავუკავშირდებითო. ბებელი კი მართალია, ამხანაგებო: ს ა ქ მ ი ს ა თ ვ ი ს თ უ ს ა ჭ ი რ ო ა, რა თქმა უნდა, მაშინ შეიძლება ეშმაკის ბებიასაც დაუკავშირდე. მაგრამ, აბა რა ს ა ქ მ ი ს ა თ ვ ი ს აღმოჩნდა საჭირო თქვენი ურთიერთობა ნაროდოვცებთან? არაფრისთვის. ამ ურთიერთობას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. და გამოდის, რომ ბებელი კარგად ამბობდა, თქვენ კი მისი ნათქვამი ცუდად გესმით.

ნაროდოვცებთან სიარულიც, გოლოვინისათვის ხმის მიცემაც, კონფისკაციის ამოგდების ცდაც, — ყოველივე ეს ერთი მცდარი ხაზის ცალკეული ნაწილებია. ყოველივე ეს გამოუცდელობისა კი არა, სწორედ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ე რ ყ ე ო ბ ი ს გამოვლინებაა. და ამ თვალსაზრისით ბ-ნ პროკოპოვიჩის მოწვევაც წვრილმანი როდია. ჩვენ აქ გვეუბნებოდნენ: ბ-ნი პროკოპოვიჩი არ ფვესწრება, უმისოდ მისი შესვლის დაგმობა არ შეიძლებაო. ეს იმასა ჰგავს, რომ ჩვენ პონტოელისაგან პილატესთან გვგზავნიან. პეტერბურგში კონფერენციაზე გვეუბნებოდნენ: ყრილობამდე გადავდოთ, უყრილობოდ განხილვა არ შეიძლებაო. ახლა ყრილობაზე ამბობენ: უპროკოპო-

ვიჩოდ არ შეიძლება, გადავდოთ და პეტერბურგის ორგანიზაციაში გადავიტანოთო. ეს სოფიზმია.

პროკოპოვიჩი ლიტერატორია, და მის ნაწარმოებთ ყველა იცნობს. პროკოპოვიჩი იმ ბურჟუაზიული ინტელიგენტის ტიპია, რომელიც ჩვენს პარტიაში განსაზღვრული, ოპორტუნისტული მიზნებისათვის ინერგება. მისი შესვლა რკინიგზის რაიონში — აშკარა დაცინვაა. ეს არის საფარი ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს წ რ ე შ ი სამუშაოდ. და ჩვენი ცენტრალური კომიტეტის დანაშაულია, რომ ის ამნაირ საფარს იყენებდა. სათათბიროს ჩვენი ფრაქციის დანაშაულია, რომ ის ჩვენს პარტიაში სათათბიროს კიბით შემოსვლას უადვილებდა სწორედ პარტიაში არმომუშავე და პარტიისადმი პრინციპულად მტრულ ლიბერალურ ლიტერატორებს, რომლებიც «ტოვარიშჩში» თანამშრომლობენ.

ჩერევანინი აქ სათათბიროს ფრაქციის პოლიტიკას იცავდა და ამბობდა: ვთქვათ, კადეტები ახლა ჩამორჩნენ, ახლა რეაქციულნი არიან. მაგრამ ეს სამუდამოდ ასე როდი იქნება. ამის აღნიშვნა საჭირო არ არის. კადეტები არ ვარგან დაქვეითების ეპოქებში, ისინი შეიძლება გამოდგნენ აღმავლობის ეპოქებში, როცა ისინი სწრაფად მემარცხენდებიანო.

ეს ჩვეულებრივი მენშევიკური მსჯელობაა, ოღონდ განსაკუთრებით აშკარად და მკვეთრად გამოხატული. ამით მისი სიყალბე კიდევ უფრო ნათელი ხდება. აიღეთ რევოლუციის ორი დიდი ნიშანსვეტი: 1905 წლის ოქტომბერი — უდიდესი აღმავლობა, და 1907 წლის გაზაფხული — უდიდესი დაქვეითება. გამოსადეგი იყვნენ თუ არა კადეტები დემოკრატიისათვის 1905 წელს? არა. ეს თვითონ მენშევიკებმა აღიარეს «ნაჩალოში». ვიტე — ბირჟის აგენტია, სტრუვე — ვიტეს აგენტიაო, ასე წერდნენ მაშინ მენშევიკები, და მართებულადაც წერდნენ. მაშინ მენშევიკები გვეთანხმებოდნენ, რომ კადეტებს მხარი კი არ უნდა დავუჭიროთ, არამედ უნდა ვამხილოთ, დავცეთ მათი პრესტიჟი დემოკრატიაშიო.

ახლა, 1907 წლის გაზაფხულზე, თქვენ ყველანი კვლავ იწყებთ დათანხმებას იმაში, რომ კადეტები უვარგისი დემოკრატები არიან. და გამოდის, რომ არც აღმავლობის ეპოქაში და არც დაქვეითების ეპოქაში კადეტები არ ვარგან. ამ ეპოქებს შორის განვლილ დროს კი ყოველი ისტორიკოსი დაარქმევს მერყეობის ხანას, როცა წვრილბურჟუაზიული პოლიტიკისაკენ გადაიხარა სოციალ-დემოკრატიის ნაწილიც, როცა ეს ნაწილი ამაოდ ცდილობდა «მხარი დაეჭირა» კადეტებისათვის, ამით მხოლოდ ზიანი მიაყენა მუშათა პარტიას და ბოლოს და ბოლოს დაინახა თავისი შეცდომა.

რამდენიმე სიტყვა ტროცკის შესახებ. იგი ლაპარაკობდა «ცენტრის» სახელით, იგი გამოთქვამდა ბუნდის შეხედულებებს. იგი გვანადგურებდა ჩვენ «მიუღებელი» რეზოლუციის შემოტანისათვის. იგი აშკარად იმუქრებოდა გათიშვით, სათათბიროს ფრაქციის წასვლით, რომელსაც თითქოს შეურაცხყოფს ჩვენი რეზოლუცია. მე ხაზს ვუსვამ ამ სიტყვებს. მე მოგიწოდებთ ყურადღებით წაიკითხოთ ჩვენი რეზოლუცია.

შეურაცხყოფას ხედავდე შეცდომების მშვიდად აღიარებაში, რასაც თან არ ახლავს არავითარი გაკიცხვა მწვავე ფორმით, ამის გამო ლაპარაკობდე გათიშვაზე, — განა ეს საშინელი რამ არ არის?? განა ეს არ გვიჩვენებს ჩვენი პარტიის სენს, შეცდომების აღიარების შიშს? სათათბიროს ფრაქციის გაკრიტიკების შიშს?

მარტო საკითხის ამგვარად დაყენების შესაძლებლობა გვიჩვენებს, რომ ჩვენს პარტიაში არის რაღაც არაპარტიული. ეს არაპარტიული — პარტიისადმი სათათბიროს ფრაქციის დამოკიდებულებაშია. სათათბიროს ფრაქცია უფრო პარტიული, პარტიასთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული უნდა იყოს, უფრო მეტად უნდა ემორჩილებოდეს მთელ პროლეტარულ მუშაობას. მაშინ შეწყდება შეურაცხყოფაზე გოდება და გათიშვის მუქარა.

როდესაც ტროცკი ამბობდა: თქვენი მიუღებელი რეზოლუცია ხელს უშლის თქვენი მართებული აზრების გატარება-

საო, — მე მას შევძახე: «მაშ მოიტათ თ ქ ვ ე ნ ი რეზოლუცია მეთქი! ტროცკიმ მიპასუხა: არა, ჯერ თქვენი რეზოლუცია მოხსენითო.

რა ჩინებული პოზიცია არის «ცენტრის» პოზიცია არა? ჩვენი (ტროცკის აზრით) შეცდომისათვის («უტაქტობა») იგი სჯის მთელ პარტიას, რომელსაც არ აწვდის იმავე პრინციპების თავის «ტაქტიან» გადმოცემას! რატომ ვერ გაიყვანეთ თქვენი რეზოლუცია? — შეგვეკითხებიან ჩვენ ადგილზე. იმიტომ, რომ მით ნაწყენი დარჩა ცენტრი და წყენის გამო უარი განაცხადა გამოეთქვა თავისი პრინციპები!! (ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ა და ც ე ნ ტ რ ი ს ნ ა წ ი ლ ი ს ტ ა შ ი). ეს პრინციპული პოზიცია კი არა, ცენტრის უპრინციპობაა.

ჩვენ ყრილობაზე მოვედით ორი ტაქტიკური ხაზით, რომლებსაც პარტია დიდი ხანია იცნობს. უთანხმოების მიჩქმალვა და დაფარვა მუშათა პარტიისათვის გონიერება არ არის და შეუფერებელია. უფრო ნათლად დავუპირისპიროთ ერთმანეთს ორივე თვალსაზრისი. გამოვხატოთ ისინი ჩვენი პოლიტიკის ყველა საკითხის მიმართ. ნათლად შევაჯამოთ პარტიული გამოცდილება. მხოლოდ ამნაირად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას და ბოლოს მოვუღებთ მერყეობას პროლეტარიატის პოლიტიკაში. (ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ა და ც ე ნ ტ რ ი ს ნ ა წ ი ლ ი ს ტ ა შ ი).

4

## ფაქტიური განცხადება 10 (23) მაისს

ამხ. მარტოვმა, როცა მას «L'Humanité»-დან * მოჰყავდა ჩემი ინტერვიუს (Étienne Avenard-ის ** ხელმოწერით) ციტატები, არასწორად გააშუქა ზოგიერთი ადგილი.

ინტერვიუში აღნიშნულია, რომ ცენტრალური კომიტეტი (ე. ი. მისი მენშევიკური ნაწილი, რა თქმა უნდა) ფ ა რ უ ლ ა დ  დ ა  ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ა დ  აწვდიდა ცნობებს კადეტებს. ეს ჩემი განცხადება ახლა დაადასტურა ყრილობაზე გამართულმა კამათმა. ყრილობაზე გამოირკვა, რომ ჯერ კიდევ 1906 წლის ნ ო ე მ ბ ე რ შ ი  დანი კ ე რ ძ ო  წ ე ს ი თ იყო «ერთ ჭიქა ჩაიზე» მილიუკოვთან, ნაბოკოვთან, ესერებისა და სახალხო სოციალისტების ბელადებთან. დანმა საჭიროდ არ ჩათვალა ეცნობებინა ეს არც ცენტრალური კომიტეტისათვის და არც პეტერბურგის კომიტეტისათვის.

ეს კადეტებთან შეხვედრა, რის შესახებ არც ცენტრალურ კომიტეტს აცნობეს და არც პეტერბურგის კომიტეტს, იყო სწორედ კადეტებისათვის ცნობების მიწოდება ფარულად და არალეგალურად.

ინტერვიუში შემდეგ ნათქვამია, რომ მენშევიკებმა არ უარყვეს კადეტების სამარცხვინო წინადადება — მიეცათ მენშევიკებისათვის მუშათა ადგილები მენშევიკების მხრივ კადეტები-

---

* — «კაცობრიობა». რ ე დ.

** — ეტიენ ავენარი. იხ. ეს ტომი, გვ. 161 — 169. რ ე დ.

სადმი დახმარების სამაგიეროდ. ამხ. მარტოვი ამტკიცებს, რომ მენშევიკებმა ეს სიტყვიერად უარყვეს. ფაქტიურად ვაცხადებ, რომ მენშევიკების საქმეები ეწინააღმდეგებოდა მათ სიტყვიერ უარყოფას: 1) სიტყვიერად მენშევიკებმა აღუთქვეს ყველა ადგილი მიეცათ მუშათა კურიისათვის. ნამდვილად კი, როცა ერთად შეკრებილმა მუშათა ყველა რწმუნებულმა მენშევიკებს მოუწოდა (220—230 ხმის უმრავლესობით 10—20 ხმის წინააღმდეგ) ხელი აეღოთ კადეტებისადმი «ფარულ მხარის დაჭერაზე», — მენშევიკებმა უარი თქვეს დამორჩილებოდნენ; 2) 25 იანვრის შემდეგ, მემარცხენე ბლოკის შეკვრის შემდეგ, მენშევიკები ამ ბლოკისადმი თავიანთი დახმარების პირობად პრესაში აყენებდნენ: ამრჩეველ მენშევიკთა მოქმედების თავისუფლებას მე-2 სტადიაზე. ეს პირობა ობიექტურად შეიძლებოდა მხოლოდ ერთი რამის მომასწავებელი ყოფილიყო — მზადყოფნისა, რომ მხარი დაეჭირათ კადეტებისათვის სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ მე-2 სტადიაზე.

ნ. ლენინი

## 5

## განცხადება 11 (24) მაისს

ბიურო მართალი იყო (ხ მ ა: «რა თქმა უნდა!»), როდესაც მან განმარტა, რომ გუშინდელი გადაწყვეტილების გაუქმება დაუშვებელია. მის გასაუქმებლად საჭიროა ყრილობის სპეციალური დადგენილება იმის შესახებ, რომ ასეთი წინადადების კენჭის საყრელად დაყენება დასაშვებია. ამ შემთხვევაში არავინ წინადადებას არ აყენებს გაუქმდეს გუშინდელი გადაწყვეტილება. ის ძალაში რჩება. დასაშვებია თუ არა გადადება? აბრამოვიჩს გამორჩა ყველაზე არსებითი მომენტი, სახელდობრ ის, რომ გადადების საკითხი გამოიწვია ახალმა გარემოებამ (ლატვიელთა მოტივირებამ), რომელიც შეიქმნა დირექტივების შესახებ გუშინდელი კენჭისყრის შემდეგ. ეს არის ახალი მოტივი, რომელიც არ გაითვალისწინა აბრამოვიჩმა. ამრიგად, ვერნერის წინადადება ფორმალურად სწორია.

## 6

## მოხსენება ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ 12 (25) მაისს

ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების საკითხი იმ პრინციპულ უთანხმოებათა ცენტრში დგას, რომლებიც უკვე დიდი ხანია ორ ბანაკად ჰყოფენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიას. ჯერ კიდევ რევოლუციის პირველ დიდ წარმატებებამდე ანუ რევოლუციამდეც კი — თუ შეიძლება ასე ითქვას 1905 წლის პირველი ნახევრის შესახებ — ამ საკითხზე უკვე არსებობდა ორი სავსებით გამოკვეთილი თვალსაზრისი. დავა დაკავშირებული იყო რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შეფასებასთან. სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმართულება ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ ეს რევოლუცია ბურჟუაზიული რევოლუციაა. მაგრამ ისინი ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ ამ კატეგორიის გაგებაში და მისგან გამომდინარე პრაქტიკულ-პოლიტიკური დასკვნების შეფასებაში. სოციალ-დემოკრატიის ერთი ფრთა — მენშევიკები ამ ცნებას ისე განმარტავდნენ, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციაში მისი მთავარი მამოძრავებელია ბურჟუაზია, პროლეტარიატს კი შეუძლია მხოლოდ «უკიდურესი ოპოზიციის» მდგომარეობა ეჭიროსო. ამ რევოლუციის დამოუკიდებლად გატარების ამოცანას, მის ხელმძღვანელობას ის ვერ იკისრებსო. განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ეს უთანხმოებანი დროებითი მთავრობის შესახებ (უფრო სწორად: დროებითს მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის შესახებ) დავის დროს, რაც 1905 წელს წარ-

მოებდა. მენშევიკები დროებითს რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის დაშვებას უარყოფდნენ უწინარეს ყოვლისა სწორედ იმიტომ, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის მთავარ მამოძრავებლად ან ბელადად ბურჟუაზიას თვლიდნენ. ამ შეხედულებამ სრული სიცხადით იჩინა თავი კავკასიელ მენშევიკთა (1905 წლის) რეზოლუციაში [151], რომელიც ახალმა «ისკრამ» მოიწონა. ამ რეზოლუციაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ დროებითს მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობას შეეძლო დაეფრთხო ბურჟუაზია და ამით შეესუსტებინა რევოლუციის გაქანება. იქ ნათლად არის აღიარებული, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია წავიდეს და არც უნდა წავიდეს ბურჟუაზიაზე უფრო შორს ბურჟუაზიულ რევოლუციაშიო.

საწინააღმდეგო შეხედულებას იცავდნენ ბოლშევიკები. ისინი უდავოდ ადგნენ იმ აზრს, რომ ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია მისი საზოგადოებრივი ეკონომიური შინაარსის მხრივ. აი ეს რას ნიშნავს: ახლანდელი, რუსეთში ამჟამად მიმდინარე გადატრიალების ამოცანები არ სცილდება ბურჟუაზიული საზოგადოების ჩარჩოებს. თანამედროვე რევოლუციის ყველაზე სრული გამარჯვებაც კი, ე. ი. ყველაზე უფრო დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვება და გლეხობის მიერ მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია, ოდნავადაც არ ეხება ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლებს. წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება (ანუ კერძო მეურნეობა მიწაზე, ვინც უნდა იყოს მისი იურიდიული მფლობელი) და სასაქონლო მეურნეობა — რჩება. კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობანი, და მთავარი მათგანი — წინააღმდეგობა დაქირავებულ შრომასა და კაპიტალს შორის, — არათუ არ ქრება, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო მეტად მწვავდება და ღრმავდება, უფრო ფართოდ და უფრო წმინდა სახით ვითარდება.

ყოველივე ეს ყოველი მარქსისტისათვის სავსებით უდავო უნდა იყოს. მაგრამ აქედან ჯერ კიდევ სულაც არ გამომდინა-

რეობს ის დასკვნა, თითქოს რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ან ბელადი ბურჟუაზია იყოს. ასეთი დასკვნა მარქსიზმის გაუგვანება იქნებოდა, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლის გაუგებლობა იქნებოდა. საქმე ის არის, რომ ჩვენი რევოლუცია ისეთ დროს ხდება, როდესაც პროლეტარიატმა უკვე დაიწყო თავისი თავის შეცნობა განსაკუთრებულ კლასად და გაერთიანება დამოუკიდებელ, კლასობრივ ორგანიზაციად. ასეთ პირობებში პროლეტარიატი სარგებლობს დემოკრატიის ყოველგვარი მონაპოვრით, სარგებლობს თავისუფლების თვითეული ნაბიჯით იმისათვის, რომ გააძლიეროს თავისი კლასობრივი ორგანიზაცია ბურჟუაზიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. აქედან გარდუვალად გამომდინარეობს ბურჟუაზიის მისწრაფება — დააჩლუნგოს რევოლუციის ბასრი მახვილი, ბოლომდე არ მიაყვანინოს იგი, საშუალება არ მისცეს პროლეტარიატს სრულიად თავისუფლად აწარმოოს თავისი კლასობრივი ბრძოლა. ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ანტაგონიზმი აიძულებს ბურჟუაზიას ესწრაფოდეს, რათა შეინარჩუნოს ძველი ძალაუფლების განსაზღვრული იარაღები და დაწესებულებანი იმისათვის, რომ გამოიყენოს ეს იარაღები პროლეტარიატის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

ამიტომ უკეთეს შემთხვევაში, რევოლუციის უდიდესი აღმავლობის ხანაში, ბურჟუაზია წარმოადგენს (და წარმოადგენს არა შემთხვევით, არამედ აუცილებლად, მისი ეკონომიური ინტერესების გამო) ისეთ ელემენტს, რომელიც რევოლუციასა და რეაქციას შორის მერყეობს. ამრიგად, ბურჟუაზია არ შეიძლება ჩვენი რევოლუციის ბელადი იყოს.

ამ რევოლუციის უდიდესი თავისებურებაა აგრარული საკითხის სიმწვავე. ის რუსეთში ბევრად უფრო გამწვავებულია, ვიდრე ეს სათანადო პირობებში რომელიმე სხვა ქვეყანაში ყოფილა. ეგრეთწოდებული 1861 წლის საგლეხო რეფორმა იმდენად არათანამიმდევრად და არადემოკრატიულად გატარდა, რომ ბატონყმური მემამულური ბატონობის უდიდესი საფუძვლები შეურყეველი აღმოჩნდა. ამიტომ აგრარული საკით-

ხი, ე. ი. გლეხთა ბრძოლა მიწისათვის მემამულეთა წინააღმდეგ, ახლანდელი რევოლუციის ერთ-ერთი გამოსაცდელი იარაღი აღმოჩნდა. ეს ბრძოლა მიწისათვის გარდუვალად უბიძგებს გლეხობის უდიდეს მასებს დემოკრატიული გადატრიალების მოსახდენად, რადგან მხოლოდ დემოკრატიას შეუძლია მისცეს მათ მიწა და ბატონობა სახელმწიფოში. გლეხობის გამარჯვების პირობაა მემამულური მიწათმფლობელობის სრული განადგურება.

საზოგადოებრივ ძალთა ამგვარი თანაფარდობიდან გამოდის აუცილებელი დასკვნა: ბურჟუაზია არ შეიძლება იყოს რევოლუციის არც მთავარი მამოძრავებელი და არც ბელადი. მისი ბოლომდე, ე. ი. სრულ გამარჯვებამდე მიყვანა მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია. მაგრამ ამ გამარჯვების მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ პროლეტარიატი მოახერხებს თან გაიყოლიოს გლეხობის დიდი ნაწილი. თანამედროვე რევოლუციის გამარჯვება რუსეთში შესაძლებელია მხოლოდ როგორც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა.

საკითხის ამგვარი დაყენება, რაც მოცემული იყო ჯერ კიდევ 1905 წლის დამდეგს, — მე ვლაპარაკობ რსდმპ III ყრილობის შესახებ 1905 წლის გაზაფხულზე, — სავსებით დაადასტურეს რუსეთის რევოლუციის ყველა უდიდესი ეტაპის მოვლენებმა. ჩვენი თეორიული დასკვნები დადასტურდა საქმით რევოლუციური ბრძოლის მსვლელობაში. უდიდესი აღმავლობის დროს, 1905 წლის ოქტომბერში, პროლეტარიატი თავში მიდიოდა, ბურჟუაზია მერყეობდა და მლიქვნელობდა, გლეხები კი მემამულეთა კარმიდამოებს არბევდნენ. რევოლუციური ძალაუფლების ჩანასახ ორგანოებში (მუშათა დეპუტატების საბჭოები, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები და სხვ.) მონაწილეობდნენ, უმთავრესად, პროლეტარიატის წარმომადგენლები, შემდეგ კი — აჯანყებული გლეხობის მოწინავენი. პირველი სათათბიროს დროს გლეხებმა ერთბაშად მოგვცეს დემოკრატიული «შრომის» ჯგუფი, უფრო მემარცხენე, ე. ი.

უფრო რევოლუციური, ვიდრე ლიბერალები — კადეტები. მეორე სათათბიროს არჩევნების დროს გლეხებმა პირდაპირ გაანადგურეს ლიბერალები. პროლეტარიატი თავში მიდიოდა, გლეხობა, მეტ-ნაკლები სიმტკიცით, მიჰყვებოდა მას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და მერყევი ლიბერალების წინააღმდეგ.

გადავდივარ რეზოლუციების პროექტებზე, რომლებიც ჩვენს წინაშეა. ჩემ მიერ აღწერილი შეხედულებათა განსხვავება სავსებით გამოიხატა ბოლშევიკური და მენშევიკური რეზოლუციების დაპირისპირებით. ბოლშევიკური პროექტი აგებულია იმაზე, რომ განსაზღვრულია ბურჟუაზიული პარტიების ძირითადი ტ ი პ ე ბ ი ს კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი შინაარსი. ასეთი აგებულება მოცემულია ჯერ კიდევ ჩვენს რეზოლუციაში გამაერთიანებელი, სტოკჰოლმის ყრილობისათვის. ჩვენ უკვე იქ დავსახეთ ბურჟუაზიული პარტიების სამი ძირითად ტიპი: ოქტიაბრისტები, ლიბერალები და გლეხი დემოკრატები (ისინი მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ სავსებით გამოკვეთილნი, და რუსულ პოლიტიკურ ლექსიკონში არ არსებობდა სიტყვა «ტრუდოვიკი»). ჩვენმა ახლანდელმა რეზოლუციამ იგივე აგებულება შეინარჩუნა. ის მხოლოდ სტოკჰოლმის რეზოლუციის სახეცვლილებას წარმოადგენს. მოვლენათა მსვლელობამ იმდენად დაადასტურა მისი ძირითადი დებულებანი, რომ პირველი და მეორე სათათბიროს გამოცდილების გასათვალისწინებლად საჭირო შეიქნა სულ მცირეოდენი სახეცვლილებანი.

გამაერთიანებელი ყრილობისათვის შემუშავებული მენშევიკური რეზოლუცია პარტიათა არც ტიპი და მათი არც კლასობრივი შინაარსის არავითარ ანალიზს არ იძლეოდა. რეზოლუცია უმწეოდ ამბობს, «რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიები ჯერ მხოლოდ ყალიბდებიან რუსეთში და ამიტომ ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს მიეღოთ მყარი პარტიების ხასიათი», და «რომ ახლანდელ ისტორიულ მომენტში არ არიან რუსეთში ისეთი პარტიები, რომლებიც უკვე ახლა ერთსა და იმავე დროს შეითავსებდნენ თანამიმდევარ დემოკრატიზმსა და რევოლუ-

ციურობას». განა ეს უმწეო განცხადებები არ არის? განა ეს მარქსისტული ამოცანის გადახვევა არ არის? პარტიების სრული სიმყარე არასოდეს არ იქნება, ისე როგორც არასოდეს არ იქნება სავსებით «თანამიმდევარი» დემოკრატიზმიც პროლეტარიატს გარეთ. მაგრამ ჩვენი მოვალეობაა ვააშკარავებდეთ ყველა იმ პარტიის კლასობრივ ფესვებს, რომლებიც ისტორიის სცენაზე გამოდიან. და ჩვენმა რეზოლუციამ ცხადყო, რომ ამ საქმის შესრულება შესაძლებელია. მის მიერ დასახული პარტიათა სამი ტიპი საკმაოდ «მყარი» აღმოჩნდა რევოლუციის მთელი წლის განმავლობაში, როგორც მე უკვე ცხადვყავი პირველი და მეორე სათათბიროს მაგალითით.

მერყევი აღმოჩნდა მენშევიკების შეხედულებანი. მათი ახლანდელი რეზოლუცია უკან გადადგმული უდიდესი ნაბიჯია მათს შარშანდელ პროექტთან შედარებითაც კი. განვიხილოთ ეს რეზოლუცია, რომელიც დაბეჭდილია «ნაროდნაია დუმა»-ს მე-12 (1907 წლის 24 მარტის) ნომერში. სამოტივო ნაწილში აღნიშნულია, ჯერ-ერთი, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის «მთელი რიგი საერთო ამოცანები»; მეორე, ის, რომ პროლეტარიატისათვის აუცილებელია «მოახდინოს კომბინირება თავისი მოქმედებისა სხვა საზოგადოებრივი კლასებისა და ჯგუფების მოქმედებასთან»; მესამე, ის, რომ იმ ქვეყანაში, სადაც გლეხობა სჭარბობს და ქალაქის დემოკრატია სუსტია, პროლეტარიატს «თავისი საკუთარი მოძრაობით წინ მიყავს»... «ქვეყნის მთელი ბურჟუაზიული დემოკრატია»; მეოთხე, ის, რომ «ბურჟუაზიული პარტიების არსებულ დაჯგუფებაში ქვეყნის დემოკრატიულმა მოძრაობამ ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა თავისი დასრულებული გამოხატულება» და ერთ პოლუსზე ასახა ქალაქის ბურჟუაზიის «რეალიზმი» და ბრძოლისათვის მოუმზადებლობა, მეორე პოლუსზე კი — «წვრილბურჟუაზიული რევოლუციონიზმისა და აგრარული უტოპიების» გლეხური «ილუზიები». ასეთია სამოტივო ნაწილი. ახლა ვნახოთ დასკვნები: პირველი დასკვნა ის არის, რომ პროლეტარიატი, რომელიც დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს,

უნდა ებრძოდეს როგორც პირველთა ოპორტუნიზმსა და კონსტიტუციურ ილუზიებს, ისე მეორეთა რევოლუციურ ილუზიებსა და ეკონომიურ-რეაქციულ პროექტებს. მეორე დასკვნა: უნდა «მოვახდინოთ კომბინირება ჩვენი მოქმედებისა ამ პარტიების მოქმედებასთანაო».

ამგვარი რეზოლუცია პასუხს არ იძლევა არც ერთ იმ საკითხზე, რომლებიც მოვალეა თავის თავს დაუსვას ყოველმა მარქსისტმა, თუ მას სურს განსაზღვროს მუშათა პარტიის დამოკიდებულება ბურჟუაზიული პარტიებისადმი. როგორია ეს ზოგადი საკითხები? უწინარეს ყოვლისა აუცილებელია განვსაზღვროთ პარტიების კლასობრივი ხასიათი. შემდეგ უნდა გავერკვეთ, როგორია სხვადასხვა კლასის ძირითადი თანაფარდობა ამ რევოლუციაში საზოგადოდ, ე. ი. როგორ ეფარდება ამ კლასების ინტერესები რევოლუციის განგრძნობას ანუ განვითარებას. შემდეგ, კლასებიდან საზოგადოდ უნდა გადავიდეთ სხვადასხვა პარტიისა ან პარტიათა სხვადასხვა ჯგუფის ახლანდელ როლზე. ბოლოს, საჭიროა პრაქტიკულ მითითებათა მიცემა ამ საკითხში მუშათა პარტიის პოლიტიკის შესახებ.

მენშევიკურ რეზოლუციაში ამის მსგავსი არაფერი არ არის. ეს არის საკითხის თავიდან აცილება, თავიდან აცილება ზოგადი ფრაზებით პროლეტარიატის პოლიტიკის «კომბინირებაზე» ბურჟუაზიის პოლიტიკასთან. სახელდობრ როგორ უნდა მოხდეს «კომბინირება» და სახელდობრ რომელ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარტიებთან, ამის შესახებ არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი. ეს არის რეზოლუცია პარტიების შესახებ უპარტიებოდ. ეს არის რეზოლუცია, რომელმაც უნდა განსაზღვროს ჩვენი დამოკიდებულება — და რომელიც სრულიად არაფრით არ განსაზღვრავს ჩვენს დამოკიდებულებას — სხვადასხვა პარტიისადმი. ასეთი რეზოლუციის სახელმძღვანელოდ გამოყენება არ შეიძლება, რადგან ის სრულ სარბიელს სტოვებს იმისათვის, რომ მოახდინოთ კომბინირება რისაც გნებავთ და როგორც გნებავთ. ასეთი რეზოლუცია არავის არ ზღუდავს; ის ყველაზე «ლიბერალური» რეზოლუციაა ამ სიტყვის სრული

მნიშვნელობით. ის შეიძლება განმარტოთ წაღმაც და უკუღმაც. მაგრამ მასში მარქსიზმის ნატამალიც არ არის. მარქსიზმის ძირითადი დებულებანი აქ იმდენად საფუძვლიანად არის დავიწყებული, რომ ასეთ რეზოლუციას ხელს მოაწერდა ყოველი მემარცხენე კადეტი. აიღეთ მისი მთავარი მუხლები: პროლეტარიატისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის «საერთო ამოცანები». განა ამაზე არ გაჰყვირის მთელი ლიბერალური პრესა?.. — «კომბინირების» აუცილებლობა — სწორედ ამას მოითხოვენ კადეტები... ბრძოლა ოპორტუნიზმთან მარჯვნივ და რევოლუციონიზმთან მარცხნივ, — ეს ხომ ყველაზე საყვარელი სიტყვაა მემარცხენე კადეტებისა, რომელთაც ვითომდა სურთ ტრუდოვიკებსა და ბურჟუაზიულ ლიბერალებს შუა ისხდნენ! ეს არ არის პოზიცია მუშათა პარტიისა, რომელიც განცალკევებით და დამოუკიდებლად დგას ბურჟუაზიული დემოკრატიის გარეთ, ეს არის პოზიცია ლიბერალისა, რომელსაც სურს დაიკავოს «ცენტრი» ბურჟუაზიულ დ ე მ ო კ რ ა - ტ ი ა შ ი!

განიხილეთ არსებითად მენშევიკების დებულება: პროლეტარიატს თავისი მოძრაობით «წინ მიყავს» «ქვეყნის მთელი ბურჟუაზიული დემოკრატიაო». სწორია თუ არა ეს? სრულებითაც არა. გაიხსენეთ ჩვენი რევოლუციის უდიდესი მოვლენები. აიღეთ ბულიგინის სათათბირო. მეფის მოწოდებას, რომ დასდგომოდნენ ლეგალურ გზას, მიეღოთ მისი, მეფის, პირობები პირველი სახალხო წარმომადგენლობის მოწვევისა, პროლეტარიატმა მტკიცე უარით უპასუხა. პროლეტარიატი მოუწოდებდა ხალხს აღეგავა ეს დაწესებულება, არ მიეცა მისთვის წარმოშობის საშუალება. პროლეტარიატი მოუწოდებდა ყველა რევოლუციურ კლასს ებრძოლნა სახალხო წარმომადგენლობის მოწვევის უკეთესი პირობებისათვის. ეს ოდნავადაც წინასწარ არ სწყვეტდა თუნდაც უარესი დაწესებულების გამოყენების საკითხს, თუ კი ის, მიუხედავად ჩვენი ყველა ღონისძიებისა, მართლაც დამკვიდრდებოდა ცხოვრებაში. ეს იყო ბრძოლა სახალხო წარმომადგენლობის მოწვევის სწორედ

უარესი პირობების განხორციელების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ბოიკოტის შეფასებისას ძალიან ხშირად მოსდით ის ლოგიკური და ისტორიული შეცდომა, რომ ერთმანეთში ურევენ ამა თუ იმ დაწესებულების ნ ი ა დ ა გ ზ ე ბრძოლას და ამ დაწესებულების განხორციელების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბრძოლას.

როგორ უპასუხა ლიბერალურმა ბურჟუაზიამ პროლეტარიატის მოწოდებას? მან უპასუხა საყოველთაო გოდებით ბოიკოტის წინააღმდეგ. ის მოუწოდებდა ბულიგინის სათათბიროსაკენ. ლიბერალური პროფესორები სტუდენტებს მოუწოდებდნენ ესწავლათ, ნაცვლად იმისა, რომ გაფიცვები მოეწყოთ. პროლეტარიატის საბრძოლო მოწოდებას ბურჟუაზიამ უპასუხა პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლით. ამ კლასების ანტაგონიზმმა დემოკრატიულ რევოლუციაშიც კი უკვე მაშინ სრული სიცხადით იჩინა თავი. ბურჟუაზიას უნდოდა შეებოჭა პროლეტარიატის ბრძოლის გაქანება, საშუალება არ მიეცა მისთვის გასცილებოდა ბულიგინის სათათბიროს დებულების ჩარჩოებს.

პროფესორი ვინოგრადოვი, ლიბერალური მეცნიერების ვარსკვლავი, სწორედ მაშინ წერდა: რუსეთისათვის ბედნიერება იქნებოდა, ჩვენი რევოლუცია რომ 1848 — 1849 წლების გზით წავიდოდეს, უბედურება იქნებოდა, იგი რომ 1789 — 1793 წლების რევოლუციის გზით წასულიყოო. ეს «დემოკრატი» ბედნიერებას უწოდებდა დაუმთავრებელი რევოლუციის გზას, დამარცხებული აჯანყების გზას! ჩვენი რევოლუცია თავის მტრებს ისევე ულმობლად რომ გასწორებოდა, როგორც საფრანგეთის რევოლუცია 1793 წელს გაუსწორდა, მაშინ, «ლიბერალის» აზრით, საჭირო იქნებოდა წესრიგის აღსადგენად პრუსიელი ვახმისტრი მოგვეწვიაო. მენშევიკები ლაპარაკობენ ჩვენი ბურჟუაზიის «მოუმზადებლობაზე საბრძოლველად». ნამდვილად კი უკვე მაშინ ბურჟუაზია მ ზ ა დ იყო საბრძოლველად, სახელდობრ პროლეტარიატის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ საბრძოლველად, რევოლუციის «მეტისმეტ» გამარჯვებათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

განვაგრძოთ. ავიღოთ 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერი. ჩვენი რევოლუციის ამ უდიდესი აღმავლობის ეპოქაში რომ ბურჟუაზიამ პროლეტარიატის წინააღმდეგ «საბრძოლველად მზადყოფნა» გამოამჟღავნა, — ამას მტკიცებაც არ ესაჭიროება. ამას სავსებით აღიარებდა მაშინდელი მენშევიკური პრესა. ბურჟუაზია, მათ შორის კადეტებიც, ცდილობდა ყოველნაირად გაეტეხა სახელი რევოლუციისათვის, დაესახა იგი როგორც ბრმა და ველური ანარქია. ბურჟუაზია არათუ მხარს არ უჭერდა ხალხის შექმნილ აჯანყების ორგანოებს — ყველა ამ მუშათა დეპუტატების საბჭოებს, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებსა და სხვა, — ბურჟუაზიას ეშინოდა ამ დაწესებულებებისა და იბრძოდა მათ წინააღმდეგ. გაიხსენეთ სტრუვე, რომელიც ამ დაწესებულებებს დამამცირებელ სანახაობას უწოდებდა. ბურჟუაზია მათი სახით ხედავდა რევოლუციას, რომელიც ძალიან შორს წავიდა. ლიბერალურ ბურჟუაზიას უნდოდა ხალხის რევოლუციური ბრძოლის ენერგია პოლიციურ-კონსტიტუციური რეაქციის ვიწრო კალაპოტში მოექცია.

პირველ და მეორე სათათბიროში ლიბერალების საქციელის შესახებ დიდხანს ლაპარაკი საჭირო არ არის. მენშევიკებმაც აღიარეს, რომ პირველ სათათბიროში კადეტები ხ ე ლ ს უ შ ლ ი დ ნ ე ნ სოციალ-დემოკრატების და ტრუდოვიკთა ნაწილის რევოლუციურ პოლიტიკას, აფერხებდნენ მათს საქმიანობას. მეორე სათათბიროში კი კადეტები აშკარად შეუერთდნენ შავრაზმელებს, აშკარად დაუჭირეს მხარი მთავრობას.

იმის თქმა ახლა, რომ პროლეტარიატს თავისი მოძრაობით «წინ მიჰყავს ქვეყნის მთელი ბურჟუაზიული დემოკრატიაო», — ფაქტების აბუჩად აგდებას ნიშნავს. ჩვენი ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურობის მიჩქმალვა ამჟამად იმას ნიშნავს, რომ სავსებით ასცდე მარქსისტულ თვალსაზრისს, სრულიად დაივიწყო კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისი.

მენშევიკები თავიანთ რეზოლუციაში ლაპარაკობენ ქალაქის ბურჟუაზიული კლასების «რეალიზმზე». უცნაური ტერ-

მინოლოგიაა, რომელიც მენშევიკებს მათდა უნებლიეთ ააშკარავებს. ჩვენ დავეჩვიეთ იმას, რომ მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატები სიტყვას რეალიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობით ხმარობენ ხოლმე. მაგალითად, პლეხანოვის «სოვრემენნაია ჟიზნ» მემარჯვენე ფრთის სოციალ-დემოკრატთა «რეალიზმს» უპირისპირებდა მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა «რევოლუციურ რომანტიკას». რას გულისხმობს მენშევიკური რეზოლუცია, როცა რეალიზმზე ლაპარაკობს? გამოდის, რომ ის ხოტბას ასხამს ბურჟუაზიას ზომიერებისა და წესიერებისათვის!

ლიბერალებისადმი სოციალ-დემოკრატების «ცალმხრივი მტრობის» შესახებ მენშევიკების ტაქტიკური პლატფორმის პირდაპირ განცხადებასთან დაკავშირებით მენშევიკების ეს მსჯელობა ბურჟუაზიის «რეალიზმზე», ბურჟუაზიის საბრძოლველად «მოუმზადებლობაზე» მოწმობს ერთ რასმე და მხოლოდ ერთ რასმე. ყოველივე ეს ნამდვილად იმას ნიშნავს, რომ მუშათა პარტიის დამოუკიდებელი პოლიტიკა შეცვლილია ლიბერალური ბურჟუაზიისაგან დამოკიდებულების პოლიტიკით. და მენშევიზმის ეს დედაარსი ჩვენი მოგონილი როდია, მხოლოდ მათი თეორიული მსჯელობიდან გამოყვანილი როდია: ის თავს იჩენდა მათი პოლიტიკის ყოველ დიდ ნაბიჯში განვლილი წლის მანძილზე. აიღეთ «პასუხისმგებელი სამინისტრო», კადეტებთან ბლოკი, გოლოვინისათვის ხმის მიცემა და სხვა. სინამდვილეში სწორედ ეს იყო ლიბერალებისაგან დამოკიდებულების პოლიტიკა.

რას ამბობენ მენშევიკები გლეხური დემოკრატიის შესახებ? რეზოლუცია ერთიმეორის გვერდით აყენებს და ერთმანეთს უპირისპირებს, როგორც თანაბარი მნიშვნელობის ან ყოველ შემთხვევაში სავსებით ერთგვაროვან მოვლენებს, ბურჟუაზიის «რეალიზმს» და გლეხობის «აგრარულ უტოპიებს». ერთნაირად უნდა ვებრძოლოთ, — ამბობენ მენშევიკები, — ბურჟუაზიის ოპორტუნიზმსა და გლეხობის უტოპიზმს, «წვრილბურჟუაზიულ რევოლუციონიზმსაო». ეს — მენშევიზ-

მის ტიპიური მსჯელობაა. და მასზე ღირს შევჩერდეთ, რადგან ის ძირფესვიანად მცდარია. მისგან გარდუვალად გამომდინარეობს მთელი რიგი მცდარი დასკვნები პრაქტიკულ პოლიტიკაში. გლეხური უტოპიების კრიტიკაში აქ იმარხება პროლეტარიატის იმ ამოცანების გაუგებლობა, რომ წინ უბიძგებდეს გლეხობას სრული გამარჯვებისაკენ დემოკრატიულ რევოლუციაში.

მართლაცდა, დააკვირდით გლეხობის აგრარული უტოპიების მნიშვნელობას ახლანდელ რევოლუციაში. რაში მდგომარეობს მისი მთავარი უტოპია? უეჭველია, გათანაბრების იდეაში, იმ რწმენაში, თითქოს მიწის კერძო საკუთრების მოსპობას და მიწის (ან მიწათსარგებლობის) თანაბრად განაწილებას შეეძლოს გაჭირვების, სიღატაკის, უმუშევრობის, ექსპლოატაციის წყაროების მოსპობა.

უდავოა, რომ სოციალიზმის თვალსაზრისით ეს არის უტოპია, წვრილი ბურჟუას უტოპია. სოციალიზმის თვალსაზრისით ეს არის რეაქციული ცრურწმენა, რადგან პროლეტარული სოციალიზმი იდეალს წვრილ მეპატრონეთა თანასწორობაში კი არ ხედავს, არამედ მსხვილ განსაზოგადოებულ წარმოებაში. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ ახლა ვაფასებთ გლეხთა იდეალების მნიშვნელობას არა სოციალისტურ მოძრაობაში, არამედ ახლანდელ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. უტოპიური, რეაქციულია თუ არა ახლანდელ რევოლუციაში ის, რომ მემამულეებს მთელი მიწა ჩამოერთვას და გლეხებს დაურიგდეს ან მათ შორის თანაბრად განაწილდეს?! არა! ეს არათუ რეაქციული არ არის, არამედ, პირიქით, ეს უაღრესად მტკიცედ, უაღრესად თანამიმდევრად გამოხატავს მთელი ძველი წესწყობილების, ბატონყმობის ყველა ნაშთის უღრესად სრული მოსპობისადმი მისწრაფებას. უტოპიურია ის აზრი, თითქოს «გათანაბრება» შეიძლება დარჩეს სასაქონლო წარმოების დროს და ნახევრად-სოციალიზმის დასაწყისადაც კი გამოდგეს. არა უტოპიური, არამედ რევოლუციურია ამ სიტყვის ყველაზე სრული, ყველაზე ზუსტი, მეცნიე-

რული მნიშვნელობით გლეხთა მისწრაფება — ახლავე ჩამოართვან მემამულეებს მიწები და თანაბრად გაინაწილონ ისინი. ასეთი ჩამორთმევა და ასეთი განაწილება შექმნიდა საფუძველს კაპიტალიზმის ყველაზე სწრაფი, ყველაზე ფართო, ყველაზე თავისუფალი განვითარებისათვის.

ობიექტურად, ჩვენი სურვილების თვალსაზრისით კი არა, არამედ რუსეთის ახლანდელი ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით, ჩვენი რევოლუციის ძირითადი საკითხი სწორედ იმაში მდგომარეობს, უზრუნველყოფს რევოლუცია კაპიტალიზმის განვითარებას მემამულეებზე გლეხთა სრული გამარჯვების მეშვეობით თუ გლეხებზე მემამულეთა გამარჯვების მეშვეობით. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალება რუსეთის ეკონომიკაში აბსოლუტურად გარდუვალია. ვერავითარი ძალა ქვეყნად მას ხელს ვერ შეუშლის. მაგრამ ეს გადატრიალება შესაძლებელია ორგვარი ფორმით: პრუსიული ტიპის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ან ამერიკული ტიპის მიხედვით. ეს აი რას ნიშნავს: მემამულეებს შეუძლიათ გაიმარჯვონ, თავს მოახვიონ გლეხებს გამოყიდვა ან სხვა რამ უბადრუკი დათმობა, შეუერთდნენ ერთ მუჭა მდიდრებს, საბოლოოდ გააჩანაგონ მასა და თავიანთი მეურნეობანი აქციონ იუნკრულ, კაპიტალისტურ მეურნეობებად. ასეთი გადატრიალება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კი იქნება, მაგრამ ის გლეხებისათვის ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელი იქნება — ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელი კაპიტალიზმის განვითარების სისწრაფის თვალსაზრისით. პირიქით, გლეხთა აჯანყების სრული გამარჯვება, მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია, მისი თანაბრად განაწილება ნიშნავს კაპიტალიზმის რაც შეიძლება სწრაფად განვითარებას, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების ყველაზე უფრო ხელსაყრელ ფორმას გლეხებისათვის.

და მარტო გლეხებისათვის როდია ეს უფრო ხელსაყრელი. ხელსაყრელია პროლეტარიატისთვისაც. შეგნებულმა პროლეტარიატმა იცის, რომ სოციალიზმისაკენ არ არის და არც შეიძ-

ლება იყოს სხვა გზა, თუ არა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების გზა.

მაშასადამე, რაც უფრო ნაკლებად სრული და რაც უფრო ნაკლებად მტკიცეა ეს გადატრიალება, მით უფრო დიდხანს და უფრო ძლიერად დააწვება პროლეტარიატს არა სოციალისტური ამოცანები, არა წმინდა კლასობრივი, პროლეტარული ამოცანები, არამედ საერთო-დემოკრატიული ამოცანები. რაც უფრო სრულია გლეხობის გამარჯვება, მით უფრო მალე გამოიყოფა პროლეტარიატი საბოლოოდ როგორც კლასი, მით უფრო ნათლად წამოაყენებს ის თავის წმინდა სოციალისტურ ამოცანებსა და მიზნებს.

აქედან თქვენ ხედავთ, რომ გლეხთა იდეები გათანაბრების შესახებ — სოციალიზმის თვალსაზრისით რეაქციულნი და უტოპიურნი — ბურჟუაზიული დემოკრატიზმის თვალსაზრისით რევოლუციური იდეებია. ამიტომ ლიბერალების რეაქციულობის დაპირისპირება ახლანდელ რევოლუციაში გლეხთა რეაქციულ უტოპიზმთან სოციალისტური რევოლუციის იდეებში, იმას ნიშნავს, რომ აშკარა ლოგიკური და ისტორიული შეცდომა ჩაიდინო. გათანატოლება ლიბერალების იმ მისწრაფებისა, რომ ახლანდელი რევოლუცია შეკვეცონ გამოყიდვით, კონსტიტუციური მონარქიით, კადეტური აგრარული პროგრამით და სხვა, და გლეხთა იმ ცდებისა, რომ უტოპიურად გააიდეალონ რეაქციული სულისკვეთებით თავიანთი მისწრაფება მემამულეთა დაუყოვნებლივი განადგურებისადმი, მთელი მიწის წართმევისადმი, მთელი ამ მიწის განაწილებისადმი, — ამის გათანატოლება ნიშნავს სავსებით მიატოვო არა მარტო პროლეტარიატის თვალსაზრისი, არამედ თანამიმდევარი რევოლუციური დემოკრატის თვალსაზრისიც კი. ახლანდელ რევოლუციაში ლიბერალის ოპორტუნიზმთან და გლეხის რევოლუციონიზმთან ბრძოლის შესახებ რეზოლუციის წერა იმას ნიშნავს, რომ არა სოციალ-დემოკრატიული რეზოლუცია წერო. ამას სოციალ-დემოკრატი კი არა წერს, არამედ ინტელი-

გენტი, რომელიც ლიბერალსა და გლეხს შუა მოკალათებულა ბურჟუაზიული დემოკრატიის ბანაკში.

მე არ შემიძლია აქ ისე დაწვრილებით, როგორც ეს საჭიროა, შევჩერდე მენშევიკების განთქმულ ტაქტიკურ პლატფორმასა და მათს ყბადაღებულ ლოზუნგზე «ლიბერალიზმისადმი პროლეტარიატის ცალმხრივი მტრობის» წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ასეთი ლოზუნგის არა მარქსისტული და არა პროლეტარული ხასიათი ცხადზე უცხადესია.

დასასრულ, შევჩერდები ერთ ვითომცდა მოსაზრებაზე, რომელსაც ხშირად გამოთქვამენ ჩვენს წინააღმდეგ. «თქვენი» ტრუდოვიკები, გვეუბნებიან ჩვენ, წარა-მარა კადეტებთან ერთად ილაშქრებენ ჩვენს წინააღმდეგო. ეს მართალია. მაგრამ ეს არ არის ჩვენი თვალსაზრისისა და ჩვენი რეზოლუციის საწინააღმდეგო მოსაზრება, რადგან ჩვენ სრული სიცხადით და სიმტკიცით აღვიარეთ ეს.

ტრუდოვიკები, უეჭველია, სავსებით თანამიმდევარი დემოკრატები არ არიან. ტრუდოვიკები (მათ შორის ესერებიც), უეჭველია, ლიბერალებსა და რევოლუციურ პროლეტარიატს შუა ქანაობენ. ეს ჩვენ ვთქვით და ეს უნდა ითქვას. ასეთი ქანაობა სრულიადაც არ არის შემთხვევითი. ის გარდუვალია თვით წვრილი მწარმოებლის ეკონომიური მდგომარეობის დედაარსის გამო. ერთი მხრივ, ის ჩაგრულია, ის ექსპლოატაციას განიცდის. ის უნებლიეთ მიდის ასეთი მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, დემოკრატიისათვის ბრძოლისაკენ, ექსპლოატაციის მოსპობის იდეებისაკენ. მეორე მხრივ, ის წ ვ რ ი ლ ი მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ა. გლეხში მეპატრონის ინსტინქტი ცოცხლობს, — თუ დღევანდელი არა, ხვალინდელი მეპატრონისა. ეს მეპატრონული, მესაკუთრული ინსტინქტი უკუაგდებს გლეხს პროლეტარიატისაგან, წარმოშობს გლეხში ოცნებასა და მისწრაფებას კაცი გახდეს, თვითონ იქცეს ბურჟუად, მთელი საზოგადოების წინააღმდეგ განმარტოვდეს თავის ნაჭერ მიწაზე, თავის, როგორც მარქსი გესლიანად ამბობდა, ნეხვის გროვაზე [132].

გლეხობისა და გლეხთა დემოკრატიული პარტიების ქანაობა გარდუვალია. და ამიტომ სოციალ-დემოკრატია არც ერთი წუთით არ უნდა შეაშფოთოს ამგვარი მერყეობისაგან თავისი თავის იზოლირების შიშმა. ყოველთვის, როდესაც ტრუდოვიკები სულმოკლეობას იჩენენ და ლიბერალებს კუდში მისჩანჩალებენ, — ჩვენ უშიშრად და სრული სიმტკიცით უნდა ვილაშქრებდეთ ტრუდოვიკების წინააღმდეგ, ვამხელდეთ და ვამათრახებდეთ წვრილბურჟუაზიულ მერყეობასა და მოდუნებას.

ჩვენი რევოლუცია მძიმე დროს განიცდის. საჭიროა შემჭიდროებული პროლეტარული პარტიის ნებისყოფის მთელი ძალა, მთელი სიმტკიცე და სიმედგრე იმისათვის, რომ გავუმკლავდეთ ურწმენობის, ძალთა მოდუნების, გულგრილობის, ბრძოლაზე ხელის აღების განწყობილებებს. წვრილი ბურჟუაზია მუდამ და გარდუვალად ყველაზე ადვილად დაემორჩილება ამგვარ განწყობილებებს, გამოიჩენს მერყეობას, უღალატებს რევოლუციურ გზას, იწუწუნებს და ინანებს. და ყველა ამგვარ შემთხვევაში მუშათა პარტია მოახდენს თავისი თავის იზოლირებას მერყევი წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისაგან. ყველა ამგვარ შემთხვევაში უნდა შეგვეძლოს სათათბიროს ტრიბუნიდანაც კი აშკარად ვამხილოთ არამტკიცე დემოკრატები. «გლეხებო! — უნდა ვამბობდეთ ჩვენ სათათბიროში ასეთი ვითარების დროს, — გლეხებო! იცოდეთ, რომ თქვენი წარმომადგენლები გღალატობენ და კუდში მისჩანჩალებენ ლიბერალურ მემამულეებს. სათათბიროს თქვენი დეპუტატები გლეხობის საქმეს ღალატობენ და ამ საქმეს ხელში უგდებენ ლიბერალურ მოლაყბეებსა და ადვოკატებს». დაე, გლეხებმა იცოდნენ — ჩვენ ფაქტებით უნდა დავუმტკიცოთ მათ ეს, — რომ მ ხ ო ლ ო დ მუშათა პარტია არის ნამდვილად საიმედო, ბოლომდე ერთგული დამცველი არა მარტო სოციალიზმისა, არამედ დემოკრატიის ინტერესებისაც, არა მარტო ყველა მშრომელისა და ექსპლოატირებულის, არამედ ბატონყმური ექს-

პლოატაციის წინააღმდეგ მებრძოლ გლეხთა მთელი მასის ინტერესებისაც.

ჩვენ თუ მედგრად და განუხრელად გავატარებთ ასეთ პოლიტიკას, — ჩვენი რევოლუციიდან მივიღებთ უდიდეს მასალას პროლეტარიატის კლასობრივი განვითარების საქმისათვის, მივიღებთ ყოველგვარ შემთხვევაში, რა ბედის უკუღმართობის გადატანაც უნდა მოგვიხდეს, რევოლუციის რანაირი დამარცხებაც (განსაკუთრებით არახელსაყრელად შექმნილ გარემოებათა დროს) უნდა გვხვდეს წილად. მტკიცე პროლეტარული პოლიტიკა მთელ მუშათა კლასს იდეების ისეთ მარაგს, გაგების ისეთ სიცხადესა და ბრძოლაში გამობრძმედილობას მისცემს, რომლებსაც ამ ქვეყნად ვერარა წაართმევს სოციალ-დემოკრატიას. თუნდაც რომ დამარცხებას განიცდიდეს რევოლუცია, — პროლეტარიატი უწინარეს ყოვლისა ისწავლის როგორც ლიბერალური, ისე დემოკრატიული პარტიების ეკონომიურ-კლასობრივი საფუძვლების გაგებას, — შემდეგ კი ის ისწავლის იმას, რომ სძულდეს ბურჟუაზიის მოღალატეობა და ეზიზღებოდეს წვრილი ბურჟუაზიის მოდუნება და ქანაობა.

და სწორედ ცოდნის ასეთი მარაგით, სწორედ ამგვარად გამოწრთობილი აზრით პროლეტარიატი უფრო მწყობრად და უფრო მედგრად წავა წინ ახალი რევოლუციის, სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად. (ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ა დ ა ც ე ნ ტ რ ი ს ტ ა შ ი).

## 7

## საბოლოო სიტყვა ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო 14 (27) მაისს

დავიწყებ პოლონეთის დელეგაციის პოზიციის საკითხით, რომელსაც აქ შეეხნენ. პოლონელ ამხანაგებს უსაყვედურებდნენ — განსაკუთრებით ბუნდისტები, — რომ ისინი თანამიმდევარნი არ არიან, როდესაც ეთანხმებიან ჩვენს რეზოლუციას, რომელსაც თვითონ ისინი კომისიაში არადამაკმაყოფილებელ რეზოლუციად აცხადებდნენ. ამგვარი საყვედური ემყარება მეტად მარტივ ფანდს: იმ საკითხების დ ე დ ა ა რ ს ი ს გვერდის ავლას, რომლებიც ყრილობის წინაშე დგას დღის წესრიგის ამ მუხლით. ვინც არ მოისურვებს გვერდი აუაროს საკითხის ამ დედაარსს, ის ადვილად დაინახავს, რომ ჩვენ, ბოლშევიკები, ყოველთვის ვეთანხმებოდით და ახლაც ვეთანხმებით პოლონელებს ორ ყველაზე ძირითად საკითხში. ჯერ-ერთი, ჩვენ ერთმანეთს ვეთანხმებით იმაში, რომ პროლეტარიატის სოციალისტური ამოცანების გულისათვის უთუოდ აუცილებელია მისი კლასობრივი გამოცალკევება ყველა დანარჩენი, ბურჟუაზიული, პარტიისაგან, რაოდენ რევოლუციურნიც უნდა იყვნენ, როგორ დემოკრატიულ რესპუბლიკასაც უნდა იცავდნენ ისინი. მეორე, ჩვენ ერთმანეთს ვეთანხმებით იმაში, რომ ვცნობთ მუშათა პარტიის უფლებასა და მოვალეობას წინ მიუძღვოდეს საბრძოლველად არა მარტო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, არამედ გამცემი ლიბერალური ბურჟუაზიის წი-

ნააღმდეგაც — წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიულ პარტიებს, მათ შორის გლეხთა პარტიებს.

სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ანგარიშის გამო პოლონელი ამხანაგების მიერ ყრილობისათვის წარმოდგენილ რეზოლუციაში ეს აზრები ანუ დებულებანი გამოთქმულია სრული სიცხადით. იქ პირდაპირ არის ნათქვამი კლასობრივ გამოცალკევებაზე ყველა პარტიისაგან, დამთავრებული ესერებით. იქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ შესაძლებელი და აუცილებელია სოციალ-დემოკრატიისა და შრომის ჯგუფების ერთობლივი გამოსვლები ლიბერალების წინააღმდეგ. ეს არის სწორედ ის, რასაც ჩვენში, რუსეთში, მემარცხენე ბლოკი ანუ მემარცხენე ბლოკის პოლიტიკა ეწოდება.

აქედან ნათელია, რომ ჩვენ პოლონელებთან გვაერთიანებს ნამდვილი სოლიდარობა ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების საკითხის ძირითად მუხლებში. ამის უარყოფა და პოლონელთა საქციელის წინააღმდეგურობაზე ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ თავი აარიდო პრინციპული უთანხმოების პირდაპირ დაყენებას.

პროლეტარიატის სოციალისტური გამოცალკევება ყველასაგან, თუნდაც ყველაზე რევოლუციური და რესპუბლიკური პარტიებისაგან, — შემდეგ, პროლეტარიატის მხრივ მთელი რევოლუციური დემოკრატიის ბრძოლის ხელმძღვანელობა ახლანდელ რევოლუციაში. განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ სწორედ ასეთია როგორც პოლონელთა, ისე ბოლშევიკური რეზოლუციის ძირითადი და ხელმძღვანელი იდეები?

რამდენიმე სიტყვა ტროცკის შესახებ. მე აქ დრო არა მაქვს შევჩერდე ჩვენს უთანხმოებაზე მასთან. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ტროცკიმ წიგნაკში «პარტიის დასაცავად» ბეჭდვითი სიტყვით გამოთქვა თავისი სოლიდარობა კაუტსკისთან, რომელიც წერდა პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერესთა ეკონომიურ ერთობაზე რუსეთის თანამედროვე რევოლუციაში. ტროცკი სცნობდა, რომ დასაშვები და მიზანშეწონილია მემარცხენე ბლოკი ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ჩემთვის ეს

ფაქტები საკმარისია, რათა აღვიარო ტროცკის დაახლოება ჩვენს შეხედულებებთან. «განუწყვეტელი რევოლუციის» საკითხის დამოუკიდებლად, აქ ჩანს სოლიდარობა ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების საკითხის ძირითად მუხლებში.

ამხ. ლიბერი ძალიან ენერგიულად მისაყვედურებდა, რომ მე ტრუდოვიკებსაც კი გამოვრიცხავ პროლეტარიატის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოკავშირეთა რიცხვიდან. ლიბერი აქ კვლავ ფრაზამ გაიტაცა, რადგან დავის დედაარსს უგულისყუროდ მოეკიდა. მე ვლაპარაკობდი არა იმაზე, რომ ტრუდოვიკებთან ერთობლივად არ უნდა ვიმოქმედოთ, არამედ იმაზე, რომ აუცილებლად გამოვეყოთ ტრუდოვიკების მ ე რ ყ ე ო ბ ა ს. არ უნდა გვეშინოდეს «გამოვეყოთ» მათ, როცა მათ სწადიათ კუდში მისჩანჩალებდნენ კადეტებს. საჭიროა ულმობლად ვამხელდეთ ტრუდოვიკებს, როცა ისინი არ დგანან რევოლუციური დემოკრატის თანამიმდევარ თვალსაზრისზე. ორში ერთი, ამხ. ლიბერ: ან მუშათა პარტია ნამდვილად დამოუკიდებელ პროლეტარულ პოლიტიკას ატარებს, — მაშინ ჩვენ დასაშვებად ვთვლით ერთობლივ მოქმედებას ბურჟუაზიის ნაწილთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ი გ ი, ეს ნაწილი, ღებულობს ჩ ვ ე ნ ს პოლიტიკას, და არა პირიქით. ანდა ჩვენი სიტყვები პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის დამოუკიდებლობის შესახებ ლიტონ სიტყვებად დარჩება.

ლიბერთან ერთად პლეხანოვიც გვერდს უვლიდა დავის დედაარსს, ოღონდ სხვა ყაიდაზე. პლეხანოვი ლაპარაკობდა როზა ლუქსემბურგზე და მას გვიხატავდა როგორც ღრუბლებში მყოფ მადონას. რა გვეთქმის ამაზე! პოლემიკა მშვენიერია, — გალანტური, — ეფექტიანი... მაგრამ მე მაინც შევეკითხებოდი პლეხანოვს: მადონა ხომ მადონაა, მაგრამ აი, რას ფიქრობთ თქვენ საკითხის დ ე დ ა ა რ ს ზ ე? (ც ე ნ ტ რ ი ს ა და ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ტ ა შ ი). ვერაფერი საქმეა, თუ მადონა იმისთვის დაგჭირდათ, რომ საკითხის არსებითად გან-

ხილვას თავი აარიდოთ. მადონა ხომ მადონაა, მაგრამ რა ვუყოთ «სრულძალაუფლებიან სათათბიროს»? რა არის ეს? ჰგავს თუ არა ეს მარქსიზმს ან პროლეტარიატის დამოუკიდებელ პოლიტიკას?

«შეთანხმებანი შემთხვევიდან შემთხვევამდეო», — სხვადასხვა ჰანგზე გვეუბნება ლიბერიც და პლეხანოვიც. ეს მეტად მარჯვე ფორმულაა. მაგრამ ის სრულიად უპრინციპოა. ის სრულიად უშინაარსოა. ჩვენც ხომ დასაშვებად ვთვლით, ამხანაგებო, გარკვეულ შემთხვევებში ტრუდოვიკებთან შეთანხმებებს აგრეთვე მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე, მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე. ჩვენ სიამოვნებით შევიტანთ ამ სიტყვებს ჩვენს რეზოლუციაშიც.

მაგრამ საკითხი ხომ ეს არ არის. საკითხი ის არის, თუ როგორი ერთობლივი მოქმედებაა დასაშვები შემთხვევიდან შემთხვევამდე, ვისთან, რა მიზნის გულისათვის! ამ არსებით საკითხებს ჩქმალავდა, აბუნდოვანებდა პლეხანოვიც თავისი გალანტური ოხუნჯობით და ლიბერიც თავისი უქმი პათოსით. ხოლო ეს თეორიული საკითხი კი არ არის, ყველაზე ცხოველი პრაქტიკული საკითხია. ჩვენ გამოცდილებით დავინახეთ, რას ნიშნავს მენშევიკების ყბადაღებული შეთანხმება შემთხვევიდან შემთხვევამდე, ყბადაღებული «ტექნიკური» შეთანხმება! ეს ნიშნავს ლიბერალებისაგან მუშათა კლასის დამოკიდებულების პოლიტიკას — და მეტს არაფერს. «შემთხვევიდან შემთხვევამდე» — ეს ამ ოპორტუნისტული პოლიტიკის ცუდი საფარია.

პლეხანოვს მარქსის თხზულებებიდან მოჰყავდა ციტატები ბურჟუაზიისათვის მხარის დაჭერის აუცილებლობის შესახებ. ტყუილად არ მოიყვანა მან ციტატები «რაინის ახალი გაზეთიდან», ტყუილად დაივიწყა, თუ როგორ «უჭერდა მხარს» მარქსი ლიბერალებს იმ ეპოქაში, როცა გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუცია გაჩაღებული იყო. და არც არის საჭირო ასე შორს წასვლა იმის დასამტკიცებლად, რაც უდავოა. ძველი «ისკრაც» არაერთხელ წერდა, რომ აუცილებელია სოციალ-დემოკრატი-

ულმა მუშათა პარტიამ ლიბერალებს — თავადაზნაურობის წინამძღოლთაც კი — მხარი დაუჭიროსო. ბურჟუაზიული რევოლუციის წინა პერიოდში, როდესაც სოციალ-დემოკრატიას ჯერ კიდევ უნდა გამოეღვიძებინა ხალხი პოლიტიკური ცხოვრებისათვის, ეს სავსებით კანონიერი იყო. ახლა, როდესაც სხვადასხვა კლასი უკვე ასპარეზზე გამოვიდა, როდესაც თავისი თავი გამოავლინა, ერთი მხრივ, გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ და, მეორე მხრივ, ლიბერალურმა ღალატმა, — ახლა ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ ლიბერალებს მხარი დავუჭიროთ. ჩვენ ყველანი ვეთანხმებით იმას, რომ სოციალ-დემოკრატები ახლა უნდა მოითხოვდნენ მემამულეთა მიწის კონფისკაციას, ხოლო როგორ ეკიდებიან ამას ლიბერალები?

პლეხანოვი ამბობდა: ყველა რაოდენადმე პროგრესული კლასი იარაღი უნდა გახდეს პროლეტარიატის ხელშიო. მე ეჭვი არ მეპარება, რომ პლეხანოვის სურვილი ასეთია. მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ საქმით მენშევიკური პოლიტიკიდან გამოდის სრულიადაც არა ეს, არამედ რაღაც საწინააღმდეგო რამ. ნამდვილად ყველა შემთხვევაში განვლილი წლის მანძილზე, მენშევიკების მიერ კადეტებისათვის ეგრეთწოდებული მხარის დაჭერის დროს, სწორედ მენშევიკები იყვნენ კადეტების იარაღი. ასე იყო სათათბიროს სამინისტროს მოთხოვნისათვის მხარის დაჭერის დროსაც და კადეტებთან საარჩევნო ბლოკის დროსაც. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად პლეხანოვისა და სხვა მენშევიკთა «სურვილებისა», იარაღი სწორედ პროლეტარიატი იყო ხოლმე. მე ალარაფერს ვამბობ «სრულძალაუფლებიან სათათბიროზე» და გოლოვინისათვის ხმის მიცემაზე.

საჭიროა მთელი გარკვეულობით აღვიაროთ, რომ ლიბერალური ბურჟუაზია კონტრრევოლუციურ გზას დაადგა, და მის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ. მხოლოდ მაშინ გახდება მუშათა პარტიის პოლიტიკა დამოუკიდებელი და, არა მარტო სიტყვით, რევოლუციური პოლიტიკა. მხოლოდ მაშინ მოვახ-

დენთ ჩვენ სისტემატურ ზედმოქმედებას წვრილ ბურჟუაზიაზედაც და გლეხობაზედაც, რომლებიც ლიბერალიზმსა და რევოლუციურ ბრძოლას შორის ქანაობენ.

ტყუილუბრალოდ უჩიოდნენ აქ იმ ჩვენი წანამძღვარის უმართებულობას, რომ ლიბერალები ატყუებენ წვრილ ბურჟუაზიას. არა მარტო ჩვენმა რევოლუციამ, არამედ სხვა ქვეყნების გამოცდილებამაც ცხადყო, რომ სწორედ მოტყუებით ინარჩუნებს ლიბერალიზმი გავლენას მოსახლეობის მრავალ ფენაში. ლიბერალების გავლენისაგან ამ ფენების განთავისუფლებისათვის ბრძოლა ჩვენი პირდაპირი ამოცანაა. გერმანელი სოციალ-დემოკრატები ათეული წლების განმავლობაში აქარწყლებდნენ, მაგალითად, ბერლინში ლიბერალების გავლენას მოსახლეობის ფართო მასებზე და გააქარწყლეს იგი. ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ და უნდა მივაღწიოთ ამასვე და წავართვათ კადეტებს მათი დემოკრატიული მომხრენი.

მაგალითით ცხადვყოფ, რას იწვევდა კადეტებისათვის მხარის დაჭერის მენშევიკური პოლიტიკა. 1907 წლის 22 თებერვლის მენშევიკურ გაზეთ «რუსსკაია ჟიზნში» (№ 45) ხელმოუწერელ, ე. ი. სარედაქციო, სტატიაში გოლოვინის არჩევისა და მისი სიტყვის გამო ნათქვამი იყო: «სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ უდიდესი პასუხსაგები ამოცანა იკისრა — ეთქვა ისეთი სიტყვა, რომელშიც გამოკვეთილი იქნებოდა 140-მილიონიანი ხალხის მთავარი მოთხოვნები და საჭიროებანი... ბ-ნმა გოლოვინმა ვერ შესძლო თუნდაც ერთი წუთით დამდგარიყო კადეტური პარტიის წევრზე მაღლა, გამხდარიყო მთელი სათათბიროს ნების გამომხატველი». ხედავთ, რა საგულისხმო რამ გამოდის? ხმის მიცემით უბრალო მხარის დაჭერიდან მენშევიკებს გამოჰყავთ ლიბერალის პასუხსაგები ამოცანა — ილაპარაკოს «ხალხის» სახელით. ეს არის იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელობის პირდაპირი გადაცემა ლიბერალიზმისათვის. ეს არის კლასობრივ თვალსაზრისზე სავსებით ხელის აღება. და მე ვიტყვი: მემარცხენე ბლოკის დროს რომელიმე სოციალ-დემოკრატს რომ განეზრახა ტრუდოვიკის პასუხსაგებ

ამოცანაზე წერა, «შრომის» საჭიროებათა გამოხატვა, — მე მთელი არსებით ხელს მოვაწერდი ასეთი სოციალ-დემოკრატის გადაჭრით დაგმობას. ეს არის მენშევიკების იდეური ბლოკი კადეტებთან, ხოლო ჩვენ არავისთან, ესერებთანაც კი, არავითარი ამგვარი ბლოკი არ უნდა შევიწყნაროთ.

სხვათა შორის, მარტინოვი ამბობდა, თითქოს ჩვენ ასეთ ბლოკამდე ვეშვებით, როცა ვლაპარაკობთ მთელი მიწისა და სრული თავისუფლების შესახებ. ეს მართალი არ არის. მოგაგონებთ მენშევიკურ «სოციალ-დემოკრატს». იქ, საარჩევნო პლატფორმის პროექტში, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა შეადგინა, მიწისა და თავისუფლების იმავე ლოზუნგებს ვხვდებით! მარტინოვის სიტყვები მხოლოდ შარის მოდებაა.

დასასრულ მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა ამხ. ამხ. პოლონელების მისამართით. შესაძლოა, ზოგ მათგანს საჭიროდ არ მიაჩნდეს წვრილბურჟუაზიული პარტიების ზუსტი დახასიათება. უფრო გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა პოლონეთში, შესაძლოა, ამას ზედმეტს ხდიდეს. მაგრამ რუსი სოციალ-დემოკრატებისათვის ეს აუცილებელია. შრომის პარტიების კლასობრივი ხასიათის ზუსტად აღნიშვნას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი პროპაგანდისა და აგიტაციის ხელმძღვანელობისათვის. მხოლოდ პარტიების კლასობრივი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია სრული გარკვეულობით დავუსახოთ მთელ მუშათა კლასს ჩვენი ტაქტიკური ამოცანა: პროლეტარიატის სოციალისტური კლასობრივი გამოცალკევება და მისი ხელმძღვანელობით ბრძოლა როგორც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ისე გამცემი ბურჟუაზიის წინააღმდეგაც. (ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ა დ ა ც ე ნ ტ რ ი ს ტ ა შ ი).

---

8

## გურჟუაზიული პარტიების შესახებ პოლონელთა რეზოლუციის პროექტისადმი დამოკიდებულებაზე წარმოთქმული სიტყვა 15 (28) მაისს

წინა ორატორის სიტყვიდან შეგიძლიათ დაინახოთ, თუ რამდენად სამართლიანი იყო ამხ. პოპოვის სიტყვები ამ კამათის უნაყოფობის შესახებ. ლიბერის სიტყვის სრულ უპრინციპობაში თქვენ თვითონ დარწმუნდით. მე მხოლოდ მოგაგონებთ, რომ ჩვენს მარცხიან კომისიაში პ ო ლ ო ნ ე ლ თ ა პროექტის საფუძვლად მიღების სასარგებლოდ ჩვენსა და ლატვიელთა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ხმა მისცა 4 მ ე ნ შ ე ვ ი კ მ ა, 1 ბ უ ნ დ ე ლ მ ა, 2 პ ო ლ ო ნ ე ლ მ ა.

ამრიგად, პოლონელთა პროექტი კომისიაში საფუძვლად მიიღეს იმ ადამიანებმა, რომლებიც პრინციპულად ყ ვ ე ლ ა ზ ე შ ო რ ს იდგნენ პოლონელებისაგან. ეს მათ ჩაიდინეს იმისათვის, რომ პროექტში შეეტანათ შესწორებანი მენშევიკური სულისკვეთებით, — იმისათვის, რომ რეზოლუცია მიუღებელი გაეხადათ მისი ავტორებისათვის! ლიბერმა თვითონ მისცა ხმა მენშევიკებთან ერთად ამ შემთხვევაშიც (ლ ი ბ ე რ ი: «მართალი არ არის!») და კადეტებთან ბლოკის დაშვების გამო კენჭისყრის დროსაც. ამის შემდეგ მისი პათეტიკური სიტყვები პრინციპების შესახებ პირდაპირ სასაცილოა.

მე სავსებით მესმის პოლონელების სურვილი, როცა ისინი ცდილობდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ მათი პროექტი სა-

ფუძვლად მიეღოთ. მათ საჭიროდ არ მიაჩნდათ ჩვენი რეზოლუციის დეტალები. მათ უნდოდათ დაკმაყოფილებულიყვნენ ორი ძირითადი პრინციპით, რომლებიც მართლაც გვაერთებს ჩვენ და პოლონელებს: 1) პროლეტარიატის კლასობრივი გამოცალკევება ყველაფერში, რაც კი სოციალიზმს შეეხება, ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიული პარტიისაგან; 2) როგორც სოციალ-დემოკრატიის, ისე წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის საერთო მოქმედებათა გაერთიანება გამცემი ლიბერალიზმის წინააღმდეგ. ორივე ეს იდეა წითელ ზოლად გასდევს ბოლშევიკურ პროექტსაც. მაგრამ რადგან პოლონელთა პროექტი მოკლე იყო, იგი მეტად დიდ გასაქანს სტოვებდა მენშევიკური ფანდებისათვის. თავიანთი შესწორებებით მათ თვითონ ავტორები აიძულეს ხმა მიეცათ თავისი პროექტის წინააღმდეგ მთლიანად. და ამავე დროს ვერც მენშევიკებმა და ვერც ბუნდელებმა ვერ გაბედეს თვითონ დაეცვათ მათ მიერ ამნაირად «შესწორებული» პოლონელთა პროექტი. მთელი კომისიის მუშაობამ სრული მარცხი განიცადა.

ახლა ჩვენ ყველას საერთოდ, ამხანაგ პოლონელებს განსაკუთრებით, ერთი რამ დაგვრჩენია: შევეცადოთ, რომ საფუძვლად აღებულ იქნას ბოლშევიკური პროექტი. თუ მიუღებელ შესწორებებს მასშიაც შეიტანენ, მაშინ იძულებული ვიქნებით აღვიაროთ, რომ ყრილობას მუშაობის უნარი არ აღმოაჩნდა. მაგრამ შესაძლებელია, რომ ამ პროექტის საფუძველზე, რომელიც პარტიების ყველა ძირითადი ტიპის ზუსტ ანალიზს იძლევა, მოხერხდეს მიღწევა საკმაოდ გარკვეული გადაწყვეტილებისა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის სულისკვეთებით.

ჩვენი პროექტის საწინააღმდეგოდ იმ მოსაზრებას გამოთქვამენ, რომ ის პარტიებს მეტისმეტად წვრილმანად გვიხატავსო. პარტიები შეიძლება გაითიშონ, გადაჯგუფდნენ, — და მთელი რეზოლუცია უვარგისი აღმოჩნდებაო.

ეს მოსაზრება ყოვლად უსაფუძვლოა. ჩვენ დახასიათებული გვყავს სწორედ არა მცირე ჯგუფები და არა თუნდაც ცალ-

კეული პარტიები, არამედ პარტიათა დიდი ჯგუფები. ეს იმდენად დიდი ჯგუფებია, რომ მათი ურთიერთობის სწრაფი შეცვლა გაცილებით უფრო ნაკლებად არის შესაძლებელი, ვიდრე რევოლუციური დაქვეითების სრული შეცვლა ალმავლობით, ანდა პირიქით. აიღეთ ეს ჯგუფები და კარგად დააკვირდით მათ. რეაქციული და ცოტად თუ ბევრად პროგრესული ბურჟუაზია ყ ვ ე ლ ა კაპიტალისტური ქვეყნის უცვლელი ტიპებია. ამ ორ უცვლელ ტიპს ჩვენში ემატება მხოლოდ ორი ტიპი: ოქტიაბრისტები (შუათანა შავრაზმელებსა და ლიბერალებს შორის) და შრომის ჯგუფები. შეიძლება თუ არა ე ს ტიპები სწრაფად შეიცვალოს? არ შეიძლება, თუ ჩვენი რევოლუცია ისეთ რადიკალურ შეტრიალებას არ მოახდენს, რომელიც სულერთია ყოველ შემთხვევაში გვაიძულებს რადიკალურად გადავსინჯოთ არა მარტო ჩვენი ყრილობის რეზოლუციები, არამედ ჩვენი პროგრამაც კი.

ჩაუფიქრდით მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაციის ჩვენს ს ა პ რ ო გ რ ა მ ო მოთხოვნას. ვერც ერთ სხვა ქვეყანაში სოციალ-დემოკრატები ვერასოდეს ვერ დაუჭერდნენ მხარს წვრილი ბურჟუაზიის საკონფისკაციო მისწრაფებებს. ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ს კაპიტალისტურ ქვეყანაში ეს იქნებოდა შარლატნობა. ჩვენში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში, ეს აუცილებელია. და შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ შრომის პარტიების შეფასების ძირითადი საკითხების გადასინჯვა კონფისკაციის ჩვენი საპროგრამო მოთხოვნის გადასინჯვაზე ადრე არ დაგვჭირდება.

იმასაც აღვნიშნავ, რომ, ყოველგვარი გაუგებრობისა და მემარცხენე ბლოკის ყალბი განმარტების თავიდან ასაცილებლად, ჩვენ ზუსტად განვსაზღვრავთ შრომის პარტიების ბრძოლის შ ი ნ ა ა რ ს ს. საქმით ისინი იბრძვიან არა საზოგადოდ ექსპლოატაციის წინააღმდეგ (როგორც თვითონ მათ ჰგონიათ) და უკვე სრულიადაც არა კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ (როგორც გვიხატავენ საქმეს მათი იდეოლოგები), არამედ **მხოლოდ** ბატონყმური სახელმწიფოსი და მემამულუ-

რი მიწათმფლობელობის წინააღმდეგ. და ბრძოლის ამ ნამდვილი შინაარსის ზუსტად აღნიშვნა ერთბაშად ბოლოს უღებს ყოველგვარ ყალბ აზრს მუშათა პარტიისა და გლეხობის საერთო მოქმედებათა შესაძლებლობაზე სოციალიზმისათვის ბრძოლაში, კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გარდა ამისა, ჩვენს რეზოლუციაში ნათლად ვლაპარაკობთ შრომის პარტიების «ფსევდოსოციალისტური ხასიათის» შესახებ, ჩვენ მოვუწოდებთ წვრილი მეპატრონისა და პროლეტარის კლასობრივი განსხვავების მიჩქმალვის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ. ჩვენ მოვუწოდებთ წვრილი ბურჟუების ბუნდოვანი სოციალისტური იდეოლოგიის მხილებისაკენ. ეს აუცილებლად უნდა ითქვას წვრილბურჟუაზიული პარტიების შესახებ. მაგრამ ეს არის **ყველაფერი**, რაც უნდა ითქვას. მენშევიკები დიდად სცდებიან, როცა ისინი ამას უმატებენ ბრძოლას გლეხობის რევოლუციონარიზმისა და უტოპიზმის წინააღმდეგ თანამედროვე რევოლუციაში. სწორედ ასე გამოდის მათი რეზოლუციიდან. ამგვარი აზრი კ ი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ იმას ნიშნავს, რომ საბრძოლველად მოუწოდებენ მემამულეთა მიწების **კონფისკაციის** წინააღმდეგ. საქმე აქამდე მიდის იმიტომ, რომ ლიბერალიზმის ყველაზე გავლენიანი და ფართოდ გავრცელებული იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობანი სწორედ კონფისკაციას აცხადებენ რევოლუციონარიზმად, უტოპიზმად და სხვა. შემთხვევით კი არა, აუცილებლობით ეშვებოდნენ ხოლმე მენშევიკები გასული წლის მანძილზე ამგვარი პრინციპებიდან კონფისკაციის დაცვაზე უარის თქმამდე პრაქტიკაში.

აქამდე არ უნდა მიიყვანოთ საქმე, ამხანაგებო! დანმა თავის ერთ სიტყვაში ხუმრობით შენიშნა: ცუდი ყოფილან ჩვენი კრიტიკოსები, თუ ყველაზე მეტად იმისათვის გვაკრიტიკებენ, რაც ჩვენ არ ჩაგვიდენია. ჩვენ მხოლოდ ვაპირებდით კონფისკაციაზე უარის თქმას, მაგრამ უარი ა რ გვითქვამსო!

მე კი ამაზე ვუპასუხებ: უარი რომ გეთქვათ, ჩვენ ერთიანი პარტია აღარ-გვექნებოდა. საქმე ასეთ უარის თქმამდე არ უნდა

მივიყვანოთ. თუ ჩვენ ამგვარი პოლიტიკის აზრის ნატამალსაც ვი გულში გავივლებთ, მაშინ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი ბრძოლის ყველა რევოლუციურ საფუძველს შევარყევთ. (ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს, პ ო ლ ო ნ ე ლ ე ბ ი ს ა დ ა ლ ა ტ ვ ი ე ლ ე ბ ი ს ტ ა შ ი).

## 9

## ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ ყრილობის მიერ მიღებულ ბოლშევიკების რეზოლუციაში ტროცკის შესწორებათა შეტანის საწინააღმდეგო მოსაზრებანი

15 — 16 (28 — 29) მაისი [153]

### I

აქ ორი მუხლია მნიშვნელოვანი. მათი ამოგდება არ შეიძლება. პირველი მუხლი — მითითება ბურჟუაზიის ეკონომიურად უფრო პროგრესულ ფენებზე. ეს არსებითია. კიდევ უფრო არსებითია ბურჟუაზიულ ინტელიგენციაზე მითითება. ბურჟუაზიულ პარტიებში მატულობს რაოდენობა ბურჟუაზიული ინტელიგენციისა, რომელიც ცდილობს მებატონე-მემამულენი მშრომელ გლეხობას შეარიგოს და თვითმპყრობელობის ყოველგვარი ნარჩენისა და ნაშთის შენარჩუნების მომხრეა.

### II

ტროცკის შესწორება რომ მენშევიკური არ არის, იგი რომ «იმავე», ე. ი. ბოლშევიკურ აზრს, გამოხატავს, ამას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ. მაგრამ არა მგონია, რომ ეს აზრი ტროცკის უკეთესად ჰქონდეს გამოხატული. როდესაც ჩვენ ვამბობთ: «ერთდროულადაო», ჩვენ გამოვხატავთ თანამედროვე პოლიტიკის ზ ო გ ა დ ხასიათს. ეს ზოგადი ხასიათი, უეჭველია, ისეთია, რომ გარემოებანი გვაიძულებენ ერთბაშად

გავილაშქროთ სტოლიპინის წინააღმდეგაც და კადეტების წინააღმდეგაც. იგივე ითქმის კადეტების გამცემლური პ ო ლ ი ტ ი კ ი ს შესახებ. ტროცკის მხრივ ჩამატება ზედმეტია, რადგან ჩვენ რეზოლუციაში ერთეულ შემთხვევებს კი არ დავდევთ, არამედ განვსაზღვრავთ სოციალ-დემოკრატიის ძ ი რ ი თ ა დ ხაზს რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში.

---

# ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ ბოლშევიკების რეზოლუციის მე-3 მუხლში მარტოვის შესწორებათა შეტანის საწინააღმდეგო მოსაზრებანი
## 16 (29) მაისი [154]

### I

ყველას ესმის, რომ მარტოვის შესწორება ფრიად მნიშვნელოვანია. «ტექნიკური შეთანხმებანი» ერთობ ბევრის შემცველი ცნებაა. აღმოჩნდა, რომ «ტექნიკად» ასაღებენ «სრულძალაუფლებიან სათათბიროსაც». თუ მარტოვი ფიქრობს, რომ ჩვენ ტრუდოვიკებთან შეთანხმებად არა ტექნიკურ შეთანხმებას ვგულისხმობთ, იგი სცდება. ჩვენს რეზოლუციაში ნათქვამი არ არის, რომ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ტექნიკური შეთანხმებანი დაუშვებელია. რეზოლუციაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ნებართვას ან აკრძალვას, არამედ აღნიშნული უნდა იყოს იდეური პოლიტიკური ხაზი. ხოლო თუ თქვენ კმაყოფილი არა ხართ იმიტომ, რომ ეს აკრძალვა არ არის, და შემოგაქვთ თქვენი შენიშვნა «ნებართვის» შესახებ, ამით თქვენ აქარწყლებთ ჩვენი რეზოლუციის მთელ დედაარსს, მთელ აზრს. და ასეთი შესწორება რომ მიეღოთ, ჩვენ დაგვრჩებოდა ერთი რამ — უკანვე წაგვეღო ჩვენი რეზოლუცია.

### II

როდესაც მარტოვი იქამდე მიდის, რომ ამბობს, თქვენ არ გინდათ თქვენს რეზოლუციაში შეიტანოთ და სადმე მოიხსენიოთ თქვენი და რევოლუციური ნაროდნიკების ანტაგონიზ-

მიო, ამ აშკარა, აშკარა ტყუილით ის თვითონ იმათრახებს თავს და ცხადყოფს თავისი შესწორების ხელოვნურობას. არა, ჩვენ კი არ გვითქვამს უარი ნაროდნიკების ფსევდოსოციალისტურობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, არამედ თქვენ თქვით უარი, ამხანაგო მენშევიკებო, რევოლუციური დემოკრატიისათვის მხარის დაჭერაზე და ლიბერალები (კადეტები) ამჯობინეთ. ნაროდნიკული ფრაქციების უმრავლესობა (სახალხო სოციალისტები და ტრუდოვიკები) არათუ სპეციალურად არ უერთდებოდა ესერების ტერორიზმს, არამედ, პირიქით, ლიბერალებს ეტმასნებოდა. ყველა ნაროდნიკის ნამდვილი რევოლუციურობა — ეს არის მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობისადმი მისწრაფება. მხოლოდ ლიბერალები ხედავენ ამაში «ავანტიურიზმსა და უტოპიურობას». საქმით მარტოვი ლიბერალებს ეხმარება.

## 11

## ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ წარდგენილ რეზოლუციაში მარტინოვის შესწორებათა შეტანის საწინააღმდეგო მოსაზრებანი

16 (29) მაისი

### I

მარტინოვის შესწორება კვლავ ცდილობს გაატაროს მენშევიკური შეხედულება, რომ ახლანდელ რევოლუციაში გლეხები უფრო რეაქციულნი არიან (ან შეუძლიათ უფრო რეაქციულნი იყვნენ), ვიდრე კადეტები, რადგან კადეტების რეაქციულობის შესახებ მენშევიკები კრინტსაც არ სძრავენ. მარტინოვის არგუმენტაცია საკითხს აბნევს: ორჭოფობა ის კი არ არის, რომ გლეხები რევოლუციასა და რეაქციას შორის ქანაობენ, არამედ ის, რომ გლეხები კადეტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის ქანაობენ. ანარქისტულ ტენდენციებს, რომლებზედაც მარტინოვი ლაპარაკობს, მენშევიკები აუცილებლად და გარდუვალად შეუფარდებენ თავიანთ ამოჩემებულ იდეას მემამულეთა მიწის კონფისკაციის რეაქციულობისა და გამოყიდვის პროგრესულობის შესახებ. გლეხთა «ანარქისტული ტენდენციები» — ეს ლიბერალურ მემამულეთა ფრაზაა. ხოლო გლეხთა მოძრაობისადმი პროლეტარული მოძრაობის დაქვემდებარებაზე ლაპარაკი სასაცილოა მას შემდეგ, რაც ჩვენ ათჯერ და ათჯერ გაგვიცხადებია საწინააღმდეგო რამ და რეზოლუციებში გამოგვითქვამს ეს.

II

უეჭველია, სოციალ-დემოკრატიის სასაცილოდ აგდება იქნებოდა, ჩვენ რომ მარტინოვის შესწორება მიგვეღო. ბატონყმური სახელმწიფოს წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ ჩვენ უკვე ნათქვამი გვაქვს რეზოლუციის დასაწყისში. ახლა საჭიროა ამ სოციალურ-ეკონომიური დებულებიდან გავაკეთოთ პოლიტიკური დასკვნა. ჩვენი ამოცანაა იმ ბურჟუების გავლენას, რომელთაც ამ გადამწყვეტი ბრძოლის უნარი არ შესწევთ (ლიბერალური მემამულეების, კადეტების გავლენას), გამოვტაცოთ ბურჟუაზიის ის ნაწილი, რომელსაც საბრძოლველად უბიძგებს მისი ეკონომიური მდგომარეობა (ე. ი. გლეხობა). ნათელი პოლიტიკური დასკვნის მისაფუჩეჩებლად მარტინოვს წინადადება შემოაქვს, რომ თავში ნათქვამი ბოლოში გავიმეოროთ.

## 12

## სახელმწიფო სათათბიროს შესახებ რეზოლუციის შემმუშავებელი კომისიის მოხსენება 18 (31) მაისს

ჩვენი კომისია ვერ შეთანხმდა. ბოლშევიკების პროექტს ხმა მისცა ექვსმა სასარგებლოდ და ექვსმა წინააღმდეგ, მენშევიკების პროექტს — ხუთმა სასარგებლოდ და ხუთმა წინააღმდეგ. ერთმა თავი შეიკავა. მე მომიხდება მოკლედ დავიცვა თქვენს წინაშე ჩვენი ბოლშევიკური პროექტი, რომელზედაც შეთანხმდნენ პოლონელი სოციალ-დემოკრატებიც და ლატვიელებიც.

ჩვენ იმ აზრს ვემყარებოდით, რომ ყოველივე ის, რაც უკვე ნათქვამია რეზოლუციაში ბურჟუაზიული პარტიების შესახებ, ამოღებულ უნდა იქნას რეზოლუციიდან სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, რადგან სათათბიროს ხაზით ბრძოლა ბურჟუაზიული პარტიებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მთელი ჩვენი ბრძოლის მხოლოდ ერთი ნაწილია, და ისიც არამთავარი ნაწილი.

ამ რეზოლუციაში ჩვენ მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობთ, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა სათათბიროში. რაც შეეხება იმის შეფასებას, თუ როგორ მოვხვდით ჩვენ სათათბიროში, რეზოლუციის ეს ნაწილი — მუხლი ბოიკოტის შესახებ — ამოვიღეთ შემდეგი მიზეზების გამო. მე პირადად მგონია, ისე როგორც ყველა ბოლშევიკს, რომ იმ პოზიციის გამო, რომელიც მთელმა ლიბერალურმა პრესამ დაიკავა, საჭირო

იქნებოდა მიგვეცა იმის შეფასება, თუ როგორ მოვხვდით ჩვენ სათათბიროში. მუშათა პარტია მოვალეა მთელი ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ განაცხადოს, რომ სწორედ ბურჟუაზიული ღალატის მიზეზით გვიხდება ჩვენ დროებით ანგარიში გავუწიოთ ასეთ მახინჯ დაწესებულებას. მაგრამ ამხ. ამხ. ლატვიელნი ამ მუხლის წინააღმდეგი იყვნენ, და იმისათვის, რომ მუშაობის სწრაფად დამთავრებას ხელი არ შევუშალოთ (ჩვენ კი უნდა ავჩქარდეთ, რათა ყრილობა ხვალ დავხუროთ, როგორც ეს გადაწყვეტილია), ეს მუხლი მოვხსენით. ყრილობის ნება, სულ ერთია, ნათელია, პრინციპული დებატების გამართვის საშუალება კი დროის სიმცირის გამო არა გვაქვს.

შევჩერდები ჩვენი რეზოლუციის ძირითად აზრებზე. არსებითად ყველაფერი ეს იმის განმეორებაა, რაც ნათქვამია რეზოლუციის ჩვენს პროექტში სტოკჰოლმის ყრილობაზე. პირველ მუხლში ხაზგასმულია სათათბიროს, როგორც ასეთის, სრული უვარგისობა. ეს საჭირო აზრია, რადგან გლეხობისა და საერთოდ წვრილი ბურჟუაზიის მეტად ფართო ფენები სათათბიროზე დღემდე ყოვლად გულუბრყვილო იმედებს ამყარებენ. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ვამხილოთ ეს გულუბრყვილო ილუზიები, რომლებსაც ლიბერალები თავიანთი ანგარებიანი კლასობრივი მიზნებით ნერგავენ.

პირველი მუხლის მე-2 ნაწილი ლაპარაკობს საზოგადოდ საპარლამენტო გზის უვარგისობასა და მასების აშკარა ბრძოლის გარდუვალობის გარკვევაზე. აქ გარკვეულია ჩვენი დადებითი შეხედულებანი თანამედროვე მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებებზე. ჩვენ უსათუოდ მოვალე ვართ ამას ხაზი გავუსვათ და ნათლად გავიმეოროთ ჩვენი რევოლუციური ლოზუნგები, რადგან ქანაობა და მერყეობა, სოციალ-დემოკრატებშიც კი, ასეთ საკითხში იშვიათი როდია. დაე, ყველამ იცოდეს, რომ სოციალ-დემოკრატია თავის ძველ, რევოლუციურ გზაზე რჩება.

მეორე მუხლი ეხება ურთიერთობის გარკვევას სათათბიროში, ერთი მხრივ, უშუალო «საკანონმდებლო» მუშაობასა და, მეორე მხრივ, აგიტაციას, კრიტიკას, პროპაგანდას, ორგანიზაციას შორის. სათათბიროში მუშაობისა და სათათბიროს გარეთ მუშაობის კავშირს მუშათა პარტია სრულიადაც არ უყურებს ისე, როგორც ლიბერალური ბურჟუაზია. შეხედულებათა ამ ძირფესვიან განსხვავებას ხაზი უნდა გაესვას. ერთ მხარეზე არიან ხალხის ზურგს უკან საპარლამენტო თამაშით გატაცებული ბურჟუაზიული პოლიტიკანები. მეორე მხარეზეა შეკავშირებული პროლეტარიატის ერთ-ერთი რაზმი, რომელიც წარგზავნილია მტრის ბანაკში და ერთსულოვან მუშაობას ეწევა პროლეტარიატის მ თ ე ლ ბრძოლასთან დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ. ჩვენთვის არსებობს მხოლოდ ერთი, მთლიანი და განუყოფელი მუშათა მოძრაობა, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა. ამ ბრძოლას მთლიანად უნდა დავუმორჩილოთ მისი ყველა ცალკეული კერძო ფორმა, მათ შორის საპარლამენტო ფორმაც. ჩვენთვის გადამწყვეტელია პროლეტარიატის ბრძოლა სათათბიროს გარეთ. საკმარისი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ ჩვენ ანგარიშს ვუწევთ მასების ეკონომიურ ინტერესებსა და საჭიროებას და სხვა. ამნაირი ფრაზები (ძველი მენშევიკური რეზოლუციის მსგავსად) ბუნდოვანია და ყოველი ლიბერალი მათ ხელს მოაწერდა. ყოველი ლიბერალი მზად არის ილაპარაკოს ხალხის ეკონომიურ საჭიროებაზე საზოგადოდ. მაგრამ არც ერთი ლიბერალი არ დაიწყებს სათათბიროს საქმიანობის დაქვემდებარებას კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ა დ მ ი, და ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმა, სწორედ ეს შეხედულება უნდა გამოვთქვათ სრული სიცხადით. მხოლოდ ამ პრინციპით განსხვავდებით სინამდვილეში ყველა და ყოველგვარი ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან.

ზოგჯერ მიუთითებენ (განსაკუთრებით ბუნდელები — ვითომდა შემარიგებლები), რომ საჭიროა აღინიშნოს მეორე მხარეც: სათათბიროს გარეთ სოციალ-დემოკრატიული ბრძო-

ლის კავშირი სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მუშაობასთანაო. მე ვამტკიცებ, რომ ეს სწორი არ არის და ამას შეეძლო მხოლოდ ყველაზე საზიანო საპარლამენტო ილუზიები გაევრცელებინა. ნაწილი უნდა შეეწყოს მთელს, და არა პირიქით. სათათბირო დროებით შეიძლება იყოს მთელი კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი სარბიელი, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ამ მთელ კლასობრივ ბრძოლას მხედველობიდან არ უშვებენ, თუ კლასობრივი ბრძოლის რევოლუციური ამოცანები არ იჩქმალება.

ჩვენი რეზოლუციის შემდეგი მუხლი შეეხება ლიბერალურ პოლიტიკას სათათბიროში. ამ პოლიტიკის ლოზუნგი — «გავუფრთხილდეთ სათათბიროსაო» — მხოლოდ ჰფარავს ლიბერალების შეერთებას შავრაზმელებთან. ეს პირდაპირ უნდა ვუთხრათ და განვუმარტოთ ხალხს. ლიბერალური ლოზუნგი სისტემატურად რყვნის მასების პოლიტიკურ და კლასობრივ შეგნებას. ამ ლიბერალურ ბურუსთან ულმობელი ბრძოლა ჩვენი მოვალეობაა. ნიღაბის ჩამოგლეჯა ლიბერალიზმისაგან, ცხადყოფა, რომ დემოკრატიის შესახებ წამოსროლილი ფრაზის იქით იმალება შავრაზმელებთან ხელიხელჩაკიდებით ხმისმიცემა, იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიის ნაშთები ჩამოვაშოროთ თავისუფლების ბურჟუაზიულ გამცემლებს.

რით უნდა ვხელმძღვანელობდეთ სათათბიროში ჩვენი პოლიტიკის განსაზღვრის დროს? ჩვენი რეზოლუცია, რომელიც თავიდან იშორებს ყოველგვარ აზრს კონფლიქტების გამოწვევის შესახებ კონფლიქტების გულისათვის, იძლევა «დროიანობის» დადებით განსაზღვრას ამ სიტყვის სოციალ-დემოკრატიული მნიშვნელობით: ანგარიში უნდა გავუწიოთ რევოლუციურ კრიზისს, რომელიც, ობიექტური პირობების გამო, სათათბიროს გარეთ ვითარდება.

უკანასკნელი მუხლი შეეხება ყბადაღებულ «პასუხისმგებელ სამინისტროს». ეს ლოზუნგი ლიბერალურმა ბურჟუაზიამ შემთხვევით კი არა, გარდუვალი აუცილებლობით წამოაყენა იმისათვის, რომ დროებითი მიწყნარების მომენტები

თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს მასების რევოლუციური შეგნების შესასუსტებლად. ამ ლოზუნგს მენშევიკები მხარს უჭერდნენ როგორც პირველ, ისე მეორე სათათბიროშიც, პლეხანოვი კი მეორე სათათბიროს დროს აშკარად წერდა მენშევიკურ გაზეთში, სოციალ-დემოკრატებმა ეს მოთხოვნა «თ ა ვ ი ს» მოთხოვნად უნდა «გ ა ი ხ ა დ ო ნ ო». ამრიგად, ამ ლოზუნგმა სრულიად გარკვეული როლი შეასრულა ჩვენი რევოლუციის ისტორიაში. მუშათა პარტიისათვის აუცილებელია განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება ამ ლოზუნგისადმი. არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ ახლა ლიბერალები არ აყენებენ მას: ლიბერალებმა დროებით მოხსნეს ის, ოპორტუნისტული მოსაზრებებით, მაგრამ არსებითად ცარიზმთან გარიგებას ისინი კიდევ უფრო მეტად ესწრაფვიან. «სათათბიროს სამინისტროს» ლოზუნგი კი ყველაზე უფრო ნათლად გამოხატავს ლიბერალიზმის ამ იმანენტურ ტენდენციებს გარიგებისადმი.

ჩვენ არ უარვყოფთ, და არც შეგვიძლია უარვყოთ, არც ის, რომ სათათბიროს სამინისტრო შეიძლება რევოლუციის ეტაპი გამოდგეს, არც ის, რომ გარემოებამ შეიძლება გვაიძულოს გამოვიყენოთ იგი. საქმე ამაში როდია. სოციალ-დემოკრატია გამოიყენებს რეფორმებს, როგორც პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის დამხმარე პროდუქტს, მაგრამ ჩვენი საქმე არ არის მოვუწოდოთ ხალხს სანახევრო რეფორმებისაკენ, რომლებიც ვერ განხორციელდება ისე, თუ რევოლუციური ბრძოლა არ იქნება. სოციალ-დემოკრატია უნდა ააშკარავებდეს ასეთი ლოზუნგების მთელ არათანამიმდევრობას წმინდა დემოკრატიული თვალსაზრისითაც კი. სოციალ-დემოკრატიამ უნდა გაურკვიოს პროლეტარიატს მისი გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს პირობები და არა წინდაწინ დაუკავშიროს თავისი პოლიტიკა არასრული გამარჯვების შესაძლებლობას, ნაწილობრივი დამარცხების შესაძლებლობას, — «სათათბიროს სამინისტროს» პრობლემატური განხორციელების პირობები კი სწორედ ასეთია.

დაე, ლიბერალებმა გროშებზე დაახურდაონ დემოკრატია და შორს გადაისროლონ მთლიანი რამ უბადრუკი ნასუფრალის შესახებ უგვანო, უსუსურ და უმწეო ოცნებათა გულისათვის. სოციალ-დემოკრატია უნდა ასულდგმულებდეს ხალხში მთლიანი დემოკრატიული ამოცანების შეგნებას და მიჰყავდეს პროლეტარიატი ნათლად შეგნებული რევოლუციური მიზნებისაკენ. ჩვენ უნდა ვათვითცნობიერებდეთ მუშათა მასების შეგნებას და ვავითარებდეთ მათს საბრძოლო მზადყოფნას და არა ვაბნელებდეთ მათს შეგნებას წინააღმდეგობათა მიჩლუნგებით, ბრძოლის ამოცანათა მიჩლუნგებით. (ტ ა შ ი).

## 13

## შენიშვნები ცენტრალურ კომიტეტში არჩეულთათვის ხელმეორედ კენჭისყრის საკითხზე გამართული კამათის დროს 19 მაისი (1 ივნისი) [166]

I

უნდა მოხდეს ხელახალი კენჭისყრა. ლიბერი მართალი არ არის. მთელი მისი მსჯელობა სასაცილო სოფიზმია. წილის ყრასაც განა ვინ გადაწყვეტს? ჩვენ! ჩვენ წარმოვადგენთ ყრილობის უკანასკნელ სხდომას. შეთანხმება შეუძლებელია. რადგან ეს ყრილობაა და არა ფრაქციების კრება. თქვენ ამბობთ, ჩვენ უფლებამოსილნი ვართ გადავწყვიტოთ მხოლოდ ტექნიკური და ფორმალური საკითხებიო, ჩვენ კი ეს-ეს არის მივიღეთ პოლიტიკური რეზოლუცია სესხის შესახებ.

II

თქვენი დაშინება უნდოდათ საშინელი სიტყვებით ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესახებ. მაგრამ ჩვენ ხომ უფლებამოსილნი ვართ ცენტრალური კომიტეტის კანდიდატები ავირჩიოთ ამ სხდომაზე. (ხმაურობა). დაწყნარდით, ამხანაგებო, სულერთია, თქვენი ყვირილით ჩემს ხმას ვერ დაფარავთ! ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ გვინდა ერთი ხმით

ვისარგებლოთ. მე მიმაჩნია, რომ ეს შეიძლება და უნდა გაკეთდეს. ჩვენ აქ პოლიტიკურ, პრინციპულ საკითხს ვწყვეტთ. ამ საკითხის გადაწყვეტის მინდობა წილის ყრაზე — ბრმა შემთხვევაზე — აზარტულ თამაშს ნიშნავს. არ შეიძლება პარტიას მივუსაჯოთ ერთი წლით აზარტული თამაში. გაფრთხილებთ, რომ თუ — თანაბარი ხმების შემთხვევაში — ჩვენი პარტია ამ საკითხს წილის ყრით გადაწყვეტს, პასუხისმგებლობა თქვენ გეკისრებათ. ამიტომ ამ კრებამ ხელახალი კენჭისყრა უნდა მოახდინოს.

---

# დამოკიდებულება ბურჟუაზიული პარტიებისადმი

ბურჟუაზიული პარტიებისადმი სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების საკითხი მიეკუთვნება ეგრეთწოდებულ «ზოგად» ანუ «თეორიულ» საკითხებს, ე. ი. ისეთ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი ამა თუ იმ მომენტში პარტიის წინაშე დასახულ რაიმე გარკვეულ პრაქტიკულ ამოცანასთან. რსდმპ ლონდონის ყრილობის დღის წესრიგში ასეთი საკითხების შეტანის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკები და ბუნდელები, რომელთაც აქ, სამწუხაროდ, მხარს უჭერდა უფრაქციო ტროცკი. ჩვენი პარტიის ოპორტუნისტული ფრთა, ისე როგორც სხვა სოციალ-დემოკრატიული პარტიებისაც, ყრილობის «საქმიან», «პრაქტიკულ» დღის წესრიგს იცავდა. ეს ფრთა გაურბოდა «ზოგად ფართო» საკითხებს. მას ავიწყდებოდა, რომ ბოლოსა და ბოლოს ფართო პრინციპული პოლიტიკა ერთადერთი, ნამდვილად პრაქტიკული პოლიტიკაა. მას ავიწყდებოდა, რომ ის, ვინც კერძო საკითხებს სწყვეტს ზოგადი საკითხების წინასწარ გადაუწყვეტლად, თავისდა შეუგნებლად ყოველ ნაბიჯზე გარდუვალად «წააწყდება» ამ ზოგად საკითხებს. ხოლო ამ საკითხებზე ყოველ კერძო შემთხვევაში ბრმად წაწყდომა იმას ნიშნავს, რომ თავისი პოლიტიკა უცუდესი მერყეობისა და უპრინციპობისათვის გასწიროს.

ბოლშევიკებმა, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ ყრილობის დღის წესრიგში შეეტანათ მთელი რიგი «ზოგადი სა-

კითხები», ბრძოლით მოახერხეს, პოლონელთა და ლატვიელთა დახმარებით, მხოლოდ ერთი საკითხის შეტანა: ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ. და ეს საკითხი ყრილობის არა მარტო ყველა პრინციპული საკითხის, არამედ საერთოდ მთელი მუშაობის ქვაკუთხედი გახდა. ასე მოხდა და ასეც უნდა მომხდარიყო სწორედ იმიტომ, რომ რუსეთის რევოლუციაში პროლეტარიატის პრაქტიკული პოლიტიკის საკითხების გამო წამოჭრილი თითქმის ყველა და უსათუოდ ყველა არსებითი უთანხმოების, აზრთა ყველა სხვადასხვაობის ნამდვილი წყარო იყო არაპროლეტარული პარტიებისადმი ჩვენი დამოკიდებულების სხვადასხვაგვარი შეფასება. რუსეთის რევოლუციის დასაწყისიდანვე სოციალ-დემოკრატიაში დაისახა ორი ძირითადი შეხედულება ამ რევოლუციის ხასიათსა და მასში პროლეტარიატის როლზე. ვინც რსდმ პარტიაში არსებულ ტაქტიკურ უთანხმოებათა განხილვისას ამ ძირითად შეხედულებათა განსხვავებაზე არაფერს იტყვის, იგი უიმედოდ გაიხლართება წვრილმანებსა და კერძო მომენტებში.

I

ჩვენი რევოლუციის შეფასებისა და მასში პროლეტარიატის ამოცანების საკითხზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში ორი მიმდინარეობა სავსებით დაისახა უკვე 1905 წლის დასაწყისშივე; ამ მიმდინარეობებმა სრული, ზუსტი და განსაზღვრულ ორგანიზაციათა მიერ ფორმალურად აღიარებული გამოხატულება მიიღეს 1905 წლის გაზაფხულს ლონდონის რსდმპ ბოლშევიკურ III ყრილობაზე და იმავე დროის მენშევიკთა კონფერენციაზე ჟენევაში. ბოლშევიკებმაც და მენშევიკებმაც მაშინ განსახილველად შეიტანეს და მიიღეს რეზოლუციები, რომელთა უგულებელყოფა ახლა ძალიან სწადიათ იმ ადამიანებს, ვისაც თავისი პარტიის ან თვით ფრაქციის ისტორიაც კი ავიწყდება, ანდა სურს პრინციპულ უთანხმოებათა ნამდვილი წყაროების გარკვევას თავი აარი-

დოს. ბოლშევიკების შეხედულებით, პროლეტარიატს ეკისრება აქტიური ამოცანა: ბოლომდე მიიყვანოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, იყოს მისი ბელადი. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ პროლეტარიატი მოახერხებს გაიყოლიოს დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზიის, განსაკუთრებით გლეხობის, მასები თვითმპყრობელობისა და გამცემი ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბურჟუაზიის გამცემლობის გარდუვალობის დასკვნა ბოლშევიკებს გამოჰყავდათ ჯერ კიდევ მაშინ, მთავარი ლიბერალური პარტიის, კადეტების, აშკარა გამოსვლამდე, გამოჰყავდათ ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებიდან, რომელსაც ეშინია პროლეტარული მოძრაობისა *.

მენშევიკები იმ შეხედულებისაკენ იხრებოდნენ, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციაში მისი მამოძრავებელი და გაქანების განმსაზღვრელი ბურჟუაზია უნდა იყოსო. პროლეტარიატს არ შეუძლია უხელმძღვანელოს ბურჟუაზიულ რევოლუციას, მან მხოლოდ უკიდურესი ოპოზიციის როლი უნდა შეასრულოს და ძალაუფლების დაპყრობას არ უნდა ესწრაფოდესო. პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურის იდეას მენშევიკები სრულიად უარყოფდნენ.

მაშინ, 1905 წლის მაისში (ე. ი. სწორედ ორი წლის წინათ), უთანხმოება წმინდა თეორიული, განყენებული სახით განისაზღვრებოდა, რადგან ჩვენი პარტიის წინაშე არავითარი უშუალო პრაქტიკული ამოცანა არ ისახებოდა. ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა ვნახოთ, — იმ ადამიანების საგულისხმოდ, რომლებსაც უყვართ ყრილობათა დღის წესრიგიდან განყენებული საკითხების ამოშლა და მათი «საქმიანი» პრაქტიკული საკითხებით შეცვლა, — თუ შემდეგ ს ა ხ ე ლ - დ ო ბ რ რ ო გ ო რ იჩინა თავი პრაქტიკაში ამ უთანხმოებამ.

* რევოლუციის სრული გამარჯვება, ამბობდნენ ბოლშევიკები, შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის სახით.

ბოლშევიკები ამტკიცებდნენ, რომ მენშევიკური შეხედულებიდან ნამდვილად გამომდინარეობს რევოლუციური პროლეტარიატის ლოზუნგების დაკნინება ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის ლოზუნგებსა და ტაქტიკამდე. 1905 წელს მენშევიკები გატაცებით ამტკიცებდნენ, ჭეშმარიტად პროლეტარულ პოლიტიკას მხოლოდ ჩვენ ვიცავთ, ბოლშევიკები კი მუშათა მოძრაობას ბურჟუაზიულ დემოკრატიაში სთქვეფენო. პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკის საკითხში მენშევიკებს რომ უაღრესად გულწრფელი სურვილები ჰქონდათ, ეს ჩანს მათი იმ ერთ-ერთი მაშინდელი რეზოლუციის მეტად საგულისხმო ტირადიდან, რომელიც მენშევიკურმა კონფერენციამ 1905 წლის მაისში მიიღო. «სოციალ-დემოკრატია, — ნათქვამია ამ რეზოლუციაში, — კვლავ გაილაშქრებს ხალხის პირმოთნე მეგობართა წინააღმდეგ, ყველა იმ პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ, რომლებიც ლიბერალური და დემოკრატიული დროშით გამოდიან, მაგრამ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის ნამდვილ მხარის დაჭერაზე უარს ამბობენ». ყველა ამ კეთილი სურვილის მიუხედავად, მენშევიკების მცდარმა ტაქტიკურმა თეორიებმა ნამდვილად ის გამოიწვია, რომ პროლეტარული დამოუკიდებლობა მონარქისტული ბურჟუაზიის ლიბერალიზმს ამსხვერპლეს.

გავიხსენოთ, პოლიტიკის რა პრაქტიკული საკითხების გამო დაშორდნენ ერთმანეთს ბოლშევიკები და მენშევიკები რევოლუციის ამ ორი წლის მანძილზე. ბულიგინის სათათბირო 1905 წლის შემოდგომაზე. ბოლშევიკები ბოიკოტის მომხრენი არიან, მენშევიკები სათათბიროში მონაწილეობას მოითხოვენ. ვიტეს სათათბირო — იგივე მდგომარეობაა. პოლიტიკა I სათათბიროში (1906 წლის ზაფხული) — მენშევიკები პასუხისმგებელ სამინისტროს ლოზუნგის მომხრენი არიან, ბოლშევიკები — წინააღმდეგი: ბოლშევიკები მოითხოვენ მემარცხენეთა, ე. ი. სოციალ-დემოკრატთა და ტრუდოვიკთა აღმასრულებელ კომიტეტს. სათათბიროს გარეკვა (1906 წ. ივლისი) —

მენშევიკებმა წამოაყენეს ლოზუნგი: «სათათბიროსათვის, როგორც ძალაუფლების ისეთი ორგანოსათვის, რომელიც დამფუძნებელ კრებას მოიწვევს»; ბოლშევიკები უარყოფენ რევოლუციური ლოზუნგის ამ ლიბერალურ დამახინჯებას. II სათათბიროს არჩევნები (1906 წ. დამლევი და 1907 წ. დამდეგი): მენშევიკები კადეტებთან «ტექნიკური ბლოკის» მომხრენი არიან (პლეხანოვი კი მოითხოვს პოლიტიკურ ბლოკს პლატფორმით: «სრულძალაუფლებიანი სათათბირო»). ბოლშევიკები კადეტებთან ბლოკის წინააღმდეგი არიან, ისინი მოითხოვენ დამოუკიდებელ კამპანიას და დასაშვებად თვლიან მემარცხენე ბლოკს. დაუპირისპირეთ სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის ორი წლის ისტორიის ეს უდიდესი ფაქტები ზემოთ ნაჩვენებ ძირითად პრინციპულ უთანხმოებებს. ერთბაშად დაინახავთ, რომ რევოლუციის ორმა წელმა დ ა ა დ ა ს ტ უ რ ა ბოლშევიკების ზოგადი თეორიული ანალიზი. სოციალ-დემოკრატია იძულებული შეიქნა გაელაშქრნა გამცემი ლიბერალიზმის წინააღმდეგ, ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი შ ე ი ქ ნ ა ტრუდოვიკებთან და ნაროდნიკებთან «ერთად დაერტყა»: მეორე სათათბირომ საბოლოოდ ცხადყო ეს ჭარბობა სათათბიროს კენჭისყრათა უმეტესობით. მენშევიკური კეთილი სურვილები — ემხილებინათ, როგორც ხალხის პირმოთნე მეგობრები, ყველანი, ვინც უარს ამბობს პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის მხარის დაჭერაზე, აღმოჩნდა ლიბერალებთან პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბლოკების ჯოჯოხეთის ფიანდაზი, რამაც მენშევიკები ლიბერალთა ლოზუნგების მიღებამდეც კი მიიყვანა.

ბოლშევიკებმა 1905 წელს თეორიული ანალიზის საფუძველზე იწინასწარმეტყველეს, რომ ბურჟუაზიულ რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის უმთავრესი საკითხი ლიბერალიზმის გამცემლობისა და გლეხობის დემოკრატიული უნარის საკითხი. მუშათა პარტიის პოლიტიკის გამო წამოჭრილი ყველა შ ე მ დ გ ო მ ი პრაქტიკული უთანხმოება სწორედ ამ უმთავრესი საკითხის გარშემო ტრიალებდა. მენშევი-

კური ტაქტიკის მცდარი საფუძვლებიდან ისტორიულად მართ-ლაც განვითარდა ლიბერალებისაგან დამოკიდებულების პო-ლიტიკა.

1906 წლის სტოკჰოლმის გამაერთიანებელი ყრილობის წინ ბოლშევიკები და მენშევიკები გამოვიდნენ ორი არსები-თად განსხვავებული რეზოლუციით ბურჟუაზიული პარტიე-ბის შესახებ. ბოლშევიკების რეზოლუციაში მთლიანად გატა-რებული იყო ლიბერალიზმის გამცემლობის და პროლეტა-რიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქ-ტატურის ძირითადი აზრი, ოღონდ ეს აზრი დასაბუთებული იყო ოქტომბრის შემდგომდროინდელი პერიოდის ახალი ფაქ-ტებითა და მოვლენებით (ოქტიაბრისტებისა და კადეტების გათიშვა; გლეხთა კავშირისა და ინტელიგენტთა რადიკალური კავშირების შექმნა და სხვა). სხვადასხვა ბურჟუაზიული პარ-ტიის ძირითადი ტიპების კლასობრივი შინაარსის ანალიზის საფუძველზე ბოლშევიკები სწერდნენ, ასე ვთქვათ, კონკრე-ტულ მონაცემებს თავიანთი ძველი, აბსტრაქტული სქემის ჩარჩოებში. მენშევიკებმა უარი თქვეს სტოკჰოლმის ყრილო-ბისათვის წარსადგენ რეზოლუციაში მოეცათ სხვადასხვა პარ-ტიის კლასობრივი შინაარსის ანალიზი, რისთვისაც მოიმიზე-ზეს პარტიების არასაკმაოდ «მყარი» ხასიათი. ფაქტიურად, ეს იყო არსებითი პასუხის თავიდან აცილება. და ეს აცილება მთელი სისრულით გამოიხატა იმით, რომ სტოკჰოლმის ყრი-ლობაზე გამარჯვებულმა მენშევიკებმა თვითონ მოხსნეს თა-ვიანთი რეზოლუცია რუსეთის ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ. 1905 წლის გაზაფხულზე მენშე-ვიკები რეზოლუციაში წინადადებას იძლევიან მხილებულ იქნან, როგორც ხალხის პირმოთნე მეგობრები, ყველა ლიბე-რალი და დემოკრატი, რომლებიც უარს ამბობენ მხარი დაუ-ჭირონ პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას. 1906 წლის გაზაფხულზე არა მენშევიკები, არამედ ბოლშევიკები რეზო-ლუციაში ლაპარაკობენ გარკვეული ლიბერალური პარტიის, სახელდობრ კადეტების, პ ი რ მ ო თ ნ ე ო ბ ა ზ ე, მენშევიკები

კი საკითხის ღიად დატოვებას ამჯობინებენ. 1907 წლის გაზაფხულს, ლონდონის ყრილობაზე, მენშევიზმმა კიდევ უფრო მეტად გამოამჟღავნა თავისი თავი: მან სავსებით უარყო ლიბერალებისა და დემოკრატების მიერ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის მხარის დაჭერის ძველი მოთხოვნა. მენშევიკური რეზოლუცია (იხ. მისი პროექტი «ნაროდნაია დუმაში», 1907 წ. № 12 — მ ე ტ ა დ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი დ ო კ უ მ ე ნ ტ ი ა) პირდაპირ და აშკარად ქადაგებს პროლეტარიატისა და საერთოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის მოქმედების «კ ო მ ბ ი ნ ი რ ე ბ ა ს», ე. ი., ჩვენებურად რომ ვთქვათ, შეთანხმებას!!

საფეხურიდან საფეხურზე. სოციალისტის კეთილი განზრახვები და ცუდი თეორია 1905 წელს. არავითარი თეორია და არავითარი განზრახვა 1906 წელს. არავითარი თეორია და აშკარად ოპორტუნისტული პოლიტიკა 1907 წელს. სოციალ-დემოკრატიული და ლიბერალურ-ბურჟუაზიული პოლიტიკის «შეთანხმება» — ასეთია მენშევიზმის უკანასკნელი სიტყვა. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო კადეტებთან ბლოკის, გოლოვინისათვის ხმის მიცემის, კადეტებთან კერძო თათბირების შემდეგ, ჩვენი აუცილებელი მოთხოვნებიდან მემამულეთა მიწის კონფისკაციის მუხლის ამოღების ცდებისა და მენშევიკური პოლიტიკის სხვა მარგალიტების შემდეგ.

ლონდონის ყრილობაზე მენშევიკური პოლიტიკა ლიბერალიზმის მიმართ სავსებით გაკოტრდა. თავისი პირველი, «ნაროდნაია დუმაში» (№ 12) დაბეჭდილი, რეზოლუციის შემოტანა მენშევიკებმა სულაც ვერ გაბედეს. მენშევიკებმა ეს რეზოლუცია უკან წაიღეს, ის კომისიაშიც კი არ გამოუტანიათ, სადაც ყრილობის ყველა ხუთივე ფრაქციის 15 წარმომადგენელი იყო (4 ბოლშევიკი, 4 მენშევიკი, 2 პოლონელი, 2 ლატვიელი, 3 ბუნდელი). როგორც ჩანს, სოციალისტური და ლიბერალური პოლიტიკის «კომბინირების», შეთანხმების ლოზუნგმა გამოიწვია არა მარტო ბუნდელების, არამედ მრავალი მენშევიკის უკან დახევა. კომისიაში მენშევიკები «გაკოხ-

ტავებულნი» მოვიდნენ: ახალი რეზოლუცია დაწერეს, «კომბინირება» იქიდან სავსებით ამოიღეს. «კომბინირების» ნაცვლად ჩაწერეს პროლეტარიატის მიერ სხვა პარტიების გამოყენება თავისი მიზნებისათვის, პროლეტარიატის პოლიტიკურ ამოცანად რესპუბლიკის დამყარების აღიარება და სხვა. მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა. ყველასთვის მეტად ნათელი იყო, რომ ეს ლამაზი მუნდირი განზრახ არის აჭრელებული «კომბინირების» იმავე პოლიტიკის დასაფარავად. რეზოლუციის პრაქტიკული დასკვნა მაინც ისევ ის იყო: «ცალკეულ, გარკვეულ შემთხვევებში მოხდეს ამ პარტიებთან (ლიბერალებთანაც და ნაროდნიკებთანაც) შეთანხმებაო». ამგვარი რეზოლუციის საფუძვლად მიღებას კომისიის 15 წევრიდან დაეთანხმა მხოლოდ ოთხი, ე. ი. მარტოოდენ მენშევიკები! მენშევიკური პოლიტიკის, როგორც ასეთის, ამაზე უფრო სრული დამარცხება არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ბოლშევიკების რეზოლუცია საფუძვლად აიღეს ყრილობაზე და მერე მიიღეს მთლიანად, უმნიშვნელო შესწორებათა შემდეგ, 158 — 163 ხმით ასზე ცოტა მეტი ხმის წინააღმდეგ (ერთ შემთხვევაში — 106); 10 — 20 კაცმა თავი შეიკავა. მაგრამ ვიდრე ამ რეზოლუციის ძირითადი აზრებისა და მენშევიკთა მიერ წამოყენებულ შესწორებათა მნიშვნელობის გარჩევაზე გადავიდოდეთ, შევჩერდებით რეზოლუციის განხილვისას კომისიაში მომხდარ კიდევ ერთ ეპიზოდზე, რომელიც ინტერესს მოკლებული არ არის.

კომისიაში წარმოდგენილი იყო რეზოლუციის არა ორი, არამედ სამი პროექტი: ბოლშევიკური, მენშევიკური და პოლონელებისა. პოლონელები ძირითად აზრებში ბოლშევიკებს ეთანხმებოდნენ, მაგრამ უარყოფდნენ ჩვენს ტიპს რეზოლუციისას, სადაც მოცემული იყო პარტიათა თვითეული ცალკე ჯგუფის ანალიზი. პოლონელებს ეს ლიტერატურულობად მიაჩნდათ; ჩვენს რეზოლუციას ისინი მძიმე რეზოლუციად თვლიდნენ. მათ თავიანთი პროექტი ააგეს ბურჟუაზიული პარტიების მიმართ პროლეტარული პოლიტიკის ორი ზოგადი პრინციპის

მოკლე ფორმულირებაზე: 1) პროლეტარიატის კლასობრივი გამოცალკევება ყველა დანარჩენი პარტიისაგან პროლეტარიატის სოციალისტური ამოცანების გულისათვის, რაოდენ რევოლუციურნი და თუნდაც რესპუბლიკურად მტკიცენიც უნდა იყვნენ ეს დანარჩენი პარტიები; 2) შრომის პარტიებთან შეერთება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და გამცემი ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

უდავოა, რომ პოლონელთა რეზოლუციის ეს ორი არსებითი აზრი ჩინებულად გამოხატავს საკითხის თვით დედაარსს. უდავოა ისიც, რომ რუსეთის ყველა ეროვნების პროლეტარიატისათვის ისეთი მოკლე გარკვეული დირექტივის მიცემის გეგმა, რომელშიც არ იქნება «სოციოლოგიური» მსჯელობა სხვადასხვა პარტიის ტიპებზე, მიმზიდველი გეგმაა. მაგრამ მიუხედავად ამისა, გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ პოლონელთა რეზოლუციის საფუძველზე ეს ყრილობა ვერ მივიდოდა საკითხის სრულ, ნათელ და გარკვეულ გადაწყვეტამდე. მენშევიზმის უარსაყოფად საჭირო იყო მთელი სისრულით ყოფილიყო განსაზღვრული სოციალ-დემოკრატიის მტკიცე შეხედულებანი სხვადასხვა პარტიაზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში რჩებოდა ნიადაგი გაურკვევლობისათვის.

მენშევიკებმა და ბუნდელებმა კომისიაში ერთბაშად ჩასჭიდეს ხელი პოლონელთა რეზოლუციას, სწორედ იმისათვის, რომ ასეთი ნიადაგი გამოეყენებინათ. კომისიამ საფუძვლად მიიღო პოლონელთა პროექტი შვიდი ხმით (4 მენშევიკი, 2 პოლონელი, 1 ბუნდელი) შვიდის წინააღმდეგ (4 ბოლშევიკი, 2 ლატვიელი, 1 ბუნდელი, კომისიის მეთხუთმეტე წევრმა თავი შეიკავა ან სხდომას არ ესწრებოდა). შემდეგ კომისია შეუდგა პოლონელთა პროექტში ისეთი «შესწორებების» შეტანას, რომლებიც მას საშინლად ამახინჯებდნენ. ისეთი შესწორებაც კი მიიღეს, რომელიც დასაშვებად თვლიდა «ტექნიკურ» შეთანხმებებს ლიბერალებთან. ბუნებრივია, რომ პოლონელებმა მაშინ უკან წაიღეს მენშევიკების მიერ დამახინჯებული თავიანთი პროექტი. გამოირკვა, რომ პოლონელებს გარდა ყრი-

ლობაზე ასეთი პროექტის შეტანას არ ეთანხმებოდნენ არც ბუნდელები და არც მენშევიკები. კომისიის მთელმა მუშაობამ ამაოდ ჩაიარა, და ყრილობა იძულებული შეიქნა პირდაპირ ეყარა კენჭი იმისათვის, რომ საფუძვლად მიღებული ყოფილიყო ბოლშევიკური პროექტი.

ახლა საკითხავია: რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს ყრილობის მიერ ამ პროექტის საფუძვლად მიღებას? პროლეტარული ტაქტიკის რა ძირითადი პუნქტების გულისათვის მიემხრო ყრილობა ამ პროექტს და უარყო მენშევიკური პროექტი?

ორივე პროექტს თუ გულდასმით ჩავუკვირდებით, ადვილად დავინახავთ ორ ასეთ ძირითად პუნქტს. ჯერ-ერთი, ბოლშევიკური რეზოლუცია ნამდვილად ახორციელებს არაპროლეტარული პარტიების სოციალისტურ კრიტიკას. მეორე, ეს რეზოლუცია ზუსტად განსაზღვრავს პროლეტარიატის ტაქტიკას ახლანდელ რევოლუციაში, სავსებით ნათელ კონკრეტულ შინაარსს აძლევს რევოლუციის «ბელადის» ცნებას, მიუთითებს, ვისთან შეიძლება და უნდა «ურტყან ერთად», ვის და სახელდობრ რა პირობებში ურტყან.

მენშევიკური რეზოლუციის ძირითადი ცოდვა სწორედ ის არის, რომ იგი არც ერთს იძლევა და არც მეორეს, ამ სიცარიელით კარს უღებს ოპორტუნიზმს, ე. ი., საბოლოო ანგარიშით, სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის შეცვლას ლიბერალური პოლიტიკით. მართლაც, შეხედეთ როგორია არაპროლეტარული პარტიების სოციალისტური კრიტიკა მენშევიკების რეზოლუციაში. ეს კრიტიკა ასეთი დებულებით ამოიწურება: «საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობები და ისტორიული ვითარება, რომელშიც ხდება ეს (ე. ი. ჩვენი) რევოლუცია, აფერხებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებას, ერთ პოლუსზე წარმოშობს ბრძოლაში გაუბედაობას და ძველი წესწყობილების კონსტიტუციური მშვიდობიანი ლიკვიდაციის ილუზიებს, ხოლო მეორეზე — წვრილბურჟუაზიული რევოლუციონიზმისა და აგრარული უტოპიების ილუზიებს».

ჯერ-ერთი, ჩვენს წინ არის რეზოლუცია პარტიების შესახებ პარტიების აღუნიშნავად. მეორე, ჩვენს წინ არის რეზოლუცია, რომელიც არ იძლევა ბურჟუაზიული დემოკრატიის სხვადასხვა «პოლუსის» კლასობრივი შინაარსის ანალიზს. მესამე, ამ რეზოლუციაში გარკვევითაც კი არ არის განსაზღვრული, თუ როგორი უნდა იყოს სხვადასხვა კლასის დამოკიდებულება «ჩვენი რევოლუციისადმი». ყველა ამ ნაკლს თუ შევაერთებთ, უნდა ითქვას, რომ რეზოლუციაში გ ა ჰ ქ რ ა მარქსისტული მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ.

კაპიტალისტური საზოგადოების სხვადასხვა კლასის ძირითადი ინტერესები კი არ წარმოშობენ ბურჟუაზიულ პარტიათა სხვადასხვა ტიპებს, — კლასობრივი ინტერესები კი არ წარმოშობენ ზოგის მშვიდობიან ილუზიებს ან «შემარიგებელ ტენდენციებს» და ზოგის «რევოლუციონიზმს». არა. რაღაც უხილავი საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობები და ისტორიული ვითარება ა ფ ე რ ხ ე ბ ს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა. გამოდის, რომ კაპიტალის შემარიგებლობა და გლეხის რევოლუციონიზმი გამომდინარეობს არა ბურჟუაზიისა და გლეხობის მდგომარეობიდან კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელიც ბატონყმობისაგან თავისუფლდება, არამედ საზოგადოდ მთელი «ჩვენი რევოლუციის» რომელიღაც პირობებიდან და ვითარებიდან. შემდგომი მუხლი იმასაც კი აღნიშნავს, რომ «რევოლუციის განვითარების შემფერხებელი ეს უარყოფითი ტენდენციები» განსაკუთრებული ძალით «თავს იჩენენ დროებითი სიწყნარის ახლანდელ მომენტში».

ეს მარქსისტული კი არა, ლიბერალური თეორიაა, რომელიც სხვადასხვა სოციალური ტენდენციის ფესვებს სხვადასხვა კლასის ინტერესთა გ ა რ ე თ ეძებს. ეს სოციალისტური კი არა, მემარცხენე-კადეტური რეზოლუციაა; დაგმობილია ორივე პოლუსის უკიდურესობანი, დაგმობილია კადეტების ოპორტუნიზმი, ნაროდნიკების რევოლუციონიზმი და ამით

ფაქტიურად შექებულია რაღაც შუათანა ერთსა და მეორეს შორის. უნებლიეთ გებადებათ აზრი: ჩვენს წინაშე სახალხო სოციალისტები ხომ არ არიან, რომლებიც კადეტებსა და ესერებს შორის შუაგულ ადგილს დაეძებენ?

ჩვენებური მენშევიკები რომ არ ასცდენოდნენ მარქსის თეორიას კლასობრივი ბრძოლის შესახებ, ისინი მიხვდებოდნენ, რომ «ძველი წესწყობილების» წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზიისა და გლეხობის სხვადასხვა კლასობრივი მდგომარეობა გვიმარტავს პარტიების სხვადასხვა ტიპს: ლიბერალურს, — ერთი მხრივ, ნაროდნიკულს, — მეორე მხრივ. რომ ყველა განსხვავებული და ფრიად განსხვავებული პარტიები, ჯგუფები და პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთის რევოლუციის მიმდინარეობისას ასეთი უჩვეულო სიუხვით ჩნდებოდნენ, ყოველთვის და უცვლელად (გარდა რეაქციული პარტიებისა და პროლეტარიატის პარტიისა) სწორედ ამ ორი ტიპისაკენ მიიდრიკებოდნენ, — ეს ეჭვს გარეშეა და დასაბუთებას არ საჭიროებს. ერთიანი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის «ორი პოლუსის» აღნიშვნას რომ ვჯერდებით, ჩვენ მხოლოდ ზოგად აზრს გამოვთქვამთ. ორი «უკიდურესობა», ორი პოლუსი შეიძლება ყველაფერში და ყოველთვის აღნიშნოთ. ყოველ რაოდენადმე ფართო საზოგადოებრივ მოძრაობაში ყოველთვის არის ასეთი «პოლუსებიც» და მეტი თუ ნაკლები «შუაგული ადგილიც». ბურჟუაზიული დემოკრატიის ამნაირი დახასიათება იმას ნიშნავს, რომ მარქსისტული დებულება აქციო არაფრისმთქმელ ფრაზად ნაცვლად იმისა, რომ ეს დებულება გამოიყენო რუსეთის პარტიათა სხვადასხვა ტიპის კლასობრივი ფესვების ანალიზისათვის. ბურჟუაზიული პარტიების სოციალისტურ კრიტიკას მენშევიკები არ იძლევიან, რადგან სოციალისტური კრიტიკის მოცემას ჯერ კიდევ სულაც არ ნიშნავს ის, რომ ყველა ოპოზიციურ არაპროლეტარულ პარტიას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული უწოდო. თუ თქვენ არ ცხადყავით, რომელი კლასების

ინტერესები და სახელდობრ ამ დროს გაბატონებული რომელი ინტერესები განსაზღვრავენ სხვადასხვა პარტიისა და მათი პოლიტიკის დედაარსს, თქვენ მარქსიზმი ნამდვილად არ გამოგიყენებიათ, კლასობრივი ბრძოლის თეორია ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ განზე გადაგიდვიათ. მაშინ სიტყვა «ბურჟუაზიულ-დემოკრატიული» მარქსიზმისადმი თქვენი პატივისცემის მხოლოდ პლატონური გამოხატულებაა, რადგან, ამ სიტყვას რომ ხმარობთ, თქვენ იმავე დროს ლიბერალიზმის თუ დემოკრატიზმის ესა და ეს ტიპი არ დაგყავთ ბურჟუაზიის განსაზღვრული ფენების ამა და ამ ანგარებიან ინტერესამდე. საკვირველი არ არის, რომ ჩვენებური ლიბერალები, დაწყებული დემოკრატიული რეფორმების პარტიითა და კადეტებით და გათავებული «ტოვარიშჩის» უპარტიო ბეზზაგლავიელებით, მენშევიკების მიერ მარქსიზმის ა მ გ ვ ა რ გამოყენებას რომ ხედავენ, აღტაცებით ებღაუჭებიან დემოკრატიაში ოპორტუნიზმისა და რევოლუციონიზმის უკიდურესობათა მავნებლობის «იდეას»... ...რადგან ეს იდეა კი არ არის, არამედ უგვანო დაღეჭილი აზრია. მართლაც, ს ი ტ ყ ვ ა «ბურჟუაზიული დემოკრატია» როდი აშინებს ლიბერალებს! მათ აშინებთ იმის გამოააშკარავება ხალხის წინაშე, თუ სახელდობრ რომელი შეძლებული კლასების რომელ მატერიალურ ინტერესებს გამოხატავენ საბოლოოდ მათი ლიბერალური პროგრამები და ფრაზები. ამაშია საქმის დედაარსი, და არა სიტყვაში — «ბურჟუაზიული დემოკრატია». კლასობრივი ბრძოლის მოძღვრებას ის კი არ იყენებს, ვინც სიტყვა «ბურჟუაზიული დემოკრატიით», ისევე როგორც პირჯვრის წერით, მუდამ თავს იფარავს, არამედ ის, ვინც ნამდვილად გვიჩვენებს, თუ სახელდობრ რით გამოიხატება ამა თუ იმ პარტიის ბურჟუაზიულობა.

თუ «ბურჟუაზიული დემოკრატიის» ცნება მხოლოდ იქითკენ მოგვიწოდებს, რომ დავგმოთ როგორც ოპორტუნიზმის, ისე რევოლუციონიზმის უკიდურესობანი, მაშინ ეს ცნება ჩვეულებრივ ლიბერალურ ფრაზამდე აკნინებს მარქსისტულ მოძღვრებას. ლიბერალს არ აშინებს ამ ცნების ამგვარი გა-

მოყენება, რადგან, ვიმეორებთ, მისთვის საშიშია არა ს ი ტ ყ ვ ა, არამედ საქმე. იგი შეიძლება დაეთანხმოს მისთვის არასასიამოვნო და «მარქსიზმს ოდნავ მიმსგავსებული» ტერმინის მიღებას. იმ შეხედულების მიღებას კი, რომ იგი, კადეტი, გამოხატავს ბურჟუას ინტერესებს, რომელიც რევოლუციას ღალატობს ამითა და ამით, — არ დაეთანხმება არც ლიბერალი და არც «ტოვარიშჩელი» მობერნშტეინელო «ინტელიგენტი». სწორედ იმიტომ, რომ მარქსიზმის გამოყენებისას მენშევიკები მას აკნინებენ შიშველ, არაფრისმთქმელ ფრაზამდე, რომელიც არავის არაფერს ავალდებულებს, სწორედ ამიტომ ბეზზაგლავიელნი, პროკოპოვიჩები, კუსკოვები, კადეტები და სხვები სულით და გულით მხარს უჭერენ მენშევიზმს. მენშევიკური მარქსიზმი არის ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ყაიდაზე გადაკეთებული მარქსიზმი.

ამრიგად, ამ საკითხში მენშევიკური პოზიციის პირველი მთავარი ცოდვა ის არის, რომ სინამდვილეში მენშევიზმი არ იძლევა არაპროლეტარული პარტიების სოციალისტურ კრიტიკას. სინამდვილეში იგი შორდება კლასობრივი ბრძოლის შესახებ მარქსის მოძღვრების ნიადაგს. ლონდონის ყრილობამ ბოლო მოუღო სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკისა და თეორიის ამ დამახინჯებას. მეორე უმთავრესი ცოდვა ის არის, რომ საქმით მენშევიზმი არ აღიარებს პროლეტარიატის დამოუკიდებელ პოლიტიკას ახლანდელ რევოლუციაში, არ მიუთითებს პროლეტარიატს გარკვეულ ტაქტიკაზე. ერიდე ოპორტუნიზმისა და რევოლუციონიზმის უკიდურესობას, — აი მენშევიზმის ერთი მცნება, რომელიც მათი რეზოლუციიდან გამომდინარეობს. შემთხვევიდან შემთხვევამდე დასდე შეთანხმებანი ლიბერალებთან და დემოკრატებთან, — აი მეორე მცნება. მოახდინე შენი პოლიტიკის კომბინირება (შეთანხმება) ლიბერალურ და დემოკრატიულ პოლიტიკასთან, — ასეთია მესამე მცნება, რომელიც გამოთქმულია «ნაროდნაია დუმაში» და მენშევიკთა მაშინდელ რეზოლუციაში. რამდენიც გნებავთ ამოაგდეთ აქედან მესამე მცნების ხსენება; დაუმატეთ სურ-

ვილები და მოთხოვნები: «პროლეტარული პოლიტიკა დამოუკიდებელი უნდა იყოსო», დაუმატეთ რესპუბლიკის მოთხოვნა (როგორც ეს მენშევიკებმა ლონდონის ყრილობაზე ჩაიდინეს), — ამით სრულიადაც ვერ გააქარწყლებთ მენშევიზმის მეორე მთავარ ცოდვას. პროლეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობა განისაზღვრება არა იმით, რომ სიტყვა «დამოუკიდებელი» სათანადო ადგილას ჩაიწერება, და არა იმით, რომ რესპუბლიკას მოიხსენიებენ, — იგი განისაზღვრება მხოლოდ იმით, რომ ზუსტად იყოს ნაჩვენები ნამდვილად დამოუკიდებელი გზა. ამას კი მენშევიზმი არ იძლევა.

სინამდვილეში, კლასთა და საზოგადოებრივ ძალთა ობიექტური თანაფარდობის გამო, ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ორი ტენდენციის ბრძოლა: ლიბერალიზმი ცდილობს შეწყვიტოს რევოლუცია, პროლეტარიატი ცდილობს ბოლომდე მიიყვანოს ის. თუ პროლეტარიატს ამასთანავე ვერ შეუგნია ლიბერალიზმის ასეთი ტენდენცია, ვერ შეუგნია ლიბერალიზმის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლის ამოცანა, თუ იგი არ იბრძვის დემოკრატიული გლეხობის განთავისუფლებისათვის ლიბერალიზმის გავლენისაგან, მაშინ საქმით პროლეტარიატის პოლიტიკა დამოუკიდებელი არ არის. მენშევიკები სწორედ ამ, საქმით არადამოუკიდებელ პოლიტიკას აკანონებენ: სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დასაშვებად მიაჩნიათ შეთანხმებანი შემთხვევიდან შემთხვევამდე ისეთ პირობებში, როდესაც განსაზღვრული არ არის ამ შეთანხმებათა ხაზი, განსაზღვრული არ არის მთავარი სადემარკაციო ხაზი, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფს ორ ტაქტიკას ჩვენს რევოლუციაში. «შემთხვევიდან შემთხვევამდე შეთანხმება», — ეს ფორმულა სინამდვილეში ჰფარავს კადეტებთან ბლოკსაც, «სრულძალაუფლებიან სათათბიროსაც», პასუხისმგებელ სამინისტროსაც, ე. ი. ლიბერალიზმისაგან მუშათა პარტიის ფაქტიური დამოკიდებულების მთელ პოლიტიკას. ახლანდელ ისტორიულ ვითარებაში მუშათა

პარტიის დამოუკიდებელ პოლიტიკაზე ლაპარაკიც კი არ შეიძ-ლება, თუ ეს პარტია თავის პირდაპირ ამოცანად არ ისახავს ბრძოლას რევოლუციის ბოლომდე მისაყვანად არა მარტო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, არამედ ლიბერალიზმის წი-ნააღმდეგაც, ბრძოლას ლიბერალიზმთან დემოკრატიულ გლე-ხობაზე გავლენის მოსაპოვებლად. ბურჟუაზიული რევოლუ-ციის ისტორიული ვითარება ევროპაში XX საუკუნის დამ-დეგს ისეთია, რომ სოციალ-დემოკრატიის ყოველგვარი სხვა-ნაირი პოლიტიკა სინამდვილეში გადაიქცევა ლიბერალური პოლიტიკისადმი დაქვემდებარებად.

ლონდონის ყრილობის მიერ არაპროლეტარული პარტიე-ბის შესახებ ბოლშევიკური რეზოლუციის მიღება იმას ნიშ-ნავს, რომ მუშათა პარტიამ მტკიცედ უკუაგდო კლასობრივი ბრძოლიდან ყოველგვარი უკანდახევა, ნამდვილად აღიარა არაპროლეტარული პარტიების სოციალისტური კრიტიკა და პროლეტარიატის დამოუკიდებელი რევოლუციური ამოცანები ახლანდელ რევოლუციაში.

რეზოლუციის მენშევიკურ შესწორებათა უარყოფამ კიდევ უფრო მეტად გაუსვა ხაზი ამ გარემოებას.

## II

როცა ყრილობამ საფუძვლად მიიღო ბურჟუაზიული პარ-ტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ შეტანილი ბოლ-შევიკური რეზოლუციის პროექტი, — მენშევიკებმა და ბუნ-დელებმა სეტყვასავით მოაყარეს შესწორებანი. ყრილობის ბიუროში შეტანილ ზოგიერთ საპროტესტო განცხადებაში შესწორებათა საერთო რიცხვი 70-ს და მეტს აღწევდა. მე აქ არ შევუდგები იმ ბრძოლის პერიპეტიების აღწერას, რაც გა-ჩაღდა ამ ობსტრუქციის შესაწყვეტად, რომელმაც ბევრად უფრო ფართო ხასიათი მიიღო, ვიდრე განთქმულმა აკიმოვის 22 შესწორებამ მეორე ყრილობაზე, არ ჩამოვთვლი უამრავ ყოვლად უაზრო და წვრილმან შესწორებას. დავასახელებ მხოლოდ ხუთ შესწორებას, რომლებსაც მართლაც მეტად

დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. აი ეს შესწორებანი იმ რიგით, რომლითაც მათი განხილვა მოხდა ყრილობაზე.

ჩვენი რეზოლუციის მოტივების მესამე მუხლი პირდაპირ ლაპარაკობს პროლეტარიატის ამოცანაზე — «შეასრულოს ბელადის როლი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში». მენშევიკებს შემოჰქონდათ შესწორებანი: სიტყვა «ბელადი» შეიცვალოს სიტყვით: «ავანგარდი», «მოწინავე რაზმი» ან სიტყვებით: «მთავარი მამოძრავებელიო». ყველა ეს შესწორება უარყოფილ იქნა. ბოლშევიკებს არაფერი ჰქონდათ იმის საწინააღმდეგო, რომ რამდენჯერაც გნებავთ განმეორებულიყო პროლეტარიატის სრული კლასობრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნების აზრი. მაგრამ რევოლუციაში ბ ე ლ ა დ ი ს როლზე მითითების შ ე ს უ ს ტ ე ბ ა — ეს იქნებოდა ოპორტუნიზმისათვის კარის გაღება. პროლეტარიატი შეიძლება «მთავარი მამოძრავებელი» იყოს მემამულურ-შეკვეცილი ბურჟუაზიული რევოლუციისაც. შეიძლება იყო სხვა კლასის გამარჯვების მთავარი მამოძრავებელი მაშინაც კი, შენი კლასის ინტერესების დაცვა რომ არ შეგეძლოს. რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას, თუ იგი თავის თავს არ უღალატებს, უფლება არა აქვს ამას დასჯერდეს. იგი უნდა დაეხმაროს პროლეტარიატს მთავარი მამოძრავებლის პასიური როლიდან ამაღლდეს ბელადის აქტიურ როლამდე, — შეკვეცილი თავისუფლებისათვის მებრძოლის დამოკიდებული მდგომარეობიდან ამაღლდეს მუშათა კლასის სასარგებლო სრული თავისუფლებისათვის მებრძოლის უაღრესად დამოუკიდებელ მდგომარეობამდე. ეს არის, შეიძლება ითქვას, ბურჟუაზიულ რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული და რევოლუციური ტაქტიკის განსხვავების დედაარსი; პირველი ტაქტიკა ურიგდება პროლეტარიატის, როგორც მთავარი მამოძრავებლის, როლს, მეორე ტაქტიკა კი მიმართულია იქითკენ, რომ პროლეტარიატმა განახორციელოს ბელადის როლი და არა მხოლოდ «მამოძრავებლის» როლი.

გამოთქმა «მოწინავე რაზმი» აგრეთვე შეასუსტებდა პროლეტარიატის იმ ამოცანის აღიარებას, რომ ის ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს სხვა დემოკრატიულ კლასებს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, შეიძლებოდა გაგებული ყოფილიყო როგორც ასეთი შესუსტება.

მეორე შესწორება: ამოღებულ იქნას საკუთრივ რეზოლუციური ნაწილის (ლიბერალური პარტიების დახასიათება) მესამე მუხლიდან მითითება, რომ ლიბერალები ა ტ ყ უ ე ბ ე ნ დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასაო. ამის ამოღება ან შეცვლა საჭიროა მარქსიზმის გულისათვის, ამბობდნენ მენშევიკები, რადგან მატერიალისტებს არ შეჰფერით პარტიების სოციალური შემადგენლობა «მოტყუებით» ახსნანო. ამ მსჯელობის სოფიზმი იმდენად აშკარა იყო, რომ არ შეიძლებოდა ყრილობა ანკეტს წამოჰგებოდა. ბურჟუაზიის პოლიტიკაში მოტყუების როლის უარყოფა მარქსიზმის გულისათვის, ეს იგივეა, რომ უარყო ყოველგვარი ძალმომრეობა «ეკონომიური ფაქტორის» გულისათვის. მარქსიზმი ასე ესმით მხოლოდ დავიდებს, ფოლმარებს და ოპორტუნიზმის სხვა ბურჯებს. კერძოდ კი, რუსეთში გლეხობისა და მეშჩანობის მიმართ კადეტების ახლანდელ პოლიტიკაში მოტყუების როლის უარყოფა ან შესუსტების ცდა ნიშნავს ლიბერალიზმის შელამაზებას და ფაქტების დამახინჯებას მის სასარგებლოდ, რადგან ყოვლად უდავო ფაქტია, რომ კადეტები აშკარად ატყუებენ თავიანთ გლეხ მეშჩან ამომრჩევლებს. პარტიის მიერ თავის ამომრჩეველთა მოტყუებაზე ლაპარაკი უადგილოა მაშინ, როცა კლასის ინტერესები წარმოშობენ განსაზღვრულ თეორიულ ილუზიებს, ე. ი. მაცთუნებელ წარმოდგენებს (მაგალითად, როცა გლეხობის ინტერესები წარმოშობენ მემამულეთა მიწების ექსპროპრიაციისაგან ყველა სიკეთის მიღების მაცთუნებელ მოლოდინს). ხალხის განსაზღვრული ფენების საპარლამენტო წარმომადგენელთა მიერ მოტყუებაზე აშკარად და ყველას გასაგონად ლაპარაკი სავალდებულოა მაშინ, როცა ეს წარმომადგენლები ამ ფენების პირდაპირ ინტერესებს მსხვერპლად

სწირავენ მათს ექსპლოატატორებს (გლეხებს ღალატობენ მემამულეთა სასარგებლოდ და სხვ.). გერმანიის ბურჟუაზიამ უღალატა გლეხებს, — წერდა მარქსი 1848 წელს. თუ ჩვენ რუსეთში 1907 წელს ვერ გავბედავთ და ამას ვერ ვიტყვით ჩვენი ბურჟუაზიისა და ჩვენი კადეტების შესახებ, თუ ამას ვერ დავუმტკიცებთ ხალხის მასას, მაშინ ჩვენ ტალახში ამოვსვრით სოციალ-დემოკრატების დიად სახელს.

მესამე შესწორება: აღიარებულ იქნას იმავე მე-3 მუხლის დამატებად, რომ დასაშვებია «ტექნიკური შეთანხმებანი» კადეტებთან. ეს შესწორება ყრილობამ უარყო სახელობითი კენჭისყრით. ჩვენ განვაცხადეთ, რომ მისი მიღება გვაიძულებდა უკან წაგვეღო მთელი რეზოლუცია: ეს ჩვენი უფლებაა, როცა შესწორებები ამახინჯებს რეზოლუციის ძირითად აზრს. ჩვენ არაფერს ვამბობთ კადეტებთან ყოველგვარი შეთანხმების სპეციალურ აკრძალვაზე, — განვაცხადეთ ჩვენ. საქმე ეხება არა შემთხვევების აკრძალვას ან დაშვებას, არამედ საერთო პოლიტიკურ ხაზს. ვინც კეთილსინდისიერად მოისურვებს ყრილობის ამ რეზოლუციის გამოყენებას, ის არ დათანხმდება კადეტებთან საარჩევნო შეთანხმებებს ან მათთან საერთო ლოზუნგებს, თუმცა ამით გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ სათათბიროში ერთობლივი ხმისმიცემის საკითხში რაიმე «შემთხვევა» მოხდეს. ხოლო რაც შეეხება ყრილობის რეზოლუციის არაკეთილსინდისიერ შემსრულებლებს, ამა თუ იმ ფორმულირებით მათი «დაჭერის» ცდა საზოგადოდ ამაო იქნებოდა. მთელმა ჩვენმა პარტიამ პრაქტიკულად ძალიან კარგად ნახა, თუ რას ნიშნავს ლიბერალებთან «ტექნიკური შეთანხმებანი» ჩვენებური მენშევიკებისათვის.

მეოთხე შესწორება: დაემატოს მე-4 მუხლს მითითება, რომ აუცილებელია ნაროდნიკების აგრარული უტოპიზმისა და რევოლუციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაო,—მენშევიკებმა ეს რამდენიმეჯერ შემოიტანეს, ამასთან ისინი განუწყვეტლივ სცვლიდნენ ცალკეულ სიტყვებს შესწორების ტექსტში, ანდა

სცვლიდნენ რეზოლუციის იმ ადგილის განსაზღვრას, სადაც შესწორება უნდა შეტანილიყო. ყრილობამ ყველა ეს შესწორება უარყო. დებატებს ამ შესწორებათა გამო, უეჭველია, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მენშევიკები კვლავ ცდილობდნენ აქ, მარქსიზმის ბაირაღით, გაეპარებინათ მარქსიზმისადმი უაღრესად მტრული რამ. უეჭველია, მარქსიზმი უარყოფს ნაროდნიკების აგრარულ უტოპიებსაც და წვრილბურჟუაზიული რევოლუციონიზმის ხერხებსაც. თუ ასეა, — მსჯელობდნენ მენშევიკები, — მაშ თქვით ეს აქ, თქვენს რეზოლუციაშიო. — უკაცრავად, ძვირფასო ამხანაგებო, — ვუპასუხებდით ჩვენ, — აქ უკვე ნათქვამია ყოველივე ეს სწორედ ისე, როგორც ეს საჭიროა ითქვას. თქვენი დამატება კი, თქვენი ნებისა და ცნობიერების დამოუკიდებლად, მემამულეთა მიწის კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ი ს წინააღმდეგ მტრული გალაშქრების მნიშვნელობას იღებს. ჩვენ ხომ არ დაგვიწყებია, რომ სწორედ ამ კონფისკაციას აცხადებს «უტოპიზმად» და «რევოლუციონიზმად» არა მარტო ყველა ლიბერალი, არამედ მრავალი უპარტიო სოციალ-დემოკრატიც à la * ბბ. პროკოპოვიჩები, კუსკოვები და ზოგიერთი (საბედნიეროდ, მცირეოდენი) პარტიული სოციალ-დემოკრატი, რომლებიც სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასაც და პარტიის ცენტრალურ კომიტეტსაც წინადადებას აძლევდნენ ულტიმატუმის წესით არ მოეთხოვათ კონფისკაცია.

რეზოლუცია ისე უნდა დაიწეროს, რომ მისი გაგება ყველას შეეძლოს. ის ანგარიშს უნდა უწევდეს ნამდვილი პოლიტიკის ყველა არსებულ პოლიტიკურ ტენდენციას და არა სოციალ-დემოკრატიის ამა თუ იმ ნაწილის კარგ განზრახვებს (თუნდაც ყოველთვის იგულისხმებოდეს ყველაზე კარგი განზრახვები). ჩვენს რეზოლუციაში ჩვენ აშკარად და გარკვევით აღვნიშნეთ ნაროდნიკების «ფ ს ე ვ დ ო-სოციალიზმი». მათს «სოციალისტურ» იდეოლოგიას ჩვენ აშკარად ვუწოდეთ მხო-

* — მსგავსად. რ ე დ.

ლოდ «ბ ურ უ ს ი». ნაროდნიკების მიერ პროლეტარსა და წვრილ მეპატრონეს შორის არსებული კლასობრივი წინააღმდეგობის მიჩქმალვასთან ბრძოლა აღიარებულია სოციალ-დემოკრატიის უცილობელ მოვალეობად. ამით ნათქვამია ყველაფერი, ამით უკვე ნამდვილად დაგმობილია ნაროდნიკობის უტოპიური ელემენტი, ამით დაგმობილია წვრილბურჟუაზიული «კლასგარეშე» რევოლუციონიზმიც. კიდევ მეტი. ჩვენს რეზოლუციაში არა მარტო დაგმობა, არა მარტო უარყოფაა, არამედ აღნიშნულია ამ პარტიების დადებითი შინაარსიც. «მემამულური მიწათმფლობელობისა და ბატონყმური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა», — აი როგორ განვსაზღვრავთ ჩვენ ამ შინაარსს. და მარქსისტი არ არის ის, ვინც ამას დაივიწყებს მეშჩანური სოციალიზმის «ბურუსის» წინააღმდეგ ბრძოლის გამო. ამ რეალურ შინაარსს თანამედროვე რევოლუციაში განუზომლად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ნაროდნიკების ბუნდოვან ოცნებას ხვალინდელ დღეზე. ამ რეალური ბრძოლის გამო ამჟამად კარდინალურად შორდება ერთმანეთს ლიბერალური და პროლეტარული პოლიტიკა. ლიბერალური პოლიტიკა მემამულური მიწათმფლობელობისა და ბატონყმური სახელმწიფოს სრულ მოსპობას უ ტ ო პ ი ა დ და ც ა რ ი ე ლ რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ი ზ მ ა დ თვლის: ასეთი განადგურება ბურჟუაზიისათვის ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი ა რ ა ა რ ი ს და საშიშია. დღევანდელი დღეების ნამდვილ პოლიტიკაში ბურჟუაზიის სწორედ ასეთი, ანგარებიანი კლასობრივი ინტერესი, და არა სხვა რამე, გამოიხატება ნაროდნიკების უტოპიზმსა და რევოლუციონიზმზე თავდასხმებით. პირიქით, პროლეტარული პოლიტიკა უტოპიზმს, რევოლუციონიზმსა და საზოგადოდ არაკლასობრივი სოციალიზმის «გათანაბრებითი» ოცნებების ბ ურ უ ს ს გამოჰყოფს მემამულეთა და მებატონეთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის რ ე ა ლ ო ბ ი ს ა გ ა ნ. ის, რაც ლიბერალებისათვის მავნე უტოპიაა, ჩვენთვის ამჟამად პროლეტარიატის ყველაზე არსებითი ინტერესია: მემამულური მიწათმფლობელობისა და

ბატონყმური სახელმწიფოს სრული განადგურება. ჩვენ ამჟამად ამ ნიადაგზე უნდა ვაწარმოოთ ყველაზე გააფთრებული უშუალო პრაქტიკული ბრძოლა ლიბერალიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა მისი გავლენისაგან დემოკრატიული გლეხობის განთავისუფლებისათვის.

მენშევიკების მიერ შემოტანილი ზემოთ განხილული შესწორებანი გამოხატავდნენ მენშევიზმის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ შეცდომას: ახლანდელ რევოლუციაში ბურჟუაზიის რეაქციულობის (ე. ი. რეაქციულობისა მემამულეთა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში) გათანატოლება გლეხობის რეაქციულობასთან (მაშინ როდესაც ეს რეაქციულობა შეეხება არა მემამულეთა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლას, ე. ი. არა ახლანდელი, ბურჟუაზიული, არამედ მომავალი, სოციალისტური რევოლუციის ამოცანებს). ყრილობამ უკუაგდო მენშევიკების ეს ძირითადი შეცდომა. ამ შეცდომის პრაქტიკული მნიშვნელობა კი ძალიან დიდია. რადგან მით ჰფარავდნენ პოლიტიკას, რომელიც თანაბრად დასაშვებად თვლის პროლეტარიატის ერთობლივ მოქმედებას ლიბერალებთან ერთად და გლეხურ დემოკრატიასთან ერთად.

მენშევიკების მიერ შემოტანილი უკანასკნელი შესწორება, რომელიც საერთო ინტერესს იწვევს, შეეხებოდა ისევ მე-4 მუხლს, სახელდობრ მის დასასრულს. მენშევიკებმა მოითხოვეს ამოღებული ყოფილიყო იქიდან კადეტებთან ბრძოლაზე მითითება (...«ემხრობა სოციალ-დემოკრატიას შავრაზმელებისა და კადეტების წინააღმდეგ»). ამ ყრილობისათვის აბსოლუტურად მიუღებელი ეს შესწორება გარეგნულად რომ რაოდენადმე მაინც მისაღები გამხდარიყო, მენშევიკებმა წინადადება წამოაყენეს მათთვის არასასიამოვნო სიტყვები შეცვლილიყო მითითებით დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანისათვის ბრძოლაზე. ეს იყო თავისებური ცდა «მწარე აბის მოთაფვლისა», ბოლშევიკებისათვის მიუღებელი პოლიტიკის

(არ ვებრძოლოთ კადეტებს პირდაპირ) გატარებისა ბოლშევიკებისათვის განსაკუთრებით მისაღები ლ ო ზ უ ნ გ ი ს საფარით. ბაირაღი შენი იყოსო, ტვირთი კი ჩვენიო, — აი რას ამბობდნენ, არსებითად, მენშევიკები თავისი წინადადებით, როგორც ნამდვილი პოლიტიკანი-ოპორტუნისტები.

მენშევიკების უწყინარი სამხედრო ხერხი, რა თქმა უნდა, მყისვე მხილებულ იქნა და ბოლშევიკების სკამებზე სიცილი გაისმა (ლონდონის ეკლესიაში ჩვენ მართლაც სკამებზე ვისხედით, ასე რომ აქ ნართაულად როდია ნათქვამი). იმავე სკამებზე პირდაპირ ჰომერული სიცილი, რაც დიდხანს არ შეწყვეტილა, და ირონიული მქუხარე ტაშისცემა ატყდა, როცა მენშევიკების შესწორების ჩაფლავების შემდეგ ერთმა პოლონელმა შემოიტანა სხვა შესწორება: კადეტებთან ბ რ ძ ო ლ ა ზ ე მითითება დარჩეს და თანაც დაემატოს, რომ საჭიროა რევოლუციის ბოლომდე მისაყვანად ბრძოლაო. ყრილობამ ეს შესწორება, რა თქმა უნდა, მიიღო. ირონიული ტაში განსაკუთრებით დაიმსახურეს მენშევიკებმა, რომლებმაც ამ შესწორებას ხმა მისცეს («მდგომარეობა ავალებს»!), — მას შემდეგ, რაც ლ. მარტოვი «ოტგოლოსკში» (№ 5) ჩვენს წინააღმდეგ ცოფსა ჰყრიდა რევოლუციის ბოლომდე მიყვანის ამ ვითომდა ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური იდეის გამო.

მენშევიკების უხეირო ეშმაკობამ ძალიან მარჯვე სამსახური გაგვიწია ჩვენ, რადგან ამ შესწორების მეოხებით ყრილობამ აღიარა ფრიად მნიშვნელოვანი აზრი ჩვენი მეორე რეზოლუციისა, რომელიც ყრილობისათვის არ წარგვიდგენია, სახელდობრ, რეზოლუციისა პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შესახებ.

## III

საჭირო არ არის ჩაიწეროს კადეტებისადმი ახლანდელი დამოკიდებულებაო, — ამბობდა ყრილობაზე ერთი თვალსაჩინო მენშევიკი (მგონი, მარტინოვი), რომელსაც სურდა, ასე ვთქვათ, რომ მენშევიზმის გაქცევის ნაცვლად გამოსულიყო

სანიმუშო წესრიგით უკანდახევა. ახლა კადეტები ყოვლად გამოუსადეგარნი არიან, დაე ასე იყოს. მაგრამ ამას ნუ ჩაწერთ, რადგან ისინი კიდევ შეიძლება გამოსადეგი გახდნენო.

ამ სიტყვებით უხეიროდ იყო ფორმულირებული მენშევიზმის ერთი მეტად არსებითი აზრი, რომელზედაც ღირს შევჩერდეთ ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების საკითხის განხილვის დასასრულს. ეს ფორმულირება უხეიროა იმიტომ, რომ ყოველივე იმის გამოყენების შესაძლებლობას, რაც კი შეიძლება «გამოდგეს», სრულებით არ გამორიცხავს რეზოლუცია, რომელიც განსაზღვრავს ახლანდელი კონტრრევოლუციური პოლიტიკის კლასობრივ ფესვებს. აქ არსებითია ის აზრი, რომ თუ ახლა კადეტებმა არ გაამართლეს მენშევიკების ნდობა, სამაგიეროდ იყო დრო, როცა ისინი ამ ნდობას ამართლებდნენო.

ეს მცდარი აზრია. კადეტებს არასოდეს არ გაუმართლებიათ მენშევიკების ნდობა მათდამი. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია ავიღოთ ჩვენი რევოლუციის ყველაზე დიდი აღმავლობის ხანა — 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერი, და დავუპირისპიროთ მას ახლანდელი პერიოდი, თითქმის მაქსიმალური დაქვეითების პერიოდი. უდიდესი აღმავლობის დროსაც და უდიდესი დაქვეითების დროსაც კადეტებმა არ გაამართლეს მენშევიკების ნდობა, კი არ დაადასტურეს მათი ტაქტიკა, არამედ ჩაფუშეს ის თავიანთი მოქმედებით. აღმავლობის პერიოდში მენშევიკები თვითონ აქტიურად იბრძოდნენ ლიბერალების წინააღმდეგ (გაიხსენეთ «ნაჩალო»), ამჟამად კი II სათათბიროში ჩატარებული ყველა კენჭისყრის მთელი სურათი ცხადზე უცხადესად ლაპარაკობს «მემარცხენე ბლოკის» პოლიტიკის სასარგებლოდ და კადეტებისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ.

ჩვენი რევოლუციის ამ უდიდეს აღმავლობასა და უდიდეს დაქვეითებას შორის განვლილ პერიოდს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მომავალმა ისტორიკოსმა ქანაობის ხანა უნდა უწოდოს. სოციალ-დემოკრატია მენშევიკების სახით ამ დროს

ლიბერალიზმისაკენ გადაიხარა. დავის ერთი წელი (1904 წლის ბოლო — 1905 წლის ბოლო) სადავო საკითხების ისტორიული მომზადებისა და მათი საერთო შეფასების წელი იყო. რევოლუციის ერთნახევარი წელი (1905 წლის ბოლო — 1907 წლის შუახანები) იყო ამ სადავო საკითხების პრაქტიკული შემოწმება პრაქტიკული პოლიტიკის დარგში. ამ შემოწმებამ გამოცდილებით გვიჩვენა ლიბერალიზმისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკის სრული მარცხი, ამ შემოწმებამ მოჰყვა ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ერთადერთი რევოლუციური პოლიტიკის აღიარება: პროლეტარიატმა უნდა იბრძოლოს რევოლუციის ბოლომდე მისაყვანად, მან უნდა შეიერთოს დემოკრატიული გლეხობა გამკეთი ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

იმის თქმა, რომ ლონდონის ყრილობამ ბოლო მოუღო ლიბერალიზმისაკენ სოციალ-დემოკრატიის ქანაობის ამ პერიოდსაო, სარისკო იქნებოდა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ქანაობის ლიკვიდაციისათვის გადადგმულია სერიოზული ნაბიჯი.

---

**P. S.** * ბურჟუაზიული პრესა გამალებით იყენებს სოციალ-დემოკრატიის ძალაუნებურ დუმილს და ლონდონის ყრილობის «ნახევრადლეგალურ» ხასიათს იმისათვის, რომ ცილი დასწამოს ბოლშევიკებს, როგორც თითქოს მკვდრებს. რა თქმა უნდა, რაკი ყოველდღიური გაზეთი არა გვაქვს, ჩვენ იმის ფიქრიც კი არ შეგვიძლია, რომ გამოვედევნოთ უპარტიო «ტოვარიშჩს», სადაც ყოფილი სოციალ-დემოკრატი ა. ბრამი, შემდეგ ბ-ნი იური პერეიასლავსკი და **tutti quanti** ** ნამდვილ დავლურს უვლიან, — კარგია, რომ ოქმები არ არის, და შეიძლება დაუსჯელად ვიცრუოთო. ამ ა. ბრამების, პერეიასლავსკებისა და კომპანიის სტატიებში არაფერია, გარდა უპარტიო

---

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

** — მათი მსგავსნი. რ ე დ.

ბურჟუაზიული ინტელიგენტების ჩვეულებრივი ღვარძლისა, ასე რომ ამ სტატიების გამო საკმაოა აღინიშნოს, რომ მათ შეხვდნენ მათ მიერვე დამსახურებული ზიზღით. სულ სხვაა «ბირჟევკის» მიერ გადმოცემული საუბარი ბ-ნ სტრუვესთან, რაც დღემდე, მგონი, არ უარუყვიათ. ზიზღის გარდა, ეს საუბარი ღირსია ამ ...ეგზემპლარისადმი მეცნიერული ყურადღებისა. ბ-ნ სტრუვეს ლტოლვა ოქტიაბრისტებისადმი, მისი სიძულვილი მემარცხენეებისადმი ლიბერალიზმის იმანენტური ტენდენციების ჭეშმარიტად კლასიკური გამოხატულებაა. ბ-ნი სტრუვე აღიარებს ძველ მითქმა-მოთქმას იმის შესახებაც, რომ მას ბიუროში (სათათბიროს ბიუროში) გაჰყავდა ოქტიაბრისტი, იმის შესახებაც, რომ მას საზოგადოდ მოლაპარაკება და თათბირები ჰქონდა ოქტიაბრისტებთან. ის ოქტიაბრისტებთან გაერთიანების მომხრეა! გმადლობთ ბ-ნო სტრუვე, თქვენ მშვენივრად ადასტურებთ იმას, რასაც ჯერ კიდევ გასულ შემოდგომაზე წერდა «პროლეტარი» (№ 5: «რუსეთის პოლიტიკური პარტიების კლასიფიკაციის ცდა») ოქტიაბრისტებისა და კადეტების შესახებ! * ბ-ნი სტრუვე გრძნობს ბურჟუაზიული ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ი ს უსუსურობას და სურს ლიბერალიზმის სიმძიმის ცენტრი შ ე ძ ლ ე ბ უ ლ ი კ ლ ა ს ე ბ ი ს ახლოს გადაიტანოს. კადეტების ტიპის ლიბერალებს გვირგვინოსანთან შეთანხმება არ გამოუდით, — ძირს კადეტები, დაე, მოხერხდეს შეთანხმება თუნდაც ოქტიაბრისტთა ტიპის «ლიბერალებთანაო». ეს თანამიმდევრობაა. და ეს ჩვენთვის ხელსაყრელია, რადგან საქმეში სიცხადე და გარკვეულობა შეაქვს. ახალი, მემამულური სათათბირო. ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც საიმედო მემამულეებსა და ბურჟუაზიის ბობოლებს ჩინებულად, მთელი სასურველი სიცხადით გამოჰყოფს არასაიმედო გლეხებისა, ქალაქის მეშჩანობისა და მუშებისაგან.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 11, გვ. 256 — 264. რ ე დ.

ახალი მიმდინარეობა ლიბერალიზმში: ბ-ნ სტრუვეს ომი «მემარცხენეთა ავანტიურისტული პოლიტიკის» წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ მემარცხენენი «ექსპლოატაციას უწევენ განუვითარებელ გლეხთა მასის ბნელ სოციალურ ინსტინქტებსაო»!! («სოციალური ინსტინქტები» — უვიცობის გამოთქმაა, მაგრამ მით უფრო რელიეფურია თავისი უვიცობით. როგორც ჩანს, ბ-ნ სტრუვეს კალმის ნახელავი მით უფრო უვიცი და მით უფრო ნათელი იქნება, რაც უფრო მიუახლოვდება ეს ვაჟბატონი რუსი ხალხის კავშირს, რომელიც მისგან უკვე შორს აღარ არის).

დიახ, ეს შემთხვევითი როდია. ბურჟუაზიული ლიბერალიზმი უძლურია როგორც ინტელიგენტური პარტია. იგი უძლურია, თუ არ ებრძვის რევოლუციურ («ბნელი სოციალური ინსტინქტები») გლეხობას. იგი უძლურია, თუ მჭიდრო კავშირი არა აქვს ფულის ტომარასთან, მემამულეთა მასასთან, მეფაბრიკეებთან... ოქტიაბრისტებთან. რაც მართალია, მართალია. ჩვენ დიდი ხანია ვეუბნებოდით კადეტებს: «რომელი გეგულების საქმედ, ჰყავ ადრე». ვინც გვირგვინოსანთან შეთანხმების მომხრეა, დაე, ის მხარში ამოუდგეს ოქტიაბრისტებს, სტოლიპინებს, რუსი ხალხის კავშირს.

ვინც ხალხის მომხრეა, დაე, გაჰყვეს სოციალ-დემოკრატიას, ერთადერთ პარტიას, რომელიც ულმობლად ებრძოდა და ებრძვის ლიბერალიზმის გავლენას ტრუდოვიკებზე.

ზოგიერთნი ფიქრობდნენ, სწორედ მენშევიკურ პოლიტიკას შეუძლია კადეტებში გათიშვის გამოწვევაო. გულუბრყვილო ილუზიაა! კადეტებში გათიშვას იწვევდა და გამოიწვევს მხოლოდ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე-ბლოკისტური პოლიტიკა. მხოლოდ ასეთი პოლიტიკა დააჩქარებს გარდუვალ გამიჯვნას: ბურჟუაზიული ლიბერალები მხარში ამოუდგებიან ოქტიაბრისტებს,

ბურჟუაზიული დემოკრატები — ტრუდოვიკებს. სოციალ-დემოკრატია მომავალშიც, ისე როგორც აქამდე, აიძულებს ამ უკანასკნელთ არჩევანი მოახდინონ პროლეტარულ თანამიმდევარ დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის.

წინ, გაბედულად, პოლიტიკოსებო à la სტრუვე!

დაიბეჭდა 1907 წ. კრებულში: «რსდმპ ლონდონის ყრილობის შედეგები». ს.-პეტერბურგი

ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

# შენიშვნები

1 სტატია «სოციალ-დემოკრატიის საარჩევნო კამპანია პეტერბურგში» გამოქვეყნდა გაზეთში «პროსტიე რეჩი» № 2.

«პროსტიე რეჩი» — ბოლშევიკური ლეგალური ყოველკვირეული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წლის იანვარს. გამოვიდა სამი ნომერი, ყოველ ნომერში დაბეჭდილია ლენინის სტატიები. სასამართლო პალატამ ყველა ნომრის კონფისკაცია მოახდინა, გაზეთის გამოცემა აკრძალა პეტერბურგის ქალაქის უფროსმა.

ცალკე ამონაწერები სტატიიდან — «სოციალ-დემოკრატიის საარჩევნო კამპანია პეტერბურგში» ციტირებულია გაზეთ «დროს» მოწინავე სტატიაში, № 30, 1907 წლის 14 აპრილი; «დრო» გამოდიოდა თბილისში ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით. — 1.

2 «ტოვარიშჩ» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის მარტიდან 1908 წლის იანვრამდე; ფორმალურად რომელიმე პარტიის ორგანოს არ წარმოადგენდა, მაგრამ ფაქტიურად მემარცხენე კადეტების ორგანო იყო. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკები. — 2.

3 «პროლეტარი» — არალეგალური გაზეთი, ბოლშევიკებმა დააარსეს პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ; გამოდიოდა 1906 წლის 21 აგვისტოდან (3 სექტემბრიდან) 1909 წლის 28 ნოემბრამდე (11 დეკემბრამდე) ლენინის რედაქციით. «პროლეტარი» გამოდიოდა როგორც რსდმპ მოსკოვისა და პეტერბურგის კომიტეტების ორგანო, ერთხანს კი აგრეთვე როგორც მოსკოვის საოლქო, პერმის, კურსკისა და ყაზანის კომიტეტების ორგანოც. ფაქტიურად გაზეთი ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო იყო. გამოვიდა 50 ნომერი: პირველი 20 ნომერი — ფინეთში, დანარჩენი კი საზღვარგარეთ — ჟენევასა და პარიზში.

გაზეთში გამოქვეყნებულია ლენინის 100-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. სტოლიპინის რეაქციის წლებში «პროლეტარმა» თვალსაჩინო-

როლი შეასრულა ბოლშევიკური ორგანიზაციების შენარჩუნებასა და განმტკიცებაში. II სათათბიროს საარჩევნო კამპანიის დროს რსდმპ პეტერბურგის კომიტეტი მუშებში ავრცელებდა გაზეთის ცალკეული ნომრების 4 ათასამდე ეგზემპლარს. ზოგიერთი სტატია პარტიული ცხოვრების შესახებ გადაბეჭდეს ამიერკავკასიის ბოლშევიკების გაზეთებმა «ჩვენმა ცხოვრებამ» და «დრომ», რომლებიც 1907 წელს გამოდიოდა თბილისში ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1910 წლის იანვარში შემარიგებლებმა, ტროცკის ფარულმა აგენტებმა და ხელშემწყობებმა, მოახერხეს გაეტარებინათ გადაწყვეტილება გაზეთ «პროლეტარის» დახურვის შესახებ. — 2.

4 შრომის ჯგუფი, ტრუდოვიკები — წვრილბურჟუაზიულ დემოკრატთა ჯგუფი; ჩამოყალიბდა 1906 წლის აპრილში I სახელმწიფო სათათბიროს გლეხი დეპუტატებისაგან. სათათბიროს მუშაობის დასაწყისს ჯგუფი 107 დეპუტატს აერთიანებდა.

ტრუდოვიკები მოითხოვდნენ ყველა წოდებრივი და ნაციონალური შეზღუდვის გაუქმებას, საერობო და საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიზაციას, საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელებას სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის.

შრომის ჯგუფის აგრარულ პროგრამას წარმოადგენდა საადგილ-მამულო კანონის «ძირითად დებულებათა პროექტი», რომელიც 104 დეპუტატის ხელმოწერით შეიტანეს სათათბიროში 1906 წლის 23 მაისს (5 ივნისს). პროექტი გამოდიოდა გათანაბრებული მიწათსარგებლობის ნაროდნიკული პრინციპებიდან: საერთო სახალხო ფონდის შექმნა სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო მიწებისაგან, აგრეთვე კერძო მფლობელთა მიწებისაგან, თუ ადგილ-მამულის ოდენობა დაწესებულ შრომის ნორმას აღემატებოდა; მიწის სარგებლობის უფლების მინიჭება მხოლოდ იმათთვის, ვინც მას თვითონ ამუშავებს. კერძო მფლობელთა განსხვისებული მიწისათვის გათვალისწინებული იყო საზღაური. საადგილმამულო რეფორმის გატარება გლეხთა ადგილობრივ კომიტეტებს ეკისრებოდა. ტრუდოვიკების აგრარული პროგრამის შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 231 — 234.

II სათათბიროში ტრუდოვიკებს ჰყავდათ 104 დეპუტატი, III სათათბიროში — 14 დეპუტატი და IV სათათბიროში — 10. — 2.

5 ნიკ. ი — სკი — ნ. ი. იორდანსკი. — 2.

6 იგულისხმება რსდმპ მეორე კონფერენცია («სრულიად რუსეთის პირველი კონფერენცია»), რომელიც შესდგა ტამერფორსში 1906 წლის 3 — 7 (16 — 20) ნოემბერს. კონფერენციაში მონაწილეობა

მიიღეს ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებმა: პოლონეთისა და ლიტვის, ლატვიის მხარისა და ბუნდის წარმომადგენლებმა. მენშევიკურმა ცენტრალურმა კომიტეტმა კონფერენციაზე მთელი რიგი ფიქციური ორგანიზაციების წარმომადგენლობა მოაწყო და მენშევიკებისათვის უმრავლესობა უზრუნველყო — ბუნდელებთან ერთად მათ ჰყავდათ 18 დელეგატი 32-დან.

კონფერენციის დღის წესრიგი: 1) საარჩევნო კამპანია. 2) პარტიული ყრილობა. 3) მუშათა ყრილობა. 4) შავრაზმელობასა და დარბევებთან ბრძოლა. 5) პარტიზანული გამოსვლები. საარჩევნო კამპანიის საკითხზე ოთხი მომხსენებელი იყო. ბოლშევიკებისგან მოხსენება გააკეთა ლენინმა. მენშევიკებმა ისარგებლეს თავიანთი უმრავლესობით და გაიყვანეს რეზოლუცია, რომელიც დასაშვებად თვლიდა კადეტებთან ბლოკს სათათბიროს არჩევნების დროს. ამის საწინააღმდეგოდ ლენინმა დაწერა და შეიტანა 14 დელეგატის (6 ბოლშევიკის — პეტერბურგის, მოსკოვის, ცენტრალური სამრეწველო ოლქისა და ვოლგისპირეთის დელეგატებისა, 5 პოლონელი და 3 ლატვიელი სოციალ-დემოკრატის) განსაკუთრებული აზრი. (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 11, გვ. 351 — 353). — 2.

7 რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო და საგუბერნიო კონფერენცია შეიკრიბა 1907 წლის 6 (19) იანვარს II სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს საარჩევნო შეთანხმებათა საკითხის გადასაწყვეტად. კონფერენციას ესწრებოდა 70 დელეგატი (39 ბოლშევიკი და 31 მენშევიკი). როცა დარწმუნდნენ, რომ კონფერენცია კადეტებთან ბლოკის ტაქტიკას უარყოფს, მენშევიკები კონფერენციიდან წავიდნენ. ბოლშევიკმა დელეგატებმა მოისმინეს ლენინის მოხსენება საარჩევნო შეთანხმებათა შესახებ და კადეტებთან შეთანხმება პრინციპულად დაუშვებლად და პოლიტიკურად საზიანოდ აღიარეს. — 4.

8 «რეჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტების პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან. დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). — 6.

9 «როდნაია ზემლია» — ყოველკვირეული გაზეთი, რომელსაც ტრუდოვიკებთან დაახლოებული პოზიცია ეჭირა; გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წლის იანვრიდან აპრილამდე.

ტანი (ვ. გ. ბოგორაზის ფსევდონიმი) — პუბლიცისტი, ნახევრადკადეტური «სახალხო-სოციალისტური პარტიის» ერთ-ერთი ორგანიზატორი. — 8.

10 ლენინის ბროშურა «პეტერბურგის არჩევნები და 31 მესშვეიკის თვალთმაქცობა» რსდმპ პეტერბურგის კომიტეტმა გაავრცელა 3 000 ეგზემპლარის რაოდენობით. ბროშურის ძირითადი დებულებანი გადმოცემულია გაზეთებში «ჩვენი ცხოვრება» № 2, 1907 წლის 20 თებერვალი, და «დრო» № 30, 1907 წლის 14 აპრილი. — 23.

11 ლიდვალიადა — დიდი სპეკულანტის, 1906 წელს დამშეული გუბერნიებისათვის სურსათის მიმწოდებლის — ლიდვალისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის — ვ. ი. გურკოს საქმე. ხაზინის გაქურდვისა და შიმშილის სპეკულაციის გამოაშკარავებამ მეფის მთავრობა აიძულა საქმე სასამართლომდე მიეყვანა. მაგრამ დამნაშავენი არ დაუსჯიათ.

გერცენშტეინის მკვლელობა — კადეტის, I სახელმწიფო სათათბიროს წევრის, მკვლელობა მოახდინეს შავრაზმელებმა ფინეთში 1906 წლის 18 (31) ივლისს. — 30.

12 «სეგოდნია» — საღამოს ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგს 1906 — 1908 წლებში.

«რუს» — ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგს 1903 — 1908 წლებში დროგამოშვებით და სხვადასხვა სახელწოდებით: «რუს», «მოლვა», «XX ვეკ».

«სტრანა» — ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგს 1906 — 1907 წლებში. — 44.

13 იგულისხმება სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ 1905 წლის 11 (24) დეკემბრის კანონის გამო გამოცემული ინსტრუქციები და განმარტებანი, რომელთაც ბეჭდავდა მმართველი სენატი. საარჩევნო კანონის მუხლების «განმარტებათა» გამოქვეყნებით სენატი საარჩევნო უფლებებს ართმევდა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს — მუშებსა, გლეხებსა და არარუს ეროვნებებს. — 45.

14 ოქტიაბრისტები («17 ოქტომბრის კავშირი») — კონტრრევოლუციური პარტია მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიისა და ამ მსხვილი მემამულეებისა, რომელნიც კაპიტალისტურად ეწეოდნენ მეურნეობას; შეიქმნა 1905 წლის ნოემბერში. ოქტიაბრისტები სიტყვიერად აღიარებდნენ 17 ოქტომბრის მანიფესტს, ნამდვილად კი არ ესწრაფოდნენ თვითმპყრობელობის შეზღუდვას და სავსებით უჭერდნენ მხარს მეფის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ოქტიაბრისტების ლიდერები იყვნენ მსხვილი მრეწველი ა. ი. გუჩკოვი და უზარმაზარი მამულების მფლობელი მ. ვ. როძიანკო. — 46.

15 «გ ო ლ ო ს პ რ ი კ ა ზ ჩ ი კ ა» — ყოველკვირეული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე. — 49.

16 «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. თავდაპირველად ზომიერ-ლიბერალური გაზეთი იყო, XIX საუკუნის 70-იანი წლების დამლევს კი რეაქციული თავადაზნაურული და მოხელურ-ბიუროკრატიული წრეების ორგანო გახდა. გაზეთი ბრძოლას ეწეოდა არა მარტო რევოლუციური, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც. 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო. ლენინი «ნოვოე ვრემიას» მოსყიდული გაზეთების ნიმუშს უწოდებდა. — 56.

17 «ნ ა რ ო დ ო ვ ც ე ბ ი» (ნაციონალ-დემოკრატები) — პოლონეთის ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური ნაციონალისტური პარტია; შეიქმნა 1897 წელს. 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში «ნაროდოვცები» იქცნენ პოლონეთის კონტრრევოლუციის ძირითად პარტიად, «პოლონელ შავრაზმელთა» (ლენინი) პარტიად. — 61.

18 X — ვ. გ. ჩირკინი; 1907 წელს ემხრობოდა მენშევიკებს. — 67.

19 «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — ყოველდღიური გაზეთი; 1863 წლიდან მოსკოვში სცემდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალური პროფესორები და ერობის მოღვაწენი; გამოხატავდა ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს. 1905 წლიდან — შემარჯვენე კადეტების ორგანო; დაიხურა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ისე როგორც სხვა კონტრრევოლუციური გაზეთები. — 77.

20 «ბ ი რ ჟ ე ვ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1880 წლიდან. სახელწოდება «ბირჟევკა» საზოგადო სახელი გახდა ბურჟუაზიული პრესის უპრინციპობისა და გამყიდველობის აღსანიშნავად. გაზეთი დაიხურა 1917 წლის ოქტომბრის დამლევს. — 79.

21 «ნ ა შ ა ჟ ი ზ ნ» — ყოველდღიური გაზეთი, ახლოს იდგა კადეტების პარტიის მარცხენა ფრთასთან; დროგამოშვებით გამოდიოდა 1904 — 1906 წლებში პეტერბურგს. — 84.

22 პლუსები ცხრილში აღნიშნავს იმ ამრჩევლებს, რომლებიც შეიძლებოდა შავრაზმელებს შეხვედროდათ, თუ არჩევნების დროს ხმები გადაყოფოდა კადეტებსა და მემარცხენე ბლოკს შორის. — 85.

10 ლენინის ბროშურა «პეტერბურგის არჩევნები და 31 მეს-შევიკის თვალთმაქცობა» რსდმპ პეტერბურგის კომიტეტმა გაავრცელა 3 000 ეგზემპლარის რაოდენობით. ბროშურის ძირითადი დებულებანი გადმოცემულია გაზეთებში «ჩვენი ცხოვრება» № 2, 1907 წლის 20 თებერვალი, და «დრო» № 30, 1907 წლის 14 აპრილი. — 23.

11 ლიდვალიადა — დიდი სპეკულანტის, 1906 წელს დამშეულ-გუბერნიებისათვის სურსათის მიმწოდებლის — ლიდვალისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის — ვ. ი. გურკოს საქმე. ხაზინის გაქურდვისა და შიმშილის სპეკულაციის გამოაშკარავებამ მეფის მთავრობა აიძულა საქმე სასამართლომდე მიეყვანა. მაგრამ დამნაშავენი არ დაუსჯიათ.

გერცენშტეინის მკვლელობა — კადეტის, I სახელმწიფო სათათბიროს წევრის, მკვლელობა მოახდინეს შავრაზმელებმა ფინეთში 1906 წლის 18 (31) ივლისს. — 30.

12 «სეგოდნია» — საღამოს ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგს 1906 — 1908 წლებში.

«რუს» — ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგს 1903 — 1908 წლებში დროგამოშვებით და სხვადასხვა სახელწოდებით: «რუს», «მოლვა», «XX ვეკ».

«სტრანა» — ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგს 1906 — 1907 წლებში. — 44.

13 იგულისხმება სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შესახებ 1905 წლის 11 (24) დეკემბრის კანონის გამო გამოცემული ინსტრუქციები და განმარტებანი, რომელთაც ბეჭდავდა მმართველი სენატი. საარჩევნო კანონის მუხლების «განმარტებათა» გამოქვეყნებით სენატი საარჩევნო უფლებებს ართმევდა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს — მუშებსა, გლეხებსა და არარუს ეროვნებებს. — 45.

14 ოქტიაბრისტები («17 ოქტომბრის კავშირი») — კონტრრევოლუციური პარტია მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიისა და ამ მსხვილი მემამულეებისა, რომელნიც კაპიტალისტურად ეწეოდნენ მეურნეობას; შეიქმნა 1905 წლის ნოემბერში. ოქტიაბრისტები სიტყვიერად აღიარებდნენ 17 ოქტომბრის მანიფესტს, ნამდვილად კი არ ესწრაფოდნენ თვითმპყრობელობის შეზღუდვას და სავსებით უჭერდნენ მხარს მეფის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ოქტიაბრისტების ლიდერები იყვნენ მსხვილი მრეწველი ა. ი. გუჩკოვი და უზარმაზარი მამულების მფლობელი მ. ვ. როძიანკო. — 46.

15 «გ ო ლ ო ს პ რ ი კ ა ზ ჩ ი კ ა» — ყოველკვირეული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე. — 49.

16 «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. თავდაპირველად ზომიერ-ლიბერალური გაზეთი იყო, XIX საუკუნის 70-იანი წლების დამლევს კი რეაქციული თავადაზნაურული და მოხელურ-ბიუროკრატიული წრეების ორგანო გახდა. გაზეთი ბრძოლას ეწეოდა არა მარტო რევოლუციური, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც. 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო. ლენინი «ნოვოე ვრემიას» მოსყიდული გაზეთების ნიმუშს უწოდებდა. — 56.

17 «ნ ა რ ო დ ო ვ ც ე ბ ი» (ნაციონალ-დემოკრატები) — პოლონეთის ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური ნაციონალისტური პარტია; შეიქმნა 1897 წელს. 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდში «ნაროდოვცები» იქცნენ პოლონეთის კონტრრევოლუციის ძირითად პარტიად, «პოლონელ შავრაზმელთა» (ლენინი) პარტიად. — 61.

18 X — ვ. გ. ჩირკინი; 1907 წელს ემხრობოდა მენშევიკებს. — 67.

19 «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — ყოველდღიური გაზეთი; 1863 წლიდან მოსკოვში სცემდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალური პროფესორები და ერობის მოღვაწენი; გამოხატავდა ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს. 1905 წლიდან — შემარჯვენე კადეტების ორგანო; დაიხურა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ისე როგორც სხვა კონტრრევოლუციური გაზეთები. — 77.

20 «ბ ი რ ჟ ე ვ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1880 წლიდან. სახელწოდება «ბირჟევკა» საზოგადო სახელი გახდა ბურჟუაზიული პრესის უპრინციპობისა და გამყიდველობის აღსანიშნავად. გაზეთი დაიხურა 1917 წლის ოქტომბრის დამლევს. — 79.

21 «ნ ა შ ა ჟ ი ზ ნ» — ყოველდღიური გაზეთი, ახლოს იდგა კადეტების პარტიის მარცხენა ფრთასთან; დროგამოშვებით გამოდიოდა 1904 — 1906 წლებში პეტერბურგს. — 84.

22 პლუსები ცხრილში აღნიშნავს იმ ამრჩევლებს, რომლებიც შეიძლებოდა შავრაზმელებს შეხვედროდათ, თუ არჩევნების დროს ხმები გაეყოფოდა კადეტებსა და მემარცხენე ბლოკს შორის. — 85.

**23** «ტ ე ლ ე გ რ ა ფ» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგს 1907 წლის იანვარ-თებერვალში. — **86.**

**24** «ტ რ უ დ» — ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში. ამ გაზეთის ნომრები დღემდე ნაპოვნი არ არის. — **87.**

**25** «ნ ა შ მ ი რ» — ყოველკვირეული მენშევიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგს 1907 წლის იანვარ-თებერვალში. — **90.**

**26** იგულისხმება ქ. პეტერბურგის მოსკოვის რაიონის ანგარიში II სათათბიროს არჩევნების შესახებ, მოთავსებული «პროლეტარის» მე-13 ნომერში. ანგარიშში აღწერილია არჩევნები რეჩკინის ქარხანაში, სადაც მუშებმა ესერი აირჩიეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ უნდოდათ აერჩიათ მენშევიკი — კადეტებთან შეთანხმების მომხრე. — **91.**

**27** დოკუმენტს სათაური არა აქვს. დასათაურებულია მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ. — **98.**

**28** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 364. — **107.**

**29** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 208 — 210. — **112.**

**30** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 184. — **113.**

**31** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 199. — **113.**

**32** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXV, 1936, გვ. 544. — **114.**

**33** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXV, 1936, გვ. 473. — **115.**

**34** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 217 — 218. — **115.**

**35** ლენინს მხედველობაში აქვს «მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის გენერალური საბჭოს მეორე მოწოდება საფრანგეთ-პრუსიის ომის

შესახებ», რომელიც მარქსმა დაწერა 1870 წლის 9 სექტემბერს ლონდონში (იხ. კ. მარქსი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში», 1940, გვ. 25 — 32). — **117.**

**36** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 262 — 264. — **120.**

**37** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 264. — **122.**

**38** ნაციონალისტ-ავტონომისტებს ლენინი უწოდებს პოლონეთის დეპუტატებს II სახელმწიფო სათათბიროში. — **123.**

**39** კრუშევანი, პ. ა. — შავრაზმული «რუსი ხალხის კავშირის» ერთ-ერთი მეთაური. — **127.**

**40** იხ. ენგელსის ნაშრომი «სოციალიზმი გერმანიაში», დაწერილი 1891 წელს (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 245). იგივე აზრი ენგელსმა გაიმეორა 1895 წელს «შესავალში» კ. მარქსის ბროშურისა «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში» (იხ. კ. მარქსი. «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში», 1940, გვ. 24). — **128.**

**41** «ტერნიი ტრუდა» — ბოლშევიკური ლეგალური ყოველკვირეული ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგს 1906 წლის დეკემბერ — 1907 წლის იანვარში. გამოვიდა სამი ნომერი. პოლიციამ ყველა ნომრის კონფისკაცია მოახდინა, ყოველკვირეულის გამოცემა აკრძალა პეტერბურგის სასამართლო პალატამ. — **131.**

**42** «ზრენიე» — ბოლშევიკური ლეგალური ყოველკვირეული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წელს მეორე სათათბიროს წინასაარჩევნო კამპანიის დროს ლენინის უახლოესი მონაწილეობით. გამოვიდა ორი ნომერი (№ 1 — 25 იანვარს (7 თებერვალს) და № 2 — 4 (17) თებერვალს). ორივე ნომერი კონფისკებულ იქნა, გაზეთის გამოცემა კი პეტერბურგის სასამართლო პალატამ აკრძალა. — **131.**

**43** სარატოვსა და ნიჟნი-ნოვგოროდში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მემარცხენე ბლოკის კანდიდატებმა გაიმარჯვეს. სარატოვში 80 ამრჩევლიდან არჩეულ იქნა 65 მემარცხენე და 15 კადეტი, ნიჟნი-ნოვგოროდში — 39 მემარცხენე ამრჩეველი, 38 კადეტი და 3 ოქტიაბრისტი. — **139.**

**44** პეტერბურგის (საქალაქო და საოლქო) სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენცია

შესდგა 1907 წლის თებერვალში. კონფერენციას გადამწყვეტი ხმით ესწრებოდა 27 კაცი, სათათბირო ხმით — 14 (მათ შორის რამდენიმე ამრჩეველი მუშათა კურიიდან). დღის წესრიგი: 1) სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების მომავალი არჩევნები ქალაქ პეტერბურგში და მუშათა კურია. 2) სოციალ-დემოკრატიის სათათბიროს კამპანია და სათათბიროს ტაქტიკა. 3) ყრილობის კამპანია, ე. ი. მზადება პარტიული სოციალ-დემოკრატიული ყრილობისათვის. 4) პეტერბურგის ორგანიზაციის რეორგანიზაცია. 5) სასამართლო ნ. ლენინის საქმის გამო (იგულისხმება მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის მიერ ლენინის პასუხისგებაში მიცემა ბროშურის — «პეტერბურგის არჩევნები და 31 მენშევიკის თვალთმაქცობა» — გამოქვეყნებისათვის). 6) გათიშული მენშევიკებისადმი დამოკიდებულება. 7) ლიტერატურული აგიტაცია პეტერბურგში.

პირველი საკითხის განხილვის შემდეგ კონფერენციამ დაასახელა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის ორი კანდიდატი და აირჩია კომისია მუშა რწმუნებულებისა, ამრჩევლებისა და დეპუტატებისათვის განაწესის პროექტის შესამუშავებლად.

კონფერენციამ მოიწონა ლენინის მოხსენება სოციალ-დემოკრატიის სათათბიროს კამპანიისა და სათათბიროს ტაქტიკის შესახებ, დაამტკიცა პეტერბურგის ორგანიზაციის ორგანიზაციული აღნაგობის ძირითადი პრინციპები, რომლებიც პეტერბურგის კომიტეტმა შეიმუშავა. მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის მიერ ლენინის სამართალში მიცემის საკითხთან დაკავშირებით კონფერენციამ სცნო, რომ პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გათიშვის დამნაშავენი არიან მენშევიკები; დაგმო ცენტრალური კომიტეტის წევრის მენშევიკ დანის გამთიშველი მოქმედება და სავსებით დაუჭირა მხარი ლენინს. კონფერენციამ აირჩია კომისია პარტიული პრესის კონტროლისათვის და დელეგატებად წარგზავნა პეტერბურგის ორგანიზაციის წარმომადგენლები გაზეთების — «პროლეტარისა» და «ვპერიოდის» რედაქციებში. კონფერენციამ აირჩია დელეგატები ბოლშევიკური ორგანიზაციების თათბირზე რსდმპ V ყრილობისათვის პლატფორმის შესამუშავებლად. — **140.**

**45** ლენინის მოხსენების გამო გამართულ კამათში აღიძრა საკითხი, უნდა შემოიფარგლოს თუ არა რევოლუციურ დემოკრატიასთან სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეთანხმებანი მხოლოდ და მხოლოდ საბრძოლო მომენტებით (აჯანყება, გაფიცვა) და საჭირო ხომ არ არის ამ შემთხვევებში საერთო და ერთიანი რევოლუციური ორგანიზაცია. — **145.**

46 ბოლშევიკების რეზოლუციების პროექტები რსდმპ V ყრილობისათვის მიღებულ იქნა პეტერბურგისა და მოსკოვის კომიტეტების, მოსკოვის საოლქო კომიტეტის, ცენტრალური სამრეწველო რაიონის საოლქო ბიუროს და გაზეთ «პროლეტარის» რედაქციის წარმომადგენელთა კრებაზე. კრება შესდგა 1907 წლის 15—18 თებერვალს (28 თებერვალს — 3 მარტს). პროექტები დაიგზავნა როგორც მასალა პარტიული დისკუსიისათვის და ყრილობის მოსამზადებლად. რეზოლუციების პროექტები გამოქვეყნდა ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ «ნოვი ლუჩში» №№ 6 და 7, 1907 წლის 25 და 27 თებერვალს, და გაზეთ «პროლეტარში» № 14, 1907 წლის 4 მარტს. პროექტი რეზოლუციისა ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ დაიბეჭდა აგრეთვე ქართულ ენაზე გაზეთში «ჩვენი ცხოვრება» № 9, 1907 წლის 28 თებერვალს. — **147.**

47 ქ. პეტერბურგის მუშათა კრებამ, რომელიც რსდმპ პეტერბურგის კომიტეტმა მოიწვია 1906 წლის 4 (17) სექტემბერს, 74 ხმით 11 ხმის წინააღმდეგ დაგმო «მუშათა ყრილობის» მენშევიკური ლოზუნგი.

1906 წლის სექტემბერში შესდგა ცენტრალური რაიონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მე-2 კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენსკის, ბრიანსკის, ნიჟნი-ნოვგოროდის, სორმოვოს, ორიოლის, სმოლენსკის და სხვა ქალაქების, ცენტრალური კომიტეტისა და გაზეთ «პროლეტარის» რედაქციის წარმომადგენლები. «მუშათა ყრილობის» საკითხზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელმაც «მუშათა ყრილობისათვის» აგიტაცია მავნე დემაგოგიად სცნო. — **159.**

48 «L'Humanité» («კაცობრიობა») — ყოველდღიური გაზეთი, 1904 წელს დააარსა ჟ. ჟორესმა როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო. 1920 წლის დეკემბრის კონგრესზე სოციალისტური პარტიის გათიშვისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შექმნის შემდეგ მალე გაზეთი კომუნისტური პარტიის ორგანო გახდა. «ლიუმანიტე» ამჟამადაც გამოდის პარიზში როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — **161.**

49 სტატია «მეორე სახელმწიფო სათათბიროს გახსნა» მოწინავე სტატიად გამოქვეყნდა გაზეთ «ნოვი ლუჩის» 1-ლ ნომერში.

«ნოვი ლუჩ» — ყოველდღიური ბოლშევიკური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი; ლეგალურად გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წლის 20-დან 27 თებერვლამდე (5-დან 12 მარტამდე) ვ. ი. ლენინის

უახლოესი მონაწილეობით: გაზეთის ყველა ნომერში, გარდა მესამე ნომრისა, მოთავსებულია ლენინის სტატიები. «ნოვი ლუჩში» თანამშრომლობდნენ: ა. მ. გორკი, ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი, ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი და სხვები. მეშვიდე ნომერზე გაზეთი დახურა პეტერბურგის ქალაქის უფროსმა. ზოგიერთი სტატია განყოფილებისა — «პარტიის ცხოვრებიდან» გადაიბეჭდა ბოლშევიკურ გაზეთში «ჩვენი ცხოვრება» ქართულ ენაზე. — **170.**

**50** სტატია «მეორე სათათბირო და პროლეტარიატის ამოცანები» გამოქვეყნდა გაზეთ «რაბოჩში» № 2.

«რაბოჩი» — რსდმპ ვიბორგის რაიონის ოხტისა და სამპსონის ქვერაიონული ორგანიზაციების არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი; მე-3 ნომრიდან — რსდმპ ვიბორგისა და პეტერბურგის რაიონების ოხტის, სამპსონის, აფთიაქისა და კამენნი ოსტროვის ქვერაიონული ორგანიზაციების გაზეთი. გამოდიოდა 1907 წლის 13 (26) თებერვლიდან როგორც მასობრივი პოპულარული ორგანო. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ ვ. ი. ლენინი, ე. მ. იაროსლავსკი და სხვები. 1907 წლის ივნისის დამდეგს პოლიციამ გაზეთის სტამბა დაარბია და მისი გამოცემა შეწყდა. — **175.**

**51** «რუსსკაია ჟიზნ» — მემარცხენე-კადეტური მიმართულების ლეგალური ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წლის იანვრიდან მარტამდე. 38-ე ნომრიდან მენშევიკების ხელში გადავიდა. გამოვიდა 52 ნომერი. — **180.**

**52** «სოვრემიონნაია რეჩ» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წლის იანვრიდან მაისამდე, მხარს უჭერდა კადეტებს. — **185.**

**53** «პირველი კრებული» — ბოლშევიკური კრებული, მიძღვნილი პირველი სათათბიროს შედეგებისა და მეორე სათათბიროს პერსპექტივების ანალიზისადმი, გამოვიდა 1907 წელს «ნოვაია დუმას» გამოცემით. კრებულში ბოლშევიკური გაზეთებიდან — «ვოლნადან», «ვპერიოდიდან» და «ეხოდან» გადაბეჭდილია ლენინის სტატიები: «მუშათა ჯგუფი სახელმწიფო სათათბიროში», «მუშა-დეპუტატების მიმართვის გამო», «ერთიანობისაკენ!», «სათათბიროს ჩვენი ფრაქციის დეკლარაციის გამო», «სათათბიროს პარტიები და ხალხი». — **198.**

**54** «ნოვაია ჟიზნ» — ტრუდოვიკების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგს 1907 წლის თებერვალში. — **203.**

55 სტატია «კადეტები და ტრუდოვიკები» პირველად დაიბეჭდა გაზეთში «რაბოჩაია მოლვა».

«რაბოჩაია მოლვა» — ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი. პირველი ნომერი, რომელიც პეტერბურგში გამოვიდა 1907 წლის 1 (14) მარტს, მაშინვე კონფისკებულ იქნა, «რაბოჩაია მოლვას» გამოცემა კი აკრძალეს. — **216.**

56 ლენინი გულისხმობს რეზოლუციას — «სოციალისტური ტაქტიკის საერთაშორისო წესები», რომელიც II ინტერნაციონალის ამსტერდამის კონგრესმა მიიღო 1904 წლის აგვისტოში. რეზოლუცია სოციალისტებს უკრძალავდა ბურჟუაზიულ მთავრობებში მონაწილეობის მიღებას და უარყოფდა სოციალისტური პარტიების თანამშრომლობას ბურჟუაზიულ პარტიებთან. — **218.**

57 იგულისხმება I სახელმწიფო სათათბიროს წევრის ნ. ა. ბოროდინის წიგნი «სახელმწიფო სათათბირო ციფრებში», პეტერბურგი, 1906 წელი. 153 კადეტიდან I სათათბიროში, ნ. ა. ბოროდინის გამოანგარიშებით, 92 თავადაზნაური იყო. მათგან ჰქონდა მიწები: 5 000-დან 10 000 დესეტინამდე — 3 კაცს, 2 000-დან 5 000 დესეტინამდე — 8 კაცს, 1 000-დან 2 000 დესეტინამდე — 8 კაცს, 500-დან 1 000 დესეტინამდე — 30 კაცს. ამრიგად, კადეტ დეპუტატთა დაახლოებით მესამედი ნაწილი მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ. — **219.**

58 დოკუმენტი — «სტოლიპინის დეკლარაციის გამო» წარმოადგენს II სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოწოდების პროექტს მთავრობის იმ დეკლარაციის პასუხად, რომელიც სტოლიპინმა გამოაქვეყნა სათათბიროში 1907 წლის 6 (19) მარტს. პროექტი ლენინმა წინასწარ დაწერა და იგი განხილულ იქნა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სხდომაზე 1907 წლის 28 თებერვალს (13 მარტს). სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში მენშევიკები სჭარბობდნენ, ამიტომ ფრაქციამ მიიღო მენშევიკური მოწოდების პროექტი, რომელიც გამოაქვეყნა სათათბიროში დეპუტატმა წერეთელმა. — **221.**

59 სტატია «სათათბიროს არჩევნები და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა», რომელიც გერმანულ ენაზე დაიბეჭდა ჟურნალში **«Die Neue Zeit»** № 26, 1907 წლის 27 მარტს (ახალი სტილით), ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა ბოლშევიკურ გაზეთში «დრო» №№ 24 და 25, 1907 წლის 7 და 8 აპრილს. — **225.**

60 ლენინი გულისხმობს აგრარულ კანონებს, რომლებიც სტოლიპინმა გამოსცა 1906 წლის ნოემბერში. 1906 წლის 9 (22) ნოემბერს გამოიცა ბრძანებულება თემებიდან გლეხთა გამოსვლისა და სანადელო ნაკვეთების საკუთრებად მიმაგრების შესახებ და 15 (28) ნოემბერს — გლეხთა საადგილმამულო ბანკის მიერ სესხთა გაცემის შესახებ სანადელო მიწების გირავნობით.

სტოლიპინის საადგილმამულო რეფორმის შესახებ იხ. ლენინის ნაწარმოები «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა 1905—7 წლების რუსეთის პირველ რევოლუციაში», აგრეთვე «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 120—121 (სახელგამი, 1949). — **244.**

61 პირველი თავი სტატიისა «რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი  ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ-რ ა ტ ი ი ს  პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა» დაიბეჭდა «პროლეტარის» 1907 წლის 4 მარტის მე-14 ნომერში, მეორე თავი — დაწერილია 12 (25) მარტს და დაიბეჭდა «პროლეტარის» 1907 წლის 25 მარტის მე-15 ნომერში. — **246.**

62 მეორე სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე 1907 წლის 7 (20) მარტს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წინადადება შეიტანა სათათბიროსთან შექმნილიყო სასურსათო კომისია 1905—1907 წლებში დამშეულთა დახმარების აღმოჩენის დარგში მთავრობის მოქმედების განსახილველად. წინადადებას იძლეოდნენ შეემოწმებინათ სამინისტროს ანგარიში ფულადი სახსრების ხარჯვის შესახებ და გამოერკვიათ დამშეული გუბერნიების მდგომარეობა. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრა კადეტმა როდიჩევმა, რომელსაც მთავრობის სახელით მხარი დაუჭირა სტოლიპინმა. — **247.**

63 «რ ო ს ს ი ა» — ყოველდღიური პოლიციურ-შავრაზმული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1905—1914 წლებში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო. — **248.**

64 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 378. — **252.**

65 სტატია «რ ო გ ო რ  ა რ  უ ნ დ ა  ი წ ერ ე ბ ო დ ე ს  რ ე ზ ო ლ უ ც ი ე ბ ი» გამოქვეყნდა «ტაქტიკის საკითხების» მეორე კრებულში.

«ტ ა ქ ტ ი კ ი ს  ს ა კ ი თ ხ ე ბ ი» — ბოლშევიკური კრებულები, მიძღვნილნი რსდმპ V ყრილობის მომზადებისადმი, დაბეჭდა პეტერბურგში 1907 წლის აპრილს წიგნის გამომცემლობამ «ნოვაია დუმამ».

გამოვიდა ორი კრებული. მეორე კრებულის კონფისკაცია მოახდინა ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტმა. — 255.

66 პ ე დ ე რ ა კ ი — ირონიული სახელწოდება «დემოკრატიული რეფორმების პარტიისა», — ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის ერთ-ერთი პოლიტიკური დაჯგუფება. შეიქმნა 1906 წლის დამდეგს I სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს; ეჭირა კადეტების პარტიაზე უფრო მემარჯვენე პოზიცია. — 278.

67 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 378. — 279.

68 რ ს დ მ პ «ე ს ტ ო ნ ე თ ი ს მ ხ ა რ ი ს კ ა ვ შ ი რ ი ს» კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა შესდგა 1907 წლის თებერვლის მეორე ნახევარში. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა ქ. რეველის, ნარვის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ესტონეთის სოციალ-დემოკრატიული სასოფლო ორგანიზაციების 18 დელეგატი გადამწყვეტი ხმით. ესწრებოდა აგრეთვე პეტერბურგისა და რიგის 3 დელეგატი, რომელთაც ესტონურ ენაზე პროპაგანდისა და აგიტაციის საკითხებში გადამწყვეტი ხმის უფლება ჰქონდათ.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეზოლუციები: სამხედრო ორგანიზაციებისა და მებრძოლი რაზმების, აგრარული საკითხის, პროფესიული კავშირების, სხვა ადგილობრივი პარტიებისადმი დამოკიდებულებისა და სახელმწიფო სათათბიროსადმი დამოკიდებულების შესახებ და აგრეთვე რსდმპ «ესტონეთის მხარის კავშირის» წესდება. — 283.

69 დოკუმენტს სათაური არა აქვს. დასათაურებულია მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ. — 286.

70 პ ო ლ ო ნ ე თ ი ს კ ო ლ ო — სახელმწიფო სათათბიროთა პოლონელი დეპუტატების გაერთიანება. I და II სათათბიროში ამ გაერთიანების ხელმძღვანელი ბირთვი ეკუთვნოდათ ნაროდოვცებს — პოლონელ შავრაზმელებს. სათათბიროს ტაქტიკის ყველა ძირითად საკითხში პოლონეთის კოლო მხარს უჭერდა ოქტიაბრისტებსა და მემარჯვენეებს. — 291.

71 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ» — გაზეთი, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის არალეგალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგს 1906 წლის სექტემბერ-ნოემბერში; ფაქტიურად მენშევიკური ორგანო იყო, რადგან მაშინ ცენტრალური კომიტეტი მენშევიკების ხელში იმყოფებოდა. გამოვიდა შვიდი ნომერი. — 294.

72 «იზვესტია კრესტიანსკიხ დეპუტატოვ» — ყოველდღიური გაზეთი, I სახელმწიფო სათათბიროს შრომის ჯგუფის ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგს 1906 წლის მაისში. — **302.**

73 სიტყვის პროექტი ლენინმა დაწერა სოციალ-დემოკრატ დეპუტატის გ. ა. ალექსინსკის გამოსვლისათვის სათათბიროში აგრარულ საკითხზე კამათის დროს. ალექსინსკიმ თავის გამოსვლაში 1907 წლის 5 (18) აპრილს პროექტი მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენა. — **314.**

74 ლენინი გულისხმობს თავადაზნაურთა საგუბერნიო კომიტეტებს საგლეხო რეფორმის წინასწარი პროექტების შესადგენად. კომიტეტების უმრავლესობა, მას შემდეგ, რაც მან ამაოდ მოინდომა რეფორმის შეჩერება, შეეცადა თავის პროექტებში თავადაზნაურობის რაც შეიძლება მეტი ბატონყმური პრივილეგიები შეენარჩუნებინა. გლეხთა განთავისუფლებასთან ერთად, «მათი საადგილმამულო ურთიერთობის მოსაგვარებლად და მათი წოდებრივი მმართველობისადმი საზედამხედველოდ», შემოღებულ იქნა მომრიგებელ შუამავალთა ინსტიტუტი. მომრიგებელ შუამავლებს ადგილობრივი თავადაზნაურების რიცხვიდან ნიშნავდა გუბერნატორი და ამტკიცებდა სენატი. — **321.**

75 «რუსსკაია პრავდა» — XI—XII საუკუნეების კიევის რუსეთის სამსჯავრო ადათების და მთავრების დადგენილებათა ჩვენს დრომდე მოღწეული პირველი წერილობითი კრებულია, რომელიც 1738 წელს აღმოაჩინეს ნოვგოროდის პირველი მატიანის ნუსხაში. «რუსსკაია პრავდის» კანონდებულებებში თავისი იურიდიული გაფორმება ჰპოვა იმ ფეოდალურმა ურთიერთობამ, რომელიც კიევის რუსეთში ყალიბდებოდა. არსებობს ცნობები «რუსსკაია პრავდის» 112 ნუსხის შესახებ სხვადასხვა რედაქციით. უკანასკნელი გამოცემა იხ. «პრავდა რუსსკაია», ტომი I, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, 1940. — **322.**

76 იგულისხმება ნ. კარიშევის ნაშრომი «გლეხთა არასანადელო იჯარები», რომელიც გამოქვეყნდა II ტომში წიგნისა — «შედეგები რუსეთის ეკონომიური გამოკვლევისა საერობო სტატისტიკის მონაცემების მიხედვით» (დერპტი, 1892). — **325.**

77 ლენინის მიერ მითითებული გაანგარიშება ხელნაწერში არ აღმოჩნდა. — **331.**

78 «ვპერიოდ» — ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 26 მაისიდან (8 ივნისიდან)

მთავრობის მიერ დახურულ გაზეთ «ვოლნას» ნაცვლად. გაზეთში ხელმძღვანელი როლი ლენინს ეკუთვნოდა. გაზეთში დაბეჭდილი ლენინის სტატიები უმთავრესად რუსეთის პირველი რევოლუციის ტაქტიკურ საკითხებს ეხება. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ მ. ს. ოლმინსკი, ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი. გაზეთს არაერთხელ გაუკეთეს კონფისკაცია და დაადეს ყადაღა. 1906 წლის 14 (27) ივნისს მე-17 ნომერზე გაზეთი დახურეს. «ვპერიოდის» ნაცვლად გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთი «ეხო». — **347.**

**79** ლენინი გულისხმობს ნ. გ. ჩერნიშევსკის რომანის «პროლოგის» იმ ადგილს, სადაც რომანის გმირი ვოლგინი იმ მითითებაზე, რომ პროგრესისტებსა და მემამულეთა პარტიას შორის უზარმაზარი განსხვავებაოო, უპასუხებს: «არა, უზარმაზარი კი არა, უმნიშვნელოა... უზარმაზარი იქნებოდა, გლეხებს რომ მიწა გამოუსყიდველად მიეღოთ. გამოართმევთ კაცს ნივთს თუ დაუტოვებთ მას, მაგრამ ამ ნივთის ფასს გადაახდევინებთ, — ეს სულერთია. მემამულეთა პარტიის გეგმა პროგრესისტების გეგმისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ უფრო მარტივი და მოკლეა. ამიტომ ის უკეთესიც კი არის. ნაკლები დაბრკოლებებია, ალბათ, ნაკლებ დამამძიმებელიცაა გლეხებისათვის. გლეხთაგან ვისაც ფული აქვს, ის იყიდის თავისთვის მიწას. ვისაც ფული არა აქვს, ვერც დაავალდებულებ იყიდოს. ეს მხოლოდ გააღატაკებს მათ. გამოყიდვა — იგივე ყიდვაა» (ნ. გ. ჩერნიშევსკი. რჩეული თხზულებანი, ტ. V, 1932, გვ. 480). ეს ციტატი ლენინს მოჰყავს აგრეთვე თავის ნაშრომში «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 1, გვ. 331). — **349.**

**80** «ნ ა რ ო დ ნ ა ი ა დ უ მ ა» — ყოველდღიური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგს 1907 წლის მარტ-აპრილში. — **380.**

**81** ბ ა ზ ა რ ო ვ ი — ერთ-ერთი მთავარი გმირი ი. ს. ტურგენევის ნაწარმოებისა «მამები და შვილები». — **380.**

**82** «ბ ე ზ ზ ა გ ლ ა ვ ი ე ლ ე ბ ი» — ორგანიზატორები და მონაწილენი ჟურნალისა «ბეზ ზაგლავია», რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წელს, — ს. ნ. პროკოპოვიჩი, ე. დ. კუსკოვა, ვ. ი. ბოგუჩარსკი და სხვები. «ბეზზაგლავიელები» აშკარად აცხადებდნენ თავს რევიზიონიზმის მომხრეებად, მხარს უჭერდნენ მენშევიკებსა და ლიბერალებს, გამოდიოდნენ პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკის წინააღმდეგ. ლენინი «ბეზზაგლავიელებს» უწოდებდა მომენშევიკო კადეტებს ანუ მოკადეტო მენშევიკებს. — **383.**

83 პ ო ს ე, ვ. ა. — ბურჟუაზიული ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე; 1906 — 1907 წლებში გამოდიოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან დამოუკიდებელი რუსეთის მუშათა კოოპერაციული ორგანიზაციების შექმნის მომხრედ. — **383.**

84 «ნ ა შ ე ე ხ ო» — ყოველდღიური ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წლის 25 მარტიდან (7 აპრილიდან) 10 (23) აპრილამდე ვ. ი. ლენინის უახლოესი მონაწილეობით. თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ლენინის სტატიები. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ მ. ს. ოლმინსკი, ვ. ვ. ვოროვსკი და სხვები. გამოვიდა 14 ნომერი. გაზეთის გამოცემა აკრძალა პეტერბურგის ქალაქის უფროსმა.. — **386.**

85 «ო ტ გ ო ლ ო ს კ ი» — მენშევიკური კრებულები, გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წელს. — **393.**

86 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VII, 1930, გვ. 57 — 61. — **406.**

87 ლენინს მხედველობაში აქვს ტრუდოვიკების, სახალხო სოციალისტებისა და ესერების ხმისმიცემა II სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეობის კანდიდატის კადეტ ფ. ა. გოლოვინის სასარგებლოდ. «დუმილის ტაქტიკად» იგულისხმება ტრუდოვიკების დამოკიდებულება მთავრობის დეკლარაციისადმი, რომელიც სტოლიპინმა სათათბიროში გამოაქვეყნა 1907 წლის 6 (19) მარტს. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის იმ წინადადებაზე, რომ გამოსულიყვნენ მთავრობის კრიტიკით, ტრუდოვიკებმა უპასუხეს: გადავწყვიტეთ დეკლარაციას «სამარისებური დუმილით» შევხვდეთ და ამის თაობაზე უკვე შევუთანხმდით ოპოზიციური ფრაქციების უმრავლესობას, კერძოდ კადეტებსაო. სათათბიროში ბიუჯეტის განხილვის დროს ტრუდოვიკებმა კადეტებთან ერთად ხმა მისცეს სახელმწიფო ბიუჯეტის გადაცემას სათათბიროს საბიუჯეტო კომისიაში. — **406.**

88 ნ. რ. — ნ. ა. როჟკოვი, ისტორიკოსი, სოციალ-დემოკრატი, 1907 წელს ბოლშევიკებს ემხრობოდა. — **411.**

89 ესერების პარტიის ოფიციალური ორგანო იყო «პარტიინიე იზვესტია», რომელიც გამოდიოდა 1906 წლის ოქტომბრიდან 1907 წლის მაისამდე. — **417.**

90 «პ რ ი ვ ე ტ» — ყოველკვირეული მენშევიკური ჟურნალი, გამოდიოდა 1907 წლის მარტს პეტერბურგში. გამოვიდა ორი ნომერი. — **424.**

91 «ნ ა ჩ ა ლ ო» — ყოველდღიური ლეგალური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგს 1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში. — **428.**

92 «ს ო ვ რ ე მ ი ო ნ ნ ა ი ა ჟ ი ზ ნ» — მენშევიკური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლის აპრილიდან 1907 წლის მარტამდე.

«ო ტ კ ლ ი კ ი» — მენშევიკური კრებულები, გამოდიოდა 1906 — 1907 წლებში პეტერბურგს. გამოვიდა სამი კრებული. — **440.**

93 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 396. — **441.**

94 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 402 — 403. — **441.**

95 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 400 — 401. — **442.**

96 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 349. — **442.**

97 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 398. — **443.**

98 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 397.

«შ რ ო მ ის რ ა ი ნ დ ე ბ ი» — «შრომის რაინდთა კეთილშობილი ორდენი» 1869 წელს შექმნა ამერიკაში თერძმა სტივენსმა; აერთიანებდა, უმთავრესად, არაკვალიფიციურ მუშებს. ორდენი უარყოფდა პოლიტიკურ ბრძოლას და ქადაგებდა კლასთა შორის თანამშრომლობას. 90-იანი წლების დამდეგს «შრომის რაინდთა» ორდენი დაიშალა. — **448.**

99 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 312 — 313. — **446.**

100 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 63 — 65. — **447.**

**101** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 72. — **447.**

**102** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 97. — **447.**

**103** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 223 — 224.

ჟურნალს «სოციალურ მეცნიერებათა და სოციალური პოლიტიკის წელიწდეულს» 1879 წელს ციურიხში სცემდა გერმანელი სოციალ-დემოკრატი, რეფორმისტი კ. ხეხბერგი. — **448.**

**104** ლაპარაკია გერმანიის რაიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში ნაოსნობის სუბსიდირების საკითხის გამო წამოჭრილ უთანხმოებაზე. 1884 წლის დამლევს გერმანიის კანცლერმა ბისმარკმა გერმანიის დაპყრობითი კოლონიური პოლიტიკის ინტერესებისათვის რაიხსტაგს მოსთხოვა დაემტკიცებინა სუბსიდიები კერძო მეწარმეთათვის სანაოსნო რეისების მოსაწყობად აღმოსავლეთ აზიასა, ავსტრალიასა და აფრიკასთან. ამ საკითხმა მწვავე უთანხმოება გამოიწვია რაიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში. ჯერ კიდევ ოფიციალურ გამოსვლებამდე რაიხსტაგის მემარჯვენეებმა, რომლებიც ფრაქციის უმრავლესობას შეადგენდნენ, მხარი დაუჭირეს სანაოსნო საზოგადოებათათვის სუბსიდიების მიცემას. რაიხსტაგში საკითხის განხილვის დროს 1885 წლის მარტში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მემარჯვენე ფრთამ ხმა მისცა აღმოსავლეთ აზიისა და ავსტრალიის სანაოსნო ხაზების გაყვანის სასარგებლოდ, ხოლო აფრიკისა და სხვა ხაზების გაყვანაზე თავისი თანხმობის პირობად წამოაყენა მოთხოვნა, რომ ახალი გემები გერმანიის ნავსაშენებში აგებულიყო. რაიხსტაგმა ეს წინადადება უარყო, და მხოლოდ მაშინ მთელმა ფრაქციამ ხმა მისცა საერთოდ სუბსიდიების წინააღმდეგ.

ენგელსმა 1884 წლის 31 დეკემბრის წერილში ზორგესადმი დაგმო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მემარჯვენე ფრთის ოპორტუნისტული პოზიცია (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 444 — 445). — **448.**

**105** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 471. — **449.**

**106** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 625 — 626. — **449.**

**107** «პოსიბილისტები» — საფრანგეთის მუშათა პარტიის წვრილ-ბურჟუაზიული, რეფორმისტული ნაწილი, რომელიც პარტიას 1882 წელს გაეთიშა. პოსიბილისტები მუშათა კლასის საქმიანობას ფარგლავდნენ კაპიტალიზმის დროს «შესაძლებლის» («possible») ჩარჩოებით. 1902 წელს, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საპირისპიროდ, პოსიბილისტებმა სხვა რეფორმისტულ ჯგუფებთან ერთად შექმნეს ფრანგული ოპორტუნისტული სოციალისტური პარტია. 1905 წელს ორივე პარტია ერთ პარტიად გაერთიანდა. — **440**.

**108** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVIII, 1940, გვ. 71. — **450**.

**109** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVIII, 1940, გვ. 109 — 110. — **450**.

**110** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVIII, 1940, გვ. 127 — 128. — **450**.

**111** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVIII, 1940, გვ. 135 — 137. — **451**.

**112** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVIII, 1940, გვ. 138. — **451**.

**113** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVIII, 1940, გვ. 37. — **451**.

**114** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIX, 1946, გვ. 185. — **452**.

**115** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIX, 1946, გვ. 336. — **453**.

**116** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIX, 1946, გვ. 346. — **453**.

**117** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 332. — **454**.

**118** იხ. კ. მარქსი. «გოთას პროგრამის კრიტიკა», 1940, გვ. 35. — **455**.

**119** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 398. — **456**.

**120** დეკაზვილის გაფიცვა — ფრანგ მემარცხენეთა გაფიცვა 1886 წლის იანვარს ქ. დეკაზვილში ჩაახშეს მთავრობის ჯარებმა. ბურჟუაზიულმა დეპუტატებმა, მათ შორის რადიკალებმაც, მხარი დაუჭირეს მთავრობას და რეპრესიებს გაფიცულთა წინააღმდეგ. ამან გამოიწვია რადიკალებისაგან მუშათა დეპუტატების ჩამოშორება და დეპუტატთა პალატაში მუშათა დამოუკიდებელი ფრაქციის შექმნა. — **456.**

**121** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 554 — 555. — **457.**

**122** ლენინის წინასიტყვაობის შემდგომი ნაწილი, სიტყვებიდან: «1889 წელს ინგლისში იწყებოდა ახალგაზრდა», დაიბეჭდა ბოლშევიკურ გაზეთ «ნაშე ეხოს» 1907 წლის 8 აპრილის მე-13 ნომერში შემდეგი შესავლით: «მალე გამოვა, პ. დაუგეს გამოცემით, მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერა მათ მეგობარსა და თანამებრძოლ ზორგესთან, რომელიც ამერიკაში ცხოვრობდა.

იმ ინტერესის გამო, რასაც ეს გამოცემა წარმოადგენს, ჩვენს თავს ნებას მივცემთ გადმოვბეჭდოთ აქ ამ წიგნის რუსული თარგმანის წინასიტყვაობის ნაწილი, რომელიც ეხება მარქსისა და ენგელსის დამოკიდებულებას რუსეთის მოსალოდნელი რევოლუციისადმი. დავიწყებთ ენგელსის ორი დამახასიათებელი აზრით საფრანგეთის რევოლუციის მნიშვნელობისა და გერმანიაში შესაძლებელი რევოლუციის შესახებ». — **457.**

**123** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVIII, 1940, გვ. 165. — **458.**

**124** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVIII, 1940, გვ. 360. — **459.**

**125** აღმოსავლეთის კრიზისად იგულისხმება რუსეთ-თურქეთის 1877 — 1878 წლების ომი. — **459.**

**126** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 311. — **459.**

**127** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 340. — **460.**

**128** «ჩვენი უთანხმოებებისა» და რუსეთის მომავალი რევოლუციის ხასიათის შესახებ ენგელსი წერდა ვ. ი. ზასულიჩს 1885 წლის 23 აპრი-

ლის წერილში. წერილი პირველად გამოქვეყნდა 1925 წელს კრებულში ««შრომის განთავისუფლების» ჯგუფი» № 3. იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 387 — 389. — **460.**

**129** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 633 და 634. — **461.**

**130** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 636. — **461.**

**131** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VII, 1930, გვ. 453. — **461.**

**132** მ ა ლ ო ვ ე რ ი — კადეტ ვ. პორტუგალოვის ფსევდონიმი. — **463.**

**133** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VII, 1930, გვ. 56. — **470.**

**134** «რ ა ი ნ ი ს ა ხ ა ლ ი გ ა ზ ე თ ი» (**«Neue Rheinische Zeitung»**) — გამოდიოდა კელნში 1848 წლის 1 ივნისიდან 1849 წლის 19 მაისამდე. გაზეთის ხელმძღვანელები იყვნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, მთავარი რედაქტორი — კ. მარქსი. 301 ნომერზე გაზეთმა რეაქციის დარტყმების გამო არსებობა შეწყვიტა. «რაინის ახალი გაზეთის» შესახებ იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, 1937, გვ. 165 — 173.

«შ ე მ თ ა ნ ხ მ ე ბ ე ლ თ ა კ რ ე ბ ა ს» მარქსი უწოდებდა ფრანკფურტის პარლამენტს, რომელიც მოწვეულ იქნა გერმანიაში 1848 წლის მაისს (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VII, 1930, გვ. 59). — **473.**

**135** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი ტ. VI, 1930, გვ. 340 და ტ. VII, 1930, გვ. 69 — **475.**

**136** სტატია «ლარინი და ხრუსტალევი» პირველად გამოქვეყნდა გაზეთ «ტრუდში».

«ტ რ უ დ» — ყოველკვირეული ბოლშევიკური სალიტერატურო-საპოლიტიკო გაზეთი. გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი 1907 წლის 15 (28) აპრილს. მეორე დღესვე პეტერბურგის ქალაქის უფროსმა გაზეთის გამოცემა აკრძალა. — **478.**

**137** რ ს დ მ პ პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს ს ა ქ ა ლ ა ქ ო ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა ს ესწრებოდა 133 კაცი (92 ბოლშევიკი და 41

მენშევიკი), მათგან ასზე მეტი დელეგატი მუშა იყო. კონფერენციამ განიხილა საკითხები: რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციის რეორგანიზაციის შესახებ; პეტერბურგის ორგანიზაციის წარმომადგენლობის შესახებ II სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში; ბურჟუაზიულ პრესაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის დაუშვებლობის შესახებ; 1 მაისისა და სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის შესახებ. კონფერენციამ დაამტკიცა პეტერბურგის საქალაქო ორგანიზაციის რეორგანიზაციის ბოლშევიკური პროექტი და თავი გამოაცხადა მუდმივ მოქმედ ორგანოდ, რომელიც პერიოდულად იკრიბება. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში საერთო-საქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენლად არჩეულ იქნა ლენინი. კონფერენციამ აზრი გამოთქვა ბურჟუაზიულ პრესაში სოციალ-დემოკრატთა მონაწილეობის წინააღმდეგ.

ლენინი იყო კონფერენციის თავმჯდომარე, გამოდიოდა კამათში საკითხებზე: პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის რეორგანიზაციის გეგმის შესახებ, პეტერბურგის კომიტეტის ორგანიზაციული მუშაობისა და კონფერენციის კონსტრუირების შესახებ.

კონფერენციის მეორე სესია შედგა 8 (21) აპრილს. დღის წესრიგი: პირველი მაისის დღესასწაულობა, სამიტინგო კამპანია, რწმუნებულთა საბჭო, V ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები, სათათბიროს დეპუტატის ალექსინსკის მოხსენება, ორგანიზაციული საკითხები, კოოპერაციული მოძრაობა, შავრაზმელობასთან ბრძოლა, უმუშევრობა. კონფერენციამ გადაწყვეტილება გამოიტანა პირველი მაისის დღე აღნიშნულიყო ერთდღიანი გაფიცვითა და მიტინგებით.

ლენინი კამათში გამოვიდა ალექსინსკის მოხსენების გამო და პეტერბურგის დელეგაციას ურჩია V ყრილობაზე შეეტანა წინადადება, რომ ყრილობას მიეწვია პრაქტიკოსი-მებრძოლი, მებრძოლი რაზმების რეორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებით. — **485.**

**135** რსდმპ პეტერბურგის საერთო-საქალაქო კონფერენციაზე, რომელიც 1906 წლის 11 (24) თებერვალს შესდგა I სათათბიროს არჩევნების დროს საარჩევნო ტაქტიკის საკითხის განსახილველად, არჩეული იყო 36 ბოლშევიკი და 29 მენშევიკი. უმრავლესობა რომ მოეპოვებინათ, მენშევიკები სადავოდ აცხადებდნენ დელეგატების არჩევნების სისწორეს საოლქო ორგანიზაციიდან, რომელმაც მხარი დაუჭირა აქტიური ბოიკოტის ბოლშევიკურ ტაქტიკას. როცა კონფერენციამ არჩევნები სწორად სცნო, მენშევიკებმა მოითხოვეს საოლქო რაიონის გამოყოფა პეტერბურგის საქალაქო ორგანიზაციიდან. მენშევიკების წინადადება უარყოფილ იქნა. — **488.**

**139** რსდმ პარტიის პეტერბურგის ორგანიზაციის იენისის რაიონთაშორისო კონფერენციას ესწრებოდა ორმოცზე მეტი ბოლშევიკი და ოცდაათამდე მენშევიკი; მიღებულ იქნა ბოლშევიკების შეტანილი რეზოლუციები. — **488.**

**140** სოციალ-დემოკრატიის სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების შექმნა დაიწყო 1905 წელს, განსაკუთრებით პარტიის III ყრილობის შემდეგ. სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების კონფერენციას, რომელიც მოსკოვში შეიკრიბა 1906 წლის მარტში, პოლიციამ მიაგნო და მისი მონაწილენი დააპატიმრა. 1906 წლის ნოემბერს ქ. ტამერფორსში შესდგა სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების კონფერენცია, რომელიც მოწვეულ იქნა ბოლშევიკების ინიციატივით. კონფერენციას ესწრებოდა 19 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 9 — სათათბირო ხმით; ისინი წარმოადგენდნენ 11 სამხედრო და 8 საბრძოლო ორგანიზაციას. კონფერენციამ განიხილა: დელეგატების ანგარიშები; მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ; მოხსენება მოსკოვის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შესახებ, სევასტოპოლისა და სვეაბორგის ნოემბრის აჯანყებათა შესახებ; შეიარაღებულ აჯანყებაში პარტიის როლის შესახებ; ოფიცერთა შორის მუშაობის შესახებ და სხვა საკითხები.

კონფერენციის ოქმები ხელახლა გამოსცა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა 1932 წელს. — **504.**

**141** ლენინს მხედველობაში აქვს «დნევნიკ სოციალ-დემოკრატა», რომელსაც არაპერიოდულად სცემდა გ. ვ. პლეხანოვი ჟენევაში 1905 წლის მარტიდან 1912 წლის აპრილამდე. გამოვიდა 16 ნომერი. 1916 წელს პლეხანოვმა განაახლა ჟურნალის გამოცემა პეტროგრადში, მაგრამ გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი. — **512.**

**142** იზაროვი — ი. ხ. ლალაიანცი. — **513.**

**143** ვარინი — ვ. ი. ფრიდოლინი, 1907 წელს ემხრობოდა ბოლშევიკებს. — **515.**

**144** ილიანი — ე. მ. იაროსლავსკი. — **516.**

**145** «მოხსენება რსდმპ V ყრილობას პეტერბურგში მომხდარი გათიშვისა და მასთან დაკავშირებით პარტიული სასამართლოს შექმნის გამო» ცალკე ბროშურად დაიბეჭდა წარწერით: «მხოლოდ რსდმპ პარტიული

ყრილობის წევრებისათვის». ბროშურის პირველი და უკანასკნელი ნაწილები ლენინმა დაწერა 1907 წლის აპრილში. «ლენინის დასაცავი (ანუ ცენტრალური კომიტეტის მენშევიკური ნაწილის წინააღმდეგ მიმართული საბრალდებო) სიტყვა პარტიულ სასამართლოში» დაწერილია თებერვალში და წარმოთქმულია პარტიული სასამართლოს პირველ სხდომაზე 1907 წლის მარტის დამლევს. — **517.**

**146** ქ. პეტერბურგის 234 ბოლშევიკის კრების რეზოლუციამ აღნიშნა, რომ პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გათიშვისათვის სავსებით ბრალი ედებათ მენშევიკებს; კრებამ მხარი დაუჭირა შემხვედრ ბრალდებას, რაც ლენინმა 31 მენშევიკსა და დანს წაუყენა.

პეტერბურგის (საქალაქო და საოლქო) სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენციამ დაამტკიცა პეტერბურგის 234 ბოლშევიკის კრების რეზოლუცია, რითაც მხარი დაუჭირა ბრალდებას, რომელიც ლენინმა მენშევიკებს წაუყენა ბროშურაში «პეტერბურგის არჩევნები და 31 მენშევიკის თვალთმაქცობა», და დაადგინა შემხვედრი ბრალდებით გამოსვლა სასამართლოში დანისა და მენშევიკების წინააღმდეგ.

ანალოგიური რეზოლუციები გამოიტანეს მოსკოვის რაიონის კომიტეტმა, მოსკოვის რაიონის ობვოდნისა და მეწაღეთა ქვერაიონების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კრებამ, საოლქო რაიონის ოხტის დენთის ქვერაიონის კომიტეტის გაფართოებულმა შემადგენლობამ. — **518.**

**147** დ ო ს ტ ო ე ვ ნ ც ე ბ ი — წევრები «კავშირისა ებრაელი ხალხის სრულუფლებიანობის მისაღწევად რუსეთში». კავშირი არსებობდა 1905-დან 1907 წლამდე. დოსტოევნცებმა მოითხოვეს ბურჟუაზიული თავისუფლებანი და ებრაელთა შემზღუდველი ყველა კანონის გაუქმება. კავშირის პრაქტიკული საქმიანობა გამოიხატებოდა შუამდგომლობებითა და პეტიციებით, რომლებსაც ის მთავრობის წარმომადგენლებს უგზავნიდა. — **530.**

**148** მ ა ქ ს ი მ ო ვ ი — მალინოვსკი, უფრო ცნობილია ა. ბ. ბოგდანოვის ფსევდონიმით; ზ ი მ ი ნ ი — ლ. ბ. კრასინი; ს ტ რ ო ე ვ ი — ვ. ა. დესნიცკის ფსევდონიმი. — **536.**

**149** რ ს დ მ პ V ყ რ ი ლ ო ბ ა შესდგა ლონდონში 1907 წლის 30 აპრილს — 19 მაისს (13 მაისს — 1 ივნისს). ყრილობას ესწრებოდა 336 დელეგატი გადამწყვეტი და სათათბირო ხმით. მათგან: ბოლშევიკი

დელეგატი იყო 105, მენშევიკი — 97, ბუნდელი — 57, პოლონელი სოციალ-დემოკრატი — 44, ლატვიელი სოციალ-დემოკრატი — 29, «უფრაქციო» — 4. ბოლშევიკებს, რომელთაც ემხრობოდნენ პოლონელები და ლატვიელები, ყრილობაზე მტკიცე უმრავლესობა ჰყავდათ. დელეგატთა შორის იყვნენ ლენინი, სტალინი, შაუმიანი, დუბროვინსკი, ვოროშილოვი, იაროსლავსკი.

ყრილობამ განიხილა საკითხები: 1) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. 2) სათათბიროს ფრაქციის ანგარიში და მისი ორგანიზაცია. 3) დამოკიდებულება ბურჟუაზიული პარტიებისადმი. 4) სახელმწიფო სათათბირო. 5) «მუშათა ყრილობა» და მუშათა უპარტიო ორგანიზაციები. 6) პროფესიული კავშირები და პარტია. 7) პარტიზანული გამოსვლები. 8) უმუშევრობა, ეკონომიური კრიზისი და ლოკაუტები. 9) ორგანიზაციული საკითხები. 10) შტუტჰარტის საერთაშორისო კონგრესი (1 მაისი, მილიტარიზმი). 11) არმიაში მუშაობა. 12) სხვადასხვა. ყრილობის უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ლენინის მოხსენება ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ. ყველა პრინციპულ საკითხზე ყრილობამ ბოლშევიკური რეზოლუციები მიიღო. ყრილობაზე არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტი 5 ბოლშევიკის, 4 მენშევიკის, 2 პოლონელი და 1 ლატვიელი სოციალ-დემოკრატის შემადგენლობით. ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებად არჩეულ იქნა 10 ბოლშევიკი, 7 მენშევიკი, 3 პოლონელი და 2 ლატვიელი სოციალ-დემოკრატი.

ყრილობა დამთავრდა ბოლშევიზმის გამარჯვებით პარტიის ოპორტუნისტულ ფრთაზე — მენშევიკებზე. რსდმპ V ყრილობის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «დამოკიდებულება ბურჟუაზიული პარტიებისადმი» (ეს ტომი, გვ. 606 — 633) და ი. ბ. სტალინის ნაშრომი «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (დელეგატის წერილები)» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 47 — 82). — **541.**

150 ამ განცხადებით ლენინი გამოვიდა სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ანგარიშის გამო რეზოლუციის დამტკიცების დროს. რეზოლუციის შედგენა მინდობილი ჰქონდა კომისიას, სადაც 4 პროექტი შევიდა: ბოლშევიკების, მენშევიკების, პოლონელებისა და ბუნდელების. კომისიამ არც ერთი რეზოლუცია არ მიიღო და თავისი ყურადღება მიაპყრო შემდეგ საკითხებს: 1) უნდა შეიცავდეს თუ არა რეზოლუცია ტაქტიკურ დირექტივებს ფრაქციისათვის, 2) ჩამოითვალოს თუ არა ფრაქციის ყველა შეცდომა და 3) ფრაქციისადმი ნდობის საკითხის შესახებ. შედგენილ იქნა რეზოლუცია, რომელმაც კომისიაში უმრავლესობა ვერ მიიღო. ამიტომ 10 (23) მაისს

ყრილობა შეუდგა იმავე საკითხების განხილვას. ბოლშევიკების წინადადება რეზოლუციაში დირექტივების შეტანის შესახებ უარყოფილ იქნა, რადგან ლატვიელებმა ხმა მისცეს წინააღმდეგ. მეორე დღეს ლატვიელთა ფრაქციის წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა, რომ ბურჟუაზიული პარტიებისა და სახელმწიფო სათათბიროს საკითხების განხილვის შემდეგ ხელმეორედ ეყარათ კენჭი რეზოლუციისათვის სათათბიროს ფრაქციის შესახებ. ლენინმა მხარი დაუჭირა ლატვიელებს. ხელმეორედ კენჭისყრის დროს ბოლშევიკების წინადადება მიღებულ იქნა. — **562.**

**151** კავკასიელ მენშევიკთა რეზოლუცია ლენინს დაწვრილებით განხილული აქვს მე-12 პარაგრაფში თავისი ნაშრომისა — «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 9, გვ. 101 — 112). — **564.**

**152** იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1929, გვ. 101. — **577.**

**153** ყრილობის 27-ე სხდომაზე, როცა იხილავდნენ ბოლშევიკურ რეზოლუციას ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ, ტროცკიმ წინადადება შეიტანა რეზოლუციიდან ამოეღოთ ლიბერალურ-მონარქისტული პარტიებისა და მთავარი მათგანის — კადეტების პარტიის სოციალური საფუძვლის დახასიათება. ლენინის გამოსვლის შემდეგ ეს წინადადება უარყოფილ იქნა. — **592.**

**154** ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ შეტანილი რეზოლუციის მიმართ მენშევიკების — მარტოვისა და მარტინოვის შესწორებანი ყრილობამ უარყო. — **594.**

**155** ყრილობაზე გადაწყდა ცენტრალურ კომიტეტში აერჩიათ 15 კაცი, მათგან 12 — თვით ყრილობაზე, 3 კი ნაციონალურ ორგანიზაციებს უნდა წარეგზავნათ ყრილობის შემდეგ. ცენტრალური კომიტეტის არჩევნების დროს მიცემული ხმების დათვლა წარმოებდა სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა დელეგატთა შემცირებული რაოდენობა: თითო წარმომადგენელი ყოველი ოთხი დელეგატისაგან. სხდომას ესწრებოდა 75 დელეგატი (22 ბოლშევიკი, 21 მენშევიკი, 14 ბუნდელი, 11 პოლონელი და 7 ლატვიელი). ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებისათვის კენჭისყრის დროს 9 კანდიდატმა მიიღო ხმების უმრავლესობა, ხუთმა კი — ხმების თანაბარი რაოდენობა. ამ უკანასკნელი ხუთიდან უნდა არჩეულიყო სამი. ბოლშევიკებმა წინადადება შეიტანეს ხელმეორედ ეყარათ კენჭი, მენშევიკებმა კი კანდიდატთა შორის წილის ყრა მოითხოვეს. მიღებულ იქნა ბოლშევიკების წინადადება. — **604.**

# ვ. ი. ლენინის

## ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1907* წლის იანვარი — ივნისი)

# 1907

| | |
|---|---|
| იანვარი — აპრილი. | ლენინი ცხოვრობს კუოკალაში (ფინეთი). |
| იანვარი, 18 (31). | ლენინი წერს სტატიას «სოციალ-დემოკრატიის საარჩევნო კამპანია პეტერბურგში»; გამოქვეყნდა გაზეთში «პროსტიე რეჩი», № 2, 21 იანვარს (3 თებერვალს). |
| იანვარი, 19 (თებერვალი, 1). | ლენინი წერს სტატიას «საფეხურიდან საფეხურზე»; გამოქვეყნდა «პროლეტარში», № 12, 25 იანვარს (7 თებერვალს). |
| იანვარი, 19 — 20 (თებერვალი, 1 — 2). | ლენინი წერს სტატიას «31 მენშევიკის პროტესტი»; გამოქვეყნდა «პროლეტარში», № 12, 25 იანვარს (7 თებერვალს). |
| იანვარი, 20 (თებერვალი, 2). | ლენინი წერს ბროშურას «პეტერბურგის არჩევნები და 31 მენშევიკის თვალთმაქცობა»; გამოვიდა პეტერბურგში «ნოვაია დუმის» გამოცემით. |
| იანვარი, 25 (თებერვალი, 7). | ლენინის სტატია «როგორ მივცეთ ხმა პეტერბურგის არჩევნებში? (არსებობს თუ არა პეტერბურგის არჩევნებში შავრაზმელთა გამარჯვების საფრთხე?)» ქვეყნდება გაზეთში «ზრენიე», № 1. |
| | ლენინის სტატია «პეტერბურგის არჩევნები და ოპორტუნიზმის კრიზისი» (მოწინავე) ქვეყნდება «პროლეტარში», № 12. |
| იანვრის დამლევი. | ცენტრალური კომიტეტი (რომლის უმრავლესობა მენშევიკურია) პარტიულ სამართალში აძლევს ლენინს ბროშურისათვის «პეტერბურგის არჩევნები და 31 მენშევიკის თვალთმაქცობა». |

**იანვარი, 30 (თებერვალი. 12).** ლენინის სტატიები: «არჩევნები პეტერბურგის მუშათა კურიაში» და «ს.-დ.-ებისა და ს.-რ.-ების ბრძოლა სანკტ-პეტერბურგის მუშათა კურიის არჩევნებში» ქვეყნდება გაზეთში «პროსტიე რეჩი», № 3.

**თებერვალი, 4 (17).** ლენინის სტატიები: «როგორ მივცეთ ხმა პეტერბურგის არჩევნებში? (ვისთვის არის ხელსაყრელი ზღაპრები შავრაზმული საფრთხის შესახებ?)», «წინასწარი მონაცემები მოსკოვის არჩევნების შესახებ» და «პოლიტიკური ლიდვალიადა» ქვეყნდება გაზეთში «ზრენიე», № 2.

ლენინი წერს სტატიას «პეტერბურგის არჩევნების მნიშვნელობა»; გამოქვეყნდა «პროლეტარში», № 13, 11 (24) თებერვალს.

**თებერვალი, 5 (18).** ლენინი წერს კ. მარქსის ბროშურის — «წერილები ლ. კუგელმანისადმი» რუსული თარგმანის წინასიტყვაობას; გამოვიდა ლენინის რედაქციით 1907 წელს პეტერბურგში.

**თებერვალი, 7 (20).** ლენინი გაზეთ «პროლეტარის» მე-13 ნომრისათვის წერს მოწინავე სტატიას «მეორე სათათბირო და რევოლუციის მეორე ტალღა».

**თებერვალი, 9 (22).** ლენინი წერს სტატიას «პეტერბურგის არჩევნების შედეგები»; გამოქვეყნდა «პროლეტარში», № 13.

**თებერვლის დამდეგი.** ლენინი წერს დასაცავ (ანუ მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ მიმართულ საბრალდებო) სიტყვას პარტიული სასამართლოსათვის.

**თებერვალი, 11 (24).** ლენინის სტატიები: «არჩევნების შედეგები პეტერბურგის მუშათა კურიაში», «ზოგიერთი მონაცემი მუშათა კურიის არჩევნების შესახებ სამხრეთ რუსეთში» და «II სათათბიროს არჩევნების შესახებ ქ. პეტერბურგის მოსკოვის რაიონის ანგარიშის გამო» ქვეყნდება «პროლეტარში», № 13.

**8 და 15 (21 და 28) თებერვალს შუა.** ლენინი სოციალ-დემოკრატების სათათბიროს კამპანიისა და სათათბიროს ტაქტიკის საკითხზე მოხსე-

ნებით გამოდის პეტერბურგის (საქალაქო და საოლქო) სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენციის მესამე სესიაზე.

**თებერვალი, 15 — 18 (თებერვალი, 28 — მარტი, 3).** ლენინი წერს რეზოლუციების პროექტებს რსდმპ V ყრილობისათვის.

ლენინი ხელმძღვანელობს პეტერბურგისა და მოსკოვის საოლქო კომიტეტების, ცენტრალური სამრეწველო რაიონის საოლქო ბიუროს და გაზეთ «პროლეტარის» რედაქციის წარმომადგენელთა თათბირს, რომელზედაც იხილავენ და ღებულობენ ლენინის რეზოლუციების პროექტებს.

**თებერვალი, 17 (მარტი, 2).** ლენინი ინტერვიუს აძლევს «L'Humanité»-ს («კაცობრიობის») თანამშრომელს რსდმპ ტაქტიკის შესახებ საარჩევნო კამპანიის დროს.

**თებერვალი, 20 (მარტი, 5).** ლენინი წერს სტატიას «მეორე სახელმწიფო სათათბიროს გახსნა»; გამოქვეყნდა მოწინავედ გაზეთში «ნოვი ლუჩ», № 1.

ლენინი წერს მოწინავე სტატიას «მეორე სათათბირო და პროლეტარიატის ამოცანები» (მიმართვა მუშებისადმი); გამოქვეყნდა გაზეთში «რაბოჩი», № 2, 23 თებერვალს (8 მარტს).

**თებერვალი, 21 (მარტი, 6).** ლენინი წერს სტატიას «პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი»; გამოქვეყნდა გაზეთში «ნოვი ლუჩ», № 2.

**თებერვალი, 22 (მარტი, 7).** ლენინი წერს სტატიას «წვრილბურჟუაზიული ტაქტიკა» გაზეთისათვის «ნოვი ლუჩ» № 4; გამოქვეყნდა 23 თებერვალს (8 მარტს).

**თებერვალი, 23 (მარტი, 8).** ლენინი წერს სტატიებს: «გათიშვის მომწყობნი მომავალი გათიშვის შესახებ» და «ოპორტუნიზმის ტაქტიკის შესახებ»; გამოქვეყნდა გაზეთში «ნოვი ლუჩ», № 5, 24 თებერვალს (9 მარტს).

**თებერვალი, 25 (მარტი, 10).** ლენინის სტატია «ბოლშევიკები და წვრილი ბურჟუაზია» მოწინავედ ქვეყნდება გაზეთში «ნოვი ლუჩ», № 6.

| | |
|---|---|
| **თებერვალი, 27 (მარტი, 12).** | ლენინი წერს მოწინავე სტატიას «სათათბიროს მოახლოებული გარეკვა და ტაქტიკის საკითხები» გაზეთისათვის «პროლეტარი», № 14; გამოქვეყნდა 4 (17) მარტს. |
| **27 თებერვალსა და 1 მარტს (12 და 14 მარტს) შუა.** | ლენინი წერს სტატიას «კადეტები და ტრუდოვიკები» გაზეთისათვის «რაბოჩაია მოლვა», № 1. |
| **თებერვალი, 28 (მარტი, 13).** | ლენინის დაწერილი პროექტი მოწოდებისა — «სტოლიპინის დეკლარაციის გამო», განიხილეს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სხდომაზე. |
| **თებერვლის დამლევი.** | ლენინი წერს სტატიას «სათათბიროს არჩევნები და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა»; გამოქვეყნდა გერმანელი სოციალ-დემოკრატების ჟურნალში **«Die Neue Zeit»** («ახალი დროება») № 26, 27 მარტს (ახალი სტილით). |
| | ლენინი წერს პირველ ნაწილს სტატიისას — «რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პლატფორმა»; გამოქვეყნდა «პროლეტარში», № 14, 4 (17) მარტს. |
| **მარტი, 12 (25).** | ლენინი წერს მეორე ნაწილს სტატიისას — «რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პლატფორმა»; გამოქვეყნდა «პროლეტარში», № 15, 25 მარტს (7 აპრილს). |
| **მარტი, 19 (აპრილი, 1).** | ლენინი წერს სტატიას «როგორ არ უნდა იწერებოდეს რეზოლუციები»; გამოქვეყნდა ბოლშევიკურ კრებულში «ტაქტიკის საკითხები». |
| **მარტი, 21 (აპრილი, 3).** | ლენინი წერს სტატიას «გარიგების საფუძვლები»; მოწინავედ გამოქვეყნდა გაზეთ «პროლეტარში», № 15, 25 მარტს (7 აპრილს). |
| **21 და 25 მარტს (3 და 7 აპრილს) შუა.** | ლენინი წერს სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეპუტატის მიერ აგრარულ საკითხზე წარმოსათქმელი სიტყვის პროექტს. |

| | |
|---|---|
| მარტი, 25 (აპრილი, 7). | ლენინი თავმჯდომარეობს რსდმპ პეტერბურგის საერთო-საქალაქო კონფერენციის პირველ სესიას ტერიოკში (ფინეთი) და გამოდის კამათში პეტერბურგის კომიტეტის რეორგანიზაციის გეგმისა და პეტერბურგის კომიტეტის ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე. ლენინს ირჩევენ კონფერენციის დელეგატად II სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასთან დასაკავშირებლად. |
| | ლენინის სტატია «თეთრი კბილი და შავი გული» ქვეყნდება გაზეთში «ნაშე ეხო», № 1. |
| მარტი, 27 (აპრილი, 9). | ლენინის სტატია «სათათბირო და ბიუჯეტის დამტკიცება» მოწინავედ იბეჭდება გაზეთში «ნაშე ეხო», № 2. |
| მარტი, 28 (აპრილი, 10). | ლენინი წერს სტატიას «გუგული აქებს მამალსა...»; მოწინავედ გამოქვეყნდა გაზეთში «ნაშე ეხო» № 4, 29 მარტს (11 აპრილს). |
| მარტი, 30 (აპრილი, 12). | ლენინის სტატია «ინტელიგენტი მეომრები ინტელიგენციის გატონობის წინააღმდეგ» ქვეყნდება გაზეთში «ნაშე ეხო», № 5. |
| მარტის დამლევი. | ლენინმა პარტიული სასამართლოს პირველ სხდომაზე წარმოთქვა დასაცავი (ანუ მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ მიმართული საბრალდებო) სიტყვა, რომლითაც ამხილა მენშევიკების გამთიშველი მოქმედება რსდმპ პეტერბურგის ორგანიზაციაში. |
| მარტი. | ლენინი მიმდინარე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ მოხსენებას აკეთებს იმ ბოლშევიკთა საინსტრუქციო თათბირზე, რომლებიც ადგილებზე მიემგზავრებიან რსდმპ V ყრილობის დელეგატების არჩევნების ჩასატარებლად. |
| აპრილი, 1 (14). | ლენინის სტატია «აგრარული საკითხი და რევოლუციის ძალები» ქვეყნდება გაზეთში «ნაშე ეხო», № 7. |

**აპრილი, 2 (15).** ლენინი წერს სტატიას «ანემიური სათათბირო ანუ ანემიური წვრილი ბურჟუაზია»; მოწინავე სტატიად გამოქვეყნდა გაზეთში «ნაშე ეხო», № 8, 3 (19) აპრილს.

**აპრილი, 3 (16).** ლენინი წერს მოწინავე სტატიას «მოზეიმე უხამსობა ანუ მოკადეტო ესერები» გაზეთისათვის «ნაშე ეხო», № 9; გამოქვეყნდა 4 (17) აპრილს.

**აპრილი, 4 (17).** ლენინი წერს სტატიას «სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და 3 აპრილი სათათბიროში»; გამოქვეყნდა გაზეთში «ნაშე ეხო», № 10, 5 (18) აპრილს.

**აპრილი, 5 — 6 (18 — 19).** ლენინი წერს სტატიას «რუსეთის რევოლუციის ძალა და სისუსტე»; გამოქვეყნდა გაზეთში «ნაშე ეხო», №№ 10 და 12.

**აპრილი, 6 (19).** ლენინი წერს წინასიტყვაობას წიგნის — «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსისა და სხვათა წერილები ფ. ა. ზორგესა და სხვებისადმი» — რუსული თარგმანისათვის.

**აპრილი, 7 და 8 (20 და 21).** ლენინის სტატია «სათათბიროს არჩევნები და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა» ქართულ ენაზე იბეჭდება გაზეთში «დრო», №№ 24 და 25, რომელიც ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით გამოდიოდა თბილისში.

**აპრილი, 8 (21).** ლენინი გამოდის კამათში პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენციის მეორე სესიაზე II სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მოღვაწეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

**აპრილი, 10 (23).** ლენინი წერს მოწინავე სტატიას «სათათბირო და რუსი ლიბერალები»; გამოქვეყნდა გაზეთში «ნაშე ეხო», № 14.

**აპრილი, 15 (28).** ლენინის სტატია «ლარინი და ხრუსტალევი» ქვეყნდება გაზეთში «ტრუდ», № 1.

**აპრილი.** ლენინის სტატიები: «მენშევიკების ტაქტიკური პლატფორმა», «გულმოსულთა დაბნეულობა (მუშათა ყრილობის საკითხისათვის)» და «ფრ. მერინგი მეორე სათათბიროს შესახებ» ქვეყნდება კრებულში «ტაქტიკის საკითხები».

გამოდის ლენინის ბროშურა «მოხსენება რსდმპ V ყრილობას პეტერბურგის გათიშვისა და მასთან დაკავშირებით პარტიული სასამართლოს შექმნის გამო».

ლენინს ირჩევენ რსდმპ V ყრილობის დელეგატად და მანდატს იღებს რსდმპ ვერხნე-კამსკის (ურალი) ორგანიზაციისაგან.

ლენინი მონაწილეობას იღებს ტერიოკში გამართულ ბოლშევიკებისა და მენშევიკების თათბირში, სადაც იხილავენ რსდმპ მომავალი V ყრილობის საკითხებს, და ილაშქრებს «მუშათა ყრილობის» მოწვევის შესახებ აქსელროდის წინადადების წინააღმდეგ.

**აპრილის დამლევი.** ლენინი მიემგზავრება კოპენჰაგენს, სადაც განზრახული იყო რსდმპ V ყრილობის გახსნა. ბოლშევიკ-დელეგატთა სხდომაზე გამოდის მებრძოლი რაზმების საკითხის შესახებ.

ლენინი მიდის ლონდონს, სადაც გადატანილ იქნა რსდმპ V ყრილობის სხდომები.

**აპრილი, 30 — მაისი, 19 (მაისი, 13 — ივნისი, 1).** რსდმპ V (ლონდონის) ყრილობა. ლენინი ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებს ყრილობის მუშაობაში.

**აპრილი, 30 (მაისი, 13).** რსდმპ V ყრილობის გახსნა ლონდონში. ლენინს ირჩევენ ყრილობის პრეზიდიუმში.

**მაისი, 1 (14).** ლენინი გამოდის ყრილობის მეორე სხდომაზე ყრილობის რეგლამენტის პროექტის განხილვის დროს.

ლენინი გამოდის ყრილობის მესამე სხდომაზე დღის წესრიგის საკითხზე კამათის შეწყვეტის წინააღმდეგ.

**მაისი, 2 (15).** ლენინი მეოთხე სხდომაზე სიტყვით გამოდის და მოითხოვს ყრილობის დღის წესრიგში შეტანილ იქნას ზოგად-პრინციპული საკითხები ბურჟუაზიულ რევოლუციაში პარტიის ტაქტიკის საფუძვლების შესახებ.

ლენინი ყრილობის მეხუთე სხდომაზე გამოდის სახელობითი კენჭისყრის ფორმის შესახებ.

ლენინის სტატიები: «რეორგანიზაცია და პეტერბურგის გათიშვის ლიკვიდაცია», «საერთო-ნაციონალური რევოლუციის საკითხისათვის» და «რსდმპ ნოემბრის სამხედრო-საბრძოლო კონფერენციის ოქმების გამო» ქვეყნდება «პროლეტარში», № 16.

**მაისი, 3 (16).** ლენინი თავმჯდომარეობს ყრილობის მეექვსე და მეშვიდე სხდომებს.

**მაისი, 4 (17).** ლენინი ყრილობის მერვე სხდომაზე გამოდის კამათში ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო და აკრიტიკებს მენშევიკების ოპორტუნისტულ ტაქტიკას.

**მაისი, 5 (18).** ლენინი გამოდის ყრილობის მეთერთმეტე სხდომაზე დღის წესრიგის გამო.

**მაისი, 8 (21).** ლენინი თავმჯდომარეობს ყრილობის მეთოთხმეტე სხდომას.

ლენინი თავმჯდომარეობს ყრილობის მეთხუთმეტე სხდომას.

ლენინი გამოდის კამათში სათათბიროს ფრაქციის ანგარიშის გამო და აკრიტიკებს ფრაქციის პოლიტიკურ შეცდომებს.

**მაისი, 9 (22).** ყრილობის მეთექვსმეტე სხდომაზე ლენინს ირჩევენ სათათბიროს ფრაქციის ანგარიშის გამო რეზოლუციის პროექტის შემმუშავებელ კომისიაში.

**მაისი, 10 (23).** ყრილობის მეთვრამეტე სხდომაზე ქვეყნდება ლენინის განცხადება მარტოვის მიერ იმ ინტერვიუს დამახინჯების წინააღმდეგ, რომელიც ლენინმა «L'Humanité»-ს კორესპონდენტს მისცა.

**მაისი, 11 (24).** ლენინი ყრილობის მეოცე სხდომაზე გამოდის სათათბიროს ფრაქციის ანგარიშის გამო რეზოლუციის მიღების წესის შესახებ.

**მაისი, 12 (25).** ლენინი ყრილობის ოცდამეორე სხდომაზე გამოდის მოხსენებით ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

**მაისი, 14 (27).** ლენინი ყრილობის ოცდამეოთხე სხდომაზე ამბობს საბოლოო სიტყვას ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

ლენინი გამოდის ცნობით ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების საკითხზე რეზოლუციის შემმუშავებელი კომისიის მუშაობის შესახებ.

**მაისი, 15 (28).** ლენინი ყრილობის ოცდამეექვსე სხდომაზე გამოდის კამათში ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ ყრილობის პოლონელი დელეგატების მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტის გამო.

ლენინი გამოდის ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ ბოლშევიკების რეზოლუციის მიმართ ლიბერისა და ტროცკის შესწორებათა წინააღმდეგ.

ლენინი თავმჯდომარეობს ყრილობის ოცდამეშვიდე სხდომას.

ლენინი გამოდის ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ შეტანილი რეზოლუციის მიმართ ბროხისისა და ტროცკის შესწორებათა წინააღმდეგ.

**მაისი, 16 (29).** ლენინი ყრილობის ოცდამერვე სხდომაზე გამოდის ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ შეტანილი რეზოლუციის მიმართ მარტოვის შესწორების წინააღმდეგ.

ლენინი ყრილობის ოცდამეცხრე სხდომაზე გამოდის ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების

შესახებ შეტანილი რეზოლუციის მიმართ, ტროცკის, მარტოვისა და მარტინოვის შესწორებათა წინააღმდეგ.

ყრილობა იღებს ლენინის დაწერილ რეზოლუციას ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

**მაისი, 18 (31).** ლენინი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ რეზოლუციის შემმუშავებელი კომისიის სახელით გამოდის მოხსენებით ყრილობის ოცდამეცამეტე სხდომაზე.

**მაისი, 19 (ივნისი, 1).** ლენინი თავმჯდომარეობს ყრილობის ოცდამეთოთხმეტე სხდომას.

ლენინი თავმჯდომარეობს ყრილობის ოცდამეთხუთმეტე სხდომას.

ლენინს წინადადება შეაქვს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში პარტიის წარმომადგენლის საკითხი გადასაწყვეტად გადაეცეს ცენტრალურ კომიტეტს. ყრილობა წინადადებას იღებს.

ლენინი გამოდის მეწშეოიკების წინადადების წინააღმდეგ, რომ ყრილობას ეწოდოს «გაერთიანებული პარტიის ლონდონის პირველი ყრილობა», და იცავს წინადადებას ყრილობას ეწოდოს მეხუთე ყრილობა.

ლენინს შეაქვს წინადადება ფრაქციების მიერ ცენტრალურ კომიტეტში ასარჩევი კანდიდატების წამოყენების წესის შესახებ.

ლენინი გამოდის წინადადებით ხელმეორედ ეყაროს კენჭი ცენტრალურ კომიტეტში ასარჩევ კანდიდატებს, რომლებმაც ხმების თანაბარი რაოდენობა მიიღეს.

ლენინი გამოდის კამათში და იცავს იმ აზრს, რომ ყრილობის სხდომა შემცირებული შემადგენლობით უფლებამოსილია ხელმეორედ უყაროს კენჭი ცენტრალურ კომიტეტში ასარჩევ კანდიდატებს, რომლებმაც ხმების თანაბარი რაოდენობა მიიღეს. ლენინის წინადადებას ყრილობა იღებს.

ლენინს ირჩევენ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში.

**მაისის მეორე ნახევარი.** რსდმპ V ყრილობის მუშაობის დასასრულს ბოლშევიკების კრებაზე ირჩევენ ბოლშევიკურ ცენტრს, რომელსაც ლენინი მეთაურობს.

**მაისი, 21 — 25 (ივნისი, 3 — 7).** ლენინი ესწრება ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის II ყრილობას ლონდონში.

ლენინი გამოდის მოკლე მოხსენებით პროლეტარიატის ამოცანების შესახებ ბურჟუაზიული რევოლუციის თანამედროვე მომენტში; შეაქვს ამ საკითხზე რეზოლუციის პროექტი.

**ივნისის დამდეგი.** ლენინი ყრილობიდან ბრუნდება კუოკალაში.

ლენინი ტერიოკში გამოდის პეტერბურგიდან ჩამოსული მუშების წინაშე სიტყვით რსდმპ V ყრილობის შესახებ.

პოლიციის მხრივ დევნის გაძლიერების გამო ლენინი კუოკალიდან გადადის სტირსუდენში (ფინეთი).

ლენინი წერს სტატიას «დამოკიდებულება ბურჟუაზიული პარტიებისადმი».

---

# შინაარსი


წინასიტყვაობა . . . . . IX

სოციალ-დემოკრატიის საარჩევნო კამპანია პეტერბურგში . . . . . 1 — 11

საფეხურიდან საფეხურზე . . . . . 12 — 17

31 მენშევიკის პროტესტი . . . . . 18 — 22

პეტერბურგის არჩევნები და 31 მენშევიკის თვალთმაქცობა . . . . . 23 — 37

როგორ მივცეთ ხმა პეტერბურგის არჩევნებში? (არსებობს თუ არა პეტერბურგის არჩევნებში შავრაზმელთა გამარჯვების საფრთხე?) . . 38 — 52

პეტერბურგის არჩევნები და ოპორტუნიზმის კრიზისი . . . . . 53 — 58

არჩევნები პეტერბურგის მუშათა კურიაში . . . 59 — 69

ს.-დ.-ებისა და ს.-რ.-ების ბრძოლა სანქტ-პეტერბურგის მუშათა კურიის არჩევნებში . . . . . 70 — 75

როგორ მივცეთ ხმა პეტერბურგის არჩევნებში? (ვისთვის არის ხელსაყრელი შავრაზმული საფრთხის ზღაპრები?) . . . . . 76 — 83

წინასწარი მონაცემები მოსკოვის არჩევნების შესახებ . . . . . 84 — 85

პოლიტიკური ლიდვალიადა . . . . . 86 — 89

არჩევნების შედეგები პეტერბურგის მუშათა კურიაში . . . . . 90 — 97

II სათათბიროს არჩევნების შესახებ ქ. პეტერბურგის მოსკოვის რაიონის ანგარიშის გამო . . . 98 — 100

ზოგიერთი მონაცემი მუშათა კურიის არჩევნების შესახებ სამხრეთ რუსეთში . . . . . 101 — 103

პეტერბურგის არჩევნების მნიშვნელობა . . . 104 — 110

წინასიტყვაობა ლ. კუგელმანთან მიწერილი ქ. მარქსის წერილების რუსული თარგმანისა . . 111 — 122

მეორე სათათბიროს და რევოლუციის მეორე ტალღა . . . . . 123 — 129

პეტერბურგის არჩევნების შედეგები . . . . 130 — 139

მოხსენება პეტერბურგის ორგანიზაციის კონფერენციაზე სათათბიროს კამპანიისა და სათათბიროს ტაქტიკის საკითხის შესახებ. გაზეთის მოკლე ანგარიში . . . . . 140 — 146

საბოლოო სიტყვა . . . . . 145

რეზოლუციების პროექტები რსდმპ მეხუთე ყრილობისათვის . . . . . 147 — 160

1. დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტის შესახებ . . . . . 149

2. ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ . . . . . 150

3. პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შესახებ დემოკრატიული რევოლუციის თანამედროვე მომენტში . . . . . 153

4. სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის შესახებ სახელმწიფო სათათბიროში . . . . . 155

5. მასობრივი ეკონომიური გაჭირვებისა და ეკონომიური ბრძოლის გამწვავების შესახებ . . . . . 158

6. უპარტიო მუშათა ორგანიზაციების შესახებ პროლეტარიატში ანარქისტულ-სინდიკალისტურ მიმდინარეობასთან დაკავშირებით . . . . . 159

რსდმპ ტაქტიკა საარჩევნო კამპანიის დროს. «L'Humanité»-ს თანამშრომლისათვის 1907 წ. 17 თებერვალს (2 მარტს) მიცემული ინტერვიუ . . 161 — 169

მეორე სახელმწიფო სათათბიროს გახსნა . . . 170 — 174

მეორე სათათბიროს და პროლეტარიატის ამოცანები 177 — 179

პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი . . . . . 180 — 184

წვრილბურჟუაზიული ტაქტიკა . . . . . 185 — 190

გათიშვის მომწყობნი მომავალი გათიშვის შესახებ 191 — 194

ოპორტუნიზმის ტაქტიკის შესახებ. . . . . 195 — 202

ბოლშევიკები და წვრილი ბურჟუაზია . . . 203 — 209

სათათბიროს მოახლოებული გარეკვა და ტაქტიკის საკითხები . . . . . 210 — 215

კადეტები და ტრუდოვიკები . . . . . 216 — 220

სტოლიპინის დეკლარაციის გამო. მოწოდების პროექტი . . . . . 221 — 224

სათათბიროს არჩევნები და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა . . . . . 225 — 239

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პლატფორმა 240 — 253

I. . . . . 240

II. . . . . 246

როგორ არ უნდა იწერებოდეს რეზოლუციები . . 255 — 285

ბოლოსიტყვაობის მაგივრად . . . . . 283

შენიშვნა ესტონელ სოციალ-დემოკრატთა რეზოლუციის გამო . . . . . 286

გარიგების საფუძვლები . . . . . 287 — 292

მენშევიკების ტაქტიკური პლატფორმა . . . . 293 — 313

მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში აგრარულ საკითხზე წარმოსათქმელი სიტყვის პროექტი . . 314 — 359

თეთრი კბილი და შავი გული . . . . . 360 — 367

სათათბირო და ბიუჯეტის დამტკიცება . . . 368 — 374

გუგული აქებს მამალსა . . . . . 375 — 379

ინტელიგენტი მეოთხრეები ინტელიგენციის ბატონობის წინააღმდეგ . . . . . 380 — 385

გულმოსულთა დაბნეულობა (მუშათა ყრილობის საკითხისათვის) . . . . . 386 — 402

აგრარული საკითხი და რევოლუციის ძალები . . 403 — 408

ანემიური სათათბირო ანუ ანემიური წვრილი გურჟუაზია . . . . . 409 — 413

მოზეიმე უხამსობა ანუ მოკადეტო ესერები . . 414 — 418

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და 3 აპრილი სათათბიროში . . . . . 419 — 423

რუსეთის რევოლუციის ძალა და სისუსტე . . . 424 — 435

I. . . . . 424

II. . . . . 430

წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი წიგნისა: «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსისა და სხვათა წერილები ფ. ა. ზორგეს და სხვებისადმი» . 437 — 462

კლასიკური შეფასება ინტელიგენტური ოპორტუნიზმისა სოციალ-დემოკრატიაში . . . . . 452

სათათბირო და რუსი ლიბერალები . . . . 463 — 467

ფრ. მერინგი მეორე სათათბიროს შესახებ . . . 468 — 477

გერმანული ლიბერალიზმი და რუსეთის სათათბირო . 469

ლარინი და ხრუსტალევი . . . . . 478 — 484

რეორგანიზაცია და პეტერბურგის გათიშვის ლიქვიდაცია . . . . . 485 — 496

საერთო-ნაციონალური რევოლუციის საკითხისათვის . . . . . 497 — 503

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნოემბრის სამხედრო-საბრძოლო კონფერენციის ოქმების გამო . . . . . 504 — 516

მოხსენება რსდმპ V ყრილობას პეტერბურგის გათიშვისა და მასთან დაკავშირებით პარტიული სასამართლოს შექმნის გამო . . . . . 517 — 539

I. ლენინის დასაცავი (ანუ ცენტრალური კომიტეტის მენშევიკური ნაწილის წინააღმდეგ მიმართული საბრალდებო) სიტყვა პარტიულ სასამართლოში . . 519

II. პეტერბურგის გათიშვის ფაქტიური ისტორიის მოკლე კონსპექტი . . . . . 535

რსდმპ V ყრილობა. 1907 წ. 30 აპრილი — 19 მაისი (13 მაისი — 1 ივნისი) . . . . . 541 — 565

1. სიტყვა ყრილობის დღის წესრიგის საკითხზე გამართული კამათის დროს 2 (15) მაისს 543

2. სიტყვა ცკ-ის მოლვაწეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო 4 (17) მაისს . . 547

3. სიტყვა სათათბიროს ფრაქციის მოღვაწეობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო 8 (21) მაისს . . . . . 554

4. ფაქტიური განცხადება 10 (23) მაისს . . 560

5. განცხადება 11 (24) მაისს . . . . . 562

6. მოხსენება გურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ 12 (25) მაისს . 563

7. საბოლოო სიტყვა გურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო 14 (27) მაისს . 580

8. გურჟუაზიული პარტიების შესახებ პოლონელთა რეზოლუციის პროექტისადმი დამოკიდებულებაზე წარმოთქმული სიტყვა 15 (28) მაისს . . . . . 587

9. გურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ ყრილობის მიერ მიღებულ ბოლშევიკების რეზოლუციაში ტროცკის შესწორებათა შეტანის საწინააღმდეგო მოსაზრებანი 15—16 (28—29) მაისი . . 592

10. გურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ ბოლშევიკების რეზოლუციის მე-3 მუხლში მარტოვის შესწორებათა შეტანის საწინააღმდეგო მოსაზრებანი 16 (29) მაისი . . . . . 594

11. გურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ წარდგენილ რეზოლუციაში მარტინოვის შესწორებათა შეტანის საწინააღმდეგო მოსაზრებანი 16 (29) მაისი . 596

12. სახელმწიფო სათათბიროს შესახებ რეზოლუციის შემმუშავებელი კომისიის მოხსენება 18 (31) მაისს . . . . . 598

13. შენიშვნები ცენტრალურ კომიტეტში არჩეულთათვის ხელმეორედ კენჭისყრის საკითხზე გამართული კამათის დროს 19 მაისი (1 ივნისი) . . . . . 604

დამოკიდებულება ბურჟუაზიული პარტიებისადმი . 606 — 633

I. . . . . 607

II. . . . . 621

III. . . . . 628

შენიშვნები. . . . . 635 — 662

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 663 — 675

## ილუსტრაციები

პირველი გვერდი გაზეთ «ზრენიესი», № 1. — 1907 წ. . . 39

პირველი გვერდი გაზეთ «რაბოჩისა», № 2. — 1907 წ. . . 175

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «მეორე სახელმწიფო სათათბიროში აგრარულ საკითხზე წარმოსათქმელი სიტყვის პროექტი». — 1907 წ. . . . . 315

პირველი გვერდი გაზეთისა «ნაშე ეხო» № 2. — 1907 წ. . . 369

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/IX — 1950.
უე 04792. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 43³/₈.
ფასი 8 მან.

*

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან
არსებული პოლიგრაფმრეწველობის,
გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სამმართველოს 1-ლი სტამბა.
თბილისი. ორჯონიკიძის ქ. № 50.
შეკვეთის № 1112.